

ბუნების ბუნების ბუნების

მ
მ
მ

ღვთისმშობელი
მეგობრები
მეგობრები
მეგობრები

მ
მ

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი

1968

გურამ გვერდწითელი თავის წიგნში ანალიზებს ქართველი პროზაიკოსების შემოქმედებას — ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებიდან თანამედროვე ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებებამდე. რაკი ეტორის კვლევის საგანი მეტწილად ცოცხალი ლიტერ-ტურული პროცესი, ჩვენი თანამედროვე მწერლობაა. მასში ბევრი რამ პრობლემურია და, იქნებ, სადავოდ. ვფიქრობთ, ნაშრომს ინტერესით გაეცნობიან სპეციალისტები და ლიტერატურის მოყვარული მკითხველები.

ՀԳՆԱՆՆԵՐԻ



ეგნატე ნინოშვილი

I

ეგნატე ნინოშვილის, როგორც მწერლის, მთელი ძალა და მომხიბლაობა იმ უბრალო საიდუმლოებაშია, რომელიც ყველა ჭეშმარიტი მწერლისათვის ერთნაირად ნათელი და სავალდებულო უნდა იყოს. ესაა მწერლის უკიდევანო, ვაჟაკური სიყვარული თავისი ხალხის. თავისი სამშობლოს მიმართ. ეგნატე ნინოშვილის გული მხოლოდ ამ სიყვარულით ძვებდა.

ამ თვალსაზრისით ეგნატე ნინოშვილი ქართველ კლასიკოსთა პოზიციაზე დგას. საქართველო თავისი ბედ-უკუღმართი ისტორიის გამო თავისუფლებას მხოლოდ საკუთარ შვილთა მიერ დაღვრილ სისხლის ფასად ინახავდა. ამიტომ პატრიოტული სულისკვეთება არასოდეს კლებია ქართულ მწერლობას. მე-19 საუკუნეში ქართულ მწერლობაში ასევე ძლიერად დაისვა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხიც. ეს ორი საფიქრალი და სადარდებელი უანდერძეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა მომდევნო თაობას, ამ ორ საფიქრალს შეაღია თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ეგნატე ნინოშვილმა.

ეგნატე ნინოშვილი თვითონ მშრომელი ხალხის წიალიდან იყო გამოსული, მთელი თავისი ცხოვრება ისეთსავე ჭაპანწყვეტაში გაატარა, ისევე დიდი ჯაფით, დამქანცველი ფიზიკური შრომით შოულობდა ლუკმა პურს, როგორც საერთოდ ყველა მშრომელი. მას ცხოვრების შესასწავლად არა სჭირდებოდა „ხალხში გასვლა“, იგი მუდამ ცხოვრების ორომტრიალ-

ში იყო და ეს დიდი, მკაცრი სიმართლე, რომლითაც სავსეა მისი მოთხრობები, ნინოშვილის შემოქმედების უპირველესი ღირსებაა. მისი ცხოვრების აზრი იყო დაეწერა მხოლოდ ის. რაც საკუთარი თვალთ ჰქონდა ნანახი და უშუალოდ განცდილი, ეწერა მხოლოდ ხალხზე, რომლის შვილიც და რომლისთვის მზრუნველიც იყო თავად. საინტერესოა ერთი ეპიზოდი ეგნატე ნინოშვილისა და მაქსიმ გორკის ურთიერთობიდან. ეს მოხდა 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ეგნატე ნინოშვილი უკვე ცნობილი მწერალი იყო, ხოლო მომავალ გენიალურ მწერალს მაქსიმ გორკის ჯერ არ იცნობდნენ. ერთ-ერთ საუბარში გორკიმ თურმე შენატრა ეგნატე ნინოშვილს. მის მწერლურ ბედს, იმ სიყვარულს, რომელსაც მისდამი ხალხი ამჟღავნებდა. „შენც დაწერე შენი თავგადასავალი, რაც გინახავს და განგიცდია დამაშინ ნახე, როგორ გაგიცნობენ და შეგიყვარებენ“, — უპასუხნია ნინოშვილს. ძნელია დაბეჭიბებით თქმა იმისა, სიტყვა-სიტყვით ასე მიმართა თუ არა ნინოშვილმა გორკის, მაგრამ ნათქვამის აზრი რომ ზუსტად ეს იქნებოდა, უეჭველია, რადგან ნინოშვილს მხოლოდ ასე ესმოდა მწერლის მოვალეობა, მხოლოდ ასე ესახებოდა ხალხის სიყვარულის მოპოვების გზა.

ეგნატე ნინოშვილისათვის იოლი არ იყო სამწერლო გზის გაკაფვა. მე-19 საუკუნის ბოლო წლებში, როდესაც იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, ქართველი მკითხველის გული დაპყრობილი ჰქონდათ ისეთ მამულიშვილებს, მოაზროვნეებს, ისეთ ოსტატებს მხატვრული სიტყვისა, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი. მათი მოთხრობების შემდეგ ძნელი იყო ქართული პროზის სარბიელზე გამოსვლა, მით უმეტეს ეგნატე ნინოშვილისათვის, რომელსაც არ ჰქონდა სიტყვასთან ჰიდილის დრო. მას უნდა მოესწრო სათქმელის თქმა სულ ნოკლე დროში, ვიდრე თავისი დაცხრილული ფილტვებით ჯერ კიდევ შეეძლო ერთხანს სუნთქვა. ამიტომ ზოგჯერ ტლანქი და უხეშია ეგნატე ნინოშვილის ფრაზა, მის მოთხრობებს აკლია ჩამოქნილობა და დახვეწილობა. მაგრამ ეგნატე ნინოშვილისათვის ეს არ იყო მთავარი. მას უნდა ეთქვა თავისი დიდი გულისტკივილი ხალხის მწარე ხვედრის გამო და თქვა

კიდევ ისე დაძაბულად, ისე მართლად, ისე ამაღელვებლად, რომ ნინოშვილის მოთხოვნების მკითხველს ავიწყდება რაფინირებული პროზის სურნელებზე ფიქრი და სულმოუთქმელად ადევნებს თვალს მის წინაშე დატრიალებულ დიდ ადამიანურ დრამებსა და ტრაგედიებს.

ეგნატე ნინოშვილს არ დაუტოვებია დიდი, უფრო ზუსტად, ვრცელი მემკვიდრეობა. მისი პუბლიცისტური წერილები, მემუარები და მოთხოვნები ერთ ტომს თუ შეადგენს, მხოლოდ. და მითაც საკვირველია, როგორ მოასწრო ამდენი დაწერა და შექმნა მწერალმა სულ ხუთი-ექვსი წლის მანძილზე, თან ისეთ პირობებში, რომელშიც იგი ცხოვრობდა. მწერალი სევდიანად შენიშნავდა: „სად შემოძლია დინჯად და ღიძის დაკვირვებით ვხატო ხალხის ცხოვრება, მაშინ როცა ლუკმა-პურისათვის მოუსვენრად აქეთ-იქით ვწანწალობ“. ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება მაინც დიდია, დიდია თავისი სულისკვეთებით და მიზანდასახულობით. მწერალს, თუ სურს ცხოვრებას თავისი კვალი დაამჩნიოს, თანამედროვეთა და შთამომავალთა ყურადღება მიიქციოს, თავისი ნათელი პოზიცია უნდა გააჩნდეს. რაც არ უნდა ბევრი წეროს და ოსტატურადაც წეროს მწერალმა, თუ მისი შემოქმედება ერთ მიზანს არ ემსახურება და თან ეს მიზანი საზოგადოების საზრუნავი და საფიქრალი არაა, ამაოდ დაშვრება იგი და მისი მემკვიდრეობა პირველი თოვლივით ლამაზი და უღლეური იქნება. ეგნატე ნინოშვილისათვის მწერლობა საზოგადოებასთან ხალხის სატკივრებზე საუბრის საშუალება იყო მხოლოდ და ჩვენ დღემდე გვაკვირვებს ის დიდი სიყვარული და ის დიდი სიძულვილი, რომელსაც მისი გული იტევდა.

II

ეგნატე ნინოშვილი (ეგნატე თომას ძე ინგოროყვა) დაიბადა 1859 წლის 17 თებერვალს, გურიის სოფელ ჩირგვეთში, გლეხის ოჯახში. დედა მაშინვე გარდაეცვალა და დედობა მამიდამისმა, ნინომ გაუწია. სწორედ ამ სათნო და მოსი-

ყვარულე ქალისადმი მადლიერებისა თუ სიყვარულის გრძნობამ აარჩევინა მას თავისი ლიტერატურული ფსევდონიმი — ნინოშვილი.

ეგნატე თავიდანვე სუსტი იყო ფიზიკურად და ეტყობოდა, რომ გლეხის მძიმე შრომას ვერ გაუძლებდა. ამიტომ გადაწყვიტეს ახლობლებმა, როგორმე მის განათლებაზე ეზრუნათ. წერა-კითხვის შესასწავლად ხან აზნაური მღვდლის ოჯახში მიაბარეს, ხან ხე-ტყით მოვაჭრესთან დააყენეს ფოთში. მაგრამ ამათ არაფრად ედარდებოდათ ბავშვის განათლება და შრომით სულსა ხდიდნენ. ისევ თვითონ დაიცხრო ეგნატემ სწავლის წყურვილი და ნელ-ნელა გაიწაფა წერა-კითხვაში. 1876 წლიდან იგი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელშიც სწავლობდა, მაგრამ ვერ მოერია სინდისის ხმას, სასწავლებლის რეაქციული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამართულ მოწაფეთა გაფიცვის ინიციატივა ითავა და „მგლის ბილეთით“ გაირიცხა სასწავლებლიდან. აქედან იწყება მისი გაუთავებელი წანწალი სამუშაოს საძებნელად, ლუკმაპურის საშოვნად. იგი ხან სოფელშია, ხან ფოთში და თბილისში, ხან რკინიგზაზე მუშაობს, ხან ტელეგრაფის მოხელედ. ხან სტამბის ასოთამწყობად. მაგრამ მისი სწავლას მოწყურებული სული ვერსად ისვენებს. ცოტაოდენი დანაზოგით და ამხანაგების დახმარებით 1886 წელს საფრანგეთს გაემგზავრა. ეგონა იქ თან იმუშავებდა და თან ისწავლიდა, მაგრამ იმედი გაუტრუვდა, არც კვალიფიკაცია ჰქონდა და არც ჯან-ღონე. სამუშაო ვერ იშოვნა და იძულებული გახდა მალე უკანვე დაბრუნებულყო.

ამის შემდეგ ეგნატე ნინოშვილი თავად გრიგოლ გურიელის სასახლეში მიიწვიეს პირად მდივნად. სასახლის მდივარი ბიბლიოთეკა, წყნარი სამუშაო ეგნატე ნინოშვილს შემოქმედებითი შრომის საშუალებას აძლევდა, სწორედ აქ გაეცნო იგი ისტორიულ წყაროებს და მასალებს თავისი ისტორიული რომანისათვის „ჯანყი გურიაში“, მაგრამ ეს ადგილიც მალე დაკარგა თავისი შეურიგებელი, პრინციპული ხასიათის გამო. იმ ხანებში საადგილმამულო საკითხებთან დაკავშირებით გამწვავდა ურთიერთობა მემამულეებსა და გლეხებს შორის. ეგნატე ნინოშვილმა უყოყმანოდ დატოვა თავადის სა-

სახლის კარი, რადგან მთელი მისი სიმპათიები აშკარად გლეხობის მხარეზე იყო.

1889 წელს, ეგნატე ნინოშვილი, რომელიც უკვე იყო ავტორი ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებისა, როგორცაა „ჯანყი გურიაში“ და „გოგია უიშვილი“, ბათუმის ნავსადგურში მუშაობს მტვირთავად, შემდეგ კი მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევა სხვადასხვა ქარხნებში. როგორც თვითონ იგონებდა მწერალი, 1889 წლის ზამთარი ბათუმში მეტად ცივი. ქარიანი და წვიმიანი იყო. ის კი გაცვეთილ საზაფხულო ტანსაცმელში დილის 4 საათიდან მიეშურებოდა ქარხანაში, შორი გზა უნდა გაეკლო. სწორედ ამ ბათუმის ზამთარმა და შემდეგ კი ზესტაფონში, შავი ქვის მრეწველის, ლოღობერიძის კანტორაში მუშაობამ საბოლოოდ გატეხა ფიზიკურად ეგნატე ნინოშვილი, ქლექი მოერია და სულ რამდენიმე წელიწადში იმსხვერპლა კიდევც.

ბათუმსა და ზესტაფონში, ხოლო შემდეგ კი თბილისში ეგნატე ნინოშვილი დაუახლოვდა რევოლუციურად განწყობილ მუშებს, ხოლო შემდეგ მათი მოთავეც კი გახდა. იგი მიხვდა, რომ ხალხოსნურ მოძრაობას არ შეეძლო მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის რაიმე რადიკალური ზომების მიღება, მისი პროტესტანტული სულისათვის, მშრომელთა მძიმე ბედ-იღბალით ნატკენი გულისათვის მარქსიზმი ყველაზე მისაღები და სარწმუნო მოძღვრება აღმოჩნდა. ეგნატე ნინოშვილი იყო ერთი მოთავე პირველი მარქსისტული ორგანიზაციის დაარსებისა საქართველოში. ამ ახალმა მოძღვრებამ ახალი ენერგია მისცა მომაკვდავ მწერალს. მისი პუბლიცისტური წერილები ზედიზედ იბეჭდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, რომელთაგან ყველაზე მეტად „კვალსა“ სწყალობდა, მისი აზრით, ყველაზე პროგრესულ გაზეთს.

ეგნატე ნინოშვილის ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობა — ეს იყო მოქალაქეობრივი გმირობის ნიმუში. ერთ წერილში ეგნატე აგვიწერს, თუ რა პირობებში უხდებოდა მუშაობა: „აბა წარმოიდგინეთ, რის დაწერა შეიძლება ასეთ გარემოებაში: ათასნაირი გარყვნილი ხალხის სამიკიტნოს გვერდით არის გაკეთებული „ბუტკასავით“ ერთი ოთახი... ამ კუბო-ოთახს სამიკიტნოსთან აშორებს კარტონი-

ვით თხელი ფიცრის კედელი. დუქნიდან ისე შემოდის მთვრალი ხალხის ყაყანი, ჩხუბი, ლანძღვა და აყალ-მაყალის ხმა, თითქოს შიგ ჩვენთან იყვეს... ახლა მოდი და იმუშავე, თან წერე ამისთანა მდგომარეობაში. განა შეიძლება? არ ვფიქრობ“. მაგრამ იგი მაინც მუშაობდა, მუშაობდა მთელი გატაცებით. რადგან თავისი სიცოცხლის დარჩენილ დღეებში უნდოდა მეტის გაკეთება მოესწრო. მაშინაც კი, როდესაც „კვალის“ რედაქციას ერთ თავის პუბლიცისტურ წერილზე წერდა, „ისე დასუსტებული ვარ ავადმყოფობით, რომ მეორეჯერ წაკითხვა და შესწორება ვერ შევძელიო“, ეგნატე ნინოშვილს მაინც არ გაუგდია კალამი ხელიდან, არც სულიერი მხნეობა დაუკარგავს და არც რწმენა. „ამ უკანასკნელ დროს ფიზიკურად ძლიერ დავსუსტდი, მაგრამ ამისი კი სრული იმედი მაქვს, რომ... ჩვენს კვაზი-პატრიოტებთან საბრძოლველად ჯანიც შეყოფა, სწავლაცა და ფაქტებიც“, — წერდა იგი. ეგნატე ნინოშვილს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დაუკარგავს პროტესტანტული სული და განწყობილება, იგი იყო უკომპრომისო, პრინციპული მებრძოლი. ზოგჯერ მისი თანამოაზრენიცი კი ჩაფიქრდებოდნენ და ყოყმანობდნენ, რადგან მარქსიზმი ამ დროს საქართველოში ბევრისათვის ჯერ კიდევ არ იყო კარგად ცნობილი მოძღვრება და ეგნატე ნინოშვილის რადიკალური შეხედულებები, უბრალოდ, არ ესმოდათ. „კვალის“ რედაქტორს მწერალ გიორგი წერეთელს ამ თვალსაზრისით კიდევ ურჩევია ერთ პუბლიცისტურ წერილში მცირე ცვლილებები შეეტანა, მაგრამ ეგნატე ნინოშვილმა არჩია სულ არ დაებეჭდა წერილი, ვიდრე თავისი რწმენისა და სინდისის წინაშე თუნდაც პატარა კომპრომისზე წასულიყო.

სოციალური ბოროტებისადმი ეს შეუთრეგებელი სული. ვაეკაცური შემართება, პროტესტანტული და რევოლუციური განწყობილება მწერალს ბოლომდე თან სდევდა და ამიტომაც იყო, რომ 1894 წლის 12 მაისს, როდესაც იგი გარდაიცვალა, დაკრძალვაზე მწერლის მშობლიურ სოფელში ჩამოსულმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა „მესამე დასის“, საქართველოში პირველი მარქსისტული ორგანიზაციის, პირველი საჯარო გამოსვლა მოაწყვეს.

პირველი ფელეტონი „გურიის ამბები“ და კორესპონდენციები, პუბლიცისტური წერილები ეგნატე ნინოშვილმა 1887 წელს დაბეჭდა, მხატვრულ შემოქმედებას კი 1888 წლიდან მოჰყიდა ხელი. მისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოებიდან—„ჯანყი გურიაში“—უკანასკნელამდე, დაუმთავრებელ „მუშათა თავშესაფარამდე“ სულ ექვსი წლის მანძილი იყო. ამ ხნის განმავლობაში ეგნატე ნინოშვილმა არა ერთ საყურადღებო მოთხრობა დაწერა, რომელთა მნიშვნელობა მხოლოდ იმით არ ამოიწურება, რომ აქ თამამად, დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობით წამოჭრა მწერალმა თავისი დროის სოციალური ურთიერთობის მტკივნეული პრობლემები. ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებებს, ამას გარდა, ის ღირსებაც გააჩნია, რომ აქ მკითხველი დიდი ადამიანური ვნებებისა და განცდების მოწამეც ხდება. მწერალი თავისი სიყვარულით ადამიანისადმი, თანამოძმეებისადმი ჰუმანარტი ჰუმანიზმის სიმალემდე აღის და ამით თავისი შემოქმედების მნიშვნელობას ეპოქის ვიწრო ჩარჩოებს ურღვევს.

როდესაც ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებებს ვკითხულობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მწერალს თითქმის არც ერთი მათგანი არ მიაჩნდა დასრულებულად. მას მუდამ აწვალეზდა სურვილი დაბრუნებოდა თავის ნაწარმოებებს, დაესვეწა ისინი და უფრო სრულყოფილი სახით დაეტოვებინა შთამომავლობისათვის, მაგრამ ამისი ჯანი და მოცალეობა მას არასოდეს არ ჰქონდა. იქნებ. მის შემოქმედებას ეს კიდეც მატებდეს ღირსებას, რადგან ცხოვრება მთელი თავისი ბუნებრივი სახით, უხეში სიმართლით არის აქ შემოჭრილი და მკითხველიც თითქოს უშუალო მონაწილე ხდება მის თვალწინ დატრიალებული ადამიანური დრამისა თუ სოციალური ძალმომრეობისა. ეს ცოცხალი ნაკადი ცხოვრებისეული სინამდვილისა და მოჭარბებული დიალექტიზმები ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებას, ერთის შეხედვით, ნატურალიზმის ძლიერ იერს აძლევს, მაგრამ, თუ კარგად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ მწერალი თურმე ბრმად არ ექცევა ცხოვრების ზეგავლენის ქვეშ, იგი საკმაოდ ენერგიულად და ოსტა-

ტურად ახერხებს რეალისტური მწერლობისათვის დამახასიათებელი განზოგადება მისცეს მხატვრულ სახეებს, შექმნას კრიტიკული რეალიზმის ტიპური სახეები.

ეგნატე ნინოშვილის მთელი შემოქმედება ქართველი. კერძოდ, გურიის კუთხის გლეხების ცხოვრებას ეძღვნება მხოლოდ ერთ ნაწარმოებში მიმართა მან ქალაქის მშრომელთა ცხოვრებას, შეუდგა „მუშათა თავშესაფარის“ წერას, მაგრამ ისიც არ დასცალდა, ვერ დაამთავრა. მიუხედავად ამისა, მკითხველი ვერ უსაყვედურებს მწერალს ერთფეროვნებას, გლეხების ცხოვრება მას საკმაოდ მდიდარ მასალას აძლევდა არა მხოლოდ სიუჟეტის თვალსაზრისით, არამედ, რაც მთავარია, ხასიათების, განცდების, ცხოვრებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისითაც.

„ჯანყი გურიაში“ არა მარტო პირველი მხატვრული ნაწარმოებია მწერლისა, არამედ მისი ერთადერთი ისტორიული ნაწარმოებიცაა. თუმცა სამართლიანად მიანიშნებენ მკვლევარები იმ გარემოებაზე, რომ ნაწარმოებში დასმული პრობლემები, ზოგიერთი გმირის თვალთახედვა აშკარად მწერლის თანადროულია და ეს ისტორიული ქარგა, ფონი მხოლოდ მხატვრული ხერხია მწერლისა საკუთარი აზრებისა და იდეების გამოხატავად. ამ პირველსავე ნაწარმოებებში უკვე თვალნათლივ სქვივის მწერლის მეამბოხე, რევოლუციური სული. შემთხვევითი არ იყო, რომ მწერალმა ისტორიული წარსულიდან გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყებას მიმართა. ეს აჯანყება ორგვარი დანიშნულებისა იყო, ერთი მხრივ, მიმართული იყო რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ, კი, ბატონყმური ინსტიტუტის წინააღმდეგ. მწერალი არც ერთ ამ მხარეს არ ჩქმალავს თავის რომანში და, ამდენად, ეროვნული და სოციალური მოტივებიც მასში თანაბარი სიძლიერითაა დასმული. შეიძლება ითქვას, ეს პირველი და ამავე დროს უკანასკნელი ნაწარმოებია ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში, სადაც ეროვნული საკითხია დასმული. მომდევნო ნაწარმოებებში მწერალმა მთელი თავისი ყურადღება მხოლოდ სოციალური უთანასწორობის მხატვრულ გახსნას მიუძღვნა, რადგან, მისი აზრით, ეს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა იყო იმ დროისათვის. ჯერ კიდევ რომანში „ჯანყი გურიაში“ ერთ-

ერთი მთავარი გმირი გიორგი არწმუნებს აჯანყებულებს, რომ მხოლოდ რუს გლეხობასთან ერთად ბრძოლას შეეძლო მოეტანა გამარჯვება მშრომელებისათვის. რომანში საინტერესოაა ნაჩვენები გლეხთა აჯანყების მიზანდასახულების თანდათანობითი შეცვლა, როდესაც აჯანყების ეროვნული ხასიათი ნელ-ნელა იჩრდილება სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის სულისკვეთებით. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ამ აჯანყების დამარცხებისა სწორედ ამ მიზანდასახულობის შეცვლა იყო, რადგან ქართველი თავადაზნაურობა არა მარტო სასწრაფოდ განუდგა აჯანყებულებს, არამედ მათ პირველ მოწინააღმდეგედ იქცა. სწორედ თავადაზნაურობამ შეძლო მზაკვრული ხერხებით ამ აჯანყების თავკაცების განადგურება და შემდეგ კი აბოზოქრებული გლეხობის დარბევა და დამორჩილება. ეს ისტორიული სიმართლე ნინოშვილის რომანში საინტერესო რომანულ ინტრიგებთან დაკავშირებით არის მხატვრულ ფაქტამდე ამალღებული. მკითხველს გიორგისა და გულოს, აგრეთვე სიმონასა და მანას ტრაგიკული სიყვარულის ისტორია იტაცებს, ხოლო გმირების ინტიმური ცხოვრება მთლიანად სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ გმირების ტრაგიკული ბედი ემოციურად კიდევ უფრო ძლიერად განაცდევინებს მკითხველს აჯანყების დამარცხებასაც.

ამ რომანის შემდეგ ეგნატე ნინოშვილის ყურადღება მთლიანად გურიის გლეხობის თანამედროვე ყოფაზეა გადატანილი. მწერლის პატარ-პატარა მოთხრობები, ერთად აღებული, ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა მრავალმხრივ არიან შევიწროვებულნი სოფლის მშრომელები; მეფის რუსეთის ჩინოვნიკობა, ადგილობრივი თავადაზნაურობა, სხვადასხვა მოხელეები და ჩარჩ-ვაჭრები, თვით გლეხობის წრიდან ახალი, ბურჟუაზიული ცხოვრების წესის წყალობით გამოყოფილი გაიძვერა, ვერაგი და დაუნდობელი ადამიანები, ყველა ესენი, თავ-თავის მხრივ, ნელ-ნელა და გულმოდგინედ როგორ უხუთავდნენ სულს სოფლის მამვრალ მოსახლეობას; აი ამის ნათელ მხატვრულ სურათებს წარმოადგენს სწორედ ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება. მოთხრობები „გოგია უიშვილი“, „განკარგულება“, „პალიასტომის ტბა“, „სიმონა“, „მოსე მწე-

რალი“ გლახობის ყოფის ტრაგიზმით, თავისი შემადარწუნებელი მხატვრული სიმართლით მწერლის აღმფოთებული სინდი. სის ხმაა, მისი დიდი ადამიანური გულისტკივილია, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართული ძლიერი პროტესტია.

მწერალმა შექმნა გურული გლახების სრულიად განსხვავებული მხატვრული სახეები, რომლებიც სულ სხვადასხვა კუთხიდან გვიხსნიან სოფლის მაშვრალთა ცხოვრებას, სულ სხვადასხვა ბუნებისა და ხასიათის ადამიანებს წარმოგვიჩვენენ. კაცია მუნჯაძეს („განკარგულებიდან“), ივანესა და ნიკოს („პალიასტომის ტბიდან“), გოგიასა და მის ცოლს მარინეს („გოგია უიშვილიდან“), სიმონა ძალაძეს („სიმონადან“) და, საერთოდ, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების გმირ გლახებს ერთნაირად მძიმე ცხოვრება აქვთ, მაგრამ მათი დამოკიდებულება ცხოვრებასთან, სოფლად გაბატონებულ სოციალურ ბოროტებასთან სულ სხვადასხვაგვარია და ეს მათი ტემპერამენტის, ბუნების, ხასიათის სიმტკიცის გამოა ასე. კაცია მუნჯაძე, თუმცა გრძნობს რა უსამართლოდაც ექცევიან მას და სულის სიღრმეში წყევლის კიდევ გლახკაცის მწარე ბედს, მაინც მორჩილად ასრულებს უკანონო განკარგულებას და ეს მორჩილება მას ძვირადაც უჯდება. ივანე და ნიკო უფრო ენერგიულნი არიან და თავგამოდებით ებრძვიან გაჭირვებას. მაგრამ აბა რას გახდებიან, როდესაც ყველას და ყველაფერს პირი შეუკრავს გლახკაცის წინააღმდეგ. ივანესა და ნიკოს ბრძოლა გამძვინვარებულ სტიქიასთან ერთი საუკეთესოა ნინოშვილის შემოქმედებაში. ძნელია არამცთუ აუღელვებლად, დიდი გულისწყრომის გარეშე წაიკითხო გოგია უიშვილის ტრაგიკული თავგადასავალი.

მწერალი გოგია უიშვილით გვიჩვენებს, თუ ამ გათელილ, დამცირებულ, ღარიბ-ღატაკ ხალხს მაინც რა ამაყი და ვაჟკაცური სული აქვს. მკითხველის მთელი თანაგრძნობა ამ მართალი და ტანჯული გმირების მხარეზეა, თუმცა ვერ გავიზიარებთ ვერც კაცია მუნჯაძის ბედისადმი მორჩილებასა და ვერც გოგია უიშვილის გადაწყვეტილებას, როდესაც ის თავს იკლავს. სწორედ ამაში იყო და არის ეგნატე ნინოშვილის შემოქმედების ღირსება, საიდანაც მკითხველს ასეთი დასკვნე-

ბი გამოაქვს და გურული გლეხობისათვის ადამიანური ცხოვრების მოპოვების ერთადერთ საშუალებად ბრძოლა ესახება. ამ დასკვნამდე თვით ეგნატე ნინოშვილის სტიქიურად ამბოხებული გლეხებიც მიდიან და მათ შორის ყველაზე საინტერესოა სიმონა ძალაძის სახე. სიმონა თავისი მძიმე ხვედრით ბევრად არ განირჩევა სხვებისაგან. მასაც სურდა პატიოსანი შრომა, საკუთარი ოჯახის შექმნა, გაჭირვებული, მაგრამ მაინც ტკბილი გლეხკაცური ცხოვრება. მასაც სრულიად უსამართლოდ შეუღალხეს თავმოყვარეობა, გაუპარტახეს ოჯახი, მაგრამ სიმონას არა მარტო ამაყი სული და ვაჟკაცური ბუნება აქვს, არამედ შურისძიების გრძნობაც ახასიათებს და მკითხველი კარგადაც ხედავს ეს გრძნობა რა ძვირადაც დაუჯდა აქამდე თავგასულ დროიძეების ოჯახს.

სპირიდონ მცირიშვილის სამართლიანი შურისძიების მსხვერპლი ხდება აგრეთვე ტარიელ მკლავაძე მოთხრობიდან „ჩვენი ქვეყნის რაინდი“. აქ რაინდი ირონიულად ეწოდება ტარიელ მკლავაძეს, გადაგვარებული თავადაზნაურობის ამ უკანასკნელ მოპიკანს, რომელსაც ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში თავის მამა-პაპათა ამპარტავნული სული, არაადამიანური სისასტიკე და უდარდელი ცხოვრების წადილი მთლიანად შემორჩენია, თუმცა საამისო პირობები აღარ გააჩნია. იმდენი მოულოდნელობებით არის სავსე ეს მოთხრობა. ერთ კარგ დეტექტიურ ნაწარმოებს ეყოფოდა, მაგრამ, ამასთან, აქ მწერალი დიდ სოციალური ურთიერთობის სურათსაც გვიშლის და სპირიდონ მცირიშვილის სახით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი ტიპების მოსვლას გვიჩვენებს.

ეგნატე ნინოშვილმა არა ერთი მოთხრობა დაგვიტოვა: სადაც გმირები თითქოს მხოლოდ მორალურად, და სულიერად იჩაგრებიან, მაგრამ ამ ჩაგვრის საფუძველიც, თუ ჩავეკვირდებით, ისევ და ისევ სოციალური უთანასწორობა და უსამართლობაა. ამ ციკლის ნაწარმოებთაგან გამოირჩევა მოთხრობა „ქრისტიანე“, სადაც მწერალი ფსიქოლოგიური სიღრმითა და სიმართლით მოგვითხრობს პატიოსანი სოფელი ლამაზი გოგოს ტრაგიკულ ისტორიას, როდესაც იგი სიცოცხლეს ქალაქელი ზნედაცემული ქალის სახელით ამთავრებს. პროფესიონალ გარყვნილ ქალში ჩვენ გვიჭირს დავინა-

ხოთ ის უმანკო, გულუბრყვილო და სიცოცხლით სავსე ქრისტიანე, რომელიც ასე გვხიზლავდა ადრე თავისი ქეშმარიტი ბუნების შვილობით, თავისი ხალასი და მიმნდობი გულით. ქრისტიანეს ბედი გვარწმუნებს, თუ რა დაუნდობლად სთვლავდა ის უკუღმართი და უსამართლო ცხოვრება საწყალ ადამიანებს.

ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ამბოხებული სულის გამოხატულებაა, ამავე დროს, სავსეა რომანული ინტრიგებითა და სათავგადასავლო მომენტებით, რაც მათ მეტ სიუჟეტურ სიმძაფრეს ანიჭებს. ამიტომ ეს მოთხრობები დიდი ინტერესით იკითხება. მწერალს არ დასცალდა სოციალური პრობლემების რკვევის, ფსიქოლოგიური ანალიზის და სიუჟეტის დინამიურობის ეს საინტერესო სინთეზი სრულყოფილ დონემდე აყვანა, მაგრამ ის, რაც მან შექმნა, უკვე მნიშვნელოვანი იყო ქართული მწერლობის და ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის. ბევრ მწერალს არ ღირსებია, რომ მისი გმირების სახელებს ზოგადი მნიშვნელობა მიეღო და ამა თუ იმ კატეგორიის ადამიანთა მეტსახელად ქცეულიყო. ეს ბედნიერება წილად ხვდა ეგნატე ნინოშვილს და მარტო ესეც საკმარისია იმისათვის, რომ მისი მწერლური ნიჭი ვირწმუნოთ და ვაღიაროთ. ტარიელ მკლავაძე დღემდე დარჩა თავკასული და ფუქსავატი, ცხოვრების მფლანგველი და დაუნდობელი ადამიანის მეტსახელად, ერთგვარ ძალმომრე დონ-ჟუანობის გამომხატველად, ხოლო მოსე მწერალი კი (ამავე სახელწოდების მოთხრობიდან) — გაიძვერა და მოხერხებული, სინდისსა და ნამუსზე ხელაღებული კაცის მეტსახელად.

IV

ეგნატე ნინოშვილმა თავიდანვე მიიქცია ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება, მან თავის სიცოცხლეშივე მოიპოვა საყოველთაო სიყვარული და აღიარება. ეს კი იოლი არ იყო. რადგან მან სამწერლო ასპარეზზე მოღვაწიობაც და

ამ ერთსულოვანი აღიარების მოპოვებაც სულ 5—6 წლის მანძილზე შეძლო. ეს მხოლოდ მწერლის ხალასი ნიჭისა და დიდი გულის მეოხებით გახდა შესაძლებელი. მწერალს დიდ თანაგრძობას უწევდნენ იმდროინდელი ქართველი მწერლები; ხოლო მომდევნო პერიოდში, რევოლუციის სულსიკვეთებისა და ნოქრაობის მომძლავრების დროს, იგი ამ ახალი იდეების გამომხატველად მიიჩნის მწერლობაში. აქედან გავრცელდა მოსაზრებაც, თითქოს ეგნატე ნინოშვილი სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელია ქართულ მწერლობაში და, ამდენად, მეოცე საუკუნის მწერლობის დამწყებიც. მაგრამ ახლა ნათელია, რომ ეგნატე ნინოშვილი კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის მიჯნაზე იყო და მან უფრო დაასრულა პირველი, ვიდრე დაიწყო მეორე. ეგნატე ნინოშვილით მთავრდება ფაქტიურად ის დიდი და მნიშვნელოვანი პერიოდი ქართული მწერლობისა, რომელსაც კრიტიკული რეალიზმის პერიოდი ეწოდება.

ეგნატე ნინოშვილი, მართალია, იცნობდა მარქსისტულ მოძღვრებას, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა მის განწყობილებასა და სოციალურ-პოლიტიკურ მრწამსს, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს იყო მხოლოდ დილეტანტური ცოდნა ამ დიდი მოძღვრებისა, მეორეც, მას არავითარი გამოხატულება არ ჰქონია მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში. ეგნატე ნინოშვილი მთელი თავისი მხატვრული აზროვნებითა და პრინციპებით სწორედ კრიტიკული რეალიზმის პოზიციებზე იდგა და აგრძელებდა ქართველ კლასიკოსთა ტრადიციებს. „მოთხრობებში შე ვცდილობ შეძლებისდაგვარად დავხატო ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულებით“, — წერდა იგი ერთ თავის წერილში და მხოლოდ ეს მიზანდასახულება, რომელიც მართლაც სჭვივის მის შემოქმედებაში, სულაც არ მოიცავს ახალი, რევოლუციური ლიტერატურის, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის პრინციპებს და ამოცანებს.

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი სიახლე, რაც მას ადრინდელი ქართული კრიტიკული რეალიზმისაგან გამოარჩევს, თვით იმ ახალი ეპოქის თავისებურებებიდან მოდის, რომელშიაც მწერალს უხდებოდა ცხოვრება. ეგნატე ნინოშვილმა პირველმა შეამჩნია კაპიტალიზმის

ჩასახვითა და ადრეული განვითარებით გამოწვეული ცვლი-
ლებები, რომელიც ქართულმა სოფელმა განიცადა და რო-
მელმაც კიდევ უფრო დაამძიმა გლეხების ისედაც მძიმე
ცხოვრება. მწერალმა მკაცრი რეალისტის თვალით დაინახა და
წარმოგვიდგინა ეს სამყარო, რომელიც მომწიფებული იყო
რევოლუციური გარდაქმნებისათვის.

1965 წ.

დავით კლდიაშვილი

ქართულ მწერლობას თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არა ერთი დიდოსტატი ჰყოლია. მათ რიცხვს მიეკუთვნება დავით კლდიაშვილიც, რომელმაც თავისი დიდი ცხოვრებისეული სიმართლით საკვს ნაწარმოებებით, დახვეწილი, მსუყე ფერებით შესრულებული მხატვრული სურათებით მნიშვნელოვნად გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ჩვენს ეროვნული ლიტერატურა.

ქართული მწერლობის ხანგრძლივ და მდიდარ ისტორიაში დიდი წვლილი შეაქვს კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურას, რომლის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელიც იყო დავით კლდიაშვილი. თუ ამ ძლიერმა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ საქართველოში სათავე გიორგი ერისთავის, ხოლო შემდეგ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში დაიდო, სამაგიეროდ, დავით კლდიაშვილმა თავისი ფუნჯით დაასრულა ეს დიდი ეპოქა ჩვენს მწერლობაში.

ერთი გარემოება კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის დავით კლდიაშვილის შემოქმედების მნიშვნელობას ქართული ლიტერატურისათვის: კრიტიკული რეალიზმი დასაველეთ ევროპულ და რუსულ ლიტერატურებში მხატვრული პროზის უმაგალითო აღმავლობით აღინიშნა, რისი თქმაც ქართული მწერლობის მიმართ უთუოდ ძნელდება. ისტორიულად იმდენად ძლიერი იყო ტრადიციები პოეზიისა ქართულ ლიტერატურაში, რომ მან კრიტიკული რეალიზმის ეპოქაშიც კი წამყვანი მდგომარეობა შეინარჩუნა და ჩვენ რომ არ გვქონოდა კლდიაშვილის შემოქმედება, მე-19 საუკუნის მხატვრული პროზა დიდად გაფერმკრთალდებოდა.

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პროზაიკოსი ლეო ქიაჩელი ერთ-ერთ თავის წერილში ასეთ კითხვას სვამს: „რატომ არის მაინცდამაინც დიდი მწერალი დავით კლდიაშვილი, როცა მთელი მისი ნაწარმოების კრებული ორ წიგნსაც კი კარგად ვერ ავსებს, ხოლო შინაარსით ძლივს იტევს ავტორის დროინდელი გადატაკებული და ნახევრად მშვიერი ზემო იმერეთის ისეთი სოფლების ცხოვრების ამბებს, რომლებიც არც ერთ რუკაზე სულ პატარა წერტილებითაც კი არ არიან აღნიშნული?“.

ქიაჩელი იქვე თვითონ პასუხობს ამ კითხვას:

„— საქმეც ეს არის, როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაში ზომას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონია. მთავარი ყოფილა ხარისხი, რასაც ასე ბრწყინვალედ ამტკიცებს დავით კლდიაშვილის შემოქმედება“.

ამ ორ ფრაზაშია უბრალო გასაღები ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მოკრძალებული და თავმდაბალი კლასიკოსის შემოქმედებისა, ასე ორი სიტყვითაა გახსნილი ჩვენი ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერლის პოპულარობის მთელი საიდუმლოება. დავით კლდიაშვილის შთაგონება, მისი ფიქრი და თვალი მხოლოდ ზემო იმერეთის გადატაკებული, დაბეჩავებული, სულიერად და ფიზიკურად გატეხილი აზნაურების ყოფისკენაა მიმართული და აბა ამაზე პატარა სამყარო რაღა შეიძლება იყოს? მაგრამ ამ მკაცრად ლოკალიზებულ სამყაროსა და ერთფეროვან მასალას როდი შეუზღუდავს მწერალი, გამოემყლავნებია თავისი დიდი გული და მაღალი ნიჭიერება, რის გამოც ჩვენ დამსახურებულად მივიჩნევთ მას ერთ-ერთ უბრწყინვალეს მწერლად მთელ ქართულ ლიტერატურაში და უყოყმანოდ ვახსენებთ მის თხზულებებს მსოფლიო ლიტერატურის შედევრების გვერდით.

პატარა სამყარომ არ შეუშალა ხელი დავით კლდიაშვილს თავის მოთხრობებში ჩაექსოვა ღრმა და ფაქიზი ჰუმანიზმი, რომლის წყალობითაც ზემოიმერელი აზნაურების კერძო ტრაგედია ზოგად ადამიანურ გრძნობათა და განცდათა სიმალღემდეა აყვანილი, მაგრამ, სამაგიეროდ, პატარა ერის შვილობამ შეუშალა ხელი მწერალს თავისი ნიჭის ბრწყინვა-

ლება, მხურვალეა გულისა, რაც ასე თვალსაჩინოდ ჩანს ქართველი მკითხველებისათვის ამ პატარა მოთხრობებში, მთელი მსოფლიოსათვის საცნაური გაეხადა.

დროგადასული და ფერდაკარგული ფეოდალ-აზნაურული წოდების ტრაგიკომიკური ყოფა, წარმოსახული მხატვრულად, თითქმის ყოველი ერის ლიტერატურამ შემოუნახა მემკვიდრეობას. ჭერ კიდევ სერვანტესის შედევრამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე, თვით ესპანურ, იტალიურ თუ სხვა ქვეყნების ლიტერატურებში დაიძებნება ამ პრობლემასა თუ თემაზე აგებული ნაწარმოებები. როგორც ჩანს, კომიკური სიტუაციები საერთოდ ყოფილა დამახასიათებელი ფეოდალურ-აზნაურული ინსტიტუტის რღვევის პროცესთან. არც ერთ წოდებასა თუ კლასს ისე შინაგანად გამოფიტულს, სიცოცხლისა და ბრძოლის უნარდაკარგულს, დაკნინებულსა და დაბეჩავებულს არ დაუტოვებია სამოქმედო ასპარეზი, როგორც ეს თავადაზნაურობას მოუვიდა. ამასთანავე, არც ერთ წოდებასა თუ კლასს არ ჰქონია ისეთი ამპარტავნული სული, როგორც თავადაზნაურობას. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც, ისტორიული განვითარების გარღვევალით, ვერ შეინარჩუნეს და დაკარგეს თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა, მაგრამ სამაგიეროდ შეინარჩუნეს და არ დაკარგეს თავისი ამპარტავნული სული, ისინი ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. პროცესი თავადაზნაურობის დეგრადირებისა რამდენიმე ათეულ წელს კი არა, რამდენიმე საუკუნესაც კი გრძელდებოდა. ეს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე იყო დამოკიდებული. მაგრამ უკვე ამ პროცესის დასაწყისისთანავე სერვანტესმა შექმნა თავისი უკვდავი რომანი, რომელიც სავსეა სიმხიარულით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც სამგლოვიარო საგალობელს წარმოადგენდა თავადაზნაურობისათვის. შემდეგ, როდესაც ეს პროცესი სხვა ქვეყნებსაც მოედო, იქაც გამოჩნდნენ მეტ-ნაკლები ნიჭისა და ღირსების ეროვნული სერვანტესები, რომელთაც იუმორითა და სატირით გააცილეს თავადაზნაურობის სასაცილო ფიტული. ქართველი სერვანტესობა კი დავით კლდიაშვილს ხვდა წილად.

ისევე როგორც ესპანეთში არსებობდა სერვანტესამდე ასეთი ხასიათის რამდენიმე ნაწარმოები, დავით კლდიაშვილამდეც ვხვდებით ქართულ მწერლობაში თავადისა თუ აზნაურის კომიკურ სახეს (თუნდაც გიორგი წერეთლის „მგზავრის წერილები“ გავიხსენოთ), მაგრამ ეს დიდი მისია ქართველ აზნაურთა კომიკური აგონიის მხატვრული წარმოსახვისა კლდიაშვილს ხვდა წილად; და თუ კლდიაშვილის დაუშრეტელი იუმორითა და ცხოვრების სევდა-სიხარულით სავსე მოთხრობები მსოფლიო მკითხველისათვის ისე ფართოდ არ არის ცნობილი, როგორც ისინი ამას იმსახურებენ, ეს იმის ბრალია, რომ საქართველო უფრო მოგვიანებით ეზიარა საზოგადოებრივ პროგრესს, ევროპაში ამ დროისათვის უკვე ეს პროცესიც გავლილი იყო და სერვანტესის, შექსპირის, გოგოლის გენიალური ნაწარმოებებიც იყო შექმნილი. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ქართველებს, ყოველგვარი მიკერძობებისა და ხელოვნური გაზვიადების გარეშე, დიდი სიამაყით აღვნიშნოთ დავით კლდიაშვილის მაღალი ნიჭიერება და მისი მხატვრული ქმნილებები მსოფლიო კლასიკის შედევრებთან ერთად მოვიხსენიოთ.

თავისი მემუარების წინასიტყვაობაში დავით კლდიაშვილი წერდა, რომ „აქ არაფერი შეფერადებული არ იქნება იქნება მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში“. მართლაც, დიდი რეალისტის თვალით უყურებდა და აკვირდებოდა მწერალი მე-19 საუკუნის მიწურულის ქართულ სინამდვილეს და მთელი მისი შემოქმედებაც უშუალო შთაბეჭდილებებისა და განცდების შედეგადაა წარმოშობილი. ქართული სოფლის ყოფაცხოვრება იყო ის დაუშრეტელი წყარო, რომელიც კვებავდა მწერლის მხატვრულ ფანტაზიას, ხოლო ამ ფანტაზიით შექმნილი სურათები ისეთი დიდი მხატვრული განზოგადოებით ხასიათდება, ამასთან ისეთი მსუყე და ცოცხალი ფერების გამაა, რომ თავისუფლად შეგვიძლია ამოვუყენოთ გვერდში მსოფლიო ლიტერატურის მარგალიტებს.

დავით კლდიაშვილი დაიბადა 1862 წლის 11 სექტემ-

ბერს იმერეთში, ახლანდელი თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში, ხელმოკლე აზნაურის სამსონ კლდიაშვილის ოჯახში.

თუ დავით კლდიაშვილის ჭაბუკობის ხანას გავეცნობით და მის ოფიციალურ სწავლასა და სამსახურს გავიხსენებთ, ძნელი დასაჯერებელი იქნება, რომ ასეთი ბიოგრაფიის მქონე ადამიანი გახდა ქართული სოფლური ყოფის უბადლო მხატვარი. მაგრამ ეს მოხდა „ღვთით მომადლებული“ ნიჭისა და მწერლის პირადი შინაგანი სწრაფვის, დაინტერესების წყალობით, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო მის ოფიციალურ საქმიანობასთან, თორემ სად მეფის რუსეთის არმიის ოფიცერი, რომელმაც სამ ათეულ წელზე მეტი შესწირა ამ ყოვლად უსარგებლო საქმეს და სად ქართული სოფლის მოსიყვარულე და მოჭირნახულე მწერალი, რომლისთვისაც იმერული ოდის მკვიდრთა გარდა თითქოს არავინ არსებობდა ამ ქვეყანაზე.

დიდხანს და დაბეჯითებით წვრთნიდნენ დავით კლდიაშვილს, რომ მისგან უთვისტომო, რუსული არმიის გონებაჩლუნგი და ერთგული მსახური აღეზარდათ, მაგრამ ბავშვობაში იმერეთის მზითა და, განსაკუთრებით კი, იმერეთის სოფლის მკვიდრთა მიერ გამთბარი გული ვერაფრით გაუცივეს.

დავითი ღარიბი აზნაურის ოჯახიდან იყო, მაგრამ მამების არც ისე ხელმოკლე ყოფილა, რომ ოჯახი ვერ გამოეკვება. კლდიაშვილების ოჯახს დიდი ამაგი დასდო გლეხმა დათიკო გიორგაძემ, რომელიც დავითის ბაბუამ მამობილად მოჰკიდა თავის შვილს სიკვდილის წინ. დავითის მამა სამსონ კლდიაშვილი მოხელედ მუშაობდა ქუთაისში და ბავშვის პირველი აღმზრდელი იყო დედამისი, შეძლებული იმერელი აზნაურის ნიკო ღოღობერიძის ქალიშვილი, კესარია. მემუარებში დავითი სიყვარულით იხსენიებს გადიას, რომელმაც თავისი ცხოვრება კლდიაშვილების ოჯახს შეაღია. მაგრამ ყველაზე დიდი კვალი, როგორც ჩანს, პატარა დავითის მეხსიერებას მათი ოჯახის ნაყმევმა სიმონა აშოლტიამ დააჩინა. თავის მემუარებში მწერალი განსაკუთრებით თბილად იხსენიებს მათ ოჯახს შემოთვისებულ მოხუც აშოლტიას, „რომელმაც

აუარებელი ლექსი იცოდა, ზღაპრის შნოიანი მომყოლი იყო, იცოდა ათასი სხვადასხვა არაკი, ნათქვამები, ძველი ამბები; იცოდა ვახტანგ მეფის კანონების მრავალი მუხლი და შესაფერ ლაპარაკში მოჰყავდა ხოლმე“. იჯდა ეს მრავალკირნა-ხული, თავისებურად განსწავლული, განათლებული კაცი ყალიღნით ბუხრის პირას და პატარა დავითს ქართული სიტყვისა და აზრის სიყვარულს უღვივებდა. „ყოველთვის, ბავშვობაშიც და მაშინაც, როცა წამოვიზარდე, მიყვარდა მისი ლექსის თქმა, არაკის და ამბების მოსმენაო“, — იგონებდა მსცოვანი მწერალი. ამათ გარდა ბევრი მოყვარე, მეზობელი თუ მოსამსახურე ჰყავდა კლდიაშვილების ოჯახს, რომლებთანაც ურთიერთობაშიც ყალიბდებოდა მომავალი მწერლის ხასიათი და შეგნება. ღრმა მოხუცებულობაშიც კარგად ახსოვდა მწერალს თავისი ერთ-ერთი გამზრდელის, ღარიბი გლეხის ლევან გიორგაძის ქალიშვილის ეკას მიერ ოსტატურად ნაამბობი ზღაპრები.

ხალხური სიბრძნე იყო ის წყარო, რომელსაც პირველად დაეწაფა პატარა დავითი, და იმავე ხალხურმა სიბრძნემ ასაზრდოვა იგი მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ მარტო ამას როდი უმაღლოდა მწერალი თავის თანასოფლელებს. მათვე ასწავლეს და შთაუწერა კაბუკს მშობლიური ენის სიყვარულზე არა ნაკლებ ძვირფასი გრძნობა — ადამიანის სიყვარული. იმავე მემუარებში დავით კლდიაშვილი წერს: „ამან შეაყვარა ჩემი თავი ჩვენს მეზობლებს და ტკბილ სიყვარულში გამატარებინა ჩემი ბავშვობა. მე რომ ეზოდან ფეხს გადავდგამდი — სახლში პირდაპირ დატვირთული ვბრუნდებოდით ხოლმე მე და ჩვენსა გოგოდ მდგომი ელისაბედი: — არ იქნებოდა, რომ ჩემს დამნახველს ან ქოჩორა ვარიკა, ან ვაშლი, ბია, ჩურჩხელა, ტკბილიკვერი და ამგვარები არ ეჩუქნა. ამ სიყვარულიანობის წყალობით ჩემი გული ადამიანის სიყვარულს ეჩვეოდა და სწავლობდა“.

აი სწორედ ეს დიდი სიყვარული მშობლიური ენისა, კუთხისა და, რაც მთავარია, ადამიანისა, რომელსაც დავით კლდიაშვილს ბავშვობიდან ჩაუწერა ყოველგვარი წინასწარი გამიზვნის გარეშე, უბრალოდ და თავისთავად, იყო ის

ძალა. რომელმაც მწერალი ათას განსაცდელსა და ცდუნებაში პატიოსნად, ალალმართლად გამოატარა და რომელმაც წარმოშვა ის დიდებული მხატვრული მემკვიდრეობა, დღეს რომ ქართული კულტურის საგანძურს ასერიგად ამშვენებს.

ცხრა წლის დავითი 1872 წელს, სხვა ორმოც ქართველ ბავშვთან ერთად, კიევის სამხედრო სასწავლებელში, ეგრეთწოდებულ „მილიუტინის სამხედრო გიმნაზიაში“ გააშვესეს. მართალია, ზოგიერთ აღმზრდელს, მათ შორის, მიხაილ ესიკორსკის, კლდიაშვილი მაღლიერებითა და სიყვარულით იხსენიებს თავის მემუარებში, მაგრამ გიმნაზიის მესვეურთა სულისკვეთებას კურბატოვები გამოხატავდნენ. რომელნიც არარუს მოსწავლეებს „ტატარჩუკებს“ ეძახდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ ყოველივე ეროვნული აღმოეფხვრათ და მათთვის რუსეთის იმპერიის მორჩილ მსახურთა მონური სული ჩაენერგათ. პირველ რიგში შეტევა მშობლიურ ენაზე მიიტანეს, ისე დაქსაქსეს ბავშვები, რომ იძულებული გახადეს მხოლოდ რუსულად ელაპარაკათ. სამი წელიწადი დაჰყო ასეთ მდგომარეობაში დავით კლდიაშვილმა და როდესაც არადადეგებზე მშობლიურ მხარეს მიასურა, ქუთაისიდან სიმონეთში თარჯიმნად ბიძაშვილი წაიყვანა, რადგან მან ქართული აღარ იცოდა, დედამისს კი რუსული არ გაეგებოდა.

ბევრს არ ეყო წარგზავნილთაგან ნებისყოფა ან სიყვარული მშობლიური ენისადმი და მხოლოდ რამდენიმემ არ დაივიწყა საბოლოოდ ქართული. მათ შორის, პირველ რიგში, დავით კლდიაშვილი შეაძრწუნა ველიკორუსული პოლიტიკის საშიშროებამ. აქ, სოფელში, იგრძნო დავითმა, თუ რა გადაგვარების გზაზე იყო შეტყუებული და განწირული ადამიანის გაშმაგებით შეუდგა დაკარგულის აღდგენას. ამ მწარე გაკვეთილით გამოფხიზლებული და ღრმად ჩაფიქრებული ახალგაზრდის შეცდენას კვლავაც ბევრს ეცადნენ, მაგრამ ამაოდ. კიევში დაბრუნებული დავითი დაუმეგობრდა უფროს თანამემამულეებს, სასულიერო აკადემიის სტუდენტებს, რომელთა შორის ნიკო ლომოურიც იყო და ამის შემდეგ გადაგვარების საშიშროება აღარ ელოდა, მით უმეტეს.

რომ სასთუმალთან გაზეთ „ივერიის“ ნომრები ელაგა. მოსკოვის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დავით კლდიაშვილი ბათუმში დასახლდა და ოცდაექვსი წელი დაჰყო აქ როგორც სამხედრო მოსამსახურემ.

მართალია, დავით კლდიაშვილს მეფის რუსეთის არმიის ოფიცრის სამოსელი ეცვა, მაგრამ მუნდირის ქვეშ დიდი ჭუმანისტისა და კეთილშობილი ადამიანის გული უცემდა. დავით კლდიაშვილი ერთ-ერთი ქომავი იყო ბათუმელი მუშებისა, რის გამოც ოფიციალურ წრეებში ექვსის თვალთ უცქეროდნენ. მან უარი თქვა ესროლა გაფიცულთათვის და აქტიური მონაწილეობა მიიღო პოლიტიკურ დემონსტრაციაში, რომელშიაც გადაიზარდა ოდესაში ებრაელთა დარბევის დროს შავრაზმელთა ხელით მოკლული ახალგაზრდა მეცნიერის საბაკლდიაშვილის ნეშტის ბათუმში ჩამოსვენება. სარდლობამ გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა ეს არასაიმედო ოფიცერი და იგი მალე დაითხოვეს კიდევ სამსახურიდან. ამის შემდეგ დავით კლდიაშვილი საცხოვრებლად ქუთაისში გადასახლდა, სადაც ჭერ ქალაქის თვითმმართველობაში მუშაობდა, ხოლო შემდეგ კი შავი ქვის მრეწველთა საბჭოში. პირველი იმპერიალისტური ომის წლებში, სამხედრო მოვალეობის მოხდის შემდეგ, მწერალი თავის მშობლიურ სოფელ სიმონეთში დასახლდა და იქ გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი წლები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ღვაწლმოსილი მწერალი აღტაცებით შეეგება. ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში გათეთრებული დავით კლდიაშვილი ამ დიდ ისტორიულ მოვლენას სამართლიანად უკავშირებდა თავისი ერის აღორძინების დასაწყისს და მწერალი კიდევ შეესწრო დიდი ოცნების აღსრულების ხანას. თავის მხრივ, მადლიერი ხალხი დიდად აფასებდა დავით კლდიაშვილის ამავსა და შესანიშნავ მხატვრულ მემკვიდრეობას.

1930 წელს დავით კლდიაშვილს სამწერლო მოღვაწეობის ორმოცი წლის იუბილე გადაუხადეს, რაც ნამდვილ სახალხო ღღესასწაულად გადაიქცა. ამასთანავე, დავით კლდიაშვილს რესპუბლიკის სახალხო მწერლის წოდება მიენიჭა.

ასე საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემაში დაასრულა სიცოცხლე 1932 წელს ღვაწლმოსილმა მწერალმა, ქართული კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის ერთ-ერთმა ბრწყინვალე წარმომადგენელმა, ქართული მწერლობის დიდმა კლასიკოსმა.

თუმცა ეფექტური და მყვირალა ფაქტებით არ იყო სავესტავით კლდიაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მაგრამ თუ თვალს გადავაკლებთ მის მშფოთვარე ცხოვრებას, ჯერ ბათუმში, შემდეგ კი ქუთაისში, თუ გავიხსენებთ როგორ ეწინააღმდეგებოდა იგი ოფიციალურ წრეებს და ესარჩლებოდა მშრომელებს, როგორ ფხიზლად იდგა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე, იმდენად, რომ ანტიქართული გამობტომებისათვის დუელშიც კი გამოიწვია „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ თავგასული შავრაზმელი რედაქტორი ვინმე პალმა, თუ გავიხსენებთ აგრეთვე როგორ იღწვოდა იგი ქართული კულტურის პროპაგანდისა და პოპულარიზაციისათვის, მაშინ აშკარა გახდება, რომ დავით კლდიაშვილმა შედარებით ჩუმად, მაგრამ სავსებით პირნათლად მოიხადა თავისი საზოგადოებრივი შრომითაც ვალი სამშობლოს წინაშე.

კლდიაშვილის შეგნებულ ცხოვრების და მოღვაწეობის დროს იჩინა თავი მწერლის ბავშვობაში, იმერეთის პატარა სოფელ სიმონეთში ჩანერგილმა სიყვარულმა ადამიანისადმი. ასე გაღვივდა ის კეთილი თესლი. რომელიც ჩაუნერგეს მას სოფლის მაშვრალმა მშრომელებმა. მაგრამ ყველაზე ძლიერად და შთამბეჭდავად ეს კეთილი საწყისები კლდიაშვილის სულისა, მისი უსაზღვრო სიყვარული ადამიანისადმი ისევ მის შემოქმედებაში აისახა და ყველასათვის თვალნათლივი გახდა.

დავით კლდიაშვილმა ადრე სცადა თავისი კალმის ძალა. გიმნაზიის მეორე კლასის მოსწავლე იყო, როდესაც პირველი მოთხრობა დაწერა. იგი რუსულად იყო დაწერილი, რადგან დავითს ქართული დავიწყებული ჰქონდა. „რამ დამაწერია, სრულიად აღარ მახსოვს,—იგონებდა მწერალი,—მახსოვს კი, რომ მოთხრობის გმირი სისხლში ცურავდა, მარჯვნივ და მარცხნივ ჰკლავდა ყოველ შემხდურს“. აღმზრდელს დაუწუნებია მოთხრობა და სიცილით უთქვამს: „ძალიან გეტყ-

ობა აზიელობა! ამდენი სისხლის ღვრა გაგიგონია!? დაანე-
ბე თავი. სისულელეა!“ დავითმა შეისმინა აღმზრდელის
რჩევა, წერა მიატოვა და კითხვას დაეწაფა. ერთი-ორი ლექ-
სიც დაუწერია შემდეგ დავითს, ხელნაწერ ჟურნალშიც თა-
ნამშრომლობდა, მაგრამ ყოველივე ეს შორს იყო მწერლო-
ბისაგან და ქაბუკურ ვარჯიშს წარმოადგენდა. უკვე ამ
წლებში იგრძნობოდა დავით კლდიაშვილის მისწრაფება შე-
მოქმედებითი შრომისაკენ. იგი ინტენსიურად თარგმნიდა
ქართულად გერმანულიდან და ფრანგულიდან, აგრეთვე
ქართულიდან რუსულად. პირველი წარმატება მხოლოდ 1885
წელს ხვდა წილად, როდესაც ჟურნალ „თეატრში“ დაიბეჭდა
მისი თარგმანი. ამას გარდა, დავითი პატარა კორესპონდენ-
ციებსაც აგზავნიდა ბათუმიდან თბილისის ჟურნალ-გაზეთებ-
ში. ყოველივე ამან თანდათან მოამწიფა მწერლობისადმი
კლდიაშვილის შინაგანი ლტოლვა და ერთ დღეს თავის ახლო
მეგობრებს — გრიგოლ ვოლსკისა და ალექსანდრე აბაზაძეს
საკუთარი მოთხრობა წაუკითხა. ვოლსკიმ შეაწყვეტინა კი-
თხვა და მეგობრული სიცილით ჰკითხა: „დათიკო!.. შენ კო-
რესპონდენციას წერ თუ მოთხრობას?“ ეს შენიშვნა ორი
წლის შრომად დაუჯდა დავითს და პირველი დაწუნებული
ჩანაფიქრიდან ორი მოთხრობა შეიქმნა: „შერისხვა“ და
„მსხვერპლი“.

ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც
დავით კლდიაშვილს ნაწერი დაუწუნეს. ყოველ მის ნაწარ-
მოებს, პირველი დაბეჭდილი მოთხრობიდან მემუარებამდე,
ქართული საზოგადოებრიობა და სალიტერატურო კრიტიკა
დიდი სითბოთი და გულისხმიერებით ხვდებოდა. კიტა აბა-
შიძე, ივანე გომართელი, ილია ნაკაშიძე, ალექსანდრე ჭყო-
ნია და სხვები მაღალ შეფასებას აძლევდნენ დავით კლდია-
შვილის ნაწარმოებებს. განსაკუთრებით დიდად აფასებდა
კლდიაშვილის შემოქმედებას ალექსანდრე წულუკიძე, რო-
მელმაც არა მარტო სწორად შეაფასა მისი მოთხრობების
ღირსება, არამედ კიდევ გაარკვია მწერლის ადგილი და
როლი ქართული კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის
განვითარებაში. ამიტომ იყო, რომ თავისი მემუარები დავით
კლდიაშვილმა ასეთი მადლიერებით აღსაყვებლად და-

ამთავრა: „ეს სიტბო, ეს სიყვარულიანობა თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას, არასოდეს არ დაკლებია იგი და ამიტომაც ჩემი გავლილი ლიტერატურული გზა ბედნიერად გავლილ გზად მიმაჩნია“.

1894 წელს ეურნალ „მომამბეში“ დაიბეჭდა დავით კლდიაშვილის პირველი მოთხრობები: „შერისხვა“, „მსხვერპლი“, „სოლომან მორბელაძე“, „წრფელი გული“. მას შემდეგ მწერალი სისტემატურად აქვეყნებდა მოთხრობებს სხვადასხვა ქართულ ეურნალებსა და გაზეთებში. პირველივე მოთხრობები ქართული სოფლის ყოფა-ცხოვრებას უძღვნა მწერალმა და ამ თემისათვის არ უღალატნია მთელი თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე. თუმცა კლდიაშვილის შემოქმედებას თემატური ცვლილებანი არ განუცდია, სამაგიეროდ, თანდათანობით შეიცვალა მწერლის მიდგომა ასასახავი ობიექტისადმი და საბოლოოდ მან იპოვა ის კუთხე თვალთახედვისა, გამოიმუშავა მანერა წერისა, ჩამოაყალიბა საკუთარი სტილი, რომელმაც სახელი და დიდება მოუტანა და რომლის გამო მწერლის ერთი აბზაციც კი შეუცდომლად გამოირჩევა უამრავ სხვა ნიმუშში.

მართალია, ეურნალ „მომამბის“ რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია დიდი მოწიწებით შეეგება დავით კლდიაშვილის პირველსავე მოთხრობებს „შერისხვასა“ და „მსხვერპლს“ და გულმოდგინედ თხოვდა მწერალს სხვა ნაწარმოებებიც დროზე მიეწოდებინა რედაქციისათვის, მაგრამ ეს მაინც არ იყო კლდიაშვილის შემოქმედებითი სახისა და ხასიათის განმსაზღვრელი ნაწარმოებები. ამ ხაზს რომ გაჰყოლოდა დავით კლდიაშვილი და არ მოეძებნა დიდ შემოქმედებით დუღილსა და წვაში საკუთარი, ხელშეუხებელი ყამირი თავისი მოთხრობებისათვის, რომ არ მიეგნო აზნაურული ყოფის მხატვრული წარმოსახვისათვის და, რაც მთავარია, რომ არ გამოემუშავებინა ის საკუთარი თვალთახედვა ამ ცხოვრებისეულ მოვლენისა, რაშიც გამოიმქლავნდა მწერლის დიდი, შეიძლება ითქვას, უსაზღვრო და უმაგალითო ჰუმანიზმი, მაშინ იგი დარჩებოდა ერთ ნიჭიერ და საინტერესო ქართველ მწერლად, ვეღარ ამაღლდებოდა ლიტერატურის კლასიკოსის თვალშეუწვდენელ სიმაღლემდე.

„შერისხვაცა“, და „მსხვერპლიც“, აგრეთვე კიდევ რამდენიმე მოთხრობა ხალხოსნების უკვე გატყეპნილ გზას აგრძელებდა ქართულ ლიტერატურაში. იმაში, რომ მწერლის პირველი ნაწარმოებები სწორედ ასეთი ხასიათისა იყო, გასაკვირი და მოულოდნელი არაფერია. თუ გავითვალისწინებთ, რომ დავით კლდიაშვილის ინტერესები ქართული სოფლის მძიმე ცხოვრებას დასტრიალებდა თავს და იმასაც გავიხსენებთ, რომ მისი შეგნებისა და შემოქმედებითი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში უპირველესი ღვაწლი ნიკო ლომოურს მიუძღვის, გასაგები გახდება ხალხოსნური ტენდენციების ასე მძლავრი გამომქლავნება კლდიაშვილის პირველ მოთხრობებში. ეროვნულ ნიადაგს მოკლებული დავით კლდიაშვილი, რომელიც კიევის გიმნაზიაში ქართული სულის შენარჩუნებას ცდილობდა, თავის ხსნას ნიკო ლომოურთან ურთიერთობაში ხედავდა და რა გასაკვირია, რომ ამ განათლებულსა და სათნო ადამიანს, რომელსაც დიდ პატივს სცემდნენ რუსი სტუდენტებიც, დიდი გავლენა მოეხდინა უმცროს თანამემამულეზე. დავით კლდიაშვილი თავის მემუარებში იხსენიებს, თუ რა აუწერელი სიხარული მოჰგვარა მას მოთხრობამ „ალი“, რომელიც ნიკო ლომოურმა თავისი ტკბილი ხმით წაუკითხა კიევში მოსწავლე ქართველებს. ამ მოთხრობას ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია გიმნაზიელ დავითზე, რომ უთარგმნია კიდევ იგი რუსულად და მოსკოვის ჟურნალ „რუსკი ვესტნიკის“ რედაქციაში მიუტანია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „რუსკი ვესტნიკში“ ლომოურის მოთხრობის თარგმანი არ დაუბეჭდეს კლდიაშვილს იმ მოტივით, რომ მეტად დაუჭერებელი ამბავიაო მოთხრობილი. როგორც მწერალი იგონებს, ალექსანდრე ჰყონიაც თავის ბარათში, რომლითაც მადლობას უხდოდა კლდიაშვილს მოთხრობისათვის „მსხვერპლი“, წერდა „აწერილი სურათი მეტად შავ-ბნელიაო, მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებსო“ და ამასთანავე უმატებდა: „ნუთუ მართლა ასეთი სიბნელით არის მოცული სოფლის ცხოვრება; საჭიროა უფრო შენელება სურათის“. მართალი ლომოური და კლდიაშვილი იყვნენ, რომელთაც დიდი გულისტკივილითა და ჭეშმარიტი ადამიანური განცდით, მიუყერძობლად წარმოსახეს თავის.

მოთხრობებში ქართული სოფლის მთელი სიბნელე და ტრაგიკული განსაცდელი. იქვე თავის მემუარებში, დავით კლდიაშვილი აღნიშნავს, რომ „ეს რჩევა (ჭყონიასი — გ. გ.) მიუღებელი დარჩა ჩემგან: ის კი არა, ვნანობდი, რომ ბევრი რამ გამომრჩა აჩქარების გამო“.

ქართული სოფლის ცხოვრების ბნელი, მძიმე, შემადრწუნებელი, მაგრამ მართალი სურათები დაგვიხატა დავით კლდიაშვილმა თავის პირველ მოთხრობებში „შერისხვასა“ და „მსხვერპლში“. მწერალს სხვაზე მეტად უკლავდა გულს ქართველი გლეხის ასეთი გამოუვალი მდგომარეობა, და თუ ყოველივე ეს მხატვრული სიტყვის ძალით ყველასათვის საცნაური გახადა, მხოლოდ იმიტომ, რომ შეძლებისდაგვარად ეშველნა განწირული ქართველი გლეხობისათვის. უმეცრება, სიბნელე, რელიგიური ფანატიზმი ქართველი გლეხისა, რომელსაც გულს უღრღნიდა ლუკმაპურის ძებნაში საუკუნეებით გამჭდარი შიში და სიხარბე მიწისა, ცრუმორწმუნეობრივი ტრადიციები, კერძომესაკუთრული ინსტიქტები, სოფლის ყოფაცხოვრებაზე მძიმე სუდარასავით გადაფარებული პატრიარქალური წყვედიანი, — ყველაფერი ეს თვალნათლივ წარმოისახა დავით კლდიაშვილის ხალხოსნური პოზიციებიდან შექმნილ მოთხრობებში. აქ მკითხველი არ წააწყდება რთულ სიუჟეტურ განვითარებას ან ჩახლართულ სიტუაციებს, მოქმედება მეტად სადად, შეიძლება ითქვას, მარტივად ვითარდება, არც გმირების ხასიათების ფსიქოლოგიურ მოტივირებას ცდილობს ავტორი, იგი უბრალოდ გვიყვება ამბავს და თვით ამბავია შემადრწუნებელი, მასში ცხადად ჩანს მთელი ის ჭუჭყიანი ქაფი, რომელიც გლეხების ცხოვრების მდინარებას ზედაპირზე მოუგდია, წმინდა და ადამიანური კი სადღაც დაუღეჭავს და დაუსამარებია.

„შერისხვაში“ მწერალი მოგვითხრობს სოფლის წინააღმდეგ კაცია საგუნაშვილის ქიშპობისა და ბრძოლის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ტრაგიკულად სრულდება. ის „ორიოდე მტკაველი“ მიწა კაცია საგუნაშვილისა, რომელიც სოფელს გზის გასაყვანად სჭირდებოდა, ბევრს არაფერს დააკლებდა მის პატრონს, მაგრამ კერძომესაკუთრული, ეგოისტური ბუნება, სიხარბე და სიჭიუტე გონებას

უბნელებს კაცობას, იგი უპირისპირდება მთელ სოფელს, თავისსავე მოკეთებებსა და მეზობლებს. როდესაც სასამართლო სოფლის სასარგებლოდ გადაწყვეტს საქმეს, კაცია ხატს მიმართავს შურის საძიებლად. იმდენად ძლიერია რელიგიური რწმენა გაუნათლებელ გლეხობაში, რომ ხატზე გადაცემა შიშის ზარს დასცემს მათ. გამწარებული, გონებადაკარგული კაცია, რაკი ხატზე გადაცემულს არაფერი მოუვა, საჯაროდ შეურაცხყოფს ღმერთს. მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი აფეთქება იყო და არა შეგნებული პროტესტი; ამიტომაც ღვთის წინაშე შიში მძლავრად მოედება კაცობას, იგი ველარ გაუძლებს ამდენ შფოთვისასა და მღელვარებას და გარდაიცილება მარტოდმარტო, ყველასაგან მიტოვებული. საფლავამდეც კი არავენ მიაცილებს მას, როგორც ღვთისმგმობელს. მოთხრობაში კონფლიქტი კაცია საგუნაშვილსა და სოფელს შორის ნელ-ნელა იჩქმალება და წინა პლანზე დგება გლეხობის რელიგიასთან დამოკიდებულების საკითხი. მწერალი ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე გლეხების ბნელი ბუნების ჩვენებით. მეზობლები მიცვალებულ კაცობას იმიტომ კი არ ერიდებიან, რომ მან თავის დროზე ორიოდ მტკაველი მიწა დაინანა სოფლისათვის, ამას კიდევ აპატიებდნენ, არამედ ერიდებიან ზოგორც ღვთის შეურაცხყოფელს. „— ვერ ვიტყვით, — ამბობდნენ მეზობლები: — ღმერთს ვაწყენინებთ, რომ მისი მგმობელი ვიტყვით!“ და ამიტომაც მიცვალებულ კაცობას სასაფლაოზე მხოლოდ ცოლ-შვილი მიჰყვება და ესენიც მხოლოდ მის უბედურ დღეზე გაჩენას დასტიროდნენ“.

ცრუმორწმუნეობის დამდუბველი მოქმედების კიდევ უფრო შემადიწუნებელი სურათი დაგვიხატა მწერალმა მეორე მოთხრობაში „მსხვერპლი“. თვით სათაური მოთხრობისა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ახალგაზრდა მარინე მსხვერპლია არა მარტო ძველი ადამიანებისა, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავს მისი დედამთილი, არამედ, რაც მთავარია, მსხვერპლია გლეხობის ბნელი ბუნებისა, ზეციური ძალების ცრურწმენისა. „მსხვერპლში“ მარინესა და ფეფენას სახით ერთმანეთს უპირისპირდება ახალგაზრდა და ძველი თაობა, რომელთაც ერთმანეთისა ნაკლებად ესმით. მარინე სიცო-

ცხლით სავსე ახალგაზრდაა, რომელიც იმედიანად შეჰყურებს მომავალს. იგი ახალი გათხოვილია, ცხოვრება წინა აქვს და შრომაც ეხალისება და გართობაც. ფეფენა კი უკვე გაუტენხია ცხოვრების სიმძიმეს, ადრე დაქვრივებულს მშველელი არავინ ჰყოლია და თვითონ უწევია, ცხოვრების ჭკაანი. ფეფენას არ ესმის მარინეს ასეთი სიხალისე და ცხოვრების სიყვარული, ამიტომაც ამაში გარყვნილების საშიშროება ელანდება და ამ ნიადაგზე იწყება უთანხმოება ტყუილუბრალოდ შეურაცხყოფილ რძალსა და ძველი ადათების მიმდევარ დედამთილს შორის. ყველა ხედავს ფეფენას უსამართლობას, მაგრამ მარინეს ვერავინ ექომაგება, რადგან მის დედამთილს კუდიანის სახელი აქვს გავარდნილი. ამ ნაწარმოებში დავით კლდიაშვილი ამბის უბრალო მთხრობელად კი არ წარმოგვიდგება, არამედ მწერალი უკვე საინტერესოდ კვეთავს გმირების ხასიათებს, ფსიქოლოგიურ მოტივირებას აძლევს გმირების მოქმედებას.

მარინესა და ფეფენას შორის ბრძოლა სულ უფრო მწვავედება და, როდესაც იგი თავის კულმინაციას მიაღწევს, მარინე მირბის სახლიდან, მირბის მოხუც ონისიმესთან, რადგან მხოლოდ ისღა ეგულება ქომაგად. ონისიმეს სინდისი შეაწუხებს, უნდა უშველოს მარინეს, გააგდოს ეზოდან ფეფენა და ნიკა, მაგრამ მაინც დაემორჩილება ცოლს, რომელიც სიცოცხლეგამწარებულ ქალს დაბალი ხმით ეპუღარებოდა: „— მარინე, შვილო, წაჰყევი... წაჰყევი, ჩემო ბიცოლა, ნუ გეიმეტებ ბიძაშენის ოჯახს, შენი ჭირი შეეყაროს შენს ბიცოლას... ამოგვწყვეტს, ამოგვბუგავს... აღარ დაგვინდობს... ათას უბედურებას შეგვყრის მაგ შავ ღლეზე გაჩენილი... ნუ მოიკიდებ ჩვენს ცოდვას... შენთვისაც აჯობებს, რომ წაჰყევი, შენ ნუ მომიკვდები!“ ასე ინგრევა და იღუპება ეს ოჯახი, იღუპება პირველ რიგში საწყალი მარინე, მსხვერპლი ბნელი ძალების რწმენისა და პატრიარქალური ადათებისა. მაგრამ ამ მოთხრობაში მარტო მარინე როდია ცხოვრების უკუღმართობის მსხვერპლი. ასეთივე მსხვერპლია თვითონ ფეფენაც, რომლისთვისაც კუდიანობა დაუწამებიათ და ახლოს აღარავინ ეკარება, მსხვერპლია ყველა, ონისიმეც, მისი ცოლიც, მარინეს მშობლებიც და სხვა დანარჩენებიც.

რომელთაც სწამთ კუდიანობისა და მთელი მათი მოქმედება ამ რწმენითაა შეპირობებული. საინტერესოა ამ საკითხზე თვით ავტორის მოსაზრებაც, რომელიც მას ერთ კერძო წერილში აქვს გამოთქმული. „მსხვერპლი“ პიესად გადაუკეთებიათ და გადაამკეთებელი რჩევა-დარიგებას სთხოვდა მწერალს. პასუხში სხვა საკითხებთან ერთად დავითი წერს: „ალაპარაკეთ... ფეფენა არა როგორც მტარვალი, არამედ როგორც თვითონ მსხვერპლი, ბნელი გაწვალებული ცხოვრების მსხვერპლი, დატანჯული, გაკაყებული. ერთი სიტყვით, იმის მთხოვნელი ვიქნები, რომ მხატვრული სიბნელე იქნეს გამოსახული და ის, რომ მსხვერპლად ეწირება ადამიანი. გაბარებთ ფეფენას — უდიდეს მსხვერპლს ამ სიბნელისას“.

აღსანიშნავია, რომ მოთხრობაში „მსხვერპლი“ ჩვენ პირველად ვხვდებით „გახრეკილი აზნოუშვილის“ სახეს, რომელმაც შემდეგ წამყვანი ადგილი უნდა დაიკავოს დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში. დავით კარუგდელიძე, რომელიც გამხდარა საბაბი მარინეს უბედურებისა, უკვე მიგვანიშნებს გალატაკებული აზნაურების ხასიათის იმ მხარეებს, რომელიც მთელი სისრულით წარმოგვიდგება მორბელაძეების, სამანიშვილების, მიმინოშვილების თუ სხვათა გაცნობილსას.

„შერისხვისა“ და „მსხვერპლის“ შემდეგ დავით კლდიაშვილმა დაბეჭდა „სოლომან მორბელაძე“, რომელიც იწყებს ცნობილ ციკლს მოთხრობებისას „შემოდგომის აზნაურების“ შესახებ. მაგრამ ამის პარალელურად, მწერალი კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს გლეხობის დუხჭირ ცხოვრებას და ვერ ელევა ხალხოსნურ მოტივებს თავის შემოქმედებაში. ამის დადასტურებაა მოთხრობები „მრევლში“, „მიქელა“, პიესა „უბედურება“. აქაც კვლავ ის შემადრწუნებელი სურათები გლეხობის განწირული ყოფისა, კვლავ ის უმეცრება და სიბნელე სოფლის მოსახლეობისა გადაიშლება მკითხველის თვალწინ, რომლის მოწამენიც პირველ მოთხრობებში გავხვდით. „მიქელა“ მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დაიქცა და გაჩანაგდა საწყალი გლეხის მიქელა გიორგაძის ოჯახი, რომელმაც სულ მოკლე ხნის განმავლობაში მიწას მიაბარა თავისი სამი ვაჟი. მიქელას დაქვრივებული რძალი

და ორი შვილიშვილი შერჩა. როდესაც მიქელამ ერთ-ერთ შვილიშვილს ავადმყოფობა შეამჩნია, მეორე სახლიდან გახიზნა, ხოლო დავრდომილი კი ცალკე კარავში მოათავსა ვენახში და ახლოს არ აკარებდა სახლს. მიქელას და მისი თანასოფლელების ღრმა რწმენით, რაღაც უწმინდური მავნე სული იყო დაბუდებული სახლში. ოჯახის გადასარჩენად მიქელამ სახლის გაწმენდა განიზრახა, მაგრამ ეს რას უშველიდა, როდესაც მისი ავადმყოფი შვილიშვილი ვენახში სიცივისაგან ითოშებოდა. ამ საბრალოს ერთ შემოდგომის დღეს მოვარდნილი ნიაღვარი დაახრჩობს. როგორც მწერლის შვილი სერგო კლდიაშვილი იგონებს, ამ მოთხრობის სიუჟეტი დაახლოებით სინამდვილიდან არის აღებული. მწერლის ერთ-ერთ მეზობელს ტუბერკულოზისაგან ამოწყვეტია ოჯახი და ერთ-ერთი ავადმყოფი შვილიც კარავში ნიაღვრისაგან დაღუპვია, შელოცვა და განწმენდა რას უშველიდა ამ დაავადმყოფებულ ხალხს, რომელსაც მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა. ამიტომაც იღწვოდა ხალხის ქომაგი, მათი უბედურებით გულდამწვარი მწერალი, ხალხოსნური მოძრაობით ფიქრობდა გლეხობის გადარჩენას. მაგრამ თვითონვე მალე დარწმუნდა, რომ ეს ფუჭი ოცნება იყო.

მწერლის შეგნებაში ხალხოსნური იდეების რწმენას შერყევაზე მიგვანიშნებს მოთხრობა „მრევლში“, რომელიც 1898 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“. მოთხრობის გმირი ზოსიმე მღვდელი დიდი გულმოდგინებით ემზადებოდა სემინარიაში თავისი საქველმოქმედო მოღვაწეობისათვის, ეგონა მართლაც შეებას მოუტანდა ხალხს და ხალხიც დაათასებდა ამავს, მაგრამ პირველივე ნაბიჯებმა, ცხოვრების მწარე გამოცდილებამ მალე დაუნგრია ოცნებები. ხალხი უნდობლად ეკიდებოდა ზოსიმეს, ლუკმის მოზიარეს ხედავდა მასში, არც უმაღლავდნენ ამას, აგონებდნენ კიდევ. ზოსიმე სასტიკად შეურაცხყოფილი ბრუნდებოდა სახლში. ერთხელ თხოვეს, ავადმყოფი ეზიარებინა. ზოსიმე შეკრთა, ისეთი სიღარიბე და სიღატაკე იგრძნობოდა ავადმყოფის ოჯახში, ლოცვანის წაკითხვისა და ზიარების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდოდა გაბრუნება, მაგრამ იოლად დაჰყვა მასპინძლის თხოვნას და მოშიებული მღვდელი მალე მადიანად ილუკ-

მებოდა. ზოსიმემ ერთი კი იწყინა, მაგრამ ხელი აღარ შეუშალა თანმხლებ პეტრეს, რომელიც ამ გაპარტახებულ ოჯახში მღვდლის გასამრჯელოდ პურებს აწყობდა ხურჯინში. პეტრიამ ასე მარტივად და გაშიშვლებულად ახსნა ზოსიმეს სიმორცხვე: „— ჭერ კიდევ ეხამუშება... ყმაწვილია! მერე, ჰურს კი არა, გახრეკნილ ძვალსაც ჩეილაგებს ხვირჯინში და სახლში წიკვას დოუწყებს!“... თუმცა ჭერ კიდევ განიცდის ხალხის გასანათლებლად და შემწედ ჩამოსული ზოსიმე მღვდელი თავის უმწეობას, მაგრამ თანდათან რწმუნდება იმაში, რომ პეტრიასი არ იყვეს, უნდა აპყვეს ცხოვრების წესს და შემწეობის მაგივრად ზედმეტ ტვირთად დააწვეს გლეხობას. ამ ციკლის ნაწარმოებებს ასრულებს პიესა „უბედურება“, რომელშიც უკიდურესი სიმძაფრითაა წარმოდგენილი ცხოვრების ამოება, გლეხთა უნუგეშო მდგომარეობა, რის გამოც გაბოროტებული სოფლელები ერთმანეთსაც აღარ ინდობენ.

დავით კლდიაშვილს, მართალია, გულს უკლავდა ქართული სოფლის ასეთი ყოფა, მაგრამ უკეთესი მომავლის იმედის ნაპერწკალი ყოველთვის ენთო მასში. ერთხანს ხალხოსნური იდეებით სულდგმულობდა, შემდეგ შეერყა ეს რწმენა, ველარც ახალი, ჭეშმარიტი გზა დაინახა ხსნისა, მაგრამ მომავლის იმედი მაინც არ დაუკარგავს. „მშობლის ნუგეში“, რომელიც ფაქტიურად მოთხრობის ესკიზს წარმოადგენს და ოდესაში შავრაზმელთა მიერ ებრაელების დარბევის დროს მოკლულ ქართველ ახალგაზრდა მეცნიერს საბა კლდიაშვილს ეძღვნება, აშკარად მეტყველებს მწერლის ოპტიმისტურ განწყობილებაზე.

ზემოთ დასახელებულ მოთხრობებში დავით კლდიაშვილი, მართალია, ხალხოსნურ ტენდენციებს ამჟღავნებს და აშკარად განიცდის ნიკო ლომოურის, სოფრომ მგალობლიშვილის თუ სხვათა გავლენას, მაგრამ მაინც ეს ნაწარმოებები ჭეშმარიტი შემოქმედებითი წვითა და სინამდვილის უშუალო განცდითაა შექმნილი. არც ერთ მათგანში არ შეიმჩნევა მიმბაძველობის კვალი. ასე რომ, თუმცა ამ მოთხრობებს არ განუსაზღვრავთ დავით კლდიაშვილის დიდი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე და მისი წვლილი ქართული

ეროვნული ლიტერატურის საგანძურში. მაგრამ მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თავისი დროისათვის და ავტორის მაღალნიჭიერებაზე მეტყველებდნენ.

მხოლოდ ერთხელ უღალატა შთაგონებამ დავით კლდიაშვილს, ამ უაღრესად ეროვნულსა და ქართულ სინამდვილეზე აღზრდილ მწერალს, როდესაც მოთხრობა არა ცხოვრების, არამედ ლიტერატურული გავლენითა და კარნახით დაწერა. ეს არის მოთხრობა „წრფელი გული“, რომლის ხელოვნურ, მიმბაძველურ წარმოშობაზე სამართლიანად მიუთითა თავის დროზე გერონტი ქიქოძემ. მართლაც, ამ ერთი მოთხრობის გარდა დავით კლდიაშვილს პატარა ესკიზიც კი არ შეუქმნია ლიტერატურული წყაროების, იდეებისა თუ ასოციაციების უშუალო ზეგავლენით. თუმცა სერგო კლდიაშვილი იხსენებს, რომ მამამისმა ამ მოთხრობის გმირის ბაბო გარაყანიძის პორტრეტი სინამდვილიდან დახატაო, მაგრამ ეს კიდევ არ გამოირიცხავს ამ ნაწარმოების ლიტერატურული ზეგავლენით შექმნასა. ბაბო გარაყანიძისა და მისი მეგობრების რაღაც სენტიმენტალური განცდები და დაოკებული ვნებათა ღელვა ქართული ცხოვრების რეალისტი მხატვრისათვის სრულიად უცხო სამყაროა, თუმცა ასეთი ფაქტის უშუალო შემსწრე შესაძლოა ყოფილიყო. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ამ ისტორიის მოთხრობის ფურცლებზე გადატანა მას ხელოვნურმა გარემოებამ უკარნახა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მოთხრობას ეპიგრაფად ჰქონდა ფრანგი რომანისტის პოლ ბურჟეს სიტყვები რომანიდან „სიცრუე“. „წრფელი გული“ დავით კლდიაშვილის ერთადერთი მოთხრობაა ლიტერატურული რემინისცენციით შექმნილი და ჩვენ იშვიათად გვეგულება მწერალი, რომელსაც ასე მცირე ხარკი მიეტანოს უშუალო გავლენებისათვის.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ მოთხრობებსა და პიესებს, რომლებშიც მწერალმა ქართული თავადაზნაურობის დეგრადირების უკანასკნელი პერიოდი წარმოსახა მხატვრულად. „სოლომან მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაქირვება“, „როსტომ მანველიძე“, „დარისპანის გასაქირი“ — აი ის შედეგები ქართული ლიტერატურისა, რომლებმაც და-

მსახურებულად უკვდავყვეს მათი ავტორი. ამ ნაწარმოებებში ჩვენ წარმოგვიდგება უკვე არა ხალხოსნური ტენდენციების მატარებელი მწერალი, არამედ გიგანტი ქართული კრიტიკული რეალიზმისა, რომელიც დამსახურებულად ავრძელებს გიორგი ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, გიორგი წერეთლისა და მეცხრამეტე საუკუნის სხვა კლასიკოსების ბრწყინვალე ტრადიციებს.

ერთი შეხედვით, შეიძლება, ძნელი შესამჩნევი იყოს დავით კლდიაშვილის ასეთი ორგანული კავშირი მის წინამორბედ რეალისტ კლასიკოსებთან. შეიძლება მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ მხატვარი მხოლოდ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებულ მოვლენებს წარმოსახავს და ამ მოვლენათა სიღრმეში ჩაწვდომას არ ცდილობს. დავით კლდიაშვილის ეს ძირითადი ნაწარმოებები ისეთ შთაბეჭდილებასაც ტოვებენ, თითქოს მწერალი წერის იმპრესიონისტულ მანერას მიმართავდეს, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება ზერელეა, სინამდვილეში დავით კლდიაშვილი მყარად დგას კრიტიკული რეალიზმის პოზიციებზე. თუ მის მოთხრობებს თავდაპირველად შეუძლიათ ჩვენი შეცდომაში შეყვანა, ეს იმის ბრალია, რომ მწერალი გენიალური შეფარვით ხატავს მოვლენებს, არსად ამჟღავნებს შიშველ ტენდენციურობას. იგი თითქოს მიუკერძოებლად გვიხატავს ცხოვრებისეულ მოვლენებს, მაგრამ ჩაკვირებულ მკითხველს არ გამოეპარება ის დიდი განმაზოგადებელი მნიშვნელობა, რომელიც მწერლის მიერ შექმნილ სახეებს ენიჭება.

თავადაზნაურული წოდების თანდათანობითი დაცემის მხატვრული წარმოსახვის საქმეში დავით კლდიაშვილს ჰყავდა თავისი წინამორბედები: გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი. ამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა ქართულ ლიტერატურაში დავით კლდიაშვილის შემოქმედების ხვედრი გახდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ ილია ჭავჭავაძე ამ ჯერ კიდევ ძლიერ და უფლებამოსილ კლასს მწვავე სატირული ფორმით ასახავდა ლიტერატურაში, დავით კლდიაშვილს ამ ბასრი მახვილის მომარჯვება არ დასჭირვებია. მორბელაძეები, სამანიშვილები როგორც ცა და დედამიწა ისე განსხვავდებიან ილიასეული მებატონეებისაგან.

კლდიაშვილის ეპოქაში აზნაურობა სულს დაფავდა, მას ბრძოლის უნარი დაკარგული ჰქონდა, ცარიელი ამპარტავნობაღ: შერჩენოდა და მწერალმაც სატირის ნაცვლად იუმორს მიმართა.

დავით კლდიაშვილს შეეძლო თბილი იუმორით მოეთხრო ჩვენთვის გადატაკებული და ცხოვრების გზაზე შემოზამთრებული იმერელი აზნაურების შესახებ, რომელნიც მისუსტებულნი და ნებისყოფაგამოლეულნი საცოდავად მიითვლიდნენ არსებობის უკანასკნელ დღეებს, ვინაიდან მათ უკვე აღარ შესწევდათ სოციალური ბოროტმოქმედების უნარი, ხოლო მათი საკმაროდ დიდი ნაწილი სინამდვილეში გლეხის გაჭირვებული ყოფის მოზიარე გახდა. მწერალი ერთგვარი სევდიანი ლიმილითაც კი მოგვითხრობს მათი ცხოვრების კომიკურ, თუმცაღა მწარე დღეებზე. ყოველივე ზემოთქმულის გარდა, დავით კლდიაშვილის ამ ცრემლნარევი იუმორის საფუძველს ისიც წარმოადგენდა, რომ თვითონ მწერალი სწორედ ასეთი საზოგადოებრივი ფენიდან იყო გამოსული და მისი მოთხრობების პროტოტიპები მისივე ახლო ადამიანები იყვნენ, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მწერლისათვის, სალომდე ერთგული ყოფილიყო მათი ყოფის რეალისტური წარმოსახვისა, იძულებული არ გაუხდია იგი, თავისი კერძო სიმპათიების გამო, ცხოვრებისეული სიმართლისათვის ელაღატნა.

როდესაც საუბარი ჩამოვარდება მწერლის პირადი სიმპათიებისა და შემოქმედებაში ობიექტურად გამოხატული თვალსაზრისის ურთიერთ წინააღმდეგობრიობაზე, მაგალითად უსათუოდ ბალზაკი მოჰყავთ, — თუ ამ ლეგიტიმისტმა მწერალმა, პირადი მიკერძოების მიუხედავად, როგორი ისტორიული სიმართლით წარმოსახა ძველი ფრანგული არისტოკრატის რღვევისა და განადგურების პროცესი ახალ ისტორიულ ვითარებაში, როდესაც ისახებოდა და მტკიცდებოდა ახალი საზოგადოებრივი ფორმაცია, უფრო პროგრესული და საინტერესო, ვიდრე წარმავალი სამყარო. განა ამის კლასიკურ ნიმუშს არ წარმოადგენს ჩვენთვის დავით კლდიაშვილის ცხოვრება და მისი შემოქმედება? ბალზაკი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე და მწერალია, ამიტომაც მისი

ზოღვაწეობის ეს მხარე ყველასათვის თანაბრად საინტერესო მაგალითი უნდა იყოს, მაგრამ ეს არ უნდა გვაიწიყებდეს ჩვენი ეროვნული კულტურის კორიფეების ცხოვრებისა და შემოქმედებითი შრომის ამ მხრივაც სამაგალითო გამოცდილებას. დავით კლდიაშვილი, მიუხედავად თავისი აშკარა სიმპათიებისა გაუბედურებული და დაჩაჩანაკებული აზნაურების მიმართ, არ მოერიდა თავის შემოქმედებაში მათი ტრაგიკომიკური ყოფის გამოაშკარავებას.

აზნაურული წოდების დიდი ცხოვრებისეული დრამა და გვიხატა მწერალმა დაუშრეტელი იუმორით, მაგრამ მას არც თავისი თავისთვის და არც სხვისთვის არ მიუცია უფლება ეს კომიკური სიტუაციები ღვარძლიან დაცინვაში გადაეზარდა. ამიტომაცაა, რომ თავის ამ საუკეთესო ნაწარმოებებში, რომლებშიც აზნაურული ყოფაცხოვრებაა გამოხატული, დავით კლდიაშვილი არ სცილდება ლაღი, მსუბუქი იუმორის ფარგლებს. თითქოს ერთფეროვანი, და ამდენად ერთგვარად მოსაწყენიც, უნდა იყოს დავით კლდიაშვილის მოთხრობების ციკლი, რომელიც შემოდგომის აზნაურების ყოფაცხოვრებას ეხება, რადგან ყველა ნაწარმოები ერთი მანერითაა დაწერილი და ქართველი საზოგადოების ერთი მცირერიცხოვანი ფენის ცხოვრებას ეხება. მაგრამ დავით კლდიაშვილის დიდი და ძალდაუტანებელი მწერლური ნიჭი სწორედ იმაშიც იჩენს თავს, რომ იგი არსად არ იმეორებს ერთხელ უკვე ნათქვამს და ასეთ შეზღუდულ მდგომარეობაში ახერხებს შექმნას გმირების მრავალფეროვანი გაღერვა. ძნელად თუ მოუცია რომელიმე სხვა მწერალს თავის შემოქმედებაში ასეთი სიუხვე ფერებისა, ასეთი კოლორიტული, ღრმად ინდივიდუალიზირებული ტიპური სახეები, რომლებიც იმდენად ცოცხლად არიან გამოკვეთილი, რომ თვალწინ წარმოუდგებიან მკითხველს, რაგინდ მცირე ფანტაზიის მქონეც არ უნდა იყოს იგი.

„სოლომან მორბელაძე“ იყო პირველი მოთხრობა, რომელმაც დასაბამი მისცა ციკლს „შემოდგომის აზნაურების“ შესახებ. ეს პატარა მოთხრობა თავისი დახვეწილობით, მხატვრული სრულყოფით და, რაც მთავარია, ტიპური ხასიათების დასრულებულად გამოკვეთის თვალსაზრისით უტოლდება კლასიკური ლიტერატურის შედევრებს.

სოლომან მორბელაძე იმ გადატაკებული აზნაურობის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელსაც ნიადაგი გამოხსლია ფეხქვეშ. საარსებო წყარო დაუქარგავს და ახლა ლუკმაპურის შოვნა გამხდარა მისი ცხოვრების მთელი მიზანი. ამ მხრივ, იგი არ გამოირჩევა საერთოდ იმერელი აზნაურებისაგან, მათთან ერთად ერთ ტაფაში იწვის. მაგრამ ლუკმაპურის შოვნის რამდენიმე განსხვავებული გზა და საშუალება აიჩრია აზნაურობამ, ზოგი, თავისი ამპარტავნული სულისა და სრული უქნარობის წყალობით, ვერაფერს საქმიანობს და თავს სხვასთან სტუმრობით ირჩენს. ზოგს, ყველაზე უფრო რეალისტებსა და წინდახედულებს ამ წოდებიდან, თოხისათვის მოუკიდნია ხელი და შრომა მიუჩნევია ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ საშუალებად. ნაწილი კი იოლი გარჯით ცდილობს თავის გატანას. ამ უკანასკნელთ არც თავისი წოდებრივი ღირსების შელახვა სურთ იმით, რომ ფიზიკურ შრომას მოჰკიდონ ხელი, არადა, იმდენი კი ესმით, რომ რაღაცით მაინც უნდა გაისარჯონ და ეძებენ იოლი შემოსავლის წყაროს. თუმცა ზოგჯერ ეს სინამდვილეში არც ისე იოლია, როგორც მათ ერთი შეხედვით წარმოუდგენიათ. როდესაც ჩვენ სოლომანის გაწამაწიას შევყურებთ, ვრწმუნდებით, რომ არცთუ ისე იოლი საქმისათვის მოუკიდნია მას ხელი და ეგებ ყანაში ნაკლები ჯაფა დასდგომოდა ამ საწყალსა და დამშეულ აზნაურს, მაგრამ მას მაინც მამშვლობა ურჩევნია. მისი აზრით, ეს უფრო შეეფერება მის სიდარბაისლესა და გვარიშვილობას. დადის კარდაკარ სოლომანი, ურიგებს ერთმანეთს დამშეული აზნაურების ქალ-ვაჟებს, რომელთა მშობლებს მხოლოდ ისღა აქვთ საფიქრებელი, როგორ მოატყუონ მომავალი მოყვრები ქორწინების წინ.

მოთხრობაში სოლომანის ერთი ასეთი მამშვლობის ისტორიაა გადმოცემული. სოლომანი თავისი დათაფლული ენით ცდილობს საქმე ბოლომდე მიიყვანოს, მოარიგოს აზნაურები — ქაიხოსრო ქათამაძე და ბესარიონ საქარაძე, დაითანხმოს ისინი შვილების ქორწინებაზე. სოლომანი იმედი აქვს, რომ ამით რამდენიმე თუმნიანს იშოვის. რომლებიც იქვე უნდა მისცეს ვალში სხვას. დაეხეტება სოლომანი ხან ერთთან, ხან მეორესთან, ერთის მოტყუებასაც ცდილობს და მეორე-

სასაც, მაგრამ საბოლოოდ ყველაზე მოტყუებული და იმედ-
გაცრუებული მაინც თვითონ რჩება. ქაიხოსრო ქათამაძეს თა-
ვისი ვაჟისათვის მეტი მზითვევი სურს, ხოლო ბესარიონ საქა-
რაძე სულ იმის ცდაშია, როგორ შეატყუოს ნაკლები მზითვით
ქალი ქათამაძეს და ამ დიდი გაწამაწიის მთელი სიმძიმე
სოლომანის ზურგზე გადადის, რომელსაც მთელი მისი თავ-
გამოდებისათვის გასამრჯელოდ მხოლოდ ხარის ტყავი და
ხურდა ფული შერჩება. სულ ეს ერთი მაშვლობის ისტორიაა
მოთხრობილი ნაწარმოებში, მაგრამ იგი სავსეა ისეთი სიტუა-
ციებით, რომლებშიც მთელი თვალნათლივობით ჩანს გმირე-
ბის ხასიათები, მათი ბუნება. დავით კლდიაშვილის მოთხრო-
ბები, საერთოდ, გამოირჩევა მოქმედების დინამიურობით,
მარტივი და მსუბუქი სცენების სიუხვით, რომლებშიაც ადა-
მიანთა რთული ურთიერთობები იხსნება. ასეა „სოლომან
მორბელაძეშიც“. ჩვენ აქ გმირების განცდებს ფსიქოლოგიუ-
რი თხრობის საშუალებით კი არ ვეცნობით, არამედ ამ განც-
დების უშუალო მოწმენი ვხდებით ჩვენს თვალწინ გათამაშე-
ბულ სცენებში. ქორწილის სცენა საკმარისია იმისათვის, რომ
სრული წარმოდგენა შეგვექმნას გმირებზე. სასაცილოა, მაგ-
რამ ღრმად ნიშანდობლივი დავა მოყვრებს შორის იმ ათ თუ-
მანზე. რომლის გამოც კინალამ ჩაიშალა ქორწილი. აქეთ ქაი-
ხოსრო ჯიუტობს და ქორწილის ჩაშლით იმუქრება, იქით
ბესარიონი თვალთმაქცობს. დარბის სოლომანი საქორწილოდ
წვეკრებილ ხალხში. ხან ერთთან, ხან მეორესთან და გასამ-
რჯელოს დაკარგვის შიში გულს უღრღნის. მკითხველი კი
პირზე ღიმილმორეული უცქერის მთელ ამ თრომტრიალს.
რომელიც ადამიანის დაკნინებისა და დაბეჩავების მაუწყებე-
ლია. თუ საქმეში ვართული სოლომანი მოთხრობის დასა-
წყისში იმედითაა სავსე და ცხოვრებაც უფრო ლალი და ლა-
ნაზი ეჩვენება, სანავიეროდ, მოქმედების დასასრულს. მწარე
გამოცდილებით ეროხელ კიდევ ჩაფიქრებული, სევდიანი თვა-
ლებით უყურებს ცხოვრებასაც და იმ ადამიანურ კომედი-
ასაც, რომელიც იქ თანაშედება. მოთხრობის ფინალში ჩვენ ვე-
ღარ ვხვდებით მღვდამ საოხუნჯოდ ნომაროულ სოლომანს. აქ
იგი ღრმად დაწუნებულ რეალისტად გვევლინება. რომელიც
მკაცრად, მაგრამ სანაოთლიანად აფასებს თავისი წრის სუ-

ლიერსა და ფიზიკურ დავრდომილობას. „ღმერთმა დასწყევ-
ლოს, ღმერთმა!—თავისთვის ლაპარაკობდა სასოწარკვეთილე-
ბაში მყოფი უიღბლო მაშვალი,—ღმერთმა დასწყევლოს ამნა-
ირი გაძალღებული ცხოვრებაც!.. მშიერ, გაღატაკებულ კაცს
რავა უნდა ენდო კაცი?! პატიოსნებაც დავიწყებული აქვს და
სვინდისიც. ცოდვათაც აღარ მიაჩნია, თუკი რაიმე წაგლლიტა,
წაგაფცქვნა, მოგატყუა, გაგაცუკურაქა! ყველაფერი დავი-
წყებული აქვს ამ ოხერი გაფშიკებული კუჭის გამოისობით...
დასწყევლა ღმერთმა ხელმოკლე აზნაურის უსაშველო, გა-
ძალღებული ცხოვრება! რითი გამოაქვთ თავი, მეტი გზა რომ
აღარ აქვთ? ტყუილით, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი
და უპირულობა! რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან?
მოვატყუე, მომატყუეს, და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ
კარზე მომადგება კიდევ“. ნადვლიან ფიქრებში წასული სო-
ლომანი, რომელიც უფულოდ ბრუნდებოდა თავისი გარიგე-
ბული საქმიდან და რომელმაც ის იყო ასეთი დაცინვა და
მოტყუება გადაიტანა, ქაიხოსრო ქათამაძეს ან ბესარიონ სა-
ქარაძეს კი არ ემდურის, მათზე კი არ არის გაბოროტებული,
არამედ ცხოვრების უკუღმართობაზე, რომლის მსხვერპლად
მიაჩნია ისინიცა და თავისი თავიც.

სოლომან მორბელაძე, შარათალია, თვითონაც იმ კუ-
დაბზიკა აზნაურებს ეკუთვნის, რომელთაც სიამაყის გარდა
არაფერი გააჩნდათ და ნამდვილ შრომას თაკილობდნენ, მაგ-
რამ მას უკვე კარგად ესმის ცხოვრების მდინარება საით მი-
ემართება, ამიტომაც პლატონივით შვილის სასწავლებელში
მიბარებაზე კი არ ოცნებობს, ცდილობს იგი მაინც ცხოვრე-
ნას უფრო შეგუებულ ალზარდოს. „— ჩემს შვილს, ჩემო
პლატონ, უშველებელი კალამი უქარავს ხელში... — ამბობს
სოლომანი, — ისე მშვენიერად ურტყაშა მოწას, რომ მოგე-
წონება რომ უყურო... არ ეკადრება, შარათალია, თოხი აზნო-
უშვილს, მარა მეტი გზა არაა, თვითონაც იცი!“ პლატონმა
ოუ არ იცის, ყოველ შემთხვევაში სოლომანს კარგად შეუგ-
ნა რომ შრომას ველარსად გაეცევი ცხოვრების ამ ახალ
პირობებში და თვითონაც დასძლევდა აღბათ, კუდაბზიკო-
ბას, მანველობას, მისი შვილივით თოხს არჩევდა, ცხოვრების
გრძელ გზას რომ ახლა იწყებდეს.

სოლომანის შვილი ერთადერთი როდია „შემოდგომის აზნაურთა“ მემკვიდრეებს შორის, რომელსაც ოჯახის გამოაკვების ყველაზე საიმედო გზად შრომა მიუჩნევია და არაფრად ჩაუგდია აზნაურის გაცვეთილი სახელი. ამავე გზას დასდგომია პლატონ სამანიშვილიც. საერთოდ, საინტერესოა აღინიშნოს, რომ დავით კლდიაშვილის მოთხრობებში უმცროსი თაობის აზნაურიშვილები, თავიანთი მამებისაგან განსხვავებით, უფრო საღად უყურებენ ცხოვრებას და წოდებრივი კუდაბნობაც ხაკლებად გამოჰყოლიათ.

სამანიშვილების ცხოვრება კიდევ უფრო შემადრწუნებელია, ვიდრე მორბელაძისა. თავის ვრცელ მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ დავით კლდიაშვილმა დიდი ადამიანური ტრაგედია დაგვიხატა. გაღატაკებული აზნაურების, სამანიშვილებისათვის შვილის შექმნა ყველაზე დიდ უბედურებად ქცეულა, რადგან იგი მოზიარედ ჩაუდგება მათ ისედაც მცირე მამულში. პლატონ სამანიშვილის ცხოვრება ახლა იმ ერთ მტკაველ მიწასთანაა დაკავშირებული, რომელიც როგორც ერთადერთ ვაჟს, მას ერგებოდა მემკვიდრეობით. მიწის მოზიარე ნიშნავდა პლატონის ისედაც დამშეული ოჯახის კიდევ უფრო შევიწროებას, საარსებო ლუკმის პირიდან გამოცლას. სამანიშვილების ეს შიში, რომ ოჯახში ბავშვი არ დაიბადოს, ნათლად მეტყველებს „შემოდგომის აზნაურების“ მთელ განწირულებაზე. უბედურება იქიდან დაიწყო, როდესაც ბეკინას მეუღლე გარდაიცვალა. მამამ მეორე ცოლის შერთვა გადაწყვიტა და ამან განსაზღვრა სამანიშვილების ბედიც. რაკილა მამამისს გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა, პლატონმა მაშველობა თვითონ იკისრა იმ მიზნით, რომ სადღეინაცვლოდ ორნაქმარევი და უშვილო ქალი შეერჩია. ეს, მისი აზრით, საკმაო გარანტია იქნებოდა იმისა, რომ მამამისს შვილი არ ეყოლებოდა და მას კი მიწის მოზიარე არ გამოუჩნდებოდა. ასე იწყება პლატონ სამანიშვილის მოგზაურობა სადღეინაცვლოს საქმზნელად, რომელიც შეუდარებელი, განსაცვიფრებელი იუმორითაა დაწერილი. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს მოგზაურობა, და, საერთოდ, მთელი მოთხრობა ბრწყინვალე ნიმუშია კომიკურისა და გაუტოლდება ყოველი ეპოქისა და ყოველი ლიტერატურის მიერ შექმნილ

კომედიური ხასიათის ნაწარმოებებს. იმერულ როსინანტზე ამხედრებული პლატონ სამანიშვილი დადის სოფელ-სოფელ და ეძებს ორნაქმარევე ქერივს სადღეინაცვლოდ. ამ მოგზაურობის დროს მწერალი გვაცნობს სხვადასხვა გმირებს, რომლებიც ხელს უწყობენ თუ უშლიან პლატონს თავისი უცნაური გადაწყვეტილების განხორციელებაში. თუმცა ყველასათვის როდია უცნაური პლატონის ეს განზრახვა. იმდენად საერთო ყოფილა ეს შიში ლუკმის მოზიარის გაჩენისა შემოდგომის აზნაურებში, რომ ზოგი ადვილად უხვდება დედინაცვლის მაძიებელს გულის ნადებს. მკითხველი პლატონთან ერთად მოგზაურობს ზემო იმერეთის სოფლებში, ხან გალატაკებული აზნაურის ოჯახში შეიხედავს და იქ დატრიალებული სცენების მოწმე ხდება, ხან საღდაც ქორწილში მოხვდება, (როდესაც პლატონის წყალობით მოქეიფე კირილე მიმინოშვილს გადაეყრება, ხან კი პლატონთან ერთად სადღეინაცვლოს მუშტრის თვალით ზომავს. ამ მოგზაურობასთან ერთად მთავრდება მკითხველის გულამომჭდარი სიცილიც, მერე კი იწყება სამანიშვილთათვის საბედისწერო ფინალი მოთხრობისა. იმედმა უმტყუნა პლატონს, ორნაქმარევემა უშვილო ქალმა განსაცდელს ვერ გადაარჩინა. ჭერ კიდევ ინუგეშებდა თავს პლატონი, ეგებ მკვდარი დაიბადოსო ბავშვი, ან ეგებ ქალი მაინც შეეძინოსო, მაგრამ სწორედ მისი მიწის მოზიარედ ვაჟი გაჩნდა და ამან დაანგრია სამანიშვილების ოჯახი.

საინტერესოა თვით დავით კლდიაშვილის მოგონება. თუ როგორ დაიწერა „სამანიშვილის დედინაცვალი“. მწერალს თავდაპირველად დაწერილი ჰქონია პლატონის სიზმარი, რომელიც თავისთავად ერთი საუკეთესო ნაწილია მოთხრობისა და შეიძლება ისევე გაეგზავნა „მოამბის“ რედაქციაში, რომ მის მეგობარს კონდრატი მხეიძეს არ ერჩია სიზმრის მოთხრობად გაკეთება. ამ ბედნიერ შემთხვევას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ დაიბადა ერთი უშესანიშნავესი ნაწარმოები ქართული მწერლობისა, ნაწარმოები, რომელიც თავისი ბრწყინვალე ლიტერატურული ღირსებებით მსოფლიო შედევრთა რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ.

1 მომდევნო მოთხრობა „შემოდგომის აზნაურების“ შესახებ არის „ქამუშაძის გაჭირება“. ერთგვარი ლოგიკური კავ-

შირი არსებობს ამ ციკლის მოთხრობებს შორის, თითქოს ერთიმეორეს აგრძელებენ ისინი. „სოლომან მორბელაძეში“ მხოლოდ მოხსენებული იყო ის ამბავი, რომ სოლომანის შვილს თოხი ეჭირა ხელში, „სამანიშვილის დედინაცვალში“ პლატონი აშკარად წარმოგვიდგება მშრომელ ადამიანად, მაგრამ ამ მოთხრობაშიც აქცენტი სხვა საგნებზეა გადატანილი; რაც შეეხება „ქამუშაძის გაჭირვებას“, ეს ვრცელი მოთხრობა მთლიანად მშრომელი აზნაურის ოტია ქამუშაძის ყოფაცხოვრებისადმი მიძღვნილი.

არც ქამუშაძეებს აკლიათ აზნაურული ამპარტავნობა. სარდიონ ქველიძის ჭინაზე, რომელმაც სიძედ დაიწუნა, ოტია ქალაქელ ქალს ითხოვს, რითაც ძალზე ამაყობს, მაგრამ, მიუსვდავად ამისა, ოტია მაინც მშრომელი ადამიანია და სონია მალე შეამჩნევს, რომ მისი აზნაურიშვილი ქმარი ფაქტიურად არაფრით განსხვავდება გლეხისაგან. მწერალი ქალაქიდან ჩამოსულ სონიას თვალთ აჩვენებს მკითხველს, თუ რა უბადრუკ ყოფაში არიან იმერელი აზნაურები. ზოგი მათგანი, ვისაც შრომა არ შეუძლია, შიმშილისაგან სიკვდილის პირასაც კი მისულა. ოტია ქამუშაძე თავდაპირველად ცდილობდა ცოლს არ შეემჩნია მთელი უბედურება სოფლის მცხოვრებლებისა, განსაკუთრებით კი მისი ოჯახის სიღარიბე, მაგრამ ეს უიმედო სურვილი იყო. სონია მოწამე გახდა მთელი ამ სიღატაკისა, სიბნელისა, განწირულებისა, რომელიც სოფლად დაბუდებულიყო და შეშფოთებული ქალი კვლავ ქალაქისაკენ გაიწევეს, გაიწევეს და თან ქმარსაც გაიყოლებს. ქამუშაძეები გაყიდვიან თავის ეზოსა და სახლკარს და ქალაქად დასახლდებიან. თუმცა არც იქ არის დალხინებული ცხოვრება, მაგრამ თითქოს პერსპექტივები მეტია და ეს აიმედებს ცოლ-ქმარს.

ასე მიემართებოდა იმერელი აზნაურის ცხოვრების გზა, ერთნი, უფროსი წარმომადგენლები, თავისი წოდებისა და ამპარტავნობის ამარა დარჩნენ მხოლოდ, ისინი როსტომ მანველიძესავით გარდასული დიდებითა და სამადლოდ მიღებული ლუკმით სულდგმულობდნენ, განწირულთ არაფრის თავი არა ჰქონდათ, უხალისოდ ელოდნენ ერთადერთ საშველს — აღსასრულს. მეორენი, ოტია ქამუშაძეები, საკუთარი

ბედის გამოკედვას თვითონვე შეუდგნენ, მათ არაფრად მიიჩნიეს აზნაურული თავმოყვარეობის შელახვა და სულაც მიატოვეს სოფელი, ქალაქში წავიდნენ, სადაც მუშახელი ზამთარ-ზაფსულს სჭირდებოდათ. რა ბედი ეწიათ ქაშუშაძეებს ქალაქში, ამაზე დავით კლდიაშვილის მოთხრობა, სამწუხაროდ, დუმს. მწერალს განზრახული ჰქონდა ქაშუშაძეების ცხოვრების ისტორია გაეგრძელებია, ნაწილი კიდევ ჰქონდა დაწერილი, მაგრამ ხელნაწერი დაკარგულა და მწერალს განზრახვა აღარ შეუსრულებია.

დავით კლდიაშვილის კალამს, გარდა მოთხრობებისა, სამი პიესაც ეკუთვნის: ერთი — „უბედურება“, ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ, ხოლო „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“ თემატურად აზნაურთა ყოფაცხოვრებაზე შექმნილი ნაწარმოებების ხაზს აგრძელებენ. „ირინეს ბედნიერებაში“ ჩვენ ვხედავთ მოთხრობებიდან ნაცნობ ხასიათებსა და სიტუაციებს, აზნაურების კვლავ იმ გაუთავებელ ამპარტავნობასა და თავაშვებულობას, რომელიც ასე დაუნდობლად ამსხვრევს ირინეს ბედნიერებას. კლდიაშვილის დრამატურგიული ნაწარმოებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „დარისპანის გასაჭირი“, რომელშიც ავტორი მისთვის ჩვეული ლალი იუმორით გვიყვება თავისი გმირის აზნაურ დარისპანის სევდიან გასაჭირს, რომელსაც სამი ქალიშვილი სახლში უზის და ვერც ერთი ვერ გაუთხოვებია. დაატარებს დარისპანი სოფელ-სოფელ, კარდაკარ თავის უფროს ქალს კაროენას, ეგებ უმზითვოდ ვინმეს შეატყუოს. მაგრამ სასიძოვების გაცურება ასე იოლი საქმე როდია. ისინი ჯერ მზითვეს კითხულობენ და მერე ქალს. ისევე როგორც დავით კლდიაშვილის მოთხრობებს, არც პიესებს დაკლებია ყურადღება და მოწონება, ისინი დიდი წარმატებით იღგმებოდნენ ქართულ სცენაზე.

დავით კლდიაშვილმა თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში კიდევ ერთი-ორი მოთხრობა გამოაქვეყნა და, რაც მთავარია, დაწერა მემუარები „ჩემი ცხოვრების გზაზე“, რომელშიც არა მარტო მწერლის ბიოგრაფიაა გადმოცემული, არამედ რევოლუციამდელი საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უაღრესად

საინტერესო მასალებიცაა თავმოყრილი. დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“, რომელიც დიდი ინტერესით იკითხება, ქართული მემუარული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა იმდენად ვრცელი არ არის, რამდენადაც მნიშვნელოვანია. მან ნხოლოდ სამიოდე პიესა და ერთ ათეულზე ცოტა მეტი მოთხრობა დაგვიტოვა, მაგრამ ამ მცირე ნაწარმოებებში ბწერალმა შესძლო ისეთი სიარულით წარმოესახა მთელი ეპოქა, რომ განცვიფრებაში მოეყვანა მკითხველი საზოგადოებრიობა.

ქართველი ხალხი მუდამ დიდ სიყვარულს იჩენდა ქართული მწერლობის ერთ-ერთი შესანიშნავი კლასიკოსის დავით კლდიაშვილის მიმართ, მისი შემოქმედება ყოველთვის იყო ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში. იშვიათად, რომ რომელიმე მწერალს ისე მძლავრად განეცადოს და ეგრძნოს ხალხის ერთსულოვანი მადლიერება და სიყვარული, როგორც ეს იგრძნო და განიცადა თავისი ცხოვრების მანძილზე დავით კლდიაშვილმა. ეს გრძნობა თანდათან კიდევ უფრო იზრდება და ღრმავდება ქართველ ერში, რომელიც სამართლიანად ამაყობს იმ ბრწყინვალე კლასიკური მემკვიდრეობით, რომელიც მწერალმა თავის ხალხს დაუტოვა. დავით კლდიაშვილის საუკეთესო ნაწარმოებები საუკუნეებით იცოცხლებს და მასთან ერთად დავიწყებას არ მიეცემა ქართული სიტყვის ამ ბრწყინვალე ოსტატის, შესანიშნავი მოქალაქის და მამულიშვილის სახელიც.

მიხეილ ჯავახიშვილი

1

მიხეილ ჯავახიშვილი მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც ახალ ისტორიულ პირობებში გააგრძელა და განავითარა ქართული კრიტიკული რეალიზმის ტრადიციები და ამ ტრადიციებთან მჭიდროდ დააკავშირა ქართული საბჭოთა ლიტერატურის სათავეები. მიხეილ ჯავახიშვილმა, ირაკლი აბაშიძის თქმით, „ღირსეულად და მტკიცედ დაამაგრა ჩვენს მწერლობაში ქართულ ეროვნულ ფესვებზე რეალიზმის ტრადიციები და ამით დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ლიტერატურის შემდგომ გაშლასა და აყვავებას“¹.

მიხეილ ჯავახიშვილის და მისი დროის მწერლების — ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვების სახელებთან არის დაკავშირებული ქართული მხატვრული პროზის მძლავრი განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისი, რამაც ქართულ ლიტერატურაში ამ უნარს თავისი კუთვნილი ადგილი და მნიშვნელობა შესძინა.

ვეროპული და რუსული ლიტერატურების ისტორიული განვითარების პროცესისაგან განსხვავებით, ქართულ ლიტერატურაში კრიტიკულ რეალიზმს მეცხრამეტე საუკუნეში არ გამოუწვევია მხატვრული პროზის ისეთივე დიდი აქტივიზაცია. როდესაც რუსული კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურ-

¹ „ლიტერატურული გაზეთი“, 1962 წ., 26 იანვარი.

რას ვიხსენებთ, პირველ რიგში სწორედაც მხატვრული პროზის ტიტანები წარმოგვიდგებიან: გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი. მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში ასეთი დიდი ხვედრითი წონა არ ჰქონია პროზას, თუმცა ამ ქანრის მთელი რიგი შესანიშნავი რეალისტური ნაწარმოებები დაიწერა. ქართული რომანისა და ნოველის შემძლავრება გასულ საუკუნის მიწურულიდან იწყება და დღემდე გრძელდება, ხოლო ამ მომძლავრებაში თავისი დიდი წვლილი შეიტანა მიხეილ ჯავახიშვილმა.

მიხეილ ჯავახიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ქართველ მწერლებს შორის, რომელმაც ღრმად გაუკვალა გზა თანამედროვე ლიტერატურაში ნოველას, სოციალურ და ფსიქოლოგიურ რომანს. მისი „ჩანჩურა“, „ტყის კაცი“, „ლამბალო და ყაშა“, „მართალი აბდულაჰ“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“, „არსენა მარაბდელი“ და, საერთოდ. ეთელი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ის საფუძველია ურომლისოდაც ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე ქართული ლიტერატურის, კერძოდ, ქართული მხატვრული პროზის შემდგომი განვითარება. მ. ჯავახიშვილის ვრცელი შემოქმედება ერთი საინტერესო მაგალითია იმისა, თუ ხალხის ინტერესების სამსახურმა როგორ მიიყვანა მწერალი სოციალისტური რეალიზმის მეთოდის აღიარებამდე, როგორ მოამარჯვებინა მას ეს მეთოდი თავის შემოქმედებით პრაქტიკაში. ეს გზა მიხეილ ჯავახიშვილისა — კრიტიკული რეალიზმიდან სოციალისტურ რეალიზმამდე — არ იყო მეტად მტკივნეული, დაკავშირებული მწერლის შინაგან დიდ განცდებთან და ძიებებთან. ეს იყო ხანგრძლივი დაკვირვებისა და ვრცელი პერიოდის ნააზრევი, დინჯად გავლილი ლოგიკური გზა მეოცე საუკუნის რეალისტი მწერლისა.

მეოცე საუკუნის პირველი ორი-სამი ათეული წლების ქართულ მწერლობაში ბევრი ვერ ასცდა სხვადასხვა ყაიდის დეკადენტური მიმდინარეობების გავლენას. ამ მოდურმა გატაცებამ მეტ-ნაკლები ძალით თითქმის ყველა მწერლის შემოქმედებაში იჩინა თავი. მიხეილ ჯავახიშვილი იყო ერთი იმ მწერალთაგანი, რომელმაც გაუძლო ეპოქის ამ ცდუნებას, მას არასოდეს, არც ერთ, თუნდ მცირე და ნაკლები მნიშ-

ენელობის ნაწარმოებშიც კი არ უღალატნია რეალიზმი-სათვის.

მიხეილ ჭავჭავიძევილი ყოველთვის უარყოფითად ეკიდებოდა მათ, ვინც რეალისტურ მეთოდს უგულვებელყოფდა და ლიტერატურისათვის, ცხოვრების ნაცვლად, ახალ საფუძველს, სხვა პირველსააწყის მასალას ეძებდა, ვინც ახალი ფორმებისა და საშუალებების ძიებით მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ძირითადი, რეალისტური ტენდენციის გარეთ რჩებოდა. მას არაერთხელ გამოუთქვამს თავის წერილებში პირუთვნელი აზრი ასეთი ყაიდის მაძიებლებზე. „მე ვფიქრობ, — წერდა იგი თავის წერილში „როგორ ვმუშაობ“, — რომ ამ მხრივ სიმბოლისტებმა, და ნამეტან კი ანდრეი ბელიმ და მისმა მიმდევრებმა, დიდი ზიანი მიაყენეს პროზას. ბელი და მისი მოწაფენი სიტყვების კომპოზიტორები არიან და არა ცხოვრების მხატვარ-ამსახველები. მათ ნაჭარბევად გაიმახვილეს სმენა და თითქმის სულ მოხუჭეს თვალები... მან (ანდრეი ბელიმ, — გ. გ.) მხატვრული სახე მოახლედ დაუყენა მუსიკალურ ბეგრას. ასე ააყირავეს ბელიმ და მისმა შეგირდებმა საუკუნოებით განმტკიცებული ჭეშმარიტება, რომელმაც ბუნების ღალატის გამო სასტიკად იძია შური: ისინი უკვე დამარცხებულნი არიან და მალე დადგება ის დროც, როცა მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსი და გაიხსენებს მათს უნაყოფო ნოვატორობას“¹.

მიხეილ ჭავჭავიძევილის ღრმა რწმენით, მსოფლიო ლიტერატურაში თუ რამ საინტერესო შექმნილა, მხოლოდ და მხოლოდ რეალიზმის წყალობით. მისი აზრით, რეალიზმი, ამ ცნების „ულრმესი და უუფართოესი მნიშვნელობით“² ყოველთვის იყო ლიტერატურის დამახასიათებელი თვისება. მიხეილ ჭავჭავიძევილისათვის შემოქმედებითი ცხოვრების ყველა ეტაპზე ერთადერთი ჭეშმარიტება არსებობდა და ამ ჭეშმარიტების ღრმა რწმენით აიხსნება ის ფაქტი, რომ მიხეილ ჭავჭავიძევილი ასეთი თანმიმდევრული ერთგული იყო

1 მ. ჭავჭავიძევილი, „როგორ ვმუშაობ“, „მნათობი“, 1933 წ., № 10, გვ. 194.

2 „ლიტერატურაზე გაზეთი“, 1933 წ., 11 ნოემბერი.

რეალიზმის მეთოდისა თავის შემოქმედებით პრაქტიკაში. რაც შეეხება რეალიზმის გაგებას, მიხეილ ჭავჭავაძისათვის იგი არ იყო ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ცნება, რომელიც არავითარ განვითარებას არ განიცდის. მწერალი კარგად ხედავდა იმ განსხვავებას, რომელიც არსებობდა მეცხრამეტე საუკუნის კრიტიკულ რეალიზმსა და მეოცე საუკუნის რეალისტურ მწერლობას შორის, ხოლო უფრო მოგვიანებით, რევოლუციური გარდაქმნების შედეგად, ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების ზეგავლენით იგი მივიდა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გაგებამდე და აღიარებამდე. ამ ახალი მეთოდით აქვს მას შექმნილი დიდი მხატვრული ტილოები, ისტორიული რომანები — „არსენა მარაბდელი“ და „ქალის ტვირთი“, ეს მოხდა მისი შემოქმედებითი ცხოვრების უკანასკნელ წლებში, ადრე კი, მიხეილ ჭავჭავაძის შემოქმედების პათოსი კრიტიკული იყო და ამ მხრივ იგი უფრო ენათესავებოდა ქართულ კლასიკურ რეალიზმს, ვიდრე ახალ, სოციალისტურ რეალიზმს, თუმცა ამ უკანასკნელის ნიმუშები ქართულ მწერლობას ჯერ კიდევ რევოლუციამდე მოეპოვებოდა.

საგულისხმოა ის დასკვნა, რომელიც მიხეილ ჭავჭავაძე ვილმა საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების ნაყოფიერი ზეგავლენით გამოიტანა: „მხატვრის ალლო და თვალი თავისუფალია. მაგრამ ჩვენ მაინც თანადროულობა გვირჩევნია, ამ ცნების ფართო მნიშვნელობით. გულწრფელობის შენარჩუნებისათვის შემოქმედი მოვალეც არის ისე დაინახოს და იგრძნოს საგნები და მოვლენები, როგორც შეუძლიან და მოეჩვენება. მაგრამ ჩვენ მაინც გვირჩევნია ისეთი მასალის შერჩევა, შეგრძნობა და თვალი, რომელნიც გაამხნევებენ ხალხს და გაულვივებენ იმედს, ენერჯიას და ზნეობას“¹.

მიხეილ ჭავჭავაძისილი გაოცებული იყო იმ გრანდიოზული გარდაქმნებით, რაც საბჭოთა ხალხმა სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე განახორციელა. მწერალს გულწრფელად სურდა აესახა მხატვრულად ახალი საზოგადოებრივი ყოფა. ამიტომაც ჩაიწერა თავის უბის წიგნაკში: „შეგ-

¹ „ლიტერატურული გაზეთი“, 1959 წ., 10 აპრილი.

რძობა და შეგნება ახალი ეპოქის სულისა და მისი მხატვრული ასახვა; ახალი ადამიანი, ახალი სტილი, ხერხები, კომპოზიცია, რითმი; ჰანგი; თემა; თვალი; ლექსიკონი“. ამ რამდენიმე სიტყვაში მწერლის მთელი მომავალი გეგმები წარმოგვიდგება.

მიხეილ ჯავახიშვილი ყურადღებით ადევნებდა თვალს კოლხეთის ჭაობების ამოშრობას, სამგორის ველებზე წარმოებულ სამუშაოებს, მიმოწერა და პირადი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული მთელ რიგ კოლმეურნეობათა მშრომელებთან, ყველაფერი ეს მხატვრულ ტილოებზე უნდა გადაეტანა. ახალი ცხოვრების უშუალო დანახვამ და განცდამ ჩააწერია მას თავის განუყრელ უბის წიგნაკში: „სამყაროში არაფერია უულამაზესი ჩვენი ქვეყნისა. ჩვენს ქვეყანაში — ადამიანისა და ადამიანში — სულისა“.

სწორედ საბჭოთა ადამიანის შინაგანი სამყაროს მთელი სილამაზისა და სიდიადის მხატვრული გახსნა გაიხადა მან თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მიზნად. ამ მხრივ იგი ერთგვარ ვალში იყო ჩვენი თანამედროვის წინაშე. ამას თვითონაც გრძობდა და ამიტომ ამბობდა გულისტკივილით: „მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი“. ამ სათქმელის თქმა, თავისი მრავალფეროვანი, საინტერესო შემოქმედებითი გეგმების განხორციელება მიხეილ ჯავახიშვილს, სამწუხაროდ, არ დასცალდა.

მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ყველაზე საინტერესო პერიოდში ტრაგიკულად დაიღუპა და ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა, მან უდიდესი ამაგი დასდო ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას. იგი ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მწერალია მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთა შორის. სულ რაღაც თხუთმეტიოდე წელიწადში მან შექმნა თავისი ცნობილი რომანები „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „გივი შადური“, „თეთრი საყელო“, „არსენა მარაბდელი“, „ქალის ტვირთი“ და ბევრი მოთხრობა, თარგმნა ჩეხოვი, მოპასანი, სენკევიჩი, გამოაქვეყნა უამრავი პუბლიცისტური და ლიტერატურული წერილი, რომლებშიც აშკარად წარმოგვიდგება ღრმად განათლებულ, პროგრესულ

ზოაზროვნედ, დიდი მხატვრული გემოვნების მქონე ადამიანად და მოღვაწედ.

მიხეილ ჭავჭავიძეილს ფასდაუდებელი ამაგი მიუძღვის ქართული მწერლობის წინაშე, რისთვისაც ქართველი ხალხი დიდი სიყვარულით ინახავს მის სახელს. „მწერალი და ხალხი ერთმანეთს უნდა შეედუღნენ, რათა ხელიხელჩართულმა იარონ და იმუშაონ...“ — ამბობდა მწერალი. მიხეილ ჭავჭავიძეილი თავისი შემოქმედებითი მემკვიდრეობით, მართლაც, მტკიცედ შეედუღაბა თავის ხალხს და მასთან ერთად განაგრძობს სიცოცხლეს. ამ ერთიანობის, შედუღაბების — მწერლისადმი დიდი ეროვნული სიყვარულის გამოხატულება იყო მიხეილ ჭავჭავიძეილის საიუბილეო დღეები საქართველოში 1962 წელს.

2

მიხეილ ჭავჭავიძეილს მამამისი, შეძლებული ქართველი გლეხი, აგრონომად ამზადებდა, ამიტომაც შემოატარა რამდენიმე სამეურნეო სკოლა და სასწავლებელი, ბოლოს კი ყირიმის მებაღეობა-მევენახეობის სასწავლებელში გაგზავნა. აღზრდელებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩა მიხეილის გულცივი დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი. ამიტომ, ყირიმის სასწავლებლის დირექტორმა მას, ტელეგრაფის მონხელის სპეციალობა ურჩია. მიხეილ ჭავჭავიძეილის გულში კი სულ სხვა სურვილი, მიზანი და ოცნება ენთო, რომელიც მას მძიმე, მაგრამ დიდი ეროვნული საქმისაკენ, მწერლობისაკენ მოუწოდებდა. მიხეილი ადრევე წერდა ლექსებსა და პატარა მოთხრობებს, ამით მიიქცია ცნობილი საზოგადო მოღვაწის ილია წინამძღვრიძეილის ყურადღება, რომელმაც ჭერ კიდევ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოსწავლე ერის წინამძღვარს, ქართული მწერლობის დიდ კლასიკოსს ილია ჭავჭავაძეს წარუდგინა. ეს უთუოდ დიდი სტიმული იყო ჭაბუკი მიხეილისათვის, რამაც საბოლოოდ განუმტკიცა მწერლობის სურვილი, თუმცა მაშინ არც თვითონ იყო დარწმუნებული, რომ ოცნება სინამდვილედ გადაექცეოდა და

არც ილიას, კრიტიკული რეალიზმის დამფუძნებელს ქართულ მწერლობაში, შეეძლო ეფიქრა, რომ წინ მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი ედგა.

მიხეილ ჭავჭავაძის ადრინდელი ლექსები და მოთხრობები ჩვენთვის უცნობია. როგორც ჩანს, მწერალმა ისინი მხოლოდ ქაბუკობის ხანის ვარჯიშად მიიჩნია და არ შემოგვინახა. ტრაგიკული შემთხვევის შედეგად (მას მოუკლეს და და დედა, მალე მამაც გადაიყოლა ამ უბედურებამ) მიხეილი 20-21 წლის ასაკში დაობლდა და, რაკილა თავისი თავის გამგებელი თვითონ გახდა, მიატოვა ყირიმის სასწავლებელი, სამშობლოში დაბრუნდა, მთელი გატაცებით დაჰყვა თავის გულისთქმასა და მოწოდებას. 1903 წელს 23 წლის ჭავჭავაძილი „ცნობის ფურცლის“ გამოცემაში აქვეყნებს თავის პირველ ნაბეჭდ მოთხრობას „ჩანჩურას“ და სწორედ აქედან იწყება მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია.

1903-1908 წლებში მიხეილ ჭავჭავაძილი გამოაქვეყნა მოთხრობები — „ჩანჩურა“, „მეჩქემე გაბო“, „უპატრონო“, „ეკა“, „ჯილდო“, „კურკას ქორწილი“ და „ეშმაკის ქვა“. თემატურად და პრობლემატიკის თვალსაზრისით, ეს მოთხრობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ყველა თანაბრად საინტერესოდ შეიძლება არც მოგვეჩვენოს, მაგრამ მათ აერთიანებს ერთი ძარღვი, რომელიც ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდი ჰუმანისტური და დემოკრატიული სულისკვეთებით ავსებს ამ მოთხრობებს.

მიხეილ ჭავჭავაძილი ამავე წლებში აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწევა, თავის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებსა და ნარკვევებს აქვეყნებს სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებში, რედაქტორობს გაზეთებს „ივერიას“ და „გლეხს“. მისი, როგორც ჟურნალისტის, ინტერესების სფერო ფართოა და ცხოვრების ყოველ უბანს სწვდება, იქნება ეს გლეხებისა და მუშების ყოფა, ეროვნული პოლიტიკა და სახელმწიფოს მმართველობის საკითხები, ქართული თეატრისა და ლიტერატურის მდგომარეობა თუ სხვა.

მიხეილ ჭავჭავაძილი თავისი მხატვრული და პუბლიცისტური სიტყვით ერთ მიზანს ელტვოდა, სამსახური გაეწია ხალხისათვის. საგულისხმოა, რომ უბის წიგნაკში, რომელიც

მეფის „ოხრანკამ“ მიხეილ ჯავახიშვილს ბინის ჩხრეკის დროს ჩამოართვა, მწერალს ეწერა: „ჩემი დევიზია: „უკვლავური დემოკრატიისათვის“. ამ დევიზს მიხეილ ჯავახიშვილი ერთგულად მისდევდა და ემსახურებოდა მთელი თავისი შემოქმედებით და მოღვაწეობით.

მწერლის სულიერი ფორმირება ხდებოდა რუსეთის პირველი რევოლუციისა და რევოლუციის შემდეგდროინდელი სასტიკი, სისხლიანი რეაქციის წლებში. ხალხის ქომაგი. ჭეშმარიტი დემოკრატიისათვის მებრძოლი მწერალი ამ დიდი მოვლენებით ცოცხლობდა. თავის პუბლიცისტურ წერილებში მ. ჯავახიშვილი გაბედულად გამოდის მეფის მთავრობის სისხლიანი რეპრესიების წინააღმდეგ. განსაკუთრებით მწვავედ აკრიტიკებს იგი ხელისუფლებას სტატიების ციკლში. რომელსაც „გლეხის წერილები“ ეწოდებოდა. ესაა დიდი მამხილებელი ძალის წერილები, სადაც მშრომელთა უნუგეშო ყოფა და მისი გამომწვევი მიზეზები ავტორს დაურიდებლად აქვს გახსნილი, ერთ-ერთ სტატიას ასეთი საბრძოლო მოწოდებით ამთავრებდა მ. ჯავახიშვილი: „ან სირცხვილი და უღელში შებმა, ან სიკვდილი და გამარჯვება! ან მუდმივი მონობა, ან მიწა და თავისუფლება... ჩვენივე ხელით უნდა ვიშოვოთ მიწაცა და თავისუფლებაც... საბოლოო ბრძოლის დღე გვიახლოვდება და ამიტომ საბრძოლველად ვემზადებით. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ჰაერში სისხლის სუნე ტრიალებს, საიდღანაც ჭახა-ჭუხი ისმის და აღმოსავლეთიც ცეცხლის ფერად შეილება. საცაა, მზე უნდა ამოვიდეს! დიად, უნდა ამოვიდეს და ჩვენც მზად ვართ, განწმენდილნი, გასპეტაკებულნი და საბრძოლველად მომზადებულნი ამაყად დავუხვდეთ სიკვდილს, რომელიც მოგვიტანს მიწასა და თავისუფლებას! საცაა, მზე უნდა ამოვიდეს!“

ცხადია, რეაქციის წლებში ამას მწერალს არ აპატიებდა ხელისუფლება და მ. ჯავახიშვილი, რომელსაც დაპატიმრება ელოდა, ერთხანს თბილისში იმალებოდა და მერე საზღვარგარეთ გაიპარა.

თუმცაღა მიხეილ ჯავახიშვილის წერილები ასეთი მომწოდებლური პათოსითაა გამსჭვალული, უნდა ითქვას, რომ მას ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი ისტორიულ მოვლე-

ნათა განვითარება. იგი უფრო თავის რწმენას ემყარებოდა. ვიდრე საზოგადოების განვითარების შეცნობიერებულ მოძღვრებას. ამიტომ მ. ჯავახიშვილი უფრო არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების კრიტიკოსად დარჩა, ვიდრე ახალი ცხოვრების მეგზურად. ეს თანაბრად შეეხება მას როგორც ყურნალისტსაც და როგორც მწერალსაც. სწორედ ამან შეუშალა ხელი მ. ჯავახიშვილს თავისი შემოქმედების ადრინდელ პერიოდშივე მიეგნო იმ ახალი ლიტერატურული მეთოდისათვის, რომელიც ამავე წლების გორკის შემოქმედებაში უკვე თვალნათლივ იჩენს თავს. მიუხედავად ამისა, ჯავახიშვილი მთელი თავისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით აქტიურად მოუწოდებდა ხალხს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. რევოლუციური ეპოქის კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურამ ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა და ჯავახიშვილის შემოქმედებამაც, თავისი მამხილებელი პათოსით, საგრძნობლად შეუწყო ხელი მასების რევოლუციური შეგნების ზრდას.

მრავალმხრივ საინტერესოა მიხეილ ჯავახიშვილის წერილები ქართული თეატრისა და დრამატურგიის საკითხებზე. 1903 წლის ნოემბერში გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა მისი წერილების სერია „ჩვენ და ჩვენი თეატრი“. იმავე დროს იმავე გაზეთის დამატებაში დაიბეჭდა ჯავახიშვილის პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“. წერილებშიც და მოთხრობაშიც მკითხველი ადვილად შენიშნავს იმ საერთო ტენდენციას, რომელიც მწერლის ჩამოყალიბებული, მყარი შემოქმედებითი და მსოფლმხედველობრივი პოზიციით არის განსაზღვრული. მიხეილ ჯავახიშვილი მკაცრად საყვედურობს ქართულ თეატრს იმის გამო, რომ იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ხალხის ცხოვრების წარმოსახვას. წერილების ავტორი გარკვევით აყალიბებს და ანვითარებს იმ აზრს, რომ ისტორიას ხალხი ქმნის და თუ თეატრს სურს ეპოქის სული გამოხატოს, მისი განმსაზღვრელი ძალა დაგვანახოს, უნდა მიმართოს ხალხის ცხოვრებას. მიხეილ ჯავახიშვილის ღრმარწმენით, ქართულმა თეატრმა და დრამატურგიამ, საერთოდ. მწერლობამ თავისი ყურადღება უნდა გადაიტანოს უბრალო ადამიანების ცხოვრებაზე, მათი ფსიქიკისა და შეგნების, მა-

თი სულიერი სამყაროს გახსნაზე. თვითონ მიხეილ ჯავახიშვილმა სწორედ ამით განსაზღვრა თავისი შემოქმედების ინტერესები.

• • •

მიხეილ ჯავახიშვილის მიერ 1903—1908 წლებში გამოქვეყნებული მოთხრობები, მიუხედავად თემატური და პრობლემატური სხვაობისა, აღბეჭდილია ერთი საერთო მიზანსწრაფვითა და მიზანდასახულებით — გვიჩვენოს უბრალო ადამიანების სოციალური უსამართლობით სავსე ყოფაცხოვრება, გაგვიხსნას მათი მძიმე განცდები, გაგვიღვიძოს მათდამი გულწრფელი თანაგრძნობა.

თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამ ხანაზე მიხეილ ჯავახიშვილი უფრო გვიან, წერილში „როგორ ვმუშაობ“, წერდა: „იმ დროს მწერლობაში „საწყალი კაცი“ იკალათებდა, მეც მიმიზიდა. ერთხელ ბაზარში მათხოვარა დავინახე — ჯუჯა, უბადრუკი, მუნჯი, მასხარა. დიდხანს ვსდიე და ვუთვალთვალე. მერმე საღამოს შვიდ საათზე ჩავუჯექი და მეორე დღეს თორმეტ საათზეღა ავდექი. ასე დაიბადა „ჩანჩურა“... ერთ საწყალს რამდენიმე საწყალი მოჰყვა („უპატრონო“, „თავდავიწყება“, „მეჩქმე გაბო“, „კურკას ქორწილი“) და ეს მოტივი — დაჩაგრული და უბედური — ოცი წლის დუმილის შემდეგაც მრავალჯერ გავიმეორე. შეუძლებელია არ განმეორებულყო, ვინაიდან მწერლისათვის სიბრალეული და თანაგრძნობა იგივეა, რასაც თითები წარმოადგენს ოსტატ შეჩონგურესათვის“.

მიხეილ ჯავახიშვილის ეს მოთხრობები ნათელი ჰუმანიზმით, ცხოვრებისაგან დაჩაგრულთა და დაწიხლულთა მიმართ დიდი ადამიანური სიყვარულითა და თანაგრძნობით არის გამთბარი. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მოთხრობებში მწერალი უბრალოდ სიბრალულს კი არ გამოხატავს, არამედ იმდროინდელი სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ თავის შეურიგებლობასაც აშკარად გვაგრძნობინებს.

ამ წლების ზოგიერთი მოთხრობა, მაგალითად — „უპატრონო“ და „ეკა“ („თავდავიწყება“) უშუალოდ ეხმაურება

ქართულ კლასიკურ ლიტერატურას. მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში ბევრი ნაწარმოები დაიწერა ბატონების, შემდეგ კი მემამულეების აღვირახსნილობაზე, ახალგაზრდა გლეხი ქალების ტრაგიკულ ხვედრზე, რომლებიც თავიანთი მებატონეების ცხოველური ინსტიქტების მსხვერპლნი ხდებიან. ეს მარტო წარსულისათვის არ იყო დამახასიათებელი. ახალ ვითარებაში ამ აღვირახსნილობამ ოდნავ იცვალა ფერი, გარეგნულად უფრო უკეთ იქნა შენიღბული, სხვა მხრივ კი იგი არაფრით განირჩეოდა ბატონყმობის ხანის სისასტიკისა და სიბილწისაგან. ყოველივე ეს მხატვრულად საინტერესოდ და დამაჯერებლად გვითხრა მიხეილ ჯავახიშვილმა „უპატრონოთი“ და „ეკათი“. ამ მხრივ განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს მოთხრობა „უპატრონო“. ამბის ტრაგიკული განვითარება და დასასრული, გმირების სულიერი მღელვარებისა და განცდების ღრმა ფსიქოლოგიური მოტივირება მოთხრობას დიდი მხატვრული ზეიქმედების ძალას ანიჭებს. მკითხველი მოწამე ხდება უპატრონო გლეხის გოგოს ნუცას ტრაგიკული ხვედრისა. ეს თვინიერი, ჩუმი და მოკრძალებული მოახლე გოგო გარეგნულად მორჩილად იტანს ბატონიშვილის ვნებათა აშლას. შემდეგ მკედელ პავლეზე ძალად გათხოვებას, ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას, იგი თითქოს შეგუებულია თავის უუფლებო ყოფას. მაგრამ. ამასთანავე, მწერალი ღრმად გვახედებს ამ გარეგნულად მშვიდი ადამიანის აბოზოქრებულ გულში, მისი ადამიანური ღირსების შელახვით მოზღვაებული განცდების მოზიარედ გვხდის და იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ეს გარეგნული სიმშვიდე მხოლოდ მორჩილება უუფლებო, დამცირებული, ცხოვრებისაგან გათელილი ადამიანისა. თუმცა ყველაფერს საზღვარი აქვს და უპატრონო. მორჩილი ნუცაც, როდესაც პირველ და უკანასკნელ ნუგეშს წაართმევენ, როდესაც ეჭვით გამხეცებული პავლე ბავშვს მოუქლავს, სასოწარკვეთილი, ცხოვრების უსამართლობისადმი პროტესტის ნიშნად, თავს იკლავს. ასეთი იყო ხვედრი გათელილი, შერცხვნილი, ცხოვრებისაგან დაწიხლული ყმა ქალისა ბატონყმობის პერიოდში. ასეთივეა ხვედრი ობოლი ნუცასი მეოცე საუკუნის დასაწყისშიც. ამავე თემაზე — უპა-

ტრონო, ღარიბი, მოახლე ქალის ხვედრზე დაწერილი მეორე მოთხრობაც „ეკა“, თუმცა მას აკლია ის მამხილებელი პათოსი, გრძნობათა სიმძაფრე, ღრმა დრამატიზმი, რომელიც ასე ძლიერად განაცდევინებს მკითხველს ნუცას ბედს მოთხრობიდან „უპატრონო“, „ეკაში“ სხვა ხასიათის გმირებთან გვაქვს საქმე. მოთხრობის გმირსაც და დედამისსაც განათლებული, დემოკრატი ადამიანების სახელი აქვთ მოხვეჭილი. მაგრამ როგორც კი ეს ახალგაზრდა ვაჟი მომხიბვლელსა და სათნოს, თუმცა მოახლე გოგოს დაუკავშირდება, სოციალური მდგომარეობით შეზღუდული შეგნება მაშინვე თავს იჩენს და ეს „დემოკრატი“ ქალბატონი მშვიდად, ყოველგვარი სინდისის ქეჭნის გარეშე, გააძევებს ეკას სახლიდან, განათლებული ვაჟიც უხმოდ ემორჩილება დედის განაჩენს. მოთხრობა საინტერესოა შიგ ჩაქსოვილი შეფარული აზრით, რომ განათლება საერთოდ არ ცვლის სოციალური უთანასწორობით. კლასობრივი ნიშნით განსხვავებული ადამიანების დამოკიდებულებას. ეს მოთხრობა ბევრწილად ეხმაურება ქართულ კლასიკურ მწერლობას. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი თემატური და პრობლემატური მსგავსება ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქერივთან“.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ეს მისი მოთხრობიდან ჩანს, არ კარგავდა იმედს, რომ მებატონეებსა და გლეხებს შორის ოდესღაც ჩატეხილი ხიდი განათლებისა და ცივილიზაციის წყალობით გამრთელდებოდა და მათ შორის ჰუმანურ პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობა დამყარდებოდა. როგორც ჩანს, სულ ორი ათეული წელი აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ სინამდვილეს ეს ილუზია საბოლოოდ უკუეგდო. საზოგადოებრივი აზრის განვითარების და კლასთა ბრძოლის თეორიის გავრცელების თვალსაზრისით, ეს ბოლო ორი ათეული წელი მე-19 საუკუნისა მეტად მნიშვნელოვანი იყო. ამიტომ, რომ მიხეილ ჭავჭავიშვილს აღარა სჭერა თავადსა და გლეხს შორის ჰუმანური ურთიერთობის დამყარების, მათი ნებაყოფლობითი თანასწორუფლებიანობისა.

მიხეილ ჭავჭავიშვილის ადრინდელი მოთხრობებიდან გამოირჩევა „ეშმაკის ქვა“, რომელიც მწერლის შემოქმედების

ღირითადი თემატიკისა და ინტერესების ფარგლებს გარეთ რჩება. მიხეილ ჯავახიშვილი თვითონვე აღნიშნავს, რომ ეს მოთხრობა სულ სხვა მოტივისაა და იგი გუსტავ ლებონის „ბრბოს ფსიქოლოგიამ“ დააწერია. თუმცა ამ მოთხრობას მარტო მწიგნობრული საფუძველი როდი აქვს; მწერალი იმასაც აღნიშნავს, „ხალხის სამართლის“ სცენა კი ჩემივე თვლით ვნახე ცხინვალშიო. ეს მოთხრობა არ არის სოციალურად ისე მახვილი, როგორც მწერლის სხვა მოთხრობები. მიუხედავად ამისა, მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ ჩაქოლავს გლეხობა თანასოფელს ავკაცობისა და მკვლევლობისათვის, დიდი ინტერესით იკითხება, რადგან მწერალი ამ ფსიქოლოგიურად საინტერესო ამბავს მხატვრულ ფაქტამდე აპაღლებს.

მოთხრობაში ღრმად არის მოტივირებული ხალხის განაჩენი: ბოროტებისათვის, ავაზაკობისათვის რამდენჯერმე შეიპყრო ხალხმა დათა, მეტსახელად „მგლის ლეკვი“, მაგრამ სასამართლომ ყოველთვის გაამართლა და გამოუშვა. ხალხიც ამიტომ, თვითონ გამოუტანს განაჩენს და აღასრულებს კიდეც მას, როდესაც დათას ქვრივი დედაკაცის მკვლელობაზე წაასწრებს. მოთხრობაში მხოლოდ აქ იჩენს თავს იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ავტორის კრიტიკული დამოკიდებულება. ხალხი იძულებულია თვით დასაჯოს დამნაშავე, რადგან მართლმსაჯულება არ არსებობს. მთავარი მოთხრობაში მაინც ახალგაზრდა ქველმოქმედი ქალის სოფიოს განცდების ფსიქოლოგიური და მხატვრული ანალიზია. სიკეთისა და სათნოების განსახიერებაა სოფიო, მაგრამ ხალხის აღტყინებას აყოლილი, მის ნებასურვილს დამორჩილებული, ისიც ესვრის ერთადერთ ქვას დათას. მერე კი კომუნარივით დააწვება თავისი საქციელი გულზე, მწვავედ განიცდის თავის მოქმედებას და ამ ნიადაგზე დაავადებული ილუზება. თითქოს სანანებელი არაფერი უნდა ჰქონდეთ, რადგან სამართლიანი განაჩენის აღსრულებაში მიიღეს მონაწილეობა, მაგრამ ჩაქოლვის შემდეგ ყველა ჩუმად გაიპარა, ყველამ მეტ-ნაკლებად იგრძნო თავისი უშუალო დამოკიდებულება მომხდართან და დათას სიკვდილიც, რაკილა იგი ადამიანების მიერ იყო გამოტანილი და არა მართლმსაჯულებისაგან, მა-

ინც დანაშაულად ესახებოდათ. სოფიო კი თავისი მძაფრა ემოციურობისა და მომხდარის ღრმად გაანალიზების საფუძველზე ფსიქიკურად დაავადდა და გადააყვა კიდეც დარღს.

* * *

ჩვენს მიერ აღნიშნული მოთხრობები, მიუხედავად მათი მეტ-ნაკლები მხატვრული ღირსებისა, მაინც არ განსაზღვრავენ მიხეილ ჭავჭავიძის აღრინდელი შემოქმედების მთელ დამსახურებას ქართული ლიტერატურის განვითარებაში. ისინი უშუალოდ უკავშირდებიან მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობას თავისი თემატიკით, მხატვრული კომპონენტებით, რაც მთავარია, იმ მეთოდით, რომლითაც არიან დაწერილი. მიხეილ ჭავჭავიძის მთავარი დამსახურება ის გახლავთ, რომ მან თავიდანვე მიაგნო იმ სიახლეს, რომელიც ახასიათებდა, მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას და თავის პიროველ მოთხრობებში წარმოსახვის ობიექტებად ადამიანთა ახალი ურთიერთობა, ახალი ყოფა გაიხადა. მისი მოთხრობები „ჩანჩურა“, „მეჩქმე გაბო“, „კურკას ქორწილი“ კაპიტალისტური საზოგადოების მიერ დანერგილ ეთიკურ ნორმებს უხსნის მკითხველს. მიხეილ ჭავჭავიძელმა ამ მოთხრობებში მხატვრულად გადაგვიხსნა კაპიტალისტური ცხოვრების წესის ანტიპუმანისტური ბუნება, ამ ფორმაციის მიერ მოტანილი მგლური კანონი, რომელმაც ადამიანი, პიროვნება არარაობად აქცია და ფულის ფეტიში დანერგა.

სწორედ ეს თემატიკური სიახლე, რომელმაც განსაზღვრა მწერლის კრიტიკული რეალიზმის თავისებურებებიც, ამ მოთხრობების დიდი მამხილებელი პათოსი, მიმართული ბურჟუაზიული ცხოვრების წესის მთელი სიმახინჯის წინააღმდეგ, შეადგენს მიხეილ ჭავჭავიძის აღრინდელი შემოქმედების უპიროველეს ღირსებას. ამ მხრივ მიხეილ ჭავჭავიძის შემოქმედება ეხმაურება დიდი რუსი მწერლების — ჩეხოვისა და გორკის შემოქმედებას.

მიხეილ ჭავჭავიძის ამ მოთხრობების გმირები ჩანჩურა, კურკაც და სხვებიც ბურჟუაზიული საზოგადოების

ცხოვრების წესის პასიური მსხვერპლნი არიან, ამ მხრივ მათ ჩეხოვის გმირებთან უფრო მეტი აქვთ საერთო, ვიდრე გორკის გმირებთან. მაგრამ სამყარო, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, ის სამყაროა, რომელიც რუსულ ლიტერატურაში პირველად გორკიმ მოიტანა და ამით შეაძრწუნა მკითხველი საზოგადოებრიობა. მაქსიმ გორკიც და მიხეილ ჯავახიშვილიც, იმისათვის რომ გააშიშვლონ ბურჟუაზიული ცხოვრების წესის მანკიერებანი, თვალნათლივ და მხატვრულად ძლიერი შთაბეჭდილების მქონე გახადონ ამ ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის მთელი სიმახინჯე, ხშირად მიმართავენ ცხოვრების ფსკერის ადამიანებს, მათ, ვინც ასე სასტიკად გათელა სოციალურმა უსამართლობამ. ისინი თავიანთ მოთხრობებში წარმოგვისახავენ ცხოვრების ამ უღმობელი მდინარებისაგან გარიყულ ტიპებს. მოხეტიალეებსა და მათხოვრებს, დაჩაგრულებსა და დაწიხლულებს. ეს გარემოება უთუოდ აახლოვებს ამ ორ მწერალს. ამიტომაც წერდა მიხეილ ჯავახიშვილი თავის ავტობიოგრაფიაში, რომ „ჩემი სამწერლო მოღვაწეობის პირველ ხანაში გორკის ერთგვარ გავლენას განვიცდიდიო“. ამ მხრივ აგრეთვე საინტერესოა მიხეილ ჯავახიშვილის წერილი გორკისთან შეხვედრებზე. მწერალი იგონებს, როგორ ნახა მან, ჯერ კიდევ მოსწავლემ, 1900 თუ 1901 წელს გორკი ყირიმში და რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ამ შეხვედრამ. „მხოლოდ ორიოდ წლის შემდეგ ვიგდებელთ გორკის მოთხრობები,—წერს მიხეილ ჯავახიშვილი,—და ხარბად დავეწაფე. ყველაფერმა გამაოცა და გამიტაცა: მისმა წერის ძალამ, ახალმა თემამ, ახალმა სამყარომ, ანალნაირმა სახეებმა, წერის დახვეწილობამ, ენის სიმართლემ, სისადაცემ, გამჭვირვალობამ, ტიპების ასახვის მანერამ, მისმა ორიგინალობამ და ფილოსოფიამ. ამგვარი რამ ჯერ არ წამეკითხა. ავტორი ხალხის ფსკერში უძლიერეს ტიპებს პოულობდა, რომელნიც არსებულ მორალს და წესწყობილობას ძირფესვიანად აზანზარებდნენ და ყველაფერს უარყოფდნენ... გორკიმ რამდენიმე დღეში დამიპყრო და მას შემდეგ მისი უდიდესი პატივისმცემელი გავხდი“¹.

¹ მიხეილ ჯავახიშვილი, „ოთხი შეხვედრა“, „ლიტერატურული გაზეთი“, 1956 წ., 22 ივნისი.

მწერლის ეს მოგონებები და მისი პირველი მოთხრობების ტიპაჟი ბოლომდე გვარწმუნებენ იმაში, რომ იგი თავისი წემოქმედებით უთუოდ ენათესავებოდა გორკის. თუმცა, ამ ორი მწერლის ადრინდელი შემოქმედება ბევრი რამითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. უპირველეს ყოვლისა, ეს განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ გორკის მოთხრობების გმირები, „ფსკერის“ ადამიანები ხშირად არა მარტო თავისუფლებას მონატრულნი, არამედ თავისუფლებისათვის სტიქიურად ამბოხებულნიც არიან, რაც არ ითქმის ჭავახიშვილის გმირებზე. ეს უკანასკნელი მხოლოდ პასიური მსხვერპლნი არიან ცხოვრების უსამართლობისა.

მიხეილ ჭავახიშვილის პირველივე მოთხრობა „ჩანჩურა“ სწორედ ასეთ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება. მწერალი დიდი ადამიანური თანაგრძნობით გვიყვება ბედშავი ჩანჩურას ტრაგიკულ თავგადასავალს. თავისი ფიზიკური ნაკლის გამო ჩანჩურა ყველას დასაციინი და აბუჩად ასაგდები გამხდარა, ამის გამო კი სულიერადაც დაცემულა, ადამიანის სახე დაუკარგავს. იგი მათხოვრობითა და ბრბოს გამახალისებელი მანქვაგრებით შოულობს ლუკმა პურს. შემაზრზენია ის სცენა, სადაც ნაჭერი ხორცის გამო ბაზრის ვაჭრუკანები ჩანჩურასა და ძალღს აჩხუბებენ. არავის შესტიკვა გული ამ საცოდავ არსებაზე, არავის აღელვებს ადამიანური ღირსების ასეთი გათელვა, ადამიანისადმი ასეთი პირუტყვეული დამოკიდებულება.

ერთადერთი ადამიანი, რომელიც განიცდის ჩანჩურას ტრაგიკულ ხვედრს, ამ მოთხრობაში თვითონ ავტორია. ეს, საერთოდ, დამახასიათებელია მიხეილ ჭავახიშვილის ამ პერიოდის მოთხრობებისათვის. მისი გმირები, სოციალური უსამართლობით დაჩაგრულნი და გაუბედურებულნი, მარტონი არიან თავისი დიდი მწუხარებითა და დარდით, მათი ადამიანური განცდები არავის აღელვებს, არავისში არ იწვევს თანაგრძნობას. ასეთია ნუცაც, ეკაც, კურკაც, ჩანჩურაც. მხოლოდ მწერალს შესტიკვა მათზე გული, მათ ირგვლივ მყოფი ადამიანებიდან კი თითქმის არავის. ამით ავტორი კიდევ უფრო მძაფრად აგრძნობინებს მკითხველს, თუ რა მგლური კანონები მოიტანა თან ახალმა საზოგადოებრივმა ფორმა-

ციამ, როგორ დაავიწყა მან ადამიანს თავისი ადამიანური მოვალეობა, როგორ ჩაკლა მასში კაცთმოყვარეობის გრძნობა, როგორი ზღვარი დადო სოციალურად, ქონებრივად განსხვავებულ ადამიანთა შორის.

მოთხრობა „ჩანჩურა“ მკვეთრი სატირული ხასიათის ნაწარმოებია, რომლითაც მწერალმა უკიდურესად გააშიშვლა იმდროინდელი საზოგადოების ანტიქუმანური ხასიათი. თვით ჩანჩურას სიკვდილმაც კი ერთი წამითაც არ ჩააფიქრა ბრბო, ერთხელაც არ გამოიწვია მასში არამცთუ სინდისის ქენჯნა, სიბრალულის გრძნობაც კი. რამდენიმე წუთის წინ ბაზრის ხალხი ჩანჩურას ამასხარავებდა, ახლა კი იმავე სიტყვებით ქუჩის ძაღლს აქეზებდა და თან გულიანად იცინოდა. თითქოს არაფერი მომხდარა, თითქოს მათ თვალწინ სულ ახლახან არ ფართხალებდა სისხლში საწყალი ჩანჩურა, რომელიც მათ გამო მოჰყვა დროგის ქვეშ. არავინ ფიქრობდა ჩანჩურაზე, გარდა უბნის პოლიციელისა. მან ჩანჩურას სახელი და გვარი ვერ დაუდგინა ბოქაულს და მხოლოდ ერთი რამ ადარდებდა. ერთი აზრი უტრიალებდა თავში: „ახლა კი ნამდვილად გამაგდებენ, უეჭველად გამაგდებენ, თუ ამალამვე ორი ქურდი ან ერთი „სიცილისტი“ არ დავიჭირე. დილაზე ნამდვილად გამაგდებენ, უეჭველად გამაგდებენ“.

ჩანჩურაზე უკეთესი ხვედრი ცხოვრებაში არც კურკას ხედა წილად (მოთხრობა „კურკას ქორწილი“). მართალია, იგი ფიზიკურად ისეთი მახინჯი არ არის, მაგრამ თავისი მდგომარეობით, ყოფით, ბედით ჩანჩურასაგან არ განსხვავდება. კურკაც უფულო და ამდენად უუფლებო ადამიანია, ეს კი საკმარისია იმისათვის, რომ ისევე დასცინოს ბრბომ, ისევე გასთელოს ფეხქვეშ, როგორც ჩანჩურა. მუნჯი ჩანჩურა და მტყველი კურკა ბრბოსათვის ერთია, რადგან არც ერთს ფული არა აქვს. ჩანჩურასაგან განსხვავებით, კურკას მეტი მისწრაფება აქვს ადამიანური ცხოვრებისაკენ, ცდილობს დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწიოს, მაგრამ ამას მარტო სურვილი არ ყოფნის. ფული კი კურკამ წლების მანძილზე მხოლოდ გროშები დააგროვა. მხოლოდ ერთი დღე იყო კურკა ბედნიერი, როდესაც მას ცოლი შერთეს, მაგრამ იმავე დამეს მიხვდა, რომ დარჩომ თავისი მეძავი ქალი შეაჩეჩა ხელში.

მერე კი, როდესაც კურკას ის გროშებიც დასტყუა და ქალიც მობეზრდა, დარჩომ ორთავე ქუჩაში გაყარა. კურკაც კვლავ ბრბოს სამათხოვრო და სამასხარაო, საცოდავ არსებად იქცა.

კურკას და ჩანჩურას ვინ დაინდობდა ისეთ საზოგადოებაში, სადაც ხანუმამ, საროსკიპოს პატრონმა, თავისი მშველელიც კი ჯერ გააკოტრა და მერე გასწირა (მოთხრობა „მეჩექმე გაბო“). მიხეილ ჯავახიშვილი საროსკიპოს ცხოვრების შემაზრზენ სურათებს გვიხატავს, რომელიც ზნეობის, პატიოსნების, ადამიანობის ნიშანწყალსაც არ ატარებს. ასეთ ფონზე კი საოცრად მკვეთრად იხატება მეჩექმე გაბოს ბედი, რომელიც იმდენად არ აღელვებს მკითხველს, რამდენადაც ანცვიფრებს. მეჩექმე გაბო შეძლებული ხელოსანია, შეგირდებითა და დიდი სახელოსნოთი. იგი საროსკიპოდან გამოიყვანს ხანუმას, თვითონ მას გახდის საროსკიპოს პატრონად, ქალებსაც შეურჩევს, მთელ თავის ფულს შეაღწევს და ბოლოს, როდესაც როლები შეიცვლება, ხანუმა გამდიდრდება და გაბო გაკოტრდება, ამ უკანასკნელს, ხანუმას ბრძანებით, კიბეზე დააგორებენ. იმ დროს, იმ საზოგადოებაში, სადაც საკუთარ კომპანიონებსა და მეცენატებს არ ინდობენ, სადაც ფულია ერთადერთი საზომი ყველაფრისა, ლაპარაკი პუმანიზმზე და ქველმოქმედებაზე ტყუილი წყლის ნაყვია და მეჩექმე გაბოს შემდეგ სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს კურკასა და ჩანჩურას ტრაგიკული ბედი.

მიხეილ ჯავახიშვილის ეს მოთხრობები დიდი მამხილებელი პათოსითაა გამსჭვალული. მწერალი თავის ამ პირველ ნაწარმოებებშივე დასრულებული რეალისტი ოსტატის ხელით ქმნის კოლორიტულ სურათებს ბაზრობისა, ქორწილისა, საროსკიპოსი, სადაც თამაშდება ადამიანური ღირსების დამამცირებელი ტრაგიკული სცენები. მიხეილ ჯავახიშვილი მკაცრი რეალისტური თვალით ხედავს ცხოვრების მთელ მანკიერებას, ყოფით სცენებში გვიხსნის საზოგადოებრივი ცხოვრების მოუჩინებელ წყლულებს.

ჩანჩურას, კურკას, გაბოს ხვედრი თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს, მაგრამ არანაკლებ მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველებზე მთელი ის გარემო, რომელშიც უხდებათ ყოფნა გმირებს. ბაზრის ვაჭრუკანების, როსკიპი ქალებ-

ბის, წვრილი ხელოსნების ხელოვნური, ნაძალადევი სიმხიარულე, ისტერიული სიცილ-ხარხარი, ეს არის განწირულთა ცდა — დაივიწყონ თავისი საკუთარი ხვალისდელი ბედი, უმრავლესობას იგივე ელის, რაც ჩანჩურას თუ გაბოს, რომელთაც დღეს თვითონ დასცინიან და აბუჩად იგდებენ. მწერალმა ვერაფერი დაინახა ადამიანური მათ ცხოვრებაში და ამიტომაც თავის მოთხრობებში დაუნდობელ სატირას მიმართა. „ჩანჩურაში“, „კუჩკას ქორწილში“, „მეჩექმე გაბოში“ ჩვენ ჯერ ვერ ვხედავთ მწერლის იმ სითბოსა და ლირიზმს, ერთგვარ გულჩვილობასაც, რომელიც გვიანდელ პერიოდში ზედისაგან დაჩაგრულთა ცხოვრებაზე შექმნილ მოთხრობებში ძლიერად იჩენს თავს. მიხეილ ჯავახიშვილმა ამ ციკლის მოთხრობებში მკაცრი განაჩენი გამოუტანა იმ დროს, იმ ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

* * *

მიხეილ ჯავახიშვილის ადრინდელ შემოქმედებაში თავისი თემატიკით გამოირჩევა მოთხრობა „ჯილდო“. მწერალმა თავისი მოთხრობებით, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში შექმნა, ძირითადად გვიჩვენა ის სამყარო, რომელიც გვარწმუნებს რევოლუციური გარდაქმნების აუცილებლობაში, რომელიც ღირსია დამსხვრევისა, უარყოფისა. როგორც დამყაყებული, უკიდურესი ეგოიზმით, ადამიანის სიძულვილით გამსჭვალული სამყარო. ასევე ძლიერად და შთამბეჭდავად არ ასახულა ჯავახიშვილის მოთხრობებში ის ახალი, მზარდი ძალა, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ეს დიადი მისია ძველის ნგრევისა და ახლის შენებასა. გორკის მთელი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან იმდროინდელი ცხოვრების ეს ორივე მხარე თანაბარი სიძლიერით წარმოგვისახა თავის ადრინდელ შემოქმედებაში. ამ მხრივ მიხეილ ჯავახიშვილის ოქტომბრის რევოლუციამდელი შემოქმედება უფრო ცალმხრივია, ნეგატიურია. მხოლოდ ერთი მოთხრობა „ჯილდო“ უძღვნა ავტორმა რევოლუციური აზვირთების უშუალო გამოხატვას. აქაც მწერალს უფრო ფსიქოლოგიური მომენტი აინტერესებს, — უდანაშაულო

მკვლელის განცდები, მაგრამ მთელი ფაქტურა მოთხრობისა რევოლუციურ სინამდვილეს ემყარება და, ამდენად, ამ ფსიქოლოგიური საკითხის მხატვრულ გარკვევასთან ერთად, მიხეილ ჯავახიშვილმა ეპოქის საინტერესო სურათი დაგვიხატა.

მოთხრობაში „ჯილდო“ ნათლად ჩანს რევოლუციური განწყობილების მომძლავრება არა მარტო მუშათა კლასში, არამედ ჯარისკაცებშიც, რომლებიც ისეთივე მშრომელ ფენას, მაშვრალთა კლასს წარმოადგენენ. მუშებს სჯერათ იმისა, რომ ჯარისკაცები არ ესვრიან და, მართლაც, ეს უკანასკნელნი, მიუხედავად თავიანთი ოფიციალური სამსახურისა, ამბოხებულების მხარეზე არიან. გიორგი ჯიხაძეს, რომელსაც ამ შეტაკების დროს უნებლიედ შემოაკვდება ახალგაზრდა მუშა, თავისი საუკეთესო მეგობრებიც კი ზურგს შეაქცევენ. გიორგი ჯიხაძეს არ მიუძღვის ბრალი მუშის მოკვლაში, ეს უკანასკნელი თვითონ წამოეგება ხიშტს ჭიდილის დროს, მაგრამ გიორგი მაინც მძიმედ განიცდის ამ ამბავს. მას ხელებს სწვავს ოქროს თუმნიანი, რომელსაც ჯილდოდ მისცემენ ერთგული სამსახურისათვის. გიორგი მოკლულის ეზოში ჩუმად შეაგდებს ამ თუმნიანს, თვითონ კი სოფლის გზას გაუდგება.

გიორგი ჯიხაძე უთუოდ ამრავალფეროვნებს მიხეილ ჯავახიშვილის ადრინდელი მოთხრობების გმირების გალერეას. იგი მწერლის ადრინდელი მოთხრობების ერთ-ერთი საინტერესო დადებითი გმირია, რომელიც ნათლად გამოხატავს მშრომელი ხალხის საუკეთესო თვისებებს. მწერალი ჰუმანიზმს მხოლოდ დაბეჩავებულ, დაჩაგრულ ხალხში ხედავდა და ამიტომაც ამ დიადი ადამიანური გრძნობის გამომხატველები მოთხრობებში სწორედ ის გმირები არიან, რომლებიც მშრომელ ხალხს გვისახიერებენ, რომელთა სიმპათიებიც სოციალური უკულმართობით წელში გატეხილი ადამიანებისა-კენაა მიმართული. ასეთად წარმოგვიდგება ჩვენ თვით მწერალი, ხოლო კონკრეტული მხატვრული სახეებიდან — ნუცა, ეკა, სოფიო. ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, რომელთაც დიდი ადამიანური გული აქვთ, მაგრამ პროტესტის უნარი კი არა, გიორგი ჯიხაძე უფრო აქტიურია. იგი გარბის ყაზარ-

მიდან და ამით გამოხატავს აქტიურ პროტესტს იმ დიდი უსამართლობის წინააღმდეგ, რომლის ტრაგიკული გამოვლენის უშუალო მონაწილეც თვითონ გახდა.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკას არ დარჩა შეუემჩნეველი მიხეილ ჯავახიშვილის ნიჭიერება, მასში სამართლიანად ხედავდნენ ქართული ლიტერატურის ტრადიციების გამგრძელებელს. მწერლის პირველსავე მოთხრობებს გულთბილად შეხვდა საზოგადოებრიობა. პირველი მოთხრობის დაბეჭდვიდან უკვე ორი თვის შემდეგ, კრიტიკოსი ზანგი (გიორგი რცხილაძე) „ცნობის ფურცელში“ ვრცლად იხილავს „ჩანჩურას“ და მაღალ შეფასებას აძლევს მას. იმ დროის გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე, 1908 წელს, „ფსაკუნჯის“ მესამე ნომერში მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებს არჩევდა და სამართლიანად აღნიშნავდა: „იმ მწერალთა შორის, რომელთაც რევოლუციის ეპოქაში იჩინეს თავი, ყველაზე დიდი ყურადღების ღირსია ადამაშვილი (მ. ჯავახიშვილის ფსევდონიმიცა, — გ. გ.), რომელსაც უეჭველი ნიჭი აქვს მხატვრისა და თავისებური მანერა წერისა“.

3

1907 წელს მიხეილ ჯავახიშვილი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო, ერთხანს პარიზის უნივერსიტეტში სწავლობდა ლიტერატურასა და ხელოვნებას. აქ დაწერა მან თავისი ადრინდელი შემოქმედების უკანასკნელი ნიმუში „ეშმაკის ქვა“ და მას შემდეგ როგორც მწერალი თხუთმეტ წელიწადს სდუმდა. ბევრს ეგონა, მიხეილ ჯავახიშვილი სამუდამოდ ჩამოსცილდა მწერლობასო, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო ცხოვრების ღრმად შესწავლის, მასალის დაგროვების წლები. მიხეილ ჯავახიშვილმა, პარიზის შემდეგ, ევროპის ქვეყნები შემოიარა და 1909 წელს სხვისი პასპორტით დაბრუნდა საქართველოში, სადაც კვლავ ჟურნალისტობას მოჰკიდა ხელი. 1910 წელს იგი დააპატიმრეს და ბრალდებად წლების მანძილზე მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობა წაუყენეს, ერთხანს მეტეხის ციხეში ამყოფეს,

შემდეგ კი კავკასიიდან გადაასახლეს. ჭავჭავიძე 1913 წლამდე როსტოვში ცხოვრობდა, მერე კვლავ დართეს ნება თბილისში დაბრუნებულიყო, სადაც სხვადასხვა დაწესებულებებში მსახურობდა. პირველი მსოფლიო ომის წლებში იგი წითელი ჯვრის სამსახურში შედის. ჭავჭავიძემ ამ თხუთმეტი წლის მანძილზე ბევრი იმოგზაურა უცხოეთში და თავის სამშობლოშიც, ბევრი რამ ნახა და განიცადა. „მწერალმა, ნამეტან კი პროზაიკოსმა, — წერდა ჭავჭავიძე, — ბევრი უნდა იმოგზაუროს, რათა ყველაფერი ნახოს, განიცადოს, გაიგოს, მოისმინოს და შეისრუტოს, თორემ ვისაც ბევრი არა მიუღია რა. ის ბევრს ვერც მოგვცემს“¹.

ამ თვალსაზრისით, ცხოვრების ღრმად შესწავლის მხრივ, ეს წლები ჭავჭავიძელისათვის მეტად ნაყოფიერი იყო. მით უმეტეს, რომ ჭავჭავიძელს არასოდეს უფიქრია ხელი აეღო თავის მოწოდებაზე და ახალი რომანებისა და მოთხრობებისათვის გულმოდგინედ იმარაგებდა დაკვირვებით მიღებულ შთაბეჭდილებებს. „ერთი მხრივ მე ბედნიერი მწერალი ვარ: ძალიან ბევრი მივლია და მინახია, განმიცდია და გამიგონია, ამიტომ ავტობიოგრაფიული დუღაბი (დაკვირვებაც და ჩანაწერებიც მისი ნაწილია) საკმაოდ მომეპოვება“², — ამბობდა მიხეილ ჭავჭავიძე. ეს არ იყო ლიტონი განცხადება: ჭავჭავიძელის მთელი შემოქმედება ნათელი დადასტურება იმისა, თუ რა ღრმად იხედებოდა იგი ცხოვრებაში და როგორ არჩევდა ნანახსა და განცდილს თავისი შემოქმედებისათვის.

მიხეილ ჭავჭავიძელს ეკუთვნის ერთი ფრიად საინტერესო წერილი — „როგორ ვმუშაობ“, რომელიც მკვლევარს და, საერთოდ, მკითხველს მწერლის შემოქმედებითი ინტერესებისა და შრომის შესახებ ბევრ საყურადღებო ცნობას აწვდის. ჩვენთვის ამ წერილითაც ნათელია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მიხეილ ჭავჭავიძე ცხოვრებასთან ახლო

¹ მ. ჭავჭავიძე, „როგორ ვმუშაობ“, „მნათობი“, 1933 წ., № 10. გვ. 191.

² იქვე.

ყოფნას, ხალხთან უშუალო კონტაქტს, შემოქმედების პირველსაწყის მასალას — სინამდვილეს. „დაკვირება და ავტობიოგრაფია, — აქვე აღნიშნავდა მწერალი, — განუყრელად არის ერთმანეთში ჩახლართული. განცდილი და საკუთარი თვალთ ნანახი ისევე არა ჰგავს მოგონილს, როგორც სულიერი უსულოს“. ჭავჭავიძემ კარგად ესმის, რომ მხოლოდ ნანახი და განცდილი ჯერ კიდევ არ ქმნის მწერალს, ამას სხვა, უმთავრესი და მიუგნებელი რამ — ნიჭი სჭირდება, მაგრამ „ნაძალადევად მოგონილმა მასალამ... ზოგი უდავოდ დიდი მწერალიც დაამარცხა“ და ამიტომ უშუალოდ განცდილი ნანახი და მოგონილი ერთმანეთს როგორც სულიერი და უსულო ისე დაუპირისპირა.

როგორც მწერალი გადმოგვცემს, მას ადრეც ცხოვრებაში უნახავს თავისი ლიტერატურული გმირები, ჩანჩურაც, ზეჩქემე გაბოც, კურკაც, ლამბალოც, ყაშაც, აბდულაც, ჭაყოც, კვაჭიც, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ნარევი, სინთეზური ტიპია. მიხეილ ჭავჭავიძე ილი თვით ისტორიული რომანის გმირებისთვისაც კი რეალურ ადამიანებს, თავის ახლობლებსა და ნაცნობებს იყენებდა პროტოტიპებად. მისი ღრმა რწმენით, „პროტოტიპი ძლიერ ეხმარება მწერალს. თუ მას თვალწინ ცოცხალი ნაცნობი უდგია, მისი ტიპიც ცოცხალი გამოვა“, ამიტომაც „არსენა მარაბდელის“ გმირებს თითქმის ყველას გამოუძებნა პროტოტიპები. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ერთადერთი და აუცილებელი ხერხი ისტორიული ჟანრის ნაწარმოების ლიტერატურული გმირების სახის შექმნისა, თუმცა საკმაოდ ბევრი გამოჩენილი მწერალი იყენებდა მას და ჭავჭავიძელის ამ რომანის წარმატებასაც უთუოდ დიდად შეუწყო ხელი.

ასე რომ, თხუთმეტი წლის ღუმილი მწერლისათვის არ იყო დაკარგული დრო და მომდევნო თხუთმეტი წელიწადში უხვი და ნაყოფიერი შემოქმედებით ცხოვრება იმ ღუმლის წლებში ინტენსიური შრომით, მდიდარი მასალის დაგროვებით აიხსნება.

1923 წელს მიხეილ ჭავჭავიძემ დაწერა და გამოაქვეყნა კიდევ მოთხრობა „ტყის კაცი“, რომელიც სათავეს უდებს მწერლის, შემოქმედებითი ბიოგრაფიის მეორე პერი-

ოდს. მას შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილი ზედიზედ აქვეყნებს მოთხრობებსა და რომანებს.

„ტყის კაცში“, ერთი შეხედვით, მწერალს ალალმართალი და შრომისმოყვარე პავლეს ოჯახის ტრაგიკული ბედი უნდოდა ეჩვენებინა მხოლოდ. მაგრამ მოთხრობის მიზანდასახულობა გაცილებით უფრო დიდია და მნიშვნელოვანი. დაკვირვებულ მკითხველს არ გამოეპარება მწერლის სათქმელი, რომელიც ადამიანისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების რთულ და მარადიულ საკითხს ეხება. პავლე მეუღლის სიკვდილის შემდეგ თავის ორ შვილთან ერთად ტყეში გადასახლდება. იგი მოსცილდება სოფელს, ამდენად ცხოვრებას და ცდილობს თავისი საკუთარი სამყარო შექმნას. პავლე მხნე, პატიოსანი, მართალი, გამრჩე ადამიანია, შეძლებს კიდევ დოვლათით სავსე კერა გაიჩინოს. პავლე შორს არის სოფლისაგან და მას არც აინტერესებს იქაური ცხოვრება. თითქოს მიზანს მიაღწია, მაგრამ მალე დასჭირდება სოფლის დახმარება. ბავშვი ავად გაუხდება და მეუღლის სიკვდილით ერთხელ უკვე დაშინებული მხნე ვაჟკაცი უცებ გატყდება. პავლე თვითონ მაინც არ ბრუნდება სოფელში, უმცროს ვაჟს გამოატანს ავადმყოფს. უკან დაბრუნებისას პავლეს შვილებს საბედისწერო შემთხვევა იმსხვერპლებს და გაგიჟებული პავლე ცეცხლს მისცემს თავის განმარტოებულ სახლკარს, თვითონ კი ტყე-ტყე დაძრწის და დაღუპულ ბავშვებს უხმობს. მოთხრობა დიდი ადამიანური ტრაგედიაა სავსე და მწერალიც იშვიათი ოსტატობით გვიხსნის პავლეს მძიმე განცდებს. შემადრწუნებელია პავლეს ორთაბრძოლა ბუღასთან. მამა და მკვლელი, ადამიანი და პირუტყვი, ორი მოსიხსლე მტერი ებრძვის ერთმანეთს მთელი სოფლის თვალწინ და მხოლოდ შურისძიების გრძნობა გაამარჯვებინებს პავლეს. იგი სწორედ გოგიას საფლავზე დასცემს სასიკვდილოდ დაჭრილ ბუღას. ეს მოთხრობა მშობლიური სიყვარულის აპოლოგიაა. თითქოს ეს არის ერთადერთი რამ, რის თქმაც ჩვენთვის მწერალს უნდოდა, მაგრამ მთავარი სათქმელი აქ გაცილებით უფრო ღრმად დევს და თუ ჩვენ პავლეს ტრაგედიის მიზეზებს დაუფიქვებთ ძებნას, იმ დასკვნამდე მივალთ: რომ იგი არ უნდა მოწყვეტოდა სოფელს, არ უნდა გასცლო-

და ადამიანებს, საზოგადოებას. ამდენად, მოთხრობის მთავარ დანიშნულებად სწორედ ამ აზრის გამოხატვა და დამკვიდრება უნდა მივიჩნიოთ.

ოციან წლებში, როდესაც მიხეილ ჭავჭავაძის მწერლობას დაუბრუნდა, რთულად იდგა კლასიკური მემკვიდრეობის საკითხი. სიმბოლისტებიც, ფუტურისტებიცა და რაპსულებიც სხვადასხვა ფრაზებით და სხვადასხვა პოზიციებიდან, მაგრამ ერთნაირი გულმოდგინებით უარყოფდნენ კლასიკური ლიტერატურის ტრადიციების დიდ მნიშვნელობას. ქართულ მწერლობაში მიხეილ ჭავჭავაძის იყო ერთ-ერთი იმათგანი, ვინც რევოლუციური გარდაქმნების პათოსმა ყველაფრის უარყოფამდე არ მიიყვანა. იგი ყოველთვის ერთგული იყო ქართული კლასიკური მწერლობის რეალისტური ტრადიციებისა, 900-იან წლებშიც, როდესაც პირველ მოთხრობებს წერდა, ოციან წლებშიც. ეს პირველსავე მოთხრობაში „ტყის კაცი“ გამოჩნდა და თავის უკანასკნელ ნაწარმოებშიც—რომანში „ქალის ტვირთი“. მიხეილ ჭავჭავაძის: მუდამ დაბეჭითებით მოუწოდებდა ახალგაზრდა ქართულ საბჭოთა ლიტერატურას თავის დიდ მასწავლებლად ჰყოლოდა კლასიკური ლიტერატურა. დაყრდნობოდა მის მდიდარ ტრადიციებს, განსაკუთრებით კი ესწავლა აზრის მხატვრული გამოხატვა, რაც ასერიგად აკლდა ახალ მწერლობას. იგი წერდა: „კლასიკოსებთან დაკავშირებით შემდეგი მინდა ვთქვა: აგიტყა საკმაოდ ჭიუტად ბოგინობს ამ ქვეყანაზე. მისი ერთადერთი იარაღი ნაჭახია. ვისწავლოთ კლასიკოსთაგან რდებურ-ესთეტიკური ნაჭვარის შექმნის უმაღლესი ხელოვნება—აი ის რთული და ძნელი გზა, რომლითაც შევძლებთ შემოქმედებით ევერესტზე ასვლას“¹.

მოთხრობა „ტყის კაცი“, რომელშიც ასე შეფარვითაა გადმოცემული რთული ფილოსოფიური საკითხი ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებისა, ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა შეახამოს მწერალმა სახის აზრობრივი და მხატვრული ფუნქცია. ამ მწერალური ნიჭიერების ნიმუშად მიხეილ ჭავჭავაძის ბევრი მოთხრობა და რომანი

¹ „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1933 წ., 11 ნომბერი.

გამოდგება. მიხეილ ჭავჭავიძევილი მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით ებრძოდა იმ მავნე ტენდენციებს, რომელიც ქართული მხატვრული პროზის განვითარებას აფერხებდა ოციან წლებში. ეს იყო, ერთი მხრივ, ფორმალისტურ-დეკადენტური ძიებები და, მეორე მხრივ, უსულგულო ნატურალიზმი. ერთმაც და მეორემაც მცირე ზიანი როდი მიაყენა ქართულ ლიტერატურას. გარდა ამისა, ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ბევრს ვნებდა იმ მწერალთა შემოქმედება, რომელნიც თავიანთ ყურადღებას ახალ ცხოვრებას უთმობდნენ, თუმცა მხატვრული წარმოსახვის თვალსაზრისით პრიმიტიულ დონეზე იდგნენ და ნაკლები ნიჭიერებისა თუ გამომსახველობითი ხერხებისადმი თავისი გულცივობის გამო ვერ ამალდნენ ქეშმარიტ მწერლობამდე. მიხეილ ჭავჭავიძევილისათვის ერთნაირად მიუღებელი იყო მხატვრული სახის თვითმიზნად გადაქცევის პრინციპიც და ჭანსალი იდეების პრიმიტიული გადმოცემაც, იგი დაბეჭდვით მოითხოვდა ახალი იდეების სათანადო მხატვრულ ყალიბში მოქცევას¹.

* * *

მიხეილ ჭავჭავიძევილის მოთხოვნები თემატიკისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით მრავალფეროვანია, მწერალს ერთნაირად აინტერესებს ადამიანის მორალურ-ზნეობრივი საფუძვლებიც, მისი ყოფაც ახალ ისტორიულ პირობებში, გრძნობაცა და განცდაც, მისი დამოკიდებულებაც რევოლუციასთან. ადამიანის ვალი სამშობლოს, ხალხის, ოჯახის, მეგობრების, ახლობლების წინაშე მწერლის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ასევე მრავალფეროვანია მწერლის მოთხოვნების ტიპაჟიც, იგი გვიხატავს ცხოვრებისაგან გზა-აბნეულ ადამიანებსაც, რომელნიც ვერ გარკვეულან რევოლუციის რთულ ეპოქაში, იმათაც, ვისთვისაც ყოველი ეპოქა საინტერესოა მხოლოდ ერთი თვალსაზრისით — რა საშუალებასა და გზებს სთავაზობს ბნელი საქმიანობისათვის,

¹ მიხ. ჭავჭავიძევილი. ლიტერატურული განცხადება, „ლიტერატურული გაზეთი“, 1959 წ., 10 აპრილი.

მწერლის მოთხრობებში ვხედავთ დიდი ადამიანური გულის მქონე გმირებსაც, რომელთათვის ზნეობრივი სიწმინდე და სიმართლის ძიებაა მთავარი, ვხედავთ მათ საპირისპირო ტიპებსაც, რომელნიც ბოროტებისა და სიძულვილის მთესველნი არიან მხოლოდ, მაგრამ ყოველი მოთხრობა, რა თემასაც არ უნდა ეძღვნებოდეს, ადამიანის რა საწყისსაც არ უნდა განოხატავდეს — ბოროტსა თუ კეთილს, დიდი მოქალაქეობრივი შეგნებითა და გრძნობითაა გამსჭვალული და მასში მკითხველი ხედავს მწერალს, რომელიც „პირუთენელი და ბეჭითი მოსამსახურეა ერის“.

მიხეილ ჭავჭავაძის დიდი ადამიანური სიტბოთი და სევდით მოგვითხრობს ამ ადამიანთა ბედზე, რომელთა ცხოვრებაც დროის სიმკაცრის გამო დრამატიზმით, ხოლო ხშირად ტრაგიზმით არის სავსე. მწერლის გმირები მოქმედებენ საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით მეტად რთულ პირობებში, პირველი მსოფლიო ომის, რევოლუციის, ძველის სგრევისა და ახლის შენების დროს და ბევრი მათგანის ბედი რაევე რთული გასარკვევია, როგორც იმდროინდელი ცხოვრება. ბოროტისა და კეთილის ბრძოლა ყველაზე მწვავედ სწორედ ასეთი ისტორიული ქართვეილების დროს მიმდინარეობს და მწერალიც მთელი თავისი მხატვრული სიტყვით. თბილისა და ნუგეშისმცემელით, თუ ცივითა და მამხილებელით, კეთილის ქომაგად დგას. მიხეილ ჭავჭავაძის მთელი სიმპათია ბედისაგან დაჩაგრულთა მხარეზეა და მისი დადებითი გმირებიც, სიკეთისა თუ ჰუმანიზმის მატარებელნი. სწორედ ეს უბრალო ადამიანები არიან.

მოთხრობები „ლამბალო და ყაშა“ და „მესამე“, რომელიც უშუალოდ პირველი მსოფლიო ომის წლების ცხოვრებას ეხება (ეს ეპოქა სხვა მოთხრობებშიც და რომანებშიც აქვს მწერალს გახსნილი) ეძღვნება იმათ, ვისი ცხოვრებაც ასე უღმობლად დაანგრია ომის ხანძარმა. „ლამბალოსა და ყაშას“ შესავალი თავი, რომელშიც მწერალი აზერბაიჯანის ერთი ნაწილის, ურმიის ისტორიას გადმოგვცემს რომანტიკულ ფერებში, მკითხველს უხსნის მთელ იმ უბედურებას, რაც ყოველთვის მოჰქონდათ და მოაქვთ ომებს. ამ ტერიტორიის მოსახლე ძველი და დიდებული სახელმწიფოების ბედი, რო-

მელნიც ასერიგად გასთელა და დაანგრია დრომ, განუწყვეტელმა ომებმა, ბევრისმეტყველია და მწერალსაც (მწერალი აქ თვითონ, პირველი პირით მოგვითხრობს) და მკითხველსაც ერთგვარი სევდით ავსებს. ეს სევდიანი უვერტიურა მწერალს იმისათვის სჭირდება, რომ ერთი უბრალო ადამიანის ლამბალოს ტრაგიკულ ხვედრთან დაკავშირებით ახალი ომის მთელი საშინელება განზოგადებულად გახსნას და გვიჩვენოს.

ამ ვრცელ მოთხრობაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძალა, ბოროტი და კეთილი. დაჩაგრული, დამონებული ქვეყნის ტერიტორიაზე იწლება მოქმედება და ბოროტი და კეთილი საწყისების კონკრეტული განსახიერებანიც ამ ერის შვილები არიან. ლამბალო ერის, ხალხის საუკეთესო თვისებების მატარებელი დადებითი გმირია. თავისი უშუალოებით, სიფაქიზით, გრძნობათა სიწმინდით, თავისუფლებისმოყვარე სულით იგი ხიბლავს მკითხველს და მის გულწრფელ სიმპათიებს იმსახურებს. სამაგიეროდ, ყაშა იმ გადაგვარებულ ადამიანთა მხატვრული, განზოგადოებული სახეა, რომელთაც პირადი კეთილდღეობისათვის ყველაფრის, თავისი ოჯახისა და სამშობლოს გაყიდვაც არაფრად უღირთ. ყაშა მბრძანებლის მონაა და დაჩაგრულის მბრძანებელი, იგი ფეხქვეშ ეგება კოლონიალისტებს და ფეხით სთელავს თავის თანამემამულე უბრალო ადამიანებს. მისი დასმენით ბევრი იღუპება, მათ შორის იღუპება ლამბალოც, რომელიც მხოლოდ თავის ადამიანურ უფლებებს იცავს. ამ მოთხრობით მწერალმა გაცილებით მეტი გვითხრა, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. ლამბალო არა მარტო თავის პირად ტრაგედიას, არამედ, რაც მთავარია, ერის ტრაგედიას გვიხსნის, ერისა, რომელიც კოლონიურ მდგომარეობაში იმყოფება. თავისი სამშობლოს უბრალო, ადამიანური სიყვარული არ აპატიეს ლამბალოს და არ აპატია სწორედ თავისივე ერის გადაგვარებულმა შვილმა. მწერალი დიდი მხატვრული ძალით გვიხსნის ყაშას სახეს, რომელიც ერის გამყიდველის, ბოროტების, არაადამიანურობის განზოგადებულ, სიმბოლურ სახეს წარმოადგენს. სამართლიანად შენიშნავს პროფ. დიმიტრი ბენაშვილი, რომ „ვისაც უნდა დამპყრობლის ბუნება გაიგოს და მისდამი სი-

ბუღილით განიმსკვალოს, მან უსათუოდ უნდა წაიკითხოს მოთხრობა „ლამბალო და ყაშა“. მართლაც, ლამბალოცა და ყაშაც, ორივე, ერთი თავისი სიკეთითა და მეორე თავისი ბოროტებით, ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის მთელი სიმახინჯის მამხილებელი სახეა. ერის საუკეთესო თვისებები, რომელსაც ატარებს ლამბალო, კოლონიალური პოლიტიკით გასათელია და დასათრგუნნი, ხოლო წასაქეზებელი და მხარდასაჭერია ის ბილწი ძალა, რომელსაც ყაშა და მისი მსგავსნი წარმოადგენენ. კოლონიალიზმის ამ დიდი მამხილებელი პათოსით მიხეილ ჭავჭავიძის მოთხრობა „ლამბალო და ყაშა“ სცილდება ომის თემატიკის ჩარჩოებს და დიდ მოქალაქეობრივ, პატრიოტულ ელერადობას იძენს.

ამ თვალსაზრისით, შედარებით უფრო ვიწროდაა შემოფარგლული მოთხრობა „მესამის“ პრობლემა. ეს ნაწარმოებოც პირველი მსოფლიო ომის თემატიკას ეძღვნება. მწერალმა აქ არ მიმართა ისეთ დიდ განზოგადებებს, როგორსაც „ლამბალოსა და ყაშაში“ და თავისი ინტერესების სფერო ომის საშინელების კონკრეტული გამოხატულებით განსაზღვრა. ეს არის აღსარება ქართველი ქალის ირინესი, რომელიც წერილით უმხელს მეგობარს თავის ტრაგიკულ ბედს. ირინესაც ელოდა ბედნიერება თავის მეუღლესთან ჟან შოვერთან ერთად, პირველი მსოფლიო ომი რომ არ დაწყებულიყო. ომმა კი ერთბაშად დაანგრია ირინეს ბედნიერება და მისი აღდგენა ერაფრით მოხერხდა. იქ, საფრანგეთში, ელის თავის უნუგუნო აღსასრულს კუტი ჟან შოვერი, აქ, საქართველოში, მარტოდმარტო დარჩა თავისი დანგრეული ცხოვრებით ირინე, ვაეი კი შოვერის მშობლებმა წაართვეს დედას. ერთი ოჯახის ფონზე გვიხსნის მწერალი იმ ტრაგედიას, რომელიც ომს მოაქვს ათასობით ირინეებისა და ჟანებისათვის.

„მესამეში“ მწერალი მოგვითხრობს ახალგაზრდა ლამაზი ქალის რომანულ ურთიერთობებზეც, ზოგჯერ ერთგვარად კიდევ აშიშვლებს მის გრძნობებსა და ვნებას, მაგრამ ირინე მიუხედავად მისი მძიმე თავგადასავლისა, ხიფათითა და განსაცდელით სავსე ცხოვრებისა, ზნეობრივად შეურყვენელ ადამიანად რჩება. რომანულ ინტრიგებზე მიხეილ ჭავჭავიძის რამდენიმე მოთხრობა აქვს აგებული: „შურის მაძიებელი“,

„ოქროს კბილი“, „ყბაჩამ დაიგვიანა“, „მუსუსი“, „პატარა დედაკაცი“, „კურდღელი“, „ცხრა ქალწული“ და სხვ. აქ არის მოღალატე ქმარზე შურისძიებაც, საყვარელი ადამიანისათვის თავგანწირვაც, გაუმხელელი გრძნობის დრამატული განცდაც, დანგრეული სიყვარულის განახლებაც, ლალათით გამოწვეული შედეგების ტრაგიკული განცდაც, უბრალოდ მრუშობაც. მიუხედავად იმისა, თუ რაზეა მოთხრობა აგებული, ამალელებულსა და კეთილშობილურ სიყვარულზე თუ ქვენაგრძნობებსა და თუნდაც მრუშობაზე, მწერალი ყოველი თავისი ნაწარმოებით ადამიანებში წმინდა გრძნობის, მაღალი ზნეობის განმტკიცებისათვის იღწვის. ამ ყაიდის მოთხრობები მწერალს მძაფრ სიუჟეტურ ღერძზე აქვს აგებული, ამიტომაც ისინი ინტერესით იკითხება, თუმცა ყველა ერთნაირად ამალელებელი და ძლიერი ზემოქმედების არ არის.

ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ აღნიშნა მიხეილ ჯავახიშვილის ამ თემატური რკალის მოთხრობების მაღალი ზნეობრივი საფუძველი, თუმცა იგივეს გამეორება მოთხრობა „მუსუსის“ მიმართ რატომღაც გაუჭირდა, ცალკეულმა კრიტიკოსებმა კი ეს მოთხრობა მწერლის მარცხდაც მიიჩნიეს. თუ ამ ციკლის მთელი რიგი მოთხრობები მწერალს ერთგვარი მინორული ტონით აქვს დაწერილი („ყბაჩამ დაიგვიანა“, „ოქროს კბილი“ და სხვა), „მუსუსი“ მხიარული იუმორითა და სიცოცხლითაა სავსე. ეს მოთხრობაც არანაკლებ გვიმტკიცებს ქეშმარიტი, უანგარო სიყვარულის მშვენიერების რწმენას, ვიდრე მწერლის სხვა მოთხრობები. თავისი ხუმრობითა და სილალით სოფელში განთქმულ მიხას შეყვარებულს — ფეფელოს სხვაზე ათხოვებენ, რადგან მიხას თვალი და ტანი არ აკლია, მაგრამ სამაგიეროდ აკლია ქონება: მიხა და ფეფელო ზევრს ეცდებიან თავისი ბედის გადაწყვეტას, მაგრამ ქალის მშობლებს უკვე ჰყავთ შერჩეული უნდილი და მდიდარი საქმრო. მთელი სოფლის (და მკითხველისაც) სიმპათია ამ ორი ახალგაზრდა ლამაზი შეყვარებულისკენაა. მუსუსი გაიტაცებს ფეფელოს. მდევრები, ქალისა და საქმროს ნათესავები, ადრე გაუგებენ განზრახულს და ყველა გზას მოუჭრიან. მიხა საბძელში შეასწრებს მდევრებს და ქალ-ვაჟი ერთადერთ გამოსავალს მიმართავს. საქმრო უარს ამბობს შერცხვენით

საცოლზე და მიხასა და ფეფელოს ახლა აღარაფერი ელობება წინ. მიხასაც და ფეფელოსაც მხოლოდ უბრალო და დიდი ადამიანური სიყვარული ამოძრავებთ, რომელსაც წინ სოციალური უთანასწორობა ელობება და ამ დაბრკოლებასთან ბრძოლის დროს თუ ისინი გამარჯვების ერთადერთი საშუალების წინაშე აღმოჩნდებიან და მიმართავენ კიდევ მას. ეს მრუშობად არ ჩაეთვლებათ.

მოთხრობა ცოცხლად, დინამიურად არის დაწერილი, იგი სავსეა სოფლის ცხოვრების კოლორიტული სურათებით, მოსწრებული დიალოგებით, ლაღი იუმორითა და სიახლით.

ეს მოთხრობა 1925 წელსაა დაწერილი და თუმცა მოქმედების დრო მწერალს აშკარად არა აქვს მინიშნებული, მაინც შეიძლება შეუმცდარად ითქვას, რომ სწორედ 20-იანი წლების ქართული სოფლის ცხოვრებაა აქ წარმოსახული. ამ დროს სოციალური უთანასწორობა ჯერ კიდევ არსებობდა და ილიერ დალსაც ამჩნევდა გლეხთა ფსიქოლოგიას, მაგრამ მისი საფუძველი უკვე საკმაოდ შერყეული იყო, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციურმა გარდაქმნებმა ახალი სული, განწყობილება, იდეები შეიტანა სოფლად. სწორედ ამიტომაცაა, რომ თუ სოციალური უთანასწორობის გამო ადრე სიყვარული მარცხდებოდა და ამაზე აგებული ლიტერატურული ნაწარმოები ტრაგიკული ჟღერადობისა იყო, ახლა მწერალს, რომელსაც კარგად ესმის ცხოვრებაში მომხდარი გარდაქმნები, ძველის გამოძახილს ასე თამამად შეუძლია დასცინოს.

* * *

მიხეილ ჭავჭავაძის მოთხრობების „მართალი აბდულაჰ“, „ორი განაჩენი“, „ორი შვილი“ გმირებს საერთო ისა აქვთ, რომ ისინი კაცისმკვლელები არიან. მწერალს მათი დანაშაული კი არ აინტერესებს, არამედ ის, თუ რამდენად მართალი ან მტყუანი არიან ისინი თავიანთი სინდისისა და ადამიანების წინაშე. ამ თვალსაზრისით კი ჩვენ სულ სხვადასხვა ბუნებისა და სიმართლის გმირებთან გვაქვს საქმე. მწე-

რალი მხოლოდ ეთიკური პრინციპებით უდგება მათ საქციელს და ეს საფუძველი მათი დანაშაულის განსჯისა უფრო ადამიანური, უფრო სწორია, ვიდრე იურიდიული. მწერალი თავისი გმირების შინაგანი განცდებისა და ფარული ზრახვების გახსნით უფრო ნათლად გვაგებინებს მათ დანაშაულსა თუ სიმართლეს, ვიდრე ის ფაქტები, რომლებსაც მართლმსაჯულება ეყრდნობა და ამიტომ საკუთარი სინდისის მიერ გამოტანილი. განაჩენი უფრო ობიექტურია, ვიდრე ოფიციალური.

ქართულ ლიტერატურაში მიხეილ ჭავჭავაძის „მართალი აბდულაჰ“ ერთ-ერთ საუკეთესო ნოველადაა აღიარებული. ეს დიდი შეფასება ნოველამ მართო თავისი უზადო მხატვრული ღირსებით კი არ დაიმსახურა, არამედ თავისი დიდი ეთიკური სიწმინდითა და სიძლიერითაც. მოქმედების დრამატული განვითარება, მართალი აბდულაჰის ტრაგიკული ბედი იმდენად იტაცებს მკითხველს, რომ თითქოს თავდაპირველად ვეღარც ვაქცევთ ყურადღებას ნოველის მხატვრულ ღირსება-ნაკლოვანებებს. სწორედ ამამია ნაწარმოების დიდი მხატვრული სიძლიერე: მხოლოდ მოგვიანებით გამოგვაქვს დასკვნები, როდესაც ჩვენი ემოციები განსჯის უნარს უთმობს ადგილს. მართალი აბდულაჰის ბედი ჩვენ იმიტომ გვაღელვებს ასერიგად, რომ მწერალმა დიდი ოსტატობით გაგვიხსნა მისი სულიერი სამყარო და დაგვარწმუნა კაცისმკვლელის ადამიანურ სიმართლეში.

აბდულაჰი ერთი მთავარი გმირია ამ ნოველისა და მწერლის მთელი ყურადღება ამ უშუალობით, უბრალობით, პატიოსნებით სავსე მიაშიტი თათრის სულის გახსნაზეა გადატანილი. ნოველის დასაწყისშივე, როდესაც ჩვენ ეხედავთ სასამართლოში ამ ზორბა ტანის, გულუბრყვილო და კეთილი გამომეტყველების ბორჩალოელ თათარს, ვადევნებთ თვალს მის უშუალო მიმიკასა და ქესტიკულაციას. გვესმის მისი კუთხური ჟარგონით სავსე ცოცხალი მეტყველება, გულიდან ამომხდარი წრფელი ფიცი, რომელსაც იქვე გვითარგმნის თვითონ დამტვრეული ქართულითა და რუსულით, ჩვენ გვჯერა, რომ იგი მართალია. აბდულაჰი მართლაც არ სტყუოდა, მას არ გაუძარცვავს გლეხები,

არც კაცი მოუკლავს, მაგრამ ვერ ამტკიცებს თავის სიმართლეს, რადგან ნაქურდალი სახლში უპოვნეს. აბდულაპს სჯერა თავისი სიმართლისა და ჰგონია, რომ მოსამართლეებიც დაუჯერებენ, ამიტომ ანუგეშებს გულწრფელად თავის საყვარელ დედას და ცოლს, რომელთაც მისი პატარა შავი ბიჭიც ზურგზე აკიდებული თან მოუყვანიათ. მოსამართლეებისათვის აბდულაპის ფიცი ბევრს არ ნიშნავს და ათი წლით პატიმრობას მიუსჯიან. მართალი აბდულაპი ერთი ოცნებით იხდის სასჯელს, რომ როგორმე ოჯახი არ დაენგრეს. მაგრამ ეს ოცნება არ აუხდება. უპატრონოდ დარჩენილ ოჯახს ნელ-ნელა გაქურდავენ და გააპარტახებენ. დედა დარდს გადაჰყვება. აბდულაპი ცოლსა და შვილს შენატრის, მაგრამ. როდესაც სასჯელის მოხდას სამი თველა უკლდა, შეიტყობს. რომ მის ოჯახს რაღაც უბედურება ეწია და ეს უწყინარი პატიმარი ერთ დღეს, ყველასათვის მოულოდნელად ციხიდან გაიქცევა. სოფელში სახლის ნაცვლად ნანგრევებიდა დახვდება და შეიტყობს, რომ ცოლი სხვასთან გაქცეულა. კეთილი აბდულაპი კაცისმკვლელი ხდება, იგი სამაგიეროს მიუზღავს თავის ბიძაშვილს, ვის გულისთვისაც ტყუილუბრალოდ იხდიდა სასჯელს, ვისი მუხანათობითაც დაენგრა ოჯახი. სისხლში მოსვრილი აბდულაპი ბრუნდება ციხეში. ნოველის ფინალში ისევ ის სასამართლო და უკვე სხვა აბდულა, კაცისმკვლელი აბდულაა ჩვენს წინ. აღარც ცოლი და შვილი, ზის მარტოდმარტო, მოდუნებული, მსაჯულების წინ და მხოლოდ ერთსა სთხოვს მათ, ერთი ტყვია გაიშეტონ საწყალი აბდულაპისათვის. როდესაც. სასიკვდილო განაჩენის ნაცვლად, მას გაამართლებენ, აბდულაპი კვლავ ის ძველი ექსპანსიური აბდულაპი ხდება, კვლავ აროხროხდება და ამეტყველდება და დანგრეული ცხოვრების პატრონს ახლა ისლა ახარებს, რომ მის შინაგან, ადამიანურ სიმართლეს მიუხვდნენ.

სხვა განაჩენი და სხვა ბედი ხვდა წილად მეორე კაცისმკვლელს, ბაჩილას (მოთხრობა „ორი განაჩენი“). ბაჩილას, ამ სოფელს გულუბრყვილო ბიჭს ძმა შემოაკვდა ქალის გამო, რომელიც თურმე უბრალოდ როსკიპი ყოფილა. მას კი ოცნებად ესახებოდა. მარტოდმარტოა ბაჩილა. დედ-მამა.

გ. გვერდწითელი

მაც კი არ აკითხავს ძმის მკვლელს. ბაჩილას გაამართლებს სასამართლო, მაგრამ მას არაფერ ელოდება. დედ-მამა, ჩუ-მად რომ ისხდნენ დარბაზის კუთხეში, ცივად გაბრუნდებიან სოფელში. მიდის გაამართლებული ბაჩილა და გულს უღრ-ღნის ტყუილი, რომელიც მან სასამართლოში თქვა. მართა-ლია, მას ძმის-მოკვლა სულაც არ უნდოდა, როდესაც სარა მოუქნია, თუმცა იმ ქალთან წაასწრო, რომელთანაც თვი-თონ ჩუმიად დაიპარებოდა, მაგრამ ძმას არ შემოუყარავს მისთვის ხელი. ბაჩილა მაინც მტყუანია თავისი სინდისის წინაშე და ამიტომაც ჩამოიხრჩობს თავს საკუთარ ეზოში. მიხეილ ჭავჭავიძე დიდი შინაგანი თანაგრძნობით გვიხა-ტავს ბაჩილას სახეს, რადგან ბაჩილა საბედისწერო შემ-თხვევის მსხვერპლია და არა ბოროტმოქმედი. მწერალი უშუალოდ ერევა მოქმედების განვითარებაში და ერთგვარად ესაუბრება, ამხნეებს თავის გმირს. ეს მიხეილ ჭავჭავიძე-ლის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხატვრული ხერხია¹, რო-მელსაც მწერალი ალალმართალი, უბრალო და უდანაშაულო გმირების მიმართ იყენებს (მოთხრობები „მდევარი“, „კურ-დღელი“ და სხვა). როდესაც ბედისწერა გმირებს სიკვდილს უქადის, მწერალი თითქოს ამ ჩართული მიმართევებით ცდი-ლობს ააცდინოს ისინი დაღუპვას. მაგრამ ბედისწერას მაინც თავისი გააქვს და ეს ავტორისეული მიმართვები მხოლოდ მკითხველის ემოციებზე ახდენს გავლენას.

ეს ავტორისეული სიტბო აღარ იგრძნობა ნოველაში „ორი შვილი“, რადგან აქ უკვე სულ სხვა ბუნების გმირებ-თან გვაქვს საქმე. თუ აბდულაჰი და ბაჩილაც მართალნი იყვნენ და ერთი სხვისმა ბოროტებამ დაღუპა, ხოლო მეო-რე კი ბედისწერამ, ზურაბი თვითონ არის ბოროტი გულის ადამიანი, მკვლელი და მწერალიც მის შესახებ სულ სავა, ცივი ტონით მოგვითხრობს. მხოლოდ ერთხელ, ნოველის ბო-ლოს შეეცვლება რისხვა სიბრაღულით ზურაბის თანასოფ-ლელებს და, როგორც ჩანს, თვით ავტორსაც, როდესაც ზურაბი თავისივე ხელით სიბნელეში შეცდომით მოკლული

¹ ეს სამართლიანად აღნიშნა ვიორჯი ნატროშვილმა, იხ. მისი წე-რილი „მიხეილ ჭავჭავიძე“, „ცისკარი“, № 1, 1962 წ.

ორი შეილის ცხედარს დააქვრდება და შემოილი ბოდვას დაიწყებს.

„დაგეწევა ჩემი ცოდო, დაგეწევა!“ — ახსენდება ზურაბს მოკლული მეცხვარის უკანასკნელი სიტყვები, რომელიც ასე სასტიკად აუხდა მას. ეს რწმენა „ბედი — მღევარისა“, რომელსაც ვერსად დაემალეები, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებში და რომანებში ხშირად სქვივის („ლამბალო და ყაშა“, „მღევარი“, „მესამე“, „ხუთის ამბავი“, „გივი შადური“). „ბედი — მღევარის“ ფატალურ რწმენას მწერლის შემოქმედებაში არა ერთი გმირი ატარებს. თითქოს ამით არის შეცვლილი ზოგჯერ მოვლენებისა თუ გმირის ცხოვრების ბედუქუდმართობის სოციალური მოტივირება და ახსნა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მწერლის მთელ რიგ მოთხრობებში (მათ შორის, ზემოთ დასახელებულ და გაანალიზებულ მოთხრობებშიც) ნაკლებად შეიმჩნევა გმირების ხასიათისა თუ ფსიქიკის, მოქმედებისა თუ ნააზრევის მათი სოციალური მდგომარეობით ახსნა და მხატვრული დასაბუთება. ამ მყარ და დამაჯერებელ საფუძველს კი ვერ შეცვლის ფატალური „ბედი — მღევარი“, რომელსაც არცთუ ისე იშვიათად მიმართავს მწერალი.

* * *

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში ძლიერად არის გამოკვეთილი მშობლიური კუთხის, ერის, მიწა-წყლის სიყვარული, რომელიც განსაკუთრებით სტანჯავს უცხოეთში გახიზნულ ქართველს. როგორც ჩანს, მწერალმა თვითონ მძაფრად განიცადა ეს გრძნობა ემიგრაციაში ყოფნის დროს, მაშინაც, როდესაც იგი გაასახლეს საქართველოდან. გარდა ამისა, მიხეილ ჯავახიშვილის ღრმა რწმენით, სამშობლოს სამსახური უპირველესი მოვალეობაა ადამიანისა. საინტერესოა, ამ მხრივ, ის ათი მცნება, რომელიც მან თავის ქალიშვილს დაუწერა. ამ ათი მცნებიდან პირველი ოთხი სწორედ სამშობლოს წინაშე ადამიანის მოვალეობის საკითხს ეხება და იგი ასე იწყება: „შენ ხარ მარადიული, განუყრელი და

ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელ საქართველოსი“¹. რაკილა ეს მწერლის უპირველესი მცნებაა, გასაგებია მისი თანაგრძნობა და სიბრალული იმ ადამიანებისა, რომლებიც ზედს განუშორებია, განუყრია სამშობლოსათვის. ეს მოტივი, დაუოკებელი ლტოლვა თავისი მშობლიური ქვეყნისაკენ მიჩეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებთა უმეტეს ნაწილში იჩენს თავს (მოთხრობები: „მესამე“, „ხუთის ამბავი“, „ფინჯანი“: რომანები: „გივი შადური“, „თეთრი საყელო“ და სხვა).

ალვა ჯათარიძე (მოთხრობა „ხუთის ამბავი“) თავის მშობლებთან და ცოლ-შვილთან ერთად რევოლუციის ბობოქარ დღეებში განწირული ადამიანის გამმაგებით მოიწევს საქართველოსაკენ, რომელსაც დიდი ხნის წინ მეფის სამსახურის გამო მოაცილეს. მეფის არმიის გენერალს თავისი ჯარისაგური მოვალეობა კი არ აწუხებს, არამედ მოვალეობა მშობლიური ქვეყნის წინაშე და მოიწევს მისკენ ხან ფეხით და ხან სატვირთო ვაგონით, მოაბიჯებს ცეცხლსა და წყალში მშვიერი, მწყურვალი, შიშველი. ელუპება გზაზე მამა, დედა, ცოლი, ეკარგება შვილი, მაგრამ ის მაინც ჯიუტად მოიწევს და მხოლოდ დარიალში შედგება, როდესაც საკუთარ ქვეყანაში შემოიხედავს. ნათავადარი და ყოფილი გენერალი ასეთ აღსარებას ამბობს: „ჩემი თავგადასავალი დაგარწმუნებთ, რომ ამ სასწაულმა (რევოლუციამ,—გ. გ.) ჩემზე უფრო მძლავრად იშვიათად თუ ჩასწიხლა ვინმე. მაგრამ—გეფიცებით ჩემს ერთადერთი შვილის, მზეს, მე არ ვსწყევლო მას. ყოველივე მქონდა და აღარაფერი არ შემარჩინა. სამაგიეროდ ისეთი რამ დამიბრუნდა, რაც სამუდამოდ დაკარგული მეგონა: მე ჩემს ქვეყანაში ვარ. ჩემს ხალხში ვცხოვრობ“... ჯურხა წიკლაური (რომანი „თეთრი საყელო“) გერმანიაში იყო სასწავლებლად წასული, როდესაც პირველმა მსოფლიო ომმა მოუსწრო, ვერაფერმა დააკავა ეს მთიელი ვაჟკაცი, ვერც ტყვეობამ, ვერც ომის სიძნელეებმა, და ბევრი განსაცდელის გამოვლით იგი უბრუნდება თავის სამშობლოს. არც ირინე (მოთხრობა „მესამე“) მოხიბლა პარიზმა იმდენად, რომ საკუთარი ქვეყანა დავიწყებოდა. მარ-

¹ იხ. ჟურნალი „ცისკარი“, № 1, 1957 წ., გვ. 106.

ტო ბრუნდება იგი საქართველოში, მის პატარა ვაჟს ფრანგი მამის ოჯახში იძულებით სტოვებენ. თუმცა ეს ლტოლვა სამშობლოსაკენ ძლიერად არის გამოხატული ამ ნაწარმოებებში, ისინი მაინც ძირითადად სხვა თემებზეა დაწერილი. მიხეილ ჭავჭავაძის აქვს რამდენიმე ნაწარმოები, რომლებსაც საფუძვლად სწორედაც ეს დიადი გრძნობა და მოვალეობა უდევს. მათ შორის აღსანიშნავია მოთხრობები „მიწის ყივილი“ და „ფინჯანი“.

„მიწის ყივილი“, მიუხედავად იმისა, რომ პატარა მოთხრობაა მოცულობით, თავისი მხატვრული ზემოქმედების ძალით ერთ-ერთი საუკეთესოა მიხეილ ჭავჭავაძის შემოქმედებაში. ესაა ერთი გადაგვარებული ქართველის ტრაგიკული ისტორია. მწერალი საფრანგეთის პატარა მყუდრო ქალაქ ნოჟანში შეხვდება ოთხმოცდარვა წლის მოხუცს—ანდრე კაშორს. ანდრე კაშორი შეძრწუნებული გაურბის მას და მწერალსაც და მკითხველსაც ეს ღრმად მოხუცებული ადამიანის აკვიატებულ უცნაურობად ეჩვენება. მხოლოდ მოგვიანებით ირკვევა მოხუცის უცნაური საქციელი, მან მწერალს ქართული წიგნი უნახა და ეს დიდი განსაცდელი იყო მისთვის, რადგან ძველი, მიუჩინებელი ტკივილი განუახლა. ამ მოხუცის თავგადასავალი საბოლოოდ გვიხსნის ყველაფერს. იგი ძველი ტერორისტი, რომელიც მეფის რუსეთის კატორღიდან გაიქცა და ბევრი განსაცდელისა და ხეტიალის შემდეგ საფრანგეთში დასახლდა. მას ჰყავს შვილები და შვილიშვილები, რომელთა დათვლაც კი უჭირს, მხოლოდ ახლა გაახსენა მას წიგნმა, რომ იგი ქართველია, ანდრო კაიშაური. მიხეილ ჭავჭავაძის, საერთოდ, სიუჟეტის დიდი ოსტატია და აქაც ისე აგებს მას, რომ მკითხველს სულ უფრო და უფრო ძლიერად იპყრობს და აღელვებს ამ მოხუცი, მრავალჭირნახული ადამიანის ბედი. „იმდენი ვიხეტიალე, რომ დედამამის სახელიც დამავიწყდა“, — ამბობს კაიშაური და ამ რამდენიმე სიტყვაში ადამიანის უდიდესი ტრაგედიაა ჩატეული. იმ დღიდან მოხუცი მხოლოდ საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებით ცოცხლობს. იგი მზადაა მიატოვოს შვილები, შვილიშვილები და დაბრუნდეს იქ, სადაც არც ნათესავეები ჰყავს, არც ნაცნობები, მაგრამ სადაც არის მისი მიწა, მისი ხალხი.

და, უცხად, მოხუცს, რომელსაც აღარაფერი ახსოვდა. თვალწინ დაუდგება ანანური, თავისი ეზო, თავისი ბავშვობა და მოულოდნელად სუფთა ქართულით ამეტყველდება. სიკვდილის წინ მას პირუტყვეული შიში აწერია სახეზე, შეუცნობელი შიში უთვისტომო ადამიანისა, რომელიც, სამშობლოსაგან შორს კვდება. მძიმეა მოთხრობის ფინალი, თუმცა ერთგვარად მაინც უმსუბუქებს მკითხველს შემადრწუნებელი ამბის განცდას ის, რომ ანანურთან მწერალი ანდროს გაიხსენებს და მის ნავლს ხევის ნიავეს გაატანს.

თუ ანდრო კაიშაურის ლტოლვა სამშობლოსაკენ ქვეცნობიერია, რაღაც შინაგანი იმპულსით არის მხოლოდ აღძრული, უფრო ბიოლოგიური მოთხოვნილებაა, ვიდრე ლოგიკურად გააზრებული გადაწყვეტილება, როგორც თვითონ განიცდის — „მხეცი ისევ ბუნაგში შვევა, ფრინველი ბუდეს მიაშურებს, ადამიანი ისევ თავის ქოხს მოსძებნის, მე კი...“. თუ მისი მისწრაფება მხოლოდ „მიწის ყივილია“, ნოდარ შუბიძეს (მოთხრობა „ფინჯანი“) უფრო სხვა რამ ამოძრავებს. ნოდარ შუბიძეც საფრანგეთში გახიზნულა, გარიდებია „წითელ საშიშროებას“ და იქ, სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად ელის, როდის მოიხდის მისი ქვეყანა ამ სენს. რვა წელიწადი დაჰყო ამ მოლოდინში, რომელმაც იმედი არ გაუმართლა, სამაგიეროდ სხვა ექვები და აზრები აღუძრა: იქნებ სენი კი არა, გამოჯანსაღების პროცესია ეს მისი სამშობლოსათვის? ნოდარ შუბიძე ნიჭიერი მეცნიერი-ქიმიკოსია, რომლის გამოგონებებსაც ფართოდ იყენებენ კერამიკულ წარმოებაში, მას არაფერი აკლია გარდა მთავარისა — სინდისის სიმშვიდისა. შეგნება იმისა, რომ თავის ხალხს არ ემსახურება, არ ასვენებს მას და თუმცა ოფიციალურად უარს მიიღებს დაბრუნების თხოვნაზე, იგი მალულად, კონტრაბანდისტებთან ერთად შემოიპარება საქართველოში. თან მოაქვს დიდი საუნჯე, რომელიც ძვირად შეიძლო გაეყიდა იქ, კაპიტალის სამყაროში, მაგრამ მან ისევ თავისი მშობელი ხალხისათვის გაიმეტა. ესაა თიხის საოცარი თვისებების მქონე ფინჯანი. ამ ახალ შენაერთს მთელი გადატრიალება შეიძლება მოჰყვეს კერამიკულ წარმოებაში და უფრო ფართო მასშტაბითაც. თუმცა ნოდარს ოჯახი დანგრეული დახვდება, მაგრამ,

როდესაც გრძნობებს მოერევა, მიხვდება, რომ ამაში მხოლოდ თვითონაა დამნაშავე და ვერავითარი ძალა ველარ დააბრუნებს უკან, ემიგრაციაში. იგი სუფთა სინდისითა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით მიდის თავისი ძველი ცოდვების მოსანანიებლად. ამ თვალსაზრისით, ნოდარ შუბიძე ყველაზე აქტიურია ჯავახიშვილის იმ გმირებს შორის, რომლებიც სამშობლოს უბრუნდებიან, მას ყველაზე მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული შეგნება იმისა, რომ მარტო დაბრუნება კი არ არის საჭირო, არამედ საჭიროა დიდი შემოქმედებითი შრომაც ხალხის საკეთილდღეოდ. საჭიროა მთელ-ძალითა და ცოდნით ემსახურო განახლებულ, აღორძინების ქმშმარიტ გზაზე დამდგარ ქვეყანას. თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღებამდე მან ბევრი იყოყმანა და ძვირადაც დაუჯდა ეს ყოყმანი, ნოდარ შუბიძე, მხატვრული სახის განვითარებიდან თუ გამოვალთ, ერთ-ერთი საინტერესო დადებითი სახეა თანამედროვე ადამიანისა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში.

ნოდარ შუბიძე მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობების ერთ-ერთი იმ გმირთაგანია, რომელიც შემოდგომის ფოთოლივით ატრიალა რევოლუციის ქარიშხალმა. ამ მხრივ მას ზევოი აქვს საერთო მირიან ბორინთელთან, როსტომ რეტიანთან, ალვა ჯაფარიძესთან („ხუთის ამბავი“), დიმიტრისთან („პაპა დიმო“), სტეფანე ჩირაძესთან („ქურდი“) და სხვებთან. საერთოდ, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში, კერძოდ, მოთხრობებშიც, დიდი ყურადღება ეთმობა რევოლუციის რთულ და ბოროტარ ეპოქაში გზააბნეული ადამიანების ხასიათის გახსნას. ყველა თანაბრად უცოდველი არ შეხვედრია რევოლუციას, ყველას თანაბრად არ გააჩნია აღარც ძალა და მხნეობა, აღარც უნარი და შეგნება, რომ ახალი ცხოვრება ახალი ენერგიით დაიწყოს. ნოდარ შუბიძეს ეყო ამის გამბედაობა და შეგნებაც, ჩვენ კიდევ ვხედავთ მის აქტიურ მოქმედებას. მოთხრობა „ხუთის ამბავის“ გმირები უფრო თავის ზნეობრივ საფუძვლებს გვისხსნიან წარსულთან დამოკიდებულებით; მაგრამ მათ ასეთ აქტიურ მოღვაწეობას ახალ პირობებში ვერ ვხედავთ. პაპა დიმოცა და სტეფანე ჩირაძეც მკითხველში მხოლოდ სიბრალულსა და თანაგრძნობას იწვე-

ვენ თავიანთი ბედით. თუმცა ისინი პასიური მოწმენი არიან ახალი ცხოვრებისა და მეტის უნარი არ გააჩნიათ, მწერალი ერთგვარი თანაგრძნობით ეკიდება მათ, რადგან ცხოვრების მდინარებას ისინი გაურიყავს და დაუბეჩავებია.

მიხეილ ჭავჭავიძის მოთხრობებში ყოველთვის როდი იგრძნობა სიბრალულისა და ლმობიერების კილო. როდესაც მწერალი წარმოგვისახავს იმ ადამიანებს, რომლებიც აქტიურად ეღობებიან წინ ახალის განვითარებას, რომლებიც ყოველ საშუალებას იყენებენ თავიანთი პარაზიტული ცხოვრებისათვის, მიხეილ ჭავჭავიძის მიმართავს სატირას და მისი გესლიანი სიცილი, მამხილებელი პათოსი ისევ დიდი ჰუმანიზმითა და კაცთმოყვარეობით არის შეპირობებული. ჭავჭავიძის მოთხრობებიდან, ამ თვალსაზრისით, ინტერესს იწვევს „დამპატიყე“. მოთხრობამ ოცდაათიან წლებში დიდი კამათი გამოიწვია. იმდროინდელმა ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ უთუოდ არასწორად გაიგო ეს მოთხრობა და მასში თანამედროვეობის კრიტიკული ხედვა მწერლის იდეოლოგიური შეცდომებით ახსნა. მიხეილ ჭავჭავიძის ამ მოთხრობაში მთელი გულწრფელობით გვიჩვენებს და გვიხსნის ახალ ვითარებაში პარაზიტულ ცხოვრებას შეჩვეული ადამიანების მოქმედებას. ახალი საზოგადოება სწორედ საყოველთაო და თანასწორუფლებიანი შრომის პრინციპზეა აგებული, სადაც, ერთის შეხედვით, არ რჩება ადგილი და საშუალება პარაზიტული ცხოვრებისათვის, მაგრამ სხვისი შრომით ცხოვრების ფონს გასვლას მიჩვეულები ახალ გზებს პოულობენ. ჭავჭავიძის ეს მოთხრობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ხორცმეტების წინააღმდეგ არის მიმართული და მისი მნიშვნელობაც ამით განისაზღვრება. რევოლუციამ თავისუფლება მოუტანა მშრომელ ხალხს და თევდორეც იმ სახლისა და ბაღის პატრონი ხდება, რომელსაც შეალია მთელი თავისი სიცოცხლე. თევდორეს ოჯახი გულწრფელად შეჰხარის ახალ დროებას, რომელმაც მშრომელ ხალხს სამართალი მოუტანა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მას მოზიარეს ჩაუსახლებენ, რადგან მიწის ფართობი, როგორც მას აუხსნიან, ნორმაზე მეტი ჰქონია. ოქროპირი, მეტსახელად „დამპატიყე“ მხოლოდ ქეიფსა და დროსტარებაზე

ფიქრობს, მამულს კი კვლავ თევდორე უვლის. დამპატიყე ხან მოტყუებით და ხან შანტაჟით თევდორეს შრომით მოწეული ნაყოფის ნახევარს ისაკუთრებს და ქეიფში ფლანგავს. როდესაც თევდორეს მოთმინების ძაფი გაუწყდება და ჩივილს დაიწყებს, გამოიჩვევა, რომ დამპატიყეს მფარველი სახელმწიფო დაწესებულებიდან გაუძევებიათ. თითქოს ახლა კი უნდა ეშველოს თევდორეს, მაგრამ დამპატიყეს თავიდან მოცილება არც ისე იოლია. იგი თევდორეს ქალიშვილს თავს მოაწონებს და ზედსიძედ ჩაუსახლდება ამ მშრომელ ადამიანს. ოქროპირი ძველ უღარდელ ცხოვრებას განაგრძობს და მას უკვე ვეღარ მოიცილებს თევდორე, რომელიც კვლავ ორად მოხრილი ებრძვის მიწას.

მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები და ნოველები ერთი დიდი თავფურცელია ქართული საბჭოთა პროზისა. რეალისტური საფუძველი, სოციალური სიმახვილე, ზნეობრივი სიფაქიზე, მხატვრული სახეობრიობა, ზნეობრივი სიწმინდე თითქმის ყველა მისი მოთხრობისათვის არის დამახასიათებელი, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი, ფილოსოფიურ-ეთიკური თუ საგმირო, ეროვნული თუ სოციალური, ყოფითი თუ სამიჯნურო. თავის მოთხრობებში მწერალი ყოველთვის აშკარად თუ ფარულად ერთმანეთს უპირისპირებს კეთილ და ბოროტ საწყისებს და მთელი თავისი მხატვრული სიტყვის ძალით ჰუმანიზმის კეთილშობილურ პრინციპებს იცავს. მწერალი არა მარტო მშრომელი, პატიოსანი, ალალმართალი ადამიანების სიყვარულს ქადაგებს, არამედ ხშირად მოგვიწოდებს ვიყოთ შემწყნარებლური იმათ მიმართ, რომელთაც ერთ დროს, ნებსით თუ უნებლიედ. დანაშაულიც კი ჩაუდენიათ, მაგრამ ახლა სოციალურად და პოლიტიკურად ადამიანისათვის საშიშნი აღარ არიან. მწერლის გული სავსეა სიყვარულით ადამიანების მიმართ. და ეს ხელს არ უშლის, პირიქით, ეხმარება კიდევ მას გამოამჟღავნოს თავისი უსაზღვრო სიძულვილი იმათ მიმართ, ვინც ადამიანის ბედნიერებას წინ ელობება.

მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები, თუმცა მათ არც ფსიქოლოგიური სიღრმე აქვია და არც განწყობილებათა სიუხვე, სიუჟეტურად ყოველთვის მძაფრია. „ფაბულა, ამბა-

ვი, — წერდა მიხეილ ჯავახიშვილი, — მოტორია მხატვრული ნაწარმოებისა, მით უმეტეს რომანის, ნოველის, მოთხრობისა და პოემისა. უამისოდ ვერც ერთი მათგანი ვერ გაფრინდება¹. მწერალი თავის მოთხრობებში, რომ აღარაფერი ვთქვათ რომანებზე, ყოველთვის რაღაც ამბავს მოგვითხრობს, რომელიც გვიხსნის ჩვენ გმირების ხასიათსაც და იმ სოციალურ გარემოსაც, რომელშიც გმირს უხდება მოქმედება. მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებისათვის დამახასიათებელია სისადავე და მოქმედების დინამიურობა. მწერალი ძალზე იშვიათად მიმართავს კლასიკური ლიტერატურისთვის დამახასიათებელ აღწერებს, გარეგნული პორტრეტების დეტალურ ხატვას, ვრცელ ავტორისეულ ფრაზებს, იგი მეტწილად მხოლოდ მოქმედებას გამოხატავს და ამბის განვითარებაშია ჩატეული ავტორის მთელი სათქმელი. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის სხარტი, მოკლე და მეტყველი დიალოგები, რომლებიც ასერიგად უწყობენ ხელს მოქმედების დინამიურობას. ამ თვალსაზრისით, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებში უნდა ვეძიოთ თანამედროვე ქართული მოთხრობისა და ნოველის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების სათავეები.

4

მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურისთვის, ჟანრების განვითარების თვალსაზრისით, დამახასიათებელია მხატვრული პროზის, განსაკუთრებით კი რომანის საოცარი აღზევება. მიუხედავად იმისა, რომ ნატურალისტური და, განსაკუთრებით, დეკადენტური მწერლობა ბევრს ეცადა რეალისტური რომანის კლასიკური ტრადიციები დაემცირობია, უფრო მეტიც, საერთოდ უარეყო ამ ჟანრის მნიშვნელობა თანამედროვე ლიტერატურაში, ეს მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა. რომანი განსაკუთრებით ტევადი და დიდი შესაძლებლობის მქონე ყალიბია სოციალური, მორალური, ფსიქოლოგიური თუ ფილოსოფიური პრობლემების მხატვრული წამოჭრისა და გადაწყვეტისათვის. ამდენად, მისდამი მწერლობისა და საზოგადოების ინტერესი არამცთუ შენეულა,

¹ მ. ჯავახიშვილი, ვიქტორ ჰიუგო და ჩენი დრო, „ლიტერატურულა ვაზეთი“, 29 აპრილი, 1959 წ.

გასულ საუკუნესთან შედარებით, არამედ საოცრად გაიზარდა.

ქართულ მწერლობას, რუსულ და ევროპულ ლიტერატურასთან შედარებით, არ გააჩნია ამ უანრის დიდი ტრადიციები. თავისთავად, რა თქმა უნდა, საინტერესოა ქართული რომანისტიკის ის კონკრეტული ნიმუშები, რომლებიც გიორგი წერეთელმა, ეგნატე ნინოშვილმა, ანასტასია ერისთავ-სოშტარიამ თუ სხვებმა შექმნეს. მაგრამ თუ მათ ნაწარმოებებს მხოლოდ ეროვნული ჩარჩოებით არ შემოვზღუდავთ და უფრო ფართო მნიშვნელობით შევხედავთ, ამ რომანების არც პრობლემები და მასშტაბები, მით უმეტეს არც მხატვრული ღირსებები ისე თვალსაჩინო აღარ იქნება. თუ მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზია, განსაკუთრებით კი ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკისა და ვაჟას შემოქმედება სავსებით დამსახურებულად დგას იმ ეპოქის მსოფლიო პოეზიის დონეზე, თუ ქართული მოთხრობაც, პირველ რიგში — ილიას, ვაჟას, დავით კლდიაშვილის, შემდეგ კი შიო არაგვისპირელის, ქოლა ლომთათიძის და ნიკო ლორთქიფანიძის პროზა სავსებით შეეფერება ცივილიზებულ და ნაღალი, მსოფლიო კულტურის დონეზე მდგომ ერს. ამასვე ვერ ვიტყვით გასული საუკუნის და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ რომანისტიკაზე. ამ ფართო მასშტაბებით ერთადერთ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს ალექსანდრე ყაზბეგის პროზა, თუმცა ზოგნი მას მოთხრობებად მიიჩნევენ და არა რომანებად. მიუხედავად ამ ყოყმანისა, ქართული რომანის ეროვნული და მნიშვნელოვანი ტრადიციები თუ სათავეები ისევ და ისევ ყაზბეგის პროზაში უნდა ვეძიოთ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია უთუოდ ვასილ ბარნოვის შემოქმედების გამოცდილება და როლი ქართული ისტორიული რომანის შექმნისა და განვითარებისათვის.

ასეთი იყო ვითარება მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებში, როდესაც ქართული ლიტერატურა და ხელოვნება, რუსეთის მეშვეობით თუ უშუალოდ. ეზიარა იმ დროის ევროპულ კულტურას და საკმაო მონდომებით შეეცადა აეთვისებია ახალი, მეტწილად დეკადენტური განწყობილებები. ევროპული დეკადენტური მწერლობა ენერგიულად შე-

ეცადა უარყო ლიტერატურის კლასიკური მეთოდები და ქანრებიც, პირველ რიგში — რეალისტური რომანი, სადაც განსაკუთრებით ჩანდა ამ ახალი მწერლობისათვის უცხო. სოციალური და საზოგადოებრივი პრობლემებისადმი ღრმა ინტერესი. ასევე მოიქცნენ ქართული დეკადენტური მწერლობის მიმდევრებიც, მათ შორის სიმბოლისტებიც. მაგრამ, თუ ევროპაში ძნელი იყო რომანის ტრადიციების შერყევა და მისი ახალი განვითარების შეფერხება, ქართველი სიმბოლისტების მიერ რომანის უარყოფას საფუძვლიანი ზიანის მოტანა შეეძლო, რადგან ეს ქანრი ჩვენში თავისთავად არც იყო ჯერ მომძლავრებული. ამას შეიძლება მართლაც შეეფერხებინა ქართული რომანის განვითარება. თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება მიხეილ ჯავახიშვილის, როგორც რომანისტიც და მსახურებაც ქართული ლიტერატურის წინაშე. მან უკვე ოციანი წლების დასაწყისში დაწერა და გამოაქვეყნა კიდევ რამდენიმე რომანი (მათ შორის „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი სწყელო“) და კონსტანტინე გამსახურდიასთან, ლეო ქიაჩელთან და დემნა შენგელაიასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა მეოცე საუკუნის, არსებითად კი საერთოდ ქართულ რომანისტიკას. ისიც უნდა ითქვას, რომ მიხეილ ჯავახიშვილის პირველივე რომანები, ისევე როგორც მთელი მისი შემოქმედება, მთლიანად რეალიზმის პრინციპებზეა დაფუძნებული, იმ დროს, როდესაც სხვა ქართველმა რომანისტებმა მეტ-ნაკლებად მოუხადეს ხარკი ფორმალისტურ ძიებებს და ერთგვარ დეკადენტურ განწყობილებებსაც კი.

ევროპაში უკვე მეცხრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით კი მეოცეში საკუთრივ რომანმა ერთგვარი დიფერენცირება განიცადა. იგი შედარებით ვიწრო ქანრებად დაიყო და გაჩნდა ისტორიული, ფსიქოლოგიური, სოციალური, სათავგადასავლო, ფილოსოფიური თუ სხვა რომანები. ქართულ რომანს, რომელსაც ევროპულივით არ გაუვლია საუკუნოვანი გზა, არ შეეძლო ანალოგიური ისტორიული პროცესით მისულიყო ამ დიფერენცირებამდე. მით უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ ჩვენში, დიდი ტრადიციებისა და ისტორიული გამოცდილების გარეშე ერთბაშად შეიქმნა ამ

სხვადასხვაგვარი რომანების ნიმუშები და ეს იმთავითვე შეძლეს კონსტანტინე გამსახურდიამ, მიხეილ ჭავჭავაძისა და მათი თაობისა თუ დროის ქართველმა მწერლებმა.

ახალგაზრდა რომანისტებისათვის ამ დიდი შემოქმედებითი ტვირთის ზიდვა დამოუკიდებლად უთუოდ შეუძლებელი იქნებოდა. მათ სჭირდებოდათ ტრადიცია, გამოცდილება, საფუძველი. ეს ერთხელ კიდევ გვაფიქრებინებს, რომ მწერლობისათვის მხოლოდ ეროვნული (თუმცა ეს ძირითადია) ტრადიცია არ არის მნიშვნელოვანი. თუკი რომელიმე უნარს, ან მთლიანად მეთოდს ეროვნულ ლიტერატურაში ჭერ არა აქვს შექმნილი ტრადიცია, სავსებით სავარაუდოა (და არც არაფერია ამაში დასაძრახი) მწერალმა სხვა ქვეყნების ლიტერატურის გამოცდილება გამოიყენოს ახალი გზის გასაქაფავად მშობლიურ ლიტერატურაში. მიხეილ ჭავჭავაძის თუ კონსტანტინე გამსახურდიას რომანისტებად ჩამოყალიბებაში უთუოდ საკმაო გავლენა იქონია ევროპულმა კულტურამ და ლიტერატურამ, რომელთაც ეს მწერლები ახალგაზრდობაშივე საფუძვლიანად იცნობდნენ.

რომანის მრავალსახეობის ერთ-ერთი პირველი გამომხატველი და დამამკვიდრებელი ქართულ მწერლობაში მიხეილ ჭავჭავაძის ილია გახდა. მან ერთმა პირველმა მოგვცა ქართულ ლიტერატურაში ავანტიურისტული („კვაკი კვაჭანტირაძე“), სოციალური („ჯაყოს ხიზნები“), სათავგადასავლო („გივი შადური“), ისტორიული („არსენა მარაბდელი“), ისტორიულ-რევოლუციური („ქალის ტვირთი“), ფილოსოფიური („თეთრი საყელო“) რომანების მაღალ-მხატვრული ნიმუშები.

მიხეილ ჭავჭავაძის რომანების ამ სახეობებად დაყოფას ერთგვარი პირობითობა უთუოდ სდევს თან. როდესაც „კვაკი კვაჭანტირაძეს“ ავანტიურისტულ რომანს ვუწოდებთ, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს აქ ისტორიული რომანისათვის დამახასიათებელი ნიშნები ვერა ვნახოთ. ან კიდევ, „თეთრი საყელოს“ ფილოსოფიურ რომანად იმიტომ კი არ მივიჩნევთ, რომ აქ მწერლის მსოფლმხედველობის მხატვრულად გამომხატულ განყენებულ მსჯელობასა თუ აზროვნებასთან გვაქვს საქმე. მთავარი ისაა, თუ რა არის განმსაზღვრელი, ძირითადი ანა თუ იმ რომანში, არსებითად როგორ აქვს

მხატვრულად გადაწყვეტილი ესა თუ ის ამოცანა მწერალს-სწორედ ამის მიხედვით ხდება საერთოდ მწერლის კონკრეტული ნაწარმოებების „დახარისხება“ ჟანრებად, თუ კიდევ უფრო ვიწროდ — სახეობებად თვით ჟანრის ფარგლებში. ასეა მიხეილ ჭავჭავიძის რომანებიც, რომლებიც თავისთავად ბევრ საინტერესო პრობლემაზე აფიქრებენ მკითხველს, მაგრამ ყოველ მათგანს გააჩნია თავისი ძირითადი, განმსაზღვრელი პრობლემატიკა და ამ პრობლემების გამოხატვის თავისი მხატვრული ფორმები და საშუალებები.

მიუხედავად ამ თემატურ-პრობლემური თუ სახეობრივი მრავალფეროვნებისა, მიხეილ ჭავჭავიძის რომანებს ერთი საერთო მიზანდასახულება და მწერლის ერთი საერთო ინტერესი გასდევს. მწერალს განსაკუთრებით იზიდავს სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნების რთული ეპოქები. ამასთანავე, მისი ყურადღება, ისტორიულ რომანებს გარდა, უფრო მეტად მიმართულია საზოგადოების იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც რევოლუციამ ფეხქვეშ დასაყრდენი ნიადაგი გამოაცალა.

* * *

„კვაკი კვაკანტირაძე“ მიხეილ ჭავჭავიძის პირველი რომანია. მწერალს თავიდან მოთხრობების ციკლის დაწერა ჰქონდა განზრახული, ასეთი სახით გამოაქვეყნა 1924 წელს ლიტერატურულ პერიოდიკაში, მაგრამ შემდეგ ცალკეულ სათავედასავლო-ავანტიურისტული ეპიზოდები ერთ სიუჟეტურ ღერძზე აასხა და მთლიანი რომანის იერი მისცა. ასე იხილა ცალკე წიგნად გამოცემულმა რომანმა „კვაკი კვაკანტირაძე“ მზის სინათლე 1925 წელს.

მწერალმა კვაკი კვაკანტირაძით შექმნა განზოგადებული სახე გაიძვერა და ფლიდი ადამიანისა, რომელსაც პირადი კარიერისა და წარმატებისათვის ყველას და ყველაფრის გაყიდვა შეუძლია ოდნავი სინდისის ქენჯნის გარეშე. მწერალი 1925 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „ვბედავ და ამ წიგნს წრფელი გულით მივუძღვნი ყველა მსხვილფეხა და წვრილფეხა კვაკსა და კვაკიკოებს, რომელნიც ჩემს

კურთხეულ სამშობლოში ყოველთვის უხვად მოიპოვებოდნენ.“ იმ დიდი მამხილებელი ძალით, რომელიც ამ მხატვრულ სახეს აქვს, კვაჭი კვაჭანტირაძე სცილდება ეროვნულ ჩარჩოებს და, საერთოდ, გაქნილი, გაიძვერა, მედროვე ადამიანის ზოგადტიპიურ სახედ იქცევა.

„კვაჭი კვაჭანტირაძის“ და მთელი რიგი სხვა ნაწარმოებების გამო (მაგალითად, რომანი „ჯაყოს ხიზნები“) ზოგიერთი კრიტიკოსი მკაცრად საყვედურობდა მწერალს ეროვნული გრძნობის მოღუწებას, კვაჭი კვაჭანტირაძე და თეიმურაზ ხევისთავი საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნდა ეროვნული ღირსების შემლახავ ხელოვნურად შექმნილ მხატვრულ სახეებად, რომელთაც არ მოეძებნებოდათ რეალური პროტოტიპები და, ამდენად, მხოლოდ მწერლის წმინდა ფანტაზიის საყოფს წარმოადგენდნენ. ამ შემთხვევაში, მიხეილ ჭავჭავაძის ერთგვარად გაიზიარა ილია ქავჭავაძის ბედი, რომელსაც ასევე აუმხედრდა კონსერვატიული ნაწილი საზოგადოებისა ლუარსაბ თათქარიძის („კაცია ადამიანი“) გამო. ამგვარი საყვედურები არ იმსახურებენ არგუმენტირებულ უარყოფას, რადგან ესაა მხატვრული ნაწარმოებისადმი მეშინური ცრუპატრიოტიზმის პოზიციებიდან მიდგომის გამოხატულება და არა დინჯი, სერიოზული ანალიზის შედეგი. ამ პოზიციიდან ბევრი რამ აიკრძალებოდა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკაში, ბევრი ქვეშაპირად მარგალიტით ძვირფასი და ელვარე ნაწარმოები გამოცხადდებოდა კანონგარეშე. მწერალს არ შეიძლება აეკრძალოს, თუნდაც ოდნავ მაინც ესაყვედუროს საზოგადოებისა თუ ადამიანთა მანკიერებების მხატვრული გაშიშვლება და მხილება. სხვა საკითხია თუ რამდენად რეალურია მწერლის მიერ მინიშნებული მანკიერება. მიხეილ ჭავჭავაძის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ მთელი ღირსება სწორედ იმით არის განსაზღვრული, რომ მწერლის მამხილებელ პათოსს ზუსტი მისამართი აქვს და იგი სავსებით რეალური სიმახინჯის წინააღმდეგ არის მიმართული.

კვაჭი კვაჭანტირაძე უთუოდ გროტესკული, მხატვრულად გაზვიადებული სახეა, თუმცა ამით მისი რეალისტური ბუნება ოდნავადაც არ იჩქმალება. მიხეილ ჭავჭავაძის თა-

ვისი გმირებისათვის ყოველთვის ირჩევდა რეალურ პროტოტიპებს, რომლებიც ეხმარებოდნენ მას ცოცხალი მხატვრული სახის შექმნაში. მწერალი თვითონ ასახელებს ბევრი გმირის რეალურ პროტოტიპებს, კვავის შესახებ კი შენიშნავს, იგი „ნარევი ტიპიაო“. მართლაც, შეუძლებელია კვავის ზუსტი პროტოტიპის პოვნა, იმდენად კონცენტრირებულია მასში თვალთმაქცი და გაიძვერა ადამიანის სულის უკიდურესად მახინჯი მხარეები, მაგრამ, ამასთან ერთად, იგი მართლაც გვიხსნის ყველა „მსხვილფეხა და წვრილფეხა“ კვავის გარეგნული ბრწყინვალეობით შენიღბულ სულიერ სიმახინჯეს, ზნედაცემულობას.

მწერალი გვიყვება კვაკი კვაკანტირაძის ფანტასტიკურ თავგადასავალს, ამ ავანტიურისტი ადამიანის მთელ მაქინაციებს. კვაკი იშვიათ მოსაზრებულობასა და გამომგონებლურ ნიქს ამჟღავნებს, როდესაც საქმე ეხება ძარცვას, წაგლეჯას, მითვისებას, კარიერის გაკეთებას. მკითხველის თვალწინ გაირბენს კვავის ცხოვრება, დაბადებიდან უკანასკნელ დღეებამდე, და ჩვენ მოწამენი ვხდებით იმისა, რომ კვავის ბუნება კი არ იცვლება, არამედ იცვლება მხოლოდ მასშტაბები გაიძვერობისა და აფიორისა. როდესაც კვაკი დაიბადა, მამამისმა პირველსავე დღეს განაცხადა: „ბავშვის ასეთი ტირილი ჯერ არ გამოიგია. სულ „მე-მეს“ იძახის. ეტყობა, სხვას არაფერს შეარჩენს და ამ ქვეყანას დაიჩემებს“. მართლაც, კვავის ცხოვრება მთლიანად იმას ეძღვნება, თუ როგორ მიითალოს, მიითვისოს სხვისი განძი და ფული, სხვისი დიდება და პატივი. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს გაშთამჯღავნა მან თავისი ამ ნიქის სიძლიერე, ხოლო შემდეგ მთელი მისი ცხოვრება ბრწყინვალე ფეიერვერკია აფიორებისა და მაქინაციებისა, რომელთაც საზღვარი არა აქვთ. მისი აფიორები რამდენიმე მანეთიდან რამდენიმე მილიონამდე იზრდება და ქუთაისის ვიწრო ქუჩებიდან პეტერბურგის, პარიზისა და ლონდონის ფეშენებლურ კვარტალებს სწვდება. რომანი უთუოდ საინტერესოდ იკითხება, რადგან იგი სავსეა მახვილგონივრულად შექმნილი რთული და დაძაბული სიტუაციებით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კვავის გაუთავებელი აფიორები, რომლებიც ხშირად კინემატოგრაფიის სისწ-

რაფით იცვლებიან ჩვენს თვალწინ, ერთგვარად უკარგავენ რომანს სიუჟეტურ მთლიანობას (გავიხსენოთ, რომ იგი მოთხრობების ციკლად იყო ჩაფიქრებული, ამან თავისი დადი დაასვა რომანს სიუჟეტის ერთგვარი სიმყიდით) და აფერხებენ მოქმედების დინამიურობას. ამ თვალსაზრისით, რომანს ბევრს არაფერს მატებს კვაჭის თავგადასავალი პარიზსა და ლონდონში.

კვაჭი თავისი ამალით, რომელიც ნაძირალებისა და რეციდივისტებისაგან შედგება, დათარეშობს რუსეთის იმპერიაში თუ მის საზღვრებს გარეთ. ამ ბანდის მსხვერპლი ხდება ბევრი პატიოსანი ადამიანი. კვაჭის მსხვერპლთა ჩამოთვლაც კი გაძნელებულია და რომანის ბოლოს თითქოს აღარაფერმა უნდა გაგვაკვიროს, რადგან არ არსებობს ბნელი და ბინძური საქმე, რომელიც კვაჭის არ მოემოქმედოს. ბანკების ძარცვა, ფინანსური აფიორები, მკვლელობა, ხასების ყიდვა-გაყიდვა და მრავალი სხვა რამ კვაჭისათვის სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, ის ყოველდღიური ყოფაა, ურომლისოდაც მისი ცხოვრება წარმოუდგენელია. ყველაფერ ამას თან ახლავს ზნედაცემულობის, ვერაგობისა და ბოროტების ფორმები, რომლებიც პროფესიონალ ბანდიტსაც კი შეაძრწუნებს. თითქოს ყველა საშუალება ამოწურა მწერალმა კვაჭის ბუნების გასახსნელად და ბოლოს იგი უკანასკნელ ხერხსლა მიმართავს, ერთმანეთს უპირისპირებს კვაჭისა და მის ერთგულ მონასა და მსახურს, კაცისმკვლელ ჯალილას. ამ უკანასკნელის ფონზეც კი საშინელ ბოროტებად წარმოგვიდგება კვაჭი. ჯალილა და კვაჭი ციხეში ისხდნენ, ხსნის იმედი დაკარგული ჰქონდათ და ღმერთს გულამოძღვარნი ევედრებოდნენ — უკანასკნელად შეენდო მათთვის. მოულოდნელად, მათ მშველელად მოევლინება პატიოსანი მოხუცი ალექსი ირემაძე, რომელიც ტყუილსაც კი იკადრებს მათ დასახსნელად. კვაჭი ციხიდან გამოსვლისთანავე მის პატიოსნებაში ღრმად დარწმუნებულ ალექსი ირემაძეს სახლს გააყიდვინებს და ფულს უსირცხვილოდ მიითვისებს, თან დააშინებს, თუ არ გაჩუმდები, ჩემთან ერთად შენც დაგლუპავ სასამართლოში ტყუილის თქმისათვისო. ჯალილას კი, თუმცა კვაჭის ერთგული მონაა და ყველა მისი ბნელი

საქმის თანამონაწილე, ერთხელ მაინც აღმოაჩნდება სინდისისა და ნამუსის გრძნობა. იგი, მაღლობის ნიშნად, მოხუც ალექსის ხალიჩას მიართმევს. თვით ჯალილაც უფრო ადამიანური ჩანს, კვაჭის კი არასოდეს არავის მიმართ, თვით მშობლების მიმართაც კი, არ აწუხებს სინდისის ქენჯნა.

კვაჭისათვის არ არსებობს არავინ და არაფერი, არამცთუ წმინდა, არამედ ანგარიშგასაწევი მაინც, ვის გამოც, არის გამოც შეიძლებოდა ბნელ, მაგრამ სარფიან კომბინაციაზე ხელის აღება. მან არ დაინდო ისიც კი, ვინც ხელი გაუწოდა გაჭირვების ან ხიფათის ქამს; უსინდისოდ გაყვლიფა და მიატოვა ყველა ქალი, პატიოსანი თუ უპატიოსნო, რომელიც თავისი ცხოვრების გზაზე შეხვდა; საკუთარი მამაც არ დაინდო და გარდაცვლილად გამოაცხადა, რომ ამით ცოტაოდენი ფული ეშოვა; მამა-პაპისეული სახლი, სადაც დაიბადა და პირველად ეზიარა (მშობლის დარიგებების სახით) ავანტიურისტული ცხოვრების ანბანს, ცეცხლს მისცა, რათა დაზღვევის ფული აეღო. თვით სამშობლოს ცნებაც კი მისთვის არაფრისმთქმელია და იგი სიამოვნებით ყიდის მის სახელს ცხოვრების ყოველ გზაჯვარედინზე, რაც არ უნდა მისცენ ამისათვის, თუნდ ორიოდ გროში მაინც. „საცა გემრიელი ლუკმა მაქვს, ჩემი სამშობლოც იქ არის“, — უსი-რცხვილოდ აცხადებს ეს კოსმოპოლიტი ავანტიურისტი და მაქინატორი.

ეს ავანტიურისტული თავგადასავალი ნამუსზე ხელაღებული კაცისა მხოლოდ გასართობ საკითხავ წიგნად გამოდგებოდა და, მიუხედავად კვაჭის ზოგადეროვნული, მაღალმხატვრული სახისა, იგი მაინც განყენებულ, კონკრეტულ მისამართს მოკლებულ სატირულ ნაწარმოებად დარჩებოდა, რომ მწერალი ამასთან დაკავშირებით ეპოქის რეალისტურ სურათს არ იძლეოდა, რომ კვაჭისთან ერთად არ ამხელდეს იმ სოციალურ წყობას, რომელშიც მის გმირს უხდება ცხოვრება და მოქმედება. მიხეილ ჯავახიშვილის ამ რომანის ღირსების ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი რამ ის არის, რომ მწერალი დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გვიხსნის რუსეთის იმპერიის მმართველი წრეების ზნეობრივ დაცემას, უმეცრებას, დეგენერაციას.

კვაჭისათვის აღრევე გახდა ნათელი, რომ საქართველო წისი აფიორების შესაფერი მასშტაბებით არ განიზომებოდა და ამიტომაც მიაშურა რუსეთს. იგი მწარედ დასცინის საქართველოს თავისი პოზიციებიდან: „ან რა არის დიდი საქართველო? ბათუმში რომ თავი მისდო დასაძინებლად, ფეხები უნდა ქიზიყს მიაბჯინო; სოხუმში რომ ცხვირი დააცემინო, სიღნაღიდან გეძახიან „ხეირო“. ქუთაისში ლათაძესთან ან ერემოსთან დანიელა ურიამ რომ მრავალეამიერი დაიწყოს, ყაზბეგიდან ბანს ეტყვიან, ხოლო თელავიდან მადლობელს შემოსძახებენ; ბორჯომში რომ პაპიროსი ამოიღო, ფოთიდან ოცი ხელი მაინც მოგწვდება — ჩვენც მოგვაწვევინო; მყრალი ხელსახოცი რომ იპოვნო, მთელი საქართველო მობის ყვირილით „ჩემია! ჩემიაო!“

კვაჭისათვის სულ სხვაა რუსეთის იმპერიის თვალუწვდენი სივრცეები და ისიც იმდენს მოახერხებს თავისი გაიძვერობით, ვერაგობით, მზაკვრობით, მკვლელობებით, სიცრუით, მლიქვნელობით, შანტაჟით, მოსყიდვით, ერთი სიტყვით, ყველა ქვენა გრძნობისა თუ ბოროტების ყველა წყაროსა და მეთოდის გამოყენებით, ისე გაშლის ფრთებს, რომ „მისი მარჯვენა ფრთა მალე არხანგელსკს მისწვდა, ხოლო მარცხენა — თბილისს მიებჯინა. მისი ნისკარტი ვისლას სწვდებოდა, ბოლო ვლადივოსტოკში ჰქონდა“.

და მაინც, მთავარი სარბიელი, თავისი ბნელი საქმეების „გაიმასქნების“ შტაბი კვაჭიმ მეფის სასახლის კარის ახლო გაიჩინა. ნელ-ნელა შეძერა, მომაგრდა, შემდეგ კი მოკალათდა ამ მისთვის მყუდრო ადგილას, სადაც ყველა ეროვნების კვაჭის შეეძლო თბილი ბუნაგის პოვნა. კვაჭის გრიშკა რასპუტინის სახით აკი კიდევ დახვდა თავისი ისტორიული ორეული სასახლის კარზე. სწორედ რასპუტინი გამოიყენა კვაჭიმ თავისი უმაგალითო აღზევების მიზნით. კვაჭის გაიძვერობისა და მოხერხების მასშტაბებს ისიც ცხადად გვაგრძობინებს, რომ თვით გრიშკა რასპუტინიც კი, ეს საყოველთაოდ ცნობილი „კვაჭი“, გააცურა და თავისი მზაკვრული გეგმების განსახორციელებლად გამოიყენა.

მიხეილ ჭავჭავიძემ შექმნა გრიშკა რასპუტინის მხატვრულად საინტერესო სახე, თავისი რომანის ფურცლებ-

ზე ხორცშესხმულად წარმოგვიდგინა ეს გარყვნილი, დესპოტი, ზნედაცემული, ლოთი, დიდი მასშტაბების ავანტიურისტი კაცი, რომელიც აქამდე მხოლოდ ისტორიულად იყო ქართველი მკითხველისათვის ცნობილი. მწერალი, ბუნებრივია, თავისი ფანტაზიის ნაყოფს უხვად სთავაზობს მკითხველს ამ რომანში (მთელი ეპიზოდები კვაჭისა და რასპუტინის ურთიერთობისა), ზოგჯერ ისტორიულ ფაქტებსაც დალატობს (რასპუტინის მკვლელობის ისტორია), მაგრამ, რაც მთავარია, იგი ქმნის ისტორიულად მართალ მხატვრულ სახეს, ზედმიწევნითი სიზუსტით გვიხსნის რასპუტინის ბუნებას და მის როლს რუსეთის იმპერატორის სასახლის კარის დაცემასა და გარყვნაში.

კვაჭისა და „კვაჭების“ მოღვაწეობა ამ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში რასპუტინის მთარველობითა და ხელშეწყობით შეიძლება. ასეცაა ამ რომანში. ამდენად, კვაჭის ავანტიურიზმთან ერთად, მწერალი აშიშვლებს და ამხელს იმ საზოგადოებას, რომელიც კვაჭისთანა ტიპებს არა მარტო წარმოშობს, არამედ ყოველმხრივაც უწყობს ხელს ბნელ საქმიანობაში.

არც მენშევიკური მთავრობის დროს გრძნობს კვაჭი თავს შეზღუდულად. იგი ყოველთვის დროის შესაფერლოზუნგებს ისერის, კვაჭის მედროვის უდიდესი ნიჭიცა აქვს თანდაყოლილი. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი ბოლშევიკად ინიღბება, მაგრამ ახალი საზოგადოება კვაჭისათვის უჭაერო სივრცეა და, თავის გადარჩენის მიზნით, ბურჟუაზიული საზოგადოების ეს რაინდი მირბის საზღვარგარეთ, სადაც დიდი კომბინატორი პატარა საროსკიპოს მეთვალყურის ცხოვრებას ეწევა.

ეს ისტორიული სიმართლე და საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო პანორამა მიხეილ ჭავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძეს“ შემეცნებითსა და მხატვრულ ღირსებებს კიდევ უფრო მატებს.

მიხეილ ჭავახიშვილის შემოქმედებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რომანს „ჩაყოს ხიზნები“, რომელიც მწერალ-

მა 1924 წელს დაასრულა. შეიძლება ითქვას, „ჯაყოს ხიზნები“ ოციანი წლების ქართულ ლიტერატურაში ერთი ყველაზე საუკეთესო პროზაული ნაწარმოებია, რომელიც თავისი დიდი მხატვრული და შემეცნებითი ღირსებების გამო ქართული საბჭოთა ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება.

„ჯაყოს ხიზნებმა“ თავის დროზე დიდი ლიტერატურული კამათი გამოიწვია, რადგან ყველამ ვერ შეძლო ღირსეულად შეეფასებინა რომანი. თვითონ მიხეილ¹ ჭავჭავაძე, რომელიც საერთოდ, და პირველ რიგში კი, საკუთარი თავისადმი მეტად მომთხოვნი იყო, წერდა: „მე ცხოვრებით უმაღლური არა ვარ. ჩემს გზაზე ჭირიც მინახავს და ბედნიერიც ვყოფილვარ. მაგრამ იშვიათად მიგრძენია ისეთი მძაფრი სიხარული, რომელიც ვიგრძენი ზოგი ჩემი მოთხრობისა და რომანის დასრულების გამო (ჩანჩურა, თავდავიწყება. მეჩექმე გაბო, ტყის კაცი, აბდულაჰ, თეთრი საყელო, არსენა მარაბდელი). უცნაურია: ყველაზე მეტი დავა ჯაყოს ხიზნებმა გამოიწვია, მაგრამ, ყველაზე მეტი სიხარულიც ამ რომანის დასრულებამ მაგრძნობინა. ამ დღეს ნამდვილ ბაღად გადავიქეცი, რომელსაც გაუძლისი ბედნიერება დაატყდა. ველარც მე ვცნობდი ჩემს თავს და ველარც ჩემი ცოლშვილი მცნობდა“¹. მწერლის ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ იგი ყველაზე მეტ მნიშვნელობას „ჯაყოს ხიზნებს“ ანიჭებდა. მართლაც, ეს რომანი ერთი საუკეთესოთაგანია მიხეილ ჭავჭავაძის შემოქმედებაში და, საერთოდ, ქართულ მხატვრულ პროზაში.

რომანის კრიტიკოსები თავის შენიშვნებში უმთავრესად ორ ამოსავალ საფუძველს ეყრდნობოდნენ. ერთნი ფიქრობდნენ, რომ მწერალი მეტისმეტად მკაცრად მოეკიდა ქართველ ინტელიგენციას და ერთგვარი შეურაცხყოფაც მიჰყენა მას თეიმურაზ ხევისთავის მხატვრული სახით, მეორეთა აზრით კი, მწერალი მეტისმეტად გაიტაცა უარყოფითი მოვლენებისა და ტიპების მხატვრულმა განზოგადებამ, რა-

¹ მ. ჭავჭავაძე, როგორ ვმეშაობ, მნათობი, № 10, 1933 წ., გვ. 195.

მაც მას ზომიერების გრძნობა დააკარგვინა და, ამდენად, სინამდვილეც ცალმხრივად, ნეგატიურად წარმოსახვინა.

პირველი მოსაზრება უთუოდ ეროვნული გრძნობის მეშ-
ჩანური გაგებიდან მოდის, რაც სერიოზულ შეკამათებას არ
საჭიროებს, რადგან ამას თუ ავეყვებით, მაშინ უნდა უარყოთ
უმეტესი ნაწილი მსოფლიო კლასიკური ლიტერატურისა
და თითქმის უნდა წავშალოთ კრიტიკული რეალიზმის ლი-
ტერატურა. მწერლისათვის არავის წაუერთმევია მხატვრუ-
ლი გაზვიადების, ჰიპერბოლის უფლება და გროტესკული
სახეები ჭერ არავის უარუყვია.

არამცთუ საზოგადოების ერთი რომელიმე ფენის ან ნა-
წილის, არამედ, საერთოდ, ერის ისტორიულად ჩამოყალიბე-
ბული ხასიათისა ან ბუნების საჩოთირო მხარის მხატვრული
გამომწვეურება მწერლობის ერთ-ერთი უპირველესი ამოცა-
ხაა, რადგან საკუთარი ნაკლის დაუნახავად და შეუცნობ-
ლად არ არსებობს პროგრესი. რამდენადაც ძლიერია ერი, იმ-
დენად უღრტივინველად და გაუღიზიანებლად იღებს თავისი
მწერლის თუნდაც გაზვიადებულ, მხატვრულად ჰიპერბო-
ლიზებულ ნეგატიურ განსჯა-შეფასებას და, პირიქით, რამდე-
ნადაც მეტად ახასიათებს მას სუსტი და უარყოფითი მხა-
რეები, იმდენად ნაკლებ იწყნარებს და ეგუება მწერლის
მართალ სიტყვას.

რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, ცხოვრების ნეგატიუ-
რი მხარეების წარმოსახვა არც საბჭოთა ლიტერატურისათ-
ვის არის დასაძრახისი. მთავარია გარკვეული იყოს მწერლის
პოზიცია, რომელიც აშკარას გახდის, თუ რომელ ტენდენ-
ციას უჭერს იგი მხარს, საზოგადოების ისტორიული განვი-
თარების თვალსაზრისით, რამდენად სწორად აზროვნებს
იგი მხატვრულად. ამ თვალსაზრისით სადავო არაფერი შეიძ-
ლება გვექონოდა ან გვექონდეს მიხეილ ჭავახიშვილთან, რა-
დგან მწერლის პოზიცია ნათელიცაა და სწორიც. ამიტომაც,
„ჩაყოს ხიზნების“ გამო გამოთქმული საყვედურები არ იყო
მართებული.

ამასთანავე, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოციანი
წლების დასაწყისში ქართული მხატვრული პროზისათვის
საერთოდ იყო დამახასიათებელი უპირატესად წარმავალი,

დრომოკმეული, ისტორიულად განწირული საზოგადოებრივი ფენების თუ კლასების უკანასკნელი აგონიის წარმოსახვა. ამ წლების პირველი რომანები, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, დემნა შენგელაიას „სანაეარდო“, მიხეილ ჯავახიშვილის „კვაკი კვაკანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“ — გვარწმუნებენ ამაში. საინტერესო ფაქტია, რომ ლეო ქიაჩელიც კი, რომელმაც 1917 წლის რევოლუციამდე დაწერა „ტარიელ გოლუა“, ეს ამაღელვებელი ნაწარმოები 900-იანი წლების რევოლუციურ ცხოვრებაზე, ამ წლებში „თავადის ქალი მაიას“ თემას მიუბრუნდა. ეს შემთხვევითი ამბავი არ იყო. პროზაულ ნაწარმოებს, მით უმეტეს რომანს. მწერლის დიდი გამოცდილება, ცხოვრების მრავალმხრივი და საფუძვლიანი ცოდნა, მისი განვითარების ტენდენციები, კონკრეტული გააზრება, ახალი ადამიანის ფიქრის, მისწრაფების, განცდის, ერთი სიტყვით, მთელი მისი ბუნების, შინაგანი სამყაროს ღრმა წვდომა და გაგება სჭირდება. როგორც ჩანს, ოციანი წლების დასაწყისის ქართულ მწერლობას ყველაფერ ამაზე არა ჰქონდა ისეთი სრული წარმოდგენა. რომ ეპიურ თანრში წარმოესახა ახალი დროცა და ახალი ადამიანებიც. მისთვის უფრო ნაცნობი და საზოგადოებრივად თუ ფსიქოლოგიურად უფრო ნათელი, ხორცშესხმული იყო ისტორიულად დაბერებული და მიხრწნილი საზოგადოება, რომელიც სტოვებდა ასპარეზს და ამიტომაც მხატვრული წარმოსახვის ობიექტად სწორედ ეს აირჩია.

ამ პრობლემისა თუ თემისადმი ინტერესი ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მწერლობის პასიურ ან თუნდაც ნეიტრალურ დამოკიდებულებას ახალი ცხოვრებისადმი. თუ საზოგადოების ჯანსაღი, მზარდი, მომავლის მქონე ძალები პოზიტიურად, ხორცშესხმულად ვერ წარმოგვიდგნენ იმ წლების საუკეთესო ნაწარმოებებში, სამაგიეროდ ის ძალები, რომლებიც უპირისპირდებოდნენ ახალ ცხოვრებას, მხატვრულად მძაფრად, დამაჯერებლად გააშიშვლა და ამხილა ქართულმა მწერლობამ და თვალნათლივი გახადა მათი დაცემის, დამარცხების, საზოგადოებრივი სიკვდილის გარდუვალობა.

ასეთი მიზანდასახულებისა იყო და არის მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებიც“. ოციან წლებში ქართველი ინ-

ტელიგენციის ერთ ნაწილში გამჟღარო იყო რწმენა იმისა, რომ რევოლუცია იყო უხეში ძალა, რომელიც თავის გზაზე არავის და არაფერს ინდობდა და ამიტომ მათი სიმპათიები უფრო მოლიბერალო პოლიტიკანებისადმი იყო მიმართული. მიხეილ ჯავახიშვილმა შესანიშნავად დაგვიხატა ამ მოლიბერალო, უხერხემლო, უნიათი, უბირი, უმაქნისი ადამიანის. თეიმურაზ ხევისთავის სახე, რითაც დიდი მხატვრული განზოგადების ტიპიური სახე შექმნა და მკითხველისათვის კი თვალნათლივი გახადა, თუ ლიბერალობის ამ პოზაში ჩამდგარი ადამიანების უკან რა ცოცხალი ლეში ინიღბებოდა და რამდენად აუცილებელი იყო ისტორიულად ამ ნიღბის ჩამოგლეჯაც და ამ ცოცხალი ლეშის ცხოვრების მდინარებიდან გარიყვაც. ამით მწერალმა დიდი საზოგადოებრივი საქმე გააკეთა და დაგვიტოვა მემკვიდრეობად კლასიკური რომანი. რომელიც სცილდება ამ მნიშვნელოვან, მაგრამ ისტორიულად კონკრეტულ მიზანდასახულებას და ყოველი დროის ადამიანებისათვის წარმოადგენს აქტივობის, მოქმედების. შრომის, მოღვაწეობის აუცილებლობის მხატვრულად მქადაგებელ ნაწარმოებს.

საინტერესოა მიხეილ ჯავახიშვილის მოგონება, თუ როგორ შეიქმნა „ჯაყოს ხიზნები“, რა ცოცხალმა შთაბეჭდილებამ მისცა ბიძგი მწერალს ამ რომანის დასაწერად და ერთ-ერთი მთავარი გმირის ჯაყოს სახის გამოსაკვეთად:

„ჯაყო სულ სხვანაირად წარმოიშვა. 30 წლის წინათ ჯავის ხეობაში უცნაური ვინმე შემხვდა — ბრგე, ბანჯგვლიანი, ცბიერი, ხარბი, ამავე დროს მარდი და მოხერხებული. მისი სახელი აღარ მახსოვს. 10 წლის შემდეგ ინყ. ფილო ყაზბეგმა ქართულ კლუბში ასეთი ანეკდოტი გვიამბო: ნაყმევმა თავის კნეინას ძღვენი მიართვა:

- გამარჯობა, ჯაყო!
- კნეინას გახლავარ.
- რასა იქმ, როგორა ხარ?
- ძალიან კარგად ბრძანდები, შენი ქირიმე.
- ცოლშვილი როგორა გყავს?
- სულ კარგათა ხარ, გენაცვალე.
- რამდენი შვილი გყავს, ჯაყო?

— თორმეტი გყავს, გენაცვალე მაგ თვალეზშია.

— როგორ მოახერხებ მაგდენი, ჯაყო?

— მაშ, მაშა! აგრე იცის ჯაყომა! — მიუგო ნაყმევმა..

უკანასკნელ სამ სიტყვაში ამაზე უფრო მწვავე პილპილი ეყარა. ანეკდოტი ჩემს ხსოვნაში ხუთიოდე წუთზე მეტს ვერ სძლებს, მაგრამ ამ უწმაწურ ანეკდოტს ჯაველი ოსი ჩაეხლართა და ამ სახემ ჩემი ხსოვნის ერთ-ერთ კუნჭულში დაიბუდა. კიდევ გავიდა ათიოდე წელიწადი და იგი მოულოდნელად გაცოცხლდა, გაშიშვლდა და თვალწინ წამომეჭრა. ო, ზოგჯერ რა უცნაურად იბადება ტიპი“ (მ. ჯავახიშვილი, „როგორ ვმუშაობ“).

ასე გაუცოცხლდა მწერალს მეხსიერებაში ჩარჩენილი სახე, როდესაც მოუმწიფდა საზოგადოებრივად და მხატვრულად მნიშვნელოვანი სათქმელი. ვილაც ჯაველი ოსის გარეგნულმა იერმა და ერთმა უბრალო ანეკდოტმა გამოსცა ის ნაპერწკალი, რომელმაც დაანთო ადამიანური ვნების დიდი ხანძარი „ჯაყოს ხიზნებში“. ხოლო ამ ხანძარმა კი დაფერფლა ის ფიტული, რომელსაც თეიმურაზ ხევისთავი ჰქვია.

რომანში თეიმურაზ ხევისთავის და ჯაყო ჯივაშვილის სახეებია მთავარი, სწორედ ისინი განასახიერებენ ორ ბოროტ საწყისს, რომლებიც, თუმცა სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, მაგრამ, დიმიტრი ბენაშვილის თქმით, თანაბრად საშიში წყლულია ერის სხეულზე და ერთნაირად დაუნდობლად სჭირდება მოკვეთა. აი ამ წყლულების ხასიათისა და მათი მოკვეთის ისტორიულ აუცილებლობას გვიხსნის მწერალი. არის კიდევ ერთი მთავარი გმირი, მარგო, რომელიც რომანის ტრადიციულ სამკუთხედს კრავს ნაწარმოებში, მაგრამ ეს გმირი მწერალს თეიმურაზისა და ჯაყოს განსისათვის სჭირდება. ამდენად, თუმცა ეს სახე მეტად ხორცისავესეა და ცოცხალი ფერებითაცაა დახატული, მას, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებელი ფუნქცია არ აკისრია.

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, თუმცა ქართული რომანის ისტორიის ერთ-ერთი თავფურცელი და მწერლის თვითმყოფი შემოქმედების ნაყოფია, მრავალი პარალელის გავლების უფლებას და საშუალებას გვაძლევს მსოფლიო კლასიკურ ნაწარმოებებთან და თვით ქართულ მხატვ-

რულ სახეებთანაც. პირველ რიგში, სწორედ ეს უკანასკნელი მხარეა საინტერესო ამ ნაწარმოებისა, რომლითაც ნათლად ჩანს მწერლის შემოქმედებითი დამოკიდებულება ქართულ კულტურულ ტრადიციებთან.

ერთხელ ბედოვლათი ქმრის უმოქმედობით მოთმინებიდან გამოსული მარგო თეიმურაზს პირში მიახლის: „ნაცარქექიავ!“ მართლაც, არის ერთგვარი მსგავსება ნაცარქექიასა და თეიმურაზს შორის, ხალხის მხატვრული გენით შექმნილი გმირი თუ ნაცრის ქექვაში კლავდა დროს, თეიმურაზი უფრო ცივილიზებული ეპოქის შვილია და დროის უნაყოფოდ მოსაკლავად მტვრით დაფარული დაფურცლული წიგნების ქექვა აურჩევია. მაგრამ მათ შორის დიდი და პრინციპული სხვაობაცაა. ნაცარქექია სიზარმაცესთან ერთად საზრიანობის, მოხერხებულობის, ენამახვილობის განსახიერებაცაა, უბადრუკი თეიმურაზი კი ყოველ ნიქს მოკლებული ადამიანია. ამიტომაც, თუ ნაცარქექია ათასგვარი განსაცდელიდან ახერხებს თავის დაძვრენას და მისი ცხოვრების ფინალიც ბედნიერია, თეიმურაზ ხვეისთავი მხოლოდ დასალუპადაა განწირული, იგი თავისი ოდესღაც ძლიერი გვარის უკანასკნელი, თანაც დაგლახებული და დაჩაჩანაკებული მოჰიკანია.

ამის გამო, თეიმურაზი უფრო ლუარსაბ თათქარიძის ხვედრს იზიარებს, მათი ბედ-ილბალი ბევრწილად მსგავსია. ეს გარემოება სწორად შენიშნა დიმიტრი ბენაშვილმა, როდესაც თავის მრავალმხრივ საყურადღებო წიგნში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“ გაგვიცხადა: „არის რაღაც სულიერი ნათესაობა ლუარსაბ თათქარიძესა და თეიმურაზ ხვეისთავს შორის“ (გვ. 79). და იქვე დასძინა: „რა თქმა უნდა, მათ შორის განსხვავებაც დიდია და სწორედ ეს გარემოება მიგვითითებს მიხეილ ჯავახიშვილის ორიგინალობაზე, თვითმყოფობაზე, სამწერლო თემის სხვაობაზე. მაგრამ ყოველივე ამაში მხოლოდ მწერლის პირადი თვისებები კი არ თამაშობდნენ გადაწყვეტ როლს, არამედ დროცა და პირობებიც, რომლებმაც მიმართება მისცეს არა მარტო გმირთა ხასიათებს, არამედ მწერლის ესთეტიკურ კონცეფციასაც“.

ერთი შეხედვით, თითქოს ძნელია პარალელის გავლება ილია ჭავჭავაძის ამ რაბლესებურ, ცხოვრებას მოწყურებულ ლოყადაჟდაჟა ლუარსაბსა და დაჩივებულ, გამოფიტულ თეიმურაზს შორის, მაგრამ მათი უფრო ღრმად მდებარე, სულიერი ნათესაობის საწინდარი ისაა, რომ ცხოვრებისათვის ზედმეტი ბარგი გამხდარან, მათ არაფრის შექმნა აღარ შეუძლიათ, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების უღმობელი ლოგიკის ძალით განწირულთა ხვედრი რგებიან და ისინი უკვალოდ უნდა წავიდნენ არა მარტო ასპარეზიდან, თვით ცხოვრებიდანაც. ამიტომ გამოუტანეს ილია ჭავჭავაძე მაც და მიხეილ ჭავახიშვილმაც მკაცრი, მაგრამ ისტორიულად სამართლიანი და მრავალისმეტყველი განაჩენი, როდესაც არც ლუარსაბსა და არც თეიმურაზს ძე არ მისცეს და ამით სიმბოლურად მიგვანიშნეს მათი გადაშენების აუცილებლობაზე. ესაა უპირველესი მსგავსება მათი, ხოლო თუ ერთბაშად მათი მიმსგავსება არა ხერხდება, ეს იმიტომ, რომ ლუარსაბი თავისი ეპოქის შვილია და ბატონყმობის სასიკვდილო აგონიას გამოხატავს, ხოლო თეიმურაზი ფეოდალური არისტოკრატის უკანასკნელი ნაშეიერის, მონიტელიგენტო ხორცმეტის, მეოცე საუკუნის, რევოლუციების ეპოქის მიერ გარიყული და განწირული ცოცხალი ლეშის განსახიერებაა.

თეიმურაზ ხევისთავი გროტესკული სახეა მეოცნებე, უპრინციპო, უპროგრამო ადამიანისა, რომელიც რაღაც განყენებულ ცნებებს აფეტიშებს და რომელსაც მოქმედების, მოღვაწეობის, ისტორიულ ვითარებაში გარკვევის, უბრალოდ, არსებობის უნარიც კი არა აქვს. შეიძლება ხევისთავთა ამ ნაშეიერის უბადრუკ ცხოვრებას, ერთი შეხედვით, არ ესადაგებოდეს ტერმინი „გროტესკული“, მაგრამ თეიმურაზის განყენებულ, მისთვისვე გაუგებარ იდეალებსა და პრაქტიკულ ცხოვრებას შორის ისეთი საოცარი სხვაობაა, რაც მას უთუოდ კომიკურ პიროვნებად ხდის, თუმცა შემაზრხენი სურათების მოწამენი ვხდებით რომანის ფურცლებზე. თანაც, მხატვრულად იმდენად გაზვიადებულია, უჩვეულოა. გამძაფრებულია ეს გათიშვა თეიმურაზის ნათქვამსა და ნამოქმედარს შორის, იმდენად უკიდურესობამდეა გაშიშვლებუ-

ლი გმირი ჩვენს წინაშე, რომ, ვფიქრობ, სავსებით სამართლიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთ-ერთ საუკეთესო გროტესკულ სახედ ქართულ ლიტერატურაში.

მწერლის პოზიცია ამ გმირის მიმართ ჩვენთვის თავიდანვე ნათელია, მაგრამ მოქმედების განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ძლიერად იჩენს თავს არა მხოლოდ შეუბრალებლობა, არამედ განუზომელი ზიზღიც ავტორისა ამ სულიერად და ხორციელად დაცემული ადამიანის მიმართ. დიახ, ზიზღი, რადგან ამ დაცემული არსების წამოყენება აღარ შეიძლება, იგი უიმედოდაა გადაგვარებული.

მწერალი გზადაგზა გვიხატავს თავისი გმირის გარეგნულ პორტრეტს, რომელიც სავსებით შეესაბამება მისსავე შინაგან სამყაროს და ასე თანდათანობით წარმოგვიდგება თვალწინ ეს უბადრუკი, თავის თავში შეყვარებული და დარწმუნებული, სინამდვილეში კი არაფრის მაქნისი, ყველაფრისაგან დაცლილი და გამოფიტული ადამიანი. რომანის პირველსავე გვერდზე ვხვდებით ჩვენ ბეცსა და ენაბლუ, „ბუჩბულზე გაზრდილ და წიგნებით შექმულ თეიმურაზ ხევისთავს“, რომელსაც „დამდნარი, დონდლო, უძვლო ხელები“ ჩვრებივითა ჰკიდია და თავიდანვე გვექმნება შთაბეჭდილება გმირზე და მისდამი ავტორის დამოკიდებულებაზეც. სულ მალე მწერალი უფრო მკვეთრად აგვიწერს და გვიხასიათებს თავის უნდილ გმირს:

„თეიმურაზი უმზეო ყვავილივით ნაზი და ლამაზი იყო, ნატიფად ასხმული და ნაქანდაკევი, მაგრამ გამხდარი და გაძვალეებული, მხრებაყრილი და მკერდჩავარდნილი, ბეცი და მელოტი, გაფუფქული ქათმის მინამგვარი, მწიგნობრობით დაღლილი, დაშრეტილი, გამოწურული და დამდნარი ნაკაცარი, რომელსაც მომავლად თვალწინ მხოლოდ შავი ნისლი ჰქონდა აფარებული, ხოლო ყველაფერი, რაც კი ოდესმე გააჩნდა, წარსულში ჰქონდა დარჩენილი: ტკბილ მოგონებანი, საერთო პატივი, მეგობართა სიყვარული, მუდმივი მოლოდინი უცნაურ მომავლისა და მარადიული დევნა ბუნდოვან ლანდებისა“.

ამით ჩვენთვის თავიდანვე ცხადი ხდება, რომ „ნათავადარი, ნამამულევი, ნამოღვაწარი და ნავექილარი“ თეიმურა-

ზისათვის ყველაფერი იმედიანი მხოლოდ წარსულში ყოფი-
ლა, მომავალი კი მას აღარა აქვს. მაგრამ მაინც რა წარსუ-
ლი ჰქონდა ასეთი ხევისთავს? ეს კითხვა უთუოდ აწუხებს
ჩვენს გაღვიძებულ ცნობისმოყვარეობას და როგორც ირკვევა,
მოლას ახალგაზრდობის არ იყოს, არც წარსული ჰქონია თე-
იმურაზ ხევისთავს დიდად გასახსენებელი. ხევისთავების
უკანასკნელმა ჩამომავალმა მამა-პაპათა მიერ საუკუნეების
მანძილზე მიტაცებული მამულები და სიმდიდრე ჯაყო ჯი-
ვაშილს გაანიაებინა და მიათვისებია, გლეხების ქომავობა
იმით ამოსწურა, რომ მგლისა და სახარების არ იყოს, მა-
ლალფარდოვანი ფრაზებით კვებავდა თავის შეუსმენელ მო-
ურავს, თვითონ კი ათასი წვრილმანი საქმით იყო გართული.
რომელთაგან ვერც ერთს თავს ვერ აბამდა.

თეიმურაზის — ამ „წიგნის ჩრჩილის“, „ძარღვებიც სი-
სხლის მაგივრად თითქო გაზეთების ნაგლეჯებით რომ ჰქონ-
და გატენილი“ და გული კი — „ისიც მჩატე გაზეთივით
დაქმუქნული და გაჩვარებული“ — ხასიათი, ბუნება, ადგილი
და ფასი საზოგადოებაში მწერალს თავიდან მისი შეუღლის
თვალთ აქვს დანახული. სიცოცხლით სავსე მარგო ჯერ
„თეიმურაზის შუქით და სახელით იკვებებოდა“, მერე კი,
როდესაც გაიგო მისი ვაჟკაცობის ფასი, „ქურუმი ნელნელა
გაცივდა, დადნა და დაპატარავდა“. მარგოსაც სულ მალე
მობეზრდა „უცეცხლო თეიმურაზიც, მისი მჩატე ნაზრე-
ვიც, მისი მუდმივი ფუსფუსი და საქვეყნო მოღვაწეობაც“.

თეიმურაზ ხევისთავი, რომელიც თავისი ცოლის საწოლ-
შიც კი ზანზიბარისა და მაროკოს პრობლემებით იყო გართ-
ული, ან ცხარედ ეკამათებოდა გუჩკოვს, ლოიდ-ჯორჯს,
კლემანსოს თუ წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომა-
რეს, ისეთი ალტაცებით შეეგება რევოლუციას, თითქოს
ნატვრა შეუსრულდა და სამოთხის კარი გაეღო. მაგრამ
სწორედ აქედან დაიწყო მისი უბედურებაც. ახალმა ცხოვრე-
ბამ მას ფრაზების ნაცვლად საქმე მოსთხოვა, რაც ხევისთა-
ვთა ნაშიერისათვის ისევე მიუწვდომელი იყო, როგორც
მარგოსათვის ბედნიერების მიცემა და მემკვიდრის ყოლა.
იგი თანდათან დარწმუნდა, რომ იმდენი ხნის ნანატრი და ნა-
ლოდინევი ცხოვრება მისი გასართობი და სათამაშო კი არ
იყო, არამედ თავისას მოითხოვდა.

თეიმურაზს აღარც ჭაყოს მიერ გაპარტახებული მამულები შერჩა, რაც ადრე არსებობის საშუალებას მაინც აძლევდა, განძეულობაც იოლად შეარჩინა მოურავს და სულ მალე, როდესაც წიგნებიც შემოეყიდა პურის ფულად, სასოწარკვეთით მორთო კივილი: „გვიშველეთ! დავიღუპეთო!“

„იმ დღიდან თეიმურაზს მისი სიცოცხლე კისერზე ისე ჩამოეკიდა, როგორც ლეკვის აყროლებული ლეში, რომელიც ვერ იქმნა, ვერ ჩამოიგლიჯა, ვერ მოიშორა, და თვითონაც იმ ლეშიან ცხოვრებას ვერსად გაექცა და ვერსად დაემალა“. მიხეილ ჭავჭავიძე თავის გმირს ასე ატარებს რომანის ბოლომდე, კისერზე ჩამოკიდებული აყროლებული ლეშით, და ამ შემაზრხენი შედარების დროდადრო გამეორებით მხატვრულად მიგვანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ თეიმურაზ ხევისთავის საშველი ახალ ცხოვრებაში არსადაა.

ერთხანს თეიმურაზი სასწაულებს ელოდა, მამულის დაბრუნების ოცნებით ცოცხლობდა, ამ იმედიანობაში „ნელ-ნელა დაილივნენ და დაცარიელდნენ თეიმურაზის გულიც. იმედებიც, წიგნსაცავიც და ბინაც“. ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილი თეიმურაზი სწრაფად დაეშვა უფსკრულისაკენ და ბოლოს იძულებული გახდა თავის მოურავს — ჭაყოს შეხიზნებოდა მეუღლითურთ. აქედან იწყება შემადრწუნებელი სურათები თეიმურაზ ხევისთავის ზნეობრივი დაცემისა, როდესაც ნახევრად ველური ჭაყო სახლ-კარისა და მამულის წართმევას არ აკმარებს და მის ცოლსაც, მშვენიერ მარგოსაც დაისაკუთრებს. მიხეილ ჭავჭავიძე დაუნდობლად ამხელს თავისი გმირის გონებრივ გამოფიტვას, სულიერ სილატაკეს, ზნეობრივ დაცემულობასა და ფიზიკურ დავრდომილებას. ამაზრხენია ის სცენები, როდესაც თეიმურაზი თავისი ცოლის ჭაყოს ხასობას ურიგდება, შემდეგ კი მათ ქორწილს ესწრება და ყოფილ მეუღლესა და მოურავს შინამოსამსახურედ უდგება. თეიმურაზ ხევისათვის, დიდებული და ძლიერი გვარის ჩამომავალს, ახლა ბრინკად მონათლავენ, რადგან მოახლეს ეს სახელი უფრო შეეფერება. ამასაც მორჩილად იტანს ზნედაცემული ნაკაცარი და ნათავადარი. ამავე დროს კვლავ მაღალფარდოვნად მსჯელობს საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ წარსულზე, მის ახლანდელ დაცემასა და უპერსპექტივობაზე.

„საწ...წყალი ქართლი!.. იგი მომაგონებს დაბერებულს, ქაჩალს, უკბილოს, ბრუციანსა და დაყრუებულ ნაკაცარს, რომელსაც ჭამისა და განძრევის შნოც აღარ აქვს“, — ოხრავს თეიმურაზი, მაგრამ იმას ვერ ამჩნევს, რომ თავის თვისებებს მიაწერს ერს, რომელიც ახალ, თავისუფალ შრომის ფერხულშია ჩაბმული. მწერალი იქვე გვიხატავს სურათს შრომით დამაშვრალი და ხალისიანი განწყობით სავსე სოფლისა, რასაც მხოლოდ თეიმურაზი ვერ ხედავს. საქართველოს ბედ-იღბალზე დაფიქრებული ნაკაცარი, რომელსაც საკუთარი მეუღლისათვის ვერ მოეწლო და სამადლოდ გადმოგდებული პურიტლა ირჩენდა თავს, „გულხელდაკრეფილი იდგა და ისე გასცქეროდა დასავლეთს, თითქო თავის საარაკო საბედოს და სიცოცხლის ნატვრას იქიდან მოელოდაო“.

თეიმურაზისა და ნახუცარ ივანეს ხანგრძლივი საუბრები ბევრწილად გვიხსნიან ნაკაცარის აბურდულ აზრებს და ღრმად გვარწმუნებენ, რომ ამ „წიგნის ჩრჩილს“, რომელიც კითხვით გაბეცებულა, მაინც ვერაფერი გაუგია საქართველოს ისტორიიდან და რაღა გასაკვირია, რომ მისი მომავლისა არაფერი ესმოდეს. ერთ-ერთი საუბრის დასასრულს, როდესაც თეიმურაზი სულიერი სიმშვიდისა და სიხარულის დაბრუნებას ნატრობს, ნახუცარი ივანე მწარე, მაგრამ სამართლიან სიტყვებს მიახლის ნაკაცარს:

„—მაშინ დაგიბრუნდება, როცა შენც ჩემსავით დაუბრუნდები ხალხს და ეზიარები იმას სულითა და გულით, იმის ჰირითა და სიხარულით, იმედითა და რწმენით. მე შენსავით განათლებული არა ვარ, ამიტომ ისტორიას და მეცნიერებას ვერ წავწვდები, მაგრამ ეს ცხოვრება შენზე კარგად მესმის. ვინც იგი არ მიიღო, ცხოვრებამ არც ის მიიღო, შენც არ იცი, რა გინდა და რას ეპოტინები. ქართველი ხალხისათვის სიკეთე გინდა, მაგრამ იმავე დროს სწყევლი და ცილსა სწამებ. აღარაფერი გწამს: არც ღმერთი, არც ეშმაკი, არც ხალხის შემოქმედების უნარი, არც მისი მომავალი და სიცოცხლე, შენ ხალხს შენის ოთახიდან ჰხედავდი. ჩვენი ხალხი რომ გცნობოდა, ასეთს ცილს არ დასწამებდი. შენ იმასაც ვერ ჰხედავ, რომ ძველი ლეშის მაგიერ ათასობით ამოვიდა ხალხის გულიდან ახალი მუხნარი. ეს მუხები ღლითიღლე

აფურჩქნებიან და ძველ ჯაგნარის ალაგს იქერენ. შენ კი ეს ახალი ბალი უდაბნოდ მიგაჩნია“.

ნახუცარ ივანეს კარგად ესმის თეიმურაზის უბედურების საფუძველი, მაგრამ იმაში ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულა, რომ თეიმურაზს არ შეუძლია დაუბრუნდეს ხალხს და იმისი ჭირითა და სიხარულით იცხოვროს. თუმცა თეიმურაზს ახალი ცხოვრების პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ მოაქვს თავი და ამით ამართლებს თავის უმოქმედობას, თითქოს ამით გამოხატავდეს თავის პროტესტსა და შეურიგებლობას, მაგრამ ეს მხოლოდ მისი პოზაა. სინამდვილეში მას უბრალოდ არაფრის კეთება არ შეუძლია, იგი სავსებით უუნარო ნაკაცარია და ახალ დროს უფრო იმიტომ ვერ ეგუება, რომ ახლა ძველებურად ყბედობით ცხოვრება აღარ შეიძლება, რაღაც უნდა აკეთო, იშრომო, შექმნა, ეს კი თეიმურაზის ძალ-ღონეს აღემატება. ასე რომ, ამ „მაღალი იდეების“ გამო ტანჯული კაცის პოზის იქით იმალება ცხოვრების ძალისაგან დაცლილი, დამშრალი, გამოფიტული ცოცხალი ლეში.

თეიმურაზ ხევისთავი ამიტომ ვერ შეისმენს ნახუცარ ივანეს სიტყვებს და ვერ ეზიარება იმ სიხარულს, რომელიც მშრომელ, შემოქმედ ადამიანს გააჩნია. ამიტომაც განწირული იგი, ძილში თუ ცხადში, აგოდებულ გულზე ლოდივით ედოს „აყროლებული ლეში, თავისი ბედის ხვედრი, განუყრელი ძმა და მეგობარი, რომელიც თეიმურაზს ალბათ სამარემდე მიჰყვება, კუბოშიც ზედ დააწეება და იქაურ სი-ცოცხლესაც მოუშხამავს, გაუმწარებს და აუყროლებს“.

ჯაყო ჯივაშვილი, ეს მეორე და განსხვავებული წყლული ერის სხეულზე, სოციალურად უფრო საყურადღებო ტიპია მიხეილ ჯავახიშვილის რომანში. თუ თეიმურაზ ხევისთავი ცოცხალ ლეშს წარმოადგენს და მას არც სიკეთის გაკეთების უნარი აქვს და არც ბოროტებისა, ჯაყო თავისი ბნელი ძალითა და ენერგიით სოციალურად საშიში მოვლენაა საზოგადოებისათვის. იგი თეიმურაზის ანტიპოდი და მის განათლებულ უმოქმედებას თავის გაუნათლებელ მტაცებლურ მოქმედებას უპირისპირებს. თუ თეიმურაზს არა აქვს დროის გაგების უნარი, ჯაყო გრძნობს ყოველგვარ სიახლეს და თავის მოქმედებას მტაცებლის გამახვილებული ინსტიქტით

წარმართავს. ჯაყო ყოველთვის სარგებლობს ცხოვრების ვითარებით და მისი აქტიური ბუნება მხოლოდ ბოროტებისა-კენ ისწრაფვის. ჯაყო მუდამ ამა ქვეყნის ძლიერთ ეტმასნება და ერთი მიზანი ამოძრავებს, რაც შეიძლება მეტს გამორჩეს მათ. ასეთი ბუნების ადამიანისათვის თეიმურაზი სანატრელი კაცი იყო და ჯაყომაც ნელ-ნელა მიითვისა ხევისთავის მამულიც, განძეულობაც და, როცა არც ეს იკმარა, მისი ლამაზი ცოლიც. ახალ ვითარებაში ჯაყო მშრომელთა კლასის წარმომადგენლად ასაღებს თავს და ერთხანს კიდევ ინარჩუნებს ძველი მოურავისა და მამასახლისის ფაქტიურ უფლებებს.

მთელი რომანი თეიმურაზისა და ჯაყოს დაპირისპირებულობაზეა აგებული. მწერალი განზრახ უსვამს ხაზს აქ ორი გმირის გარეგნულსა თუ შინაგან კონტრასტულობას. ბნელი და უხეში ძალა, რომელსაც ჯაყო განასახიერებს, იმარჯვებს თეიმურაზისეულ უვნებელ და მორჩილ ბუნებაზე, რადგან პირველს ცხოვრების კონკრეტული ამოცანა აქვს, მეორეს კი ოდენ ფუჭი ოცნებები და ცხოვრების არარეალური შეგვრძნება. მწერალმა ჯაყოს განზრახ გაათელვინა ასე უმოწყალოდ თეიმურაზი, რადგან ძლიერისა, თუნდაც უხეშისა და ბოროტის, დაპირისპირება უნებისყოფოსა და უენერგიოსთან მხოლოდ პირველის გამარჯვებით შეიძლება დასრულდეს. სწორედ ამ ბოროტი ძალის აღზევების მხატვრულად შესანიშნავი, მაგრამ ემოციურად შემაზრზენი სურათია ხევისთავების ოჯახის ჯაყოს ხიზნობა, სადაც ადამიანური თავმოყვარეობის, ზნეობის, სულის შერყვნისა და შელახვის უკიდურესი დემონსტრირება ხდება:

მიუხედავად მხატვრული გამძაფრებისა, ეს ურთიერთობები რეალურ საფუძველზეა აშენებული და ფსიქოლოგიურად მოტივირებულიც. მაგრამ მწერალი აქ არ ჩერდება და ბოროტების ამ ორივე კონტრასტული საწყისის ბედსაც მიგვანიშნებს. არც თეიმურაზსა და არც ჯაყოს არ უწერია დიდი დღე ახალი ცხოვრების პირობებში. მებადურისა და მისი ცოლის არ იყოს, ჯაყოც უბრუნდება თავის დამტყრეულ ვარცხლს. ძალა აღმართს ხნავს და ახალი ცხოვრების სულისკვეთებას თვით ჯაყოც კი ვერ ერევა. ასე ერთნაირად ხელმოცარულთ

ვხედავთ რომანის ბოლოს თეიმურაზსაც და ჯაყოსაც, ხოლო მათი ნამამულარი ხალხის საკუთრებად ქცეულა. სოფლის სიკეთე და ძალა ახლა თვით მშრომელი გლეხობის ხელშია, რომელსაც ამ რომანში ნინიკა წარმოგვისახავს. და თუმცა ნინიკაცა და მშრომელი გლეხობის განმასახიერებელი სხვა გმირებიც აქ ეპიზოდურად წარმოგვიდგებიან მხოლოდ, ეს არ ჩქმალავს ავტორის ისტორიულად სწორ პოზიციას. ხოლო თუ რომანის მანძილზე, ძირითადად, თეიმურაზის, ჯაყოსა და მარგოს ხასიათებში ვერკვევით, ეს მწერლის ჩანაფიქრის თავისებურებაზე მეტყველებს და ჩრდილს არ აყენებს ამ კლასიკური ძალის ნაწარმოებს. მწერლის ჩანაფიქრი და ამ რომანის პათოსი კი მხატვრული მხილებაა.

6

რომანი „თეთრი საყელო“, რომელიც მწერალმა 1926 წელს გამოაქვეყნა, რთული ფილოსოფიური პრობლემის მხატვრული გააზრება და გადაწყვეტაა, თუმცა პრობლემის ამ სირთულემ სრულებითაც არ „დაამძიმა“ ნაწარმოები. მიხეილ ჯავახიშვილმა ცივილიზაციის, პროგრესის, ცხოვრების მდინარების, თუნდაც ალაგ მღვრიე, მაგრამ მაინც მდინარების, მისი განვითარების მიღება-არმიღების მეტად მწვავე ფილოსოფიურად და პოლიტიკურად მღელვარე საკითხი საოცრად მარტივი, ცოცხალი სურათების დაპირისპირებით გადაჭრა და შეძლო სავსებით არიდებოდა განყენებულ, თეორიულ მსჯელობასა თუ სენტენციებს.

თავის დროზე არც „თეთრი საყელო“ გაუგეს სწორად მწერალს. რატომღაც ამ რომანიდან სრულიად საწინააღმდეგო რამ ამოიკითხეს იმისა, რისი თქმაც მწერალს უნდოდა, და არა მარტო უნდოდა, კიდევაც თქვა. მიხეილ ჯავახიშვილს სწორედ ცხოვრებიდან განდგომის, მისი პროგრესის უარყოფის ტენდენცია მიაწერეს. მწერალი ვ. ბახტაძისადმი (ვინც პირველმა გამოთქვა ეს მცდარი მოსაზრება) მიწერილ წერილში იძულებული იყო თავად აღენიშნა „თეთრ საყელოში“ ჩადებული აზრი და სათქმელი. „თემატიკურად“ „თეთრ საყელოში“ ახალი არაფერია, — წერდა მ. ჯავახიშვილი, — ეს თემა — ქალაქიდან გაქცევა და პრიმიტივისა და

კულტურის დაპირისპირება — რუსოს, ჰამსუნს, კელერმანს და სხვა მწერლებსაც გამოუყენებიათ. მე იმით განვსხვავდები მათგან, რომ გმირი ისევ ქალაქში დავაბრუნე, ე. ი. კარჩა-ეტილობა დავგმე და გამარჯვება კულტურას მივაკუთუნე“¹.

მიუხედავად მწერლის ამ აღსარებისა, მაინც არ დაუჯერეს მას და დღესაც მკვლევართა და კრიტიკოსთა ერთ ნაწილს ღრმად სჯერა, რომ შესაძლოა მ. ჯავახიშვილს სურვილი სხვა ჰქონდა, მაგრამ ფაქტიურად „თეთრ საყელოში“ ჩამორჩენილობის, უკულტურობის განმასახიერებელი გმირები რომანტიკულადაა დახატული, ამდენად პატრიარქალური მთის ბნელი ყოფა და ტრადიციები იდეალიზირებულია, ხოლო ქალაქი, ცივილიზაცია, რაც უნებისყოფო, შინაგანად ცარიელი ელიზბარის სახითაა წარმოდგენილი, ან კიდევ ცუტ-ქიებითაა დასახლებული, რუსოსებურადაა უარყოფილი.

„თეთრი საყელოს“ ასეთი უმართებულო შეფასება იმით უნდა აეხსნათ, რომ მკვლევართა ერთმა ნაწილმა მცდარად გაიგო რომანის მთავარი გმირის ელიზბარის სახე. ამაჲ კი განაპირობა ყველა სხვა შეცდომა. ელიზბარის გამოცხადება ინდივიდუალისტად, ან შინაგანად ცარიელ, უმოქმედო, გონებადახშულ ადამიანად უთუოდ მცდარია და რომანიდან ცალკეული ფრაზების მექანიკურ ამოგლეჯას უფრო ემყარება, ვიდრე მის კონცეფციას და სულისკვეთებას.

წიკლაურების მივარდნილ, ამ ქვეყნისაგან სავსებით მოწყვეტილ სოფელში სრულიად შემთხვევით მოხვედრილი ელიზბარი, რომელიც მოხიბლა შეურყვენელი ბუნების სილამაზემ და სიმშვიდემ, ასე ფიქრობს:

„ბედისაგან მოთელილი და ნაბურთალი ვარ. ცხოვრებამ გამომფიტა, მომქანცა და ფულურო მყო. რაც მქონდა და ვინც მყავდა, თითქმის ყველანი დავკარგე: მამა, ძმა და სამიოდე ნათესავი, მამა-პაპების მონაგარი და უკანასკნელი თავშესაფარი, სულის სიმხნევე და გულის სიმტკიცე. ყოველივე მქონდა და აღარაფერი არ შემრჩა. სული დამიციარიელდა და ვერაფრით ვედარ ავაუსე. ამიტომ იყო, რომ ჩემი ტანიც და სულიც წიფლის ქვეშ ასე უცბათ გალხვა და გაინაბა.

¹. „მნათობი“, № 11-12, 1934 წელი, ვ. ბახტაძისა და მ. ჯავახიშვილის ნიმოწერა.

ისეთი საამური ბანგით ვარ გაუღენთილი, რომ უძრავად თუნდ ერთ წელიწადს გავძლებ, თუნდ სამულდამოდაც დავრჩები. ჩემი გუმანი ძალდატანებას, ან საპატივებელ საბაბს ელოდება“.

თუ მხოლოდ ელიზბარის ამ შინაგანი მონოლოგით ვიმსჯელებთ, მართლაც შეიძლება ზემოთმოტანილი დასკვნების გამოტანა. მაგრამ ამით მხოლოდ იწყება ელიზბარის გაცნობა, მთელი რომანი კი სულ სხვანაირ, საპირისპირო ელიზბარს გვიხატავს. გმირის მიერ საკუთარი თავის ეს დახასიათება მწერალს იმისათვის სჭირდება, რომ დავიჭეროთ, გავიგოთ ელიზბარის გადაწყვეტილება -- დარჩეს მთაში, მოსწყდეს ქალაქს, ცივილიზაციას, რაც მთავარია, თავის ცოლს ცუცქიას, რომელმაც ქალთა ემანსიპაციის თავისებური, უკუღმართი გაგებით საერთოდ შეაძულა ელიზბარს ქალიც. ემანსიპაცია, ცივილიზაცია და სიცოცხლეც. აი ასეთ კრიზისულ მომენტში მოხვდება ელიზბარი მთაში, სადაც ყველა პრობლემისაგან თითქოს თავისუფალი რჩება და გასაკვირი აღარაა ის დაღლილი კაცის მონოლოგი, რომელსაც მისგან ვისმენთ. თან ეს უბრალოდ საბაბიცაა იმისათვის, რომ გმირი ამ პატრიარქალურ თემში დარჩეს და, ამდენად, მწერალს საშუალება მიეცეს ცოცხალი სურათების დაპირისპირებით მიგვიყვანოს მთავარ სათქმელამდე, არ მიმართოს მსჯელობას და თეორიული მოსაზრებების მშრალ დეკლარაციას.

ამ თავდაპირველი მონოლოგის გარდა, ელიზბარი მკითხველს წარმოუდგება ფიზიკურად და მორალურად ჯანსაღ ადამიანად, რომელსაც თავისი საქმე, მამულისათვის სასარგებლო საქმე აქვს. იგი კარგი სპეციალისტი-გეოლოგია, მოწინავე და განათლებული ადამიანი, პროგრესული მიზნებითა და იდეალებით გამსჭვალული. სწორედ ამ გმირის თვალით ადარებს მწერალი ძველ, პირველყოფილ დონეზე მდგარ სამყაროს დუნე, ერთფეროვან, გაყინულ ცხოვრებას თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს მშფოთვარე, რიტმიან. პროგრესის წყურვილით დაუმცხრალ მოქმედებასა და სულისკვეთებას. სწორედ ამ გმირის საშუალებით მივყავართ მას ერთადერთი სწორი დასკვნისაკენ.

თეთრი საყელო და ჭაჭკის პერანგი ცივილიზაციისა და პატრიარქალური სამყაროს სიმბოლოებია. ძველი, კარჩა-ეტილი, პრიმიტიული საზოგადოება, ერთი შეხედვით, რომანტიკული ფერებითაა დახატული და თითქოს უფრო ჰუმანურ, ვაჟკაცურ პრინციპებზეა დაფუძნებული, მაგრამ როდესაც ელიზბარი ხანგრძლივად დაყოფს ცივილიზებული სამყაროსაგან ამ გამოთიშულ სოფელში, დარწმუნდება, რომ მისი ჰუმანიზმი უფრო მოჩვენებითია, გარეგნულადაა ეფექტური, სინამდვილეში კი ქიშპობისა და ვერაგობის, სისასტიკისა და დაუნდობლობის დაუწერელი კანონები აქ კიდევ უფრო მძაფრად მოქმედებენ. მიუხედავად ამ თავდაპირველი რომანტიკული ელვარებისა, ელიზბარი თანდათან სულ უფრო ნათლად ხედავს ამ სოფლური იდილიის შიგნით მიმალულ მთელ სირთულესა და ჭუჭყს, ამიტომაც ისწრაფვის იგი უკან, ქალაქისაკენ, ცივილიზაციისაკენ. ელიზბარს სწყურია მოქმედება, შრომა, მოღვაწეობა იმ სამყაროში, რომელიც პროგრესის გზაზე დგას. ელიზბარი რწმუნდება, რომ თეთრი საყელოს გარეშე თანამედროვე ადამიანის ცხოვრება უაზრობაა, თვითმკვლელობაა. აი ასეთი მიზანდასახულების მატარებელი მხატვრული სახის გამოცხადება სულიერი ენერჯისაგან დაცლილი ადამიანის გამოხატულებად—უთუოდ მცდა-რიი.

მიხეილ ჭავჭავიძეილი პატრიარქალურ ყოფას რაღაც განყენებულ ცივილიზაციას კი არ უპირისპირებს, არამედ სრულიად კონკრეტულ პროგრესულ სამყაროს, საბჭოთა სინამდვილეს. მთიულები მას „წითელ ეშმას“ უწოდებენ, მაგრამ ისწორედ ამ სინამდვილის მიღების აუცილებლობაში გვარწმუნებს ავტორი და ეს მისი დიდი მოქალაქეობრივი დამსახურებაა. ნუ დაგვავიწყდება, რომ რომანი 1926 წლამდეა დაწერილი, როდესაც ქართული მწერლობა ჯერ კიდევ მთლიანად არ იდგა ახალი ცხოვრების პოზიციებზე, ბევრი რამ გაუგებარი და იქნებ უცხოც იყო მისთვის. იმ დროს ასეთი ნათელი და მოქალაქეობრივად შემართული ნაწარმოების გამოქვეყნება მიხეილ ჭავჭავიძელს დიდ დამსახურებად უნდა ჩავეთვალოთ.

თავისი გმირის გადაწყვეტილება რომ შთამბეჭდავი იყ-

ოს, ხოლო საკუთარი ჩანაფიქრი კი შედარებით უფრო ძლიერად და საარწმუნოდ თქმული, მწერალი თავიდანვე შავი და თეთრი კონტრასტული ფერებით როდი გამოყოფს ერთმანეთისაგან იმ ორ სამყაროს, რომელთაც ერთმანეთს უპირისპირებს. პირიქით, იგი თავიდან უფრო მიმზიდველად ხატავს იმ სამყაროს, რომლის უნაყოფობაშიც თანდათან სულ უფრო უშუალოდ და ძლიერად რწმუნდება ელიზბარის და ბოლოს მტკიცე გადაწყვეტილებით გაურბის კიდევ.

მთაში, ამ ქვეყნისაგან მოწყვეტილ სოფელში „ყველანი და ყოველივე ზღაპრისა და ლეგენდის ბადით შეხავსულა“. ელიზბარს გულწრფელად იტაცებს ის „ცოცხალი და შიშველი ბუნება“, რომელიც ხათუთას, ჯურხას, თუ, საერთოდ, „დაჟდაჟა და სისხლიანი“ ქალუკებისა და ვაჟიკების სახით წარმოუდგება. დიდი რომანტიკული შარავანდედითაა მოსილი ხათუთას და ელიზბარის, მთაში ვაჟიკად მონათლულის, მიჯნურობა. ეს დიდი ვნებითა და სულიერი სიფაქიზით სავსე სიყვარული უპირისპირდება ელიზბარისა და ცუცქიას ქალაქურ სიყვარულს. ამ კონტრასტებით მწერალი უთუოდ რომანტიკული მთის სასარგებლოდ განაწყობს შკითხველს. და სწორედ ამის შემდეგ იწყებს იმ შინაგანი წინააღმდეგობის, უსამართლობის, თვითნებობის, ვერაგობის გამომზეურებას, რომელმაც კიდევ უფრო მეტად უნდა იმოქმედოს ჩვენზე, რადგან ასე მოვიხიბლეთ ამ ერთი შეხედვით უზადო სამყაროთი. ნელ-ნელა ელიზბარსაც და მასთან ერთად შკითხველსაც თავს აბეზრებს ათასგვარი ადათი, რომელიც ბევრწილად არაპუმანურია: იქნება ეს მტრების მარჯვენის მოკვეთა, სისხლის გაუთავებელი ღვრა, ქალების არაადამიანური მოპყრობა თუ უამრავი სხვა. მაგრამ ყველაზე მეტად აუტანელია ის უმოქმედობა, რომელიც მთაში სუფევს. აქ არ იციან არამცთუ თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ელემენტარული ჩვევები ან ნივთები, არამედ არ იციან დროის ანგარიშიც. მათ არ აინტერესებთ წელი და თვე, რიცხვი და საათი. ისინი, მართალია, ნადირობენ, შრომობენ, ილხენენ, იბრძვიან, ქიშობენ, მიჯნურობენ, მაგრამ სავსებით გამოთიშულნი არიან არა მარტო ვარემოსაგან, არამედ დროსაგანაც. ამდენად, მათი მოქმედება ფაქტიურად უმოქმედობაა, მათა

სიკოცხლე, ფაქტიურად სიკვდილია. აი ამიტომაც, რომ ელიზბარს, რომელსაც თავდაპირველად „ნამდვილ სამოთხედ“ მოეჩვენა წიკლაურების სოფელი, ახლა ჯოჯოხეთად გადაექცა იგი. ხოლო როდესაც ხევსურების მთელი ოცნება ბატონიშვილის ტახტზე დაბრუნებას ვერ გასცილდა, საბოლოოდ იგრძნო მათი გონების გამოფიტვა და სულის დაშრება. ოცნებისა და იდილიის ასეთი მსხვრევის შედეგად იგრძნო ელიზბარმა, რომ თოკებით ყოფილა იმ ნაპირთან მიბმული, რომელსაც გამოექცა და ვიდაც თუ რაღაც სკიპავს ამ თოკებს და კვლავ გაღმისაკენ მიათრევს. თეთრი საყულო ბევრად უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე ჯაჭვის პერანგი. ამაში საბოლოოდ დარწმუნდა ელიზბარი და რომანის მთავარი სათქმელიც მის გამოსამშვიდობებელ სიტყვაშია, რომლითაც მიმართა წიკლაურებს:

— თქვენ შარშანაც მიშველეთ, მიძმეთ და დედ-მამობა გამიწიეთ. მაგრამ მე დამავიწყდა, და არც თქვენ იცოდით, რომ მეორე დედაც მყავდა. ის დედა კი არა, ოცი წლის წინათ რომ დავმარხე. არამედ მეორე, თქვენსა და ჩემზე უფრო დიდი, უკვდავი, მარადიული: ჩვენი საერთო მშობელი, მშობელთ-მშობელი, უწლო და დაუსრულებელი. ის არის დედაჩემი, იგივე მამაჩემი, იგივე დაი, ძმა, ბიძა და ყოველი ნათესავი ჩემი. ეხლა ის მშობელთ-მშობელი მეძახის, მიბრძანებს! გარდუვალა კანონი და უძლეველია ძალა მისი! ამიტომ მივდივარ, მიტომ ვუბრუნდები უძლები შვილი ჩემს ბარაქიან მშობელს — ბარს, ქალაქს, ხალხს, ცხოვრებას და ნამდვილ მიწას. ქვევით ქალაქში მდუღარე ორთქლი და გახამებული საყულო, ჯადოსნური ელექტრონი და თეთრი საცვალი, ცოცხალი რკინა და კბილის საწმენდი, წიგნი და რადიო, ქრონომეტრი და რენტგენი, საპონი და აბანო მელოდება. თქვენი კი აღარა მჯერა, ჩემო უვიწყარო: აღარც კუდიანი ოჩოპინტე, აღარც თეიმურაზ ბატონიშვილი, არც ჯავშან-მუზარადი, არც ფარსმან მეფე, არც დამნა და არც ფარი, არც კაჟიანი თოფი და აღარც მაძახურა, არც იაპონია, აღარც ხინკალი და აღარც კუდიანთ წუხრა. ყველას უღრმესი სალამი და მადლობა: თქვენც და ოჩოპინტესაც, თეიმურაზსაც და ხინკალსაც, ფარსმანსაც და ჩაფხუტსაც, კაჟიან თოფსაც და

იაპონიიდან მომავალ ბატონიშვილსაც, ყველამ თავისი შესარულა და წავიდა. წავიდა და აღარ დაბრუნდება. მე კი ბარში და ქალაქში მომელის ჩვენი მომავალი. მომელის და თოკით მიმათრევს, თოკითღამ თოკის ბოლოს აქვე ვტოვებ. ყელზე გექნებათ მობმული. მე იქიდან მოვწევ, თქვენ აქედან მოძიხიდეთ. ვნახავთ ვინ გადასწევს, თქვენ თუ ქალაქი? თუ ჩაგითრით, ვცხონდებით. თუ მაჯობეთ, ვაი ჩვენი ბრალი! ვერც იაპონია გვიშველის მაშინ და ვერც ოჩოპინტე, ვერც ხანჯალი აგვაყენებს და ველარც ფარსმანი გაგვაცოცხლებს. მაშ აგრე, ძვირფასო მამებო, დედებო, ძმებო და დებო: მშვიდობით და მადლობით!”

ამას გარდა, თუ ჯურხასა და ელიზბარის უკანასკნელ საუბარსაც გავიხსენებთ, სავსებით გასაგები იქნება მწერლის სათქმელიცა და მიზანდასახულობაც. ჯურხას „ჯანსაღი ველურობა“ ურჩევნია „განათლებულ გადაგვარებას“, ხოლო ელიზბარი კი „თეთრი საყულოსა“ და „ჯიშის შენახვის“ ბედნიერი შერწყმის მომხრეა. ამის ერთადერთ რეალურ საშუალებად კი „ბრძოლის ველზე“ მოქმედება მიაჩნია და არა „დათვის ბუნაგში“ შეძრომა და დამალვა.

მიხეილ ჯავახიშვილმა ოციანი წლების დამლევს კიდევ ერთი რომანი გამოაქვეყნა — „გივი შადურის“. ეს უფრო სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებია, საინტერესო თავისი აგებულებით, სადაც რამდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნოველაა გამოკვეთილი გივი შადურის ტრაგიკული ცხოვრების ფონზე.

მიხეილ ჯავახიშვილი სიუჟეტის დიდი ოსტატია. იგი ყოველთვის ახერხებს ისე საინტერესოდ და მძაფრად განავითაროს მოქმედება, რომ თავიდანვე დაიმორჩილოს, დაატყვევოს მკითხველი, სულმოუთქმელად წააკითხოს ნაწარმოები და ამით თავისი მთავარი სათქმელიც უთხრას. ეს ოსტატობა მწერლისა განსაკუთრებით თვალნათლივია „გივი შადურში“; თუმცა არც სხვა რომანებში და მოთხრობებშია ნაკლებ საჩინო. აქაც, ისევე როგორც „ჯაყოს ხიზნებში“ თუ ბევრ სხვა თავის ნაწარმოებში, მწერალი წარმავალ სამყაროს, ნაკაცარებს

გვიხატავს, რომელთაც ახალი ცხოვრება ფეხქვეშ ნიადაგს აცლის.

გივი შადურიც თავს ნაკაცარს უწოდებს. ეს ეგებ მართლაც ასეა, მაგრამ მის სულიერ დაცემას უფრო პირადი ინტიმური ცხოვრების დრამა უღვეს საფუძვლად და არა საზოგადოებრივ-კლასობრივი. ისტორიული ქართველები სრულიად ლოგიკურად წალეკავს პირისაგან მიწისა იმ საზოგადოებრივ ძალებს, რომლებიც ჟამთა ვითარებით მიხრწნილან, და ნაკაცარებად აქცევენ თეიმურაზ ხევისთავეს თუ იმ ნოველათა გმირებს, რომლებიც „გივი შადურშია“ წარმოდგენილი. მაგრამ იგივე ქართველები ზოგჯერ უსამართლოდ მიაყობენ მათ ჩვეულებრივ, სანდო და კეთილ ადამიანებსაც, რომლებიც უკეთეს ხვედრს იმსახურებენ, ვიდრე ნაკაცარები. აი სწორედ ასეთ ადამიანებს განასახიერებს გივი შადურიც, რომელიც პირადი ინტერესებისა, ადამიანური სიმუხთლის, რევოლუციური ქართველებით ბოროტად მოსარგებლე პირთა მსხვერპლი ხდება და უდანაშაულოდ ისჯება არა ისტორიის, არამედ ანგარებით სავსე ადამიანის განუკითხველი განაჩენით.

საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესულ ძალებს ხშირად ეტმასნებიან ბოროტი, მედროვე ადამიანები. ასეთი იყო ჯაყო. ასეთია ის პროკურორიც, რომელმაც ლამაზი ცოლის გამო გასწირა გივი შადური, დაუნგრია ცხოვრება და ნაკაცარად აქცია. მწერლის მახვილი თვალი ცხოვრების ამ ბოროტებასაც ამჩნევს და მისი მხატვრული აქცენტირებით ამხელს ამ საზოგადოებრივად საშიშ ძალას. თუმცა ახალი საზოგადოების ჩანსალი სხეული ვერ იგუებს ამ ხორცმეტებს და მათ დიდი დღე არ უწერიათ, ისინი ახერხებენ ბოროტების ჩადენას და ამ ცხოვრებისეული ფაქტის მხატვრული ფიქსაციით მწერალი მრავალმნიშვნელოვნად გვაფრთხილებს.

სწორედ გივი შადურის ნაამბობიდან ვიგებთ ჩვენ არაერთ უცნაურ, მაგრამ მრავლისმთქმელ ისტორიას, ვეცნობით რევოლუციის ქარიშხლისაგან ხმელ ფოთლებივით მოწყვეტილ და განწირულთა მორევში გადასროლილ პეტრე სოკოლოვ-შევარდნაძეს, ყარამან ჭიქურაულს, სეხნია ლაჩი-

შვილს და სხვებს, რომელთაც ისტორიამ აეკაცობისათვის თავისი განაჩენი გამოუტანა. რომელთაც დაეწია ბედი-მღევარი და თან წაიტანა. მაგრამ, სადაც კი გვიან არ არის, მაინც სიკეთე იმარჯვებს და ამიტომაც, რომ ჯიქურაულებსა და ლაჩიშვილებს აყოლილი მარადი თაველიძე, გენერალ თაველიძის ქალიშვილი, კეთილი ხალხის წყალობით, ცხოვრების წუმბედან კვლავ უბრუნდება ადამიანურ ცხოვრებას. გივი შადური, რომელსაც თავისი თავის შველა აღარ შეუძლია, მარადის გაუწვდის დახმარების ხელს, დიდ თანაგრძნობას გაუწევს ამ უცნობ ქალს, აპოენინებს ცხოვრებაში იმ სწორ გზას, რომელიც საესეა ბედნიერებითა და ოჯახური იდილით. ნათელი ფინალით მწერალი რაღაც იმედის სხივსა სტოვებს იმ ადამიანთა ცხოვრებაში, რომელთაც ბედმა-მღევარმა, თუ ისტორიულმა ვითარებამ თავისი საბოლოო განაჩენი არ გამოუტანა. „მეგობრებო, ამით გავათავე, — ამბობს გივი შადური, — იგი სევდით დაიწყო და ბედნიერად დასრულდა. დამიჯერეთ, ისევ ეს სჯობია, ვიდრე სიცილით დაიწყო და ცრემლით გაათავო“.

ასეთია ამ ნაკაცარის კეთილი გული და ძნელია მისი გულისთქმა არ გაიზიარო. თუმცა საკუთარი დანგრეული ცხოვრება ვერ აღუდგენია გივი შადურს, მაინც ბევრი რამ დაეჯერება მას, ცხოვრების მწარე გამოცდილებით ნაკარნახევი და ალალი გულით ნათქვამი. დაეჯერება ეს აღსარებაც:

„მე უკვე ნაკაცარი ვარ. წარსულმა მომატყუა, აწმყო მაწვალეებს, მომავალი მაშინებს და ისე დავდივარ ამ ქვეყნად. როგორც ქვრივი სასაფლაოზე და, რადგან მიმავალი ვარ, ამიტომ ქროლას სირბილი მირჩევნია, სირბილს — სიარული, სიარულს — დგომა, დგომას — წოლა, წოლას — ძილი, ძილს კი — სიკვდილი. თქვენ კი, ამირანებო, ეხლად მოჰქვრით და ყველაფერს მოანგრევთ. რაღაც ჰქუხს თქვენს სისხლში, ვიღაც მღერის მაგ სულში, რაღაც იწვის მაგ გულში, ფრთხილად, მზექაბუკებო, ის ვიღაც თუ რაღაც არ დაადუმოთ, არ ჩააქროთ, ბუს ფარშევანგი არ მოაკვლევინოთ, და ესეც იცოდეთ: სულიერ მოღუწებას ისევ თავის მოკვლა სჯობია...“

ამ ნაკაცარებზე და მათი ცხოვრების მწარე გამოცდილებაზე დაწერილი რომანითაც მწერალი კვლავ უბრუნდება თავის მთავარ საზრუნავსა და სათქმელს, — სულიერი სიმბნევისა და მოქმედების აუცილებლობას გვიქადაგებს და გვიწერგავს.

7

მიხეილ ჯავახიშვილმა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაამთავრა ორი ისტორიული რომანი „არსენა მარაბდელი“ და „ქალის ტვირთი“. საგულისხმოა და მრავალისმეტყველი ფაქტია, რომ უკანასკნელ რომანებში მწერალმა სოციალური და ეროვნული თავიანთფლებისათვის, რევოლუციური გარდაქმნებისათვის ბრძოლის ისტორიული სურათები გააცოცხლა და ამით თავისი შემოქმედება ახალი ინტერესებითა და სულისკვეთებით გაამდიდრა. თუ „არსენა მარაბდელში“ მან მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის გლეხთა მოძრაობის ფართო პანორამა დაგვიხატა, „ქალის ტვირთში“ მე-20 საუკუნის პირველი წლების რევოლუციური ეპოქა გაიხადა მხატვრული წარმოსახვის საგნად.

ამ რომანებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში იმის გამო, რომ აქ ნათლად ჩანს მწერლის მიერ სოციალისტური რეალიზმის მეოთხდის მომარჯვება. მე-20 საუკუნის დიდი ქართველი რეალისტი მწერლის ახალ შემოქმედებით პოზიციებზე გადასვლაში, რაც სავსებით ლოგიკური გზა იყო მისთვის, გვარწმუნებს არა მარტო თემატიკა ამ ნაწარმოებებისა, ან მწერლის ინტერესების ახალი მიმართება, არამედ ისიც, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ახალი მსოფლმხედველობრივი სიმაღლიდან გვიხსნის მხატვრულად ამ ისტორიულ მოვლენებს. ხალხის როლის წინაპლანზე წამოწევა, ისტორიული მოვლენების კვრეტა მათი განვითარების პერსპექტივით, წარსულის ფაქტების გაცოცხლება და წარმოსახვა სოციალისტური იდეოლოგიის პოზიციებიდან, ინტერნაციონალისტური სულისკვეთება და მთელი რიგი სხვა მხარეები ამ ისტორიულ რომანებს

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ერთ-ერთ პირველ ნიმუშებად აქცევს ქართულ ისტორიულ რომანისტიკაში.

სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის ვაჟკაცური ბიოგრაფია და ჰუმანური ბუნება, მისი პრიმიტიული დიდსულოვნება და კეთილშობილება, მშრომელი გლეხების თანაგრძნობა, მებრძოლი სული და შემართება ყოველგვარი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მე-19 საუკუნეშივე იქცევა ქართველი მწერლების შეუწინაღებელ ყურადღებას. შემთხვევითი არ იყო, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ასე ძლიერად დაინტერესდა არსენას პიროვნებითა და ბიოგრაფიით. რევოლუციაში გამარჯვებულ ხალხს წარსული ცხოვრებიდან ყველაზე მეტად აინტერესებდა და იზიდავდა ის ფურცლები, რომლებიც ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლით იყო სავსე, რომლებიც ემსახურებოდა მის სულისკვეთებას, ფიქრებსა და ზრახვებს, რომლებშიც ჩანდა გადამწყვეტ რევოლუციური ბრძოლებისათვის ხალხის შეგნებისა და ფსიქიკის ისტორიული მომზადების პროცესი. საქართველოს ისტორიაში რევოლუციებისათვის ერთ-ერთი ყველაზე შორეული და რომანტიკული შარავანდელით მოსილი ფურცელი იყო არსენას ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ამიტომაც მოხდა, რომ ქართული საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის ერთ-ერთი თავფურცელი არსენაზე დაწერილი და ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი პირველი საექტაო მნიშვნელობის წარმოდგენა არსენაზე დაიდგა რუსთაველის თეატრში.

მიხეილ ჯავახიშვილს წერილში — „როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“ თვითონვე აქვს პირდაპირ გაცხადებული, თუ როგორ დაინტერესდა ამ სახალხო გმირის ბედით:

„ცხადია, რომ არსენამ დიდი ზნეობრივი ძალის წყალობით მოიპოვა სახელი. მას სისხლით არ მოუპოვებია ვაჟკაცობა... ვაჟკაცობის კულტი და ერთგვარი სულიერი კეთილშობილება — აი რამ მისცა ოძელაშვილის ხასიათს გძალაღები... მეორეს მხრივ, არსენას დროშაზე პრიმიტიული და

უძლიერესი სოციალური სიმართლე ეწერა — „ძლიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა!“ ამ ორ ბურჯზე წარმოიშვა და დამკვიდრდა ოძელაშვილის უკვდავება და ამანვე გამოჰკვეთა მისი ტიპიც“.

მიხეილ ჭავჭავიძე იღმა არსენას მხატვრულ სახესთან დაკავშირებით თავისი ვრცელი რომანის ფურცლებზე წარმოგვისახა გასული საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ცხოვრება და მხატვრულად გაგვიცოცხლა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის სურათები. ქართველ ფეოდალთა მიერ მშრომელი გლეხობის არაადამიანურ ჩაგვრას რუსეთის იმპერიის სისასტიკეც ემატებოდა და ამან წარმოშვა გლეხთა მოძრაობები, რომელსაც ისტორიულად ჰქონდა ადგილი იმ წლებში. ხოლო ამ მღელვარებებს მწერალმა დაუკავშირა არსენა ოძელაშვილის სახეც. არსენა გლეხთა განთავისუფლების იდეით ატაცებული მებრძოლია და ამ სულისკვეთებით რაზმავს თავის გარშემო ძალადობით და შიმშილით ტყეში გაჰრილ მამრალ გლეხობას. თუმცა ისტორიულად არსენას ბრძოლა განწირული იყო დასამარცხებლად და ამას კიდევ ვხედავთ რომანის ფინალში, მაინც მწერალი შესანიშნავად გვიხსნის იმ იდეის სრულ სამართლიანობასა და უკვდავებას, რომელსაც შეეწირნენ არსენა და მისი თანამებრძოლები.

მიხეილ ჭავჭავიძე იღმა ამ რომანში დაგვიხატა კლასიკური სიძლიერის გმირები, რომლებიც მკითხველის მეხსიერებაში ღრმად სტოვებენ კვალს და გვიხსნიან ერთი მხრივ ქართველ ფეოდალთა კლასობრივ ინტერესებსა და ამით შეპირისპირებულ სისასტიკეს, ხოლო მეორე მხრივ ქართველი გლეხების უუფლებო მდგომარეობას და ამაყ სულს, ვაჟაკურ ბუნებას. ყველაზე უფრო რელიეფურად ეს ორი სამკედრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული მხარე რომანში წარმოდგენილია ზაალ ბარათაშვილისა და არსენას ოჯახების სახით, თუმცა ამ ორივე მხარის სხვა ბევრ გამომხატველ სახესაც გვაცნობს მწერალი.

თითქოს არსებობს ერთი ისტორიული ფაქტი, რომელმაც ქართველი ფეოდალები და გლეხები უნდა დაუკავშიროს ერთმანეთს, ესაა რუსეთის კოლონიალიზმის წინააღმდეგ

ბრძოლა. რომანში თავადაზნაურთა შეთქმულები კიდევ ცდილობენ არსენას რაზმის გადაბირებას, მაგრამ გლეხობას უკვე კარგად ესმის, რომ ბრძოლა სოციალურ უსამართლობასთანაა საჭირო, რომ ქართველი შეთქმული ფეოდალები მხოლოდ თავიანთი კლასობრივი ინტერესებისათვის იბრძვიან. ამიტომ არსენა და მისი თანამებრძოლი ქართველი გლეხები ენდობიან და იძიებენ რუს კარპიჩას, უკრაინელ ოსტაპს, რადგან ისინიც მათსავეთ უბრალო, მშრომელი ადამიანები არიან, რადგან ქართველი გლეხობის ბედი არ განსხვავდება რუსი თუ უკრაინელი გლეხობის ბედისაგან და მათ საერთო მიზანი აახლოებთ, ხოლო არ ენდობიან და ებრძვიან ქართველ ფეოდალებს, რომელთა ინტერესებიც უპირისპირდება მშრომელი ხალხის ინტერესებს. ასე საინტერესოდ გამოიხატა ამ რომანში ჩაგრულთა სოლიდარობა და ინტერნაციონალური გრძნობა, რაც სტიქიურად, თვით ხალხის უბრალო დაკვირვებიდან და შეგნებიდან აღმოცენდა.

„არსენა მარაბდელი“ ნათელი ისტორიული ტილოა, სადაც მწერალი არ ეძებს რაიმე ორიგინალურ კომპოზიციურ აგებულებას ან მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებს მეტი შთამბეჭდაობისათვის. ესაა შინაგანი ექსპრესიით სავსე მოთხრობა არსენა ოძელაშვილისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებაზე, სადაც მკითხველს იპყრობს თვით სიუჟეტის განვითარება, ქართველი გლეხობის ცხოვრების მართალი სურათები და ამ ვრცელი ნაწარმოების უბრალოება, სისადავე კიდევ უფრო ნათელს ხდის მწერლის სათქმელსა და მიზანდასახულებას.

რომანი „ქალის ტვირთი“ უფრო იმითაა საინტერესო, რომ აქ მწერალმა რუსეთის პირველი რევოლუციის ბობოქარი დღეები გაგვიცოცხლა და ქართველ რევოლუციონერთა საინტერესო მხატვრული სახეები შექმნა. ეს რომანი უთუოდ დიდი სიახლის დასაწყისი იყო მიხეილ ჭავჭავიძის შემოქმედებაში. თუმცა „ქალის ტვირთი“ მხატვრულად ბევრად ჩამოუვარდება მწერლის სხვა რომანებს, მაინც აშკარაა მისი მნიშვნელობა ქართული საბჭოთა ლიტერატურისა თუ, კერძოდ, მიხეილ ჭავჭავიძის შემოქმედების განვითარებაში.

რებისათვის, რადგან აქ ნათლად ჩანს ახალი ინტერესები, ახალი ხედვა, რევოლუციური სინამდვილით გატაცება. მწერალმა თბილი გრძნობით და აშკარა სიმპათიით დაგვიხატა მტკიცე ნებისყოფის, საქმისათვის თავდადებული რევოლუციონერის ზურაბ გურგენიძის, მისი თანამებრძოლის და სულიერი მეგობრის მართა დოვლათაშვილის მხატვრული სახეები, დაგვანახა სულიერი დრამა ინტელიგენტი ქალიშვილის ქეთო ახატნელისა, რომელსაც ვერ უპოვია თავისი ადგილი ცხოვრებაში და რევოლუციონერთა თანაგრძნობის დონეზე რჩება მხოლოდ.

მწერალს კიდევ ბევრი რამ ჰქონდა თავისი ერისათვის სათქმელი. ამას მოწმობს მისი ჩანაფიქრები და გეგმები. განსაკუთრებით იზიდავდა მას ახალი ცხოვრება თავისი დიდი აწმყოთი და მომავლით, აპირებდა კიდევ თანამედროვეობის თემაზე ფართო ეპიური ტილოს შექმნას, მაგრამ ყოველივე ამის განხორციელება, სამწუხაროდ, არ დასცალდა. მიუხედავად ამისა, მიხეილ ჯავახიშვილმა დიდი მემკვიდრეობა დაუტოვა ქართველ ხალხს. იგი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელია და მისი რომანები და მოთხრობები მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში თავის ღირსეულ ადგილს იმსახურებენ.

ᄃᆞᆫᆯᆯᆯᆯᆯᆯᆯᆯ



კონსტანტინე გამსახურდია

დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია იმ ბედნიერ შემოქმედთა რიგს მიეკუთვნება, რომელნიც სი-
ცოცხლეშივე აღიარეს კლასიკოსებად.

კონსტანტინე გამსახურდიამ აგერ თითქმის 50 წლის მო-
ღვაწეობის მანძილზე მთელი თავისი ღვთით მომადლებული
ნიჭი, ვაჟკაცური სული და ენერგია ქართულ მწერლობას შეა-
ლია და ამ ასპარეზზე თავისი წარუშლელი კვალი დასტოვა.
პირდაპირ განსაცვიფრებელია, როგორ არ მოიძალა იგი თა-
ვისი მძაფრი, ბრძოლითა და წვით საესე შემოქმედებითი
ცხოვრების გზაზე და დღესაც, ეს ხანდაზმული და ამაგდარი
მწერალი ჰაბუკური გატაცებითა და ენერგიით ერკინება ქარ-
თულ სიტყვას. ამ საოცარი ენერგიის დაუშრეტელ წყაროს
იგი თავისი ერის განუზომელ სიყვარულში პოულობს.

ყოველი ეპოქისა და ქვეყნის ხალხისათვის ყველაზე მე-
ტად იმ მწერალთა სახელებია ძვირფასი, რომელთაც მთელი
თავისი შემოქმედება ეროვნული ღირსების გრძნობის ამაღ-
ლებას შეაღიეს. და თუ ვისმეს, თანამედროვე მსოფლიოში,
ამ მხრივ მშობელი ხალხის წინაშე ვალმოხდილად შეუძლია:
წათვალოს თავი, ერთ-ერთი მათგანი კონსტანტინე გამსახურ-
დიაა.

იშვიათია ასეთი ღრმა ერუდიციის მწერალი. მან ევრო-
პაში მიიღო განათლება, იქ ეზიარა დიდ კულტურას, დიდ ხე-
ლოვნებას, მაგრამ წინ გადაშლილ ამ ფართო ასპარეზს ერთხე-
ლაც არ მიუჩქმალავს მის გულში მოვალეობის გრძნობა თავი-
სი ერის წინაშე. ამ განათლებასა და ცოდნას იგი მხოლოდ იმი-
ნათვის ეშურებოდა, რომ უკეთ გამოსდგომოდა თავის ქვე-

ყანას. ამიტომ, თუმცა ხშირად კონსტანტინე სავარსამიძობას სწამებდნენ მწერალს, ვფიქრობთ, მას სოსო კორინთელთან უფრო მეტი აქვს საერთო.

ისევე, როგორც მისმა გმირმა „ვაზის ყვავილობიდან“. ევროპიდან ჩამოსულმა სასახელო მეცნიერმა სოსო კორინთელმა ქართულ ვაზს შეაღია თავისი სიცოცხლე, რადგან ამაში ხედავდა თავისი ერის ღონის წყაროს, სამშობლოში დაბრუნებულმა მწერალმა ქართულ სიტყვას უძღვნა თავისი სიცოცხლე, რადგან სამართლიანად მიიჩნია იგი ერის უკვდავების პირველ და მთავარ წყაროდ.

კონსტანტინე გამსახურდიას თავისი მტკიცე პოზიცია აქვს ქართულ მწერლობაში. მიუხედავად მრავალგზისი შეტევებისა, მას არასოდეს დაუხურდავებია თავისი ნიჭი წერილმან საკითხებსა და უღლეურ ბელეტრისტიკაზე. იგი უფრო ფართოდ უყურებდა საერთოდ ლიტერატურას და თავისი შემოქმედების დანიშნულებას. დრომ გაამართლა მისი პოზიცია და დღეს ყველა მისი ნაწარმოები ქართული საბჭოთა მწერლობის უაღრესად საინტერესო და პრობლემურ ნაწარმოებადაა აღიარებული. მისი ნოველები თუ რომანები: „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“, „ვაზის ყვავილობა“ — სამართლიანადაა მიჩნეული ქართულ საბჭოთა კლასიკად.

კონსტანტინე გამსახურდიას მთელი შემოქმედება ეროვნული კულტურის ნოყიერ ნიადაგზეა დამყნული, იგი მემკვიდრეა ყოველივე იმისა, რაც ქართველი ხალხის შემოქმედებით სულს საუკუნეების მანძილზე შეუქმნია. მაგრამ, ამასთანავე, უფრო სწორად, ამის გამო, — თავის მხრივ, კონსტანტინე გამსახურდიამ მთელი ეპოქა შექმნა ქართულ მწერლობაში. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ, მიუხედავად დიდი ტრადიციებისა, მიუხედავად მე-19 საუკუნის ცალკეული ბრწყინვალე მოთხრობებისა, ეპიური ჟანრი, რომელიც მეოცე საუკუნეში თითქოს პროზის სინონიმად იქცა, არ იყო ისე მომძლავრებული ჩვენში, როგორც ეს ცივილიზებულ და დიდი კულტურის ქვეყანას შეეფერებოდა. ქართული პროზის აღორძინებას, თანამედროვე ქართული რომანის შექმნასა და დამკვიდრებას შეაღია თავისი შემოქმედება კონსტანტინე

გამსახურდია. ამ მხრივ, მან მიხეილ ჯავახიშვილთან და სხვებთან ერთად დიდი ამაგი დასდო ქართულ მწერლობას. ჩვენ არ შეიძლება დაგვავიწყდეს კონსტანტინე გამსახურდიას ბრწყინვალე ნოველები, რომლებიც მსოფლიო ნოველისტიკის სიმადლემდეა ასული, მაგრამ მაინც უფრო მნიშვნელოვნად იმიტომ მივიჩნევთ მის რომანებს, რომ ამით საფუძველი დაედო ისეთ ენარს თუ სახეობას ქართულ მწერლობაში, ურომლისოდაც დღეს არც ერთი მნიშვნელოვანი ეროვნული მწერლობა არ არსებობს. მართო ეს დანიშნულებაც იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ კონსტანტინე გამსახურდიას რომანები ქართული კლასიკის კუთვნილება გამხდარიყო, მაგრამ, მწერლის დიდი ნიჭის წყალობით, ისინი არა მართო ერთი პირველი, არამედ ერთი საუკეთესო რომანებიცაა, რომლებიც თავისი ღირსებებით მსოფლიო კულტურის საგანძურსაც დაამშვენებენ. მე-20 საუკუნის სოციალური და პოლიტიკური პრობლემების ისე ოსტატურად ჩაქსოვა თავისი გმირების ტრაგიკულ თუ დრამატულ ბედთან, როგორც ეს გამსახურდიამ „მთვარის მოტაცებაში“ თუ სხვა რომანებში მოახერხა, მხოლოდ ჭეშმარიტად დიდ მწერალს თუ ძალუძს.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების, კერძოდ, მისი რომანების ეს დიდი ღირსება, ჩვენდა საბედნიეროდ, მხოლოდ ქართველი მკითხველის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს. მწერალს, შეიძლება ითქვას, ისევე კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვანი მკითხველები, როგორც მისი თანამემამულენი. კონსტანტინე გამსახურდიასთვის, როგორც შემოქმედისათვის, ეს ფართო ასპარეზიც ვიწრო განოდგა და მისი სახელი დღეს ცნობილია ევროპასა თუ აზიაში. მწერალს განსაკუთრებით გაუთქვა სახელი მსოფლიოში „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენამ“, ამ ბრწყინვალე ისტორიულმა რომანმა, რომელშიც ქართველი ხალხის შემოქმედებითა გენიაცა ჩანს და, ამავე დროს, ხელოვნების დანიშნულების, თუ ხელოვანის მაღალი მისიის ღრმა ფილოსოფიური გაგებაც.

კონსტანტინე გამსახურდია თავის დროზე „დიონისოს ღიმილთან“ დაკავშირებით ამტყდარი დავისა და დავიდარაბის გამო, არ დაიხია უკან და თამამად განაცხადა, რომ ყოველი

ლიტერატურული გმირი მწერლის სულის ნაწილიაო. და თუ ჩვენ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებსაც კი ავკიდებთ მწერალს, მით უფრო უნდა ვირწმუნოთ, რომ მწერალს ყველაზე დიდი სულიერი ნათესაობა თავისი გმირებიდან კონსტანტინე არსაკიძესთან აქვს.

დიდოსტატმა კონსტანტინემ თავისი სული ყველაზე საყვარელ არსებას შორენასაც კი ვერ მისცა, როდესაც მისი ლანდი სიკვდილის წინ მოეჩვენა, დაუჩოქა და შესთხოვა სული. ვერ მისცა, რადგან სვეტიცხოველისათვის შეეწირა იგი. ასევე შესწირა თავისი სული კონსტანტინე გამსახურდიამ თავის შემოქმედებას, რომლითაც არსაკიძესავით უკვდავო თავისი სახელი.

რა შეიძლება იყოს ამის საზღაური. მხოლოდ ხალხის სიყვარული და ამ მხრივ ბედნიერია ჩვენი მწერალი. სიყვარულს იგი დიდი ხანია გრძნობს და ეს სიყვარული თანდათან მთიდან დაგორებულ გუნდასავით სულ უფრო იზრდება და ძლიერდება. ამის საზღაურია რუსთაველის ლაურეატის სახელი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯილდოა ქართველი მწერლისათვის, და ეს ჯილდო პირველს კონსტანტინე გამსახურდიას ერგო.

1965 წ.

გერონტი ქიქოძე

გერონტი ქიქოძე უაღრესად განათლებული და მრავლის მცოდნე, რაც მთავარია, ხალასი პატრიოტი და მოაზროვნე ადამიანი იყო. იგი თავისი წიგნებით დღესაც ცოცხალ კონტაქტშია ქართველ ერთან, მომავალ თაობებთან და შემწეა მისი გონებრივი თუ ესთეტიკური აღზრდისა და განვითარებისა.

გერონტი ქიქოძე განათლებას წლების მანძილზე გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში და წიგნთსაცავებში ეწაფებოდა. მან საფუძვლიანად შეისწავლა ანტიკური, შუა საუკუნეებისა თუ ახალი ფილოსოფია. იგი უკვე ახალგაზრდობაშივე თანაბრად ღრმად იცნობდა ევროპის ძველსა თუ ახალ ლიტერატურას, მხატვრობას, მუსიკას. ერთის მხრივ, მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნებისა და კულტურის, ხოლო. მეორეს მხრივ, ქართველი ერის ისტორიის, ლიტერატურის. ხელოვნების ღრმა ცოდნა გახდა ის საფუძველი, რომელზედაც აღმოცენდა გერონტი ქიქოძის მემკვიდრეობა. აი. რას წერს ამის შესახებ იგი მოგონებებში — „განთიადიდან შუადღემდე“: „ევროპულ მეცნიერებაში ამაოდ ვეძებდი იმ კითხვების პასუხს, რომლებიც მქენჯნიდნენ; ფლობერის რომანებით და შოპენის პრელუდიებით კი არ შეიძლებოდა სულიერი სიცარიელის ამოვსება. ქართული კულტურის ისტორიას ცუდად ვიცნობდი, მაგრამ სწორი ინტუიციით ვგრძნობდი. რომ მხოლოდ ჩემი სამშობლოს კულტურულ წარსულში შევძებლო მეპოვნა სანათური, რომელიც ბნელ გზებს გამინათებდა“. გერონტი ქიქოძის ლიტერატურული მემკვიდრეობის მრავალმხრივობაზე პრობლემებისა და საკითხების უბრალო ჩამოთვლაც კი ნათლად მეტყველებს. მას ეკუთვნის წერილები ფილოსოფიის, ეთიკისა და ესთეტიკის საკითხებზე, შექს-

იორსა და ბარათაშვილზე, ბალზაკსა და ილია ქავჭავაძეზე, როდენსა და იაკობ ნიკოლაძეზე, მენიესა და დავით კაკაბაძეზე, და ყოველ წერილში ჩანს საკითხის ზედმიწევნით ცოდნა და ნატიფი გემოვნება ავტორისა.

გერონტი ქიქოძის მრავალფეროვან და ხანგრძლივ პუბლიცისტურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას ჰქონდა ერთი მთლიანი ძვალმგარი ხერხემალი. ეს იყო მისი მოკრძალებული, ერთგული სიყვარული ქართველი ერისა და ქართული კულტურისა. გერონტი ქიქოძე თავისი მადლიანი კალმით ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას გამოეხმაურა. გერონტი ქიქოძეს არ უყვარდა ვრცელი და დაუსრულებელი წერილების წერა, სულ რამდენიმე გვერდზე მას შეეძლო ღრმად და ამომწურავად დაეხასიათებინა ესა თუ ის მწერალი, ან ლიტერატურული მოვლენა, ეს კი უდიდესი ნიჭია მწერლისათვის. იგი ერიდებოდა მყვირალა ფრაზებს და ეპითეტებს, წერდა სადად და უბრალოდ. მისი ნაწერებიდან გაცილებით უფრო ნათლად იგრძნობა ქართული კლასიკური მწერლობის გენია, ვიდრე მყვირალა შრომებიდან, რომლებიც სავსეა ისეთი ეპითეტებით, როგორცაა გენიალური, ბრწყინვალე, განუმეორებელი, უპრეტენზიო, შედეგრი და მისთანანი.

გერონტი ქიქოძის მხურვალე გული არასოდეს ვნებდა მის ფხიზელ თვალს მკვლევარისას, ბევრი ლიტერატურის-მცოდნის ნაშრომს აკნინებს, მეცნიერულ სიმწიფეს უკარგავს მოჭარბებული ემოციური დამოკიდებულება მშობლიური კულტურისადმი. სწორედ ქვეშარიტი პატრიოტიზმის გრძნობა უკარნახებდა გერონტი ქიქოძეს სადად ემსჯელა ქართული კულტურის თვით ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეებზეც კი და ამიტომაც მისი ყოველი ფრაზისა სჯერა მკითხველს. „აკაკი წერეთლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, — წერს გ. ქიქოძე, — უდიდესი ნაწილი ლირიკას უქირავს, მაგრამ მრავალი მისი ლირიკული ლექსი თავის დროზე წარმოიშვა ექსპრომტის სახით ან რაიმე კერძო შემთხვევისა, ან კერძო პირის შესახებ დაიწერა; ამიტომ მკითხველზე ის წინანდებურად ვედარ ახდენს ესთეტიკურ გავლენას. თვითონ ავტორი თავისი ნაწერების ერთ დიდ ნაწილს წარმავალ მნიშვნელო-

ბას აძლევდა და არც ფიქრობდა, რომ ის ქართული ლიტერატურის ხელუხლებელ საგანძურში შევიდოდა“. მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედების სწორედ ერთ ნაწილს ასე თამამად და სამართლიანად სტოვებს გერონტი ქიქოძე ქვეშარიტი ლიტერატურის ფარგლებს გარეთ, მაინც ძნელად, რომ ვინმეს ისე სრულად და დამაჭერებლად გაეხსნას დიდი აკაკის ლირიკის უკვდავების საფუძველი, როგორც ეს გერონტი ქიქოძემ შესძლო.

გერონტი ქიქოძისათვის ერთადერთი — ესთეტიკური საზომი არსებობდა ლიტერატურული ნაწარმოების შესაფასებლად. მას კარგად ესმოდა, რომ ლიტერატურა ერის თვითშეგნების გაღვიძების ერთი უდიდესი საშუალებაა და რომ იგი სინამდვილის შემეცნებას ემსახურება. მაგრამ ყველაფერი ეს მაინც არაა განმსაზღვრელი ლიტერატურისა, არაა მისი თვითმყოფობის გამომხატველი. ლიტერატურა იწყება იქ სადაც ქვეშარიტი ხატოვანი აზროვნება და მშვენიერების გრძნობაა. ამიტომ ამ სპეციფიკურ მხარეებს გერონტი ქიქოძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რის გამოც ზოგიერთნი, ლიტერატურის უტილიტარიზმის იდეის მიმდევარნი, მის ნაწერებში იდეალისტური კონცეფციების ერთგვარ გავლენებს ხედავდნენ. მაგრამ ეს მათ სინდისზე იყოს. გერონტი ქიქოძეს, მაშინაც კი, როდესაც სოციოლოგიზმი და უტილიტარიზმი თითქმის ერთადერთ ოფიციალურ კრიტერიუმად იქცა ლიტერატურის შესაფასებლად, არ უღალატნია თავისი მრწამსისათვის და ყოველთვის ნაღალი ლიტერატურული გემოვნებისა და მომთხროვნელობის ბედნიერ გამონაკლისად თუ ნიმუშად რჩებოდა მისი ნაწერები.

გერონტი ქიქოძე მრავალმხრივი ლიტერატურული მოღვაწე იყო და ერთ ფასდაუდებელ დამსახურებას ქართული მწერლობის განვითარებისათვის წარმოადგენს მისი ქართული თარგმანები. ვაჟა-ფშაველას ლექსებსა და მოთხრობებთან ერთად, მის ბავშვურ წარმოდგენას ღრმა კვალი დააბრუნა ვიქტორ ჰიუგოს მოთხრობამ „სიკვდილით დასასჯელის უკანასკნელი დღე“, რომელიც თავის ღრობზე თედო სახოკიამ თარგმნა. როგორც ჩანს, ამანაც დაარწმუნა გერონტი ქიქოძე იმაში, რომ ეროვნული მწერლობის განვითარებისათვის და ერის

პალალი იდეალებით განმსკვალვისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს მსოფლიო კლასიკის მაღალმხატვრულ თარგმანებს. ამიტომაც შესწირა ასე ბევრი დრო და ენერგია მან თარგმნას. გერონტი ქიქოძე სავსებით დამსახურებულად არის მიჩნეული შეუდარებელ მთარგმნელად. ანატოლ ფრანსის „ღმერთებს სწყურიათ“, სტენდალის „იტალიური ქრონიკები“, ალფონს დოდეს „წერილები ჩემი წისქვილიდან“ და ბევრი სხვა კლასიკური ნაწარმოების ქართული თარგმანი, რომელიც გერონტი ქიქოძეს ეკუთვნის, არანაკლებ მნიშვნელოვანია და საყურადღებო ჩვენი ეროვნული ლიტერატურისა და ლიტერატურული ენის განვითარებისათვის, ვიდრე მაღალმხატვრული ორიგინალური ნაწარმოებები. გერონტი ქიქოძისათვის თარგმნა ისევე სრულფასოვანი შემოქმედებითი მოღვაწეობა იყო, როგორც ორიგინალური ნაწარმოებების წერა. ამიტომაცაა, რომ მისი თარგმანები მიუწვდომელ ნიმუშებად რჩება ქართულ მწერლობაში.

რომაელი პოეტი და ფილოსოფოსი ლუკრეციუსი ამბობდა: სიკვდილი საშიში არაა, ვინაიდან სანამ ჩვენ ვართ, ის არ არის, ხოლო როცა ისაა, ჩვენ აღარ ვართ. მაგრამ ასეთი სოფიზმებით ძნელია სიკვდილის შიშის დაძლევა. გერონტი ქიქოძე თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს იგონებდა იმ ადამიანებს, რომლებმაც დაძლიეს სიკვდილის შიში. ამ გმირული მაგალითების გახსენება გერონტი ქიქოძეს იმისათვის დასჭირდა, რომ ნათელეყო თავისი დასკვნის სიმართლე: საერთოდ, სიკვდილი უფრო ადვილია ადამიანისათვის, რომელსაც უკვდავება სწამს, თუნდაც ეს მხოლოდ იმ იდეის უკვდავება იყოს, რომელსაც ის თავს სწირავს.

ასეთი უკვდავი იდეა თვით გერონტი ქიქოძისათვის იყო ქართველი ერის, ქართული სიტყვის, ქართული ლიტერატურისა და კულტურის უკვდავება და რაკიდა ასე უანგაროდ მიუძღვნა მთელი თავისი ცხოვრება ამ იდეას, იგი მშვიდად წავიდა ამ ქვეყნიდან, დარწმუნებული იმაში, რომ პირნათლად მოიხადა თავისი ვალი ამ უკვდავი იდეის წინაშე და მაღლიერი ქართველი ხალხიც სათუთად შემოინახავს მის აზრებს, წიგნებსა და სახელს თავის მეხსიერებაში.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

დროის მკაცრი გამოცდა ყოველ ეპოქასა და ყოველ ეპოქის მწერლობას ელოდა და ელის. ყველაზე მართალი, პირუთენელი შემფასებელიცა და დამფასებელიც შთამომავლობაა. ქეშმარიტ მწერალს, თავისი ერისა და სამშობლოს მოამაგეს მუდამ აწუხებს ის, თუ როგორ განსჯის და შეათასებს შთამომავლობა მის ნაფიქრ-ნამოღვაწევს.

ქართველი კაცი დღეს მაღლიერების გრძნობით იხსენიებს გასულ საუკუნეს, თუმცა სოციალური და ეროვნული ტკივილები სხვა დროსა და ეპოქაზე არანაკლებ სტანჯავდა ქართველ ერს მაშინ. ამ გრძნობას ჩვენ გვიღვიძებს დიდი მამულიშვილური ბრძოლა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის, რაც ასე დამახასიათებელი იყო გასული საუკუნის საქართველოსათვის. ამ გრძნობას გვიღვიძებს გასული საუკუნის მწერლობა, რომელსაც ერის წყლული აჩნდა წყლულად. მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა მწერლობამ პირნათლად მოიხადა თავისი ვალი მამულისა და ხალხის წინაშე.

მეოცე საუკუნე თავისი რევოლუციური სულსიკვეთებით, ისტორიული ქართველობითა და სოციალური გარდაქმნებით განუმეორებელი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც, სხვა დროისაგან განსხვავებით, სულიერი განახლების ნაცვლად თან სდევს სულიერი გარდაქმნა, ადამიანთა ცხოვრებისა და ურთიერთობის ახალ მსოფლგაგებასა და მორალურ საწყისებზე დაფუძნება. ქართულ მწერლობას არ შეიძლება არ აწუხებდეს კითხვა, თუ რამდენად აუბა მხარი მან ახალ ცხოვრებას, რამდენად ღირსეული შემწეა იგი ამ ახალი

ცხოვრების დამკვიდრებისა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული საბჭოთა მწერლობა მთელი თავისი ძალითა და უნარით იღვწოდა ახალი, სოციალისტური შეგნებისა და ფსიქიკის ადამიანის აღსაზრდელად და თან ამ რთული ისტორიული პროცესის ამსახველი მხატვრული ტილოები დაუტოვა შთამომავლობას. ქართული მწერლობის ეს მძიმე და საპატიო მისია, სხვებთან ერთად, „კონსტანტინე ლორთქიფანიძემაც იკისრა. მისი საუკეთესო ნაწარმოებები: „კოლხეთის ცისკარი“, „ნატურისთვალი“ და ნოველები საბჭოთა ადამიანის ფორმირების მხატვრული მატთანაა. ძნელია წინასწარმეტყველება, მაგრამ, ვფიქრობ, შთამომავლობას სრული საფუძველი ექნება ისეთივე მადლიერი იყოს ამ გამოჩენილი ქართველი მწერლისა, როგორც მისი დღევანდელი მკითხველები არიან.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ღირსეული მემკვიდრეა ქართველი კლასიკოსებისა. გასულ საუკუნეში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩამოყალიბდა ქართველი მწერლის ტიპი. მწერალი, მებრძოლი, მოქალაქე განუყოფელ ცნებებად იქცა და მას შემდეგ არც ერთ შემოქმედს არა აქვს უფლება განაცალკევოს ეს ცნებები. კონსტანტინე ლორთქიფანიძეც ერთგულად მისდევს ამ ანდერძს. მეოცე საუკუნეში თუმცა ბელადობა ჩამოერთვა მწერლობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს მისი მებრძოლი სულის განელებას, პირიქით, არც ერთ ეპოქას არ მოუთხოვია მწერლისაგან ასე აშკარად, პირდაპირ პოლიტიკური და მოქალაქეობრივი აქტივობა, როგორც ეს მეოცე საუკუნემ მოითხოვა ჩვენში.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ჰუმარიტად პოლიტიკური, მოქალაქეობრივი გრძნობით ავსილი მწერალია, რომელმაც კარგად იცის თავისი ვალი დროისა და ხალხის წინაშე. იგი ყოველთვის ეძებს ცხოვრებაში იმ რთულ და ძნელ უბანს. სადაც ყველაზე მეტადაა საჭირო დიდი ნებისყოფის ადამიანები. ყველამ კარგად იცის, რომ ოცდაათიანი წლების დასაწყისში, ჯერ კიდევ ჭაბუკი და მწერლობაში ახლად ფეხადგმული კონსტანტინე ლორთქიფანიძე მწერალთა კავშირისა და რედაქციების მისადგომებს კი არ სტკეპნიდა, არამედ ერთ იმერულ სოფელში საკოლმეურნეო არტელის დაარსებისათვის

იღვწოდა. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ მან ჯარისკაცის მაზარაში მოიარა ომის ცეცხლით ანთებული ყირიმი და ამ განსაცდელის უამსაც მტკიცედ იღვა იქ, სადაც გამარჯვება უნდა გამოქედლიყო.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის მტკიცე ხასიათი, მისი მაღალი მოქალაქეობრივი სული და პრინციპულობა ჩემთვის განსაკუთრებით ცხადი და ნათელი გახდა იმ პირადი ურთიერთობით, რისი ბედნიერებაც მე მქონდა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, როდესაც იგი „ლიტერატურნაია გრუზიას“ და „ცისკარს“ რედაქტორობდა. მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ესაა კოლოსალური ენერჯის, ღრმა რწმენის და იშვიათი ნიჭიერების ადამიანი, რომელიც ქართველი ერისა და ქართული მწერლობის ინტერესებით ცოცხლობს და ამ წმიდათაწმიდა მოვალეობის ასრულების დროს არ გამოეპარება არამცთუ ყალბი ან მახინჯი, უხეირო ნათქვამი ფრაზაც კი. მისთვის წარმოუდგენელია იოტისოდენა კომპრომისი, იგი ბუნებით მეტრძოლი ადამიანია და ბოლომდე აშკარად, შეუფარავად იბრძვის და იცავს იმას, რაც მთელი თავისი გონებითა და გულით სწამს.

ამ დაუდგრომელი ხასიათის გაშოა, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძე მუდამ ცხოვრების დუღილშია და მისი ენერჯია მარტო „წმინდა“ ლიტერატურულ მუშაობაზე არ იხარჯება. ამიტომაც, შედარებით ძუნწი შემოქმედია იგი. ამავე დროს, სწორედ ამის წყალობითვეა ისიც, რომ ყოველი მისი ნაწარმოები ცხოვრების სიღრმეში პოულობს მასაზრდოებელ წყაროს და მწერლის ტალანტით ჭეშმარიტ მხატვრულ ქმნილებად იქცევა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე არა მხოლოდ მრავალმხრივ განათლებული ადამიანი და მსოფლიო კლასიკური თუ თანამედროვე მწერლობის შესანიშნავი მკოდნეა, არამედ. რაც მთავარია, იგი თავისი ხალხის ცხოვრებას იცნობს ზედმიწევნით და ამიტომაც ჭეშმარიტად ქართველი მწერალია, ქართული ყოფის ბრწყინვალე მხატვარი. სწორედ ამით მიიქცია არა მხოლოდ ქართველი, არამედ მრავალეროვანი საბჭოთა თუ საზღვარგარეთელი მკითხველის ასეთი დიდი. ყურადღება. ის ჭეშმარიტი წარმატება, რომელიც „კოლ-

ხეთის ცისკარს“ წილად ხვდა დიდი ლიტერატურის ქვეყანაში, საფრანგეთში, თავისთავად მეტყველებს კონსტანტინე, ლორთქიფანიძის მწერლურ ღირსებაზე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ოცი წლისაც არ იყო, როცა პროლეტარულ მწერლებთან ერთად მოვიდა ქართულ მწერლობაში და თავიდან აქტიური მოღვაწის სახელი დაიმკვიდრა. 1923 წელს იგი უკვე პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილების ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძემ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაარსებისთანავე აიდგა ფეხი როგორც მწერალმა და მას შემდეგ ერთგულ მებრძოლად, მოქალაქედ და ქომაგად მოსდევს ახალ ცხოვრებას. რევოლუციასა და სამოქალაქო ომს მხოლოდ წითელ არმიასი როდი მოჰყვა მასობრივი გაწვევა, ასეთივე მასობრივი გაწვევა გამოცხადდა მწერლობაშიც. იმ წლებში ერთგვარი გულუბრყვილობით მოითხოვდნენ ახალი მწერლობის შესაქმნელად ახალი, პროლეტარული კადრების მომზადებას. ათასობით მუშა, გლეხი და ჯარისკაცი გამოეხმაურა ამ მოწოდებას, ათასობით მუშამ, გლეხმა და ჯარისკაცმა მოვიდა ხელი კალამს. ამ მოწოდების ერთი ავტორთაგანი—მაქსიმ გორკი ველარ აუდიოდა ახალგაზრდა მწერალთა, უფრო სწორად,— მწერლობის მაძიებელთა მოზღვავებულ ნაწერებს. პროლეტარული მწერლობა ბოლოს რეალურ ფაქტად იქცა და მან ისტორიულად მცირე როლი როდი შეასრულა საბჭოთა მწერლობის ჩასახვისა და თავდაპირველი განვითარებისათვის. მაგრამ მას თან ახლდა სერიოზული საფრთხეც. — არ დაცემულიყო საბოლოოდ დონე მხატვრული აზროვნებისა. ყველაფერი ეს უაღრესად დაძაბულს ხდიდა 20-იანი წლების ლიტერატურულ ცხოვრებას. პროლეტარულმა მწერლობამ საბოლოოდ მაინც გაამართლა თავისი არსებობა, რადგან ათასები როგორც მალე მოაწყდნენ მწერლობას, ასევე მალე ჩამოსცილდნენ მას. შედარებით ჭიუტი პრიმიტივები კარგახანს ცდილობდნენ თავისი უპირატესობის მტკიცებას და გულდაგულ მისდევდნენ მწერლობას, ვიდრე თვით ცხოვრებამ არ გარიყა ისინი მეჩეჩზე, მაგრამ ამასთანავე პროლეტარული მწერლობის ნაკადიდან გამოვიდნენ ის ქვეშაირიტად ნიჭიერი

ახალგაზრდები, რომელთა ირგვლივაც მოხდა კონსოლიდაცია საბჭოთა მწერლობისა და ამდენად მათი მოღვაწეობა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი გამოდგა. ამის ერთი ნათელი დადასტურებაა კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედება, — ურომლისოდაც ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პროცესი უბრალოდ წარმოუდგენელია.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის პირველსავე ნაწერებში, ლექსებსა და მოთხრობებში აშკარად ჩანდა ის ჯანსაღი პოზიცია, რომელსაც მწერალი დღემდე ერთგულად იცავს, ესაა ახალი ცხოვრების უსაზღვრო ერთგულება და უანგარო სამსახური. რაც შეეხება მათ ლიტერატურულ ღირსებებს, დღეს შეიძლება არც ჩვენ და არც თვით მწერალს უკვე აღარ აკმაყოფილებდეს ამ მხრივ. მაგრამ 20-იან წლებში მთავარი ის იყო, რომ ახალგაზრდა მწერალი გულწრფელად წერდა კომკავშირზე, რევოლუციაზე, ახალი ცხოვრების მშენებლობაზე, ადამიანთა ახალ ურთიერთობაზე. მოვალეობის ახლებურ გაგებაზე. ამდენად, ლიტერატურის განვითარების ისტორიული პროცესის გასათვალისწინებლად, მწერლის ბიოგრაფიის გარკვევისათვის დღესაც საინტერესოა კონსტანტინე ლორთქიფანიძის აღრინდელი ლექსებიც და მისი პირველი მოთხრობებიც — „სანაპირო“, „ხავსი“, „მესამე გზა“, „პირველი დედა“ თუ სხვები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოებები აღბეჭდილია დიდი ცხოვრებისეული მოვლენების ერთგვარად გულუბრყვილო გაგებითა და გადაწყვეტით, ან სახეების სქემატურობით თუ სხვა მხატვრული ნაკლოვანებებით (რაც მეტწილად თვით იმ დროის პირობებით იყო გამოწვეული), აქ მაინც იგრძნობოდა ახალგაზრდა მწერლის ნიჭიერება და ცხოვრების ხედვის უნარი, რაც მთავარია, იგრძნობოდა მისი სწორი ლიტერატურული პოზიცია. ყოველივე ამან მალე იჩინა თავი და კონსტანტინე ლორთქიფანიძემ უკვე 30-იანი წლების დასაწყისში გამოაქვეყნა საკოლმეურნეო ცხოვრებაზე დაწერილი რომანი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“, რომელმაც ყველას ყურადღება მიიქცია. მწერალმა შემდეგ გადაამუშავა ეს რომანი და „კოლხეთის ცისკარი“ უწოდა.

რომანში ასახული ცხოვრებისეული მოვლენების მას-

შტაბურობა, — მთელი რიგი აქტუალური პრობლემების მართებული გადაწყვეტა და, რაც მთავარია, ყოველივე ამის დიდი მხატვრული ოსტატობით გადმოცემა „კოლხეთის ცისკარს“ ქართული ლიტერატურის განვითარებაში საეტაპო ნაწარმოების მნიშვნელობას ანიჭებს. რომანში ნათელი გამოხატულება ჰპოვა მწერლის ოსტატობის სხვადასხვა მხარემ, მაგრამ ყველაზე მეტად გვანცვიფრებს ფსიქოლოგიური პორტრეტების გამოკვეთის უნარი. მწერალმა შექმნა კოლექტივიზაციის პერიოდის სოფლის ადამიანების ტიპიურ სახეთა მთელი გალერეა. იგი თანაბარი მონღომებითა და პასუხისმგებლობით ძერწავს ყოველ სახეს და ამის შედეგია, რომ ცენტრალურ გმირებთან ერთად სრულყოფილად და ცოცხლად დახატული ასლან მარგველაძისა და გიორგი ჭიშკარიანის, ბარნაბა საგანელიძისა და დახუნდარას, დოფინასა და ერემო პირტახიას და სხვათა სახეები, რომლებიც ღიძხანს რჩებიან მკითხველის მეხსიერებაში.

„კოლხეთის ცისკარში“ სოფლის მოჯამაგირის მექი ვაშაკიძის ცხოვრების კერძო მაგალითზე მწერალი დიდი დამაჯერებლობით გვიხსნის უღელახსნილი გლეხობის შემოქმედებითი ინტერესის მთელ სიძლიერესა და სიდიადეს. სოფლად მომხდარი სოციალური ძვრების მხატვრული სურათები წარმოადგენენ იმ აუცილებელ ფონს, ურომლისადაც გაუგებარი დარჩებოდა ცენტრალური გმირის გარდაქმნის მიზეზები. ამიტომაც მწერალი არ იფარგლება მექის მხატვრული ბიოგრაფიით და ხატავს სოფლის ცხოვრების ფართო სურათებს. მოქმედებაში შემოჰყავს მთელი რიგი უაღრესად თავისებური ხასიათისა და ფსიქიკის გმირები, რომლებიც სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანების ტიპიურ სახეებს წარმოადგენენ და, ერთად აღებულნი, მშვენივრად გვიხასიათებენ კოლექტივიზაციის პერიოდში სოფლად მომხდარი გარდატეხის რთულ პროცესს.

მექი ვაშაკიძე ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთერთი საუკეთესო მაღალმხატვრული გმირია, რომლის უაღრესად თავისებური ცხოვრება ბრწყინვალედ განასახიერებს საბჭოთა სოფლის მთელი ახალგაზრდობის ნათელი მომავლის გზას.

„კოლხეთის ცისკრის“ მნიშვნელობას ქართული ლიტერატურისათვის ისიც განაპირობებს, რომ პირველად სწორედ ამ რომანში იქნა მოცემული სოფლის კომუნისტის მაღალ-მხატვრული სახე. ხაზარაძის, როგორც კომუნისტის, დამსახურება სოფლის ცხოვრების ახალი, სოციალისტური გზით წარმართვის საქმეში მწერალმა საფუძვლიანად და დიდი ოსტატობით გაგვიხსნა. ლორთქიფანიძე მისთვის ჩვეული ფსიქოლოგიური სიღრმით გვიშლის თავისი გმირის სულიერ სამყაროს, ოსტატურად გვარწმუნებს ხაზარაძის მაღალ მოქალაქეობრივ და კომუნისტურ შეგნებაში.

სოფლად კოლექტიური მეურნეობის დანერგვა დაკავშირებული იყო უდიდეს სიძნელეებთან და გართულებებთან. ბრძოლა ცალკე კულაკებთან და ხალხის სხვა მტრებთან, ცალკე კიდეც გლეხებში ღრმად გამჭდარ კერძომესაკუთრულ ბუნებასთან მოითხოვდა ენერჯიის სრულ დაძაბვას. კოლექტივიზაციის პერიოდის ამსახველი მხატვრული ლიტერატურა ვერ აუვლიდა გვერდს ამ სიძნელეებს. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ის ნაწარმოებები გამოდგნენ მაღალი ღირსებისა, სადაც მხატვრულად არის ასახული ახალი სოფლის დაბადების მთელი ტკივილები. სწორედ ასეთ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება „კოლხეთის ცისკარი“. ამ დიდი ცხოვრებისეული სიმართლით, მასშტაბურობით, მხატვრული წარმოსახვის სიძლიერით კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარს“ სავსებით დამსახურებულად უყენებენ გვერდში შოლოხოვის „წყნარ დონს“.

უკანასკნელ წლებში კონსტანტინე ლორთქიფანიძის მეორე რომანიც „ნატვრისთვალი“ მიიღო მკითხველმა, რომლის პირველი ორი ნაწილი გამოქვეყნდა ჯერ. აქაც არ უღალატა მწერალმა თავის ხასიათს და ომისშემდგომი წლების ქართული სოფლის მტკივნეული პრობლემები დააყენა ნაწარმოების ყურადღების ცენტრში. მართალია, „ნატვრისთვალი“ ომის წინა წლების ცხოვრებით იწყება, მაგრამ ეს ნაწილი შედარებით მცირეც არის და ამასთანავე მშვიდიც, აქ ჩვენ მხოლოდ ვეცნობით გმირებს, რომელთა აქტიური ცხოვრება მეორე ნაწილში წარმოგვიდგება. კონსტანტინე ლორთქიფანიძეს უფრო ძლიერი ხასიათის გმირები იტაცებენ,

რომლებიც თავისი წმინდა და პატიოსანი ბუნებით ადამიანის საუკეთესო თვისებებს გვიხსნიან. მწერლის მთელი სიმპათიები ასეთი გმირების მხარეზეა, მაგრამ ჯერ ბევრი არიან ბოროტი ზრახვის ადამიანები, შენიღბულნი თუ შეუნიღბავნი, და ამიტომაცაა, რომ „ნატურისთვალში“ ზაქარია ნადიბაიძესა თუ მანუჩარ უგრეხელიძეს, ამ გულმართალ გლეხებს, დაძაბული ბრძოლა უხდებათ ყანჩაშვილებთან. როგორ განვითარდება ნოქმედება, რით დასრულდება ეს ბრძოლა ხალხსმოწყვეტილ რაიკომის მდივანთან სიმონ ჩოხელთან, ან გაიძვერა არჩილ ყანჩაშვილთან, როგორ წარიმართება ზაქარია ნადიბაიძის, მანუჩარ უგრეხელიძის, გოგუცას და სხვების ბედი, ყველა ამ კითხვაზე პასუხს, ალბათ, რომანის მომდევნო ნაწილებში გავიგებთ, მაგრამ ერთი რამ ამთავითვე ცხადია, რომ „ნატურისთვალის“ სახით კონსტანტინე ლორთქიფანიძემ კიდევ ერთი ცხოვრების ავ-კარგით სავსე ნაწარმოები შემატა ქართულ მწერლობას.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე მარტო ფართო ეპიური ტილოების დიდოსტატი როდია, მისი მცირე პროზაული ნაწარმოებები, ნოველები ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო ქართულ, მთელ საბჭოთა ლიტერატურაში. კონსტანტინე ლორთქიფანიძის, როგორც ნოველისტის, ბრწყინვალე ნიჭი ჯერ კიდევ 30-იან წლებში გახდა აშკარა, როდესაც მან „ბელორუსული მოთხრობები“ გამოაქვეყნა. მოხუცი რუხლო შეიყვარა მკითხველმა იმ შესანიშნავი თვისებების გამო, რაც ასე პოეტურად და მკაფიოდ დაგვიხატა მწერალმა. მოხუცი რუხლო კვლავ გაცოცხლდა ომისდროინდელ მოთხრობაში მოხუცი მეზადურის სახით და ერთხელ კიდევ დაამტკიცა რუსული ხასიათის სიმტკიცე და სიდიადე. მოხუცი მეზადურის სიკვდილი რუსი ხალხის უკვდავებაზე მეტყველებს მხოლოდ.

სამამულო ომის თემა მუდამ აწუხებს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს და უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული მისი მოთხრობები, განსაკუთრებით კი „ცაბუნია“, ამ დიდი თემის მაღალმხატვრული კონკრეტული გამოხატულებაა. სულ ახლახან გამოქვეყნდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნარკვევები „სიკვდილი ცოტას შოიციდის“, რომელშიც მწერალი

ფრონტულ ამბებს იხსენებს. მე ვფიქრობ, „სიკვდილი ცოტას მოიკდის“ სცილდება ნარკვევების ფარგლებს და მასში რამდენიმე პირდაპირ ბრწყინვალე ნოველაა ჩართული.

ამბობენ, რომ შემოქმედი მუდამ ახალგაზრდაა თავისი ბუნებითა და ინტერესებით. ეს სწორი იქნება, თუ ასე ვიტყვით, რომ შემოქმედი მუდამ ახალგაზრდა უნდა იყოს თავისი გატაცებითა და ცხოვრების შეცნობის წყურვილით. ადრეც ყოფილან და ახლაც გვყავს შედარებით ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც თითქოს მოთენთილნი, ინდიფერენტულნი არიან თანამედროვე ცხოვრებისა და მისი დიადი პრობლემების მიმართ. კონსტანტინე ლორთქიფანიძე კი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მუდამ იყო და არის ჭაბუკური გატაცებით, ახალგაზრდული ენერგიითა და სიცოცხლის დაუშრეტელი ხალისით სავსე მწერალი. იგი ქართული მწერლობის ავანგარდშია და ქართველ მკითხველს გულწრფელად ახარებს იმედი და რწმენა იმისა, რომ ეს გამოჩენილი ქართველი მწერალი — საბჭოთა ლიტერატურის კლასიკური ნაწარმოებების ავტორი — კვლავაც დიდხანს და ნაყოფიერად გასწევს მწერლის მძიმე და საპატიო ჭაპანს ქართული სიტყვის, ქართული ლიტერატურის, ჩვენი დიადი თანამედროვეობის სადიდებლად.

დემნა შენგელაია

როდესაც დემნა შენგელაია ლაპარაკობს, პირადად გესაუბრებათ, თუ მწერალთა კავშირის ტრიბუნიდან, დიდხანს ისე მშვიდად ისმის მისი ხმა, თითქოს თავისთვის ჩურჩულებს, თავის თავთან საუბრობსო. მერე უეცრად აფეთქდება, აღიგზნება, ცეცხლს დააფრქვევს და გიკვირთ: ნუთუ ეს ის კაცია, სულ ცოტა ხნის წინათ ასე დინჯად რომ გესაუბრებოდათ. ეს, ჩემი აზრით, დემნა შენგელაიას ორატორული ხერხი კი არ არის, მისი ხასიათის თვისებაა, რაც ერთნაირად მქლავნდება მის პირადსა თუ შემოქმედებით ცხოვრებაში. ასეთივეა დემნა ახალი ნაწარმოებების შექმნისას, იგი მაშინაც დიდხანს ესაუბრება თავის თავს, ჩუმად იწვის და, როდესაც სავსებით მოუმწიფდება აზრი, ერთბაშად აფეთქდება, ნიაღვარივით მოასკდება სათქმელი და ჩვენც, მოლოდინით თითქოს დაღლილი მისი მკითხველები, თითქმის ყოველთვის მნიშვნელოვანი ნაწარმოების დაბადების მოწმენი ვხდებით. ასეთი შემოქმედებითი წვითა და აფეთქებით დაწერა დემნა შენგელაიამ საუკეთესო მოთხრობები და ნოველები, „სანაევარლო“, „ბათა ქექია“, „განძი“, ასევე წერს ახლა „ფიროსმანს“. ალბათ, ხასიათის ეს თავისებურება განსაზღვრავს დემნა შენგელაიას სტილსაც, იმასაც, რომ მისი რომანები თუ მოთხრობები ყოველთვის დახვეწილია, თავისუფალი არათუ ზედმეტი მხატვრული სახისა და პასაჟისაგან — ზედმეტი ფრაზისაგანაც კი; ამასთანავე, სავსეა ენერგიით, მხატვრულად გამოკვეთილი ღრმა აზრითა და გრძნობით.

მწერალი არა მარტო დიდი აზრების ან გრძნობების მხატვრული გამოხატვის ოსტატი უნდა იყოს, არამედ მშობლიუ-

რი ენის დაუღალავი მოამბაგეც, მისი მესაიდუმლეცა და ჯადოქარიც. ენის სიმღიდრე ან სიღარიბე ყველაზე თვალნათლივ მწერლის შემოქმედებაში ჩანს და ვერავითარი თანამედროვეობის გრძნობა ვერ გააძარტლებს მწერალს, რომელიც განზრახ ან უნებლიეთ ამარტივებს და აღარიბებს მდიდარ ენას. დემნა შენგელაიას ნაწარმოებებში ვერც ერთ გაპრანქულ ან ხელოვნურ ფრაზას ვერ იპოვით; სამაგიეროდ, იგრძნობთ და დაინახავთ ძარღვიან, ამოუწურავ და მდიდარ ქართულ ენას მთელი თავისი სიღარბაისლითა და სილამაზით. სიტყვის საოცარი გრძნობა, მისი შემოქმედებითად გამოყენება, ბუნების ღრმა ცოდნა უფრო მეტად თანამედროვესა და საინტერესოს ხდის ჩვენთვის მის ნაწარმოებებს. დემნა შენგელაიას შემოქმედება ყოველთვის იქნება ახალი თაობის მწერლებისათვის სანიმუშო და მისაბაძი.

დემნა შენგელაიას ნაწარმოებები — ესაა ქართულ ეროვნულ ლიტერატურაზე თუ მსოფლიო კლასიკურ საგანძურზე დამყნელი და დაფუძნებული უაღრესად თანამედროვე შემოქმედება. მწერალს ეს თანამედროვეობის სული არასოდეს ჩაუკეტავს ვიწრო ჩარჩოებში. პროზაიკოსი ხომ მხოლოდ ნიჭით, დიდი ერუდიციისა და ცხოვრების ღრმად შესწავლის გარეშე, იოლად ვერ გავა ფონს. დემნა შენგელაიას მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც უაღრესად ეროვნულნი არიან, ხშირად ზოგადსაკაცობრიო პრობლემებსაც ეხმაურებიან.

დემნა შენგელაია ოციან წლებში მოვიდა ქართულ მწერლობაში და პირველივე რომანით — „სანავარდო“ — ერთბაშად დაიმკვიდრა ჭეშმარიტი პროზაიკოსის სახელი. მას შემდეგ დაუცხრომელი ენერგიითა და ელვარე ნიჭით ემსახურება მწერალი ამ დიდ ეროვნულ საქმეს.

თუმცა ოციან წლებში ქადაგებდნენ ქართველი დეკადენტები პროზის, პირველ რიგში კი რომანის, კვდომის აუცილებლობას, მაგრამ სწორედ ამ ხანებში შეიქმნა პირველი მნიშვნელოვანი რომანები, რომელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო „სანავარდო“. ეს არის მაღალი ოსტატობით დაწერილი ნაწარმოები, სადაც გახსნილია ფეოდალური არისტოკრატის გადაგვარებისა და განადგურების ისტორიული და

ბიოლოგიური გარდუვალობა. შემადრწუნებელია ბედი თავად ქილაძეთა უკანასკნელი შთამომავლების — ბონდოსა და ყარამანისა, რომელნიც თავიანთი წინაპრების უკურნებელი სენით შეპყრობილნი ამთავრებენ თავისი გეარის არსებობას. ეს სოციალურად თუ ისტორიულად მართალი პრობლემა მწერალმა სუფთა რეალისტურ პლანში კი არ გადაწყვიტა, არამედ დატვირთა ავადმყოფური და მისტიკური ზმანებებით, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა ყარამან ქილაძის ოდესღაც ძლიერი ფეოდალური ოჯახის განწირულების განცდის და სიკვდილისწინა ტანჯვის შეგრძნება.

იმავე წლებში დაწერა დემნა შენგელაიამ რომანი „თბილისი“, მოთხრობები „გურამ ბარამანდია“, „თებერვალი“, „პორტი“ და სხვა. ამ მოთხრობებში კიდევ უფრო აშკარად და ნათლად გამოჩნდა მწერლის დამოკიდებულება რევოლუციასთან, ახალ ცხოვრებასთან. მაგრამ „სანაფარდოს“ შემდეგ მწერლის დიდი შემოქმედებითი ნიჭი ყველაზე ძლიერად გამოემჟღავნა „ბათა ქექიაში“ — ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ კლასიკურ ნაწარმოებში. ამ რომანში მწერალმა ქართული ცხოვრების ფართო ისტორიული პანორამა მოგვცა და მას მეტად საინტერესო კომპოზიცია გამოუჩინა. დაღმწილი სიბერის ეპოს კერძოდ მიმდინარე მოხუცი მეზობრნე იკონებს თავისი ცხოვრების გზას, ნახულსა და განცდილს. ამ ხერხით მწერალი მოგვითხრობს თითქმის ნახევარსაუკუნოვან ისტორიას, რომლის მანძილზეც ბათა ქექია ბევრი დრამატული მოვლენისა თუ ამბის შემსწრე და მონაწილე ყოფილა. ქართველი გლეხის მძიმე ყოფა აქ ტრაგიკულად მძაფრ სიტუაციებშია წარმოსახული, მაგრამ მისი გაუტეხელი გული და მტკიცე ხასიათიცაა გამოკვეთილი. ბათა ქექია თავის ნაღვლიან ისტორიას იუმორით მოგვითხრობს. ამით კიდევ უფრო ნათლად ჩანს მისი ძლიერი ხასიათი, სიცოცხლის დაუშრეტელი სიყვარული, თავისუფლებისმოყვარე და ამაყი სული. სწორედ ამ თვისებებმა გადაატანინა ბათას მრავალი განსაცდელი მძიმე ცხოვრების გზაზე. ეს რომანი ქართული ყოფისა და ქართული სულის შესანიშნავი მაღალმხატვრული გამოხატულებაა.

ამის შემდეგ, სამამულო ომის დაწყებამდე, დემნა შენ-

გელაიამ რამდენიმე მოთხრობა და ორი რომანი — „ირმის ნახტომი“ და „შთაგონება“ — გამოაქვეყნა. თუმცა „ბათა ქე-ქიას“ ბრწყინვალეობამ ეს რომანები ერთგვარად დაჩრდილა, მაგრამ თავისთავად ისინი უთუოდ საინტერესო ნაწარმოებებია. თუ „ირმის ნახტომში“ ძველი ქალაქური ყოფაა თბილად და კოლორიტულად წარმოსახული, სამაგიეროდ, „შთაგონება“ ახალ თბილისს ეძღვნება და მწერალი მართლაც შთაგონებით გვიყვება ქართველი მუშებისა და ინტელიგენციის შემოქმედებით სავსე ცხოვრებაზე.

სამამულო ომის თემა ახლაც ძლიერად იზიდავს ქართველ მწერლებს თავისი დიდი დრამატიზმითა და, რაც მთავარია, იმ უტეხი სულის სიდიადით. რომელიც საბჭოთა ხალხმა ამ ომში გამოამყვანა. დემნა შენგელაიამ ქართველ მწერალთა შორის ერთ-ერთმა პირველმა უძღვნა საბჭოთა ადამიანების საბრძოლო ცხოვრებას რომანი — „წითელი ყაყაჩო“. ამ რომანში ყველაზე ნათლად გამოჩნდა დემნა შენგელაიას, როგორც ლირიკული პროზის ოსტატის ნიჭი. ეს რომანი არ არის ვრცელი ეპიური ტილო, რომელიც მიზნად ისახავს სამამულო ომის წლებში ჩვენი ცხოვრების ფართო მხატვრულ წარმოსახვას. მწერალმა მთელი თავისი ყურადღება საბჭოთა ადამიანების სულიერი სიძლიერის გახსნაზე გადაიტანა. თუმცა აქ მკითხველი ვერ ნახავს დიდ ბატალურ სცენებს, მნიშვნელოვან საბრძოლო ეპიზოდებს, რადგან გმირთა ცხოვრება ძირითადად ჰოსპიტალში მიმდინარეობს, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს მწერალს თავისი ჩანაფიქრი განახორციელოს და საბჭოთა ადამიანების პატრიოტული სულისკვეთება მთელი სიძლიერით გვიჩვენოს. მწერალს კონტრასტი მშვიდობიან ცხოვრებასა და ომის მრისხანე დღეებს შორის იმდენაღ უფექტურად და ძლიერად აქვს გადმოსცემული, რომ თავიდანვე ემოციურად დაბავს მკითხველს. არჩილ დარაშელიძის თუ ქაბუკი ვასიას დაღუპვის ეპიზოდი ნათლად გვაგრძნობინებს ომის ტრაგედიას. და მიუხედავად ამისა, ეს ნაწარმოები ნათელი ოპტიმიზმითაა სავსე. რადგან სიკვდილს არ შეუძლია მოდრიკოს საბჭოთა ადამიანები, ისეთები, როგორებიც არიან ბეჟან დავლაძე, სამსონ ბახტურიძე, პოლკოვნიკი სავგაჩოვი, ლეიტენანტი მატახერია, კაპიტანი პილიპენკო და სხვები. წი-

თელი ყაყაჩო ამ რომანში მშვიდობისა და სიცოცხლის სიმბოლოდაა გამოყენებული და ღრმა ოპტიმიზმის გრძნობით ავსებს მკითხველებს.

უკანასკნელი წლების მანძილზე ქართულ ლიტერატურას აშკარად ეტყობა ეთიკური პრობლემატიკით გატაცება. თანამედროვე ადამიანის მორალურ-ეთიკური სახის გარკვევას არა ერთი მხატვრული ნაწარმოები მიეძღვნა. მათ შორის ამ პრობლემის მხატვრული გადაწყვეტით გამოირჩევა დემნა შენგელაიას „განძი“. შეიძლება თავდაპირველად ერთგვარი დაეკეება გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ ამ მოთხრობას თითქოს ხელოვნური ან, უფრო სწორად, იშვიათი და უცნაური შემთხვევა უდევს საფუძვლად. კერძოდ ის, რომ საულია, ერთი უბრალო ქართველი გამრჩე კოლმეურნე გლეხი, განძს იპოვის ყანაში მუშაობის დროს. მაგრამ ასეთი ხასიათის ნაწარმოებში მთავარი განცდის სიმართლეა და არა ფაქტის. ამ თვალსაზრისით კი „განძი“ უაღრესად მართალი ნაწარმოებია. „განძი“ უთუოდ გაახსენებს მკითხველს სტეინბეკის ცნობილ მოთხრობას „მარგალიტს“. ამ ორი ნაწარმოების შედარება თვალნათლივსა ხდის ორი სამყაროს სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესს, ადამიანთა სრულიად განსხვავებულ განცდებსა და ეთიკურ საფუძვლებს. სტეინბეკის მოთხრობაში ღარიბ-ღატაკი მარგალიტის მაძიებლისათვის ძვირფასი განძის პოვნა ტრაგიკული შეიქნა, რადგან იგი მონის მდგომარეობაშია ჩაყენებული. მისი პროტესტი საბედისწერო აღმოჩნდა. ეს მოთხრობა მკვეთრი პროტესტია სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. დემნა შენგელაიას მოთხრობის გმირი კი სხვა სოციალურ გარემოში ცხოვრობს, სადაც ოქროს ფეტიში არ არსებობს და მისთვის განძის პოვნა მხოლოდ საკუთარი ბუნების ღალატის, ფსიქოლოგიური განცდის, ეთიკური საფუძვლების რღვევის გამო ხდება ტრაგიკული. მოთხრობის ასეთი ტრაგიკული ფინალი კიდევ უფრო მძაფრად განგვაცდევინებს იმას, თუ რამდენად მიუტევებელია ადამიანისათვის ზნეობრივი საფუძვლებისადმი ღალატი. დემნა შენგელაია უაღრესად ამძაფრებს თავისი გმირების განცდებს, თვითონაც სასტიკ მსაჯულად ევლინება მათ, მაგრამ ყოველივეს აკეთებს ერთადერთი

განზრახვით: მოთხრობის მიზანდასახულება ემოციურად და-
ძაბული, ძლიერი და შთამბეჭდავი იყოს მკითხველისათვის.

დემნა შენგელაია თავისი სამწერლო მოღვაწეობის 50
წლის მანძილზე მეტად აქტიურ შემოქმედებით მუშაობას
ეწეოდა. მან ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქარ-
თულ საბჭოთა პროზას და მას შემდეგ ერთგულად ემსახურე-
ბა ამ ჟანრის განვითარებას. იგი ახლაც ჭაბუკური გატაცებით
მუშაობს და ვინც პირადად იცნობს, იცის, რაოდენ დიდი
გეგმები აქვს მწერალს და რა მხნედაც არის.

1966 წ.

კარლო კალაძე

ეს ლექმა ლექსიც
საარსებო პურია წმინდა,
ჩემო კარგებო,
პური თქვენთან გავტეხო, მინდა.

ასე გულმართლად მიმართა კარლო კალაძემ ცხოვრების შუაგზაზე ერთ-ერთ ლექსში ქართველ მკითხველს. უპრეტენზიო პოეტისათვის ქართული სიტყვა ერთი ლექმა წმინდა პურია, ხოლო საკუთარი ლექსები კი მოძმეთა და მოყვასთათვის დასაპურებლად, და არა გასაკვირველად, თონეში ჩაკრულ შთვარესავით ამოფრენილი შოთიპური.

ქართველ კაცსაც ყოველთვის სიამოვნებდა პოეტთან ერთად პურის გატეხვა, რადგან მისი ლექსები თუ პოემები გონების საზრდოდ და სულის საამოდ ესახებოდა. კარლო კალაძემ ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციები შეისისხლხორცა და თავის შემოქმედებას უპირველესად მშობელი ერის ალალი და შეუფარავი სამსახური დააკისრა. დღემდე ამ ერთგულებით იყო პოეტი გამსჭვალული და დიდი წინასწარმეტყველება არა სჭირდება იმის მტკიცებას, რომ არც მომავალში დაიღლება ხალხის სიყვარულით. ეს უტილიტარული მიზანდასახულება თუ სულისკვეთება აძლევს ყველაზე მეტ ძალას, მნიშვნელობას პოეტის ნათქვამსა და სათქმელს. სათქმელი კი ბევრი ჰქონდა და აქვს კარლო კალაძეს, რადგან სულ ახალგაზრდამ, ცამეტ-თოთხმეტი წლისამ დაუკავშირა თავისი ცხაფერება ხალხის ისტორიულ სევბედს, მისი ლექსები საბჭოთა საქართველოსთან ერთად იშვნენ და აგერ ნახევარი საუკუნეა, რაც ერთად იზრდებიან და მწიფდებიან.

პროფესიონალი რევოლუციონერების ოჯახში აღზრდილი პოეტისათვის ბევრი სხვის მსგავსად არ ყოფილა საჯოჯმანო ახალი ცხოვრების მიღება-არმიღების საკითხი. მან თავიდანვე დაუჟავშირა თავისი ცხოვრებაც და კალამიც ახალ საქართველოს, თავისი ერის ახალი იდეებით განათლებულ გზას. კარლო კალაძე ერთი პირველთაგანი იყო მრავალრიცხოვან პროლეტარულ მწერლებს შორის და ერთი იმ მცირედთაგანი, რომელთაც თავისი ნიჭისა და სულიერი სიმდიდრის მეოხებით მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი ქართულ მწერლობაში.

იროდიონ ევდოშვილისა და ვლადიმერ მაიაკოვსკის რევოლუციურმა შემართებამ მისცეს დასაბამი კარლო კალაძის შემოქმედებას ოციანი წლების დასაწყისში და მას შემდეგ პოეტი, თავისი ერის მესაიდუმლევცა და მემატიანეც, ერთგულ შვილად მოსდევს საბჭოთა საქართველოს. ბევრი რამ ნახა და განიცადა ამ ხნის მანძილზე. ბევრი რამ გაიგო და შეითვისა. ხოლო თვით ცხოვრებიდან შეძენილი აზრი და გრძობა პოეტური სიტყვით კვლავ დაუბრუნა ქართველ ერს საარსებო წმინდა პურად.

ამ ხნის მანძილზე პოეტი ერთხელაც არ დადლილა, არ ჩაუმუხლავს, სული არ მოუთქვამს, არ გაბეზრებულა. ერთგულად და მხნედ მოსდევს ქართულ ცხოვრებას და არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა არ დარჩენია შემოქმედი ადამიანის ინტერესების მიღმა. იგი მუდამ ახალი ცხოვრების მშენებელთა და მისი ინტერესების დამცველთა პირველ რიგში მიიბიჯებდა და მიიბიჯებს.

„ჩემს პირველ სიტყვებს მხოლოდ ბრძოლისა და თავისუფლების წყურვილით ვრაზმავდი. ცისა და მიწის სილამაზეს გული დავუთმე უფრო გვიან. როცა თვალი წიგნებს შევაჩვიე, როცა საკუთარმა დღეებმა და ღამეებმა ჩამაფიქრესო“,—წერს პოეტი.

ეს წყურვილი არასოდეს განელებია კარლო კალაძის პოეზიას. გავიხსენოთ მისი პირველი ლექსები და, მათ შორის, პირველი საუკეთესო ნიმუშები — „მხედრული“ ან „ძახილი აღმოსავლეთს“, ოცდაათიან წლებში დაწერილი ციკლები: „მთების ეპოსი“ და „ხერთვისის განთიადები“ თუ ჰოემა

„უჩარდიონი“, დიდი სამამულო ომის გმირული დღეებით შთაგონებული ლექსები — „შეხვედრები ბრძოლის ველზე“ და პოემა „მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა“, ომის შემდგომი ცხოვრების მშვიდობიანი და შემოქმედებითი შრომით აღსავსე ლექსები ციკლიდან — „ისევ მშობლიურ სოფელში“, ან სულ უკანასკნელ ხანს დაწერილი მისი ლექსები. გავიხსენოთ ყოველივე ეს და ნათელი გახდება, რომ პოეტი მუდამ ბრძოლისა და შრომის წინა ხაზზე იყო და არის. ისიც სწორია, რომ „ცისა და მიწის სილამაზეს“ უფრო მოგვიანებით ეზიარა კარლო კალაძე. მაგრამ ამას ოდნავადაც არ გაუნელებია პოეტის მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობა, ეს უპირველესი ღირსება მისი.

კარლო კალაძე მარტო პოეტური სიტყვით როდი ემსახურება ქართულ მწერლობას და კულტურას. მისი პიესები: „როგორ“, „ხატიჯე“, „სახლი მტკვრის პირას“ ქართული საბჭოთა დრამატურგიის თავფურცელია. ბევრ საბჭოთა დრამატურგს არ ღირსებია კოტე მარჯანიშვილთან ერთად შემოქმედებითი შუშაობა, ხოლო კარლო კალაძე, თუ არ ვცდები, ერთადერთია, რომლის სამი პიესის დადგმაც განახორციელა ამ ბრწყინვალე რეჟისორმა. კოტე მარჯანიშვილისა და კარლო კალაძის ურთიერთობა და თანამშრომლობა ერთი საუკეთესო ფურცელია არა მხოლოდ პოეტის ბიოგრაფიიდან, არამედ საერთოდ ქართული თეატრის მოღვაწეებისა და ქართველი მწერლების შემოქმედებითი მეგობრობის ისტორიიდან.

ახლა, როდესაც თვალს გადავაკლებთ კარლო კალაძის მიერ დღემდე განვლილ გზას, ჩვენთვის ნათელი ხდება მისი სისხლსავსე; დაძაბული, შემართებული ცხოვრებაცა და ის დიდი ღვაწლიც, რომელიც მან ქართულ მწერლობას დასდო: ნათელი ხდება ის სირთულეებიც, რომელიც მის პოეტურ ბიოგრაფიას თან ახლდა. ადრინდელი გატაცებები, ზოგჯერ პოეტური სახის თუ ფორმის სიახლის ძიებით გამოწვეული მარცხი, პოეტური ფრაზის პრიმიტიულობამდე გაუბრალოება, ნაჩქარევი სტრიქონები, — ყველაფერი ეს მისი ცხოვრების გზის სხვადასხვა მონაკვეთებზე ხშირად მეტადაც იჩენდა თავს, მაგრამ თანაბრად ძლიერი ხმით, საერთოდ, არც ერთ პოეტს არ უმღერია. ჩვენთვის ახლა ის კი

არ არის მთავარი, თუ სად შეცდა, ან სად უმტყუნა პოეტურ-მა ხმამ კარლო კალაძეს, არამედ იმ დიდი ღვაწლის დაფასება, რომელიც მწერალმა თავის ერსა და კულტურას დასდო. პოეტის ბევრი ლექსი, პოემა თუ პიესა, თავისი დროისათვის მნიშვნელოვანი და სასარგებლო, ახლა მისი ბიოგრაფიის ან ქართული მწერლობის ისტორიის ფაქტად რჩება მხოლოდ. მაგრამ, ამასთანავე, მისი არა ერთი ნაწარმოები ინარჩუნებს დღესაც პოეტური სიტყვის უქცნობ, დაუბერებელ ძალასა და სურნელს და ამაზე დიდი ბედნიერება მწერლისათვის არაფერი შეიძლება იყოს.

საერთოდ, მწერლის შემოქმედების გახსნისა და გაგებისათვის ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ (ეს აუცილებელიცაა, უამისოდ ვერც ვერაფერს გავხსნით და ვერც ვერაფერს გავიგებთ) ცხოვრებისეულ მოვლენებს, რომლებიც აყალიბებენ და ამძაფრებენ აზრსა და გრძნობას, მაგრამ ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებთ თვით მწერლის ბუნებასა და ხასიათს, რაც არანაკლებ განსაზღვრავს მისი პოეზიის სულს. ეს ცალმხრივობა ბევრწილად ახასიათებს თანამედროვე კრიტიკას. კარლო კალაძის პოეზიის მოტივებისა და განწყობილების, მისი სულისკვეთების მისახვედრად და მისანიშნებლადაც მარტო მწერლის ბიოგრაფიაში გარკვევა არ კმარა, ამისათვის მისი ხასიათის ცნობაცაა საჭირო. ის იმედია, ხალისიანი განწყობილება, რომელსაც პოეტი თავისი შემოქმედებით გვეცნერგავს, მხოლოდ ახალი ცხოვრების პერსპექტიულობით არ აიხსნება. ამაში არანაკლები დამსახურებაა თვით პოეტის მხნე ბუნებისა, სამყაროს ოპტიმალური ხილვისა. სწორედ ამ ისტორიული ვითარებისა და პოეტის ბუნების ბედნიერმა დამთხვევამ წარმოშვა კარლო კალაძის სიცოცხლითა და სიხალისით სავსე შემოქმედება, რომელიც მუდამ, თვით ყველაზე მძიმე წლებშიც კი, მხოლოდ იმედითა და ენერგიით ასაზრდოებდა მკითხველს. სწორედ თავისი მხნე და ხალისიანი ბუნების გამო, ხასიათის სიმტკიცის წყალობითაა, რომ კარლო კალაძეს არასოდეს განუცდია ადამიანის ტვინისა და გულის მღრღნელი დაეჭვებები, უიმედობა, შიში. მაშინაც კი, როდესაც პოეტი სოფლად კლასთა ბრძოლის მძაფრი სურათების მოწმე იყო, ან უკვე კავკასიონთან მომდგარი მტრის

ქვემეხის ხმა ესმოდა, მას ერთი წუთითაც არ დაუქარგავს სიმ-
ბნევე და ხალისი. ეს მისი ბუნებისა და ხასიათის სიძლიერე-
ზე ლაპარაკობს მხოლოდ.

სწორედ ამ პირადმა თვისებებმაც განაპირობეს პოეტის.
მეტწილად ამალეებული და ამღერებული ხილვა ცხოვრე-
ბისა. კარლო კალაძეს უპირატესად აინტერესებს კეთილი
მხარეები ცხოვრებისა და ადამიანებისა, ამითაა აღტაცებული,
ამას უმღერის, ამ განწყობილებას გვიზიარებს, ამაში გვარწ-
მუნებს. აქ ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ არა მხოლოდ ის ლექ-
სები, სადაც ეს სიხალისე, ცხოვრების სიყვარული და მისი
ნათელი მხარეების ხილვა პირდაპირ, უშუალოდაა გადმოცე-
მული, არამედ ისინიც, რომლებშიც პოეტური მსჯელობით
ან ალეგორიული მინიშნებებით მწერალი მხატვრულად ასა-
ბუთებს თავისი პოზიციის სისწორეს. საკმარისია შევადაროთ
მისი შესანიშნავი ლექსები „საქართველოსკენ იჩქარის გუ-
ლი“, „ქვევრები“, „გულა-სტვირი და ღვინის გულა“, რომ ეს
ნათელი გახდეს ჩვენთვის.

„საქართველოსკენ იჩქარის გული“ — ესაა გულიდან
ამონახეტი სადიდებელი სამშობლოში თავდავიწყებით შეყ-
ვარებული პოეტისა და სიხარულით გულამღერებული იგი
ვერ ახერხებს და არც ცდილობს თავისი მოზღვავებული
გრძნობების შეკავებას:

გემზე ათასი ვინმეა. მესმის
ჩემი პატარა ქვეყნის დიდება,
ვუცქერი წარსულს, ვუცქერი მერმისს,
მინდა ვიმღერო და მერიღება!..
ხალხო, ამ ქვეყნის დიღო მხატვარო,
თვითონ შენა ხარ ქვეყნის დიდება,
მე კი რამდენი რა გადავვთვლო,
ალევიც აღარ მყოფნის თითება!

ეს განწყობილება სამშობლოსადმი და ხალხისადმი მთა-
ვარია პოეტისათვის და იგი კიდევ გვისაბუთებს ამას მხატვ-
რულად თავის ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსში „ქვევრები“:

ვეება ქვევრი ხეების ქვეშ
წევს და უაზროდ გაბზარულია, —

ჯანი გაეარდეს მეათე ქვევრს,
ცხრა დანარჩენი ღრმად ჩაფლულია,

და მხრებშეკრულებს მიწაში ყრუდ,
ჯავრით უფეთქეთ ვიწრო საყულო,
ელიან დროს და სიმღერა სურთ,
ელიან, ხალხი რომ ასახელონ!

თუ სამაისოდ მოსთხოვენ მათ
დღონჯით მღვარი დოქები ღვინოს,
ცხრა ტოლუმბაში რომ დასხან სმად,
ვერ ამოცლიან სასმელ-სახინოს!

და ხალხსაც უყვარს მხოლოდ ცხრა ძმა,
ჩაღად არ უღირს მეათე ქვევრი, —
ცრუა და როსტომ-ბრძენივით ღრმა,
წევს მხარეთქოზე ცრუ ენაშქვერი.

ამ ზანტ-ბარბაცას ხელი ვინ ჰკრა,
ვინ გაუბზარა უგულო მკერდი?!
აქ საესე გულით ამაყობს ცხრა,
სიცარიელით—მხოლოდ ეგ ერთი.

სწორედ ეს ცხრა ქვევრი, საიდანაც მოედინება ხალხის
სასახელოდ სიმღერა და სიხალისე, წარმოადგენს კარლო კა-
ლაძისათვის პოეზიის წყაროს და არა მეათე, ცარიელი, ენა-
ქარტალა, „ჯამუშის ყურივით“ ჩრდილქვეშ დასვენებული.

პოეზიასა და ცხოვრებაში ხალისისა და იმედის ძიების
თითქოს იუმორით ნაზავი ფილოსოფიურ-ალეგორიული და-
საბუთებდა აგრეთვე ერთი საუკეთესო ლექსი პოეტისა „გუ-
და-სტვირი და ღვინის გუდა“:

მათი ამბავი ყოველთვის განგებ
გიორგობისთვის ღამეში ხდება,
მოვალ, კუნძებით ცეცხლს გაუჩაღებ
და გულიც განგებ გამიჩაღდება.

ვით ორი ჰინკა, ბნელ კუნძულიდან
მომძებნის ორი პატარა გუდა.
ერთი ძლივს ითქვამს სულს ჩურჩულითა,
მეორე ღვინით საესეა მუდამ.

მათი არაკი არ მიღირს არად,
მაგრამ რით ავხსნა, ვერ მიმიგნია, —
ჩემს მუხლზე ჯდომა რამ შეაყვარათ,
რამ შეაყვარათ ჩემი იღლია?!

ჯამს როცა ღვინით ამივსებს ერთი
და მეტყვის: ღმერთმა ნუ დაგვაბეროს!
მეორეს ლხინით ევსება მკერდი,
რომ სტვირს უკედავი სული შთაბეროს.

სტვირის ქარახსა პირმოვერცხლილი,
როცა ღიღინით მარჯვენას მიქებს, —
ის ტიკიც ღიღზე დაკრული ღიღით
დახედავს ჯამს და... ტკბილად ტიკტიკებს!

და ორი გუდა—ორი ტიკტორა
ქორით, სიმღერით, სიმწუხარეთი,
ბუხრის გუგუნმაც ვერ მოიშორა,
ისე საამოდ სურთ ერთმანეთი!

მაგრამ, როდესაც ინათებს დილა,
ნდომით ერთმანეთს როცა დასცილიან,—
ვხედავ, ბუხარიც ამოდ ცდილა,
დრო სულ ნაპერწყლებს გაუტაცნია!

ვხედავ, რომ გუდა ძალ-ღონეს იღევს,
და სტვირისაც აღარ ვესახელები, —
ბუხრის წინ სძინავს კინწმორტეხილებს,
მძიმედ ჰკიდიათ მოკლე ხელები.

ორთავეს უნდა გაეუქრო რული,
დილა თუ გინდა გათენდეს ლხინით,—
შთაბერე პირველს ხელახლა სული,
მეორე ისევ აავსე ღვინით!

თუ აქ ცოცხლობდი — აქ იხალისე,
მათი მოყვარე კაცი იყავი...
და მათი სიტყბოც იგემე ისე,
არ გამოიცნო მათი იგავი.

ამის შემდეგ ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს კარლო კა-
ლაძის პოეზიის განმსაზღვრელი განწყობილებებიც, მისი მაყ-

ორული ედერაც, ხალისითა და იმედით სისავსეც, ახალ-
ცხოვრებით ტკბობაც, სამშობლოსა და ხალხის სიყვარულის
გულიდან აღმომხდარი სიმღერაც. ესაა მისი პოეზიის განმსა-
ზღვრელი, ამ განწყობილებითა და გრძნობითაა შექმნილი მი-
სი საუკეთესო ლექსები. ამითაა პოეტის სულიერი ქვევრი
სავსე, საიდანაც გამომოდინდება მისი პოეზიაც, რომლის აზრი-
სა და სულისკვეთების გამოჩატულებაცაა, თუ ამას ერთ ლექსს
დავაკისრებთ, „მგზავრული“:

შენ თუ ლურჯი მთები გვიბღავეს,
სწვდები თვალით ცისა ფერს,
თუ მკლავგაშლით ეგებები
ნაკადების სისწრაფეს,

და არ გაკრთობს მთაში დილით
ნისლის ნელი რონინი. —
უფსკრულებზე ქამანდივით
გზა გაქვს გადასროლილი!

შენც აპყვები ამ სიმღერას,
მხნედ ახედავ მწვერვალებს,
მთელი ქვეყნის სიხარულით
შენი გულიც მღელვარებს!

სულ ერთია, კლდეა თვალწინ,
თუ ზურმუხტი მდგლოსი,
სულ ერთია, ოღონდ იყოს
კალთა საქართველოსი.

სიყვარულით მთიდან მთაზე
მაინც გადაიხედავ.
გიყვარს ახლის გაზაფხული —
და სიძველე ციხეთა.

მოგზაური მაცოცხლებელ
წყაროს მუდამ მოელი
და პეშვებით იკლავს წყურვილს,
როგორც უდაბნოელი.

ელი სოფლის გამოჩენას
მუდამ გულის კანკალით,

ლურჯა ცხენით მიიჩქარი,
თუ ლურჯთვალა მანქანით!

გაიხედავ, წინ აღმართით
უცებ ამოფრენილი,
და ხელაწვდით მალღობიდან
გეგებება ლენინი!..

!

გაიხედავ... შენკენ მოსჩქევს
ზვირთი ხევისწყალისა,
მთა-გორიდან მთა-გორებზე
თეალმა გაიხალისა!

მთა-გორიდან მთა-გორებზე
საოცნებო ხილია:
აქ წარსულის და მომავლის
ღლეებს შუა ჰკილია!

ახალსოფელს, ახალდაბას
რომ სიმტკიცე ახაროს,
ათასი წლის იქით სწვდება
ცხრამუხას და ცხრაწყაროს!

მიწაში კი ფეთქავს ფესვი,
ბაღებს გვერდს ვერ აუვლი,
ხარობს ძველი ვარჯანისი,
ძველი არსენაული...

და კვლავ მიჰქრი მოგზაური,
სული მზით აგვსებია,
წინ ლენინის აწვდილ ხელით
დალოცვილი გზებია!

და გრძნობ, რომ ეს გაზაფხულიც
შექმნილია იმ ხელით, —
შორიდან რომ გვეგებება,
როცა მივქრით სიმღერით...

ცხოვრების შუაგზაზე პოეტი ჩააფიქრა წუთისოფლის
სიმოკლემ და მის პოეზიაშიც თავი იჩინა განვლილი მანძილის
ანალიტიკურმა ჰვრეტამ. ამისი ნიმუშია ლექსი „ეს რა დი-

დებულ დღეს დავესწარი“. „ვარ მოყვარული ამ წუთისოფ-
ლის და რაც აქ ვნახე, იმით მდიდარიო,“ — ამბობს პოეტი
და ამაში, ვინც კარლო კალაძესა და მის პოეზიას იცნობს, არ
შეიძლება არ დაეთანხმოს.

მთო ჰადარავ, მთო ხნიერო,
ზღვის წინ დამიგე ეგ ნაბდის კალთა,
მინდა მზის ჩასვლა ვათვლიერო,
არაფერს წაეშლი ღრუბლების გარდა.

ვერც კი მოეასწარ ხმის შემალღება,
ღღემ სოფელს ისე გადაუარა,
ნუთუ შენ მაინც არ გენაღვლება —
ხვალ აქ ამოვალ ისევ, თუ არა?!

ასეთი თითქოს სევდით ნათერი სტრიქონებიცაა ამ ლექ-
სში, მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი დაეჭვების შედეგი უნდა
იყოს, რადგან სიცოცხლითა და სიხალისით სავსე კარლო კა-
ლაძისათვის ჯერ აღრეა მზის ჩასვლის თვალღერება, ხოლო
ქართველ მკითხველს კი ძალიანაც ენაღვლება, პოეტი „ხვალ
აქ ამოვა ისევ, თუ არა“.

1967 წ.

სეპილუბი

ზენიზვენები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე

საბჭოთა ლიტერატურის განვითარების თანამედროვე ეტაპი პეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი გამოდგა: მთელი რიგი სიახლეები, იქნება ეს პრობლემური თუ თემატურ-ნასიათისა, ან გამომსახველობით ხერხებსა თუ სტილურ მრავალფეროვნებაში გამოხატული, უთუოდ შესამჩნევია ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, ისევე როგორც, საერთოდ. მთელს მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში. ამასთან, ისიც აშკარაა, რომ ახალი ტენდენციები საბჭოთა მწერლობაში ყოველთვის მკაფიოდ გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული არ არის, თანამედროვე ქართული ლიტერატურა შემოქმედებითი ძიების გზაზეა. ცხადია, ლიტერატურული ცხოვრება უფრო შინაარსიანი, საინტერესო, დაძაბული გახდა, ვიდრე განვითარების წინა პერიოდში. თავის მხრივ კი, ეს გამოწვეულია დიდი სიახლეებით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქართულ ლიტერატურას მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განვილ პერიოდებთან შედარებით, ყველაზე ხელსაყრელი პირობები აქვს იმისათვის, რომ უფრო უკეთ. სრულად, მხატვრულად საინტერესოდ გამოხატოს და გაგვიხსნას საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყარო, უფრო ფართოდ და რეალისტურად წარმოგვისახოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სურათები. ოციანი და ოცდაათიანი წლების ლიტერატურისაგან განსხვავებით. თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურას მდიდარი და საინტერესო ტრადიციები აქვს, რაც განვითარების ერთი აუცილებელი და საიმედო პირობათაგანია. ქართულ ლიტერატურას ოციან წლებში მოუხდა რთული, უოცმანითა და შეცდომებით სავსე გზის გავლა, ვიდრე იგი

სოციალისტური რეალიზმის მეთოდის სრულ და ერთსულ-
ვან აღიარებამდე მივიდოდა. ოცდაათიანი წლები, საკუთრივ
საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის (თუ ოცნანი
წლების კრიტიკულ რეალიზმსა და მოდერნისტულ მწერლო-
ბას არ მივიღებთ მხედველობაში), გაცილებით უფრო ნაყო-
ფიერი აღმოჩნდა. ხოლო საბჭოთა ადამიანის სულიერი ფორ-
მირების პროცესის, ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების მხა-
ტრული განხნის და გააზრების თვალსაზრისით, ეს იყო კემ-
მარტი აღზევება ქართული საბჭოთა მწერლობისა. მომდევნო
ეტაპზე თანდათან სულ უფრო მკვეთრი გამოხატულება მიიღო
პიროვნების კულტის უარყოფითმა ზემოქმედებამ როგორც
საერთოდ, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, ასევე ლიტე-
რატურის განვითარებაზეც. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ლი-
ტერატურას, ძირითადად, არ დაუქარგავს თავისი განვითარე-
ბის მთავარი ტენდენცია. ამ წლებშიც არა ერთი საინტერესო,
მართალი, მხატვრულად ძლიერი ნაწარმოები შეიქმნა ლიტე-
რატურის რომელ ქანრშიც ვნებავთ. ასე რომ, თანამედროვე
ლიტერატურას განვლილმა ორმოცმა წელმა შესანიშნავი გა-
კვეთილი მისცა იმისათვის, რომ ერთხელ ნაგემი შეცდომებ-
ადარ გაიმეოროს და, ამასთან, ტრადიციის სახით საკმაოდ
ძლიერი და მყარი საფუძველი მოუმზადა ახალი განვი-
თარებისათვის.

თანამედროვე მწერლობას სხვა მრავალმხრივ ხელსაყრე-
ლი პირობებიც შეექმნა. ყველა ამ პირობას თანაბარი ძალა
და მნიშვნელობა, რაღა თქმა უნდა, არა აქვს, მაგრამ თავისი
მეტ-ნაკლები წვლილი ამ პროგრესში უთუოდ შეაქვს. თანა-
მედროვე ქართული ლიტერატურის მიღწევები იმითაც არის
შეპირობებული, რომ გაიზარდა და გაფართოვდა ჩვენი თვალ-
თახედვა, უფრო საფუძველიანად იქნა დამუშავებული და შეს-
წავლილი კლასიკური მემკვიდრეობა, მნიშვნელოვნად გაი-
ზარდა კონტაქტები მსოფლიო მწერლობასთან, საბჭოთა კავ-
შირის მოძმე ხალხების ლიტერატურულ-კულტურულმა თა-
ნამშრომლობამ ფართო და ნაყოფიერი ხასიათი მიიღო,
რაც მთავარია, მოიხსნა ის უსაფუძველო, ცალკეულ პიროვნე-
ბათა ჭირვეულობით გამოწვეული შეზღუდვები, რის გამოც
მწერლის შემოქმედებითი თავისუფლება ბევრწილად შელ-

ხული იყო. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო შემოქმედებით ატმოსფეროს შექმნას, ახალი სტიმული, შრომის ხალისი მისცა ქართველ მწერლებს.

სწორედ ჩვენი საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოხდა ოცდაათიან წლებში უსაფუძვლოდ და უსამართლოდ რეპრესირებულ მწერალთა სრული რეაბილიტაცია. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ქართული მწერლობისათვის, რადგან ამ მწერალთა შემოქმედების იგნორირება აღარიბებდა ქართულ ლიტერატურას. მიხეილ ჭავჭავიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის შემოქმედების გარეშე ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე მსჯელობა მეტად ცალმხრივი ჩანდა. XX საუკუნის ქართული პროზის საფუძვლები ნიკო ლორთქიფანიძესთან, კოლა ლომთათიძესთან, შიო არაგვისპირელთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, ლეო ქიაჩელთან და სხვა გამოჩენილ ქართველ ბელეტრისტებთან ერთად მიხეილ ჭავჭავიძეილმაც შექმნა თავისი შესანიშნავი მოთხრობებითა და რომანებით. ოციანი წლების ქართული პროზა მიხეილ ჭავჭავიძის „ჩაყვს ხიზნების“, „თეთრი საყელოს“, „არსენა მარაბდელისა“ და სხვა ნაწარმოებების გარეშე უზრალოდ წარმოუდგენელია. ასევე წარმოუდგენელია ქართული საბჭოთა პოეზიის ჩასახვა და განვითარება ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის შემოქმედების გარეშე, რომელთაც განვლეს გზა სიმბოლიზმიდან სოციალისტურ რეალიზმამდე და თავისი შემოქმედებით აქტიურად შეუწყვეს ხელი ქართული ლიტერატურის დამკვიდრებას ახალ პოზიციებზე. დღეს მიხეილ ჭავჭავიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილისა და სხვათა შემოქმედება კვლავ ხალხის კუთვნილებად იქცა და ამით საგრძნობლად გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა ქართული საბჭოთა ლიტერატურა. თუ ერთ-ორ გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება ითქვას, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ფაქტის შემდეგ, შეიქმნა სრული და რეალური სურათი ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისა.

ერთგვარი ვულგარიზატორული. მემარცხენული დამოკიდებულება ქართული კლასიკური მემკვიდრეობისადმი, რაც

ასე დამახასიათებელი იყო ოციანი წლებისა და ოცდაათიანი წლების დასაწყისისათვის, როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასაც კი უარყოფდნენ გამარჯვებული პროლეტარიატის სახელით, უკვე ოცდაათიანი წლების მიწურულისათვის თანდათანობით იქნა უარყოფილი. მას შემდეგ კლასიკური მემკვიდრეობის შეფასება მტკიცედ დადგა ერთადერთ სწორ მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე. ქართული კლასიკური მწერლობის შესწავლა მას შემდეგ დიდი ინტენსივობით გრძელდება და ამ მხრივაც მნიშვნელოვანია უკანასკნელი ათი წელი. დღეს უფრო ნათელი გახდა თანამედროვე ქართული მწერლობის მიმართება და დამოკიდებულება კლასიკურ მემკვიდრეობასთან, რომლის ლოგიკურ და ორგანულ გაგრძელებას და განვითარებასაც წარმოადგენს თავად.

ქართული ლიტერატურა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არასოდეს ყოფილა იზოლირებული და ჩაკეტილი, მას ყოველთვის ფართო და ნაყოფიერი ურთიერთობა ჰქონდა მეზობელი თუ შორეული ხალხების ლიტერატურასთან. XX საუკუნეში ეს კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნების მწერალთა შორის კიდევ უფრო გაფართოვდა. საბჭოთა ლიტერატურაც არ იყო მთლიანად იზოლირებული, თუმცა 30-იანი წლების დამლევსა და 40-იან წლებში მნიშვნელოვნად შეფერხდა ლიტერატურული კონტაქტები. თანამედროვე ეტაპზე ქართული ლიტერატურის კონტაქტები მსოფლიო მწერლობასთან თანდათანობით სულ უფრო ფართო და ნაყოფიერი ხდება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მწერალთა მრავალრიცხოვანი ვიზიტები საქართველოში, ქართველი მწერლების ხანგრძლივი მოგზაურობა საზღვარგარეთ, მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმებსა და კონგრესებზე უთუოდ აფართოებს მათ ჰორიზონტს. რაც მთავარია, ქართულ, განსაკუთრებით კი, რუსულ ენაზე უხვად ითარგმნება თანამედროვე, მსოფლიოს გამორჩენილ მწერალთა ნაწარმოებები, ასევე ქართველ მწერალთა საუკეთესო წიგნები მსოფლიოს ბევრ ენაზე იქნა გადატანილი. საყურადღებოა ქართველი პოეტების მიერ საზღვარგარეთ მიღებული შთაბეჭდილებებით შექმნილი ლექსთა ციკლები, რომლებიც წარმოადგენენ ლირიზმისა და

პუბლიცისტური გზნების საინტერესო შერწყმას, გამოირჩევიან პოლიტიკური ვნებიანობითა და ჰუმანისტური სულისკვეთებით. მათ შორის უნდა აღინიშნოს სიმონ ჩიქოვანის ლექსების ციკლები: „პოლონეთის გზაზე“ და „გოეთეს ცაცხვებთან“, გრიგოლ აბაშიძის „თუნდ დაფიარო მთელი სამყარო“, ირ. აბაშიძის, ანა კალანდაძის, რევაზ მარგვიანის, იოსებ ნონეშვილის, ოთარ ჭილაძის, ჯანსუღ ჩარკვიანისა და სხვათა ლირიკული ლექსები.

კიდევ უფრო მკიდრო, უშუალო, გულწრფელი გახდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურების ურთიერთკავშირი და ურთიერთზემოქმედება. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში, 1958 წელს, ამ ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის ყველაზე მეტყველი გამოხატულება იყო. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ლიტერატურების ურთიერთობის თვალსაზრისით ქართული პოეზიის სადამოებს მოსკოვში. რუსული და უკრაინული პოეზიის დეკადებს საქართველოში, რომლებიც ძმური სიყვარულის და საქმიანი თანამშრომლობის გამოხატულებად იქცა.

ქართველი მწერლების ურთიერთობა მოძმე ხალხებთან მხოლოდ ასეთი საზეიმო და ფართო შეხვედრებით არ ამოიწურება. უფრო მეტიც, ეს დეკადები და სადამოები შედეგია იმ დიდი, ჩუმი, საქმიანი ურთიერთთანამშრომლობისა, რომელიც წინ უსწრებს მათ. მას შემდეგ, რაც ოცდაათიან წლებში რუსი პოეტების მთელი ბრიგადა ჩამოვიდა საქართველოში ქართული პოეზიის ახლო გასაცნობად და სათარგმნად, ასეთ კონტაქტებს ყოველთვის დიდი შედეგი მოჰქონდა. ამ კონტაქტების წყალობით, ქართული პოეზია და საერთოდ მწერლობა რუსი, უკრაინელი, სომეხი და სხვა მკითხველისათვის ხელმისაწვდომი და ახლობელი გახდა. თავი რომ დავანებოთ ქართული კლასიკური მწერლობის თარგმნას რუსულ ენაზე, თუნდაც ისეთ ბრწყინვალე თარგმანებზეც რომ არაფერი ვთქვათ, როგორცაა ნიკოლოზ ზაბოლოცკის მიერ თარგმნილი ვაჟა-ფშაველას პოემები ან ბორის პასტერნაკის თარგმანები ბარათაშვილის ლირიკისა, რუსმა პოეტებმა ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნაწარმოებები რუსული მწერლობის კუთვნილებად აქციეს თარგმანების მეშვეობით.

ეს შემოქმედებითი თანამშრომლობა და ურთიერთთარგმნა განსაკუთრებით საგრძნობი და ნაყოფიერია თანამედროვე ეტაპზე.

თანამედროვე ქართული პოეზია განთავისუფლდა სახოტბო მოტივებისაგან, დეკლარაციული ტონისაგან და კვლავ დადგა თავის ჭეშმარიტ, მყარ საფუძველზე. ქართველი პოეტები თავის ახალ ლექსებში დიდი უშუალობითა და გულწრფელობით გვიხატავენ თანამედროვე საბჭოთა ადამიანის სულიერ სილამაზეს, მის ღრმა პატრიოტიზმს, ადამიანურ განცდებს, სიყვარულსა და სიძულვილს, ოპტიმიზმსა და დაეჭვებებს. ქართული პოეზიის ლირიკული გმირისათვის აღარ არის უცხო ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე ღრმად ჩაფიქრება, სინამდვილესთან საკუთარი დამოკიდებულების ძიება, რთული ფილოსოფიური საკითხებით გატაცება, ჭეშმარიტი ადამიანური ვნებების გამომქლავნება. ასეთი მრავალმხრივობის შედეგად კიდევ უფრო დამაჭერებელი და მხატვრულად მართალი გახდა ლირიკული გმირის ღრმა რწმენა მომავლისადმი, მისი ერთგულება კომუნისმის იდეებისადმი. თუ აღრე ყოველივე ეს ჩანდა მხოლოდ ცალკეულ პოეტთა შემოქმედებაში, ახლა იგი წამყვან, ძირითად ტენდენციებად იქცა მთელ ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

ამ განახლებამ, გაჯანსაღებამ ახლებურად ააყდერა, ახალი გზნება მისცა ქართული პოეზიის უფროსი თაობის შემოქმედებას. თანამედროვე ეტაპზე დიდი შემოქმედებითი ნაყოფიერებით გამოირჩეოდნენ და გამოირჩევიან გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, უფროსი თაობის პოეტები: ირაკლი აბაშიძე, კარლო კალაძე, ალექსანდრე გომიაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ოთარ ჭელიძე, მურმან ლებანიძე, ხუტა ბერულავა და სხვები. მათთან ერთად ქართული პოეზიის განახლებაში დიდი წვლილი შეაქვეტ პოეტებს, რომლებიც ომისშემდგომ ხანაში მოვიდნენ — ანა კალანდაძეს, მუხრან მაჭავარიანს, არჩილ სულაკაურს, ოთარ ჭილაძეს, შოთა ნიშნიანიძეს, ჯანსუღ ჩარკვიანს, თამაზ ჭილაძეს და სხვებს.

თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ და საინტერესო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ქართული

მხატვრული პროზის აქტივიზაცია და გაძლიერება, ის ფაქტი, რომ პროზა, შეიძლება ითქვას, ქართულ რეალისტურ ლიტერატურაში პირველად იქცა წამყვან, მთავარ ჟანრად. თვით გამოჩენილი ქართველი პოეტებიც კი მიუბრუნდნენ პროზას და არა ერთი საყურადღებო ნაწარმოები შექმნეს. დამახასიათებელია ამ მხრივ გიორგი ლეონიძის ღრმა ლირიზმით საესე კოლორიტული მოთხრობების კრებული „ნატვრის ხე“. გრიგოლ აბაშიძემ უკანასკნელ ხანს გამოაქვეყნა ორი დიდტანიანი ისტორიული რომანი: „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“, რაც უთუოდ დიდი მნიშვნელობის მოვლენაა ქართულ პროზაში. ბევრმა ახალგაზრდა პოეტმა მიჰყო ხელი მოთხრობებისა და რომანების წერას. მათ შორის აღსანიშნავია ნოდარ დუმბაძე, რომელიც უკვე სამი რომანის („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“) ავტორია, არჩილ სულაკაური და თამაზ ჭილაძე, რომელთაც რამდენიმე კრებული გამოაქვეყნეს ვრცელი და მცირე მოთხრობებისა, სულ ახლახან კი დაამთავრეს მუშაობა თავის პირველ რომანებზე და გამოაქვეყნეს „მნათობის“ ფურცლებზე.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ქართველმა პროზაიკოსებმა შექმნეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებები, რომანები და მოთხრობები, ნოველები და ნარკვევები, რომლებშიც აშკარად ჩანს ავტორთა მაღალი მოქალაქეობრივი სული, ცხოვრების დაკვირვებული მკვლევარის თვალი, თანამედროვე პრობლემატიკით დაინტერესება. ამასთან, აშკარად ჩანს ახალი ფორმის, ახალი გამომსახველობითი ხერხების ძიება. ყველაფერ ამაზე ნათლად მეტყველებს კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ნატვრისთვალი“ და დემნა შენგელაიას „განძი“, რევაზ ჭაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“ და „ხმა იღუმალი“, ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“ და გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე“, სერგო კლდიაშვილის „მყუდრო სავანე“ და კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, გურამ რჩეულიშვილის, რევაზ ინანიშვილის. ედიშერ ყიფიანის, მერაბ ელიოზიშვილის, რეზო ჭეიშვილის და სხვების მოთხრობები.

თანამედროვე ქართული ლიტერატურისათვის მხოლოდ ცხოვრებასთან აქტიური დამოკიდებულება როდია დამახასია-

თებელი, იგი მთელი რიგი ახალი ნიშანთვისებებითაც არის აღბეჭდილი. მართალია, იგი თავისი განვითარების ძირითად ხაზს ადგა ყოველთვის და ახლაც ამ მთავარი მიმართულების ერთგულია, მართალია, იგი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა იყო და არის ახლაც, მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ ამავე დროს თანამედროვე ლიტერატურის განმასხვავებელი ნიშნები. თანამედროვე მწერლობის თავისებურების, მისი განვითარების გზების, ამოცანების შესახებ დიდი და სერიოზული მსჯელობა იყო მწერალთა ყრილობებზე. საბჭოთა მწერლების II და III ყრილობები, ქართველი მწერლების IV და V ყრილობები იყო ის დიდი ფორუმები, სადაც განსაზღვრავდნენ საბჭოთა მწერლობის მიღწევებსაც და იმ სიახლეთა აეკარგიანობასაც, რომლებიც შეიმჩნეოდა და შეიმჩნევა თანამედროვე ლიტერატურაში. ამ ყრილობებზე ერთხელ კიდევ იქნა განმტკიცებული ის აზრი, რომ საბჭოთა ლიტერატურის ერთადერთი შემოქმედებითი მეთოდი — ესაა სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, რომ საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხოა ყოველგვარი დეკადენტური განწყობილებები, რომ კომუნიზმის მშენებელი ხალხის ლიტერატურა უნდა იყოს გამსჭვალული მაღალი იდეებითა და დიდი ჰუმანისტური სულისკვეთებით. ამასთან, ამ ყრილობებზე ისიც იქნა ხაზგასმით აღნიშნული, რომ საბჭოთა ლიტერატურა არ არის ერთფეროვანი და ერთსახოვანი რამ, რომ სოციალისტური რეალიზმის მეთოდი სულაც არ ნიშნავს მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობის შეზღუდვას, მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ნიველირებას, ახალი გამომსახველობითი ხერხების ძიების უარყოფას. ყველაფერი ეს ყრილობების რეზოლუციებში განცხადებული ზოგადი ფრაზები კი არ არის, არამედ საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ცოცხალი პროცესით ნაკარნახევი დასკვნებია.

საბჭოთა ლიტერატურას ომისშემდგომ წლებში თავისი განვითარების გზაზე სერიოზული სიძნელეებისა და დაბრკოლებების დაძლევა მოუხდა. მთელი რიგი თეორიული მოსაზრებანი საბჭოთა დრამატურგიის (ზოგადად კი საბჭოთა ლიტერატურის) უკონფლიქტობის შესახებ, ტიპიურის, როგორც; გარკვეული სოციალური ძალის არსის გამოხატვის შესახებ

და კიდევ ბევრი სხვა მცდარი გადაწყვეტა ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი საკითხებისა, თავის უარყოფით დაღს ასვამდა ომისშემდგომი პერიოდის საბჭოთა ლიტერატურას. სინამდვილის ერთგვარი უგულვებელყოფის ტენდენციამ, ცხოვრების შეფერადებულმა ასახვამ ლიტერატურა ნაწილობრივ ააცდინა თავის ძირითად მიზანსა და დანიშნულებას — მოეცა ცხოვრების მხატვრული სურათები მისთვის დამახასიათებელი პათოსითა თუ წინააღმდეგობებით და სიძნელეებით. ჩვენს ცხოვრებაში დამკვიდრებულმა ერთგვარმა საზენიმო განწყობილებამ ლიტერატურაშიც იჩინა თავი და ხშირ შემთხვევაში იგი უფრო სასურველს გამოხატავდა, ვიდრე რეალურს. ამის შედეგად ლიტერატურას სქემატურობიც იერო მოეცა და მთელი რიგი ლიტერატურული სახეები ხელოვნურობის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ამის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითი რუსულ ლიტერატურაში გახლდათ ს. ბაბაევსკის რომანი „ოქროს ვარსკვლავის კავალერი“, რომელსაც საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებად მიიჩნევდნენ იმ დროს, სინამდვილეში კი ეს იყო რეალიზმის უგულვებელყოფის, ცხოვრების შელამაზების ერთი მკაფიო ნიმუში. თანამედროვე ბურჟუაზიული და რევოლუციონისტული ლიტერატურისმცოდნეობა საბჭოთა ლიტერატურის წინააღმდეგ შეტევას სწორედ ამ მისი სუსტი ადგილებიდან იწყებს და მსგავსი შემლამაზებლური ნაწარმოებების წყალობით ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს იგი ცხოვრებას მოწყვეტილი ლიტერატურაა, რომლისთვისაც უფრო დამახასიათებელია განყენებული იდეების პროპაგანდა, ვიდრე სინამდვილის მხატვრული წარმოსახვა.

რად ღირდა თუნდაც საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირის აღრინდელი ინტერპრეტაცია. იმ წლებში მოიკიდა ფეხი მცდარმა თეორიულმა მოსაზრებამ, რომლის მიხედვითაც ლიტერატურას უპირატესად იდეალური გმირების სახეები უნდა შეექმნა. ამით საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირი დაპყავდათ იდეალური გმირის კატეგორიამდე, თანაც ამ უკანასკნელის აშკარად არასწორი გაგებით. დადებითსა და იდეალურ გმირებში იგულისხმებოდა ის მხატვრული სახეები, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს გვიხატავდნენ ყოველ-

კვარი ნაკლისა თუ შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე. ასეთა გმირები უფრო მაღალფარდოვანი ფრაზეების რუპორები იყვნენ, ვიდრე ომისშემდგომი პერიოდის უდიდესი და უძნელესი აღმშენებლობითი პროცესის მონაწილე საბჭოთა ადამიანების განზოგადოებული მხატვრული სახეები.

ამ ტენდენციამ ქართულ ლიტერატურაშიც იჩინა თავი და ხელი შეუწყო უფერული, მოსაწყენი, ნაკლებად დამაჯერებელი ნაწარმოებების შექმნას.

საბჭოთა მწერლების II საკავშირო ყრილობამ, რომელიც იწყებს საბჭოთა ლიტერატურაში თანამედროვე ეტაპს, უარყო ასეთი გაგება დადებითი გმირისა და ლიტერატურას მოუწოდა უფრო ახლო მისულიყო ხალხის ცხოვრებასთან, მხატვრული ნაწარმოებების გმირებად ექცია თანამედროვე ადამიანი მთელი თავისი რეალური განცდებითა და ცხოვრებით, მთელი თავისი რთული და საინტერესო შინაგანი სამყაროთი თუ საზოგადოებრივი საქმიანობით.

თანამედროვე მწერლობის ერთ-ერთ ნიშანდობლივ და გამოსაჯანსაღებლად აუცილებელ მოვლენად უნდა მივიჩინოთ უფერულობის, ზერელეობის, მხატვრული უსუსურობის წინააღმდეგ ბრძოლა.

საბჭოთა ლიტერატურა თავისი მაღალი იდეებითა და ღრმა ჰუმანიზმით მხოლოდ იმ შემთხვევაში მისწვდება მკითხველთა გულებს და გაამართლებს თავის აღმზრდელობით ფუნქციას, როდესაც სათქმელს მხატვრულად საინტერესოდ იტყვის, როდესაც შეძლებს მკითხველებზე ემოციური ზემოქმედების მოხდენას. დღეს საბჭოთა მწერლობა ძლიერია და მონოლითური, მისთვის უცხოა იდეოლოგიური მერყეობა, იგი კომუნიზმისათვის ბრძოლის ავანგარდშია, ამიტომ აღარ შეიძლება შედავითი გაეწიოს მწერალს მხოლოდ იმის გამო, რომ იგი აქტუალურ თემაზე წერს ნაწარმოებებს. დღეს მხატვრულობის კრიტერიუმში ისევე აუცილებელი და ნაკლები პირობაა ნაწარმოების შეფასების დროს, როგორც მისი იდეურ-მსოფლმხედველობრივი სიწმინდე.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დაძლეული ეს ტენდენცია მხატვრული უფერულობისა, უსუსურობისა, პრიმიტიულობისა; ემოციური სი-

ღარიბისა. ეს უკანასკნელი მაინც საკმაოდ ენერგიულად და გულმოდგინედ ეტმასნება მწერლობის განვითარების ძირითად გზას (ი. ლისაშვილის „ერთგულება“, თ. გოგოლაძის რომანები), მაგრამ მან უკვე დაკარგა თავისი პრივილეგიებული მდგომარეობა.

ქართულ პოეზიას, რომელსაც მდიდარი ტრადიციები აქვს, არ დაუკარგავს თავისი მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობა, პოლიტიკური სიმძაფრე, იგი კვლავ ღრმად პატრიოტულია და ამბულბებული, მაგრამ მან ჩამოიშორა შიშველი დეკლარაციულობა, რაც ზოგჯერ ასე დამახასიათებელი იყო მისთვის და ამით იპოვა გასაღები ადამიანთა გულებისაკენ. საერთოდ, უკანასკნელი წლების ქართული საბჭოთა ლიტერატურა უფრო მეტად არის აღბეჭდილი: გულწრფელობით, ვიდრე წინა პერიოდის ლიტერატურა, ეს კი ერთი არსებითი და აუცილებელი პირობათაგანია მისი პოპულარობისათვის.

თანამედროვე ლიტერატურაში ჰუმანიზმი მთელი თავისი უფლებებით აღსდგა, და ეს უთუოდ განსაზღვრავს მწერლობის სიძლიერესაც. ჰუმანიზმი ახლა ნამდვილად ერთეულ და მილიონობით ადამიანთა სიყვარულს ნიშნავს. საბჭოთა ლიტერატურაში კვლავ გამოჩნდნენ რიგითი მუშაკები, ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანები, რომლებიც არაონ ქეშმარიტი შემქმნელნი ყველა ჩვენი გამარჯვებისა. თანამედროვე ლიტერატურა უპირატესად ამ უბრალო ადამიანების ხასიათისა და შეგნების მხატვრულ გახსნას ისახავს მიზნად და მისი ეს სულისკვეთება, მიზანდასახულება მკითხველისათვის უფრო საინტერესოა, ვიდრე რაღაც ხელოვნურად გამონაგონი ბიოგრაფიები განსაკუთრებულობის იერით აღბეჭდილი გმირებისა.

თანამედროვე მწერლობის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ იგი ცდილობს ადამიანის სულის სილამაზე გვიჩვენოს უპირატესად მისი შინაგანი ანალიზით და არა მხოლოდ გარე სამყაროსთან ურთიერთდამოკიდებულებით. საბჭოთა ლიტერატურისათვის მისი განვითარების მანძილზე დამახასიათებელი იყო ჩვენი ცხოვრების დიადი მოვლენების მთელი გრანდიოზულობით წარმოსახვა და გმირების ხასიათების გახსნა ამ მოვლენებთან უშუალო დამოკიდე-

ბულებამი. საბჭოთა ლიტერატურას ასეთი სახის მაღალმხატვრული ნაწარმოებები გააჩნია, რომელთაც სამართლიანად დაიმსახურეს საყოველთაო აღიარება (ე. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ლ. ქიჩელის „გვალი ბიგვა“, ა. ქუთათელის „პირისპირ“ და სხვა). ამ ნაწარმოებებში გმირების ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეები დიდ ცხოვრებისეულ ძვრებთან დაკავშირებით მქლავდებოდა, იქნებოდა ეს კოლექტივიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, კულტურული რევოლუცია, თუ სხვა ეპოქალური მოვლენები. ეს ჯანსაღი ტენდენცია თანდათან ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში პირდაპირ მახინჯ ფორმებში გადაიზარდა. მთელ რიგ შემთხვევებში ცხოვრებისეულმა მოვლენებმა (ხშირად გაზვიადებულმა) თავისთავადი მნიშვნელობა მიიღო, ლიტერატურა იქცა მათი ილუსტრაციის საშუალებად და მან ერთგვარად დაკარგა ადამიანის შინაგანი სამყაროს მხატვრული გახსნის ძირითადი ფუნქცია (ა. მაშაშვილის პოემა „რუსთავი“, ს. თავაძის რომანი „ქართული ფოლადი“ და სხვა). ამ ტენდენციის საწინააღმდეგოდ მიმართულ ლოგიკურ რეაქციად უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე მწერლობის ასეთი უპირატესი ყურადღება ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი, მწერალთა სწრაფვა ლიტერატურაში პრამატი მიანიჭონ არა ემპირიულ წარმოსახვას, არამედ ფსიქოლოგიურ ანალიზს (დ. შენგელაიას „განძი“, რ. ჯაფარიძის „ხმა იდუმალი“, ა. სულაკაურის „ტალღები ნაპირისაკენ მისწრაფვიან“ და სხვა). ზოგ შემთხვევაში, ამ ტენდენციას მეორე უკიდურესობამდე მიყვავართ და ცალკეულ ნაწარმოებებში ფსიქოლოგიზმიც თვითმიზნობამდე მიდის, რის შედეგადაც იჩქმალება ტიპიური გარემო, გმირი ცხოვრებისაგან ერთგვარად იზოლირებულად არის წარმოდგენილი და ამდენად თვითონ სახეც კარგავს რეალისტურ ძალას. მაგრამ ამ ცალკეულ უკიდურესობათა გამო როდი უნდა უარყოთ მწერლობის სწრაფვა გმირების მოქმედებისა და განცდების ღრმა ფსიქოლოგიური მოტივირებისაკენ.

თანამედროვე მწერლობას მიეცა სრული შემოქმედებითი თავისუფლება იმისათვის, რომ მან კიდევ უფრო ღრმად, საინტერესო კუთხით, მხატვრული ეფექტით გაგვიხსნას კომუნისმის მშენებელი ადამიანის შინაგანი სამყარო, წარმოგვი-

სახოს ჩვენი თანამედროვეობა თავისი ამაღლებელი ყოფი-
თ. საბჭოთა მწერლობამ სამართლიანად უარყო ვიწრო სო-
ციალური თუ უწყებრივი დაკვეთები, როდესაც მისგან მო-
ითხოვდნენ—აუცილებლად მიეძღვნა ფართო ეპიური ტილო-
ები ყველა პროფესიის ადამიანის ცხოვრებისათვის. ხშირად
ისმონდა საყვედურები მწერლობის მიმართ, რომ ჯერ კიდევ
არ იყო შექმნილი რომანები, მაგალითად, შრომითი რეზერვე-
ბის სკოლების მოსწავლეთა ცხოვრებაზე, ან მაინცდამაინც
არტილერიისტებზე თუ სხვებზე. ასეთი უწყებრივი დაკვეთები,
რომლებიც ამ 10—15 წლის წინ მეტად სერიოზულ ხასიათს
ატარებდნენ, და მწერლობაც იძულებული იყო ანგარიში გაე-
წია მათთვის, საბჭოთა ლიტერატურას პრიმიტიულობისაკენ,
უბრალო ილუსტრირებისაკენ უბიძგებდა. თანამედროვე მწე-
რობა განთავისუფლდა მსგავსი შეზღუდვებისაგან, ახლა მას
თავისუფალი არჩევანი აქვს იმისა, თუ როგორ, რა მასალაზე
დაყრდნობით ან რა კუთხით წარმოსახოს მხატვრულად ცხოვ-
რების მართალი სურათები.

ნიჰიერი შემოქმედებითი ახალგაზრდობის მოსვლა მწერ-
ლობაში, რაღა თქმა უნდა, მარტო საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის წესით არ არის განპირობებული, თუმცა ამ უკანასკნელს
მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იმ გარემოებამ,
რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ლიტერატურული
ცხოვრება ჰემმარიტად საინტერესო, შემოქმედებითი, აქტი-
ური გახდა, დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდობის მოზიდვას
მწერლობაში. ახლა ლიტერატურის განახლებისა და განვითა-
რებისათვის ქართული მწერლობის ვეტერანებთან თუ საშუ-
ალო თაობასთან ერთად აქტიურად იღვწიან ის ახალგაზრდა
მწერლები, რომლებიც 50-იან წლებში, ან სულ უკანასკნელ
ხანს გამოვიდნენ სარბიელზე.

ახალგაზრდა ქართველი მწერლები პირველ რიგში ეროვნ-
ული მწერლობის ტრადიციებზე არიან აღზრდილნი და და-
ვაუკაცებულნი. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ მათი შე-
მოქმედება საყურადღებოა არა მარტო თავისი ორგანული
კავშირით ეროვნულ ლიტერატურასთან, არამედ იმ სიახლი-
თაც, რაც მას ახასიათებს. ამ სიახლეების ძიებაში კი, მხატვ-
რული გამომსახველობის თვალსაზრისით, მათ საკმაოდ ბევრს

ეხმარება ფართო თვალთახედვა, მსოფლიოს თანამედროვე გამოჩენილი მწერლების დიდი, უაღრესად ნაყოფიერი გამოცდილება.

თანამედროვე ქართული მწერლობის პათოსი, აშკარად არის ეს გამობატული თუ შეფარვით, მიმართულია ყოველივე იმის უარყოფისაკენ, რაც პიროვნების კულტის დროს ხელოვნურად ინერგებოდა ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაში. მწერლები ისეთ ნაწარმოებებშიც კი, რომლებშიც არ სვამენ ამ საკითხს, თავისი ახალი თვალთახედვით, თავისუფალი მხატვრული აზროვნებით, მოქალაქეობრივი სითამამით, დიდი პრობლემებისადმი საკუთარი, ღრმად ინდივიდუალური დამოკიდებულებით, ფაქტიურად უპირისპირდებიან და უარყოფენ პიროვნების კულტით გამოწვეულ შედეგებს, როდესაც ყველაფერი ეს აკრძალული თუ ატა, ძლიერ შეზღუდული მაინც იყო. ყოველი თანამედროვე ნიჭიერი მწერლის ახალი ნაწარმოები ამ ქეშმარიტი მხატვრულ-შემოქმედებითი თავისუფლებით არის აღბეჭდილი. ამასთან ერთად, ქართულ მწერლობაში შეიქმნა მთელი რიგი ეპიური ტილოები, რომლებიც აშკარად და უშუალოდ ამ საკითხს მიეძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია სერგო კლდიაშვილის რომანის „ფერფლის“ მეორე წიგნი, თინა დონეაშვილის რომანი „ალაზანზე“, არჩილ სულაკაურის მოთხრობა „აბელის დაბრუნება“ და სხვა.

ამ თვალსაზრისით ქართულ ლიტერატურაში პირველი საინტერესო მოვლენა იყო თინა დონეაშვილის რომანი „ალაზანზე“, რომელიც 1955 წელს დაიბეჭდა ქურნალ „მნათობში“, ცალკე წიგნად კი 1956 წელს გამოვიდა.

თინა დონეაშვილის რომანი „ალაზანზე“ არ არის თანაბარი სიძლიერით დაწერილი ნაწარმოები. ხშირად ავტორისეული აზრი საკმაოდ შიშვლად, მხატვრულად არადამაჯერებლად არის გადმოცემული, მაგრამ იგი, უპირველეს ყოვლისა, ძლიერია სწორედ თავისი ცხოვრებისეული სიმართლით.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ცნობილი ქართველი პროზაიკოსი სერგო კლდიაშვილი მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაუბრუნდა თავის რომანს „ფერფლს“, რომლის პირველი წიგნი ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაიწერა. „ფერფლის“ მეორე წიგნი გამოქვეყნდა 1963 წელს და ამით უფრო დასრულე-

ბული სახე მიეცა რომანს. ახლა ეს რომანი რამდენიმე თაობის ცხოვრების მხატვრულ მათიანეს წარმოადგენს. თუ „ფერფლის“ პირველ ნაწილში პირველი იმპერიალისტური ომისა და სამოქალაქო ომის წლების ქართული სოფლის ცხოვრებაა წარმოსახული, მეორე ნაწილში მოქმედება სოციალისტური ყოფის დამკვიდრებისა და კოლექტივიზაციის ეპოქაში ვითარდება. როგორც ჩანს, მწერალმა მხოლოდ ახლა იმიტომ მოკიდა ხელი ამ რომანის გაგრძელებას, რომ ადრე გულწრფელად საუბარი ამ ეპოქაზე და მის მტკივნეულ პრობლემებზე უბრალოდ შეუძლებელი იყო.

რომანის ამ ნაწილში ყურადღების ცენტრშია მეორე თაობის წარმომადგენლების: ანანია არბელაძისა და გიგა ყანჩაველის ბედი. ორთავე გმირს მკითხველი რომანის პირველი წიგნიდან იცნობდა. ანანიამ ომის ყველა განსაცდელი გამოიარა და უკვე გამოტირებული ჰყავდა მშობლებს, როდესაც დაუბრუნდა თავის სახლ-კარს. გიგა მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლით მოვიდა ახალ ცხოვრებაში და მისი მშენებლობის ერთ-ერთი უპრეტენზიო მონაწილეა. ამ განსხვავებულმა ცხოვრების გზამ განაპირობა მათი ხასიათიც.

სერგო კლდიაშვილს საერთოდ არ ახასიათებს სიტყვა-მრავლობა. არც ეს რომანია ვრცელი, თუმცა მეტად რთულ და დრამატიზმით სავსე ეპოქას წარმოსახავს. მწერალი აშკარად ცდილობს მალე მივიდეს რომანის მოულოდნელობით სავსე ეფექტურ ფინალამდე, როდესაც უნდა გადაწყდეს რომანის გმირების მეორე თაობის ბედი. გიგა ყანჩაველს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩევენ. ეს სრულიად კანონზომიერი ამბავია, რადგან ჩვენ ვიცით გიგას რევოლუციური წარსულიც, მისი ხასიათის სიმტკიცეც და ის ავტორიტეტიც, რომელიც მას თანასოფლელებში აქვს. გიგას მოღვაწეობის ეს პერიოდი, თუმცა მეტად ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი გმირის ხასიათის განვითარების თვალსაზრისით, შედარებით მკრთალადაა გახსნილი. სამაგიეროდ, სავსებით ნათელია მკითხველისათვის ანანიას სახე, რომელიც გულდასმით აქვს მწერალს გამოკვეთილი, ანა-ნია პატიოსანი ქართველი გლეხის განსახიერებაა. იგი გამრჩე

და შეძლებული გლახია. ანანია თავისი ნებით შეუერთდება საკოლმეურნეო მოძრაობას. თუმცა მას გულს უკლავს ის გარემოება, რომ მისი სანაქებოდ მოვლილი ვენახი ნელ-ნელა პარტახდება მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობას გადაეცა. ეს საკითხი თავისთავად საინტერესოა, და მკითხველიც ელის მასზე პასუხის გაცემას. სერგო კლდიაშვილი მთელის გულწრფელობით მოეკიდა ამ პრობლემის გადაჭრას. თუ რატომ მიდის უკან კოლმეურნეობის საქმეები, ამაზე პასუხს რომანის ფინალში ვიპოვით, როდესაც ანანიას ასამართლებენ.

სასამართლოს სცენა და ბრალმდებლის საქციელი ბევრ რამეს ნათელს ხდის მკითხველისათვის. გიგაც იმიტომ მოუხსნიათ თავმჯდომარეობიდან და კოლმეურნეობის საქმეც იმიტომ ბრკოლდება, რომ არ არის ნდობა ადამიანისა. ჩვეულებრივ გამრჩე გლახში, ანანიაში, ბრალმდებელი ხედავს პოლიტიკურ დამნაშავეს, რომელიც ძირს უთხრის ახალ წესწყობილებას, ამიტომაც ასე მკაცრ განაჩენს გამოიტანს სასამართლო. გიგა, ეს თავდადებული კომუნისტი და პატიოსანი მოქალაქე, გულწრფელად ცდილობს დააჭეროს სასამართლო, რომ ანანიას საქციელს არაფერი აქვს საერთო პოლიტიკასთან. მაგრამ ისიც კი შემდეგ იძულებულია დაეთანხმოს ამ მძიმე ბრალდებას, რადგან მასაც ეჭვის თვალთ დაუწყებენ ცქერას. კიდევ უფრო შემადრწუნებელი რომანის ფინალში ის არის. რომ კაცო, ანანიას უფროსი დავაჟკაცებული შვილი არ ეკარება მამას. ამაოდ ეძებს თვალებით ანანია თავის შვილს სასამართლოს დარბაზში. იგი არ ამტყუნებს და არც ემდურის შვილს ამის გამო. მას შესანიშნავად ესმის, თუ როგორ დააშინეს ხალხი ამ სასამართლო პროცესით. ასეთია მეორე თაობის წარმომადგენლების—გიგასა და ანანიას ბედი ამ რომანში. როგორი იქნება არბელაძეებისა და ყანჩაველების მესამე თაობის ცხოვრება, ეს ინტერესი მკითხველს უთუოდ რჩება. ამაზე პასუხს, როგორც ჩანს, რომანის მესამე წიგნში ვიპოვით.

ახალგაზრდა მწერალმა არჩილ სულაკაურმა ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა ქართულ პროზაში ჩვენი ცხოვრების ყველაზე მძიმე, ტრაგიზმით სავსე მოვლენის მხატვრული გახსნა

და გააზრება: მართალია, იგი არ იყო, და არც შეეძლო ყოფილიყო, 30-იანი წლების მეორე ნახევრის ცხოვრების უშუალო და ჩაკვირვებული მოწმე, მაგრამ სწორედ ახლა გახდა ნათელი მთელი სისრულით უსამართლობა იმდროინდელი რეპრესიებისა, და ახალგაზრდა მწერალმაც ღრმად განიცადა ეს ტრაგიკული მოვლენა. ამ განცდითაა დაწერილი მისი მოთხრობები „აბელის დაბრუნება“ და „ძველი ამბავი“.

აბელის ხვედრი ბევრი პატიოსანი ადამიანის ხვედრს გვახსენებს. თვრამეტი წელი ატარა აბელმა სამშობლოს მოლაღატის სახელი, მაგრამ იგი მაინც შეესწრო სიმართლის ზეიმს და ახლა უბრუნდება თავის ოჯახს, უბრუნდება იმისათვის, რომ, გაუბედურებული და გაპარტახებული, კვლავ ფეხზე დააყენოს. აბელის ცხოვრების ისტორია თავისთავად მრავლისმეტყველია და შემადრწუნებელი. ამასთან, მწერალი ღრმად გვიხსნის აბელის სულიერი მღელვარებისა და განცდების მთელ სიმძაფრეს და ყოველივე ეს მოთხრობას დიდი ემოციური ზემოქმედების ძალას ანიჭებს. არჩილ სულაკაური ამ მოთხრობაშიც თავისი შემოქმედებითი თავისებურების ერთგული რჩება, მას იმდენად არ აინტერესებს ამბის თხრობა, რამდენადაც გმირის სულის სიღრმეში ჩახედვა. ამიტომ მწერალი არ გვიყვება, თუ რა გადახდა აბელს ტყვეობაში გატარებული თვრამეტი წლის მანძილზე და ყოველივე ამას გვაგრძნობინებს გმირის განცდების გახსნითა და გადმოცემით. დიდი მხატვრული მიგნებითაა დაწერილი აბელისა და მისი სულის კუნჭულში დაბუდებული რაღაც უსახოსა და უპიროს ხმამაღლა წარმოუთქმელი დიალოგი, რომლითაც მკითხველი შესანიშნავად გრძნობს, თუ რა დიდხანს და დაბეჯითებით ცდილობდნენ მართალი აბელის არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერად გატეხვასა და დაძაბუნებას. აბელს ფიქრის თავისუფლებაც კი წაართვეს, ყველა მისი ადამიანური ღირსება გათელეს. დიდხანს ამარ იყო აბელის ბრძოლა თავისი შეურცხვენელი სახელისათვის. მაგრამ საბოლოოდ სიმართლემ გაიმარჯვა და აბელი უბრუნდება ოჯახს, საზოგადოებას.

უსამართლო რეპრესიებით დაობლებული ბავშვის მძიმე განცდებზეა დაწერილი ჭაბუა ამირეჯიბის მოთხრობა „ბი-

ძაჩემი მეჭლანა“. ახალგაზრდა პროზაიკოსი მსუბუქი იუმორით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ იხსნის პატარა ბიჭს გასაჭირიდან უბრალო ხელოსანი. იუმორი მწერალს იმისთვის სჭირდება, რომ ერთგვარად გაანელოს ის მძიმე განცდები, რომელსაც ობოლი ბავშვის ბედი იწვევს მკითხველში. ეს მოთხრობა გვარწმუნებს, რომ ხალხს არაფერი შეეშლება, მან კარგად იცის სიყვარულიც და სიძულვილიც, მისი გული გამთბარია კაცთმოყვარეობის გრძნობით. ბავშვისა და „მეჭლანას“ გარეგნულად უცნაური და სასაცილო მეგობრობა, დიდი ადამიანური გრძნობებისა და კეთილშობილების მხატვრული გამოხატულებაა.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი ნაკლოვანი მხარის პრინციპული კრიტიკა არ ნიშნავს იმას, თითქოს საბჭოთა ადამიანების ცხოვრება სინამდვილეში არ ყოფილიყო იმ პეროიკითა და თავდადებით გამსჭვალული, როგორც ამას წარმოგვისახავდა მწერლობა თავის საუკეთესო ნაწარმოებებში. ამ ისტორიული მნიშვნელობის გარდატეხის შემდეგ, ზოგიერთმა მწერალმა თავისი შემოქმედების ძირითად მიზნად დაისახა სინამდვილის გულგრილი, „მიუდგომელი“ ასახვა, რაც შემდეგ თავისთავად გადაიზარდა ცხოვრებისეული მოვლენებისა და ფაქტებისადმი ობიექტივისტურ მიდგომაში. ეს მწერლები არსებითად ცხოვრების ყოფითი მხარეების ნატურალისტურ სურათებს ქმნიდნენ და ივიწყებდნენ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისათვის მხატვრული განზოგადოების, ტიპიური სახეებისა და ტიპური გარემოს მნიშვნელობას. თავის რომანებში თუ მოთხრობებში ისინი ერთნაირად გულგრილად ასახავდნენ როგორც ამადლებულს, ასევე ბიწიერს, მოწინავესა და ჩამორჩენილს, კეთილშობილურსა და ბოროტს. სინამდვილისადმი ასეთი ინდიფერენტული მიდგომის დროს შეუძლებელია მხატვრული სიმართლითა და დამაჯერებლობით წარმოსახო ჩვენი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი პათოსი, საბჭოთა ადამიანების გამორეული ყოფა და მოქმედება, მათი შემოქმედებითი სული. ლიტერატურაში სინამდვილის შელამაზების ტენდენციის წინააღმდეგ სწამართლიან ბრძოლაში ზოგიერთი მწერალი სხვა უკიდურესობამდე მიდიოდა და თავის ნაწარმოებში ხელოვნუ-

რად აღარიბებდა ცხოვრებას, ერიდებოდა საბჭოთა ადამიანების გმირული სულის გამოხატვას. ამ ტენდენციამ თავისი აშკარა გამოხატულება ჰპოვა აკაკი ბელიაშვილის რომანში „უღელტეხილი“.

ოთარ ჩხეიძე თავის რომანებში „ბურუსი“ და „მეჩეჩი“ კიდევ უფრო შორს წავიდა თანამედროვე ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეების კრიტიკის თვალსაზრისით. რეალისტური მწერლობა ცხოვრების მართლად წარმოსახვას გულისხმობს პირველ რიგში. მართალია, მას მხატვრული გაზვიადების სრული უფლება აქვს, მაგრამ ამან თანამედროვე ცხოვრების მძაფრად გაგებას უნდა შეუწყოს ხელი მხოლოდ. ზოგჯერ კი ასეთ ტენდენციურ ნაწარმოებში ცხოვრება იმდენად მუქ ფერებშია დახატული, რომ თანამედროვეობა ცალმხრივად წარმოსახული და მისი განვითარების პერსპექტივაც მიჩქმალულია. ასეთ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, მხატვრული ნაწარმოები მეტნაკლებად სცილდება სოციალისტური რეალიზმის ფარგლებს. თუ თანამედროვე ცხოვრებაზე გულგატეხილობის ტენდენციას მხოლოდ იმის გამო დავუჭერთ მხარს, რომ იგი ლიტერატურაში ძველ, უსაფუძვლოდ გაზვიადებულ, აღფრთოვანებულ ტენდენციას უპირისპირდება, მაშინ საბჭოთა მწერლობა მეორე უკიდურესობაში გადავარდება და კვლავ უღალატებს ცხოვრების მართლად ასახვის პრინციპს, დაჰკარგავს თანამედროვეობის სულს. ეს საშიშროება დაჰკარავდა ოთარ ჩხეიძის ზემოხსენებულ რომანებს, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ თავისი გაბედული კრიტიკული პოზიციით მწერალმა ფართო მკითხველის სიმპათია დაიმსახურა: ბოლო ხანს გამოქვეყნებულ რომანში „კვერნაქი“ ოთარ ჩხეიძე კვლავ იმავე კრიტიკული პოზიციიდან გვიხატავს თანამედროვე ცხოვრებას, მაგრამ ამჯერად მისი მამხილებელი პათოსი ადამიანის მეშხანური, ეგოისტური ბუნების წინააღმდეგ არის მიმართული და მწერლის გულწრფელი ბრძოლა თანამედროვეთა მორალური საფუძვლების სიწმინდისათვის არ შეიძლება ჩვენს უბრალო თანაგრძნობას კი არა. აქტიურ მხარდაჭერასაც არ ჰპოვებდეს.

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ, ამ ბოლო წლებში, როდესაც ბევრი საზოგადოებრივი თუ მხატვრული ფაქტის

კრიტიკული განსჯა და გადაფასება ხდებოდა, ძირითადად შეძლო შეენარჩუნებინა სწორი პოზიცია და არ გადაეარდნილიყო იმ მეორე უკიდურესობამდე, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე. ამიტომაცაა, რომ იგი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ცხოვრების მართალ მხატვრულ მათიანედ.

თანამედროვეობის გრძნობა, ცხოვრების მიმდინარე პროცესისადმი ცხოველი ინტერესი ქართულ მწერლობას დღეს ყველაზე მეტად აქვს გამჭადარი. თანამედროვე ცხოვრება გამოირჩევა თავისი სირთულითა და პრობლემათა სიუხვით. ქართული მწერლობა ცდილობს თავი დააღწიოს ადრე დამახასიათებელ ერთგვარ ცალმხრივობას და თანამედროვე ცხოვრება მრავალი კუთხით დაანახოს და აუხსნას მკითხველს. მიუხედავად ამ მრავალპრობლემიანობისა და ინტერესთა მრავალმხრივობისა, რომელთაგან თითქოს ძნელი უნდა იყოს მთავარის დასახელება, რადგან ადამიანის სულის მოძრაობის მხატვრული გამოხატვისათვის ყველაფერი თანაბრად საინტერესო და მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს (ეს უკვე თვით მწერალზეა დამოკიდებული), მაინც პირობითად შეიძლება შედარებით აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების გამოჩვენება. ეს ის ნაწარმოებებია, რომლებშიც თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება ფართოდ და თავისი განვითარების ძირითადი ტენდენციითაა წარმოსახული. მათ შორის აღსანიშნავია კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ნატვრისთვალი“, კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, ლადო მრელაშვილის „ყაბახი“, აკაკი ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაური“ და სხვა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე თავისი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებებით ორგანულად არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა ლიტერატურის, კერძოდ, პროზის განვითარების პროცესთან. მისი ინტერესი ძირითადად თანამედროვე ქართული სოფლის მწვავე პრობლემებისკენაა მიმართული. ამ დაუცხრომელი ინტერესის ნაყოფია ოცდაათიან წლებში დაწერილი „კოლხეთის ცისკარი“ და უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული რომანი „ნატვრისთვალი“. ეს ორი რომანი, სხვა, შედარებით მცირე ნაწარმოებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ვფიქრობ, სრულ საფუძველს გვაძლევს კონს-

ტანტინე ლორთქიფანიძე ქართველ მწერალთა შორის სოფ-
ლური ყოფის წარმოსახვის საუკეთესო ოსტატად ვაღიაროთ.
„კოლხეთის ცისკარი“, მთელ თავის მხატვრულ ღირსებებ-
თან ერთად, 30-იანი წლების ქართული სოფლის ცხოვრები-
სათვის დამახასიათებელი მწვავე კონფლიქტებით იქცევეს
მკითხველის ყურადღებას. მწერალი არ მოერიდა ამ კონფ-
ლიქტებს, რადგან მას ღრმად სჯეროდა სოფლად ახალი ცხო-
ვრების დამკვიდრების გარდუვალობაცა და მისი დიდი მნიშ-
ვნელობაც. სწორედ ამ რწმენით ავსებს მკითხველს ეს რომანი
და ამაშია მწერლის გამარჯვებაცა და „კოლხეთის ცისკრის“
ღირსებაც.

„ნატერისთვალი“ ერთგვარად აგრძელებს „კოლხეთის
ცისკარს“. ამ ახალ რომანში მოქმედება 30-იანი წლების მი-
წურულს იწყება, მაგრამ ძირითადად იგი ომისშემდგომი პე-
რიოდის სოფელში ვითარდება. თუ „კოლხეთის ცისკარში“
კოლექტიური მეურნეობის დაბადების ტკივილები იყო მწერ-
ლის ყურადღების ცენტრში, ახლა იგი უკვე სოციალისტური
სოფლის მკვიდრთა შრომის ჰეროიკითა და სიძნელეებით საე-
სე ცხოვრებას მოგვითხრობს და გვიხსნის. კონსტანტინე ლორ-
თქიფანიძე აქაც მისი რომანებისათვის დამახასიათებელი
მრავალპლანაიანობით წარმოგვისახავს ცხოვრების განვითარე-
ბის სურათებს, სხვადასხვა თაობების ბედიბალს გვიხსნის,
და ეს რამდენიმე სიუჟეტური ხაზი. ერთ მთლიან კომპოზი-
ციურ ყალიბში მოქცეული, თანამედროვე სოფლის ადამიან-
თა ყოფა-ცხოვრების ნათელ სურათს ქმნის. ზაქარია ნადიბაი-
ძე და მანუჩარ უგრეხელიძე, ანუკა და დუბოვი ქართველი
გლეხების იმ თაობის ხასიათს გვიხსნიან, რომლებმაც თავის
მხრებზე გადაიტანეს სოფლად სოციალისტური ყოფის დამ-
კვიდრება, და თავისი ბიოგრაფიის ყოველი დეტალით ამ ახალ
ცხოვრებასთან. არიან დაკავშირებულნი. ლევან და გიორგი
ნადიბაიძეები, გოგოლა უგრეხელიძე ახალგაზრდა თაობის
წარმომადგენლები არიან. რომელთაც უშუალო წვლილი არ
უდევთ სოფლად ახალი ცხოვრების შემოტანასა და დამკვიდ-
რებაში, მაგრამ ეს ახალი ყოფა მათთვის იმდენად მნიშვნე-
ლოვანია, რომ არავის მისცემენ მისი ხელყოფის უფლებას.
ამ ახალი ცხოვრების წრფელ სიყვარულსა და პატრიოტულ

შემართებას ეწირება ლევან ნადიბაიძისა და გოგოლა უგრეხელიძის დიდი, ადამიანური გრძნობა. ეს მსხვერპლი მძიმე განსაცდელია ნადიბაიძეებისა და უგრეხელიძეების ოჯახებისათვის, სოფლისათვის, განსაკუთრებით კი გოგოლასათვის, მაგრამ იგი სამშობლოს, ახალი ცხოვრების სამსხვერპლოზე იქნა მიტანილი და, ამიტომაც, სასაყვედურო ამაში არაფერია მათთვის. კონსტანტინე ლორთქიფანიძე მისთვის ჩვეული ოსტატობით გვიხატავს ამ სახეებს და რომანის გმირები თითქოს ცოცხლად წარმოუდგებიან მკითხველს. ისინი ჩვენს თვალწინ ცხოვრობენ, მოქმედებენ, შრომობენ, განიცდიან და მკითხველიც ნელ-ნელა, შეუშინევლად გადადის მათ სამყაროში, მათთან ერთად განიცდის სიხარულსაც და ტკივილსაც.

„ნატურისთვალი“ საინტერესო პროლოგით იწყება, რომელიც მწერლის მიზანდასახულებას გვიხსნის. შირაქის ველზე, 1918 წლის ერთ უმთვარო ღამეს, ცეცხლთან მიმსხდარი ბებრეები ზღაპარს ისმენენ ნატურისთვალზე, „... ზღაპარი კარგახანია დასრულდა, ღამის მეხრეები კი ისევ ჩაფიქრებულნი მისჩერებიან ცეცხლს, თითქოს იმ ცეცხლის აღში ზღაპრებიდან გადმოსულ ლანდებს ხედავენ.

ბოლოს ერთმა ამოიოხრა და თქვა: ნეტავ ის ნატურისთვალი მაპოვნინაო.

რას ინატრებდი? — ჰკითხა მეორემ.

რასა და... იმდენი ხარ-კამეჩი მოგვცა, რომ შირაქის ყამირები ყველა მოგვახნევიანა და დაგვათესინაო“.

ამ გლეხური ოცნების ახდენაზეა დაწერილი რომანი „ნატურისთვალი“. დადგა დრო, როდესაც ეს მიუწვდომელი ოცნება მისაწვდომი გახდა ქართველი გლეხისათვის. სწორედ ამ ახალ ცხოვრებას წარმოგვისახავს კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როდესაც ხარკამეჩებით კი არა, ტრაქტორებითა და კომბაინებით დაიფარა შირაქის ველი. მაგრამ ამ ოცნების ახდენას, ნატურისთვალის ნაცვლად, დიდი მსხვერპლი და ჭაფა დასჭირდა. ეს იყო მშრომელი გლეხობის დიდი, თავდადებული შრომისა და ბრძოლის შედეგი, რასაც თან სდევდა ათასი სიძნელე, ტკივილი, ეჭვები, მძიმე განცდები. მაგრამ, რაც მთავარია, ეს ბრძოლაც და შრომაც დიდი იმედებითა და რწმენით იყო შთაგონებული. ამან განაპირობა გამარჯვება, ოცნების

ახდენა. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ არც ახლაა ყველაფერი რიგზე, როდესაც მიმდინარეობს მოქმედება „ნატურის-თვალში“. მართალია, ყამირები აღარ არის, მაგრამ სოფლის ცხოვრებას თავისი სიძნელები და ტკივილები სდევს თან და მწერალიც, შრომის ჰეროიკის წარმოსახვასთან ერთად, არც ამაზე ხუჭავს თვალს. კონსტანტინე ლორთქიფანიძე არ არის ისეთი მწერალი, რომელსაც ლალი და იოლი ცხოვრება იტაცებდეს. მან კარგად იცის გამარჯვების სიხარულიცა და ფასიც; კარგად იცის, თუ ცხოვრების პროგრესს რა სიძნელები ახლავს თან, და ისიც თავისი ნაწარმოებებით ებრძვის ამ სიძნელებს. რომანის გმირებს ურთიერთობა და ბრძოლა უხდებათ წითელ დათასთან, ლეკიშვილთან, მათ მოდგმასა და გარემოსთან, ყოველივე იმასთან, რაც აბრკოლებს, ამუხრუჭებს ცხოვრების განვითარებას. მართალია, ამ რომანის მეორე ნაწილიც დაიბეჭდა უკვე, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს არ დაუშთავრებია „ნატურის-თვალზე“ მუშაობა. ამ რომანს კიდევ ექნება გაგრძელება, სადაც უფრო ფართოდ გაიშლება ბრძოლა ახალი ცხოვრების სიწმინდისათვის და, ბოლოს, „ნატურისთვალის“ სახით ჩვენ მივიღებთ ისეთივე მნიშვნელოვან ნაწარმოებს თანამედროვე სოფლის ცხოვრებაზე, როგორიცაა 30-იან წლებზე დაწერილი „კოლხეთის ცისკარი“.

ფართოპლანიანი ნაწარმოები უძღვნა ქართული სოფლის მკვიდრთა ცხოვრებას კონსტანტინე გამსახურდიამ. რომანი „ვაზის ყვავილობა“ თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. კონსტანტინე გამსახურდია მისთვის დამახასიათებელი ფართო თვალთახედვით უყურებს ცხოვრებას და თუმცა ერთი ქართული სოფლისა და მის მცხოვრებთა ბედ-იღბალზეა ეს რომანი დაწერილი, მწერალი არ იფარგლება ვიწროდ ერთი კონკრეტული ეპოქით, ან თუნდაც ამ ძირითადი მასალით. იგი თავისუფლად მიმართავს ისტორიულ ექსკურსებს და რომანში წარმოდგენილი გმირებისა ჯასიათებს ისტორიულ ასპექტში იხილავს. ან კიდევ მწერალს მოგონებების საშუალებით, ან სრულიად უშუალოდ გადააქვს მოქმედება სულ სხვა, შორეულ ადგილებში, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, საფრანგეთსა თუ გერმანიაში და

მრავალ რთულ საკითხს სვამს, არა ერთ პრობლემას ხსნის თავისებურად. ამ ფართოპლანიანობის, ათასგვარ პრობლემებზე მსჯელობის გამო რომანი, ერთი მხრივ, მეტ ინტერესს იწვევს მკითხველში, ხოლო მეორე მხრივ, ერთგვარი ამორფულობის შთაბეჭდილებასაც სტოვებს. არაფერს წააგებდა რომანი, რომ მთელი რიგი ვრცელი ეპიზოდები სულაც არ ყოფილიყო მასში, თუნდაც გოდერძი ელანიძის ფრონტული ცხოვრების და ტყვეობის სურათები რომ არ მოეცა მწერალს. ხასიათები უამისოდაც საკმაოდ ნათელია მკითხველისათვის, და ეს გადატვირთვა უამრავი სიუჟეტური ხაზებითა და ათასი ნაკლებ საჭირო ეპიზოდებით, არ არის ნაკარნახევი მოქმედების და ხასიათების განვითარების შინაგანი მხატვრული ლოგიკით.

მთავარი გმირები ამ რომანისა არიან ერთი მხრივ ვახტანგ კორინთელი, მედიკო ვაჩნაძე, სუსქია მინდელი, მეორე მხრივ კი — გოდერძი ელანიძე და ნუნუ უჯირაული. თუმცა, ამათ გარდა, „კნეინა“ ვარა და მთელი მისი სამყარო თუ გარემოცვა, აბრია უჯირაული, სტეფანე და მრავალი სხვა თავისი ფსიქიკითა და საერთოდ შინაგანი სამყაროთი უაღრესად საინტერესო გმირები არიან, რომლებიც ქართული სოფლის მთელი სოციალური ფენების განზოგადოებულ მხატვრულ სახეებს წარმოადგენენ, მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი ამ რომანში ზემოთდასახელებულ მთავარ გმირთა ხასიათის გახსნაა, რადგან იმათ უნდა ვაგვაგებინონ მწერლის ძირითადი სათქმელი. „ვაზის ყვავილობით“ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მკვიდრდება კახეთის სოფელ ბერმუხაში ახალი ყოფა, როგორი თავგანწირვით იღვწიან მოხუცები თუ ახალგაზრდები ჭამთა სიავისაგან გაპარტახებული ადგილების ასაღორძინებლად, როგორ ახარებს ვაზს „გველეთში“ გლეხკაცის გამრჯე მარჯვენა. გოდერძი ელანიძე და ნუნუ უჯირაული ამ ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლთა ავანგარდში არიან და თავიანთი ახალგაზრდული შემართებით, ენერგიით, მონდომებით სოფლის თავკაცობასაც კი სწევენ.

უფრო რთულია სამყარო გმირების მეორე ჯგუფისა — ვახტანგ კორინთელი, მედიკო ვაჩნაძე, სუსქია მინდელი. კონსტანტინე გამსახურდიას ყოველთვის აწუხებდა ინტელიგენ-

ციის ბედი რევოლუციის შემდეგდროინდელ ეპოქაში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მწერალს ევროპულად განსწავლული ინტელიგენტების ბედი აწუხებს, თუ როგორ შეეგებებიან ისინი რევოლუციასა და რევოლუციით გამოწვეულ ცვლილებებს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ან, პირიქით, როგორ მოექცევა, რა პირობებში ჩააყენებს თვით ახალი ცხოვრება ასეთი უაიდის ადამიანებს. მწერლის ეს ინტერესი თანამედროვეობაზე დაწერილ მის თითქმის ყველა რომანში სკვივის, სკვივის კი არა, შეიძლება ითქვას პირველ პლანზე დგას. მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება პარალელის გავლება თარაშემხვარსა და ვახტანგ კორინთელს შორის. ევროპაში ბევრმა ქართველმა მიიღო განათლება, მაგრამ ამთგან ბევრმაც დაკარგა თავისი ეროვნული სახე. ევროპის ფეშენებელურმა ქალაქებმა, ცივილიზაციამ, კულტურამ, განათლებამ არა ერთ ქართველს დაუბნია გონება, დაუკარგა მოვალეობის გრძნობა ერის, სამშობლოს წინაშე, რომელიც რევოლუციის ქარ-ცეცხლით იყო მოცული, ან უკვე ამ რევოლუციის შედეგად ახალი ცხოვრების გზაზე იდგა. ევროპეიზებულ ქართველობას მეტწილად თავისი სოციალური მდგომარეობაც უშლიდა ხელს დაახლოვებოდა ახალ ცხოვრებას და ამიტომ ბევრმა მათგანმა დაკარგა თავისი ადგილი სამშობლოში. მაგრამ მეტმა ნაწილმა მოახერხა ისევ და ისევ თავისი სამშობლოსადმი მოვალეობის ძლიერი გრძნობით გადაელახა ყოველგვარი, თუნდაც სოციალური ბარიერი და სოციალიზმის მშენებელთა რიგებში ჩამდგარიყო; ამასთან, თავისი განათლების წყალობით დიდი სამსახურიც გაეწია ახალი ცხოვრებისათვის. სწორედ ამ კატეგორიის ადამიანებს ეკუთვნის ვახტანგ კორინთელი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მიზანს მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს კეთილდღეობისთვის სამსახურში ხედავს. მას ევროპისკენ სწორედ საქართველოს სიყვარული იზიდავდა და არა თვით ევროპული წესი ცხოვრებისა. თუ მედიკო ვაჩნაძისათვის და კნეინა ვარასათვის ევროპაში ცხოვრება მხოლოდ მათი ვიწრო ეგოისტური, მეშჩანური ბუნების დაკმაყოფილებაა, ვახტანგ კორინთელისათვის იგი სამშობლოსათვის სამსახურის გაწევის აუცილებელი დროებითი პირობაა. ამიტომაც იზრდება კონფლიქტი ვახტანგ კორინთელსა და მის მეუღლეს

მედიკო ვაჩნაძეს შორის. ამ ნიადაგზე ეუფლება უკვე ხან-დაზმულ ვახტანგ კორინთელს დიდი და წრფელი გრძნობა სუსქია მინდელისადმი, რომელშიც მაღალი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი პრინციპების მქონე ქართველ ინტელიგენტ ქალს ხედავს. „ვაზის ყვავილობაში“ ბევრი დრამატული ეპიზოდის მოწმე ხდება მკითხველი; ილუპებიან ვახტანგ კორინთელიცა და სუსქია მინდელიც, მრავალ განსაცდელს ებრძვიან გოდერძი ელანიძეცა და ნუნუ უჯირაულიც, მაგრამ ვაზის ყვავილობა გველეთში, სოფელ ბერმუხას აღორძინება, სიდიადე იმ მიზნებისა, რომელთაც ეწირებიან ვახტანგიცა და სუსქიაც, რისთვისაც თავგანწირვით იბრძოდა გოდერძი, ნაწარმოებს დიდ ოპტიმისტურ ქღერადობას აძლევს.

თანამედროვე ცხოვრებაზე უკანასკნელ წლებში, ამ ნაწარმოებებს გარდა, ბევრი სხვა რომანიც დაიწერა, მაგრამ ყველა როდი იმსახურებს თანაბარ ყურადღებას. ყოველ მათგანს მეტ-ნაკლებად თან სდევს ერთი დიდი ნაკლი — მწვავე პრობლემებისადმი ერთგვარი ზერელე დამოკიდებულება. თანამედროვე მკითხველი მწერლისგან ცხოვრების მართალი სურათების წარმოსახვას მოითხოვს.

თანამედროვე ქართულ პროზას მეორე საშიშროებაც გაუჩნდა. არა ერთი მხატვრულად საინტერესო ნაწარმოები დაიწერა, რომლებზეც ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ მათ ცხოვრების სიმართლე აკლდეთ, ან მათში მიჩქმალული იყოს ჩვენი დღევანდელი ყოფის სიძნელები და ნაკლოვანებები, რომ ისინი ცალმხრივ, მაშასადამე, არასრულ წარმოდგენას გვაძლევდნენ თანამედროვეობაზე. მაგრამ სამაგიეროდ და სამწუხაროდ, ეს ნაწარმოებები მეტწილად ილუსტრაციული წასიათისაა და მათში მხატვრულ ანალიზს ნაკლებად შეხვდება მკითხველი. მწერალი, მართლაც, საინტერესოდ ხატავს ცხოვრების სურათებს, მაგრამ სულაც არ ცდილობს ახსნას ეს სურათები, იკვლიოს ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის მიზეზი. მწერალმა თავის ნაწარმოებში არა მარტო უნდა აჩვენოს ცხოვრება, არამედ უნდა ახსნას კიდევ იგი. ეს კი ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრ ნაწარმოებს აკლია. სანიმუშოდ დავასახელებ უკანასკნელი წლების ისეთ საყუ-

რადღებო ნაწარმოებს, როგორცაა ლადო მრელაშვილის „ყაბახი“.

ლადო მრელაშვილი ერთი იმ ახალგაზრდა ქართველ პროზაიკოსთაგანია, რომელიც შესანიშნავად იცნობს სოფლის ცხოვრებას და აქვს კიდეც უნარი მსუყე ფერებით, საინტერესოდ, კოლორიტულად წარმოგვისახოს იგი. „ყაბახი“ მწერლის ამ ნიჭის საუკეთესო გამოხატულებაა. მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ეს რომანი. მით უმეტეს, რომ მწერალს არა მარტო თვალი აქვს გამჭკრიახი, არამედ მეტყველებაც კარგი აქვს და რომანი ცოცხლად არის დაწერილი. მართალია, „ყაბახი“ კომპოზიციურად არ არის მტკიცედ შეკრული ნაწარმოები, მასში მრავლადაა თავისთავად საინტერესო ეპიზოდები, რომლებიც ზედმეტად ტვირთავენ რომანს, მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ მწერალმა შეძლო ცოცხლად და საინტერესოდ დაეხატა ჩვენი თანამედროვე სოფელი, მისი ადამიანები, მათი შრომა და ყოფა, ამასთან შეემჩნია და ჩვენთვისაც დაენახებინა ის სიძნელებები, რომელთაც სოფელი დღეს განიცდის. მათ შორის მწერალი ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემად სახავს იმას, რომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გაურბის კოლექტივში მუშაობას, ან სულ სტოვებს სოფელს და ქალაქს ეშურება, ან კიდევ იქვე სოფელში ეძებს სხვა სამუშაოს და კოლექტივს არ ეკარება. კი მაგრამ, რატომ ხდება ეს? რა არის ამის მიზეზი? ეს კითხვები ბუნებრივად ებადება მკითხველს. მწერალი ამ კითხვებს უპასუხოდ სტოვებს, ხოლო ზოგჯერ კი ისე ზერეულედ ხსნის მათ, რომ ამას ისევ უპასუხობა სჯობია.

მწერალს უნდა ეყოს არა მარტო განსჯის და გარკვევის უნარი, არამედ მოქალაქეობრივი სითამამეც. იგი ბოლომდე გულახდილი უნდა იყოს მკითხველთან და, თუკი რაიმე საკითხს წამოჭრის, უნდა ახსნას კიდეც იგი. რაღა თქმა უნდა. ეს ახსნა მხატვრული ხერხებით უნდა მოხდეს და არა ლოგიკური მსჯელობით. მკითხველი უნდა გრძნობდეს, თუ რაში ხედავს მწერალი ამა თუ იმ მანკიერი საზოგადოებრივი მოვლენის მიზეზს ან საფუძველს. სხვაგვარად, თუ მწერალმა რაიმე მოვლენის ძირების მიკვლევა დაიზარა, ან თავი აარიდა მას, ჩვენ მივიღებთ მხოლოდ ილუსტრაციული ხასიათის ნა-

წარმოებს, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში მხატვრულად საინტერესო თხრობამ შეიძლება შეისძინოს. მაგრამ მას მთავარი, საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ ექნება.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ქართულ ლიტერატურას აშკარად ეტყობა ეთიკური პრობლემატიკით გატაცება. ეს ტენდენცია თანაბრად არის დამახასიათებელი ყველა ეპოქისათვის, თუმცა უფრო თვალნათლივ მხატვრულ პროზაში ჩანს. ზოგადად ეს ღრმა ინტერესი ეთიკური პრობლემებისადმი ყველა მხატვრულ ნაწარმოებშია გამოკვეთილი, რადგან თანამედროვე ქართული მწერლობა უფრო მეტად ცდილობს გასცეს პასუხი კითხვას: როგორია საბჭოთა ადამიანი, რა რწმენისა და რა მიზნის? როგორია ის მორალურ-ეთიკური საფუძვლები, რომელთაც საბჭოთა ადამიანი ეყრდნობა? ამ ორი ათეული წლის წინ კი ახალი, ანუ საბჭოთა ადამიანის მხატვრული სახის შექმნისას, მწერალი მეტ ყურადღებას აქცევდა იმას, თუ რას საქმიანობდა ეს ახალი ადამიანი, როგორ ცხოვრობდა, რა კონკრეტული მიზანდასახულებისათვის იღვწოდა. ასე რომ, უკანასკნელი წლების მწერლობა უფრო მეტ ყურადღებას აქცევს თანამედროვე ადამიანის შეგნების, ბუნების, მორალურ-ეთიკური სახის გარკვევას. ამ ზოგად დამახასიათებელ ნიშანთვისებას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ის გარემოება, რომ მთელი რიგი საყურადღებო ნაწარმოებები უშუალოდ ეთიკური პრობლემატიკის მხატვრულ დამუშავებასა და გახსნას ეძღვნება.

საბჭოთა ადამიანის ეთიკურ-მორალური საფუძვლების მხატვრული რკვევა მეტ ფსიქოლოგიურ ანალიზს მოითხოვს მწერლისაგან. რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიზმი არ არის მხოლოდ თანამედროვე ლიტერატურის დამახასიათებელი თვისება, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ დღევანდელ საბჭოთა მწერლობას უფრო აქეთ აქვს გამახვილებული ინტერესი, ვიდრე ცხოვრების ემპირიული წარმოსახვისაკენ. ამასთან, რა სახისა და პრობლემატიკისაც არ უნდა იყოს ეპიური ნაწარმოები. თუ სოციალური ურთიერთობა, ცხოვრების რეალური სურათები არ ექნა ფონად, გმირის განცდის, ან საერთოდ ხასიათის ამხსნელ საშუალებად, მასში არ გამოიკვეთება სრულად და დამაჭერებლად არც ზოგადი და არც კონკრეტული საკითხები. ასეთ შემთხვევაში ფსიქოლოგიზმი თვითმიზ-

ხური ხასიათისა იქნება. მაშასადამე, ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ უფრო კონკრეტულ-გრძობად ასპექტში სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე, ცხოვრებისეული მოვლენების მხატვრულ გახსნაზე, მათდამი გმირის შინაგანი დამოკიდებულების საშუალებით, ან ადამიანის შეგნებისა და ფსიქიკის, მისი ეთიკური თუ ფსიქოლოგიური საფუძვლების; საერთოდ, მისი სულიერი სამყაროს რკვევაზე, სოციალურ მოვლენებზე და გარემოზე მტკიცე დაყრდნობით.

ამის ერთ-ერთი მკაფიო, მხატვრულად საინტერესო ნიმუში გახლავთ დემნა შენგელაიას მოთხრობა „განძი“. დემნა შენგელაია ქართული პროზის ცნობილი ოსტატია. მისმარომანებმა და მოთხრობებმა უკვე ოციან წლებში მოუპოვეს ავტორს პოპულარობა. დ. შენგელაიამ არა ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებით გაამდიდრა ქართული საბჭოთა პროზა. მართალია, დემნა შენგელაიას ადრინდელი ნაწარმოებებიც ღრმად არის აღბეჭდილი ადამიანის სულის სიღრმეების რკვევით, მაგრამ მოთხრობა „განძი“ ამ თვალსაზრისით უთუოდ გამოირჩევა მწერლის სხვა ნაწარმოებთაგან. თუ მისი რომანები „სანავარდო“, „ბათა-ქექია“, „წითელი ყაყაჩო“ და სხვა ვრცელი ეპიური ტილოები მეოცე საუკუნის ქართული ცხოვრების ეპოქალურ მოვლენებს წარმოგვისახავს და დიდი სოციალური გარდატეხებისა და გარდაქმნების მოწმედ გვხდის, „განძი“ უშუალოდ საბჭოთა ადამიანის ეთიკური საფუძვლების რკვევას ეძღვნება. ამიტომაც მწერლისათვის ფსიქოლოგიური ანალიზი ამ ნაწარმოებში ერთადერთი საშუალებაა გმირის დიდი დრამატული განცდების ასახსნელად.

შეიძლება თავდაპირველად ერთგვარი დაეკვება გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ მოთხრობას თითქოს ხელოვნური, ან უფრო სწორად, იშვიათი შემთხვევა უდევს საფუძვლად, კერძოდ, ის, რომ საულია, ერთი უბრალო ქართველი გამრჩე კოლმეურნე გლეხი უდიდეს სიმდიდრეს, ოქროს განძს იპოვნის ყანაში მუშაობის დროს, მაგრამ მთავარი ასეთი ხასიათის ნაწარმოებში განცდის სიმართლეა და არა ფაქტის. ამ თვალსაზრისით კი „განძი“ უთუოდ მართალი ნაწარმოებია. „განძი“ უთუოდ გაახსენებს მკითხველს სტეინბეკის ცნობილ მოთხრობას „მარგალიტს“, და ამ ორი ნაწარმოების შედარება

თვალნათლივსა ხდის ორი სამყაროს სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესს, ორი სამყაროს ადამიანთა სრულიად განსხვავებულ განცდებსა და ეთიკურ საფუძვლებს.

სტეინბეკის მოთხრობაში მარგალიტის ღარიბ-ღატაკი მძივებლისათვის, რომელსაც ავადმყოფი ბავშვის წამლისა და ექიმის ფულიც არა აქვს, ძვირფასი განძის პოვნა ტრაგიკული შეიქნება, რადგან იგი მონის მდგომარეობაშია ჩაყენებული და თავისი უჩვეულოდ დიდი და ძვირფასი მარგალიტი უნდა დაუთმოს ცხოვრების განმგებლებს, მარგალიტით მოვაჭრე ბნელ საქმოსნებს. გმირის პროტესტი აქ საბედისწერო აღმოჩნდება და მარგალიტთან ერთად იღუპება მისი ოჯახიც. სტეინბეკის მოთხრობა მკვეთრი პროტესტია სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. დემნა შენგელაიას მოთხრობის გმირი სულ სხვა სოციალურ გარემოში ცხოვრობს, სადაც ოქროს ფეტიში არ არსებობს, და მისთვის განძის პოვნა მხოლოდ საკუთარი ფსიქოლოგიური განცდის, ეთიკური საფუძვლების რღვევის გამო ხდება ტრაგიკული.

საულია და ფუნდუ, ჯანღონითა და ახალგაზრდული ენერგიით სავსე ორი ადამიანი, რომელთაც სულ ახლა დაიწყეს ოჯახის შენება, სიყვარულითა და იმედით არიან სავსენი. ისინი ნელა და თანდათანობით ქმნიან ახალ ოჯახს, რაშიც ყველა ხელს უწყობს მათ. მათი ცხოვრება ამ უბრალო და ნათელი პერსპექტივითაა სავსე, როდესაც მოულოდნელი უბედურება დაატყდებათ თავს, — საულია ოქროს განძს იპოვნის ყანაში და ცდუნება უზრუნველი, უშრომელი ცხოვრებისა მას კალაპოტიდან ამოაგდებს. საულია ღალატობს თავისთავს, იგი მშრომელი ადამიანია და არა ფუქსავატი მფლანგველი ცხოვრებისა. ეს გაორება მძიმეა მისთვის, იგი კარგავს კონტაქტს შიწასთან, მეზობლებთან, ახლობლებთან, საკუთარ ცოლთანაც კი, რომელიც გაგიჟებით უყვარს. ნაპოვნი ყალბი განძი მას დააკარგვინებს ქეშმარიტ განძს, რომელიც გააჩნდა პატიოსანი შრომითა და სიხარულით სავსე ცხოვრების სახით. სწორედ ეს არის მისი ტრაგიზმის საფუძველი.

დემნა შენგელაია ძირითადად თავისი გმირის საულის დრამატული განცდების მოწმედ გვხდის, რომელიც ჩვენთვის უფრო გასაგები ხდება იმ ნათელი გარემოს ფონზე, რო-

მელიც სოფლის მყუდრო და შრომის სუფევით სავსე ცხოვრების სახით მწერალს ჭეშმარიტი მხატვრის თვლით აქვს დანახული და დახატული. დემნა შენგელაიასათვის ადამიანები არ არიან ორ პოლუსზე განლაგებულნი, რომელნიც ერთმანეთს უპირისპირდებიან თავისი აბსოლუტური სიკეთითა და აბსოლუტური ბოროტებით. თვით საულიაც, მიუხედავად ამ ავადმყოფური განცდისა, ამ გაორებისა და საკუთარი სინდისის ღალატისა, მკითხველში უფრო თანაგრძნობას იწვევს, ვიდრე სიძულვილს.

დემნა შენგელაია მხოლოდ იმ სულიერი ყოყმანის ხანმოკლე მომენტს გვიხსნის, როდესაც უნდა გადაწყდეს, თუ რომელი საწყისი გაიმარჯვებს საულიაში. ამიტომ მოთხრობა უფრო ფსიქოლოგიური ანალიზით არის აღბეჭდილი, ვიდრე ამბის განვითარების უბრალო თვალნათლივი გამოხატულებით. საულიაში იმარჯვებს უშუალობა და სიწრფელე, მისი სულიერი წონასწორობა ბოლოს აღსდგება, და მშრომელი კაცის ბუნება უკუაგდებს მოძალებულ ცდუნებებს, მაგრამ საულიას ძვირად უჯდება ყოველივე ეს — იღუპება მისი მეუღლე, ნაზი და ფაქიზი სულის მქონე ფუნდუ, რომლისთვისაც ერთადერთ განძს წარმოადგენს ქმრის სიყვარული და პატიოსანი მშრომელი კაცის ცხოვრება. ეს ტრაგიკული ფინალი კიდევ უფრო მძაფრად განგვაცდევინებს იმას, თუ რამდენად მიუტევებელია ადამიანისათვის ზნეობრივი საფუძვლების ღალატი. დემნა შენგელაია უაღრესად ამძაფრებს თავისი გმირების განცდებს, თვითონ კი სასტიკ მსაჯულად ევლინება მათ, მაგრამ ყოველივე ამას აკეთებს ერთადერთი განზრახვით. რომ მოთხრობის მიზანდასახულება ემოციურად ძლიერი და შთამბეჭდავი იყოს მკითხველისათვის.

გმირის განცდების სიმძაფრითა და ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმით თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში გამოირჩევა გიორგი შატბერაშვილის მოთხრობა „მკედრის მზე“. მოთხრობის მთავარი გმირის გიორგის განცდებს აქ ღრმა სოციალური საფუძველი აქვს. გიორგისა და მის შვილს თენგიზს შორის კონფლიქტს სწორედ ის განსაზღვრავს, რომ თუ მამა სკეპტიკურად არის განწყობილი ახალი, სოციალისტური ცხოვრების წესის მიმართ, მისი შვილი ერთი უბრალო, მაგ-

რამ აქტიური წევრი და შემოქმედია ამ ცხოვრებისა. ეს ღრმა სულიერი წინააღმდეგობა და ჯიბრი მამა-შვილს შორის აქ უფრო სიმბოლიურ გამოსახულებას პოულობს და ოსტატურად არის დაკავშირებული ხალხურ ლეგენდასთან ხიზამბარელის ლოდის შესახებ. გიორგი წააქეზებს თავის შვილს, რომ ახლანდელი ახალგაზრდობა ვერ შეედრება წარსული წლების ვაჟაკებს, რომ მხოლოდ ხიზამბარელს შეეძლო იმ უზარმაზარი ლოდის აწევა, რომელმაც მისი სახელი ლეგენდარულად აქცია. ხალხური სპორტის ეს სახე მოთხრობაში ცხოვრების დიდი სიძნელეების დაძლევის სიმბოლოდ იქცევა, და თენგომაც უნდა დაუმტკიცოს მამას ახალი თაობის სიძლიერე. თენგო ასწევს ხიზამბარელის ლოდს, მაგრამ შეეწირება კიდევ ამ გატაცებას. მოთხრობა ძირითადად ამ ამბით გამომწვეული გიორგის მძიმე განცდების მხატვრული გამოხატულებაა. მწერალი თავის გმირში ხედავს არა უბრალოდ გაორებულ ადამიანს, არამედ ორ განსხვავებულ საწყისს. ბოროტისა და კეთილის განსახიერებას, გიორგისა და ავ-გიორგის სახით. ვრცელი შინაგანი დიალოგები გიორგისა და ავ-გიორგის შორის არის ის საშუალება, რომლითაც მწერალი მხატვრულად ეფექტურად გვიხსნის თავისი გმირის რთულ სულიერ სამყაროსა და ხასიათს. გიორგი ამხელს თავის თავშივე დაბუდებულ მეორე ავ-გიორგის, რომ მას არ სურდა თენგოს გამარჯვება, რომ მან ავი თვალით შეხედა შვილს, რომელმაც ლოდი დასძრა და ნელ-ნელა ზევით ასწია. გიორგი შვილის მკვლელად თვლის თავისთავს, და ეს განცდა მძიმეა მისთვის. მაგრამ არა მარტო გიორგი დამარცხდა, რაკილა შვილი დაკარგა, არამედ ავ-გიორგიც, რადგან თენგომ მორალურად გაიმარჯვა და მისი სახელი ისეთივე შარავანდედითაა მოსილი, როგორც ხიზამბარელისა. იგი ახალი თაობის შეუდრეკელი ნებისყოფის და გმირული სულის განსახიერებაა. ამ გამარჯვების რწმენას ისიც ამტკიცებს, რომ ახლა უკვე თენგოს ასაკისა გამხდარა მისი შვილი, რომელიც არ ენახა გიორგის და ისიც მამის კვალზე მიდის.

მოთხრობა რთული და საინტერესო კომპოზიციური აღნაგობისაა. ეს უეცარი პარალელები და გადასვლები ლეგენდებიდან თანამედროვე ცხოვრებაზე, რთული ფსიქოლო-

გიური განცდების გამოხატვის ორიგინალური ხერხი გაორებული გმირის შინაგანი დიალოგების საშუალებით, რთული არქიტექტონიკა ნაწარმოებისა, რომელიც მწერალს ძლიერ აქცენტირებისათვის აქვს მოშველიებული, მსუყვე, ღარბაის-ლური ენა, მეტყველი და სხარტი დიალოგები, — ყველაფერი ეს გიორგი შატბერაშვილის მოთხრობას „მკვდრის მზე“ მხატვრულ ღირსებას მატებს და ნაწარმოების მიზანდასახულებას, მასში დასმულ პრობლემატიკას მეტი ემოციური ზემოქმედების ძალას აძლევს.

დემნა შენგელაიას „განძი“ და გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზით“, ამ ორი შესანიშნავი მოთხრობით არ ამოწურება უკანასკნელი წლების ქართული მწერლობის ინტერესი მორალურ-ეთიკური პრობლემებისადმი. საერთოდ, ძნელია რომელიმე მნიშვნელოვანი პროზაული ნაწარმოების დასახელება, სადაც თანამედროვე ადამიანის მორალური სახე მეტ-ნაკლებად არ იყოს მწერლის ყურადღების ცენტრში. მაგრამ, ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ამ პრობლემას ეძღვნება. ან გამოირჩევა მისი ძლიერი აქცენტირებით. მათ შორის, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ თენგიზ აბულაძისა და რევაზ ჯაფარიძის კინომოთხრობა „სხვისი შვილები“, არჩილ სულაკაურის მოთხრობები „წყალდიდობა“, „უკეთუ გაცდუნებდეს“, თამაზ ჭილაძის „შუადღე“ და სხვები.

კინომოთხრობა „სხვისი შვილები“ ერთი საყურადღებო ნიმუშია იმისა, თუ რა განუყოფელია თანამედროვე კინოხელოვნება მწერლობისაგან. ქართული (ისევე, როგორც საერთოდ, ყოველი) კინოხელოვნება ხშირად მიმართავს თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას და განსაკუთრებით საინტერესო ნაწარმოებებს ეკრანზე ახალ სიცოცხლეს აძლევს. ხელოვნების ფაქტად აქცევს. ამისი არა ერთი საყურადღებო ნიმუში გვაქვს, გავიხსენოთ თუნდაც ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“, ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“. დემნა შენგელაიას „განძი“ თუ სხვა მოთხრობები და რომანები, რომლებიც საფუძვლად დაედო ქართული კინემატოგრაფიის საუკეთესო ფილმებს. თუმცა მწერლობისა და კინოხელოვნების მარტო ასეთი ცალმხრივი ურთიერთობა არ არის საკმარისი. ძნელია იმის მოთ-

ხოვნა, რომ თვითეული კინოსცენარი ლიტერატურული ნაწარ-
მოების ტოლფასოვანი იყოს, რომ მისი გამოქვეყნება ისევე
შეიძლებოდეს, როგორც კარგი მოთხრობისა ან რომანისა,
მაგრამ, ექვს გარეშეა, ლიტერატურულ ნაწარმოებამდე
აყვანილი სცენარი მნიშვნელოვანი ფილმის შექმნის საიმე-
დო წინაპირობაა. ამის მაგალითად ჩვენში „სხვისი შვილე-
ბიც“ იკმარებდა. ამ კინომოთხრობის საფუძველზე თენგიზ
აბულაძემ შექმნა ჭეშმარიტად შთამბეჭდავი ფილმი, რომე-
ლიც ერთი საუკეთესოა უკანასკნელი წლების საბჭოთა ფილ-
მებს შორის. სამწუხაროდ, ამ უანრმა ვერ მოიკიდა ფეხი ქარ-
თულ მწერლობაში და „სხვისი შვილების“ შემდეგ, მიუხედა-
ვად მისი წარმატებისა, სხვა კინომოთხრობა აღარ გამოქვეყ-
ნებულა. თუ ევროპაში, ან რუსეთში კინოსცენარი სულ
უფრო მეტად პოულობს თავის ლიტერატურულ უფლებებს.
იბეჭდება ჟურნალებში ან კრებულებში, ცალკე წიგნებადაც
გამოდის, ჩვენში იგი მხოლოდ ნედლ მასალად რჩება, რომელ-
საც ეკრანისაგან დამოუკიდებელი არსებობის პრეტენზია ვე-
რა აქვს.

„სხვისი შვილები“ მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოე-
ბი გამოდგა. კინემატოგრაფიულმა ხედვამ მას სხვა რიტმი
და ექსპრესია მისცა. ჩვენთვის მოულოდნელი იყო მისი ძუნ-
წი თხრობა, რამდენიმე მარტივი წინადადებით ჩამოთვლილი
ან მინიშნებული კადრები, რომელთა წაკითხვა თითქოს არც
შეიძლება, ისინი მხოლოდ უნდა დაინახოს მკითხველმა. მკი-
თხველი, ერთგვარად, თვითონ გამოდის აქ რეჟისორის როლ-
ში და საკუთარი ფანტაზიით ქმნის იმ ფონს, სადაც იშლება
მოქმედება. ხასიათები აქ, როგორც წესი, დიალოგებში და
მოქმედებაში იკვეთება, რადგან ავტორისეული ტექსტი თით-
ქმის არ არსებობს. მაგრამ ეს არც ნაწარმოებს და არც მის
ნხატურულ სახეებს არაფერს ვნებს. ნატოს, დათას, გიასა და
ლიას სახეც აქ რელიეფურადაა გამოკვეთილი, მათი ხასიათე-
ბი მთელი სიღრმითაა გახსნილი და, ამდენად, ის დიდი დრამა,
რომელიც ჩვენს თვალწინ იშლება, სავსებით გასაგებია.

ახალგაზრდა ქვრივი მამაკაცი, ორი ბავშვის მამა, დათა
შეყვარებულია თეოში, მაგრამ მათი შეუღლება შეუძლებე-
ლია, რადგან თეო არ მალავს, რომ დედობას ვერ გაუწევს სხვის

ბავშვებს. ამ კეთილშობილურ და ძნელ საქმეს მთელის გულ-
ლით იტვირთებს ახალგაზრდა სტუდენტი ქალი ნატო. რამის-
დენიმე ხნის შემდეგ დათა თეოს გაჰყვება მატარებლით და
ბავშვებს ნატოს შეატოვებს, ეს უკანასკნელი კი ერთგული
რჩება სხვისი შვილებისა, რომელთა დედობაც იკისრა. აი
ორიოდ სიტყვით ამ კინომოთხრობის სიუჟეტური ქარგა. თუ-
მცა, ასე მარტივად არ ვითარდება კინომოთხრობაში მოქმე-
დება. ასე რომ იყოს, ყველაფერი იოლად დალაგდებოდა თა-
ვის ადგილზე, ნატოს მოქალაქეობრივი გმირობა და ზნეობ-
რივი სრულყოფილება დაუპირისპირდებოდა დათას შეუგნე-
ბლობასა და უნებისყოფობას, მივიღებდით ბოროტისა და კე-
თილის საწყისს. მოთხრობის ავტორებს ასე მარტივად არა
ჰყავთ გათიშული თავისი გმირები. თუმცა, უტრირების გზას
რომ გავყვეთ, საბოლოოდ მაინც ამ ორ პოლუსზე განლაკ-
დებიან ნატო და დათა. მაგრამ ცოცხალი ადამიანების სული-
ერი სამყარო გაცილებით რთულია იმისათვის. რომ კეთილი-
ცა და ბოროტიც ასე გაშიშვლებულად არ იყვნენ დაბუდებუ-
ლნი მასში. დათა უიღბლო, თუმცა მოსიყვარულე მამაა, რომ-
ელმაც, უბრალოდ, არ იცის შვილების გაზრდა და არცა
აქვს ამისი მოცალეობა, იგი მემანქანეა და მატარებლებს ხან
ქართლის ველებზე დააქანებს და ხან კახეთის აღმართებს
შეუყენებს. მას მთელის გულით უყვარს თეო, თუმცა პირველ
პირობად მაინც იმას უყენებს, რომ ბავშვებს დედობა უნდა
გაუწიოს და ამ მხრივ იგი კომპრომისზე ვერ წავა, ამიტო-
მაც მიანებებს თავს თეოს, შეეცდება გულიდან ამოიღოს მი-
სი სიყვარული. ნატო შემთხვევით გადაეყრება დათას ბავშ-
ვებს, რომლებიც ქუჩის ხშირი სტუმრები არიან და გამოეჭო-
მაგება მათ. ნატოს თვითონაც მწარედ აქვს გამოცდილი ობ-
ლობა და მისი გული განსაკუთრებით მგრძნობიარეა უპატ-
რონოთა მიმართ. გიაცა და ლიაც ბავშვური გუმანით პირვე-
ლივე შეხვედრისთანავე იგრძნობენ ნატოს კეთილ გულს და
შეუყვარდებათ ეს უცნობი ქალი. რთულია ამ კეთილი ადა-
მიანების ურთიერთობა, ნატოსა და დათას პირველი შეხვედ-
რები კარგს არაფერს მოასწავებს, რადგან ნატოს სამართლიან
საყვედურებს ბავშვების გამო, შეურაცხყოფილი მამა მტკიე-
ნეულად იღებს. ისევ ბავშვები მოახერხებენ მათ შორის მშვი-

ღობის ჩამოგდებას. არც შერე, როდესაც უკვე ნატო დათას სახლში დიასახლისად შევა, ვითარდება ყველაფერი იოლად. ბავშვების სიყვარულს მალე მოიპოვებს ნატო, მაგრამ დედას მაინც დიდხანს ვერ ეძახიან. ბოლოს, როდესაც თითქოს ყველა სიძნელე უკანაა ჩამოტოვებული და ამ მრავალტანჯულ ოჯახს მხოლოდ თბილი და კეთილი ცხოვრება ელის, კვლავ დიდი, საბედისწერო განსაცდელი დაატყდებათ თავს. დათას ძველი სიყვარული მოუხდელი სენივით გაუხსენებს და როდესაც თეოს შეხვდება, იგრძნობს, რომ იღუპება, რომ ვეღარ მოერევა თავს. განწირულივით შვილს ჩაებლაუქება. გიას წაიყვანს თეოს გასაცოლებლად. მაგრამ მატარებელი რომ დაიძრება, ბავშვს უნებურად ხელს გაუშვებს, ვაგონის საფეხურზე შეხტება და ასე გაჰყვება თავის ძველ სიყვარულს.

მძიმე ფიქრები თეთრად გაათენებინებენ დამეს ნატოს. შეურაცხყოფილი ქალი ალიონზე ჩუმად გაეპარება ბავშვებს, ისიც მატარებლით გაურბის მათ, იმ სახლისაკენ გახედვაც არ უნდა, სადაც ასე გასთელეს მისი ქალური ღირსება. მაინც ერთი ფიქრი ყველაზე მეტად აწუხებს ნატოს, გია და ლია მეორედ კარგავენ დედას და ნატომ იცის რა ძნელიცაა ეს. ამიტომაც გარბის იგი, გარბის, რომ ამ ფიქრმა, სინდისმა არ გადასძლიოს მის სავსებით ადამიანურ და კანონიერ გულისწყრომას. როდესაც მატარებელი მათ სახლს ჩაუვლის, ნატო თვალს მოჰკრავს დამფრთხალ და-ძმას, გია და ლია მიწაყრილზე მორბიან, მას ეძებენ, მათი თვალები სავსეა შიშითა და მუდარით, და ნატოც ანგარიშმიუცემლად გადმოხტება გაქანებული მატარებლიდან.

ამ ყოფითი დეტალებით სავსე კინომოთხრობაში, რომელშიც არც ერთი არამცთუ პათეტიური ფრაზა, უბრალოდ საუბარიც კი არ არის ადამიანის მორალურ ვალზე ბავშვების, მით უმეტეს შვილების მიმართ, მეტად ძლიერადაა გამოკვეთილი, ნაჩვენები (და არა განმარტებული ან თუნდაც ახსნა-ლი) ორი დამოკიდებულება, დათასი და ნატოსი, ერთი ძნელად გასაგები, რთული, მერყევი, რომელსაც საბოლოოდ სძლევს რაღაც ხმა იღუმალი, დაუმორჩილებელი გრძნობა და მეორე, უბრალო, ნათელი, სპეტაკი, რომელსაც სრულიად

აშკარა შეურაცხყოფაც კი. საკუთარი ადამიანური ღირსების გათელვაც კი ვერ აალებინებს ხელს თავის ვალზე ბავშვების მიმართ. ჩვენ ამას მხოლოდ ვხედავთ და განვიცდით, გულსყურით მივსდევთ მოქმედების ამ დაძაბულ და დინამიურ განვითარებას. დასკვნები კი მერე თავისთავად კეთდება, ავტორები სულაც არ ცდილობენ ამ მხრივ მკითხველის მეურვეობას. ამ ცხოვრების ერთ ნაკადში, მართალ ნაგლეჯში, რომელიც მხატვრულ ფაქტად უქცევიათ ავტორებს, ციური პნათობივით ანათებს უბრალო, ჩვეულებრივი ქალის, ნატოს დიდი ადამიანური სული. იგი მკითხველსაც გადასცემს თავისი გულის სიტბოს, ავსებს მას მაღალი ზნეობითა და აღამიანის კეთილშობილური ბუნების რწმენით.

ნატოს სულის სიტბოსა და სიკეთის გამობრწყინებას მეტი ელვარებისათვის არა სჭირდება დათას ზნეობრივი დაცემის ხაზგასმა. როგორც აღვნიშნე, ასე მარტივად არ უპირისპირდება ისინი ერთმანეთს, თუმცა მათი მოქმედებით შეიძლება ასეც გვეფიქრა. დათა. უბრალოდ, უგულო, ან ბორბოტი ადამიანი არ არის, მან საკმაოდ კარგად იცის თავისი მოვალეობა ბავშვების წინაშე. მაგრამ რაღაც ქვეცნობიერი. დაუოკებელი ძალა სძლევს მას.

რევან ჯაფარიძემ სხვა აგრეთვე საინტერესო მოთხრობაც გამოაქვეყნა, რომელსაც პირდაპირ ასევე უწოდა „ხმა იდუმალი“. მართალია, ამ ორ მოთხრობას სხვადასხვა მიზანდასახულება აქვთ, მაგრამ მათი გმირები ქვეცნობიერი, იდუმალი ხმის კარნახით მოქმედებენ და ამ თვალსაზრისით დათაცა და ლევან ბერიშვილიც თითქოს ერთმანეთს გვაგონებენ. ლევან ბერიშვილი ამ იდუმალი ხმის ძალით ჯარისკაცის ვალსაც კი ივიწყებს. იგი, სამაგალითო ჯარისკაცი, პატრულირების დროს მიატოვებს სადარაჯოს. ანგარიშმიუცემლად მოახტება მატარებელს და საკმაოდ გრძელ გზას ადგება საყვარელ ადამიანზე ფიქრებით აფორიაქებული. მიუხედავად იმისა, რომ ლევან ბერიშვილი მიუტეველ დანაშაულს სჩადის, ომის დროს სტოვებს თავის სადარაჯოს და ბედისწერის იდუმალ ხმას აყოლილი საყვარელი ადამიანისაკენ მიეშურება, მკითხველს უჭირს ეს მას აშკარა ბოროტებად ჩაუთვალოს, რადგან მოწამეა მისი შინაგანი მღელვარებისა და განცდისა. ადა-

მიანები, სადაც არ უნდა იყვნენ; ან რა პირობებშიც არ უნდა იყვნენ, არ ცხოვრობენ ისეთი მარტივი ცხოვრებით, რომ თავიანთი მოვალეობის შესრულებაში ათასი რამ არ ეღობებოდეთ წინ. ბავშვების აღზრდაცა და სამშობლოს დაცვაც, თვით ეს ორი წმიდათა წმიდა ვალი ადამიანისა, მთლიანად არ ავსებს მას ისე, რომ აღარ დაუტოვოს სხვა რამ მწუხარებისა თუ სიხარულისათვის, დიდი ადამიანური განცდისათვის. ამ იღუმალის ხმის ძალით, ანგარიშმიუცემლად დაღატობენ დათა საკუთარ ბავშვებს და ლევანი ჭარისკაცის ვალს. ამავე დროს არც ერთი მათგანი არ არის ზნეობრივად დაცემული, ან მოვალეობის წმინდა გრძნობისაგან დაცლილი. და აი, აქ გვაფიქრებინებს მწერალი თავისი დათათი და ლევანი. რომ ადამიანს ბევრი განსაცდელი ელის თავისი პატიოსანი ცხოვრების გზაზე და მისი სიძლიერე, სიდიადე იმაშია. რომ ვაჟკაცურად გაუძლოს ყოველ ცდუნებას, იღუმალის იქნება იგი, ქვეცნობიერი თუ შეცნობილი. ეს სათქმელი, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია და ფსიქოლოგიურადაც მეტად სინტერესო, ამასთანავე უფრო ახალიცაა ქართული მწერლობისათვის, ვიდრე აშკარა ბოროტების მხატვრული მხილება.

ასევე სავსეა ყოფითი დეტალებით არჩილ სულაკაურის მოთხრობა „წყალდიდობა“ და, ამასთანავე, ასევე მძაფრადაა მასში დასმული თანამედროვე ადამიანის ზნეობრივი სიწმინდის პრობლემა. ერთის შეხედვით, ძველი თბილისის სანაპირო, თავისი ტივებით, პატარ-პატარა წისქვილებითა და ნავეებით, თავისი მობინადრეებით, მეწისქვილეებით, მეღუქნეებით, მრეცხავეებით, ხელოსნებით, მეთევზეებით, რომელთა ცხოვრება მეტწილად პატარა ეზოებსა და უსწორმასწორო ქუჩებში, ან ღია ფართო აივნებზე, ერთმანეთის თვალწინ მიედინება — ყველაფერი ეს, რასაც მწერალი მართლაც კოლორიტის მახვილი გრძნობით, მსუყე ფერებით გვიხატავს, თითქოს ყოფითი ნაწარმოების შექმნისთვისაა გამიზნული. მაგრამ, არჩილ სულაკაურს აქ, პირველ რიგში, ადამიანის ქცევისა და, საერთოდ, ცხოვრების ზნეობრივი პრინციპის გარკვევა და გამონახვა სურს. მაღალი ზნეობა აუცილებლად იწვევს ეროვნულ ან საზოგადოებრივ მოვლენაში არ ჩანს, იგი ერთნაირად ძლიერად სჭვივის დიდსა და პატარა.

იქნებ სულ უმნიშვნელო ფაქტსა და გოქმედებაშიც კი. მე-
 თევზე ლადოც სწორედ ისეთი პატარა და უბრალო ადამიანია,
 რომელსაც არც უფიქრია დიდ საქმეებზე, მისი ცხოვრების
 დღენი ერთგვაროვნად, მოსაწყენად, თითქოს ფუჭადაც
 მიედინებინან, მაგრამ მაინც თვალნათლივს ხდიან მკითხვე-
 ლისათვის ამ გულმართალი და სინდისიანი კაცის პრინციპებს.
 საზოგადოების ყოველ ფენაში ერთნაირად არიან ზნეობრივად
 სუფთა და ზნედაცემული ადამიანები, აქ განათლება ან
 პროფესია მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს. მეთევზე ლადოც
 გამოირჩევა იმ წრეში, რომელშიც იგი ტრიალებს და რომლის
 კანონმდებელიც მეწისქვილე ანტონაა, ეს წამგლეჯი,
 გარყვნილი, მეთავისე კაცი. ლადოს ერთნაირად უყვარს ყველა
 ახლობელი თუ შორეული. ერთნაირად შეუძლია უთანაგრძნოს
 ;;ველას, თვით უცნობ ნატოსაც კი, ახალგაზრდა ქალს, რომელსაც
 ავბედითად უტრიალებს ანტონა. ლადოს არა მარტო ნატოსთვის,
 უბრალოდ ცოცხალი არსებისთვისაც შესტკივა გული და
 ამიტომაც გასწირავს თავს, როდესაც აღიღებულ მტკვარს
 შეებმის ნაგაზის გადასარჩენად. ლადო, ეს უბრალო მეთევზე,
 ერთი ჩუმი და უტყვი კაცი, თავისი ცხოვრებითა და ქცევით
 ირგვლივ სიკეთესა და სიყვარულს სთესავს მხოლოდ. ადამიანს
 ყველა ვალი გასტუმრებული უნდა ჰქონდეს, ეს ღრმად
 სწამს ლადოს და ამ პრინციპს მისდევს კიდეც ცხოვრებაში.
 რა ვუყოთ, თუ ლადოს ასპარეზი ან მასშტაბი აკლია, მისი
 ცხოვრება და ქცევა, მისი სულიერი სამყარო ამით ნაკლებ
 საინტერესო და მნიშვნელოვანი არა ხდება. ერთი რამ აკლია,
 ჩემი აზრით, ლადოს, იგი ცოტა ინერტულია და თავისი
 ცხოვრებით უფრო „ქადაგებს“ მაღალ ზნეობას, ვიდრე იბრძვის
 მისთვის. ამ მხრივ უფრო საინტერესოა არჩილ სულაკაურის
 მეორე მოთხრობა „უკეთუ გაცდუნებდეს“, სადაც ახალგაზრდა
 გმირები ცოტნე, გიგი და დათუნა ზნეობრივად სუფთა
 ადამიანებიდან მაღალი ზნეობისათვის მებრძოლ ადამიანებად
 იქცევიან.

ეს პროცესი, ახალგაზრდა ადამიანის ზნეობრივი საფუძვლების
 ჩამოყალიბების პროცესი, ახლა, შეიძლება ითქვას, ყველაზე
 მეტად იტაცებს ქართულ მწერლობას, ყოველ შემთხვევაში,
 ახალგაზრდა პროზაიკოსთა შემოქმედებაში იგი

ერთი წამყვანი თემაა. თამაზ ჰილაძეს, რომელმაც ამ მოკლე დროში სამი თუ ოთხი ვრცელი მოთხრობა გამოაქვეყნა, ყოველ მათგანში სწორედ ეს პრობლემა აინტერესებს — როგორია, ან როგორი უნდა იყოს თანამედროვე ახალგაზრდის ზნეობრივი საფუძვლები. როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოების განვითარების ერთ ეტაპზე თითქოს საკმარისი იყო, ან მიჩნეული იყო საკმარისად ის, რომ ადამიანი თვითონ ყოფილიყო სუფთა და სპეტაკი. ახლა ეს აღარ აკმაყოფილებოთ თანამედროვე ადამიანებს და, პირველ რიგში, თანამედროვე მწერლობას. პირადი პატიოსნება — ეს ჯერ კიდევ არ არის მაღალი ზნეობის გამოხატულება. ამასთან ერთად, აქტიური ბრძოლა ყოველივე უპატიოსნოსა და ანტისაზოგადოებრივის წინააღმდეგ, — აი ის ასპარეზი, რომელიც გამოაჩენს თანამედროვე ადამიანის მორალურ სიძლიერეს. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურის გმირები ამ პათოსით არიან გამსჭვალულნი. თამაზ ჰილაძის პროზაში ყველაზე საინტერესოდ და ძლიერად ეს შემაერთება, ვფიქრობ, მოთხრობაში „შუადღე“ გამოჩნდა. ამ მოთხრობის გმირი, ტაქსის მძღოლი გოგი, რომელიც თავისი ცხოვრების შუადღეს მიახლოვებია, თანდათან რწმუნდება აქტიური მოქმედებას აუცილებლობაში და იგი სწორედ ამ მაღალი ზნეობისათვის. სამართლიანობისათვის მებრძოლ ადამიანად იქცევა. ეს მოთხრობა მრავალმხრივია საინტერესო, თანამედროვე ცხოვრების მტკივნეული საკითხების თამამი დაყენებით, ორიგინალური არქიტექტონიკით, თხრობის მანერით თუ ბევრი სხვა რამით. მაგრამ მთავარი აქ სწორედაც გოგის ზნეობრივი მომწიფების საკითხია და მწერალი გვაჩერებს, გვარწმუნებს, რომ მის გმირს შუადღის შემდგომ უფრო დაძაბული, სისხლსავსე, შეუპოვარი ცხოვრება ელის; ვიდრე შუადღემდე.

თანამედროვე ახალგაზრდობის ზნეობრივი საფუძვლების მხატვრულ გახსნას მიუძღვნა აგრეთვე თავისი ახალი რომანი „ოქროს თევზი“ არჩილ სულაკაურმა. როგორ უნდა შევიდეს ცხოვრებაში ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავის დამოუკიდებელ, შრომით საქმიანობას იწყებს, შეიძლება თუ არა საკუთარ სინდისთან კომპრომისზე წასვლა, თუნდაც ამას შენი და შენი ოჯახის, ახლობლების ინტერესები მოითხოვ-

დეს, — აი ამ კითხვებზე პასუხობს არჩილ სულაკაურის რომანი. მწერალი რომანის პროლოგში გვაძლევს გარეგნულად მყუდრო და ტკბილი ოჯახის სურათს, რომელსაც ცხოვრების შფოთვა და ღუღილი არ სწვდება. ოჯახის მამას კეთილ და შრომისმოყვარე კაცად იცნობენ, დედაც მშვიდი და აუღელვებელი ქალია, შვილების მოყვარული, ოჯახის ერთგული, შვილებიც არაფრით არღვევენ იმ მყუდროებას, რომელიც ბარამიძეების ოჯახისათვის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს ასე იყო და ასევე გაგრძელდებოდა მათი ცხოვრება, რომ ციხე შიგნიდან არ გამტყდარიყო. ეს „დანაშაული“ დათოს ედება ბრალად. მწერალი საინტერესოდ მოგვითხრობს დათოს პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებზე ცხოვრებაში. დათო თავიდანვე აწყდება წინააღმდეგობებს, რომლებსაც იგი არ ელოდა. იგი აუღელვებლად, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უცხადებს ბრძოლას „შავ კოლას“ და სულაც არ ფიქრობს, რომ ეს ბრძოლა ძნელი და ხიფათით სავსე იქნება. დათოს სჯერა თავისი სიმართლისა და ასე ჰგონია, რომ სხვებისთვისაც დღესათვის ნათელი იქნება მისი სიმართლე. მწერალი საკმაოდ თამამად აწვთობს ამ კონფლიქტს, საიდანაც მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ „შავ კოლას“ ძლიერად აქვს ფესვები გადგმული და მისი დაძლევა არცთუ იოლია. შავი კოლას ნაცვლად ისჯება დათო, იგი კარგავს თავის საქმეს, რომელსაც მთელის ენერჯითა და მონდომებით ეკიდებოდა. მაგრამ ეს შედეგებით აღვილი გადასატანია მისთვის. ყველაზე მძიმე დათოსათვის ისაა, რომ თანდათან სულ უფრო ფხიზელი თვალთ უკვირდება იგი თავის ოჯახს და ამჩნევს, რომ მოჩვენებითი სიკეთისა და სიმყუდროვის იქით ნეშტანური სული, გარყვნილება, დანაშაულია დაბუდებული. მწერალს ღრმად სჯერა, რომ ბრძოლა მაღალი ზნეობისათვის ღირსია ისეთი მსხვერპლისაც კი, რომელსაც ოჯახური სიკეთე და სიმყუდროვე ჰქვია. დათო, ეს ერთი შეხედვით უცნაური კაცი, რომელსაც არა სცხვენია წინ აღუდგეს ოჯახს, ანგარიში არ გაუწიოს დედის მუდარასა და მამის რჩევას, იმეგობროს პატარა ბავშვთან და აშკარა თანაგრძნობა გაუწიოს სახელგატყნულ ქალს, ყოველივე ამის გამო კი კარგავს ოჯახის, სატრფოს, ახლობლების სიყვარულს, სამსახურს, სიმშვიდეს, — სწო-

რედ ეს დათოა ამ რომანში ამალღებული სულის პატრონი. გარეგნულ კეთილსინდისიერებაში შენიღბულ მახინჯ სულს იგი უპირისპირებს გულწრფელობასა და პატიოსნებას, ბოროტებისადმი შეურიგებლობას და იმას კი აღარ დაეძებს, თუ როგორ ფორმაში იქნება ეს გამოხატული, მისთვის ეს არაა მთავარი. მართალია, ბოლოს დათოს კვლავ სთავაზობენ ძველ სამუშაო ადგილს, ბევრი რამ შეიცვლება დათოს ირგვლივ, რადგან ბოროტებას დიდი დღე არ უწერია, მაგრამ სწორად იქცევა დათო, როდესაც კატეგორიულად უარს აცხადებს ყოველივეზე და ქალაქიდან მიემგზავრება. ცხოვრების პირველსავე გაკვეთილზე მიღებული მძიმე ტრავმის იოლად მონელება და გადატანა არ შეშვენოდა დათოს და, ამასთანავე, რომანის პათოსსაც გაანეიტრალებდა. დათო მიდის იმ ქალაქიდან, სადაც მას ასე ძლიერ ატკინეს გული, მიდის იმ ოჯახიდან, რომელიც კერპი იყო მისი და ასე უმოწყალოდ დაემსხვრა, მიდის ახალ მშენებლობაზე, იქ სადაც თავისი სული ჰეშმარიტ და არა მოჩვენებით სიმშვიდეს ჰპოვებს. არჩილ სულაკაურის რომანი „ოქროს თევზი“ ერთპლანიან ნაწარმოები არ არის. ბევრი რამ მკითხველს აუხსნელი რჩება, მათ შორის ყველაზე მეტად გვაწუხებს დათოს ძმის მირიანის დუმილი. როგორც ჩანს, მირიანიც ამოიღებს ხმას და ბოლოს გაგვაგებინებს თავის დამოკიდებულებას მთელ იმ გარემოსთან, რომელშიც დათოსთან ერთად მასაც უხდება ყოფნა, გაგვაგებინებს თავისი უცნაური დუმილისა და ინერტულობის მიზეზებს და ეს, ალბათ, რომანის მომდევნო წიგნში მოხდება.

მორალურ-ეთიკურ პრობლემატიკაზე უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში, ზემოთგანხილულის გარდა, კიდევ არა ერთი რომანი თუ მოთხრობა დაიწერა, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა ძლიერია თანამედროვე მწერლობის ინტერესი ამ პრობლემისადმი.

თანამედროვე ქართული მწერლობის ერთი დამახასიათებელი, წინა პერიოდის ლიტერატურისაგან განმასხვავებელი ნიშანთვისება მისი თვალთახედვისა და ინტერესების სფეროს სიფართოვეში უნდა ვეძიოთ. მწერლობისათვის არ არსებობს დიდი და მცირე საკითხი, ერთი და უცვლელი განწყობილება.

საინტერესო და უინტერესო თემა. მწერლობა ისევე განუსაზღვრელია, როგორც თვით ცხოვრება, რომელიც საესეა სიხარულითა და ტკივილით, იმედებითა და ექვებით, სიყვარულითა და სიძულვილით. თუ ამ ცოტა ხნის წინ, ქართველი მწერლები ერთმანეთს თითქოს რამდენიმე თემის დამუშავებაში ეჭიბებოდნენ და ასე ჩამოყალიბდა ლიტერატურაში ეგრეთწოდებული სოფლის (ან კიდევ უფრო ვიწროდ, კოლექტივიზაციის) თემა, საწარმოო თემა და სხვა, ახლა გვაკვირვებს თემების სიმრავლეცა და ცხოვრებასთან მწერალთა განსხვავებული, მართლაც ორიგინალური დამოკიდებულებაც. კონსტანტინე ლორთქიფანიძესა და დემნა შენგელაიას, სერგო კლდიაშვილსა და ალიქსანდრე ქუთათელს, გიორგი ნატროშვილსა და გრიგოლ ჩიქოვანს, რევაზ ჯაფარიძესა და ოთარ ჩხეიძეს, თუ ქართველი პროზაიკოსების ახალ თაობას: გურამ რჩეულიშვილს, ნოდარ დუმბაძეს, არჩილ სულაკაურს, რევაზ ინანიშვილს, ოტია იოსელიანს, ედიშერ ყიფიანს, თამაზ ჭილაძეს, მერაბ ელიოზიშვილს თუ სხვებსა და სხვებს, არა მარტო ორიგინალური ხელწერა, თხრობა, სიუჟეტის ოსტატობა და სხვა მხოლოდ მხატვრული თავისებურება განასხვავებს ერთმანეთისაგან, არამედ საკუთარი მხატვრული სამყაროც, საკუთარი ხედვაც ცხოვრების მოვლენებისა. ეს ლტოლვა მრავალფეროვნებისაკენ, ცხოვრების სხვადასხვა კუთხით დანახვისა და შეცნობისაკენ, ადამიანის ხასიათისა და ფსიქიკის მრავალმხრივ გახსნისაკენ სრულიად კანონზომიერი რამ არის და, უნდა ვიფიქროთ, თანდათან სულ უფრო გაძლიერდება იგი.

არ არსებობს და, ვფიქრობ, არც შეიძლება არსებობდეს თავისი თავითა და თანამედროვე ცხოვრებით მხოლოდ კმაყოფილი მწერლობა. ასეთი განწყობილებით გამსჭვალული ლიტერატურის პერსპექტივა, რბილად რომ ვთქვათ, გაურკვეველია და ნაკლებ საიმედო. თუმცა, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ცხოვრებაზე გულისგატეხა და ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა: საბჭოთა მწერლობაში ამ უკანასკნელ წლებში აქა-იქ სკეივოდა ერთგვარი გულგატეხილობა, რისი უფლებაც არ შეიძლება ჰქონდეს პროგრესული საზოგადოების ლიტერატურას, სოციალისტურ ლიტერატურას.

მაგრამ, სწორედ იმავ მიზეზით, რომ საზოგადოების, ცხოვრების პროგრესი დაუსრულებელი პროცესია, ლიტერატურა არ შეიძლება იყოს მხოლოდ კმაყოფილების გრძნობით გამსჭვალული მისი თანამედროვე ცხოვრების მიმართ. საბჭოთა მწერლობის ოპტიმიზმი მარტო ისეთ ნაწარმოებებში კი არა ჩანს, სადაც თანამედროვე ცხოვრების ნათელი მხარეებია წინა პლანზე წამოწეული, არამედ ისეთშიც, რომელიც უარყოფს ცხოვრების, ან ადამიანის ხასიათს ამა თუ იმ მახინჯ, ან ჩრდილოვან მხარესა და თვისებას.

ისეთი ხასიათის ნაწარმოები, სადაც გარეგნულ სიძნელებებთან თუ შინაგან ტკივილებთან ბრძოლაში ჩანს გმირის ღრმა და რეალური ოპტიმიზმი, უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში, შეიძლება ითქვას, არცთუ ცოტაა. მათ შორის აღსანიშნავია ნოდარ დუმბაძის რომანი „მზიანი ღამე“ და გრიგოლ აბაშიძის მოთხრობა „ცხოვრება წინ არი“

გრიგოლ აბაშიძეს მკითხველი კარგად იცნობს როგორც პოეტს, დრამატურგსა და ისტორიული რომანების ავტორს. მას სულ ორი მოთხრობა აქვს თანამედროვეობის თემაზე დაბეჭდილი: „ქვევრში“ და „ცხოვრება წინ არი“. როგორც ვხედავთ, მწერალი, სამწუხაროდ, მაინც და მაინც არ ანებივრებს მკითხველს თანამედროვე ცხოვრებაზე დაწერილი ნაწარმოებებით. თუმცა არც იმ მოთხრობას აკლია დრამატული სიმწვავე, სადაც სოფლად თავის ოჯახში სტუმრად ჩასული მსახიობი ელიზბარი, ქვევრში გასარეცხად ჩასული, მარტოდნარტო ებრძვის სიკვდილს და თავისი ცხოვრების სიხარულითა და ტკივილით სავსე გზას იხსენებს, მაგრამ ამჯერად, ზემოთ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას უფრო მეორე მოთხრობა — „ცხოვრება წინ არი“ იქცევს. ამ ცოტა პლაკატური სათაურის მქონე ნაწარმოებში დიდი ადამიანური დრამაა გახსნილი. მწერალი თავისი უიღბლო გმირის ყუყუნას ცხოვრებით აფიქრებს მკითხველს იმ განსაცდელზე, რომელიც ადამიანს შეიძლება თავს დაატყდეს და იმ სულიერ მხნეობაზეც, რომელმაც განსაცდელი უნდა გადაატანინოს. გრიგოლ აბაშიძე მეტად ყრუდ მიგვანიშნებს, რომ ყუყუნას მწარე ხედარი იმ საერთო ტრაგიკული ამბებითაა შეპირობებული, რამაც არა ერთი უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა

მაგრამ, ეს არაა მთავარი ამ მოთხრობაში და, ამიტომ, მწერალიც არ ამახვილებს მასზე ყურადღებას. მოთხრობა იმით იწყება, როდესაც ჟუჟუნა თავისი ავადმყოფი ქმრის, პატიმრობიდან განთავისუფლებული არჩილის ჩამოსაყვანად, ომის მძიმე წლებში შუა აზიისაკენ მიემგზავრება. მწარე ცხოვრება ჰქონია ჟუჟუნას, ენერგიითა და სიცოცხლით სავსე, მოსიყვარულე ქმარი, ელექტროსადგურების ახალგაზრდა ნიჟიერი სპეციალისტი, მალე დაუკარგავს მას, გადაუსახლებიათ, ახალგაზრდა მარტოხელა ქალს წმინდად შეუნახავს მეუღლისა და დედის სახელი, ახლა კი სულმოუთქმელად მიიჩქარის ავადმყოფ, თუმცა განთავისუფლებულ არჩილთან, რომ კვლავ დაუბრუნოს იგი ცხოვრებას. დიდი განსაცდელის გადატანის შემდეგ მიაგნებს და შეხვდება არჩილს, უფრო სწორად. არჩილის აჩრდილს. შემადრწუნებელია ეს შეხვედრის სცენა. არჩილს მეხსიერება დაუკარგავს, დავრდომილა, დაჩაჩანაკებულია, ერთი ინსტიქტიღა შერჩენია — საკმელს ეტანება აკანკალებული ხელებითა და ველური თვალებით. კიდევ უფრო შემადრწუნებელია ჟუჟუნას უკან გამომგზავრების ეპიზოდები, როდესაც მას მატარებელში გარდაეცვლება ქმარი და შიშით ვერ ამხელს ამას. მწერალს ბოლომდე დაძაბული ჰყავს მკითხველი და, მიუხედავად ამ კომპარებისა, ჟუჟუნას სასოწარკვეთამდე მისული განცდებისა, მოთხრობა მაინც იმედიანია. გრიგოლ აბაშიძე კარგი ტაქტით, მხატვრულად ზომიერად და დამაჯერებლად გვიჩვენებს იმ თანაგრძნობასა და მხარდაჭერას, რომლებსაც ნაცნობები თუ უცნობები, უბრალო ადამიანები უწყევნ ჟუჟუნას, მოყოლებული თავისი მარტოხელა ცხოვრებიდან თვით ამ ტრაგიკულ მომენტამდე. ჟუჟუნა თავის სამსახურშიც, მგზავრობის დროსაც გრძნობს ხალხას კეთილ გულს. ვიღაც უცხო დედაბერის ამ კეთილმა გულმა შეანახვინა უნგაროდ დავრდომილ არჩილს სიცოცხლე მეუღლის ჩამოსვლამდე. სწორედ ის გამცილებელი ქალი, რომლისაც ასე ეშინია ჟუჟუნას, ვაითუ ვაგონში მიცვალებული აღმომიჩინოსო, გაუწყევს ნამდვილ გულისხმიერ. მეგობრულ თანაგრძნობასა და დახმარებას ყველაზე მძიმე მომენტში. და აი ამ უბრალო, თუმცა უსაზღვროდ დიდი სიკეთისა და სიყვარულის წყალობით, ჟუჟუნა მომავლის იმედითა და რწმენით

ივსება. ყუყუნას ოპტიმიზმი, რომელიც ასეთ მძიმე, განსაცდელით სავსე ცხოვრებაში ისახება, უფრო ძლიერია და დამარწმუნებელი, ვიდრე ცხოვრებით გაღალღებული ადამიანისა.

ნოდარ დუმბაძის რომანის „მზიანი ღამე“ გმირის თემო ბარამიძის მძიმე ცხოვრებისა და განცდების საფუძველი იგივეა, რაც ყუყუნასა და არჩილის ტრაგიზმისა. ორიგინალურად და დიდი სიწრფელითაა აღწერილი ამ რომანში თემოს პირველი შეხვედრა გადასახლებიდან დაბრუნებულ დედასთან. უნივერსიტეტიდან დაბრუნებული თემო თავისი ოთახის კარებს შეაღებს და მოულოდნელად დაინახავს ქალს, რომელიც თურმე დედაა მისი, თემოს უჭირს თავის მშობელს დედა დაუძახოს, რადგან მთელი ცხოვრება, რაც თავი ახსოვს, უდღოდ გაატარა, მშობლიური ალერსი უცხოა მისთვის, იგი გადაეჩვია მშობლებთან ერთიერთობას. თემო გარბის სახლიდან, დაეხეტება ღამის თბილისში და ასე ნელ-ნელა იკრებს ძალას, ამზადებს თავის თავს დედასთან შესახვედრად. გურამის ვრცელი ტირადა დუქანში, რომ ღმერთი დედაა და დედა კი ღმერთი, თითქოს მართლაც ნასვამი კაცის გრძელ სიტყვას ჰგავს, მაგრამ ამ რომანის ყველაზე ნათელი და წმინდა პათოსი სწორედ ამის მტკიცებაა. ნოდარ დუმბაძე მისთვის ჩვეული უბრალო, მაგრამ შთაშავონებელი მხატვრული ლოგიკით გვარწმუნებს ამაში. თემოსა და დედამისის ურთიერთობა, თუმცა „მზიანი ღამე“ მთლიანად ამაზე აგებული არ არის, არამცთუ ძირითადი, ყველაზე თბილი, მნიშვნელოვანი, ძლიერი სიუჟეტური ხაზია ამ რომანში, უფრო მეტიც, სწორედ ამიტომ ჰქვია მას „მზიანი ღამე“, სწორედ დედამისი უნათებს თემოს ცხოვრების გზას, ხოლო სიკვდილის შემდეგ უტოვებს სულსა და მზეს. დიდი ემოციური ძალითაა დაწერილი ეპიზოდი დედის საფლავზე, როდესაც თემო თავის საცოლეს ლიას გარდაცვლილ მშობელს წარუდგენს და აცნობს.

საინტერესოდაა გამოკვეთილი რომანში თემოსა და აბიბოს ურთიერთობის სიუჟეტური ხაზიც. აბიბოს სახის სრულად გახსნისათვის მწერალი არ უბრუნდება წარსულს და არ აფორიაქებს მკითხველის გრძნობებს გარდასულ ბოროტებათა გახსენებით, მაგრამ ჩვენთვის ისედაც ნათელია, თუ დღევანდელი აბიბო რა იქნებოდა ოცდაათიანი წლების მეორე ნა-

ხევაიში, როდესაც სულით მდაბალი ადამიანები ხშირად აღწევდნენ თავის საწადელს და ტალახში სვრიდნენ პატიოსანი ხალხის სახელს. აბიბო დღესაც კი, როდესაც ყველა ბოროტება წარსულს ჩაბარდა, სიამოვნებას ნახულობს იმაში, რომ დაასმინოს თემოს მეგობარი რამაზ კორსაველი, რომელსაც გულწრფელად სურს თავისი ახალგაზრდული ცოდვების მონანიება. ნოდარ ღუმბაძეცა და მისი გმირიც ყოვლის შემნდობთა როლში გამოდიან. როდესაც თემო თავის ადამიანურ ვალს ბოლომდე პირნათლად მოიხდის მომაკვდავი აბიბოს წინაშე.

თემო ბარამიძეს, ახალგაზრდა კაცს სხვა მძიმე განცდებიც აქვს, მისი ცხოვრება სავსეა ფიქრითა და დარდით, ზრუნვითა და ოცნებით. თემო არის ადამიანური სიწრფელისა და სინდისიერების განსახიერება, ამიტომ კარგავს იგი გულიკოს და იძენს ლიას, ასე ახლოს მიაქვს გულთან თავისი მეგობრის რამაზ კორსაველის უბედობა, ერთის ნახვით უმეგობრდება ართავაზას.

თუმცა ნოდარ ღუმბაძის ამ რომანში, როგორც ვნახეთ, მოქმედება მძაფრად, დრამატულად ვითარდება და მისი გმირის ცხოვრებაც სავსეა მძიმე განცდებით, მაინც ეს ნაწარმოებიც, ისევე როგორც ავტორის ადრინდელი რომანები, სავსეა ხალისიანი იუმორით. ეს ნოდარ ღუმბაძის დამახასიათებელი მანერაა, რომელსაც დღემდე არ ღალატობს იგი. მწერალი გვიძულებს ცრემლნარევი ღიმილით ვიკითხოთ მისი ხალისიანი გმირების სევდიანი თავგადასავალი. თემო ბარამიძის ძალა სწორედ მის დაუშრეტელ იუმორშია, მას შესწევს უნარი ყველაზე დიდ სირთულეებზეც კი თავისი ცხოვრების გზაზე იუმორით ილაპარაკოს და ეს გმირის სულიერ გუნებობაზე მეტყველებს მხოლოდ. ნოდარ ღუმბაძის ეს საოცრებით, სიყვარულითა და ხალისით სავსე ნაწარმოები დიდის ინტერესით იკითხება, მიუხედავად იმისა, რომ ერთი დამახასიათებელი ნაკლი მასაც სდევს თან. ესაა კომპოზიციის სიმყიფე და ზოგჯერ ერთგვარი ღალატი ზომიერების გრძნობისა. ნოდარ ღუმბაძის დაუშრეტელი იუმორი ზოგჯერ, სამწუხაროდ, ანეგდოტურ იერს იღებს და თავისთავად, არაორგანული ნაწილის შთაბეჭდილებას სტოვებს რომანში.

აქამდე ისეთ ნაწარმოებებზე გვექონდა საუბარი. რომლებშიც მახვილი სოციალური პრობლემები იყო დასმული და გმირების განცდაც მათი საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ურთიერთობით იყო შეპირობებული. მაგრამ ადამიანის სიხარულსა თუ მწუხარებას მარტო ეს როდი განსაზღვრავს. ლიტერატურას კი ადამიანის სულის მოძრაობის ყოველი შემთხვევა აინტერესებს, რითაც არ უნდა იყოს იგი გამოწვეული. პირადი შემთხვევითი უბედურების განცდა, რომელიც არ არის დამოკიდებული ცხოვრების პირობებზე, არანაკლებ საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უფრო მოკლებულია დროის კონკრეტულ ნიშნებს. ამის ერთ თვალსაჩინო ნიმუშს თანამედროვე ქართულ მწერლობაში ოტია იოსელიანის მოთხრობა „ლევანა“ წარმოადგენს. მხნე და გამრჯე გლეხს ლევან კიკაბიძეს ორი მოსწრებული, საცოლშილო ვაჟკაცი ერთ დღეს დაეღუპება, დედაც მალე გადაჰყვება დარდს და ლევანა — ეს „თბილი მიცვალებული“ — მას შემდეგ უშფოთველად და უმოძრაოდ ხვდება ყოველ დილას. შეძლებული ოჯახი გაუნადგურდა, ძროხა მეზობლებმა წაიყვანეს მოსავლელად, ხარები ბრიგადირმა გარეკა, კატამაც კი მიატოვა კერა და დარჩა ლევანა მარტოდმარტო თავის სიზმრებთან და მოგონებებთან ერთად. ლევანა ყოველ ღამე სედავს სიზმრად თავის შვილებსა და მეუღლეს, ხოლო დღისით სიზმრად ნანახს იგონებს და ისე ესაუბრება შვილებს. თითქოს მართლაც გვერდით ჰყავდეს. ზრუნავს მათ დაცოლშილებზე, ჰკუთას არიგებს, უფროს-უმცროსობას ასწავლის, ზეუღლეს უწყობს, რომელიც მუდამ ქომაგობს ბავშვებს. მწერალი შესანიშნავად გადმოგვცემს ლევანას მდგომარეობას. რომელიც გამოეთიშა ამ სამყაროს და თავისი მოჩვენებითი ცხოვრებით ცხოვრობს. ოტია იოსელიანი ფსიქოლოგიურად სწორად და საინტერესოდ ხსნის ლევანას გამოფხიზლებას. ვერც მეზობლების რჩევა-დარიგებამ გასჭრა, ვერც ათასგვარმა ხერხმა, რომელიც კეთილმა ხალხმა იხმარა, ლევანა თავისი შვილების აჩრდილებთან ცხოვრობდა და სხვას არავის ამჩნევდა. მხოლოდ მიწის ძალამ სძლია, გლეხის ბუნებამ გაიმარჯვა და ლევანა, ეგონა შვილს მივსდევო, ისე გაუძღვა ხარებს ყანაში, მთელი ღამე იშრომა და დაღლილ-დაქანცულს მკვდა-

რივით ჩაეძინა. იმ ღამეს პირველად ვერ ნახა შვილები სიზ-
მარში და დილით მთელ სოფელს ესმოდა ლევანას ბლავილი.
მხოლოდ ახლა შეიგრძნო ლევანამ რეალურად შვილების და-
ლუბვა, მაგრამ, ამასთანავე, ესაა დასაწყისი ლევანას ცხოვრე-
ბისაკენ მობრუნებისა. ოტია იოსელიანის ეს მოთხრობა არა
მარტო ადამიანური განცდის სიღრმით არის საინტერესო, ან
ცხოვრების უძლეველობის ამ უბრალო და ძლიერ გამოხატვა-
შია მხოლოდ მისი ღირსება, არამედ დაწერილია უზადოდ,
სადაც ყოველი სიტყვა თუ ფრაზა ზუსტად არის მიგნებული
და ფსიქოლოგიურად მართალია.

საერთოდ, ოტია იოსელიანს გამახვილებული აქვს ინტე-
რესი ადამიანის შინაგანი განცდის ფსიქოლოგიური ახსნისა
და მოტივირებისაკენ. მას არა ერთი მოთხრობა აქვს დაწერი-
ლი, სადაც ეს განცდა დაუძლეველი ადამიანური ბუნებით
აქვს მხატვრულად ახსნილი და ეს მწერლისეული ახსნა ფსი-
ქოლოგიურად ზუსტია. „ლევანასთან“ შედარებით უფრო
მსუბუქადაა დაწერილი სხვა, ფსიქოლოგიურად არანაკლებ
საინტერესო მოთხრობა „ქვრივის ცრემლები“. „ლევანაში“
მწერალი ისევე მძიმედ მოგვითხრობს ამბავს, როგორადაც
მძიმეა თვით ეს ამბავი, და ამიტომ, მკითხველი უკანასკნელ
ფრაზამდე ვერ ამოისუნთქავს თავისუფლად. „ქვრივის ცრემ-
ლები“ თუმცა ამ მხრივ უფრო ლაღი საკითხავია, მაგრამ გმი-
რის განცდა არანაკლებ რთულია, რადგან აქ ადამიანის ბუნება
და მოვალეობის გრძნობა, სინდისი ებრძვის ერთმანეთს.
ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქვრივი დარია უმწიკვლოდ
ინახავს ოჯახის ნამუსს, თუმცა არცთუ იოლია ეს მისთვის,
რადგან ბუნება ამ ჭანმრთელი ქალისა თავისას მოითხოვს.
მკითხველი დაძაბული ელის ფინალს, თუ რითი დამთავრდე-
ბა დარიასა და ლუკაიას მგზავრობა წისქვილიდან სახლამდე.
დარია სულ ილის ლუკაიას შემოტევას, სულ ამის შიშშია. გუ-
ლი გამალებით უცემს და თავის ფიქრებში ანამუსებს ლუკა-
ის, არ ჩაიდინოს ცოდვა, მაგრამ ამასთან შეუერიგდა ბედს,
რადგან საკუთარი ჭანმრთელი ორგანიზმიც ამბობებულა მის
წინააღმდეგ. ეს ღელვა კი ამაოდ ჩაუვლის, ლუკაია მშვიდად
გადმოუგდებს ტომარას და ვერც კი შენიშნავს, რომ ქალს
მოლოდინში თვალები დაუხუჭავს და ერთიანად ცახცახებს.

ეს სუფთა ნოველისებური ფინალი, რომელსაც თბილი იუმორი დაჰკრავს, არ ანელებს დარიას განცდის სიმძაფრეს.

ზემოთ ერთხელ უკვე აღვნიშნე და ახლა კვლავ მინდა გავიმეორო, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობაში ერთბაშად მოვიდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ნიჭიერი მწერლების ჯგუფი. და ეს ყველაზე სასიხარულო მოვლენაა უთუოდ. ამ წერილში განგებ არ გამოვყავი ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსები და მათი ნაწარმოებები, რადგან უფროსი თაობის მწერლებიცა და ახალგაზრდებიც ერთად, ერთმანეთის მხარდამხარ ემსახურებიან თანამედროვე ქართულ მწერლობას. იმ თემატური თუ პრობლემატური მიმოხილვითა და ანალიზით, რომელსაც მივმართე თანამედროვე მწერლობაზე მსჯელობის დროს, ვფიქრობ, ერთხელ კიდევ ნათელი გახდება ჩვენთვის, რომ უფროსებსაც და უმცროსებსაც უფრო მეტი რამ აქვთ საერთო, ვიდრე განსხვავებული. რაც მთავარია, მათ აერთიანებთ არა მარტო ერთი შემოქმედებითი მეთოდი, ან ერთი მსოფლმხედველობა, ან ერთი მიზანი (სხვაგვარად ხომ არც შეიძლება იყოს), არამედ საერთო ინტერესებიც, პრობლემებიც, თემებიც, თუმცა, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ორიგინალური კუთხით აქვს თვითეულ მათგანს დანახული და თავისებურად, ხშირ შემთხვევაში განუმეორებლად გახსნილი. მიუხედავად ზემოთქმულისა, უნდა მაინც გამოვყო ცალკე ორი ახალგაზრდა მწერალი, გურამ რჩეულიშვილი და რევაზ ინანიშვილი, რადგან ისინი თავისი ორიგინალური ხედვითა და მანერით მეტისმეტად გამოირჩევიან თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

აორამ რჩეულიშვილმა, შეიძლება ითქვას თვალისმომჩრელი მეტეორივით გაიქროლა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. თუმცა ეს შედარება სულ ზუსტი არ იქნება, რადგან ამ ახალგაზრდა კაცმა შეძლო ღრმა და ხანგრძლივი კვალი დაეტოვებინა ქართულ მწერლობაში. როდესაც გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების კრებულს ვკითხულობთ, ერთი მხრივ გვიკვირს, თუ სულ სამი-ოთხი წლის მანძილზე რამდენი რამის გაკეთება, უფრო სწორად, შექმნა შეძლო მან, ხოლო მეორე მხრივ ისიც გვაკვირვებს, თუ ამ თავისი რამდენიმე მოთხრობით, რომლებმაც ერთი მომცრო კრებული შეად-

გინეს მხოლოდ, როგორ შეძლო ამ ახალგაზრდა კაცმა არა მარტო თავისი სახელი დაემკვიდრებინა ქართულ მწერლობაში, არამედ თავისი გავლენაც მოეხდინა ქართულ, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქართულ მწერლობაზე. გურამ რჩეულიშვილის საუკეთესო მოთხრობები „თვირთვილა“, „სალამურა“, „სიკვდილი მთებში“, „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“, „ალავერდობა“, „ბათარეკა ჭინჭარაული“ ამავე დროს თანაბრიდროვე ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებებიც არის.

გურამ რჩეულიშვილი იყო ამაყი და ძლიერი პიროვნება, რომლის გახედნასაც ვერ შესძლებდა ცხოვრება, პირიქით, სწორედ ცხოვრების გახედნაში ხედავდა იგი თავისი თავისა და საერთოდ ადამიანის დანიშნულებას. მისი ეს განუსაზღვრელი სურვილი ცხოვრებისა და მოქმედების თავისუფლებისა შესანიშნავად გამოიხატა მისსავე მოთხრობებში. ხოლო ეს შეუზღუდველობა, თავისუფლება რისთვისაც სჭირდებოდა მას, ნათლად გვითხრა მწერალმა თავისი საუკეთესო მოთხრობით „ალავერდობა“, რომელშიც ავტორის ცხოვრების ფილოსოფიაა ჩადებული. ალავერდობაზე ჩასული ახალგაზრდა კაცი, გურამი (გმირისა და ავტორის სახელის დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს) უყურებს ამ გაუთავებელ ღრეობას, უაზროდ ატორტმანებულ და აცეკვებულ ბრბოს, და ამ როკვაში სრულ ინერტულობას ხედავს. „უმინო, დაუოკებელი ვნება სუფევს გარშემო... უყურებს მათ ჩვენი მოთხრობის. გმირი და რალაც ცრემლებივით ებჯინება ყელში. ნუთუ ამ უთავბოლო აურზაურისა და ღრეობის საყურებლად მოვიდა აქ“... გურამი ერთი წუთით შეძლებს მთალავერდეების ამ დამაჩლუნგებელი ბურანიდან გამოყვანას, როდესაც თუშის ცხენს მოიტაცებს და გოყური ქენებით დააფეთებს მოქეიფებს. მაგრამ ისევ მალე დაკარგავენ მისდამი ინტერესს და გუმბათის ლავგარდანზე გადმომდგარი გურამი არათუ თავის, სხვის უმოქმედობას შეუწუხებია. „ის ფიქრობს: საიდან მოდის ეს სიცოცხლისუნარიანობა, და პასუხობს: ის თვითონ ჩემშია, ის თვითონ ხალხშია, მაგრამ აქ ზოგიერთნი დაბნეულან და ველარ გრძნობენ შემოქმედის ნამდვილ სიამოვნებას, სიამოვნებას შრომისა, რადგან ვნების სიმძაფრე

„შენებაშია და არა აშენებულთ ტკბობაში“. გურამ რჩეული-
შვილისათვის სწორედ ეს შენებაა მთავარი, და არა აშენებუ-
ლთ ტკბობა, ესაა წყარო მისი ენერჯისა, მოქმედების სურ-
ვილისა, ესაა მისი ცხოვრების აზრი. ეს დიდი სათქმელა
გვიანდერძა გურამ რჩეულიშვილმა თავისი შესანიშნავი მოთ-
ხრობით „ალავერღობა“.

სულ სხვა მომხიბლაობა აქვს რევაზ ინანიშვილის მოთ-
ხრობებს, რომლებიც მწერალმა კრებულში „წვეთები ფოთ-
ლებზე“ გააერთიანა. თვით სათაურიც შესანიშნავად არის
შერჩეული მოთხრობებისათვის, რადგან მომხრონი. ანკარა-
ნი, გამქვირვალენი, ისინი მართლაც წვიმის წვეთებს ჰგვანან.
ხოლო კრებულიდან მწვანისა და ფოთლების სურნელი იღვ-
რება და ათრობს მკითხველს. საერთოდ, ეპიგრაფი იმის ეპიგ-
რაფია, რომ ესადაგებოდეს ნაწარმოების აზრსა და სულისკვე-
თებას, მაგრამ თითქოს საგანგებოდ რევაზ ინანიშვილის მოთ-
ხრობებისათვის დაწერაო თანამედროვეობის დიდმა იტალი-
ელმა პოეტმა სალვატორე ქვაზიმოდომ ის, რაც ამ წიგნს წინ
უძღვის:

„... ჩვენ გვინდა ქალაქგარეთ გავიდეთ,
ბალახებზე წამოვწვეთ უიარაღოდ, უდაფდაფოდ,
და ვუსმინოთ, როგორ სცვივათ მწვანე ფოთლებს
წვიმის წვეთები,
როგორ ეცემიან ეს წვეთები ჩვენს თმებს,
და თმებს იმ ქალისას,
რომელიც ჩვენ გვიყვარს...“

რევაზ ინანიშვილის მოთხრობები შესანიშნავი ნიმუ-
შია ლირიკული პროზისა. მწერალი აქ არ გვთავაზობს დიდ
ადამიანურ ვნებათაღელვებასა და ცხოვრების მძაფრ ხილვას,
იგი არავის და არაფერს არ ებრძვის, მას უბრალოდ მთელი
გულით, მთელი არსებით უყვარს ის წმინდა და ნათელი, რაც
ასე უხვადაა ბუნებასა და ადამიანში. ამის მეტს ის არც არა-
ფერს ხედავს. იმ სამყაროში, რომელსაც დაუტყვევებია მწე-
რალი, მხოლოდ სიყვარული და იდილია სუფიჟს. რიგაზ ინა-
ნიშვილის მოთხრობები ეგრეთწოდებულ უსიუჟეტო მოთხ-
რობებს მიეკუთვნებიან, არც ერთი მათგანის მოყოლა არ
შეიძლება, ისევე როგორც ვერ მოყვები კარგ ლექსს. ეს წიგ-

ნი „წვეთები ფოთლებზე“ უშუალო, პოეტური განცდის ნიმუშია და არა ცხოვრების დაკვირვებული შესწავლის შედეგი; ცხოვრებაზე, სიცოცხლეზე, ადამიანზე შეყვარებულის დაღაღისია, მწერლის დიდი და კეთილი გულის გამოსხივებაა.

თანამედროვე ქართული მწერლობა დიდი ინტერესით ეკიდება სამამულო ომის თემას. ეს არცაა გასაკვირი და მას რამდენიმე საფუძვლიანი მიზეზი აქვს. თვით ომის წლების ქართული პროზა საკმარისად ღარიბია ნაწარმოებთა სიუხვის მხრივაც და, მით უფრო, თავისი მხატვრული ღირსებებით. ომის წლებში დაწერილი ქართული მოთხრობები და რომანები საკმაოდ შიშვლად, სწორხაზოვნად ქადაგებდნენ საბჭოთა პატრიოტიზმს, გვიჩვენებდნენ საბჭოთა ადამიანების გმირულ ბრძოლას სამშობლოს დასაცავად, ან საბჭოთა მშრომელების თავდადებას გამარჯვების გამოსაქედად. ასეთი ნაწარმოებები საჭირო იყო ხალხისათვის ომის წლებში, მაგრამ მათ დიდი დღე არ ეწერათ, რადგან ჰემმარიტ მხატვრულ აზროვნებასთან საერთო ძალზე ნაკლები ჰქონდათ. სამწუხაროდ, არც ომის შემდგომ წლებში გაკეთებულა ბევრი რამ სამამულო ომის თემის მხატვრული ხორცშესხმის თვალსაზრისით. ამ დიდ თემას არ ეყოფოდა ლეო ქიაჩელის „მთის კაცი“ და დემნა შენგელაიას „წითელი ყაყაჩო“, მით უმეტეს, რომ თვით ეს გამორჩეული ნაწარმოებებიც ბევრწილად სცოდავდნენ მხატვრულობის თვალსაზრისით. საერთოდაც, ომის შემდგომ წლებში, საყოველთაოდ ცნობილ გარემოებათა გამო, არც გაგვაჩნდა ხელსაყრელი პირობები ისეთი დრამატული ეპოქის წარმოსახავად, როგორც ომის წლები იყო. ასე რომ, ქართული მწერლობის ეს დიდი ინტერესი სამამულო ომის ეპოქისადმი, პირველ რიგში, ვფიქრობ, სწორედ იმით უნდა აიხსნას, რომ მას დღემდე ძალზე სუსტად აქვს გამოყენებულო ეს მეტად საინტერესო მასალა. ამას გარდა, სამამულო ომი იმდენად ამოუწურავი თემაა, რომ იგი დიდხანს იქნება კიდევ საბჭოთა მწერლობის შთაგონების წყარო. ამ ომის დროს განსაკუთრებით მკაფიოდ გამომჟღავნდა საბჭოთა ადამიანის მაღალი ეროვნული შეგნება, პატრიოტული სულისკვეთება, შეუდრეკელი ხასიათი, მორალური სიძლიერე, ერთი სიტყვით, სრულად გაიხსნა საბჭოთა ადამიანის სული-

ერი სამყაროს სილამაზე და, ბუნებრივია, ყველაფერი
ეს იზიდავს საბჭოთა მწერლობას. მართალია, ომმა თან
მოიტანა ათასი უბედურება, განსაცდელი, გაჭირვება,
მაგრამ სწორედ ამ მძიმე ცხოვრების დაძლევაში გამოჩნ-
და საბჭოთა ადამიანის გულგაუტეხელობა, სულიერი მხნე-
ობა. თანამედროვე მწერლობა, წინა წლების მწერლობისაგან
განსხვავებით, ცალმხრივად, საბჭოთა ადამიანის მხოლოდ
ამ სულიერი მხნეობის და მაღალი მორალური თვისებების
გამოხატვით კი არ კმაყოფილდება, არამედ ომის წლების
მძიმე ცხოვრების მართალი სურათების შექმნით, ადამიანების
მართალი განცდების გამოხატვით გვიხსნის ამ სულიერი
მხნეობის წყაროსა და საფუძველს. საკმარისია გავიხსენოთ
ისეთი ფართო ეპიური ტილოები, როგორცაა რევაზ ჯაფა-
რიძის „ჯარისკაცის ქვრივი“ და „მარუხის თეთრი ღამეები“,
ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“, ნოდარ დუმბაძის „მე,
ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“, ან გავიხ-
სენოთ კონსტანტინე ლორთქიფანიძის, სერგო კლდიაშვილის,
არჩილ სულაკაურის და სხვების მოთხრობები, რომ ნათელი
გახდეს, თუ რა შრავალმხრივ, სხვადასხვა კუთხით, სხვადას-
ხვა ასპექტშია გახსნილი ომის თემა უკანასკნელი წლების
ქართულ პროზაში.

მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ეს თე-
მა ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ შორსაა ამოწურვისაგან,
თუკი საერთოდ შეიძლება მისი ამოწურვა. ქართულ ლიტერა-
ტურას, მით უმეტეს პროზას, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი აქვს
გასაკეთებელი. განსაკუთრებით ცოტაა დაწერილი თვით
ფრონტულ ცხოვრებაზე. ეს შეიძლება იმითაც იყოს გამოწ-
ვეული, რომ პირად შთაბეჭდილებას, განცდას, უშუალოდ
ცხოვრებისაგან მიღებულ დაკვირვებებს, გადამწყვეტი თუ
არა, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლისათვის და შე-
იძლება ნაწილობრივ ამითაც აიხსნას ქართულ მწერლობაში
ფრონტული ყოფის გამოხატვის სიძუნწე. ამ მოსაზრების
მართებულობაში ისიც გვარწმუნებს, რომ ფრონტული ყოფა
იმ ქართველმა მწერლებმა გაგვიხსნეს და წარმოგვისახეს სა-
ინტერესოდ, რომლებსაც ეს პირადი გამოცდილება და უშუ-
ალო განცდა სწორედაც რომ ჰქონდათ. მე მხედველობაში

მაქვს რევაზ ჭაფარიძის ვრცელი მოთხრობა „მარუხის თეთრი ღამეები“ და კონსტანტინე ლორთქიფანიძის „სიკვდილი ცოტას მოიცდის“.

რევაზ ჭაფარიძე, როგორც ეს ამ წერილიდან აშკარად ჩანს, მეტად ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას ეწევა ამ უკანასკნელ წლებში. სწორედ ამ წლებში დაწერილ ერთ-ერთ მის ნაწარმოებთაგანს წარმოადგენს „მარუხის თეთრი ღამეები“, ვრცელი დოკუმენტური მოთხრობა, რომელიც თავისი ღირსებებით არ ჩამოუვარდება მწერლის მხატვრულ ნაწარმოებებს და რომელშიც უღელტეხილის დაცვისა და ბრძოლების მონაწილე ქართველების გმირული ცხოვრების ეპიზოდები შესანიშნავადაა გაცოცხლებული.

სულ ახლახან გამოქვეყნდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის „სიკვდილი ცოტას მოიცდის“, რომელსაც მწერალმა ნამდვილი ამბავი უწოდა. ნაწარმოების სათაურის მიგნება ერთი დიდი ნიქთაგანია, რომელიც ყველა მწერალს როდი აქვს. უკვე ამ ცოტა უცნაურ სათაურში შესანიშნავად ჩანს საბჭოთა მეომრის ღრმა რწმენა მომავლისადმი, მისი გაუტეხელი გული, ვაჟკაცური ხასიათი, რაც თვით სიკვდილ-სიცოცხლესთან დაკავშირებითაც კი არ უქარგავს იუმორის გრძნობას. სწორედ ამ ვაჟკაც მეომრებზე, რომლებიც სიკვდილსაც კი მოაცდევინებენ, არის დაწერილი ეს ნაწარმოები. „სამი წელიწადი დაყავი მოქმედ არმიასი. — წერს კონსტანტინე ლორთქიფანიძე, — რაც იქ ვნახე და განვიცადე, ზოგი რამ უკვე იცის მკითხველმა ჩემი მოთხრობებიდან. ზოგზეც ახლა ვმუშაობ და, ალბათ, კიდევ დიდხანს ვიმუშავებ, რადგან, ეტყობა, იმ ომის მოლანდება კაცს ასე ადვილად არ მოშორდება“. ის, რაც მწერალმა გამოაქვეყნა, ერთი ნაწილია წიგნისა, რომელსაც იგი ამზადებს. თუ რა მიზანდასახულებისა იქნება ეს წიგნი, ამას მწერალი ახლავე გვამცნობს: „ბევრი რამ საკუთარი თვალთა ვნახე და იქვე ჩავიწერე. ეს ყველაფერი თავის ღრობზე საფრონტო გაზეთებში დაიბეჭდა და თუ ახლა ისევ განვიზრახე მათი გამოქვეყნება, — მხოლოდ იმიტომ, რომ არ მინდა დაიკარგოს მათი სახელი, ვინც ნაშუსიანად მოიხადა ყველაზე მძიმე ვალი კაცის ცხოვრებაში — ჯარისკაცის ვალი“.

როგორც გამოქვეყნებული ნაწილიდან და მწერლის ზემოთმოტანილი სიტყვებიდან ჩანს, კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი წიგნი ერთგვარად ავტობიოგრაფიული და დოკუმენტური პროზის ხასიათისა იქნება. თუმცა, ეტყობა, ეს არ უშლის ხელს, არ ზღუდავს მწერალს იმდენად, რომ დიდ განზოგადოებებს და მხატვრულ ეფექტს ვერ მიაღწიოს. მწერალი ძალზე უბრალოდ და საინტერესოდ (საერთოდ, მას ამისი ჩინებული უნარი აქვს, მკითხველს მუდამ დაბავს საინტერესო სიუჟეტითა და ენერგიული, ეფექტური თხრობით) გვაცნობს ერთ-ერთ ასეთ ვალმოხდილ ჯარისკაცს მამია ჯაიანს, რომელთანაც ერთად ფრონტის წინა ხაზზე რამდენიმე დღე დაუყვია და მისი ვაჟკაცური ხასიათი სიკვდილის პირისპირ გამოუცდია. ამასთანავე, აქვეა ერთი ჩართული ამბავი, რომელსაც ჯაიანი ყვება და რომელიც თავისთავად ბრწყინვალე ნოველაა. ჯაიანი მოენეს წამოიყვანს და როგორც გზაში გამოირკვევა, ეს მოენე ქართველი ყოფილა. ახალი გადასული მტრის მხარეზე. მთელი საოცრება ამ ნოველისა ისაა, რომ მკითხველს თანაგრძნობით განაწყობს ამ უბედური კაცისადმი. თანაგრძნობის საფუძველი ის კი არაა, რომ თავისი პირადი დიდი წყენის გამო, რაკილა მშობლები უსამართლოდ დაუღუპეს, თითქოს ჰქონდა მორალური უფლება მტრის მხარეზე გადასულიყო, არამედ ეს საფუძველი თვით ამ ტრაგიკული პიროვნების სინდის-ნამუსია. ამ დაუფიქრებელი, საბედისწერო ნაბიჯის შემდეგაც კი, რამაც მას გერმანული მაზარა ჩააცვა, იგი უნებლიედ, თუმცა გულითა და გრძნობით, საბჭოთა მეომრებს „ჩვენებს“ უწოდებს. მას დახვრეტის არ ეშინია, აი რას ემუდარება ჯაიანს: „მაგ დივიზიას თბილისიდან მოვღევ... ახლა იქ ჩვენების წინ რომ ჩამატარებენ... რანაირად შემომხედავენ!.. ამას გადამარჩინე...“ ერთადერთ ტყვიას ითხოვს ეს უბედური, სიკვდილი უნდა, ისე უნდა წავიდეს ამ ქვეყნიდან, რომ თავისი შერცხვენილი სახელი არ დატოვოს, ვერავინ გაიგოს. მწერალი ყოველ ფაქტს იქით ადამიანის სულის მოძრაობას ხედავს და ამითაა სწორედ მწერალი. აქაც კონსტანტინე ლორთქიფანიძე მარტო იმას კი არ გვიყვება, რომ ეს უცნობი იმერელი ბიჭი მტრის მხარეზე გადავიდა, არამედ მის სულში გვახედებს და ვგრძნობთ, რომ სხვაზე

თუ მეტად არა, არანაკლებ და უფრო მწვავედ ესმის მას. რომ „ლალატი შურისსაძიებლად არ გამოდგება“, ვხედავთ მის ნამუსიან კაცობას, რომელმაც საკუთარ თავს ყველაზე მკაცრი განაჩენი გამოუტანა. ვგრძნობთ, რომ ჩვენ წინ ცდომილი კაცია, არა კაცუნა, არამედ კაცი, რომელიც შენდობის ღირსია. მაგრამ ომს თავისი კანონები აქვს. ასეთ წინააღმდეგობაში მოექცა, უფრო სწორად მოიქცია, თავისი თავი მწერალმა. როგორ უნდა გადაწყვიტოს იგი, ეს იმერელი ბიჭი უნდა ჩამოიყვანოს ჭაიანმა და ტრიბუნალს გადასცეს, თუ ერთი ტყვია შეაწიოს მას? მწერალმა არ დაამთავრა ნოველა, ხერხი იხმარა, ჭაიანს სასწრაფო დავალების მიღებით თხრობა შეაწყვეტინა და მკითხველი „უმოწყალოდ“ ასეთ დიდ საგონებელში ჩააგდო.

ფრონტულ ცხოვრებაზეა დაწერილი არჩილ სულაკაურის მოთხრობა „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“. უფრო სწორად, აქ ფრონტული ყოფა მწერალს გამოყენებული აქვს იმისათვის, რომ დიდ განზოგადობამდე აიყვანოს ჭარისკაცის ტკივილი და მისი მამაკაცური სინდისის ხმა გაგვაგონოს. მწერალს აქ არ აინტერესებს საბრძოლო ეპიზოდები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მის გმირს თავისი დიდი სინდისი და მამულისადმი ვალის გრძნობა გამოამჟღავნოს. ამის ჩვენებას არჩილ სულაკაური გმირის სულიერი მდგომარეობის ფსიქოლოგიური ანალიზით ახერხებს და. უნდა ითქვას, რომ ამ ხერხით შესანიშნავად გვაჭერებს თავისი ჭარისკაცის დიდებულებოვნებაში. მომავლადეი ჭარისკაცის უცნაური სიმღერა ღიად დარჩენილ საფლავებზე, იმ საფლავზე, რომელიც ქალიშვილს გაუთხარა, მაგრამ ვერკი დამარხა, მართალი სინდისის ძლიერი ხმაა, რომელიც უთუოდ წალეკავს ბოროტებას.

ქართულ ლიტერატურაში უფრო მრავალმხრივია წარმოსახული საბჭოთა ადამიანების ცხოვრება სამამულო ომის წლებში. საბჭოთა ადამიანების იმედები, ტკივილები, შეუპოვრობა, ამტანობა, მოქალაქეობრივი და მამულიშვილური გრძნობა ამ დიდი განსაცდელის უამს არანაკლებ ამაღელვებელია, ვიდრე ფრონტელი მებრძოლებისა და ყველაფერი ერ-

თად კი გვიხსნის ხალხის იმ შეუდრეკელ ხასიათს და ნებისყოფას, რომელიც წყვეტს ომის ბედს.

სამამულო ომის წლების ცხოვრებაზეა დაწერილი უკანასკნელი წლების ისეთი მნიშვნელოვანი რომანი, როგორცაა რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“. ამ ფართო ეპიურ ტილოზე მწერალმა საინტერესოდ დაგვიხატა ქართული სოფლისა და მისი მკვიდრების ცხოვრება ომის მძიმე წლებში. მწერალი ცხოვრების ფართო პანორამას იძლევა, უამრავი გმირები შემოჰყავს მოქმედებაში, მაგრამ ყველას და ყველაფერს ჩრდილავს ხათუნა მინდელის, ჯარისკაცის ქვრივისა და ქართველი დედის მონუმენტური ფიგურა. ესაა ქართველი ქალის სინდისისა და ნამუსის სიმბოლო, თუმცა ეს სულაც არ უშლის ხათუნა მინდელს ცოცხალი ადამიანის განცდითა და ტკივილებით, გასაჭირითა და მხნეობით წარმოგვიდგეს თვალწინ. ხათუნას შეუდრეკელი ხასიათი, მისი უტეხი ნებისყოფა, მისი მოქმედება ერთი დიადი მიზნითაა შთაგონებული, მას არა აქვს უფლება გააციოს თავისი ქმრის, დაღუპული ჯარისკაცის კერა. ამ დიდი მიზნის გამო უარყოფს ხათუნა შედარებით იოლ ცხოვრებას მშობლებთან და უმამაკაცოდ მარტოდმარტო ეწევა ცხოვრების მძიმე ჭაპანს. ბევრ განსაცდელს გადაიტანს ხათუნა. ამ ახალგაზრდა, გამოუცდელი ქალისთვის გაციებული კერის აღდგენა, ცხოვრების სიძნელებთან ბრძოლა, შვილების ნამუსიანად აღზრდა, ცოცხალი ადამიანის ვნებებთან ბრძოლა იოლი საქმე არ არის, მაგრამ ყველაფერს სძლევს, სძლევს იმიტომ, რომ ეს ისეთივე ჯარისკაცული ვალია მისთვის, როგორ ვალსაც შეეწირა მისი მეუღლე. ხათუნა მინდელი ისევე, როგორც ქართველის დედა, ღრმად გვარწმუნებს იმაში, რომ ის ხალხი, რომელიც ასეთ მეუღლესა და დედას ზრდის, არ გადაშენდება, არ მოშლის ქართულ ოჯახს და კვლავაც დაზრდის ისეთ შვილებს, რომლებიც, თუ ამას მამული მოითხოვს, მამის კვალზე წავლენ და ვაჟკაცურად გასწირავენ თავს, რადგან ხათუნა მინდელეები რჩებიან იმედად. რევაზ ჯაფარიძის ეს რომანი მნიშვნელოვანია თავისი ამ დიდი იმედით, რომელსაც ასე მძლავრად გვაგრძობიანებს ცხოვრების მძიმე გზაზე ამაყად და მტკიცედ მიმავალი ხათუნა მინდელი.

ომის წლებში ვაჟკაცდებიან ნოდარ ღუმბაძის რომანების „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“ გმირები ზურიკელა ვაშლომიძე და სოსოია. ნოდარ ღუმბაძის ამ რომანებმა, რომლებიც სავსეა დიდი ადამიანური სითბოთი, ღრმა ჰუმანიზმით, ცხოვრების სიხალისით, ადამიანური ტკივილებით, ღრმა ოპტიმიზმითა და დაუშრეტელი იუმორით, სავსებით დამსახურებულად მოიპოვეს ქართველი, და არა მარტო ქართველი მკითხველის დიდი მოწონება და სიყვარული. ამ წმინდა ოთხეულის — ზურიკოს, ბებიას, ილიკოსა და ილარიონის — სიყვარულით სავსე ურთიერთობა ადამიანის კეთილი ბუნების მხატვრულად მართალი, ორიგინალური და შთამბეჭდავი გამოხატულებაა. არც ზურიკოსა და არც სოსოიას არა აქვთ უზრუნველი ბავშვობა, მათ საკმაოდ ადრე დააწვათ ამქვეყნიური უღელი მხრებზე და ეს იმიტომ. რომ ომის მძიმე წლებში უხდებოდათ ცხოვრება, მაგრამ ათ ამის გამო არ დაუკარგავთ არც ცხოვრების ხალისი, არც ბავშვური უშუალობა და ადამიანებისადამი დიდი სიყვარული.

მხატვრული ღირსებისათვის, თუნდაც გამოხატვის სისრულისათვის ლიტერატურული ნაწარმოების მოცულობას რომ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ამას ერთხელ კიდევ გვახსენებს კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და სერგო კლდიაშვილის ბრწყინვალე ნოველები „ცაბუნია“ და „ჭინკა ბიჭები“. ამ ორ სულ რამდენიმეგვერდიან ნაწარმოებში, კონკრეტულ პატარა ფაქტთან დაკავშირებით, შესანიშნავადაა გადმოცემული ომის დრამატული განცდაც. ადამიანების დიდი ჰუმანური ბუნებაც და ცხოვრების ღრმა ოპტიმისტური ხილვაც. კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობის გმირი პატარა ცაბუნია, რომელიც ყოველ დილით მორბის სოფლიდან სადგურში, ეგებ ფრონტიდან მომავალმა დაჭრილებმა მამის ამბავი მოთხრან და ავადმყოფი დედა გავახაროო. დიდხანს უტოვებს ტკივილს მკითხველს და ერთხელ კიდევ განაცდევინებს მთელი სიმძაფრით ომის ტრაგედიას. ამ ტკივილს მხოლოდ უცნობი დაჭრილი ჯარისკაცის დიდი ადამიანური გულით ნათქვამი ტყუილი აყუჩებს და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ცაბუნიას ირგვლივ კეთილი ხალხია, რომლებიც თავისი სიკეთით გაათბობენ დარდისა და სიცივისაგან გათოშულ გოგონას. როგორი

იქნება ცაბუნიას ბედი, საერთოდ, ცაბუნების ბედი, ამ კითხვას ღრმა ოპტიმიზმით პასუხობს სერგო კლდიაშვილის ნოველა „ჭინკა ბიჭები“. ჭინკა ბიჭების მამებიც არ დაბრუნდნენ, ომიდან, შემდეგ მეორე ომში თვით დავაჟკაცებული „ჭინკა ბიჭები“ დაიკარგნენ და ამ სევდიან მოგონებას თავის მშობლიურ სოფელში ჩასულ მწერალს ერთბაშად უქარვებს ყრიაბული ბავშვებისა, მესამე თაობის ჭინკა ბიჭებისა და იგი გრძნობს, რომ ცხოვრება ძლიერია ომზე, რომ სიკეთე მარადიულია, რომ ჭინკა ბიჭებს არ უწერიათ გადაშენება და ეს იმედითა და ხალისით ავსებს მას.

ომის ეს დრამატული, მაგრამ ერთდროულად ოპტიმისტური განცდა უდევს საფუძვლად ოტია იოსელიანის რომანს „ვარსკვლავთცვენა“. ის, რაც სერგო კლდიაშვილთან ნოველისებური ხერხითაა გადაწყვეტილი, აქ უკვე ვრცელ ეპიურ ტილოს ავსებს. გოგითა და მისი ამხანაგები რიკტაფელას თამაშით ხვდებიან ომს და მათი ბავშვობა ამით მთავრდება, მამაკაცებისაგან დაცლილ სოფელში ეს ცხოვრებისაგან ნაადრევად მომწიფებული ბავშვები ებმებიან ცხოვრების უღელში. ომის ტრაგედია მარტო ბრძოლის ხაზზე კი არ იშლება, იგი ყველგან სწვდება, ცხოვრების ყველა კუნძულს აღწევს. მწერალი გვარწმუნებს, რომ სოფელში დატრიალებული მთელი უბედურება, რაც მთავარია ფატის დაღუპვაც, რომელიც ვერ მოერია თავის თავსა და ცხოვრების წყურვილს, ყველაფერი იმ საერთო ბოროტების ბრალია და არა ამ ადამიანებისა. ფატიც ერთი ჩვეულებრივი, ადამიანური და წმინდა მსხვერპლია ომისა. მწერალი სოფლის, კერძოდ კი გოგითასა და ფატის ამ დიდ ტკივილებზე მოგვითხრობს მხოლოდ და გმირების ამ მძიმე, ტრაგიკული ცხოვრების განცდას ეპილოგის ნათელი ოპტიმიზმი ცვლის, სადაც კვლავ გაისმის რიკტაფელას თამაშით გართული ბავშვების უდარდელი ხმები. გოგითას დარდი, შავებიანი ქალის დარდი, რომელიც თავის ამბაკოს ამბავს ეკითხება შემხვდურთ, ნელ-ნელა ქრება, რადგან უცხოა იმათთვის, ვისაც ეს თვითონ არ განუცდია, ვინც ომის მერე წამოჩიტულა და დავაჟკაცებულა და ამაშია ცხოვრების მარადიულობის კანონი.

ვფიქრობ, ამ წერილიდანაც ნათელი უნდა იყოს მკითხ-

ველისათვის, თუ რამდენად მრავალფეროვანია თავისი პრობ-
ლემატიკითაც და გამოხატვის საშუალებებითა და ხერხებითაც
თანამედროვე ქართული პროზა. თუ იმასაც დავსძენთ, რომ
უკვე ნახსენებ მწერლებთან ერთად ნაყოფიერ შემოქმედებით
შრომას სხვებიც ეწევიან, თუ გავიხსენებთ თანამედროვეო-
ბისადმი მიძღვნილ ისეთ საინტერესო წიგნებს, როგორცაა
ედისერ ყიფიანის „გოგონა, რომელსაც ზღვა არ უნახავს“,
ნოდარ წულუისკირის „თეთრი მთა“, მერაბ ელიოზიშვილის
„მოლოდინი“, გურამ გეგეშიძის „მზეა, თბილა“, რეზო ჭეი-
შვილის „ბზიანეთი“, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება
თანამედროვე ქართული პროზის სიძლიერე და მრავალფე-
როვნება.

თანამედროვე ქართულ პროზაზე მთლიანი შთაბეჭდილე-
ბა არ შეგვექმნება, თუ არ გავიხსენებთ ისტორიული ხასიათის
ნაწარმოებებსაც. მე-20 საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ
საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ სახეობის გან-
ვითარებაში. იმდენად დიდი იყო ყურადღება და ინტერესი
ისტორიული თემებისადმი, რომ ხშირად კიდევ საყვედურობ-
დნენ ისტორიზმით გატაცებას. ეს საყვედურები მათი ავტო-
რების სინდისზე იყოს, რადგან ძალზე ხშირად ისტორიული
ნაწარმოებები უფრო აქტიურად და გულმართლად ეხმაურე-
ბიან თანამედროვე ცხოვრებას, ვიდრე ამ უკანასკნელზე სა-
განგებოდ დაწერილები. ამდენად, საგანგაშოს ამაში არაფერს
უნდა ხედავდნენ. ყოველ შემთხვევაში, თანადროულობის თე-
მებისაკენ, როგორც ვნახეთ, საკმაოდ მღელვარედ, საინტე-
რესოდ და მრავალფეროვნადაა მიმართული უკანასკნელი
წლების ქართული პროზის ყურადღება. ხოლო, ამასთან ერ-
თად, თუ ისტორიული პროზაც მომძლავრდა, ეს კმაყოფილე-
ბის მეტს არაფერს შეიძლება იწვევდეს. ჩვენთვის საინტე-
რესო წლებში გამოქვეყნდა კონსტანტინე განსახურდიას „და-
ვით აღმაშენებლის“ მე-4 წიგნი, გიორგი ლეონიძის „ნატე-
რის ხე“, სერგო კლდიაშვილის „მყუდრო სავანე“. შალვა
დადიანის „გვირგვინიანების ოჯახი“, ალექსანდრე ქუთათე-
ლის „პირისპირ“, გრიგოლ აბაშიძის „XIII საუკუნის ქართუ-
ლი ქრონიკა“, რომელიც ორ წიგნს მოიცავს — „ლაშარე-
ლასა“ და „დიდ ღამეს“, ლევან გოთუას ოთხწიგნიანი „გმირ-

თა ვარამი“, გრიგოლ ჩიქოვანის „ოდნიშური მოთხრობები“ და სხვა.

ამათგან ზოგი შედარებით ნაკლებად ეკუთვნის უშუალოდ ამ პერიოდს და მათზე საგანგებოდ არ შევჩერდებით. ჩვენი სახელოვანი ქართველი პროზაიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნი ოც წელზე მეტია რაც გამოიცა და უკანასკნელი, მე-4 კი მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინ დაასრულა. აქ არ შევუდგებით ამ რომანის დახასიათებას, რადგან მისი ძირითადი, პირველი, მხატვრულადაც ყველაზე ძლიერი ტომები საგრძნობლად უსწრებს წინ ჩვენთვის საინტერესო პერიოდს. მხოლოდ ერთს აღვნიშნავ, რომ ამ ტექნოლოგიის მიმართ ხალხის დამოკიდებულების გამოხატულება იყო მისი ავტორისათვის უმაღლესი ეროვნული ჯილდოს, რუსთაველის პრემიის მიკუთვნება. მე-20 საუკუნის ქართველი ინტელიგენციის ბედ-იღბალზეა დაწერილი ალექსანდრე ქუთათელის შესანიშნავი რომანი „პირისპირ“, რომელიც ასევე მრავალი წლის მუშაობის ნაყოფია და ადრევე ცნობილი იყო მკითხველისათვის, თუმცა ბოლო თავები ახლა დაწერა მწერალმა.

სერგო კლდიაშვილის „მყუდრო სავანეც“ მწერლის ძველი ნაწარმოებების „პროვინციის მთვარის“ საფუძვლიანი გადამუშავებისა და შევსების შედეგად შეიქმნა. ავტორი მისთვის ჩვეული ოსტატობით მოგვითხრობს ქართველი ინტელიგენციის ბედზე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. თუხარელების ოჯახის ტრაგედია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ ესმით და ეშინიათ ამ დიდი სოციალური და პოლიტიკური ძვრებისა, გაურბიან ახალ ცხოვრებას და პროვინციაში ეძებენ მყუდრო თავშესაფარს. მაგრამ სწორედ ეს მყუდრო თავშესაფარი იქცევა თუხარელების ოჯახისათვის საბედისწეროდ, აქედან იწყება მათი დაკნინებაცა და ზნეობრივი დაცემაც. სწორედ ახალი ცხოვრების იმედი მისცემს ძალასა და მხნეობას ირინე თუხარელს და ნათელ პერსპექტივას სახავს მის წინაშე.

ქართული ლიტერატურის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ისტორიული პროზის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები გრიგოლ აბაშიძის რომანები „ლაშარელა“ და „დიდი

ღამეა“. საერთოდ, ისტორიული ხასიათის ნაწარმოებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. მან უნდა დაუკმაყოფილოს ხალხს ბუნებრივი და აუცილებელი ინტერესი თავისი ისტორიული წარსულისადმი. ისტორიულ მოვლენათა დაკავშირებით ისეთი პრობლემები უნდა იქნას დაყენებული, რომლებიც უშუალოდ ეხმაურებიან თანამედროვეობის მწვავე საკითხებს, ან ყოველ შემთხვევაში თანამედროვე ადამიანის ინტერესების სფეროს არ სცილდებიან. გარდა ამისა, მკითხველი დიდი ადამიანური ვნებების მოწამე უნდა გახდეს, რაც მხატვრულად ეფექტურად და ძლიერად იქნება განხილვილი. სხვადასხვა ავტორებისა და სხვადასხვა ხასიათის ისტორიულ ნაწარმოებებში ერთ-ერთ ამათგანს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა და სხვა ასპექტები. ამის გამო, იჩრდილება ხოლმე. შედარებით იშვიათია ისეთი ისტორიული ნაწარმოები, რომელიც ყველა ამ ნიშნით თანაბრად ძლიერად იქნება აღბეჭდილი. ჩემის აზრით, გრიგოლ აბაშიძის რომანები სწორედ ასეთ მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნებიან, რასაც ემატება კიდევ საერთოდ ქართული ისტორიული პროზისათვის დამახასიათებელი ეროვნული ღირსების გრძნობის აქცენტირება.

გრიგოლ აბაშიძემ „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“ მე-13 საუკუნის ქართულ ქრონიკად წარმოგვიდგინა და, მართლაც, ამ ორი რომანით მკითხველი საფუძვლიან, ისტორიულად სწორ და მრავალმხრივ წარმოდგენას შეიქმნის საქართველოსათვის ამ დრამატულ პერიოდზე. რომანებში ნათლად ჩანს ის უმდიდრესი ისტორიული მასალა, რომელიც ავტორს დაუმუშავებია და რომელსაც დიდის ტაქტით იყენებს. ლაშასა და რუსუდანის კარის ცხოვრება, ქვეყნის შინაური ვითარება თუ ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, საბედისწერო ბრძოლები ჯალალედინთან ავტორს უტყუარად აქვს გადმოცემული. აქ მხედველობაში არ არის მისაღები მოვლენათა ზოგიერთა გადანაცვლება, რომელიც ერთიან ისტორიულ სიმართლეს თითქმის არაფერს ვნებს და რის უფლებასაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ წავართმევთ-მწერალს. გრიგოლ აბაშიძის რომანების დიდ ღირსებას სწორედ ის შეადგენს, რომ მწერალი

არა ტვირთავს მათ ისტორიული მასალებით და ამით არ ამჭი-
ნებს ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილს.

მწერალმა საქართველოს ისტორიის ერთი ტრაგიკული პერიოდი აირჩია თავისი რომანებისათვის, ესაა თამარის-დროინდელი ძლიერი ქართული სახელმწიფოს თანდათანობით დაშლის, დაკნინების, განადგურების პერიოდი, რამაც თავის ლოგიკურ ფინალამდე მიიყვანა იგი. მწერალს ბუნებრივად აინტერესებს ამ დეგრადაციის პროცესის ხელშემწყობი მიზეზები და ამის რკვევაში იგი მწვავე სოციალური საკითხების გადაწყვეტამდე მიდის. ქვეყნის შიგნით ქიშპი დიდებულითა შორის, მთავარ-ერისთავთა თავგასულობა და მეთავისეობა იყო ის მიზეზი, რაც ძირს უთხრიდა ერთიანი და ძლიერი საქართველოს საფუძველს. არც ლაშასა და არც რუსუდანს არ ეყოთ გაშქრიახობა და სიძლიერე ამ შინაური ბრძოლის აღსაკვეთად. გარდა ამისა, რაც მთავარია, სახელმწიფოს მესვეურთ არ ესმოდათ, რომ ქვეყნის ძლიერება უბრალო ხალხზეა დაფუძნებული და უგულობით, სიმკაცრითა და დაუნდობლობით თვითონვე შრეტდნენ ამ წყაროს. ამის გამოა, რომ რომანში ჩვენ ვხედავთ არა მარტო იმას, თუ როგორ ეცემა საქართველოს პოლიტიკური ძლიერება, მისი გავლენა მეზობელ ქვეყნებზე, არამედ იმასაც, თუ როგორ პარტახდება, კნინდება ეკონომიურადაც და კულტურულადაც ეს სულ ცოტა ხნის წინ ყოველმხრივ ძლიერი და აყვავებული ქვეყანა.

მწერალი მხატვრულად საინტერესოდ აგვიწერს საქართველოს მეფის კარის ცხოვრებას, კარგად ხსნის თვით ლაშასა და რუსუდანის, ამ უნებისყოფო მმართველების ხასიათებს, რომლებიც მხარგრძელებისა და ახალციხელების გავლენის ქვეშ მოქცეულან და საკუთარი აზრი, დამოუკიდებლობა დაუკარგავთ. გარდა ამისა, რაც მთავარია, გრიგოლ აბაშიძის რომანებს ის გამოარჩევს ქართულ ისტორიულ ნაწარმოებთა შორის, რომ აქ ხალხის ცხოვრება მწერალს სასხვათაშორისოდ, მხოლოდ ფონად კი არ მოაქვს, არამედ მას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიულ მოვლენათა განვითარებაში. დიდებულითაგან განსხვავებით (რომელთა შორისაც არიან, რაღა თქმა უნდა, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები, ისეთები როგორიცაა შალვა ახალციხელი), ხალხი ერთსუ-

ლოვანია, უანგარო და წმინდა თავის სიყვარულში მამული-სადმი. მწერალი დიდი ოსტატობით ძერწავს ხალხის წარმომადგენელთა მხატვრულ სახეებს, რომელთაგან თავისი ემოციური ზემოქმედების ძალით განსაკუთრებით გამოირჩევა ლუხუმი, ჩალხია, ვაჩე და სხვები.

ნაწარმოების დრამატიზმი ძირითადად ეროვნული და ისტორიული ბედუკულობათობით, სოციალური უსამართლო-ბითა და პოლიტიკური მოვლენებით არის შეპირობებული, რასაც ორგანულად ერწყმის თვით გმირების სატრფიალო ინტრიგებზე აგებული ღრმა ადამიანური, დრამატული განცდებიც. ამათგან ყველაზე ძლიერი და ამალეღვებელია ლაშასა და ლილეს ქეშმარიტი და საბედისწერო სიყვარულის ისტორია. თუმცა ლაშასა და ლილეს ურთიერთობა თავიდან ინტრიგებისა და ავხორცობის ნიადაგზეა აღმოცენებული, თუმცა ამ ურთიერთობისათვის ლაშა უგულოდ გასწირავს თავის უერთგულეს მცველს ლუხუმს და ამით ყველაზე დიდ ადამიანურ ცოდვას იღებს თავისი ხალხისა და საკუთარი თავის წინაშეც, რაკრამ ეს ურთიერთობა ისეთ განუსაზღვრელ და წმინდა, თავდადებულ სიყვარულში იზრდება, რომელიც აღამალლებს ლაშასაცა და ლილესაც ჩვენს თვალში. გრიგოლ აბაშიძემ მართლაც აღასრულა თავისი ჩანაფიქრი და ამ ორი რომანით — „ლაშარელათი“ და „დიდი ღამით“ XIII საუკუნის ქართლის ცხოვრების შესანიშნავი მხატვრული ქრონიკა შექმნა.

თანამედროვე ქართული ლიტერატურა მხატვრული პროზის გარდა თავისი ახალი ტენდენციებითა და სულისკვეთებით აღბეჭდილი პოეზიითაც არის მდიდარი და საინტერესო. თუმცა ამ ორ ეანრს საგრძნობლად ჩამოუვარდება თანამედროვე ქართული დრამატურგია. მაგრამ რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები აქაც შეიქმნა. ამ მნიშვნელოვან საკითხებზე საგანგებო საუბარი სხვა წერილის თემაა.

თვალის ერთი გადავლევით

გავიდა კიდევ ერთი წელი. რა მნიშვნელობა ჰქონდა გასულ წლებს ქართული ლიტერატურისათვის, ან კერძოდ, ქართული მხატვრული პროზისათვის? ეს ზოგადი კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა უამრავი დიდი და პატარა საკითხების გარკვევით შეიძლება მხოლოდ, ბუნებრივად ებადება ყველას, ვინც კი დაინტერესებულია ქართული მწერლობით. ქართულ სალიტერატურო კრიტიკას (უნდა სიამოვნებით აღინიშნოს) ახლა ძნელად თუ დასწამებს ვინმე ინდიფერენტულობას. თითქმის ყოველი ახალი ნაწარმოები, საყურადღებო თავისი ძლიერი თუ სუსტი მხარეებით, უმალ პოულობს სალიტერატურო კრიტიკის გამოძახილსა და შეფასებას. ეს კონკრეტული ანალიზი, ჩაძიებული მსჯელობა ცალკეული ნაწარმოების ავკარგიანობაზე ღიახაც მეტად სასარგებლო და აუცილებელია მწერლობისათვის. თუმცა მხოლოდ ამ გზით ვერ გავცემთ პასუხს ზემოთ დასმულ კითხვებს. გარკვეული პერიოდისა თუ წლის ლიტერატურას ერთიანი განსჯა და შეფასებაც სჭირდება იმისათვის, რომ ზოგადი ტენდენციები უფრო თვალნათლივი გახდეს. ეს სტატიაც, ნაწილობრივ, ასეთი ზოგადი მიზანდასახულებისაა და 1963 წელს „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მხატვრული პროზის ანალიზს ეძღვნება.

1963 წელი, ერთი შეხედვით, საბჭოთა ლიტერატურისათვის შედარებით მშვიდი აღმოჩნდა. მიწყნარდა ვნებათაღელვა, მიჩუმდნენ ისინი, ვინც თავისი უკიდურესი და ცალმხრივი შეხედულებების დასასაბუთებლად უფრო დემაგოგიას მიმართავდა, ვიდრე ლიტერატურული ცხოვრებისა და ფაქტების დინჯ ანალიზს. მაგრამ ამ გარეგნული, მოჩვენები-

თი სიმშვიდის იქით, დაკვირვებული თვალი უთუოდ შეამჩნევდა დიდ შინაგან დაძაბულობასა და დუდილს, ურომლისოდაც ლიტერატურული პროცესი უბრალოდ წარმოუდგენელია.

უკანასკნელ წლებში კვლავ დაუპირისპირდა ერთმანეთს ორი თვალსაზრისი მწერლობაზე, აშკარად გამოიკვეთა ორი პოზიცია, რომელზედაც დადგა საბჭოთა მწერლების დიდი ნაწილი. ერთნი (უმცირესობა) ლიტერატურის მხოლოდ მხატვრულ ფუნქციას აღიარებდნენ, მას ერთგვარად თვითმიზნად სახავდნენ, ეჭვის ქვეშ აყენებდნენ იმ მეთოდისეულ და პრობლემატურ სიახლეს, რომელიც საბჭოთა ლიტერატურის დამახასიათებელი და განმსაზღვრელი გახდა.

ამდენად, მათ, აშკარად თუ შეფარვით, ნებსით თუ უნებლიედ, ბოლოს და ბოლოს წმინდა ესთეტიზმის თეორიამდე დაჰყავდათ თავიანთი მსჯელობა. ამ ტენდენციას მხოლოდ ერთი განვითარება აქვს, იგი ადრე თუ გვიან ფორმალიზმის აშკარა აღიარებამდე მიდის.

მეორენი (უმრავლესობა) საბჭოთა ლიტერატურის უტილიტარულ ფუნქციას იცავდნენ და თავგამოდებით ამტკიცებდნენ, რომ ლიტერატურის და ხელოვნების დანიშნულება ესთეტიკური ტკბობა კი არ გახლავთ. არამედ საზოგადოების აღზრდა, მისი იდეურ-მსოფლმხედველობრივი ჩამოყალიბება, თანამედროვე ცხოვრების წარმოსახვა და სხვა. ესენი ლიტერატურულ ნაწარმოებს მხოლოდ მისი უტილიტარული მნიშვნელობით აფასებდნენ.

ნამდვილი მწერლობა კი ყოველთვის ამ ორი მხარის, შემეცნებითი და მხატვრული ფუნქციების ორგანული შერწყმით იქმნებოდა და სწორედ ეს უბრალო, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირად გვაეციწყდება.

ჩვენში არამეტუ დეკადენტურ მწერლობას, განწყობილებასაც კი არავითარი ნიადაგი არა აქვს აღმოსაცენებლად. ამის გამოძახილი მხოლოდ ზერელე, ხელოვნური მიბაძვითა და უხეირო მოდის მაძიებლობით უნდა აიხსნას. უფრო სერიოზული საზრუნავია ზოგიერთი საბჭოთა მწერლის იდეურ-მსოფლმხედველობრივი პოზიციის გარკვევა და იმის ნათელ-

ყოფა. თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრია მწერალს საზოგადოების, ხალხის წინაშე, რამდენად ღრმად, საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს და გაიაზროს მან თანამედროვე პრობლემები, რამდენად სწორად უნდა გაიგოს ერის ტკივილები-სა და სიხარულის გამომწვევი რეალური მიზეზები, ვიდრე თავის სიტყვას ეტყოდეს მკითხველს, ვიდრე თავის მსჯავრს გამოიტანდეს.

საბჭოთა ლიტერატურას უკვე ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს. მან დიდი ხანია განვლო შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესი. ამიტომ დღეს მისთვის ერთნაირად მიუტევებელია როგორც ფორმალისტური შეცოდებები, ასევე იდეურ-თემატური აქტუალობის გამო შეღავათების გაწევა, რაც ასე დამახასიათებელი იყო მისი განვითარების ადრეული ეტაპებისათვის. თუ ადრე ეს ერთგვარად გამართლებული იყო, ახლა, როდესაც საბჭოთა ლიტერატურას თავისი მდიდარი ტრადიციები და ხანგრძლივი ისტორია აქვს, ნაწარმოების, თუ მთლიანად ლიტერატურის შეფასებისას მხატვრულობის კრიტერიუმი ისევე მკაცრი უნდა იყოს, როგორც იდეურ-მსოფლმხედველობრივი. ეს არის ერთადერთი პოზიცია, საიდანაც შეიძლება გაირკვეს სწორედ ამა თუ იმ მწერლისა, ან, მთლიანად, გარკვეული პერიოდის ლიტერატურის ავკარგიანობა.

საბჭოთა ლიტერატურა თავისი არსებობის მანძილზე ერთ მსოფლმხედველობას ემყარება და მისი თეორიული პრინციპები, ზოგადი საფუძველი მყარია და შეუვალა. მაგრამ ეს არ გამორიცხავს მის განვითარებას, გამომსახველობითი საშუალებების განუსაზღვრელი ძიების უფლებას, სტილურ მრავალფეროვნებას.

თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაშიც შეინიშნება მთელი რიგი სიახლეები. ყოველ შემთხვევაში, შემოქმედებითი ძიება სიახლეებისა, ვფიქრობ, ყველასათვის აშკარა და ფვალსაჩინოა. ჩემის აზრით, თანამედროვე საბჭოთა მწერლობა უფრო მეტად ცდილობს გასცეს პასუხი კითხვას: როგორია საბჭოთა ადამიანი, რა რწმენისა და მიზნის? როგორია ის მორალურ-ეთიკური საფუძვლები, რომელსაც საბჭოთა ადამიანი ეყრდნობა? ამ ორი-სამი ათეული წლის წინ კი ახალი, ანუ საბჭოთა ადამიანის მხატვრული სახის შექმნისას, მწე-

რალი მეტ ყურადღებას აქცევდა იმას, თუ რას საქმიანობდა ეს ახალი ადამიანი, როგორ ცხოვრობდა, რა კონკრეტული მიზანდასახულებისათვის ილწვოდა. უფრო პირდაპირ რომ ვთქვა, დღევანდელი მწერლობა უფრო მეტ ყურადღებას აქცევს (საკამათო რომ არ გახდეს, შეიძლება ასე ითქვას-უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს) მისი თანამედროვე ადამიანის შეგნების, ბუნების, მორალურ-ეთიკური სახის გარკვევას და, ამდენად, უფრო მეტად უნდა იყოს აღბეჭდილი ფსიქოლოგიური წვდომით, ზოგად-ფილოსოფიური პრობლემებისა და საკითხებისადმი ინტერესით, ადამიანის შინაგანი სამყაროს ჩაძიებული რკვევით.

ინტელექტუალიზმი და ფსიქოლოგიზმი, რაღა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ თანამედროვე ლიტერატურის დამახასიათებელი თვისებები. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ დღევანდელ მწერლობას უფრო აქეთ აქვს გამაზვილებული ინტერესი, ვიდრე ცხოვრების ემპირიული წარმოსახვისაკენ. ზოგს ასე წარმოუდგენია, რომ ლიტერატურაში ფსიქოლოგიზმის ზრდასთან ერთად. პირდაპირ პროპორციულად კლებულობს სოციალური საკითხებით დაინტერესება და ამიტომ მათ გავონებაც არ სურთ არავითარი ფსიქოლოგიზმისა. ეს მხოლოდ უხეირო ნაწარმოებში ხდება ასე და ამიტომ წთლიანად ტენდენციის, პრინციპის უარყოფა სწორი არ იქნება. რა სახისაც არ უნდა იყოს ეპიური ნაწარმოები, თუ სოციალური ურთიერთობა, ცხოვრების რეალური სურათები არ ექნა ფონად, გმირის განცდის, ან საერთოდ ხასიათის ამხსნელ საშუალებად, მასში არ გამოიკვეთება სრულად და დამაჯერებლად არც ზოგადი და არც კონკრეტული საკითხები. ასეთ შემთხვევაში ფსიქოლოგიზმი მხოლოდ თვითმიზნური ხასიათისა შეიქნება და ჩვენი ინტერესიც ნაწარმოების მიმართ უთუოდ განელდება. მაშასადამე, ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალური პრობლემების უფრო კონკრეტულ-გრძნობად ასპექტში გადაწყვეტაზე. ცხოვრებისეული მოვლენების მხატვრულ გახსნაზე მათდამი გმირის შინაგანი დამოკიდებულების საშუალებით.

ამას ბუნებრივად თან სდევს ნაწარმოების, მაგალითად, რომანის ახლებური აგების აუცილებლობაც. როდესაც მწერ-

ლის ყურადღება ამბის მხატვრულ თხრობაზე კი არ არის გადატანილი, არამედ რაღაც კონკრეტულ მოვლენასთან გმირის შინაგანი დამოკიდებულების და განცდის მხატვრულ გაცხსნაზე, თავისთავად ცხადი ხდება, რომ აუცილებელია კლასიკური რეალისტური რომანისაგან განსხვავებული ახალი კომპოზიციის ძიება. მოქმედებისა: და დროის ლოკალიზება, ინტერესების ერთ საკითხთან და ერთი მიმართულებით კონცენტრირება მწერლისაგან მოითხოვს ახალი, უფრო ძნელად აღმოსაჩენი ფორმის მიგნებას. თუ კლასიკურ რომანში, რაგინდ რთული კომპოზიციისაც არ იყოს იგი, მწერალს თვით ამბავის განვითარება უკარნახებს ნაწარმოების აგებულებას, მისი შექცვისა და შედუღების, ერთ მთლიან ყალიბში მოქცევის საშუალებას, თანამედროვე რომანში მწერალმა რაღაც ახალი პრინციპი უნდა იპოვნოს აგებისა.

ერთი სიტყვით, თანამედროვე ლიტერატურა, კერძოდ, თანამედროვე მხატვრული პროზა ეძიებს ახალ გზებსა და საშუალებებს იმისათვის, რომ უკეთესად, უფრო სრულად და ღრმად გამოხატოს საბჭოთა ადამიანის მაღალი სულიერი თვისებები, დაგვანახოს და გაგვიხსნას მისი ფიქრები და განცდები, გვიჩვენოს ის გარემო, რომელიც აყალიბებს ახალი, კომუნისტური შეგნებისა და მორალის ადამიანს. ამ დიდ საქმეში კი ქართველ მწერლებს ლიტერატურული საზოგადოების აქტიური, პრინციპული, მეგობრული მხარდაჭერა და დახმარება სჭირდებათ. პირველ რიგში კი ეს ევალებათ სალიტერატურო ჟურნალების და გაზეთების რედაქციებს.

ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე გასულ წელს ბევრი და სხვადასხვაგვარი პროზაული ნაწარმოები დაიბეჭდა. ვინც იცნობს ამ ჟურნალის ისტორიას, ან კერძოდ გასული წლის მანძილზე ამ ჟურნალში დაბეჭდილ მასალას, ვფიქრობ, იგი უყოყმანოდ დამეთანხმება, რომ „მნათობი“ ყოველთვის იყო და არის ქართული მწერლობის დონისა და სახის გამომხატველი ჟურნალი. იგი თავისი არსებობის ორმოცი წლის მანძილზე ყოველთვის იყო და არის ქართული მწერლობის ძიებისა და წარმატებების აქტიური შემწე. „მნათობი“ უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო აქტიურ როლს ასრულებს. ჩვენი ეროვნული მწერლობის განვითარების პროცესში, მისი:

ჯარი ღიაა ყველა ნიჭიერი მწერლისათვის, რა ასაკისა და ლიტერატურული გემოვნებისაც არ უნდა იყოს იგი, თუკი მისი ნაწარმოები ეხმაურება და ემსახურება იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც საბჭოთა მწერლობის წინაშე დგას ახლა.

1963 წლის „მნათობში“ გამოქვეყნებულ მხატვრულ პროზას რომ ეცნობით, თავიდანვე თვალში გეცემათ მისი მრავალფეროვნება. აქ თითქმის ყველა სახის ნაწარმოებია წარმოდგენილი: მოთხრობა, ნოველა, მხატვრული ნარკვევი, რომანი. მკითხველი აქ ნახავს სოციალური თუ ფსიქოლოგიური, სატირული თუ იუმორისტული, სათავგადასავლო თუ მემუარული ხასიათის ნაწარმოებს. ეს თავისთავად ლაპარაკობს ჟურნალის რედაქციის ინტერესების მრავალმხრივობაზე.

მე ამ სტატიაში შემოვიფარგლები მხატვრული პროზის მიმოხილვითა და ანალიზით, მაგრამ ვიდრე ამას შეეუდგებოდე, მინდა რამდენიმე სიტყვით მოვიხსენიო სხვა ჟანრის, განსაკუთრებით საინტერესო, ნაწარმოებები.

მხატვრული ნარკვევი სულ უფრო და უფრო მტკიცედ იმკვიდრებს ადგილს ქართულ მწერლობაში, რადგანაც დაბეჭდვით უახლოვდება მხატვრული პროზის დონეს და მისი ემოციური ზემოქმედების ძალას იძენს. ხშირად ძნელდება კიდევ ზღვარის დადება მხატვრულ ნარკვევსა და მოთხრობას შორის. თანამედროვე ქართულ მწერლობაში ამ ტენდენციის ერთი პირველი და საუკეთესო გამოხატულება გახლდათ გურამ რჩეულიშვილის „უსახელო უფლისციხელი“. ამ ათი-თხუთმეტი წლის წინ მომრავლდა საგაზეთო ნარკვევები, რომლის ავტორები მხატვრულობის გაძლიერების მიზნით უადგილოდ ნიმართავდნენ ბუნების აღწერას, იშველიებდნენ ძველ, გაცვეთილ, შტამპად ქცეულ შედარებებსა და მეტაფორებს, რომელთაც მოსდევდა მშრალი ციფრები და პათეტიკური ფრაზები. სანწუხაროდ, ეს სტილი რამდენიმე დაშაქრული ფრაზით შეზავებული მშრალი, სქემატური ნარკვევებისა დღემდე ვერ უკუთავდო ზოგიერთმა გაზეთმა და ჟურნალმა. ასეთი ხასიათის ნარკვევებს უპირისპირდება ის სადა, მაგრამ ქეშმარიტად მხატვრული ნარკვევები, რომლებშიც გამოკვეთილია საბჭოთა ადამიანების პორტრეტები, განმაზოგადებლადაა

მოთხრობილი მათი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. გახსნილია მათი ხასიათი. უნდა სიამოვნებით აღინიშნოს, რომ ახლა მხატვრული პროზის ამ თავისებური და მნიშვნელოვანი სახისადმი მეტ დაინტერესებას იჩენენ უფროსი თუ უმცროსი ასაკის მწერლები. ამის ნიმუში გახლავთ 1963 წლის უჩრნალ „მნათობში“ დაბეჭდილი ნარკვევები, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გრიგოლ ჩიქოვანის „ადამიანი მიდის წინ“ (№ 1) და ნოდარ წულეისკირის „ჯადოსნური სითხე — კაპროლაქტამი“ (№ 5).

უკანასკნელ წლებში რამდენიმე მემუარულ-ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები გამოქვეყნდა, რომლებიც მკითხველის ყურადღებას კვლავ მიაქცევენ სამამულო ომის მრისხანე, მაგრამ ჰეროიკით სავსე წლებისაკენ. ასეთ ნაწარმოებებს ყოველთვის თან სდევს სუბიექტივურობის საშიშროება. ავტობიოგრაფიული ნაწარმოების წერის დროს მწერალს დიდი ტაქტი და ზომიერების გრძნობა სჭირდება იმისათვის, რომ მკითხველს არ შეეპაროს ექვი მის გულწრფელობაში. როდესაც მწერალი ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებში თავისთავს მეტისმეტად დიდ როლსა და მნიშვნელობას ანიჭებს, ეს უთუოდ ანელეებს მკითხველის ნდობასა და ინტერესს. ამის ერთი თვალსაჩინო ნიმუშია გიორგი ქავთარაძის ავტობიოგრაფიული რომანი „ჯარისკაცის ჩანაწერები“. ამ ნაწარმოებში, უნდა ითქვას, არის რამდენიმე საინტერესოდ მოთხრობილი ეპიზოდი, ადამიანური განცდის მხატვრულად მართალი მინიშნება, მაგრამ ამასთანავე აშკარად იგრძნობა, რომ ავტორი ყოველთვის ვერ ახერხებს ზომიერების შენარჩუნებას.

ზემოხსენებული მნიშვნელოვანი ნაკლისაგან დაზღვეულია ის ნაწყვეტი ალექსანდრე კალანდაძის წიგნიდან „მაკიზარებთან“, რომელიც „მნათობის“ მე-10 ნომერშია დაბეჭდილი. ავტორი თვითონ არის უშუალო მონაწილე ბრესტის ბრძოლებისაც, რომელსაც მეტად საინტერესო წიგნი უძღვნა „დღეები ბრესტის სიმაგრეში“, იმ პარტიზანული მოძრაობისაც საფრანგეთში და პოლონეთში, რომლებშიც ფრანგ, პოლონელ, ესპანელ პატრიოტებთან ერთად, საბჭოთა მებრძოლებმაც მიიღეს მონაწილეობა. ავტორი, ბიოგრაფიულ

რომანში „მაკიზარებთან“, იმას კი არ ისახავს მიზნად, რომ გვიჩვენოს თუ რა გადახდა პირადად მას ომის წლებში. არამედ იმას, რომ უშუალო მონაწილისა და მომსწრის თვალთ დაგვიანახოს და გავვიხსნას ანტიფაშისტური პარტიზანული ბრძოლების მონაწილეთა პეროიკული სული, თავდადება, კეთილშობილება, მოგვცეს იმ ეპოქის მართალი სურათები, მხატვრულად მოგვითხროს საინტერესო ეპიზოდები იმ დიადო ბრძოლის ეპოპეიდან. ასეთი მიზანდასახულება ნაწარმოებს უკვე საყურადღებოსა ხდის, ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ავტორი ყოველივე ამას ოსტატურად მოგვითხრობს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ალექსანდრე კალანდაძის წიგნს „მაკიზარებთან“ ინტერესით მიიღებს მკითხველი.

რაც შეეხება საკუთრივ მხატვრულ პროზას — მოთხრობას, ნოველას, რომანს — ჟურნალ „მნათობში“ 1963 წელს არცთუ ცოტა საინტერესო ნაწარმოები დაიბეჭდა. „მნათობში“ გამოქვეყნებული პროზაული ნაწარმოებების ძირითადი ნაწილი გვარწმუნებს მათ ავტორთა ოსტატობასა თუ ნიჭიერებაში, იმაში, რომ თანდათან სულ უფრო მალღდება ქართული მხატვრული პროზის დონე, აგრეთვე იმ მაღალ მომთხოვნელობაშიც, რომელსაც იჩენს რედაქცია ნაწარმოებთა დასაბეჭდად შერჩევის დროს. თუმცა ისიც უნდა ვთქვა გულახდილად, რომ რამდენიმე მოთხრობა და ერთი-ორი რომანიც კი გამოუჩნდა „მნათობმა“ ისეთი, რომლებიც, ვფიქრობ, აშკარად არ ღვას თანამედროვე ქართული პროზის დონეზე.

მე არ გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას ასეთ ნაწარმოებებზე, რადგან 1962 წლის ქართული პროზის შესახებ „ცისკარში“ დაბეჭდილი ჩემი წერილის პათოსი ძირითადად სწორედ პრიმიტიული, მხატვრულად უსუსური ნაწარმოებების მხილება იყო. „მნათობში“ რამდენიმე ისეთი პროზაული ნაწარმოები დაიბეჭდა, რომლებიც უფრო თავისი თემატურ-პრობლემატური აქტუალობით იქცევენ მკითხველის ყურადღებას, ვიდრე მხატვრული გადაწყვეტის სიძლიერით. როგორც ჩანს, ამ „აქტუალურობისადმი“ შეღავათებით უნდა აიხსნას ზოგიერთი ნაწარმოების გამოქვეყნება და არა იმით, რომ თითქოს რედაქციას უღალატა ლიტერატურ-

რულმა გემოვნებამ. თუმცა, ჩემის ღრმა რწმენით, დღეს საბჭოთა ლიტერატურას სულაც არ ესაჭიროება ასეთი დათნობა. სავსებით სამართლიანია და სწორი ის მოსაზრება, რომ დღეს ასეთი შიშველი აქტუალურობით აღბეჭდილი, მხატვრულად სუსტი ნაწარმოებები უფრო ვნებენ ჩვენს მწერლობას, რადგან ანელებენ მკითხველის ინტერესს თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ლიტერატურისადმი. ასეთი ხასიათის ნაწარმოებები არ არის დამახასიათებელი „მნათობისათვის“.

ქართული მხატვრული პროზის ძირითადი ნაწილი უთუოდ მეტყველებს რედაქციის არა მარტო ლიტერატურულ გემოვნებაზე, არამედ მის მაღალ მომთხოვნელობასა და პრინციპულობაზედაც. ამ რწმენას კიდევ უფრო გვიმტკიცებს „მნათობში“ დაბეჭდილი თარგმნებიც. რუსი და სხვა ნომე ხალხთა მწერლების საუკეთესო ნაწარმოებების მაღალმხატვრული თარგმანები ქართველ მკითხველს უთუოდ აინტერესებს და ამ სასარგებლო საქმეს სათანადო ყურადღებას აქცევს „მნათობის“ რედაქცია. თარგმანების ლიტერატურული ანალიზი ამ სტატიის მიზანდასახულებას სცილდება და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მაგრამ ერთი კი უნდა აღვნიშნო. კერძოდ ან ნაწარმოებთა ქართული თარგმანების მაღალი ღირსება. საერთოდ, რაკილა თარგმანები ვახსენე, მინდა გულსტკივილით ვთქვა, რომ ქართულ ენაზე ჩვენ არა გვაქვს სპეციალური ჟურნალი, რომელშიც დაიბეჭდებოდა მოძმე ხალხებისა და საზღვარგარეთული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმანები. ვიდრე ეს საქმე მოგვარდებოდეს, ლიტერატურულმა ჟურნალებმა „ვლავ უნდა ბეჭდონ თარგმანები და ზოგიერთი ორიგინალური მდარე ნაწარმოების ხარჯზე მეტი ადგილიც შეიძლება დაუთმონ მათ.

„მნათობში“ 1963 წელს გამოქვეყნებული მოთხრობები და ნოველები არც თავისი პრობლემატიკითა და მიზანდასახულობით, არც თავისი ესთეტიკური იდეალის გამოხატვის საშუალებით არ არიან ერთფეროვანნი. ედიშერ ყიფიანს თავის მოთხრობაში „ვინც გაჩნდა ქვეყნად“ (№ 1) მშობლის

დიდი ვალის გარკვევა დაუსახავს მიზნად. ელიზბარ ზედგინიძე ადამიანური სიბზო, ურთიერთსიყვარულის ერთ კონკრეტულ გამოხატულებას იძლევა მოთხრობაში „ფანჯარა მესამე სართულზე“ (№ 2). ოთარ კუპრავა „ლურჯი იების ზღაპრის“ (№ 12) ლირიკული განწყობილებით, ზოგჯერ სენტიმენტალურობაში რომ გადადის, სულიერი სისპეტაკისა-კენ მოგვიწოდებს. სერგო კლდიაშვილმა ხუთი მოთხრობა გამოაქვეყნა, რომელნიც ერთ ციკლში ვერ გაერთიანდებიან და სულ სხვადასხვა სათქმელს და განწყობილებას გამოხატავენ: „ცნობისმოყვარე“ (№ 3) ბავშვის სპეტაკ ოცნებას გვიჩვენებს მშობლების უკვდავებაზე, „სტატისტი“ (№ 2), პირიქით, ზოგჯერ ამ სისპეტაკის, ადამიანის შინაგანი მთლიანობის დარღვევაზე მეტყველებს, „ჯორდანო ბრუნო“ (№ 2) ადამიანური სიამაყის, სიმტკიცის, სიდიადის განმასახიერებელია, „გამოთიშული დრო“ (№ 2) უფრო სევდიანი განწყობილების მატარებელია, რადგან ძნელი ხდება იმ სიცარიელის შევსება ან წაშლა, რომელიც ადამიანთა ურთიერთობაში ხანგრძლივი დაშორებით იქმნება. ჩემს მიერ დასახელებული ნაწარმოებები ქმნიან თანამედროვე ქართული მოთხრობის დონეს და ისინი თავისი ემოციური ზემოქმედების ძალით უთუოდ ააღელვებენ და ჩააფიქრებენ მკითხველს.

ისიც აღსანიშნავია, რომ „მნათობის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მოთხრობები ყოველთვის პოზიტიური მატარებლები არ არიან ესთეტიკური იდეალისა. ოთარ ჩხეიძის სატირული ხასიათის ეტიუდი „აზამბარი“ (№ 2), ედიშერ ყიფიანის „ვინც გაჩნდა ქვეყნად“, თეიმურაზ მაღლაფერიძის „უშბა“ და რამდენიმე სხვა მოთხრობა სწორედ უარყოფას, მხილებას, დაპირისპირებას ემყარება.

მე მინდა უფრო დაწვრილებით შევჩერდე რამდენიმე მოთხრობაზე, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზების გამო უფრო მიიქციეს ჩემი ყურადღება.

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მწერლობაში საკმაოდ ხშირად არის აღრეული სხვადასხვა სახეები პროზისა. ვრცელ მოთხრობასა და რომანს შორის, მოთხრობასა და ნოველას შორის, ესკიზსა და ეტიუდს შორის, რაღა თქმა უნდა, ძნე-

ლია სადემარკაციო ხაზის გავლება, რომელიც მათ მკაცრად გამოიწვავს ერთმანეთისაგან, მით უმეტეს, რომ თანამედროვე ეპოქაში მათ ბევრად იცვალეს თავისი კლასიკური სახე. მაგრამ ამ ჩარჩოების, ქანრული სპეციფიკის შემოფარგვლის სიძნელის გამო საბოლოოდ არ უნდა აირიოს ყველაფერი. ლევან ხაინდრაევას „არსებითად არაფერი შეცვლილა“ (№ 5) და სერგო კლდიაშვილის „ტურისტი“ (№ 3) მოთხრობებად არის წარმოდგენილი, თუმცა, ვფიქრობ, ეს სწორედ ნოველებია და არა მოთხრობები. ამის თქმის უფლებას არა მარტო მათი კომპაქტურობა ან სიმცირე მძღვეს, ან ის, რომ ხასიათები არ არის ბოლომდე გახსნილი, ან სხვა ნიშნები ნოველისა, არამედ ის, რომ ავტორები შეეცადნენ ამ ნაწარმოებებისათვის მიეცათ წმინდა ნოველური, ეფექტური, მოულოდნელი დასასრული. თუმცა მათ ის განასხვავებთ, რომ ეს ცდა ორთავე ავტორს თანაბრად არ გამოუვიდა.

ლევან ხაინდრაევას ნაწარმოები „არსებითად არაფერი შეცვლილა“ იმაზეა აგებული, თუ ზანგი ქალი როგორ მოხერხებულად გააცურებს რედაქტორს და თავისი ქმრის სახელით, რომელსაც აკრძალული ჰქონდა პატიმრობის გამო ბეჭდვა, გამოაქვეყნებს მოთხრობებს. მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ ეს ამბავი ნოველის ფინალში მოულოდნელად აღმოჩნდება მხოლოდ მოხუცი რედაქტორისათვის, მკითხველმა კი ეს თავიდანვე, ნოველის პირველივე გვერდებიდანვე იცის და ფინალი ფაქტიურად ჩვენზე არავითარი მოულოდნელი ეფექტის შთაბეჭდილებას არ იწვევს. ამიტომ დაირღვა მთელი კანონზომიერება ქანრისა და ეს ნაწარმოები აღარც ნოველა გამოვიდა და აღარც მოთხრობა.

ამ მხრივ, და არა მარტო ამ მხრივ, მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს სერგო კლდიაშვილის ნოველა „ტურისტი“. მწერალი მოგვითხრობს უცხოეთში დაბადებული ქართველის, რევაზ გულბანის ჩამოსვლას საქართველოში, რომელსაც განუზრახავს ნახოს და ცოლსაც, ინგლისელ ქალს, აჩვენოს თავისი სამშობლო კუთხე — ზემო სვანეთი. მწერალი განზრახ დაბეჯითებით მიგვანიშნებს, თუ რა გულგოილად შეხვდა ტურისტად ჩამოსული ცოლ-ქმარი ამ მათთვის ახალ მხარესა და გარემოს. რევაზს მამის ნაამბობით

უფრო რომანტიკულად ჰქონდა წარმოდგენილი თავისი წინაპრების სამშობლო და მთელი გზა ნანობს, ეგებ არც ღირდაო აქ ჩამოსვლა. მისი მეუღლე კი, რომელსაც მოუყვლია ინდოეთი, უნახავს პერუს მთები და შვეიცარიის ალპებშიც ხანგრძლივად დაუყვია დრო, იმდენად არის შეჩვეული მთიან ადგილებს, რომ მანქანით მგზავრობის დროს წიგნის კითხვას არჩევს სვანეთის მკაცრი პეიზაჟით ტკობას. შემდეგ, როცა ცხენებზე გადასხდნენ, არც ეს იუცხოვეს ტურისტებმა და ამ განწყობილებით უნდა დამთავრდეს თითქოს ნაწარმოები, რომ ბოლო აბზაცში ყველაფერი საოცარი მოულოდნელობით იცვლება.

ტყიანი მთა რომ აიარეს და წინ ერთბაშად გადაშლილ პლატოს ბოლოს, ფერდობზე გულბანების სოფელი ქორეთი გამოჩნდა, როდესაც ინგლისელმა ქალმა პირველად იგრძნო სვანეთის სილამაზე და ბინოკლი მოიმარჯვა, მას უეცრად შემზარავი ხმა მოესმა. გულბანი, ევროპაში დაბადებული, დიდ კულტურასა და ცივილიზაციას ზიარებული ადამიანი, ცნობილი მეცნიერი, „თავის თავს აღარ გავდა. უნაგირზე ამართულიყო სახეშეცვლილი მამაკაცი, თვალეზბარილებული მიშტერებოდა პლატოს ბოლოზე ამართულ კოშკებს და რაღაცას ლულულუღებდა. შეშინებულმა ქალმა შემოაბრუნა მისკენ ცხენი, მაგრამ გულბანმა არც მოხედა, მოიფრიალა ქული, დასკყვილა ზერდაგს, მოუშვა აღვირი და ხმიანი შეძახილით გააქანა იქით, სადაც სოფელი ჩანდა. მიაქროლებდა ცხენს და მისი გამკივანი ხმა კიდევ დიდხანს ისმოდა შორიდან“.

აი, მართლაც ნოველისებური ეფექტი ფინალისა, რომელიც სრულიად მოულოდნელია ყველასათვის. მაგრამ მართო მოულოდნელობაში არ არის საქმე, ნოველის მთელი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ამ მოულოდნელი შემობრუნებით რაღაც არსებითი, საინტერესო გვითხრას და გაგვიხსნას. ეს კი ამ ნოველაში ის გახლავთ, რასაც მიხეილ ჯავახიშვილმა „მიწის ყვილი“ უწოდა.

მწერალმა განზრახ დატოვა გულგრილნი გულბანი და მისი ცოლი სვანეთის დიდებული სანახაობისადმი, რომ უფრო მკვეთრად გამოეხატა მიწის ყვილის ძალა. ჩემის აზრით,

ეს ერთი შეხედვით უცნაური გააზრება მწერლისა, რომელიც ოდნავ კიდევ გვაღიზიანებს ფინალამდე, ბოლოს მთელი თავისი გამჭირაობითა და მიგნებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე და ახალი ასპექტით გვიხსნის იმ შეუცნობელ ლტოლვას მშობელი მიწისადმი, რომელიც ასე ძლიერია ადამიანში.

მოხუცი კაიშაურიც, მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილიდან“, რომელიც სიკვდილის წინ უეცრად ამეტყველებდა ქართულად და ნათელმხილველევით დაინახავს მშობლიურ ანანურს, თავის სახლ-კარს, ბავშვობის ცოცხალ სურათებს, და გულბანიც, სერგო კლდიაშვილის ამ შესანიშნავი ნოველიდან, თავისი ქვეცნობიერი სწრაფვით ახალი კუთხით გვიხსნიან პატრიოტიზმს, სამშობლოს სიყვარულის ძლიერების წყაროს. რაღა თქმა უნდა, ამას პირველ რიგში განსაზღვრავს შენი ერის, ქვეყნის შეგნებული სიყვარული და მისი კეთილდღეობისათვის აქტიური მოქმედება, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს პატრიოტული გრძნობის რაღაც ქვეცნობიერ, თუგინდ ბიოლოგიურ საფუძველსაც.

ჩემთვის მეტად სასიხარულო მოულოდნელობად იქცა გურამ გეგეშიძის მოთხრობა „შურისძიება“ (№ 11). ახალგაზრდა პროზაიკოსს, თუ არ ვცდები, რამდენიმე წელია არაფერი გამოუქვეყნებია და დიდი ხნის შემდეგ მან „შურისძიებით“ კვლავ დაამყარა კონტაქტი მკითხველთან. მოულოდნელი ეს მოთხრობა იმითაც არის, რომ ავტორის ადრინდელი ნაწარმოებები, შედარებით ნაკლებად იყო აღბეჭდილი ორიგინალური ხედვითა და მანერით. არცთუ იშვიათად აშკარად შეიმჩნეოდა თანამედროვე დასავლური მწერლობის ზედაპირული გავლენის კვალი. „შურისძიებაში“ კი, ჩემის აზრით, მკითხველი დაინახავს და იგრძნობს ჭეშმარიტ მწერალს. ერთი მოთხრობა შეიძლება არაპროფესიონალ მწერალსაც გამოუვიდეს, მაგრამ „შურისძიება“ უბრალოდ საინტერესო ნაწარმოები არ არის, მასში იმდენი მწერლური მიგნება, ადამიანის შინაგანი განცდების ხედვისა და შეგრძნების უნარი ჩანს, რომ არავითარ ეჭვს არ გვიტოვებ: გურამ გეგეშიძის მწერლურ მომავალზე.

მთავარი ღირსება ამ მოთხრობისა ის გახლავთ, რომ

მწერალი მეტად რთულ ადამიანურ განცდას, განწყობილებას, მდგომარეობას მხატვრულად ძლიერად, დამაჯერებლად გვიხსნის. ობოლი ძმების, ცამეტ-თოთხმეტი წლის რეზიკოსა და ხუთი-ექვსი წლის „რიქას“ ურთიერთდამოკიდებულება, მათი დიდი და სევდიანი გრძნობა მარტოობისა, ძმების მწვავე, მტკივნეული განცდა მათდამი ნაკლებ გულისხმიერი თუ უსამართლო მოქცევისა — აი, ის საფუძველი, რასაც ეყრდნობა მწერალი თავისი გმირების ხასიათის გამოკვეთის დროს, შურისძიების ყოვლისმომცველი და ყოვლისშემძლე გრძნობის მხატვრული გამოხატვის მისაღწევად. შეგნებული შურისძიების გრძნობა მამაკაცური ხასიათის ჩამოყალიბებაზე მეტყველებს და რეზიკოც, თავისი ცხოვრების მძიმე პირობების გამო, ამ ოდნავ ნაადრევად ჩამოყალიბებულ მამაკაცად წარმოგვიდგება. მწერალს სწორედ ეს პროცესი აინტერესებს და, უნდა ითქვას, შესანიშნავად წარმოგვისახავს მას.

ამასთან დაკავშირებით, მე მახსენდება სტეინბეკის ერთ-ერთი საუკეთესო ნოველა „საჩუქარი“, რომელშიც მწერალი ამავე პრობლემას, ამავე საკითხს წყვეტს. ბიქს მამის საჩუქარი — პონი უკვდება და იგი მთელი თავისი ახალგაზრდული უშუალობით განიცდის ამას, ბიჭი ყველა ღონეს ხმარობს პონის გადასარჩენად, მაგრამ ერთ ღამეს, როდესაც იგი წუთით ჩათვლემს, მომაკვდავი პონი თავლიდან გაიპარება. ბიჭი მისდევს პონის ნაფეხურებს, მთის ფერდობზე შენიშნავს ჰაერში როგორ დატრიალებენ ძერები. როდესაც ფერდობზე ავა, ნახავს უსულო პონის, რომელსაც ძერები დასვეიან. ბიჭი ეძგერება მათ, დააფრთხობს, მხოლოდ ერთი მოზრდილი ძერა არ შეეპუება, რადგან იგი ბიჭზე დიდია და ძლიერი. მწერალი აგვიწერს თუ რა გაშმაგებით ებრძვის ბიჭი ძერას. როდესაც შეშინებული მამა ბიჭისა — ფერმერი და მათი მუშა იმ ადგილზე მივლენ, წააწყდებიან. შურისძიებით გახლებულ ბიქს, რომელსაც ამ გრძნობის გამო გაუმარჯვნია ძერაზე და ნელ-ნელა ახრჩობს მას. მამას უკვირს ბიჭის საქციელი და უხსნის მას, რომ ძერა არაფერ შუაშია პონის დაღუპვაში. ფერმერის დარიგება მოთმინებიდან გამოიყვანს მუშას, რომელსაც უკეთ ესმის ადამიანური განცდები. მთავარი ბიჭისათვის იყო დიდი ტკივილით აღძრუ-

ლი შურისძიების გრძნობა და არა ის, თუ ვინ იყო კონკრეტული დამნაშავე პონის დალუპვაში. და ეს გრძნობა მან ძერაზე ამოანთხია, მასზე იძია შური.

მე ამით სულაც არ მინდა უშუალო გავლენის მინიშნება. ასეთი პრობლემატური დამთხვევების უამრავი მაგალითი შეგვიძლია მოვიტანოთ ლიტერატურიდან. მე ერთი წუთითაც არ მეპარება ექვი, რომ გურამ გეგეშიძემ სრულიად დამოუკიდებლად მიაგნო და გადასწყვიტა ეს ფსიქოლოგიურად საინტერესო საკითხი, პირიქით, ეს ლიტერატურული პარალელი გვარწმუნებს, რომ ახალგაზრდა პროზაიკოსი კემარბიტი მწერლობის ინტერესებით არის გამსჭვალული და მას აქვს ადამიანური განცდის მიგნებისა და წარმოსახვის ხალასი ნიჭი.

გურამ გეგეშიძესაც დაახლოებით იმის თქმა უნდა მოთხრობაში „შურისძიება“, რაც სტეინბეკს „საჩუქარში“. რეზიკოს შემმა ომარასთან მართო ერთი კონკრეტული ამბით არ არის გამოწვეული. რეზიკოს შურისძიების გრძნობა მისი დაჩაგრული ბავშვობით არის აღძრული და არა იმით, რომ ომარამ პატარა „რიჟა“ წყალზე აწვალა. რეზიკო გრძნობს ამას, როდესაც გალახული, დასისხლიანებული. მაგრამ გამარჯვებული დასჩერებია თავისზე ბევრად უფროსსა და ძლიერ ომარას, რომელიც რეზიკოს არაადამიანური უინითა და შეუპოვრობით გატეხილი ისტერიულად ქვითინებს.

თუ „საჩუქარში“ მხოლოდ შურისძიების გრძნობის გამოხატვა აინტერესებს მწერალს და აქ სვამს წერტილს, „შურისძიების“ ავტორს ადამიანის განცდის მომძევნო სტადიაც აინტერესებს. გურამ გეგეშიძეს უფრო მეტად სწორედ ამ შურისძიებით გამოწვეული განცდების გახსნა იტაცებს, ვიდრე თვით შურისძიების გამოვლენის ფაქტი. მისთვის მთავარია იმის ახსნა, თუ რატომ ვერ განიცადა რეზიკომ გამარჯვების სიხარული.

რეზიკო საწადელის მიღწევის შემდეგ, როდესაც გატეხა თავისზე ძლიერი ბიჭი, მიხვდა, რომ ომარას არ დაუმსახურებია ასეთი დიდი შურისძიების რისხვა. და ამდენად მისი შურისძიებაც ერთგვარად უსამართლო იყო. ამიტომ სტკიოდა რეზიკოს გული და ჩაფიქრებული მიდიოდა სიბ-

ნელეში. მოთხრობის ოდნავ ანალიტიკური დასასრული, როდესაც რეზიკოს ნაცვლად მწერალი აზროვნებს, ვფიქრობ, სულაც ზედმეტია, რადგან მკითხველს მეტად უნდა ვენდოთ და არ უნდა დაეუღეკოთ ბოლოს ნაწარმოებში ჩადებული აზრი. მით უმეტეს, რომ ეს დეკლარაციული ფრაზები — „უნდა ეცადო, რომ არასოდეს არ გაუკეთო ცუდი იმას, ვინც ისეთივე ადამიანია, როგორც შენ თვითონ ხარ. მთავარი ეს არის და არა პატივმოყვარეობა“ — უთუოდ ამდაბლებს მოთხრობაში ჩადებულ დიდ ადამიანურ განცდას და აღარიბებს ნაწარმოებს. განა პატივმოყვარეობამ გაუღვიძა ასეთი დიდი შურისძიების გრძნობა რეზიკოს? აბა მივყუკეთ თვით მოთხრობას, გავიხსენოთ რეზიკოს განცდები და მისი ხასიათის ჩამოყალიბების პროცესი, რომელსაც, მართლაც, თითქმის უზადო ოსტატობით გვიხსნის ახალგაზრდა მწერალი და ვნახავთ, რომ გმირი უფრო რთული და საინტერესო ბუნებისაა, მის შურისძიებას უფრო დიდი სოციალური და ქვეცნობიერი საფუძველი აქვს, ვიდრე ეს ავტორს ჰგონია, როდესაც მას პატივმოყვარეობით უპირებს ახსნას.

ძმებს, რეზიკოს და „რიქას“, მუდამ ერთად დაინახავთ, უმცროსი ძმა უფროსს ყოველთვის რამდენიმე ნაბიჯით უკან მისდევს. ისინი იშვიათად ელაპარაკებიან ერთმანეთს, არაფერი აქვთ სალაპარაკო. მაგრამ თითქოს რაღაც უხილავი ძაფებით არიან გადაბმული და მუდამ ერთად არიან. ბავშვებს არც დედა ჰყავთ, არც მამა. მოხუცი, დავრდომილი ბებიაა მათი პატრონი და ამიტომ ბავშვებიც დიდ დროს ეზოს გარეთ ატარებენ. ბაზართან საზამთროს გამყიდველს მიაჩერდებიან, სასადილოს წინ მჯდარი გამხდარი კაცი იცნობდა რეზიკოს მამას და ერთხელ, როცა რეზიკო პატარა იყო და მამამ ქუჩაში სასეირნოდ გაიყვანა, ამ გამხდარმა კაცმა ნაყინიც კი უყიდა ბავშვს. ახლაც იფიქრა, ობლებს საზამთროს ვუყიდო, მაგრამ მაინც ვერ მიცნობს ბავშვიო და რაკილა სინდისი ამით დაიმშვიდა, განზრახვაზე ხელი აიღო, სასადილოში შევიდა, არაყი გადაჰკრა, ერთი ამოიხარა, „ეჰო“ და ამით ჩაკლა თავისი ადამიანური გულისტყმა. ბიჭები ახლა ხარბად უყურებენ ქვაფენილზე მჯდარ ბოშა

ქალის შავ ძუძუს, რომელსაც იგი ბავშვს აწოვებს. თითქოს ამან ბაზრის კოლორიტი უნდა შექმნას მხოლოდ, სინამდვილეში კი ბოში ქალის შავმა ძუძუმ ალბათ სულ სხვა მწარე განცდები აუფორიაქა ობოლ ბავშვებს, ამიტომ მისჩერებიან წას ხარბად. აგურის სახლის აივანზე ახალგაზრდების ყრამული დგას და ბიჭები ერთმანეთს წუწავენ, მათი დედა კი დაშაქრული სიტყვებით თხოვს რეზიკოს წყალი მოუტანოს ქუჩის მეორე მხარეს მდგარ ონკანიდან:

..— ბიჭიკო, თუ ღმერთი გწამს, წყალი მომიტანე.

მაგრამ ბიჭი არ გაჩერდა და თავაზიანად უპასუხა:

-- არ მწამს, დედა, ღმერთი...

ქალმა რაკილა რეზიკო ვერ მოატყუა ფარისეველობით, მას ქოქოლა დააყარა და ძმას მიუბრუნდა. უმცროსს არ ეყო იმდენი მოსაზრება, რომ ამ ქალის ვიყებს წუწაობის დრო და თავი თუ აქვთ, წყლის მოტანაც უნდა შეეძლოთ, რაკილა ჩამოძინებულები არიან ობლები, ისინი არ უნდა ემსახურონ აგურის სახლში გაფარფაშებულ ფარისეველებს. უმცროსმა ძმამ გამოართვა ვედრო და ონკანისაკენ გაემართა. ეს რომ რეზიკომ დაინახა, აენტო, დაეწია ძმას, წაართვა ვედრო და თხრილში გადაისროლა. კმაყოფილება იგრძნო, მაგრამ ტკივილი მაინც დარჩა, ტკივილი იმისა, რომ მხოლოდ მათმა მდგომარეობამ გაათავხედა ქალი იმდენად, რომ ექვსი წლის ბავშვისათვის ვედრო შეეჩეჩებინა ხელში, თავისი მოზრდილი ბიჭების გართობისათვის წყლის მოსატანად.

რეზიკო უფროსია, უფრო ძლიერია და დამოუკიდებელიც, რიყა კი პატარაა, ნაზი, ცისფერთვალეა და საოცრად თეთრი კანის, ამიტომ მეტად ეტყობა ტანზე ჭუჭყიანი ლაქები. რეზიკო გრძნობს თავის მოვალეობას უმცროსი ძმის წინაშე, თუმცა თვითონაც ბავშვია, მასაც სჭირდება ალერსი, სითბო, მოვლა, პატრონობა. მაგრამ იგი ცხოვრების პირობების გამო იძულებულია არა მარტო დამოუკიდებელი იყოს, არამედ სხვასაც გაუწიოს მფარველობა. თუ რა მძიმე დალი დაამჩნია მის ხასიათს ასეთმა ცხოვრებამ, ამის შემადრწუნებელი, მაგრამ ფსიქოლოგიურად მართალი გამოხატულებაა ის სცენა, როდესაც რეზიკო უმიზეზოდ სცემს თავის ძმას.

შემდეგ თვითონაც გრძნობს სინდისის ქენჯნას და მწვავედ განიცდის საკუთარ დანაშაულს. სწორედ ასეთ დროს გაგებს, რომ მისი პატარა ძმა ომარას წყალში გადაუგდია, აქ კი იფეთქებს შურისძიების გრძნობა, რომლის მხოლოდ საბაბი და არა მიზეზი გახდა ომარა.

მთელი მოთხრობა და მისი დასკვნითი ნაწილიც საოცრად მართლად აქვს დაწერილი მწერალს, ყოველი ფრაზა ფსიქოლოგიურად ღრმა და ზუსტია. მაინც მოთხრობის ფინალი, რეზიკოსა და ომარას ჩხუბი, მწერალმა განსაკუთრებული სიციხადითა და სისწორით დაგვიხატა. რეზიკომ იძია შური, გატეხა თავისზე ღონიერი და უფროსი ომარა, ერთხელ მაინც ბოლომდე დაიცალა მოწამლული ბავშვობით ავსებული ბოლმისაგან და იგრძნო სიცარიელე, მერე ტკივილი, რადგან მიხვდა, რომ იგი უფრო კეთილშობილი უნდა იყოს, რომ მისი თბობა აუხსნელი, უმიზეზო უსამართლობის შედეგია და ომარაც, ამ შემთხვევაში, ისეთივე უმიზეზო მსხვერპლია, როგორც თვით რეზიკოს ბავშვობა.

თუ რეზიკო გაერკვა ამ რთულ საკითხში, მით უფრო უნდა გაერკვეს მკითხველი, რომ ეს შურისძიების გრძნობა არ უნდა გააღვივოს ადამიანმა თავისი ისეთი უპატიოსნო საქციელით, როგორადაც მოიქცნენ გამხდარი კაცი დუქანთან და დედაკაცი აგურის სახლთან. მთელი მოთხრობა აშკარა ბოროტების წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, რომელიც ყველასათვის ნათელია და რომელსაც ვერავინ გაუბედავს დაცვას, არამედ იმ შენიღბული უსინდისობის წინააღმდეგ, რომელსაც სჩადიან გამხდარი კაცი და დედაკაცი. ამას კი მწერლის თვალი სჭირდება იმისათვის, რომ გამოამზებუროს ის დიდი ადამიანური ტკივილები და განცდები. რომელიც ადამიანისადმი ასეთ დამოკიდებულებას მოსდევს. ამ ჰუმანურ მიზანდასახულებაშია მოთხრობის ემოციური შემოქმედების ძალა.

დავით ჯავახიშვილის „ზღვა“, ერთი შეხედვით, თითქოს არ არის დიდი ვნებებისა და განცდების მატარებელი მოთხრობა, მაგრამ დაკვირვებული მკითხველისათვის ამოუხსნელი არ დარჩება მწერლის მიერ ამ მოთხრობაში ჩადებული დიდი ადამიანური ტკივილი. დავით ჯავახიშვილი სულ

რამდენიმე წელია რაც ქართულ მწერლობაში მოვიდა, მისი პირველივე მოთხრობა „ბაიდა“ იმის მანიშნებელი იყო, რომ ჩვენ ვეცნობოდით ხალასი ნიჭის მქონე ავტორს. ამ მოთხრობით კი — „ზღვა“ ეს იმედი, ვფიქრობ, საბოლოოდ განუმტკიცდა მკითხველს. დავით ჯავახიშვილმა სულ სხვა კუთხით დაგვანახა იმ ბოროტ ადამიანთა სახე, რომლებმაც სხვისი დასმენითა და საკუთარი უსინდისობით ნებაყოფლობით იტვირთეს ოცდაათიანი წლების ტრაგედიის დატრიალება.

ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ ეწადა მას განმარტობა, სიმშვიდე, დასვენება და ამიტომაც აირჩია მყუდრო ზღვისპირა სოფელი. მაგრამ. როგორც ჩანს, სწორედ აქ ეწერა მას დიდი დრამატიზმით სავსე მოვლენების განცდა. სოფელში ცხოვრობს კაცი, რომელსაც ყველა ერიდება, რადგან მან სინდისი დიდი ხანია გაყიდა და ახლაც, განდევნილი და ყველასაგან ზურგშექცეული, მხოლოდ მომენტს უცდის თავისი იუდას ბუნების გამოსააშკარაველად. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ გაათამაშებს ამ ცოცხალ იუდას მოთხრობის გმირი, როდესაც თავს რაღაც საიდუმლო პიროვნებად გაასაღებს და მოხუცი ძველებურად ასმენს მასთან თანასოფლელებს, თითქოს ზოგიერთ მათგანს თვალს „ტურციისავენ“ ექიროს. ეს იმისათვის სჭირდება ავტორს, რომ ერთგვარი კომიზმი შეიტანოს ნაწარმოებში და მწარედ დასცინოს ამ ცოცხალ ლეშს, რომელსაც თავისი ბინძური ცხოვრების საფუძველი გამოსცლია.

ეს მაინც არ არის მთავარი ამ მოთხრობაში. მთავარი ის არის, თუ როგორ დაანგრია ამ ბოროტების განსახიერებამ არა მარტო სხვების, არამედ საკუთარი ქალიშვილის ცხოვრებაც. მამის გამო ქალიშვილსაც ერიდებიან სოფლელები და ამ უკანასკნელის ძუნწი სიტყვებითა და განწყობილებით მოწამენი ვხდებით, თუ რა ტრაგიკული გამხდარა ქალიშვილისათვის ცხოვრება. მას არავინ თანაუგრძნობს, ესაა მხოლოდ, რომ სილამაზის გამო დროებით თუ აეკვიატება ვინმე, ისიც ჩუმად, რომ არავინ გაიგოს, თითქოს ქალიშვილი მამის ბოროტების მოზიარე იყოს. დანგრეული ცხოვრების მქონე ახალგაზრდა ქალიშვილი არის სწორედ ის

გმირი, რომელიც ყველაზე მეტ თანაგრძნობას იწვევს მკითხველში. ერთადერთი შვება მისთვის ზღვასთან მარტო დარჩენაა, ყველაზე ახლობლად ზღვა მიაჩნია და ამიტომაც არ ეპუება მას არასოდეს.

მხოლოდ ერთხელ გაუელვებს ქალიშვილს იმედის ნაპერწკალი, როდესაც მოთხრობის გმირში თითქოს იგრძნობს ადამიანურ სიტბოს, ამაღლებულსა და კეთილშობილ დამოკიდებულებას, მაგრამ მას არ სჯერა ამ ბედნიერების. იგი თითქოს მიეჩვია იმას, რომ მამამისის ბოროტების ყველაზე დიდი მსხვერპლი თვითონ უნდა იყოს, ამიტომაც არც არავის საყვედურობს. მაგრამ ეს იმედიც ხანმოკლე აღმოჩნდა, ვინ იცის, იქნებ არც ამ ქალაქელ ახალგაზრდას ეყოფოდა იმდენი კეთილშობილება, რომ ქეშმარიტი თანაგრძნობა გაეწია ქალიშვილისათვის. იქნებ სწორედ ამ სირთულემ შეაშინა ავტორი და გამოსავალიც იმაში ნახა, რომ ქალიშვილი, როდესაც შორს, ზღვაში ელოდებოდა ვაჟს პაემანზე. უეცრად აბობოქრებულ ზღვას ამსხვერპლა. მკითხველს იმის ექვიც უჩნდება, რომ ეგებ თავისი ყოფით სასოწარკვეთილი ქალი არც ეცადა თავის გადარჩენას და სიმშვიდის მოპოვების ერთადერთ გზად სწორედ სიკვდილი იწამა.

მოთხრობის გმირს ერთი რამ აწუხებს მხოლოდ — „მე რომ არ ჩამოვსულიყავი, არაფერიც არ მოხდებოდაო“. მაგრამ მერე გაიხსენებს. რომ ამის ნუგეშად გურამ რჩეულიშვილის „სიკვდილი მთებში“ გამოდგება. დასამშვიდებლად ნოძებნის და გადაიკითხავს იმ ადგილს მოთხრობიდან:

„ჰო, — თქვა გურამმა. — ჯერ რომ შატილზე წავესულიყავით, ეგ ამბავი არ მოხდებოდა.

— მაგ „რომ“-ზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მაგ „რომ“-ების უზარმაზარი ჭაჭვი შეიძლება გაკეთდეს, ასე რომ ჩავეყვით, მივალთ იქამდე „რომ“ საერთოდ არ დაბადებულყო. არც მოკვდებოდა“...

„ამის წაკითხვამ უცბად დამამშვიდა და საღი აზროვნების უნარი დამიბრუნაო“, — გვამცნობს დავით ჯავახიშვილის მოთხრობის გმირი. მაგრამ არა მგონია ეს „რომების“ ფილოსოფია იყოს — არც „სიკვდილი მთებში“ და არც ამ მოთხრობის მთავარი სათქმელი: ჩემის აზრით, ეს მოთხრობა ქალი-

შვილის ტრაგიკული ხვედრით (ტრაგიზმი მის სიკვდილში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ასეთი მამის შვილია და ამან დააპირისპირა საზოგადოებასთან) მოქმედებს მკითხველზე ასე ძლიერად. ეს არის მოთხრობის ემოციური ზემოქმედების ძალის ერთადერთი და საკმაოდ უხვი წყარო.

დავით ჯავახიშვილი იქნებ განგებაც ცდილობს ადვილად დაამშვიდოს მოთხრობის გმირი ამ ტრაგიკული ამბის შექმნედა. რომ ამით კიდევ უფრო ნათელი გახადოს მკითხველისათვის ქალიშვილის მძიმე ხვედრიც და თავისი ნაწარმოების ჰუმანური მიზანდასახულებაც. მართალია, გმირი „რომ“ არ ჩამოსულიყო ამ მიყრუებულ ზღვისპირა სოფელში, ქალიშვილის ტრაგიკულ ცხოვრებას ეს კონკრეტული დასასრული არ ექნებოდა, და ამის გამო მაინც არ შეიძლება თბილისელი ვაჟის გამტყუნება, მაგრამ მკითხველისათვის მთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ქალიშვილის მიმართ ყველა ტყულის, მისი თანასოფლელებიცა და ჩამოსული ახალგაზრდაც. ადამიანი ადამიანისადმი სიყვარულითაა ძლიერი და არა სიძულვილით. ეს ხშირად ავიწყდებათ ადამიანებს, ამიტომაც არის, რომ ამ მოთხრობაში სოფლელებს თავისი სიძულვილი იუდას მიმართ მის უდანაშაულო ქალიშვილზე გადააქვთ. მწერლის გარდა არაფერ აღმოჩნდა, ვინც გაუგებდა ქალიშვილს და მას დიდ ადამიანურ თანაგრძნობას გაუწევდა. ეს გარემოება კიდევ უფრო მძაფრად და მღელვარედ გვაგრძნობინებს მწერლის სულისკვეთებას, მისი მოთხრობის ჰუმანურ მიზანდასახულებას.

ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა მწერლის აკაკი ვასაძის პატარა მოთხრობები, რომელნიც ავტორის ნიჭიერებაზე მეტყველებენ. აკაკი ვასაძე სულ ახლახან გაიცნო მკითხველმა და მისი რამდენიმე დაბეჭდილი მოთხრობა ჯერ კიდევ არ იძლევა საშუალებას ვილაპარაკოთ ავტორის შემოქმედებით თავისებურებაზე, მისი ინტერესების სფეროზე. თუმცა ჯერ ნაადრევია მსჯელობა ამ ახალგაზრდა ავტორის მოთხრობებზე, მაგრამ ზოგი რამ უკვე ახლავე თვალსაჩინოა. მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ აკაკი ვასაძეს აქვს უნარი მიანიშნოს ადამიანების ხასიათის სრულიად ჩვეულებრივ მხარეზე და იგი მხატვრულად საინტერესო ფაქტად აქციოს. ავტორი

ერიდება ეფექტებს და ცდილობს მკითხველში სუფთა და ფაქიზი გრძობები მხოლოდ თხრობის უშუალოებითა და ნაწარმოების ლირიკული განწყობილებით გამოიწვიოს. საერთოდ, აკაკი ვასაძე ჯერ ეგრეთწოდებული „განწყობილების მოთხრობის“ ავტორად წარმოგვიდგება და, რაღა თქმა უნდა, თუ მან არ მიაგნო თავისი შემოქმედებისათვის დიდი აზრობრივი დატვირთვის წყაროს, თუ არ გაიზიარა თანამედროვე ცხოვრების რთული პრობლემები და მათ მხატვრულ გადაწყვეტას არ ამსახურა თავისი შემოქმედება, მარტო „განწყობილებებით“ იგი შორს ვერ წავა. აკაკი ვასაძის რამდენიმე მოთხრობა მთის ყოფის რომანტიკულ წარმოსახვას ეძღვნება და ამით ავტორი ერთგვარად ეხმაურება იმ ტენდენციას, რომელსაც თანამედროვე მწერლობაში გურამ რჩეულიშვილმა მისცა დასაბამი. ეს იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ ბევრმა ახალგაზრდა მწერალმა სცადა გამოხმაურებოდა ამ პრობლემას. ა. ვასაძეც ასეთი კარგი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ამის დამადასტურებელია მოთხრობა „ნანული“.

მთის ყოფის მხატვრულ წარმოსახვას მიუძღვნა თავისი ვრცელი მოთხრობა „უშბა“ თეიმურაზ მალღაფერიძემ. ეს ავტორის პირველი მოთხრობაა. ამ თვალსაზრისით, იგი უთუოდ საინტერესო ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ. უპირველესად ეს მოთხრობა ყურადღებას იმით იქცევს, რომ აშკარად მიგვანიშნებს ავტორის გულწრფელობაზე. თეიმურაზ მალღაფერიძე გაბედულად, დიდი ტკივილითა და გულსწყრომით მოგვითხრობს იმ სვანეთზე, რომელიც მან დაინახა. თუმცა თვით ავტორის პოზიცია მე ცოტა საეჭვოდ მიმაჩნია. ვიდრე თვით პრობლემისა და მის, მალღაფერიძისეულ ინტერპრეტაციის ანალიზს შევუდგებოდე, უნდა აღვნიშნო ამ მოთხრობის სხვა საინტერესო მხარეც. ავტორს უთუოდ ეხერხება მხატვრული თხრობა, მისი დიალოგებიც ხშირ შემთხვევაში სალი და ბუნებრივია. მაგრამ მოთხრობა არ არის თანაბრად დაწერილი. როგორც ჩანს, ავტორს არ ეყო ძალა და გამოცდილება ვრცელი მოთხრობა სტილისტურად თანაბრად გულმოდგინედ დაემუშავებინა. ამიტომ ზოგჯერ მოთხრობაში ისეთ ფრაზებსაც წავაწყდებით, რომლებიც ყურს გვჭირან

თავისი სიყალბით, უგემოვნობით, ან იმით, რომ მეტისმეტად „ლიტერატურულნი“, პირდაპირ რომ ვთქვათ, გაცვეთილნი არიან (მაგ. „ქეთუ გრძელი, აღუღუნებული წამწამების დახრით დაემშვიდობა ლადოს“, „დადგა ოქროსფერი შემოდგომა“, „სხეული მომადუნებელ ჩქროლვით აევსო“, უცნაური პარამონიით იყო აქ შერწყმული დღეისდღე და საუკუნეთა მიღმური სიძველე“, „ბგერები შემპარავად ეუფლებოდნენ ლადოს სულს: უცნაურად მოუნდა სახის მიხუტება ვინმე ახლობელი ადამიანის მკერდზე“ და ბევრი სხვა). სარწმუნო რომ იყოს ამ მკაცრი საყვედურის საფუძველი, ერთ ვრცელ ნიმუშს მოვიტან ამ მოთხრობიდან:

„და ლადო ივსებოდა, უსასრულოდ ივსებოდა ამ გადათიბული ბალახითა და აჭრელებული ტყეებით, მათათა ჩამოთოვლილი გრეხილებითა და გამჟვირვალე, ლურჯი სიერცყეებით... ამის შეგრძნება მკერდს სიამით უგანიერებდა... რაღაც სიმღერა წამოიწყო, რომლის ბგერებსაც იმ წუთში თხზავდა. ეს უცნაური ბგერები ახლა ყველაზე უკეთ ესიტყვებოდა მის განწყობილებას...“

ტყის ნაპირას, ბუჩქნარში, ნებიერად გაიშლართა. გრილი ხორკლიანი ბალახი შიშველ ზურგს უშუშხავდა. პირქვე გადაბრუნდა, სახე ბალახებში ჩარგო და ზეიმურ, ყოვლისმომცველ მდუმარებას შეერია. ხარბად ისუნთქავდა მიწისა და ბალახების გამაბრუებელ ოხშივარს, თვალბში მუქი სიმწვანე ჩაუდგა“.

როდესაც არჩილ სულაკაურის მოთხრობაში „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“ დაჭრილი ჯარისკაცი სიყვდილის წინ იწყებს რაღაც გაუგებარი სიმღერის თხზვას ღიად დარჩენილ საფლავებზე, ეს მართლაც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს არა მარტო ზემდეგზე, არამედ მკითხველზეც. აგონიაში მყოფი ადამიანის ეს შემადრწუნებელი სიმღერა, რომელიც პირველად ბოდვად მიიჩნია ზემდეგმა, დაარწმუნებს ამ უკანასკნელს, თუ რა ძლიერია ადამიანში საკუთარი მიწისა და სისხლის შურისძიების გრძნობა, სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის შეგნება და ზემდეგი, ადამიანის ტლანქი და ეგოისტური ბუნების ეს სიმბოლური განსახიერება, მხოლოდ

ამ სიმღერით მიხვდება და ირწმუნებს სიცოცხლის მარტივსა და ურთულეს ფილოსოფიას, რომლითაც ასე მომხიბვლელია ჯარისკაცი. აქ ეს სიმღერის შეთხზვა ისეთი დიდი ჭიდილის გადასაწყვეტადაა მოტანილი, რომ ამით დაინტერესებულებს კიდევაც რომ ხელოვნური ყოფილიყო იგი, შეიძლება არც შეგვენიშნა ეს. მაგრამ არჩილ სულაკაურის მოთხრობაში ყველაფერი ბუნებრივია და მხატვრულად დამაჯერებელი. ჯარისკაცი, რომელიც იმ საზარელი შეგნებით კვდება, რომ ვერ იძია შური ღიად დარჩენილი საფლავების გამო, უკვე სასიკვდილო აგონიაში თხზავს ამ შემადრწუნებელ ბოღვა-სიმღერას. ამიტომ ეს ჩვენთვის სრულიად გასაგებია, არა მარტო გასაგებია, იგი ემოციურად მეტისმეტად ძლიერად მოქმედებს ჩვენზე. ხოლო, როდესაც ნასვამი ლადო მთისა და ტყის შემყურე იწყებს რაღაც სიმღერის შეთხზვას და შემდეგ „ზეიმურ, ყოვლისმომცველ მღუმარებას ერევა“, ეს მხოლოდ ყალბი ფრაზის შთაბეჭდილებას სტოვებს, რადგან მას არავითარი მოტივირება არა აქვს.

მოთხრობა „უშბა“ მთლიანად ამ სტილით რომ იყოს დაწერილი, მასზე ლაპარაკიც არ ელირებოდა, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, თეიმურაზ მალლაფერიძე უთუოდ იძლევა იმის იმედს, რომ შეუძლია საინტერესოდ და მართლად მოგვითხროს ამბავი. ეს სტილიური ლაფსუსები და ჩავარდნები შეიძლება იმითაც არის გამოწვეული, რომ ახალბედა ავტორი თავიდანვე ვერ მოერია ვრცელ მოთხრობას და თანაბრად ვერ გამართა იგი.

ახლა, რაც შეეხება მოთხრობის მიზანდასახულებასა და ავტორის პოზიციას. თეიმურაზ მალლაფერიძე, მართალია, ახალგაზრდა მწერლებისათვის მეტად ნაცნობ, შეიძლება ითქვას ორგანულ თემას შეეხმიანა თავისი „უშბათი“, მაგრამ, ამასთანავე, იგი მკვეთრად დაუპირისპირდა მათ და სრულიად განსხვავებული თვალთ დაინახა მთის ცხოვრება. თანამედროვე ქართულ პროზაში, ძირითადად მთის ყოფა რომანტიკული ფერებით იყო წარმოსახული. ახალგაზრდა ქართველი მწერლებისათვის მთა არის არა მარტო მომხიბლავი პეიზაჟი, არამედ ის მკაცრი გარემოც, რომელიც თვალნათლივსა ხდის ადამიანის ძლიერსა თუ სუსტ ბუნებას. მთაში, როდესაც

ათქმის პირისპირ არის დარჩენილი ადამიანი ძლიერ სტიქიასთან, ყველაზე უკეთ ჩანს ვაჟკაცობაც და სიმხდალაც, მეგობრობაც და ეგოისტურობაც, სიყვარულიც და სიძულვილიც. აქ შენიღბვა უფრო ძნელია და ადამიანები უშუალოდ. პთელი თავისი ავკარგიანობით წარმოგვიდგებიან.

ასეთ მკაცრ გამოცდას გადიან, როგორც წესი, ახალგაზრდა მწერლების მოთხრობების გმირები, ჩამოსულნი მთაში ქალაქიდან. მხატვრულად ყველაზე ძლიერად და საინტერესოდ ეს ვაჟკაცური ხასიათები გამოკვეთა გურამ რჩეულიშვილმა. თანამედროვე ლიტერატურაში მან კვლავ დაადგა მთას რომანტიკული გვირგვინი და ამით განაახლა, გააგრძელა, სრულიად განსხვავებულად შემოიტანა პროზაში ყაზბეგისა და ვაჟას ტრადიციები. გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების ეს თემა და ეს ტენდენცია შემდეგ სხვა ქართველი მწერლებისთვისაც საინტერესო და ორგანული გახდა. გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების გმირები ბავშვური აღტაცებით კი არ შეჰხარიან მთას, არამედ ხედავენ და გრძნობენ თუ როგორ აყალიბებს იგი ადამიანის ხასიათს და ამავე დროს თვითონაც გადიან ხასიათის ამ წრთობას.

თეიმურაზ მალლაფერიძე შეეცადა სხვა თვალთ დაენახა მთის ყოფა. მისი მოთხრობის გმირი ლადო ქალაქელი ახალგაზრდაა, რომელსაც უნივერსიტეტი დაუმთავრებია და ახლა სვანეთის ერთ-ერთ სოფელში მასწავლებლობს. კონფლიქტი აგებულია იმაზე, თუ როგორ დაუპირისპირდებიან ლადო და სვანი ქალი ქეთუ დრომოკმულ ადათ-წესებს. ქეთუ ბავშვობაში დაუნიშნიათ და ახლა, მართალია დანიშნულებს ერთმანეთი არამტუ უყვართ, სძულთ კიდევაც, ადათის თანახმად, ისინი უნდა შეუღლდნენ. მართალია, ჩვენს ყოფაში შემორჩენილი ძველი, უსარგებლო და მავნე ადათების წინააღმდეგ მწერალს სრული მორალური უფლება აქვს თავისი სიტყვა თქვას, მეტიც, იგი მოვალეა გვიჩვენოს და დავარწმუნოს, თუ როგორ უშლის ხელს ასეთი ადათი ცხოვრების განვითარებას, ადამიანის ბედნიერებას, ამ მხრივ, სადავო თეიმურაზ მალლაფერიძესთან არაფერი შეიძლება გვქონდეს... მაგრამ საქმე იმაშია, რომ მოთხრობა „უშბა“ უფრო პრეტენზიული მიზანდასახულებისაა. ავტორი ისწრაფვის

დაარწმუნოს მკითხველი, რომ სვანეთის ცხოვრებაში არაფერია საინტერესო; მიმზიდველი, ამალღებული, ჭეშმარიტად ვაჟკაცური. მოთხრობის გმირის ილუზიები სვანეთში ჩასვლის პირველივე დღიდან იმსხვრევა და იგი სულ უფრო და უფრო რწმუნდება იმ სიბნელესა და მეშჩანობაში, რომელიც დამახასიათებელი ყოფილა სვანური ყოფისათვის, ლადოსა და თემრაზს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„— მე მინდოდა ნამდვილი სვანეთი მენახა.

— ჰე, ნამდვილი: მერე სადაა ნამდვილი? ძველიდან ის შემოგვრჩა, რაც მახინჯი იყო, ახალი ბოლომდე ვერ შევითვისეთ და დავრჩით ასე...“

ეს არ არის უბრალოდ ან შემთხვევით ნათქვამი ფრაზა, ეს არის ავტორის მხატვრული სათქმელი, მისი მოთხრობის ძირითადი აზრი. თეიმურაზ მალღაფერიძე ამ მოთხრობაში მარტო ძველი ადათების, ან ცხოვრების ცალკეული მხარეების გამო კი არ გამოთქვამს უკმაყოფილებას. მისთვის საერთოდ მიუღებელია დღევანდელი სვანეთი. ეს კი ცოტა საეჭვო პოზიციია. თუ ამ მოთხრობით ვიმსჯელებთ, სვანეთი არის მხოლოდ ძველი დესპოტური ადათებისა და ახალი მეშჩანური ყოფის ნარევი.

მთელი მოთხრობის მანძილზე ჩვენ მხოლოდ ისეთ გმირებს ვეცნობით, ან ისეთი სცენების მოწამენი ეხდებით. რომლებიც ამ ერთადერთ მოსაზრებას გვიმტკიცებენ. აი ერთი სურათი სვანეთის ცხოვრებიდან, რომელსაც ლადოსთან ერთად ვხედავთ.

„სადალაქოსთან ახალგაზრდები მოგროვილიყვნენ. სვანური ფაყუს ნაცვლად, მოთეთრო ბუკლეს „სტილნი“ ქუდები ეხურათ. ზოგს ჩინური, ლურჯი „მაკენტოში“ ეცვა. მათს მიხვრა-მოხვრაში, ლაპარაკის კილოში იგრძნობოდა სურვილი თბილისელ „გამოსულ“ ბიჭებთან დამგვანებისა“.

იქნებ ეს ერთი ჩგუფია ასეთი „მოსტილნო“ სვანებისა და მათ მწერალი უპირისპირებს სხვა ჩგუფს, რომლებიც უბრალო, ვაჟკაცური ბუნების სვანებს წარმოგვიდგენენ? სამწუხაროდ, ასე არ არის. ეს „სტილნობა“ ეტყობა კოლმეურნეობის თავმჯდომარესაც, რომელსაც „ბუკლეს ქუდი

დარდიმანდულად მოეგდო გვერდზე“, ექიმსაც, რომელსაც მთელ სვანეთში მხოლოდ იმით გაუთქვამს სახელი, რომ ორივე შვილი სამედიცინოზე მოუწყვია. „მოსტილნო“ სვანების მთელ ამ გალერეას განსაკუთრებული კოლორიტით ამკობენ ჰამლეტა და ფრანცუზა თავისი „თანამედროვე“, „რთული ფილოსოფიური“ აზროვნებით რომ „ცხოვრება კიბეა, ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის“, ან რომ „ცხოვრება ბრძოლაა, უნდა იბრძოლო“, — ამ ბრძოლაში კი იგულისხმება მხოლოდ თავისაკენ მიტაცება და სხვა არაფერი.

ამ კატეგორიის გმირებსა და სახეებს უპირისპირდებიან მხოლოდ ძველი მავნე ადათის დამცველი სვანები, ძმები ვეზდენები და სოფლის მოსახლეობა, ახალგაზრდები და მოზუნცები, რომლებიც თითქმის ველურებივით ცხოვრობენ, „იტენიან პურებს ხახაში“, „ძროხის ცივი ქონით გაპოხილ თითებს ილოკავენ“, „მწყურვალეებივით ხვრეპენ არაყს“, „ძვლიან ხორცს წვეტიანი კბილებით ხრავენ“, „გამოხრულ ძვალს იატაკზე ისვრიან“ და „სვანურად ყაყანებენ“. თავი დავენებოთ ამ სვანურად ყაყანს, რომელიც აშკარა უტაქტობაა და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავტორის უნებლიე ლაფსუსია და არა მისი შეგნებული დამოკიდებულება სვანებისადმი და სვანურისადმი (მაშინ ეს ყოვლად მიუტყვევებელი შეცდომა იქნებოდა). ამ „სვანური ყაყანის“ გარეშეც „მეტად კოლორიტულად“ არიან წარმოდგენილი სვანები, რომელთაგან ზოგი მასწავლებელია, ზოგიც გლეხი ან მოსამსახურე, მაგრამ ყველანი ერთად მტკიცედ დგანან თავისი ბნელი ადათების სადარაჯოზე.

ძველი და ახალი სიმახინჯის ნარევი მთელ ამ სამყაროს გამოეყოფიან ლადო, თემრაზ, ქეთო და პატარა მაწისა. ამათგან თემრაზი ხელჩაქნეული ადამიანია, რომელსაც არავითარი იმედი არა აქვს მომავლისა, ქეთუ მხოლოდ ლადოსადმი თავისი სიყვარულის გამო ცდილობს გაექცეს ამ გარემოს, მაწისა უბრალოდ ფაქიზი გრძნობის და ბუნების ბავშვია, რომელსაც არაფერი მოეთხოვება ჯერ ცხოვრებაში. ერთადერთი ლადოა, რომელიც ჩამოსულა სვანეთში და ცდილობს დაუპირისპირდეს მას თავისი პროგრესული იდე-

ალებით. ერთი წუთით დავუშვათ, რომ ავტორი მართალია, როდესაც ასეთ ფერებში გვიხატავს სვანეთს. საკითხავია, გამოდგება თუ არა ლადო მისიონერად, არის თუ არა იგი ისეთი ძლიერი პიროვნება, რომელსაც შეუძლია იტვირთოს ბრძოლა სვანეთის „მოსარჩულებლად“?

ამ კითხვას, სამწუხაროდ, მხოლოდ უარყოფითად შეიძლება ვუპასუხოთ. თუკი ავტორმა ასეთი დიდი და მძიჷე მოვალეობა იკისრა, მან ბნელი სვანეთი ისეთი გმირის თვალთ უნდა დაგვანახოს, რომელსაც დაუჩერებს მკითხველი, რომელიც თვითონ იქნება ძლიერი პიროვნება და თავისი მაღალი შეგნებითა და ხასიათის სიმტკიცით ჩვენს სრულ ნდობას დაიმსახურებს. ლადო კი, პირიქით, თავისი „მალჩიშკური“ მანერებითა და ქცევით უფრო მოუძწიფებელ, თავაშეებულ ახალგაზრდას ჰგავს, ვიდრე დიდი იდეალებისათვის მებრძოლ, ჩამოყალიბებულ მამაკაცს. ბოლოსდაბოლოს ლადოს პროტესტიც იქამდე დადის მოთხრობაში, რომ მას ქეთუსთან შეუღლება სურს, ამას კი ადათი ეღობება წინ. თვით ეს რომანიც ლადოსა და ქეთუს შორის იმდენად ყალბია და ბანალური, რომ არ გამოდგება ასეთი დიდი პროტესტის გრძნობის გამომწვევ მიზეზად.

მართალია, მეტად მკაცრი გამოძვირდა მსჯელობა თეიმურაზ მალლაფერიძის მოთხრობაზე, მაგრამ ავტორის გულწრფელობა (ეს ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მწერლისა) და მოქალაქეობრივი სითამამე უთუოდ არწმუნებს მკითხველს იმაში, რომ იგი შესძლებს საინტერესო მოთხრობების დაწერას. ეს სიმკაცრეც მხოლოდ ამ რწმენით და ახალგაზრდა ავტორისათვის დახმარების სურვილით არის გამოწვეული.

მწერალს, რაღა თქმა უნდა, აქვს მხატვრული გაზვიადების, გამძაფრების უფლება, მაგრამ ამას არ უნდა ემსხვერპლოს ცხოვრების სიმართლე. ამ თვალსაზრისით, ზომიერების გრძნობა ისევე აუცილებელია მწერლისათვის, როგორც სხვა თვისებები. ავტორისათვის სწორედ ამ ზომიერების გრძნობის ღალატმა განაპირობა „უშბას“ ნაკლი. არსებითად იმავე მიზანდასახულობას, ძველი ადათების წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება ფრიდონ ხალვაშის რომა-

ნიც „საყვედური“. მწერალი არ ცდილობს რაიმე მიჩქმალოს, ანდა ადათების მავნე ზეგავლენა როგორმე უფრო შემსუბუქებულად გვიჩვენოს. ეს უთუოდ რომანის დიდი ღირსებაა, რადგან აქარული მოსახლეობის ყურადღებას კვლავ მიაქცევს ძველი ადათების უკუგდების აუცილებლობისაკენ. მაგრამ სწორედ ზომიერების გრძნობამ და აქარის ცხოვრების საფუძვლიანმა, ღრმა ცოდნამ აარიდა მწერალს სინამდვილის ცალმხრივად, დამახინჯებულად წარმოსახვას.

ამ თვალსაზრისით ფრიდონ ხალვაშის „საყვედური“ საყურადღებო ნაწარმოებია, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მწერალს არ ეყო გამოცდილება (პოეტის ეს პირველი რომანია) ღრმად და საფუძვლიანად, როგორც ეს რომანს შეეფერება. დაემუშავებინა პრობლემა. ამიტომ ზოგჯერ ზერელობის, სქემატურობის იერი დაჰკრავს ამ რომანს. ეს ისეთი სენია, რომელიც თუ მოედო ნაწარმოებს, მას ვერავითარი აქტუალური პრობლემატიკა ვერ უშველის. ამაში ნათლად გვარწმუნებს იაკინთე ლისაშვილის რომანი „ნანგრევებზე“, რომელიც აგრეთვე „მნათობმა“ დაბეჭდა.

ამ ორი რომანის გარდა „მნათობში“ დაიბეჭდა სერგო კლდიაშვილის „ფერფლის“ მეორე ნაწილი და ლალო მრელაშვილის „ყაბახი“.

სერგო კლდიაშვილი დიდი ხნის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის საინტერესო რომანს „ფერფლს“ და მეორე ნაწილით უფრო დასრულებული სახე მისცა მას. ახლა ეს რომანი რამდენიმე თაობის მხატვრულ მატთანეს წარმოადგენს.

ლალო მრელაშვილის „ყაბახი“, როგორც ჩანს, მეტად ფართოდ გააზრებული მხატვრული ტილოა. ჯერ მარტო პირველი წიგნია გამოქვეყნებული, რომელიც უკვე სქელტანიანი რომანის ტოლია. „ყაბახის“ პირველი წიგნი თანაბრად არის დაწერილი. მკითხველს აქ გაუჭირდება გარეგნულად ყალბი ფრაზის ან დიალოგის პოვნა. მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრი ეპიზოდი და სცენა თავისთავადობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჯერჯერობით რომანი ერთმანეთთან სიუჟეტურად სუსტად დაკავშირებული ნაწილების ნაერთს მოგვაგონებს. როგორ შეიკვრება იგი მთლიანად და რა სახეს მიიღებს

საბოლოოდ, ამის თქმა ძნელია, რადგან ჯერ მხოლოდ პირველი წიგნია გამოქვეყნებული.

ლ. ძრელაშვილი სოფლის ცხოვრების თითქმის ყველა საკითხს ეხება, მას უამრავი გმირები შემოჰყავს მოქმედებაში. რომანის სიუჟეტური ხაზები მრავალმხრივ მიემართება და მწერლის ყურადღებაც დაფანტულია. ჯერ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მწერალი ამჟღავნებს ცხოვრების ემპირიული წარმოსახვის უნარს. რომანში ვნახავთ კახეთის ყოფის ბევრ კოლორიტულ სურათს, მხატვრულად საინტერესო პორტრეტებს, მაგრამ ყველაფერი ეს თავისი გარეგნული ფერებით იტაცებს ჩვენს თვალს. ასეთ დიდ რომანს დიდი სათქმელიც უნდა ჰქონდეს და როდესაც ეს გაირკვევა, მაშინ გახდება ნათელი მისი ავკარგიანობაც. ჯერჯერობით კი ამ პირველ ნაწილში ასეთი დიდი სათქმელი არაფერი ჩანს. აქ ბევრი რამ არის მინიშნებული, საკოლმეურნეო ცხოვრების ძლიერი და ნაკლოვანი მხარეებიც, მაგრამ მარტო მინიშნება კი არ კმარა, მას გახსნა და გადაწყვეტაც სჭირდება. თუ მწერალი ისევე იოლად ეცდება გადაწყვიტოს სხვა საკითხები, როგორც ახალგაზრდობის კოლმეურნეობაში მიზიდვის საკითხი, ვეჭვობ რაიმე გამოვიდეს. განა სერიოზულად შეიძლება ვირწმუნოთ ის ამბავი, რომ საქმარისი გახდა სტალიონის მშენებლობის დაწყება და ახალგაზრდობა კოლმეურნეობას მიეტანა. ახალგაზრდობა თუ მოწყვეტილია კოლმეურნეობას, ამის სერიოზული მიზეზების რკვევაა საჭირო, ხოლო თუ ამ პრობლემას ერთი სოფლის სტალიონის მშენებლობა შველის, იგი არც ყოფილა სერიოზული პრობლემა. მწერალი თუ აპირებს შეეხოს სოფლის ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს, მან გულწრფელად უნდა გასცეს მასზე პასუხი, თუ არა და საერთოდ ნუ სვამს ამ საკითხებს.

რომანი იწყება ყაბახის აღწერით და პირველ წიგნს ისე ჩაათავებს მკითხველი, ვერ მიხვდება, თუ რატომ ეწოდება რომანს „ყაბახი“. მხოლოდ უკანასკნელი აბზაცი გაარკვევს ამაში, როდესაც იკვეთება კონფლიქტები და შაელებო გაიფიქრებს, რომ მისი ნამდვილი ყაბახი ახლა იწყება. ფაქტიურად, პირველი წიგნი, ეს არის შესავალი, ექსპოზიცია,

რომლის შემდეგ უნდა განვითარდეს მოქმედება. ვფიქრობ, ეს ცოტა კი არა; მეტად ვრცელი ექსპოზიციანა. მწერალმა ცოტა უფრო გარკვევით უნდა გამოკვეთოს თავისი სათქმელიცა და მისი გამოხატვის ეფექტურ საშუალებასაც მიაგნოს.

თანამედროვე ქართული რომანი ისეთ დიდ იმედებს არ იძლევა, როგორც ამას ზოგჯერ აღნიშნავენ ხოლმე. დღევანდელ ეპოქაში რომანი გადამწყვეტი უანრია მწერლობისა და, სამწუხაროდ, სწორედ იგი ჩამორჩება ქართულ ლიტერატურაში. უკანასკნელი წლების მანძილზე ქართველი მწერლების მხოლოდ სამი-ოთხი საინტერესო რომანი გამოქვეყნდა. ეს კი მეტისმეტად ცოტაა. ბევრი რამ, რაც იბეჭდება, მხატვრულად სუსტია და ინტერესს მოკლებული.

უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ ის ლიტერატურული ატმოსფერო, რომელიც შეიქმნა ჩვენში უკანასკნელი წლების მანძილზე, ხელს შეუწყობს ქართული ლიტერატურის, ქართული პროზის და, რაც განსაკუთრებით გვიჭირს, ქართული რომანის განვითარებას.

მინანქრის გოგონები

1965 წლის ქართული პროზა

შარშან „მნათობის“ მეოთხე ნომერში დაიბეჭდა სერგო კლდიაშვილის პატარა, სულ ოთხგვერდიანი შესანიშნავი ნოველა „მინანქრის გოგონა ლომბარდში“. ასეთი ნატიფი აზრისა და ბრწყინვალედ დაწერილი ნოველა, გამოგიტყდებით, კარგა ხანია აღარ წამიკითხავს, ყოველ შემთხვევაში, ამ ნოველამ, რომ იტყვიან „ესთეტიკური ტკბობა მომანიჭა“ და თან ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზეც ჩამათქრა. ნათქვამია, კარგი ლექსის მოყოლა არ შეიძლებაო. ვფიქრობ, ასევე არ შეიძლება კარგი ნოველის მოყოლა. აზრის გადმოცემას კიდევ მოახერხებს კაცი, მაგრამ ის რაღაც ჭადოსნური, რაც ამ აზრს ხელოვნებად აქცევს, ძნელი მოსაყოლია. ასე რომ, ეს ნოველაც მხოლოდ წაკითხვით აგრძნობინებს მკითხველს თავის ძალასა და სურნელს. და თუ მაინც შევეცდები ორიოდ სიტყვით მოგიყუეთ (მაპატიოს ეს ავტორმაც და მკითხველმაც), მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ნოველით აღძრული ფიქრები გაგიზიაროთ.

ამბავს თვით ავტორი გვიყვება. ეს თვით მას გადახდენია თავს. ძველებური მინიატურა — ცისფერ მინანქარზე გამოხატული ახალგაზრდა ქალიშვილი — ყველაზე ძვირფასი ნივთი ყოფილა მისთვის, ურომლისოდაც არა მხოლოდ სიცარიელეს იგრძნობდა გარშემო, არამედ მარტობის გრძნობაც შეიპყრობდა. ეს იყო მაღალი შთაგონების ნაყოფი და, ვინ იცისო, ეგებ ერთადერთიც შემოქმედისა, რადგან ასეთ შედეგში მხატვარი ხშირად ბოლომდე დასცლის თავის გრძნო-

ბას და ყველაფრისაგან განიძარცვება. და მაინც იძულებული გახდა ავტორი მინანქრის გოგონა ლომბარდში წაეღო იმ ღრპა რწმენით, რომ სულ მალე დაიხსნიდა, წაეღო ლომბარდში, სადაც ყველა განძის შეუმცდარი ფასი იციან. სასოებით მიიტანა ეს ძვირფასი ნივთი და შემფასებელს გაუწოდა. მან გამოართვა სურათი, დახედა, შეატრიალა და უხმოდ დაუბრუნა უკან. ეს ხომ უნიკალური ნივთია, სწორუპოვარი შედევი? — აღშფოთდა შეურაცხყოფილი მწერალი. შეიძლება, მაგრამ ჩვენთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს... — ცივად უპასუხა შემფასებელმა. ბედნიერმა აზრმა აპოენინა მწერალს გამოსავალი, ზაფხულის იმ ცხელ დღეს რატომღაც პიჯაკი ეცვა, უმალ გაიძრო და შემფასებელმაც გირაოში მისაცემი ისეთი დიდი თანხა დაუსახელა, სიხარულისაგან გაოგნებული ყურებს არ უჭერებდა.

ცოდვა გამოტეხილი სჯობია და ჩვენ, ლიტერატურის კრიტიკოსები, ვფიქრობ, ზოგჯერ (თუ ხშირად არა) ლომბარდის შემფასებელსა ვგავართ. მე უკვე მესმის ჩემი ზოგიერთი კოლეგას საყვედური: — აბა ეს სადაური სამართალია, ღმერთმა ქნას, კარგი რამ დაიწეროს და იმას როგორ არ დავაფასებთო. ეგებ მართალიც იყოს ჩემი გამწყვრალი კოლეგა, მაგრამ, ვფიქრობ, არც მე ვიქნები შემცდარი, თუ ვიტყვი, რომ ხშირად, სახელდახელოდ, აქტუალურ თემაზე შექმნილ ნაწარმოებს მეტად ვუქმევთ ხოლმე გუნდრუქს. ვიდრე ჭეშმარიტი შთაგონების ნაყოფს და ამით, ჩვენდა სავალალოდ, მაინც ვემსგავსებით ს. კლდიაშვილის მოთხრობაში დასახელებულ გმირს.

ჩემის აზრით, კრიტიკოსებს ერთი (თუ მეტი არა) შეცდომა მოგვდის — ერთნაირი საზომით ვუდგებით ყველაფერს, რაც კი იბეჭდება. და თუ ეს საზომი მხოლოდ ვიწროდ, ისე გაგებული აქტუალობაა, როგორადაც ზოგიერთ ჩვენგანს ესმის, მით უარესი. განა ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები მხოლოდ მაშინ არის აქტუალური და ჭეშმარიტი მხატვრული ღირსებისა, როდესაც ერთი წლის ან თუნდაც, მაინცდამაინც ერთი კონკრეტული ეპოქის მოვლენას ენმაურება? იქნებ ამ თვალსაზრისზე მდგომთ, ლომბარდის თანამშრომლის მსგავსად, ჩვენც დაგვებრუნებინა უკან მწერ-

ლისათვის მინანქრის გოგონა ან თვით ეს ნოველა და გვეთქვა—ღირებულება არა აქვსო. განა ლიტერატურული ნაწარმოების აქტუალობა ანუ მნიშვნელობა იმით არ განიზიარება, თუ რასა პრგებს იგი ადამიანის სულსა და გულს. რა სიკეთეს; სათნოებას, სიყვარულს თუ სხვა მრავალ თვისებასა და გრძნობას ნერგავს და აღვივებს მასში, ან რასა ჰმატებს ადამიანის მაძიებელ გონებას?

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა ბოლომდე გაპყლოდა ამ „ღირებულების თეორიას“ და მხოლოდ „აქტუალური“ პრობლემატიკით ყოფილიყო დაინტერესებული, მაშინ ხომ არ დაიწერებოდა ისეთი შედეგრი ნოველისტიკისა, როგორცაა „თავსაფრიანი დედაკაცი“, არც „მართალი აბდულაჰ“, არც „თავადის ქალი მათა“ და „ჰაკი აბა“, არც „დიდოსტატის მარჯვენა“, „სანაევარდო“, ან მრავალი სხვა. რომელი ერთი დავასახელო! თუმცა თავის დროზე ყველა ეს მოთხრობა თუ რომანი ზოგიერთმა კრიტიკოსმა არააქტუალურ ნაწარმოებად გამოაცხადა. საბედნიეროდ, ზოგჯერ მწერლები ჭიუტად იყრუებენ ყურს, არ უწევენ ანგარიშს სალიტერატურო კრიტიკას და ადამიანთა გულების დასაპყრობად სტრატეგიულ შეტევას ამჯობინებენ, ვიდრე პატარა ტაქტიკურ ოპერაციებს. მაგრამ ისიც ხომ უნდა ვიფიქროთ, თუ რამდენი რამ, ქეშმარიტად მხატვრული და ღირებული, არ დაიწერა ლომბარდელი კრიტიკოსის პოზიციის გამო.

ყოველი ლიტერატურა, რომელი დროისაც არ უნდა ავიღოთ, არ ყოფილა, არ არის და არც შეიძლება იყოს ერთგვაროვანი, ერთნაირად საინტერესო და მნიშვნელოვანი, ან ერთნაირად უინტერესო და უმნიშვნელო ნაწარმოებების ჯამი. ამასთანავე არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ნაწარმოები ერთნაირი დანიშნულებისა არ არის. მე არაფერს ვიტყვი იმ ბუნებრივ ნალექზე, რომელიც ლიტერატურული ცხოვრების დუდილში სრულიად ჩვეულებრივი რამაა და მაინცდამაინც არც უნდა გვაკვირვებდეს და არც გვაშფოთებდეს. ასეთ ნალექზე სერიოზული ლაპარაკი არა ღირს. მისი არც კრიტიკული ანალიზი შეიძლება და არც აკვარგის რკვევა, ის საერთოდ ლიტერატურის მიღმა დგას და ელე-

ჰენტარული ფილტრი სჭირდება მხოლოდ (რასაც, სამწუხაროდ, ხშირად ივიწყებენ ჩვენი ჟურნალ-გაზეთებიც და გამომცემლობებიც). ყოველივე იმას კი, რაც ლიტერატურის ფარგლებშია, შესაფერი ადგილი უნდა მიეკუთვნოს თავისი დანიშნულების მიხედვით.

ლიტერატურულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი იმ მიზანს ემსახურება, რომ მხატვრულად საინტერესოდ და დამაჯერებლად რაღაც სულიერი საზრდო მისცეს თანამედროვე ადამიანებს, აჩვენოს ამაღლებულის ნიმუში ან, პირიქით, გაკიცხოს ბიწიერი თუ ბოროტი. ასეთ ნაწარმოებებს თითქოს შეუმჩნეველი, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ და ყოველ ეპოქაში მათზე საკმაო მოთხოვნილებაა. უფრო მეტიც, ვფიქრობ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ასეთ ნაწარმოებებს თანამედროვენი უფრო მეტად ეტანებიან, მათ მეტი მკითხველიცა ჰყავთ. ეს იმით აიხსნება, რომ ასეთი ყაიდის ნაწარმოებები უფრო მეტად ეხმაურებიან კონკრეტულ საჭირობოროტო საკითხებს, რომლებიც იმ ეპოქის ადამიანებს აღელვებთ და, მაშასადამე, დიდი გავლენაც აქვთ თანამედროვეებზე. მაგრამ. ამასთანავე, ისინი საღღისო ნაწარმოებებია, მათ არა აქვთ პრეტენზია წარუვალობისა (მე აქ თვით ნაწარმოებების პრეტენზიულობაზე მოგახსენებთ და არა ავტორების პრეტენზიებზე). ასეთ ნაწარმოებებს ლიტერატურის კრიტიკის გულისხმიერი დამოკიდებულება სჭირდება, რადგან მათ, მართალია, დროებითი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ ასეთი დანიშნულების ლიტერატურის დონე სალიტერატურო კრიტიკის სერიოზული საფიქრალი უნდა იყოს.

ამის გარდა, ცოცხალ ლიტერატურულ პროცესში იქმნება ისეთი მხატვრული ნაწარმოებებიც, რომლებიც დიდი პრობლემატიკებით, ფილოსოფიური სიღრმითა თუ ფსიქოლოგიური ანალიზით, კონკრეტულ ისტორიულ ფონზე დიდი ადამიანური ვნებების გახსნით დროის ზღუდეებს ლახავენ. რამდენად უძლებენ ისინი დროის გამოცდას, ამას მხოლოდ მომავალი არკვევს სარწმუნოდ, თანამედროვეებს კი შეუძლებლად იმის თქმა შეუძლიათ, რომ მხოლოდ ასეთი ნაწარმოებები, ღრმა აზრებით დატვირთულნი და ჭეშმარიტი შთა-

ჯონებით აღბეჭდილნი, განსაზღვრავენ ამა თუ იმ ეპოქის ლიტერატურის მნიშვნელობას ერთიანი ეროვნული ლიტერატურის განვითარების პროცესში.

აი, ჩემი აზრით, მხოლოდ ამ ასპექტშია აუცილებელი თანამედროვე ქართული მწერლობის განხილვა. თუ ჩვენ თავისი დანიშნულების მიხედვით ასე განვასხვავებთ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, მაშინ უფრო იმედიანი თვალთ შევხედავთ ქართულ მწერლობას და ის, რაც დაიწერა აქამდე ქართულ საბჭოთა მწერლობაში, საკმაოდ მნიშვნელოვნად წარმოგვიჩნდება დროის იმ მონაკვეთისათვის, რომელიც ეროვნულ ლიტერატურაში ახალი ეტაპის შესაქმნელად არცთუ ისე დიდია და ხანგრძლივი. მით უმეტეს, მცირეა ის ერთი, 1965, წელი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისა. რომლის მანძილზე გამოქვეყნებული ახალი პროზაული ნაწარმოებებიც გახლავთ ამ წერილის მასალა. მართალია, ძნელია ერთი წლის მასალით თანამედროვე ქართული ლიტერატურის დონის განსაზღვრა, მით უმეტეს, რომ ამ წელს მხატვრული სიტყვის ბევრ აღიარებულ ოსტატს ახალი არაფერი უთქვამს მკითხველისათვის, მაგრამ, ვფიქრობ, არც სულ უინტერესო იქნება თვალი გადავაავლოთ, რა შეემატა ჩვენს მწერლობას 1965 წელს.

ახალი ნაწარმოებები შარშან, ძირითადად, სალიტერატურო ჟურნალების ფურცლებზე დაიბეჭდა. მე მოვიძიე ქართველი პროზაიკოსების წიგნებიც, რომლებიც 1965 წელს გამოიცა, მაგრამ, თუ არ ვცდები, რაიმე საინტერესო, ახალი, რაც ადრე არ ყოფილა მკითხველისათვის ცნობილი, ამ წიგნებში არ უნდა იყოს. ასე რომ, ვფიქრობ, მხოლოდ „მნათობისა“ და „ცისკრის“ მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ შარშანდელი პროზის „მოსაველზე“.

1965 წელი, ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით, თუ დიდად მოსაველიანი არაა. ყოველ შემთხვევაში, არც გვაღვიანი იყო. ამ წელს დაიბეჭდა ისეთი მნიშვნელოვანი რომანები, როგორებიცაა კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ნატვრისთვალის“ მეორე წიგნი, ოთარ ჩხეიძის „კვერნაქი“, არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზი“. ამას გარდა სხვა(ც ბევრი რამ გამოქვეყნდა, რომანი იქნება ეს, მოთხრობა თუ ნოველა.

მათი ავტორები ცნობილი მწერლებიც არიან და ნაკლებად ცნობილიც, ან სულ უცნობიც. მაგრამ მე აქ ავტორთა მეტ-ნაკლები დამსახურების მიხედვით არ ვაპირებ მასალის განხილვას. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უფრო იმას მივაქცევ ყურადღებას, თუ რომელი მათგანი რა დანიშნულებისაა (რა თქმა უნდა, ჩემი აზრით), მხოლოდ საკითხავი ნაწარმოებია, თუ უფრო ღრმა და სერიოზული ხასიათისაა. ისეთ ნაწარმოებებზე კი, რომლებსაც, ჩემი ღრმა რწმენით, ლიტერატურასთან თითქმის ან სულ არაფერი აქვთ საერთო, სულაც გავჩუმდები, რადგან ეს მეტად მძიმე და უმადური მოვალეობა წინა წლებში უკვე რამდენჯერმე მოვიხადე და ვისაც გამოუცდია, კარგად იცის, რა თავმოსაბეზრებელი საქმეცაა.

შარშან ახალგაზრდა მწერლები უფრო აქტიურნი იყვნენ (თუმცა, სამწუხაროდ, ეს იყო მათი ყველაზე დიდი ღირსება). ახალი ავტორებიც გამოჩნდნენ. უნდა ითქვას, რომ მათ რომანებსა თუ მოთხრობებში ცუდი გემოვნების დამადასტურებელ მაგალითთა პოვნა ძნელია, მაგრამ არც ორიგინალური ხედვის ან ელვარე ნიჭიერების შემჩნევაა ადვილი. გიორგი კეჭალმაძე, ჩემთვის აქამდე უცნობი ავტორი, თავიდანვე ვრცელი პროზაული ნაწარმოებით, რომანით გავიცანი. მისი „მეთორმეტე ზარი“, რომელიც ყურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა, საინტერესოდ იკითხება. მწერალი მოგვითხრობს თავის ახალგაზრდა გმირზე ვაჟა დოლიძეზე, რომელიც პროვინციაში ჩავა და პედაგოგის მძიმე, მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობას შეუდგება. ჩვენ ვხედავთ, რა დიდი სიძნელებები აქვს გადასალახავი ამ გამოუცდელ ახალგაზრდა კაცს, რა ძნელია მისთვის ახალ გარემოსთან, ახალ ადამიანებთან, რაც მთავარია, ახალ მოვალეობასთან შეგუება. ვხედავთ, თანდათან როგორ პოულობს იგი სულიერ სიმხნევებს, როგორ უკაჟდება ხასიათი, უძლიერდება თავისი ძალისა და უნარის რწმენა. აქ ყველაფერი თავის ადგილზეა, კეთილიცა და ბოროტიც, ეჭვებიცა და იმედებიც, მოწყენილობაცა და ხალისიც, პროვინციული სკოლის ცხოვრების მართალი სურათებიცა და მასწავლებელთა ცოცხალი ტიპაჟიც. ავტორი საკმაოდ საინტერესოდ გვიყვება თავისი გმირის თავგადასავალს, რომელიც შორს არის შაბლონისაგან ცდილობს მკითხველს

გაუღვიძოს თანაგრძნობა ვაჟა დოლიძისადმი და აგრძნობინოს მას, თუ მოვალეობის გრძნობა რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისათვის. ერთი სიტყვით, ეს რომანი კეთილ აზრებს აღუძრავს მკითხველს და ცოტას მაინც არგებს მის გონებასა და გულს.

უსათუოდ ინტერესით წაიკითხავს მკითხველი ნოდარ წულეისკირის მოთხრობას „ჩემი ცაუ“, რომელიც და-ძმის სიყვარულზეა დაწერილი. ნიკიერი მწერალი მოგვითხრობს თუ რა ვაჟკაცურად მფარველობს ბატა თავის დას და მართლაც სანიმუშოა ეს სიყვარული. ბატა არ შეუშინდება თავზენელალებულ ჯაგას და დის სიმშვიდის დარღვევას ძვირად დაუსვამს ამ თავზედ კაცს. მაგრამ ნოდარ წულეისკირიც სცოდავს ზოგჯერ. მაგალითად, თეატრის ლოქაში ცაუს წინ ახმახი კაცი დაუჭდება და ყურებას უშლის, რის გამოც ბატა იგრძნობს, „რომ კუნთოვან მკლავებსა და განიერ მკერდში ცხელმა სისხლმა დაუარა. მის თვალწინ საოცარი სურათი დაიხატა. ვითომ საკუთარი თავის ქალა აეხადა, გამოჩნდა ანატომიის სახელმძღვანელოში დახატული დანაოქებული ტვინი. ამ ტვინზე ლოზუნგით წითელი ასოებით ეწერა: „ჩემი ცაუსათვის — ყველაფრის წინააღმდეგ“; ასე წერა, რა თქმა უნდა, მოსაწონი არ არის. ამ მოთხრობის მხოლოდ ერთი-ორი ადგილი „ყვირის“ ასე. და-ძმის ამ თავისთავად ამალეღვებელი სიყვარულის ისტორიის გადმოცემით ავტორი კეთილ მიზანს ემსახურება.

მსგავსი ნაწარმოებების ჩამოთვლა კიდევ არა ერთის შეიძლება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს და ამიტომ მხოლოდ გიგი ხორნაულის „თუთიაზე“ („ცისკარი“, № 8) შეეჩერდები. ამ მოთხრობასაც მარტოოდენ თავისი ჰუმანური მიზანდასახულებით შეუძლია მიიქციოს მკითხველის ყურადღება, მით უმეტეს, ისეთი მკითხველისა, რომელსაც მიდრეკილება აქვს სენტიმენტალობისაკენ. ეს მოთხრობა დაწერილია იმაზე, თუ როგორ სასწაულებრივად იხსნის სკოლის მეგობრის სიყვარული თუთიას, მეგობრებისაგან მიტოვებულსა და ქლეჩისაგან მომაკვდავ მთიელ ქალს.

როგორც ვთქვი, ასეთი საკითხავი ნაწარმოებები ლიტერატურის ორგანულ ნაწილს შეადგენს, სასარგებლოა მკითხ-

ველისათვის და, ამდენად, მის ავტორებს დიდი პაუზისმგებლობის გრძნობაც უნდა ჰქონდეთ. ასეთ ნაწარმოებებს ნაკლები გულმოდგინება როდი სჭირდება იმისათვის, რომ თავისი უტილიტარული მისია რაც შეიძლება უკეთ შეასრულონ. არც სათაკილოა ასეთი ნაწარმოებების წერა. ამას თუნდაც ისიც მოწმობს, რომ ცნობილი და აღიარებული მწერლებიც ხშირად გვთავაზობენ მათ. მაგალითად, გასულ წელსაც „ცისკრის“ მეცხრე ნომერში დაიბეჭდა გიორგი ნატროშვილის მოთხრობა „თეთრი ხნული“, რომელიც ამ სახის ლიტერატურის კარგ ნიმუშს წარმოადგენს და რომლიდანაც ბევრი შეუძლიათ ისწავლონ ჩვენმა ახალგაზრდა მწერლებმა.

გიორგი ნატროშვილი მისთვის დამახასიათებელი მომხიბლავი სისადავით, უბრალოებით და სიფაქიზით გვიყვება მოხუცი სულხანის და მისი შთამომავლობის ადამიანური ტკივილებითა და სიხარულით სავსე ცხოვრებაზე. ეს მოთხრობა სიუჟეტურადაც ორიგინალურადაა აგებული, იგი თითქოს პატარ-პატარა ნოველებისაგან შედგება და თითოეული მათგანით თანდათან სულ უფრო ახლო ვეცნობით ამ ამაგდარ მოხუცსაც და მის ოჯახსაც. მოხუცი სულხანი, როგორც ამას ერთ-ერთი ჩართული ნოველა გვამცნობს, ქართული სტამბის ვეტერანია და მას ილიასთანაც კი უმუშავნია „ივერიაში“. ახსოვს სულხანს, მაშინ ჯერ კიდევ შეგირდი იყო, სტამბაში გაათენა, „ივერიას“ აწყობდა, აწყობდა სხვებთან ერთად, დილით ახალი გაზეთი აურბენინა ილიას, რომელსაც მუშაობაში გართულს ღამე გაეთია.

„—შენ ის ახალი შეგირდი იქნები, სულხანი, აგრეა?

შემკრთალმა ბიჭმა თავი დაუქნია.

— ჰოდა, ჩემო სულო, — განაგრძო ილიამ, — მე და შენ ქვეყნის ვალი დღეს მოხდილი გვაქვს. ახლა ცუდი არ იქნება, ცოტა ხანს თვალი მოვატყუოთ!“.

მარტო იმ დღეს კი არა, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე სულხანმა პირნათლად მოიხადა ვალი ქვეყნის წინაშე და სიბერეში შესული თვალს ატყუებს, ისვენებს, თუმცა გული სულ სტამბისაკენ მიუწევს. მისი ვაჟიც ქართულ შრიფტს შეეწირა, მტერს არ დაანება, იცოდა, მისი იარაღი ტყვიაზე

მეტად სჭრიდა. ახლა კი ბედნიერია სულხანი, შვილიშვილს შორიდან გული არ მიუწევდა საგვარეულო პროფესი- ისაკენ, მაგრამ როცა ნახასტამბა და იქაური ხალხიც გაიცნო, ისიც პაპის კვალს გაჰყვა. ეს მოთხრობა, ალბათ, ერთი საუ- კეთესო უნდა იყოს არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ საერთოდ, თუკი რამ დაწერილა სტამბის ფანატიკოს მუშაკებზე. იგი არა მარტო გვიხსნის ამ ჩუმ და დიდი ეროვ- ნული საქმისათვის თავდადებულ ადამიანთა ცხოვრების სი- ლამაზეს, არამედ რაღაც საოცრად ახალ და ნათელ გრძნო- ბასაც გვიტოვებს.

ახალგაზრდა მწერალთა შარშან დაბეჭდილ მოთხრობებს შორის ისეთებიც არის, რომლებიც ერთგვარ იმედს აღგვიძ- რავენ. მართალია, ამ ახალგაზრდებს ჯერ კიდევ აკლიათ ოსტა- ტობა, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ აქვთ მთავარი, — მწერ- ლის თვალი. ისინი ადამიანის სულის ისეთ მოძრაობებს ამჩ- ნევენ, რაც არამწერლისათვის ძნელი დასანახავია და უნდა ვიფიქროთ, როდესაც პროზაიკოსის ოსტატობაშიც გაიწაფე- ბიან, მათი ნაწარმოებები მეტ მხატვრულ ღირსებებს შეიძ- ენენ. ვფიქრობ, ასეთ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება და მკითხველის ყურადღებას უთუოდ მიიქცევს გურამ სხირტ- ლაძის მოთხრობა „სანამ სასტუმრო „გაზაფხული“ აშენდებ- ოდეს“ („ცისკარი“, №4). მოხუცი კაცი თავის პატარა შვილიშ- ვილთან ერთად ომში წასულ შვილს ელოდება. ომი დამთავრ- და, შვილიშვილი გაიზარდა, მაგრამ შვილი არსად ჩანს. მო- ხუცი კი მოთმინებით ელოდება მის დაბრუნებას. შვილიშვი- ლი ჯარში გაიწვიეს, ახლა მოხუცი შვილსა და შვილიშვილს ელოდება. იმ შენობას, სადაც მოხუცი ცხოვრობს, დანგრე- ვას დაუპირებენ, აქ სასტუმრო „გაზაფხული“ უნდა აშენდ- ეს. მცხოვრებლებს ახალ, კეთილმოწყობილ ბინებს აძლევენ, მაგრამ მოხუცი ცოცხალი თავით არ ტოვებს ძველ ბინას: აქე- დან წავიდა შვილი ფრონტზე, აქედან წავიდა შვილიშვილი ჯარში, ელოდება მათ მოხუცი და ასე ჰგონია, აქედან თუ გა- დავა, აღარ დაუბრუნდებიან წასულები. ცხოვრობს მარტოდ- მარტო, ყველასაგან მიტოვებულ სახლში. ერთ საღამოს შვი- ლიშვილი დაუბრუნდება. მოხუცი ერთხანს უხმოდ უყურებს მას, მერე კი აქვითინდება, მხოლოდ ახლა ირწმუნებს იგი.

რომ შვილი აღარ დაბურნდება, რაკილა უფრო გვიან წასული შვილიშვილი უკვე მოუვიდა.

ეს მოთხრობა მართლა საინტერესო ნაწარმოებია და, უნდა ვიფიქროთ, ახალგაზრდა ავტორის ნამდვილ ნიჭიერებაზე მეტყველებს. იმედია დრო, ალბათ, უფრო სარწმუნოს, უფრო სწორად, თვალსაჩინოს გახდის გურამ სხირტლაძის ნიჭიერებას.

ასევე კარგადაა დანახული და გახსნილი მოხუცი გიგოს ახირებული ხასიათი კარლო კობერიძის მოთხრობაში „ზოზირა“. თუ გურამ სხირტლაძის მოთხრობაში მოხუცის ახირებას დრამატული განცდა უდევს საფუძვლად და ამდენად ნაწარმოებს მძიმესა და სევდიანს ხდის, კარლო კობერიძე იუმორით გვიხსნის (რადგან სხვანაირად არც შეიძლება) პაპა გიგოს უცნაურ საქციელს. ამ მოხუცს ჩვეულებად გადაექცა ცხენის დროდადრო გამოცვლა, რისთვისაც ბაზარზე დადის. სულ ერთიმეორეზე უარეს დავრდომილ და დაჩაჩანაკებულ ცხენებს შეატყუებენ ხოლმე მას. შეურაცხყოფილმა შვილებმა სანაქებო ცხენი, ზოზირა უყიდეს მამას. რამდენიმე თვის შემდეგ მაინც ვერ გაძლო გიგომ, ჩუმად გადაცვალა ზოზირა და საოცრება ის იყო, რომ ერთხელ უკვე ნაყოლი დავრდომილი ცხენი, შემოატყუეს. ეს კოლორიტული მოთხრობა რომელიც სავსეა თბილი, ხალისიანი იუმორით, უეცრად გიგოს ნაღვლიანი სიტყვებით მთავრდება: „—შენა ხარ, ვაგლანო!“ წყნარად, ძალიან წყნარად ეუბნება იგი შემოტყუებულ ცხენს და ვგრძნობთ: ეს ერთ დროს გამრჩე გლეხი, რომელსაც ღონიერი ოჯახი შეუქმნია და ახლა წლებს გაუტეხავს, თითქოს რაღაც საერთოს პოულობს მასავით დაბერებულ, ჯანგამოცილებულ ცხენთან და ამიტომაც ეალერსება, ესიყვარულება მას.

შარშან დაბეჭდილი მოთხრობებიდან ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა მწერლის თამაზ გოდერძიშვილის „გზა“ („ცისკარი“, № 10). ეს მოთხრობა საინტერესოა არა მარტო თავისი ფაქტურით, იმით, რომ დაწერილია ახალგაზრდა გეოლოგების მძიმე, მაგრამ ხალისიან ცხოვრებაზე და ჩვენ ვგრძნობთ მათ მამაკაცურ ბუნებას, მათ ვაჟკაცურ სიყვარულს თავისი საქმისა და პროფესიისადმი, არამედ საინტერე-

სოა აგრეთვე მასში დახატული ხასიათებითაც. გეოლოგები და მათი მძლოლი გოგია ვერ შეგუებიაან ერთმანეთს. გოგია მუდამ ბუზღუნებს, როდესაც ავდარში უხდებათ სამუშაოდ წასვლა და შორი გზით ატარებს გეოლოგებს, მდინარეში გასვლას ვერ ბედავს, იცის, რომ მანქანა ვერ გაატანს. ეს არის უთანხმოებისა და უკმაყოფილების პირველი წყარო. მაგრამ როდესაც კაცის სიცოცხლე საფრთხეშია, გოგია დაუფიქრებლად შებედავს მდინარეს და გადავა კიდეც. მეორე დღეს კი კვლავ ძველი გზით წაიყვანს გეოლოგებს. ახალგაზრდები კვლავ წამოიწყებენ ძველებურად ქილიკს, მაგრამ გრძნობენ კარგად, რომ გოგია არ ტყუის, გუშინ სხვა იყო. დიდმა გასაქირმა გააყვანინა მანქანა, დღეს კი მართლაც ვერ გადალახავს მდინარეს. ამიტომ მათ გადაკრულ სიტყვებს აღარა აქვს ის ძველებური გესლი და გოგიასაც აღარ წყინს ხუმრობა. მწერალი საინტერესოდ, ცოცხლად გვიხატავს სახეებს, გვიხსნის თავისი გმირების ხასიათს, რომლებიც თუკი გაქირდება, შეუძლებელსაც შეძლებენ.

ამ ახალგაზრდა ავტორებმა, რომლებზედაც ახლა გვქონდა საუბარი, კარლო კობერიძემ, თამაზ გოდერძიშვილმა და გურამ სხირტლაძემ, ჩემი აზრით, თავიანთი მოთხრობებით კარგი იმედი მოგვცეს იმისა, რომ მათ შეუძლიათ სერიოზულად იმუშაონ ქართულ პროზაში. მათ პირველ ნაწარმოებებში, მართალია, მეტნაკლებად, მაგრამ მაინც იგრძნობა დაკვირვებული ხედვისა და ხასიათების ორიგინალური გახსნის უნარი. მწერლური ალლო, საინტერესო საკითხისა თუ პრობლემის მიგნება, რაც მათ, ვგონებ, უკვე აქვთ, ეს ერთი მთავარი რამაა, მაგრამ მხოლოდ ამით, ლიტერატურული დამუშავების, ხატვისა თუ თხრობის ოსტატობის გარეშე არ შეიქმნება მხატვრული ნაწარმოები. ერთია მწერალს სათქმელი ჰქონდეს, და მეორე კი ამ სათქმელის მაქსიმალურად მძაფრად, ორიგინალურად, შთამბეჭდავად თქმა შეეძლოს. საკმარისია ამ ახალგაზრდების მოთხრობები უკვე ჩამოყალიბებული, პროფესიონალი პროზაიკოსის ნაწერს შეადარო, რომ მაშინვე თვალში გვცეს ოსტატობის, გამოცდილების უკმარობა. მაგალითისათვის ისევ შარშანდელ ნაწარმოებს ავიღებ, თუნდაც რევაზ ჯაფარიძის „ტყის ბიქს“ („ცის-

კარი“, № 7). ჩემი აზრით, თამაზ გოდერძიშვილს, მით უფრო გურამ სხირტლაძეს, თავიანთ მოთხრობებში გაცილებით მძაფრი და მნიშვნელოვანი რამ აქვთ სათქმელი, ვიდრე რევაზ ჭაფარიძეს ამ მოთხრობაში. მაგრამ, სამაგიეროდ, რევაზ ჭაფარიძე მხატვრულად ისე საინტერესოდ გვიხსნის თავისი პატარა გმირის გაჭირვებას ტუხაიას დუქანში, ისეთი აუშორით გადმოგვცემს გოგიასა და ტუხაიას უთანასწორო ბრძოლის უცნაურ მიზეზს, ისეთი კოლორიტით გვიხატავს ტუხაიას დუქანსაც და მის ქალაქელ სტუმრებსაც, რომ ერთი შეხედვით ამ უმნიშვნელო ამბავს ნამდვილ ლიტერატურულ ფაქტამდე ამაღლებს. ეს იმიტომ, რომ ქვეშარტი ლიტერატურისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა აქვს მწერალს სათქმელი და ისიც, თუ როგორ ამბობს მას.

როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ არის, რომ შარშან გამოქვეყნებულ ნაწარმოებთაგან მხატვრულად უფრო მნიშვნელოვანია მოთხრობები თუ რომანები იმ ავტორებისა, რომელთაც ქვეშარტი შთაგონებასთან ერთად, გამოცდილება და ოსტატობაც აქვთ. მე მხედველობაში მაქვს კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ნატურისთვალის“ მეორე წიგნი, ოთარ ჩხეიძის „კვერნაქი“, რევაზ ჭაფარიძის „ახლო არს გაზაფხული“, არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზი“, სერგო კლდიაშვილის ნოველები, ოტია იოსელიანის მოთხრობები და კიდევ რამდენიმე შედარებით მცირე მოთხრობა.

ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ეს ნაწარმოებები სცილდებიან ჩვეულებრივ, ანუ როგორც ზემოთ ვთქვეი, სადღეისო ბელეტრისტიკის ფარგლებს და უფრო მაღალი მიზანდასახულობისათვის არიან განკუთვნილნი. ჩემს მიერ დასახელებული ნაწარმოებები, რასაც არ უნდა ეხებოდნენ, ადამიანის საზოგადოებრივ ყოფასა თუ მის პირად გაცდებსა და გრძნობებს, ვფიქრობ, ძნელი დასაყოფია შედარებით მაღალი და დაბალი კატეგორიების ნაწარმოებებად, რადგან, საერთოდ, მწერლის ხალასი ნიჭითა და შთაგონებით დაწერილი ყოველი ნაწარმოები, რა საკითხსაც არ უნდა ეძღვნებოდეს იგი, მხატვრული პროზის კუთვნილებად გადაიქცევა და, მაშასადამე, თანაბრად საინტერესოა ჩვენთვის. მეტად და ნაკლებად მნიშვნელოვანი თემების თუ პრობლემების სიის შედგენა

უნაყოფოცაა და, ვფიქრობ, შეუძლებელიც. ლიტერატურის მთელი ძალა სწორედ ამ მრავალმხრივობასა და მრავალფეროვნებაშია, რითაც მკითხველის ცნობისმოყვარეობას უფრო მეტად აკმაყოფილებს, ან კიდევ აფართოებს მისი ინტერესების სფეროს. ასე რომ, მთავარი ის კი არაა, რაზეა დაწერილი ესა თუ ის ნაწარმოები, არამედ ის, თუ რამდენად მართლად, ღრმად, მხატვრულად შთამბეჭდავად და შთაგონებულად გვეუბნება მწერალი თავის სათქმელს.

მიუხედავად ჩემი ამ ღრმა რწმენისა, მაინც ვფიქრობ, რომ მაღალი მოქალაქეობრივი სულით გაუღენთილი ნაწარმოებები უფრო სწვდება მკითხველის გულს, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემები დღეს ყველაზე მეტად აფიქრებს, აღელვებს, აწუხებს ან ახარებს ადამიანს. მას აინტერესებს მწერლის აზრი ცხოვრებაზე, რადგან იგი თანამედროვეებზე უკეთ და მეტს ხედავს. სწორედ ეს მაღალი მოქალაქეობრივი სული, რომელიც მუდამ ახასიათებდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებას, მის ახალ რომანში, ან უფრო ზუსტად, მისი რომანის „ნატურისთვალის“ ახალ, მეორე წიგნშიც კარგად ჩანს.

იქნებ „კოლხეთის ცისკრის“ მოქალაქეობრივი სულისკვეთება მხოლოდ 30-იანი წლების დაძაბული და რთული ვითარებით იყო ნაკარნახევი, როდესაც მწერალს იმ დროის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი უბრალოდ კი არ უნდა წარმოესახა, არამედ, როგორც მებრძოლს, თავისი მყარი პოზიციაც უნდა ჰქონოდა. იქნებ ახლა, როდესაც სულ სხვა ვითარებაა სოფლად და აღარც საგანელიძეები არიან და აღარც პირტახიები, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ზოგიერთებივით ნელ-ნელა გაუქრა ეს განწყობილება. „ნატურისთვალით“ მწერალმა ერთბაშად დაგვარწმუნა, რომ თანამედროვე სოფელს ახლა სხვა პრობლემები, სხვა სატკივარი აქვს და კ. ლორთქიფანიძემაც ამას მიაქცია ყურადღება. ესაა მწერლის აქტიური პოზიცია, მისი შოვალეობის გრძნობა საზოგადოების წინაშე. მან კარგად იცის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესი შეუძლებელია ამ მაძიებელი გონების გარეშე, ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობის გარეშე და მწერალიც სინამდვილის მართალ სურათთან ერთად

იმასაც გვიჩვენებს, თუ ვინ და რა აბრკოლებს პროგრესს. მარტო წითელი დათასთანა ხალხი რომ ელობებოდეს წინ ჩვენი ცხოვრების განვითარებას, ეს შედარებით მარტივი და ნათელი იქნებოდა ჩვენთვის, მაგრამ ისეთი ადამიანები, რომელთა ტიპიურ სახეებსაც ამ რომანში წარმოადგენენ სიმონ ჩოხელი, არჩილ ყანჩაშვილი, არსენა დეისაძე, ნინია მოზაიძე და ტარიელ მეტრეველი, ძნელი ამოსაცნობნი არიან და სწორედ მწერალს შეუძლია გაგვარკვიოს მათ რთულ ხასიათში, მათი საქმიანობისა თუ მოღვაწეობის ავკარგში, მათი საქციელის განმსაზღვრელ მოტივებსა და გრძნობებში. კონსტანტინე ლორთქიფანიძე თამამად აყენებს ამ რომანში თანამედროვე ცხოვრების მწვავე პრობლემებს, მასთან ერთად ჩვენც გვაწუხებს ფიქრი იმისა, თუ რატომ გაუჭირდათ ცხოვრება ისეთ მართალ ადამიანებს, სოფლის ბურჯებს, ნამდვილ გლეხებს, როგორებიც არიან ზაქარია ნადიბაიძე და მანუჩარ უგრეხელიძე. ასევე თამამად უპასუხებს მწერალი ამ კითხვებს და არა მარტო ადამიანების ხასიათების განსხვავებულობით ხსნის იმას, რომ არჩილ ყანჩაშვილი ცბიერია და სანდო არ არის, ან სიმონ ჩოხელი გაორებულია და თავისი საქციელი ვერ აუყოლებია თავისივე სინდისის ხმისათვის, არამედ იმიტაც, რომ არაიშვიათად სოფლის ცხოვრების ორგანიზაციაც არ არის სწორი და ახალ ეტაპზე ახალ ფორმებსა და მეთოდებს საჭიროებს. ეს რომანი არის მხატვრულად საინტერესოდ და დაძაბულად ნათქვამი მართალი სიტყვა მწერლისა, რომელიც მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობას ღრმად ჩაუფიქრებია თანამედროვე ცხოვრებაზე. „ნატერისთვალი“ არც ამ მეორე ნაწილით მთავრდება, მას კიდევ ელის გაგრძელება და ამიტომ ჯერ აღრეა მისი გმირების ხასიათების რკვევა და ფართო ანალიზი. მაგრამ ჩვენთვის უკვე სავსებით ნათელია, თუ ამ გმირებით რა მნიშვნელოვანი, მონუმენტური მხატვრული სახეები შეიქმნა და იქმნება თანამედროვე ქართულ პროზაში.

თავისი მაღალი მოქალაქეობრივი სულისკვეთებითა და მიზანდასახულობით ასევე გამოირჩევა არჩილ სულაკაურის ახალი რომანი „ოქროს თევზი“. თუ კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ნატერისთვალი“ სოციალურ ასპექტში წარმოგვისა-

სავსე თანამედროვე სინამდვილეს, უფრო ფართოდ, მასშტაბურად გვიჩვენებს ცხოვრების ავ-კარგს და ამდენად სოციალური რომანის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს, არჩილ სულაკაური მორალურ პრიზმაში წარმოაჩენს ამავე სინამდვილეს, და ამიტომ „ოქროს თევზი“ (დაიბეჭდა „მნათობში“) უფრო ფსიქოლოგიური რომანის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ ჩვენ ცხოვრებას მხოლოდ ახალგაზრდა გვირის დათოს თვალთ ვუცქერით, თუმცა ეს სულაც არ არის ვიწრო თვალთახედვა, რადგან დათო მებრძოლი სულის პატრონია და არ ირჩევს თავისთვის მყუდრო ბილიკებს, სადაც ნაკლები წინააღმდეგობა ექნება დასაძლევად. პირიქით, იგი თითქოს ზედმეტი სითამამითაც ეტანება ცხოვრების სირთულეებს, რადგან საკუთარი სულის გამოცდა სურს. ამიტომაც, რომ დათო, ჯერ კიდევ თავისი დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყისში, გადაეყრება მრავალ განსაცდელს, სადაც მხოლოდ მორალურად გამოდის გამარჯვებული, რადგან მისთვის, ჯერ გამოუცდელი კაცისათვის, ძნელია ბრძოლა ბოროტებასთან და ამ ბრძოლაში სრული გამარჯვების მიღწევა. მწერალი თავისი გვირის განცდებისა და შინაგანი ანალიზის მოწმედა გვხდის და ჩვენ ვხედავთ, თუ რა მტკიცეა დათოს ზნეობრივი საფუძვლები, რა უკომპრომისო და აქტიური ცხოვრებისათვის ემზადება ეს ახალგაზრდა კაცი. დათო უპირისპირდება იმ ვიწრო გარემოს, რომელშიც მას უხდება ცხოვრება და თავის ერთადერთ მსაჯულად საკუთარი სინდისის ხმას მიიჩნევს. ამიტომაც კარგავს ასეთი სიმტკიცით თავის ახლობელ და საყვარელ ადამიანებს, მისი ოჯახის წევრი იქნება მთუ საყვარელი ქალი. ზნეობრივი სიწმინდე მისთვის სიცოცხლის პირველი და მთავარი პირობაა, ურომლისოდაც არსებობა ვერც კი წარმოუდგენია. დათო პროტესტის ნიშნად ტოვებს გარემოს, რომელშიც გაიზარდა და რომელმაც ამდენი ტკივილი მიაყენა მის კეთილშობილურ სულს, მიდის და სხვაგან იწყებს თავისი დიდი ცხოვრების გზას. ჩვენ გვჯერა, რომ დათო ვაჟკაცურად გაივლის ამ გზას, რადგან მწერალმა დაგვაჩერა მისი ხასიათის სიმტკიცეშიც და ზნეობრივ სიწმინდეშიც. გვჯერა, რომ დათო, რომელმაც ჯერ მხოლოდ მორალურ გამარჯვებას მიაღწია ბოროტებაზე,

მიღწევს საბოლოო გამარჯვებასაც, რადგან იგი ძლიერი, მონოლითური პიროვნებაა და არ აშინებს ცხოვრების სიძნელეები.

ოთარ ჩხეიძის რომანი „კვერნაქი“ (დაიბეჭდა „მნათობში“) უფრო სატირული ხასიათის ნაწარმოებია და მისი მამხილებელი პათოსი მეშჩანობის წინააღმდეგაა მიმართული. რომანის გმირი სანდრო ცხოიძე, რომელიც თავისი მყვირალა საქმიანობითა და ფრაზეებით ირგვლივ მყოფთ ასე აბრუებს და ატყუებს, ველარ შეგვიყვანს შეცდომაში, რადგან მწერალმა შესანიშნავად გვიჩვენა მისი აზრისა და გრძნობისაგან დაცლილი, გამოფიტული გონებაცა და გულიც. საერთოდ, ოთარ ჩხეიძეს უფრო მამხილებელი პათოსი აქვს ძლიერი და ამ რომანში მისი სატირული გესლის ძალა თავიდანვე ნათელია მკითხველისათვის. მწერალმა სანდრო ცხოიძის სახით ქართულ ლიტერატურას შემატა დიდი მხატვრული სიძლიერით შექმნილი ტიპიური სახე ქარაფშუტა, სულიერად მდბაალი, დიდი პრეტენზიებითა და ქვენა ზრახვებით სავსე ადამიანისა, ვისთვისაც არაფერი წმინდა და ნათელი არ არსებობს, არც მამული, არც ოჯახი და არც საქმე.

ეს სამი კარგი რომანი ერთი წლის მანძილზე ქართული პროზისათვის, ვფიქრობ, ცოტა არ უნდა იყოს. თუ ამას იმ საინტერესო მოთხრობებსაც დავუმატებთ, რომლებიც შარშან გამოქვეყნდა, ჩვენი კმაყოფილების გრძნობა უფრო საფუძვლიანი გახდება. მოთხრობათაგან უნდა აღინიშნოს რევაზ ჭაფარიძის „ახლო არს ზაფხული“, რომელიც, მართალია, მეტად ყოფითი ხასიათისაა, მაგრამ ეს არ უშლის ხელს ავტორს დიდი ბოროტებაცა და კიდევ უფრო დიდი ადამიანური სითბო თუ სრეყარული აგრძნობინოს და განაცდევინოს მკითხველს. ომიდან შინისაკენ მომავალ ორ გამარჯვებულ ჯარისკაცს გზაზე ბევრი განსაცდელი ელის. მათი მღელვარება იმით დაიწყება, რომ ვიღაც უცნობი თაღლითები უკანასკნელ ფულს გამოსტყუებენ და მიიმალებიან. მწერალი დეტალურად აგვიწერს ვაგზლების ცხოვრებას, ორომტრიალს, გაკირვებას, ვაგონის კიბეებით თუ სახურავებით მგზავრობას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რევაზ ჭაფარიძეს ნატურალისტურად სურს აღადგინოს ომისგან აწეწილი ხალ-

ხით სავსე რკინიგზის სადგურების ყოფა, მაგრამ თანდათან ნათელი ხდება, რომ მწერალი ნელა და შეუმჩნევლად გვიჩვენებს, თუ ამ გატანჯული ხალხის გულში მაინც როგორ არ ჩამქრალა ადამიანური სითბო და თანაგრძნობა. და თუმცა ამ მოთხრობაში თაღლითები საკმაოდ აქტიურები არიან და ბევრი გზასაცდენილიც რაიმეს წასაგლეჯად წამდაუწუმ დაწანწალებს ბაქნებზე, თუმცა ყველას თავისი გასაჭირი აქვს. მშვიერ-მწყურვალეები და უძილურები ათენებენ და აღამებენ სადგურებსა თუ მატარებლების სახურავზე, მაინც ის ჰუმანური გრძნობაა მთავარი, რომელიც ამ კონტრასტულ ფონზე, ასეთ მძიმე პირობებში კიდევ უფრო მეტად ათბობს ადამიანთა გულებს.

რაც არ უნდა შეფარული იყოს ეს მხატვრული აზრი, იგი მაინც გასაგებია ჩვენთვის, გასაგებია, რადგან რევაზ ჭათარინემ შესანიშნავად იცის, თუ რა უნდა უთხრას მკითხველს ამ მოთხრობით და ამიტომ შედარებით უადვილდება იმის გადაწყვეტაც, თუ როგორ უთხრას ეს სათქმელი.

სამი პატარა საინტერესო მოთხრობა გამოაქვეყნა შარშან გურამ ფანჯიკიძემ („ცისკარი“, № 10). მკითხველს ამ მოთხრობების წაკითხვისთანავე, ვფიქრობ, თვალში ეცემა ის გარემოება, რომ ისინი სულ სხვადასხვა სტილშია დაწერილი და თითქოს ერთი ავტორის მოთხრობებს არც ჰგავს. მოთხრობა „საღამოში“ ერთი პატარა. თუმცა ფსიქოლოგიურად მართალი განცდა კოლორიტულ ყოფით დეტალშია მინიშნებული. „რაშიდა“ თბილი მოთხრობაა უშუალო და მიმნდობი ადამიანის გულუბრყვილობაზე, მის მართალ და ალალ გულზე, ხოლო „თოვლიანი ღამე“ სატირული ნაწარმოებია. სადაც საკმაოდ მწარედაა გამოაშკარავებული ადამიანური ფარისევლობა და თვალთმაქცობა. გურამ ფანჯიკიძე შედარებით ძუნწად წერს მოთხრობებს და ძნელი სათქმელია ამ საინი მოთხრობიდან რომელი უფრო ორგანულია მისთვის, მაგრამ ერთი კი ცხადია, მას კარგი თვალი აქვს მწერლისა და უნდა იმედი ვიქონიოთ, მისი მანერა და სტილი მალე გახდება მკითხველისათვის უფრო ნათელი.

„მნათობის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა გურამ გეგეშიძის მოთხრობა „სიშორე“. საერთოდ, გურამ გეგეშიძეს

ზოგჯერ უყვარს მოთხრობებში მსჯელობა და აქაც ხშირად მიმართავს ამას, მაგრამ იგი იმდენად საინტერესო პრობლემებს სევამს ხოლმე თავის მოთხრობებში, ეს მცირე ცოდვა უნდა შეეუვნდოთ, მით უმეტეს, რომ მისი გმირების თვითნაღიზი ხანდახან კიდევ თხოულობს თითქოს ასეთ მსჯელობას. ამ მოთხრობაშიც მწერალი, უფრო სწორად მისი ახალგაზრდა გნირი, გვამცნობს და გვესაუბრება თავის დამოკიდებულებაზე სოფელთან, ცხოვრებასთან, წარსულსა და მომავალთან. და თუმცა ბევრი მწარე ფიქრი აკვიატებია, იგი მაინც იმედიანი რჩება. მწერალი საინტერესოდ ასაბუთებს ამ იმედის წყაროს არა მარტო ახალგაზრდა და ჯანმრთელი კაცის ბუნებით, არამედ იმ რალაც უკვდავი სულის ერთიანობით, რომელიც წინაპრებიდან ჩვენში გადმოდის, ჩვენგან კი მომავალ თაობაში, რადგან „არ არსებობს სიშორე თავისთავად და ჩვენ ყველანი განუყოფელნი ვართ“.

გურამ გეგეშიძის მოთხრობას თავისი პლასტიკური ნახატებითა და ბუნებასთან მხოლოდ ემოციური დამოკიდებულებით უპირისპირდება ოტია იოსელიანის მოთხრობები („მნათობი“, № 7), განსაკუთრებით კი „წყლის ქალი“. ამ მოთხრობაში მეტად ყრუდ არის მინიშნებული, რომ სარდიონის ერთი დამის სიყვარული მხოლოდ უშვილო მეზობლის ქალია და არა ტყის ქალი, რომელსაც შემდეგ მთელი თავისი სიცოცხლე დაეძებს ამ სიყვარულით გაოგნებული სარდიონი. ოტია იოსელიანმა მისთვის დამახასიათებელი ხალასი ნიჭიერებით, დიდი ზომიერების გრძნობითა და ემოციურად დაძაბულად გაგვაგებინა ამ მოთხრობით დიდი სიყვარული, რაც მთელი თავისი სიცოცხლე ასე მარტოდ ატარა სარდიონმა.

ძნელია ყველა მწერლისაგან, მით უმეტეს ყოველწლიურად, მინაწქრის გოგონები — დიდი შთაგონების ნაყოფი მოვიტხოვოთ, თუმცა ასეთი სურვილი რომ გვქონდეს, არც ეს დაგვეძრახება. მაგრამ, თუკი გვინდა ამ სურვილს უფრო რეალური საფუძველი შევუქმნათ, მაშინ ჩვენ თვითონ არ უნდა ვიყოთ ისეთი გულცივნი შემოქმედის მიმართ, როგორიც არიან ქალიშვილი თუ დუქანში შეკრებილი ხალხი მხატვრისა და ქვისმთლელების მიმართ არჩილ სულაკაურის მოთხ-

რობაში „მხატვრის გუშინდელი დღე“. უნდა გვიყვარდეს მხატვრის საქმე და ჩვენი სიყვარულით შემოქმედებით სტიმულს ვაძლევდეთ მას. სამწუხაროდ, ხშირად არ გვესმის ქეშმარიტი შთაგონებით შექმნილი ნაწარმოები და შემოქმედს ისევე უჭირს ჩვენთვის ამის დამტკიცება, როგორც ქვისმთლელს, დუქანში რომ თავისი სანდოობის დასამტკიცებლად უზარმაზარი ქვა მოათრია, რომელზეც იშვიათი ხელოვნებით იყო ამოკვეთილი ყურძნის მტევნები. სამწუხარო ისაა, რომ ამის შემდეგაც კი ხალხს ის უფრო გაუკვირდა, ასეთი სიმძიმის მოტანა რომ შეძლო, ვიდრე ზედ ამოკვეთილ ქეშმარიტი ხელოვნების ნიმუში.

იმედია, ქართულ მწერლობაში მინანქრის გოგონებიც გამოჩნდებიან და მისი ქეშმარიტი დამფასებლებიც.

1965 წ.

სამი ავტორი, სამი რომანი

თითქმის ერთდროულად, გასული წლის მიწურულსა და ამ წლის დასაწყისში, „მნათობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა სამი რომანი: არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზი“, ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე“, თამაზ ჭილაძის „აჰა, მიიწურა ზამთარი“...

ასეთმა მოულოდნელმა სიუხვემ შეუძლებელია არ გავახაროს. ისიც აღსანიშნავია, რომ სამივე ავტორი იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც ამ ათი-თორმეტი წლის მანძილზე მოვიდა ქართულ მწერლობაში და რომელსაც ახლა უკვე ახალგაზრდულ ენერგიასთან და შემართებასთან ერთად, შემოქმედებითი მოწიფულობის ასაკში შესვლის გამო, მეტი ცოდნა და გამოცდილებაც დაუგროვდა. ამიტომაც, ამ თაობისაგან ბევრს მოველით და სასიამოვნოა, რომ სულ მოკლე დროში მისმა სამმა საუკეთესო წარმომადგენელმა სამი რომანი მიაწოდა მკითხველს.

ამ თაობის პროზაიკოსები მეტწილად მცირე მოთხრობების ავტორებად რჩებოდნენ წლების მანძილზე და, მოგეხსენებათ, თანამედროვე მკითხველისთვისაც და მწერლობისთვისაც პროზა ურომანოდ თავის მნიშვნელობას კარგავს.

ამ თაობის ქართველ პროზაიკოსთაგან აქამდე, თუ არ უცდები, საყურადღებო რომანების ავტორები მხოლოდ ნოდარ დუმბაძე („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“) და ოტია იოსელიანი („ვარსკვლავთცვენა“) იყვნენ. ახლა კი, თითქოს გადაიღახა რაღაც ზღუდე და ნოდარ დუმბაძესთან ერთად თავისი პირველი რომანები გამო-

აქვეყნეს არჩილ სულაყაურმა და თამაზ ჭილაძემ, რომლებსაც აქამდე ნიჭიერად დაწერილი, საინტერესო მოთხრობებით ვიცნობდით მხოლოდ.

ერთდროულად ერთი თაობის მწერლების მიერ სამი საინტერესო რომანის გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ ეს მაინც ერთი ნაწილია იმ მნიშვნელოვანი ნაწარმოებებისა, რომლებიც ამ თაობამ და, კერძოდ, ამ მწერლებმა უნდა შემატონ ქართულ ლიტერატურას. თუმცა ასე გვახარებს და დიდ იმედებს აღგვიძრავს ამ სამი რომანის გამოქვეყნება. მაინც უნდა თავიდანვე ითქვას, რომ მიუხედავად მათი მეტ-ნაკლები, მაგრამ უდავო მხატვრული ღირსებებისა, ისინი სულაც არ არიან უზადონი და ზოგ შემთხვევაში აზრობრივადაც და მხატვრულადაც საკმაოდ მოიკოჭლებენ. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ეს რომანები არა მარტო ავტორების თვალთახედვისა თუ მსოფლშეგარძნების, თანამედროვე ცხოვრებასთან თუ ადამიანებთან დამოკიდებულების მიხედვით განირჩევიან ერთმანეთისაგან, არამედ სრულიად განსხვავებული მანერით არიან დაწერილნი და, ერთი შეხედვით, თითქოს ცოტა რამ უნდა ჰქონდეთ საერთო.

ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე“ აშკარად გავს მისსავე წინა რომანებს სტილის მარტო იმ ზოგადი ან, პირიქით, კონკრეტული ნიშნების მიხედვით კი არა, რომელიც, საერთოდ, ყოველ მწერალს ახასიათებს და გამოარჩევს სხვებში. არამედ უბრალოდ მხატვრული ხერხებითაც. ნოდარ დუმბაძეს სრული უფლება აქვს იყოს ერთგული მისთვის ორგანული იმ ხერხისა, რომელსაც აგერ უკვე მესამე რომანში იყენებს. ნოდარ დუმბაძე „მზიანი ღამეშიც“ მიმართავს დრამატიზმისა და იუმორის მონაცვლეობისა თუ ურთიერთ-შეზავების იმ ხერხს, რომელმაც მის წინა რომანებს ასეთი დიდი წარმატება მოუტანა. დუმბაძის ყოველი რომანის შემდეგ, ასე გგონია, თითქოს მწერალმა ამოწურა ეს საშუალება და მისი მომდევნო ნაწარმოები უკვე, სხვა პრინციპზე იქნება დაფუძნებული, მაგრამ „მზიანმა ღამემ“ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ, როგორც ჩანს, ნოდარ დუმბაძეს დაუშრეტელი მარაგი აქვს ხალასი იუმორისა, რომლითაც გან-

ზრახ გვიადვილებს თავის ნაწარმოებებში გადმოცემული დიდი დრამატიზმით სავსე განცდების „ატანას“.

ნოდარ დუმბაძისაგან განსხვავებით, არჩილ სულაკაური უფრო „დაუნდობელი“ რეალისტი მწერალია და თავის ახალ რომანში „ოქროს თევზი“, მიუხედავად საკმაოდ ჭარბი სიმბოლიკისა, მაინც აშკარად გვაიძულებს პირდაპირ ვუყუროთ ზვალში ცხოვრების სიმწელებს თუ ბოროტებასაც კი, ღრმად ჩავიხედოთ ადამიანების გულებში, სადაც, სამწუხაროდ, მხოლოდ სათნოება და სიკეთე არ არის დასადგურებული და, მწერლის აზრით. რაც უფრო მძიპე იქნება მკითხველისათვის ყოველივე ამის განცდა, მით უფრო მეტად არგებს ეს მის სულს.

თამაზ ჭილაძის „აჰა, მიიწურა ზამთარიც“ ასევე ჰგავს და აგრძელებს ავტორის მოთხრობებს და მათ პრობლემატიკას.

ერთი სიტყვით, ეს ახალი სამივე რომანი მათი ავტორების ადრინდელი ნაწარმოებების უშუალო გაგრძელებაა. და ვინც ამ მწერლებს იცნობს, უკეთ მიხვდება, რამდენად განსხვავებული მსოფლმეგობრებისა და ინდივიდუალური მანერის მქონენი არიან ისინი.

მიუხედავად ამისა, ამ მწერლებსაც და მათ ახალ ნაწარმოებებსაც ბევრი რამ აქვთ საერთო და მეც აქედან მინდა დავიწყო.

ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე“, არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზიც“ და თამაზ ჭილაძის „აჰა, მიიწურა ზამთარიც“, შეიძლება ითქვას, ახალი სახის რომანების რიგს მიეკუთვნება ქართულ ლიტერატურაში. ისინი, ერთი მხრივ, განირჩევიან თავისი მოცულობითაც და მასშტაბებითაც დიდ ეპიურ ტილოებისაგან, აქ დროცა და გარემოც შედარებით ლოკალიზებულია, მეორე მხრივ კი, ეს არ უშლის მათ ხელს საკმაოდ ფართოდ და მძაფრად დააყენონ მკითხველის წინაშე თანამედროვე ცხოვრების პრობლემები. უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში აღარ არის სავალდებულოდ მიჩნეული, როგორც ეს ადრე იყო, საზოგადოებრივი ცხოვრების რაიმე ერთი გარკვეული სფეროთი დაინტერესება, როდესაც მწერლის ყურადღება გამახვილებული იყო, მაგალითად.

ერთი საწარმოს, ან ერთი კოლექტივის, ან ერთი საბრძოლო ქვეგანაყოფის ადამიანებზე. და მათი ხასიათი ძირითადად ამ სამსახურებრივი თუ უწყებრივი ურთიერთობის ფონზე იკვეთებოდა. უფრო მეტიც: მათი დიდი ადამიანური სიყვარულიცა და რომანული ინტრიგებიც, როგორც წესი, ამავე კოლექტივში ისახებოდა. საბედნიეროდ, ახლა თანამედროვე რომანების დაჯგუფება საწარმოო თუ საკოლმეურნეო რომანებად აღარ ხერხდება.

ნოდარ ღუმბაძის, არჩილ სულაკაურისა და თამაზ ჭილაძის რომანები არც ერთ ასეთ კლასიფიკაციას არ ემორჩილებიან, თუმცა ჩვენ სხვათა შორის კი არა, კარგად ვიცით თუ მათი გმირები რას საქმიანობენ, რა შინაგანი დამოკიდებულება აქვთ თავიანთ სპეციალობასთან და სამუშაოსთან, ამ მხრივ რა მიზნები აქვთ, რაზე ოცნებობენ. მაგრამ ამას გარდა, მათი ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეები მათ ფართო საზოგადოებრივ საქმიანობაში და ურთიერთობებში ვლინდება. გმირების ინტერესები მრავალმხრივია და ამიტომ მათი გონიერება ან უგუნურება, ხასიათის სიმტკიცე ან სისუსტე, კაცთმოყვარეობა ან ეგოიზმი თუ სხვა რომელიმე თვისება ან მხარე ერთ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით კი არ მქლავნდება, არამედ უფრო სრულად, გამოკვეთილად, დამაჭერებლად წარმოუდგება მკითხველს.

ეს რომანები, რაგინდ განსხვავებულებიც არ უნდა იყვნენ, შეიძლება ითქვას, ერთი დიდი პრობლემის, თანამედროვე ახალგაზრდობის მორალური სახის გარკვევას ისახავენ მიზნად და ამ მხრივაც ეხმაურებიან ერთმანეთს. სამივე ავტორის ყურადღების ცენტრში ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდები არიან და მათი საზოგადოებრივი ყოფის, შინაგანი განცდების, ეჭვების, იმედების, ცხოვრებასთან დამოკიდებულების, კმაყოფილებისა თუ უკმაყოფილების გრძნობის და ამ გრძნობების ახსნის შესახებ გვესაუბრებიან ნოდარ ღუმბაძეც, არჩილ სულაკაურიც და თამაზ ჭილაძეც. მათ არ აშინებთ ცხოვრების მძაფრი ხილვა, ისინი გულწრფელად და უშუალოდ გვეუბნებიან თავიანთ დაკვირვებებს, რომლებიც ხან სიხარულითა და სიხალისით ავსებს მათ, ხან კი მძიმე განცდებს იწვევს მათში.

სამივე რომანში ჩანს ავტორების უკომპრომისო დამოკიდებულება ცხოვრებასთან და ის მაღალი პოზიცია, საიდანაც აკვირდებიან და აფასებენ ისინი ჩვენს თანამედროვე ცხოვრებასაც და იმ ახალგაზრდობასაც, რომელიც საზოგადოებრივ ასპარეზზე მოდის და მკვიდრდება.

როგორც უკვე ვთქვით, ნოდარ ღუმბაძის, არჩილ სულაკაურისა და თამაზ ჭილაძის ამ ახალ რომანებს ბევრი რამ აქვთ საერთო, რაც პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ ნაწარმოებთა გმირები ერთი თაობის, შეიძლება ითქვას, ერთი წრის ხალხია და, ბუნებრივია, მათი ხასიათებიცა და ინტერესებიც, მათი სიხარულიცა და ტკივილებიც, მთლიანად მათი ცხოვრება და საზოგადოებრივი ურთიერთობა ბევრწილად საერთო და მსგავსი უნდა იყოს. მაგრამ, ამასთანავე, ეს რომანები უფრო მეტად განსხვავდებიან კიდევ ერთმანეთისაგან. განსხვავდებიან ახალგაზრდობის ზოგადი მორალურ-ეთიკური საფუძვლების ორიგინალური გახსნით, გმირების თავისებური დამოუკიდებლობით ცხოვრებასთან, მათი ხასიათების განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესით. რაც მთავარია, ეს განსხვავება იმით გამოიხატება, რომ სამივე რომანის გმირები არა ჰგვანან ერთმანეთს არც ბიოგრაფიითა და არც ხასიათებით და მათ სულ სხვადასხვა შინაგანი ძალა აქვთ ცხოვრებაში თავისი ადგილის დასამკვიდრებლად და თვით ცხოვრებაზე, თავის გარემოსა და წრეზე ზემოქმედებისთვისაც. რა თქმა უნდა, ეს რომანები განსხვავდებიან იმ უბრალო მიზეზის გამოც, რომ მათი ავტორები ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სტილის მწერლები არიან. და, ბოლოს, ეს რომანები განსხვავდებიან თავისი მხატვრული ღირსებებითაც, ეს რომ უფრო თვალსაჩინო იყოს, ახლა უფრო კონკრეტულად განვიხილავთ თვითუღ მათგანს.

ნოდარ ღუმბაძის „მზიანი ღამე“, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, მწერალს კომპოზიციურად მისთვის ორგანულად და გამოცდილი ხერხითა აქვს აგებული. ამ რომანშიც, ისევე როგორც „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ და „მე ვხედავ მზეში“ ავტორი ცრემლიანი სიცილით მოგვეთხრობს თავის ახალგაზრდა გმირის თეიმურაზ ბარამიძის ღრმა დრამატული განცდებით სავსე ცხოვრებაზე და ეს ლაღი და თბილი

იუმორი მკითხველის მძიმე ემოციების შესამსუბუქებლად არის გამიზნული. გარდა ამისა, იუმორის ეს გრძნობა რომანის გმირებს დიდი-სულიერი მხნეობის ადამიანებად წარმოგვიდგენს. ზურიკელაც („მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“), სოსოიაც („მე ვხედავ მზედან“) და თეიმურაზიც („მზიანი ღამიდან“) სრულიად უბრალო, ჩვეულებრივი ახალგაზრდები არიან, რომელთაც ცხოვრებაში ერთი ადამიანისათვის სრულიად სამყოფზე მეტი განსაცდელი გადახდენიათ თავს და თუ ყველაფრისათვის გაუძლიათ, ეს იმიტომ, რომ მათ სწამთ ამ ქვეყანაზე სიკეთისა და სინათლის — მათი სიმბოლოს მზის უძლეველობა.

ბავშვობის მეგობარი გურამი გამოუტყდება თეიმურაზს.

— „არ ვიცი, კლასში რომ რაიმე დაიკარგებოდა, მეშინოდა, შენი წაღებული არ ყოფილიყო. გაკეთილს რომ გააცდენდი, მეშინოდა, სკოლაში აღარ დაბრუნდება-მეთქი. თავერა რომ ქურდობაზე დაიჭირეს, მეშინოდა, შენც დაგიჭერდნენ მეგონა მასთან ერთად. ათწლედი რომ დავამთავრეთ, მეშინოდა, უმაღლესში არ შემოვა-მეთქი... მერე ჩემი შიში რომ არ მართლდებოდა, მრცხვენოდა, თან მიხაროდა“.

ეს შიში მეგობრისა სავსებით საფუძვლიანი იყო. თეიმურაზი უდღემამოდ, მარტოდმარტო იზრდებოდა რვა წლიდან და მხოლოდ სიკეთისა და სიყვარულისაკენ სწრაფვამ ააცდინა ყველა ამ განსაცდელს. რომელიც ყოველ ნაბიჯზე ელოდა. ამ სულიერი სიმტკიცის, საკუთარი რწმენის გამო იყო, რომ თეიმურაზ ბარამიძეს თავისი ცხოვრების მძიმე გზაზე არასოდეს დაუკარგავს იუმორის გრძნობა.

თუმცა თეიმურაზი დურსუნზე ბევრად ახალგაზრდაა, მაგრამ მასზე მეტი განსაცდელი აქვს გადატანილი. მან, ბავშვმა და მოზარდმა, გაუძლო ამ განსაცდელს; დურსუნმა კი ზღვაში გაზრდილმა და დავაჟკაცებულმა, ფიზიკურად ძლიერმა კაცმა ერთსაც ვერ გაუძლო, დაუძლურდა, დაჩაჩანაკდა, თავის სიცოცხლეს ზღვისპირა კაფეში ატარებს და ფინჯანის ფსკერზე დალექილ ყავაში რალაცას ეძებს, რალაცას მარჩიელობს. ეს იმიტომ, რომ მას არა სწამს არაფერი, არც მეგობრობა, არც სიყვარული, არც სიკეთე, არც სიმართლე, ეს იმიტომ, რომ იგი მარტოა და ადამიანის რწმენა დაკარგა.

ამიტომ, რომ მასზე ბევრად უმცროსს და ბევრად უფრო
ხსნე თეიმურაზს უფლება აქვს ასე ელაპარაკოს ცხოვრებაზე
ხელჩაქნეულ ღურსუნს:

„— გლახაკი ხარ შენ, მათხოვარი, მშიშარა!

— ღმერთი რომ იყოს, მე არ გამაჩენდა. არ არის ღმერთი!

— არის!

— რას ეძახი შენ ღმერთს? — მკითხა ძია ღურსუნმა.

— სიყვარულს, სიკეთეს, სიმართლეს, მეგობრობას, დე-
დას...“

ღურსუნს აქვს საბაბი ასე იფიქროს ცხოვრებასა და ადა-
მიანებზე, უარყოს ღმერთი სიყვარულსა და მეგობრობაში
გამოხატული, რადგან მას ახლობელმა ადამიანებმა უმუ-
ხთლეს. მაგრამ მაინც ადამიანი ადამიანითაა ძლიერი, ეს არ
იციის ღურსუნმა, სამაგიეროდ ეს იციის, უფრო სწორად. ამას
გრძნობს თეიმურაზი და ამით იტანს ყოველგვარ განსაც-
დელს, ეს აძლევს ძალას იმისას, რომ არასოდეს დაკარგოს
სულიერი მხნეობა და იუმორის გრძნობა.

ღურსუნისა და თეიმურაზის საუბარს, რომელიც ამ უბე-
დური კაცის ტრაგედიას გვაგებინებს, და სადაც მისი სეკე-
სისისა და უიმედობის წყაროს ვაკვლევთ, როდესაც თეიმუ-
რაზთან ერთად ჩვენც შეძრწუნებული ვართ ამ ცხოვრები-
საგან გათელილი კაცის ბედით, მოსდევს თეიმურაზისა და
გურამის დიალოგი ზღვის პირას, სადაც მეგობრები თითქოს
აგდებულად, იუმორით საუბრობენ ადამიანისათვის ყველაზე
მნიშვნელოვან საკითხებზე. მაგრამ იგრძნობა, რომ ეს ზერე-
ლე ფორმა საუბრისა მხოლოდ ნიღაბია ვაჟკაცური გრძნო-
ბების დასაფარავად. გურამს არ სურს სერიოზულად ილაპა-
რაკოს იმაზე, რაც მის ცხოვრებაში ყველაზე სერიოზული
და მნიშვნელოვანი რამ არის. ამასთან, სწორედ ასეთი ლაღი
საუბარი ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, მეგობრობასა
და სიყვარულზე, გვარწმუნებს ჩვენ, რომ არც თეიმურაზი-
სათვის და არც გურამისათვის არ არსებობს, არ შეიძლება
არსებობდეს, ის უმზეო ღამე, რომელიც ღურსუნისათვის
დამდგარა.

და ასეა სულ ამ რომანში. ყოველ მსუბუქ, იუმორით
სავსე ეპიზოდს, როდესაც მკითხველს ყველა დარდი ავიწყ-

დება და ამ მხიარული გმირების შემყურე თვითონაც გულით იცინის, ერთბაშად მოსდევს უაღრესად მძაფრი დრამატიზმით დამძიმებული, ზოგჯერ ტრაგიკულამდე ასული სცენა. ავტორი როგორც კი დაატყობს, რომ მკითხველს სიცილისაგან აცრემლებული თვალები ახლა მწარე ცრემლით ევსება, მაშინვე შესცვლის სცენას და ახლა კვლავ იუმორით აზავებს მოზღვავებულ განცდებს. მერე კვლავ დატრიალდება მხიარული, მახვილგონიერული ეპიზოდებისა თუ დიალოგების ფეიერვერკი, და გამოცდილი მკითხველი მაშინვე მიხვდება, რომ მწერალი კვლავ რაღაც მძიმე განცდისათვის გვამზადებს.

რომანი უნივერსიტეტის ზამთრის სესიებით იწყება და ესაც სტუდენტობა გამოუცდია, შეუძლებელია ამ ცოცხლად დაწერილმა ეპიზოდმა ცოტა ხნით არ დაავიწყოს ყველაფერი და კვლავ არ დააბრუნოს იმ გარემოში, იმ აუდიტორიებში, სადაც ამდენი დღევა, სიხარული, სიმწარე თუ მხიარულება განუცდია. ნოდარ ღუმბაძის იუმორის გადმოცემა უბრალოდ შეუძლებელია, ეს რომ გაიგოთ და იგრძნოთ, ამით რომ დასტკბეთ, თვით მწერალს უნდა უსმინოთ. და აი, მკითხველი რომელსაც ჯერ კიდევ უბრწყინავს თვალზე გულამომჭდარი სიცილის ცრემლი და ისე მიყვება თეიმურაზ ბარამიძეს გამოცდებიდან სახლში, უეცრად მოულოდნელ სცენას გადაეყრება. თეიმურაზს გადასახლებიდან დაბრუნებული. თორმეტი წლის უნახავი დედა დახვდება სახლში. ახლა, გეგონებათ, თითქოს სულ სხვა, მხოლოდ ასეთი დრამატული სცენების ოსტატის ხელით დაწერილ რომანს კითხულობთ, იმდენად ძლიერია ერთმანეთს გადაჩვეული დედა-შვილის შეხვედრის სცენა. ვერც კი იფიქრებთ, რომ ეს ორივე ეპიზოდი ერთი და იმავე მწერლის კალამს ეკუთვნის. შემდეგ, ამას ართავაზასა და თემურის ერთად გატარებული დამე მოსდევს; რომელიც ადამიანური სევდითა და იუმორით თითქოს განზრახ არის შეზავებული. მერე გულიკოს სახლი ლოტკინის გორაზე, კვლავ ლალი სიცილის ჩანჩქერი, ამას კვლავ დედასთან მძიმე საუბრის სცენა მოსდევს და ბოლომდე ასე ენაცვლება ერთმანეთს ლოდივით მძიმე განცდები

და მსუბუქი, უდარდელი, ახალგაზრდული სიხალისე და იუმორი.

ეს ხერხი რომანის აგებისა, ცხოვრების გამოხატვისა. მკითხველის გონებისა და გულის დაპყრობისა ნოდარ დუმბაძისეულია, და ამას ავტორი კარგადა ფლობს. თუმცა, თუ ბოლომდე გულახდილი ვიქნებით, ვფიქრობ, უნდა გამოვუტყდეთ ავტორს, რომ მას ზოგჯერ ლალატობს ზომიერების გრძნობა. ჩემი აზრით, ეს ლალატი ზოგიერთ ცალკეულ, ზომიერებას მოკლებულ, თითქოს ანეგდოტურ ფრაზებში კი არ გამოსკვივის მხოლოდ, არამედ მთელი თავებიც კი სტოვებენ ერთგვარად ზედმეტობის შთაბეჭდილებას. ასე, მაგალითად, „გალაკტიონი“, რომელიც თავისთავად შეიძლება საინტერესო ესკიზიც იყოს, ამ რომანში სრულიად ზედმეტი თავია, და ასე გეგონებათ, ავტორს მისი გადაგდება დაენანა და „მზიან ღამეს“ მიაკერაო. ასევე ზედმეტია და ამ რომანის მთლიანი ორგანიზმიდან ამოვარდნილია „კიროვის ბაღის“ პირველი ნაწილი, სადაც ახალგაზრდები ფეხბურთზე ანეგდოტური ლაზღანდარობითა და ვიღაც დებილი ბიჭის გამასხარავეებით ირთობენ თავს. ზოგჯერ ისეთი უსიამოვნო გრძნობა გრჩება, თითქოს ავტორმა სატირული ჟურნალისათვის გამიზნული ხუმრობა შემთხვევით ჩაღო ამ რომანში და მერე კიდევ ჩარჩაო. ნოდარ დუმბაძის რომანის ტექსტი იმდენად წმინდაა, თუ შეიძლება ითქვას, სათუთია, რომ მსგავსი უხეში, ანეგდოტური, მე ვიტყვოდი, იაფფასიანი ადგილები მაშინვე თვალში ეცემა მკითხველს. მაგრამ ეს, საბედნიეროდ. მხოლოდ რამდენიმე ფრაზას და ერთი-ორ ნაწყვეტს შეეხება. მთავარი მაინც მთელი ორგანიზმია და არა მასზე მიზრდილი, უფრო სწორად, შეცდომით მიკერებული ხორცმეტი. ზემოთ ნათქვამიდან, ვფიქრობ, ნათელი უნდა იყოს ჩემი დამოკიდებულება ამ მთლიანი ორგანიზმის მიმართ, რომელიც სიჯანსაღითა და სიცოცხლით არის სავსე.

მარტო ზემოთნათქვამით არ ეხმაურება ეს რომანი ნოდარ დუმბაძის წინა ნაწარმოებებს. თვით ის ფაქტი, რომ რომანის სათაურში მზე მოიხსენება, არ არის შემთხვევითი. მზე ნოდარ დუმბაძისათვის ის სიმბოლოა სინათლის, სიკეთის, სიყვარულის, საერთოდ, ყოველივე სიწმინდისა და

ამაღლებულის, რომელიც მის შემოქმედებაში ნაწარმოებიდან ნაწარმოებში გადადის. და რაკილა მწერალს მზე ასეთი დიდი გრძნობების სიმბოლოდ გაუხდია, ამიტომაც, რომ იგი მისთვის ღამითაც კი ანათებს. საინტერესოა, რომ გულახდილი საუბარი დედასა და თემურს შორის ისევ მზესთან დაკავშირებით იწყება.

„— ხომ არის ზღვა და მზე ორი სასწაული? მზე ისეთი სასწაულია, რომლის ცქერა არასდროს მოგწყინდება... ხომ, დედა?

— არა, შვილო! — თქვა დედამ, თვალები დახუჭა და თავი გაიქნია. იგი დიდხანს დუმდა. ალბათ, რაღაცას იგონებდა.

— დედა, — გავახსენე მე თავი.

— მზე სასწაულია, — დაიწყო მან დუმილის შემდეგ, — მზე სასწაულია, მაგრამ შენ არ გინახავს ნამდვილი მზე... მზით დამწვარი უსაზღვრო ტრამალი... მზით დამწვარი ქვა, მიწა, ხე, ქვიშა, გამხმარი ხახა, გამხმარი ტვინი. არის წუთები ცხოვრებაში, როდესაც მზე გეზიზღება და უცქერ მზის ჩასვლას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩადის, და გიხარია მისი ჩასვლა, რათა ხელმეორედ აღარ ამოვიდეს ისეთი უღმობელი, როგორიც გუშინ. გაიგე, შვილო?

— დედა, შენ ხომ ხედავ, რომ მე პატარა აღარ ვარ. შენ ისევ რვა წლის გგონივარ, მაგრამ მე უკვე ოცი წლისა ვარ. შენ ჩემი ყველაფერი გიკვირს, ის, რაც მე კარგი მგონია, შენ არ მოგწონს. რაც მახარებს, შენ იმის გეშინია, სულ ექვის თვალით უყურებ. ან დაივიწყე, დედა, ყველაფერი, ან მითხარი, რა ექნა?.. — ვთხოვე მე და კალთაზე ვაკოცე.

— მაგის დავიწყება არ შეიძლება! — თქვა დედამ.

თუმცა ეს ადგილი იმისათვის მოვიყვანე, რომ მეჩვენებინა, თუ მზე რამდენად მნიშვნელოვანი სიმბოლოა ამ რომანის გმირებისათვის, მაგრამ აქ არანაკლებ საყურადღებოა სხვა გარემოებაც. კერძოდ, დედა-შვილის განსხვავებული დამოკიდებულება გარდასულისა და განცდილისადმი. ამ საკითხზე ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდები. ახლა კი მთავარი ისაა, რომ შვილმა დედასაც კი ვერ აპატია მზის აუღად ხსენება და ამაში საკუთარი გრძნობების შეურაცხყოფა

დაინახა. ეს ასეცაა, რადგან თუ მეგობრებისათვის, თემოსა და გურამისათვის სიყვარული, სიკეთე, სიმართლე, მეგობარი, დედა — ყველა და ყველაფერი ეს ღმერთია, მზე ამ ღმერთის გამოხატულებაა და ამიტომაც ვერავის მოახსენიებენ მას აუგად, ამიტომ შეჭხარიან მას. რაკილა მზისადმი მეგობრების ეს დიდი სიყვარული ჩვენთვის ნათელი და გასაგებია, ამიტომ აღარ გვეჩვენება ხელოვნურ პოზად და მათი გრძნობის უშუალო გამოხატულებად ვიღებთ იმ სცენას, როდესაც ზღვაში ჩამავალი მზის მოციმციმე ბილიკზე გურამი ჰორტენზიას დადებს.

„— მზეს ყვავილი მივართვი! — მითხრა მან და ბედნიერი ღიმილით გამიღიმა. მე არაფერი ვუპასუხე, მხოლოდ თავი დავეუქნიე და გავუღიმე. თან შემშურდა, დიდი შურით, ნამდვილი შურით, რომ ეს მე ვერ მოვიფიქრე“.

რომანის გმირებს უბრალოდ კი არა სწამთ ამ სიმბოლოსი და ამ ღმერთის, არამედ ისინი კიდევ ცხოვრობენ ღმერთად მიჩნეული გრძნობებით. „მზიანი ღამეც“ ამ რწმენის მხოლოდ სიმბოლური მინიშნება არ არის, არამედ კონკრეტული გამოხატულებაა. ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ამ რომანში ის სიუჟეტური ხაზებია, რომლებშიც დედასთან, გურამთან, თავერასთან, გულიკოსა და ლიასთან თემურის ურთიერთობა ჩანს, თვითვე ამ სიუჟეტურ ხაზში გმირის მიერ ღმერთად აღიარებული გრძნობათა კომპლექსის ერთი რომელიმე მხარე იხსნება სრულად. რა თქმა უნდა, ავტორს ასე მექანიკურად არა აქვს დანაწილებული თავისი გმირის ხასიათის თვისებები ცალ-ცალკე ეპიზოდებში საილუსტრაციოდ; თეიმურაზ ბარამიძე ყველგან და ყოველთვის ერთი მთლიანი პიროვნებაა, მაგრამ მაინც თვითვე ამ სიუჟეტურ ხაზში, თვითვე ამ ურთიერთობაში სხვებზე უფრო მეტად მისი ხასიათის ერთი რომელიმე ძლიერი და საინტერესო მხარე ხდება მკითხველისათვის ნათელი.

ყველაზე ნათელი და თბილი, ამასთან დრამატულად დაძაბული და ამადლელებელი ამ რომანში ის სიუჟეტური ხაზია, რომელშიც თემოს ურთიერთობა იხსნება დედასთან. თვით ის ფაქტი, რომ თემო, რომელიც ბავშვი დააცილეს მშობლებს, თორმეტი წლის უნახავ დედას ხვდება მოულოდ-

ნელად, თავისთავად ამაღლვებელია და მკითხველში ძლიერ ემოციებს იწვევს. ამ საინტერესო ფაქტს თავისი გმირის ბიოგრაფიიდან მწერალი შესანიშნავად იყენებს და დედა-შვილური ურთიერთობის, სიყვარულის განუსაზღვრელ გრძნობას ორიგინალურად და შთამბეჭდავად გვიხსნის. მშობლებს გადაჩვეულ თემოს უჭირს იმ ქალს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს სახლში დახვდება, უთხრას: გამარჯობა, დედა, — რასაც ასე ელის დედამისი, და ასე მიმართავს: გამარჯობათ, ქალბატონო! „ახლა ჩვენ ვიწვექით ოთახის სხვადასხვა კუთხეში ერთნაირად უბედურები, რადგან ეს ბედნიერი დღე დადგა“ — ამბობს თემო და, მართლაც, როგორც მწერალი გვიხსნის, მათთვის ეს დღე ბედნიერიცაა ამ შეხვედრის გამო და უბედურიც, რაკილა დედა-შვილი ერთმანეთისათვის უცხონი გამხდარან. შეიძლება ცოტა უცნაური ჩანდეს თემოს წასვლა სახლიდან, როდესაც ამ დაძაბულობის გამო ვერ ჩერდება სახლში და ღამეს ვიღაც დარაჯ ართავაზასთან ათევს, მაგრამ ჯერ ერთი ჩვენ არ შეგვიძლია არ დავუჯეროთ ავტორს, რომლისთვისაც ეს რომანი ბევრწილად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, მეორეც, ისე დამაჯერებლად აქვს ავტორს გახსნილი უნახავ მშობელთან შეხვედრის განცდა, რომ ეს განცდის სიმართლეა ყველაზე მნიშვნელოვანი. ამ სიმართლის და სიწრფელის გამოა, რომ ასე გვჯერა თემოს სიყვარულისა დედისადმი, რომ ღმერთს იგი პირველად დედაში დაინახავს, რომ მიხვდება:

„ღმერთი მაშინ უნდა იწამო, ღმერთის სახე რომ არ აქვს, რომ არ გავს ღმერთს, რომ არ გეუბნება ღმერთი ვარო, პურს რომ გიყოფს, სადილს რომ გიკეთებს, ტანზე რომ გაცმევს, თავზე რომ გახურავს, გიღიმის და გეფერება, გკოცნის და ტირის შენი გულისათვის, კვდება შენი გულისათვის, ცივა, წყურია, შია შენთან ერთად, სულს აძლევს ეშმაკს შენი გულისათვის, მაშინ უნდა იწამო“.

ამ განცდის სიმართლის გამო გვჯერა ჩვენ მთელი ურთიერთობა თემოსი დედამისთან, რაც თითქოს სრულიად ჩვეულებრივიცაა, მაგრამ ამავე დროს უაღრესად ამაღლებულია, წმინდაა, წმინდათაწმინდაა. და თუმცა თემოსა და დედამისს ერთად დიდხანს ცხოვრება არ მოუწიათ, ჩვენ ბოლომდე გვჯე-

რა თემოსი, რომელიც თავის საცოლეს ღიას დედის საფლავზე მიიყვანს და ცოცხალივით ესაუბრება მშობელს:

„ეს მე ვარ, შენი შვილი, რომელმაც იმ დიდი სიყვარულის საფასურად, ჩემი ხელით გაგიტხარე სამარე, ჩემი ხელით ჩაგასვენე შიგ და ჩემი ხელით დაგადე ეს დიდი ლოდი გულზე. ეს მე ვარ, შენი შვილი, რომელმაც ძლივს გიპოვე და ისე გიპოვე, რომ აღარასოდეს დაგკარგავ, რადგან ეს სასაფლაო არის ჩემი. ეს არის ღია, ნაწილი იმ დიდი სიცოცხლისა, რომელიც შენ დამიტოვე ქვეყანაზე. შენ კი იმდენი სიცოცხლე დამიტოვე, რომ მე მარტოს არ შემეძლია ამდენი სიცოცხლე. ამიტომ, არ გეწყინოს, რომ მე მივეცი მას ჩემი და შენი სიცოცხლის ნაწილი“.

მწერალმა რომანის მთელ მანძილზე არა მარტო დაგვანახა ეს დიდი დედაშვილური სიყვარული, არა მარტო განგვაცდევინა ეს სიყვარული, არამედ ღმერთადაც კი აქცია იგი და ჩვეულებრივ, ყოფით საუბარში ართავაზასთან და გურამთან თუ ზემოთმოტანილის მსგავსს ღირიულ აღსარებაში თითქოს თავისი ახალი რელიგიის ახალი საგალობლებიც კი შექქმნა.

ყოველი ეპიზოდი დედა-შვილის ურთიერთობისა, თითქოს, ამ ახალი რელიგიური რწმენით არის გასზივოსნებული და საუკეთესოა ამ შესანიშნავ რომანში, მაგრამ სიკვდილის სცენა მაინც ყველაზე უბრალო და ყველაზე ამაღელვებელია. ამასთან ორიგინალურად და ღრმად გააზრებულიც.

დედამისი და სტალინი ერთ ღამეს გარდაიცვლებიან. და თუ უნივერსიტეტში, ზარჩამდგარ ტაძარში უამრავ მლოცველს მოეყარა თავი და თვალცრემლიანი მუდართა და ვედრებით შესცქეროდა სცენაზე დასვენებულ რეპროდუქტორს, ამ დროს თემურის გრძნობა და გონება მხოლოდ საკუთარ ღმერთს მისჩერებოდა, რომელიც ხელიდან ეცლებოდა. და ვინ იცის, ვინ უფრო მართალ ღმერთსა გლოვობდა? ეს კია, დედის სარეცელთან მარტოდმარტო დაჩოქილი თემო ვერც კი გაიგებს ალიონზე მოსული მეგობრის ჩურჩულით ნათქვამს: სტალინი გარდაიცვალა.

ასევე სუფთა, მართალი, კეთილი, პატიოსანი და ძლიერია თემური სხვებთან ურთიერთობაში: გურამთან, თავის

მეგობართან, გულიკოსთან, თუმცა დაშორდება მას, რაკილა იგრძნობს, რომ სხვა უყვარს, ლიასთან, თავის საცოლესთან, თავერასთან, სკოლის მეგობართან, რომლისათვისაც თავს გამოიღებს და სხვებსაც დააჭერებს, რომ მას ახლა პატიოსანი და ღირსეული ცხოვრება აურს, ართავაზასთან, ამ შემთხვევით გაცნობილ კაცთან, რომელსაც თავის დროზე იმხელა კაცური გული აღმოაჩნდა, რომ თემურმა სამი წლის შემდეგ საცოლეს კი მიუყვანა და გააცნო, ლიდასთანაც კი, რომელთანაც სულ ერთი დამე გაათია.

თემურის გული სავსეა სიყვარულით და იმედებით. მართალია, მას ბევრი რამ გადახდა თავს, არც სადარდებელი აქვდა და არც განსაცდელი, მართალია, მან კეთილთან ერთად ბოროტიც ნახა ცხოვრებაში, მაგრამ მისი გული მაინც მხოლოდ სიყვარულითა და სიკეთითაა სავსე. ამიტომაც ეპატიება რომანის ფინალში თავისი დაბადების დღეზე ყველას და ყველაფერს, თბილისს მთელი მისი ქუჩებით, მეგობრებს, უცნობსა და ნაცნობს. ეპატიება, რომ მოვიდნენ და სულ ორიოდ სიტყვით დალოცონ აი ასე:

„— გაგიმარჯოს თემური, ბედნიერად და ჯანმრთელად იყავი! შენს მეგობრებს გაუმარჯოს, ძმაკაცის იმედი და ნდობა ნუ მოგიშალოს, შენს მარჯვენას გაუმარჯოს, შენი ცხოვრების ვზას გაუმარჯოს. შენს ფიქრს გაუმარჯოს, შენს ოცნებას! ნამული გიცოცხლოს ღმერთმა, და ოჯახი... გაგიმარჯოს, თემური.

მეტი მე არაფერი არ მინდა“.

თემურს ახლაც უნდა ვენდოთ, ამის მეტი მას, მართლაც. არაფერი უნდა. ოღონდ კი გული სიკეთითა და სიყვარულით ჰქონდეს სავსე. მაგრამ საკმარისია კი ეს? სიძულვილი?

თუ აქამდე თემო მხოლოდ საკუთარ რელიგიას მისდევდა და საკუთარი ღმერთი თუ ღმერთებიც ჰყავდა დედის, მეგობრების, საყვარელი ქალის, სიკეთისა თუ პატიოსნების, სიწართლისა თუ სხვათა სახით, ამ საკითხში იგი ქრისტიანულ მოძღვრებას ესესხება: „არა კაც ჰქლა“. ასეც ჰქვია ერთ უაღრესად საინტერესო, პრინციპულ, თუმცა ჩემთვის მიუღებელ თავს ამ რომანში.

მაგრამ ეს სიუჟეტური ხაზი აბიბოსთან თემურის ურთი-

ერთობისა უფრო ადრე იწყება. აბიბო თოდრია — თემურის მეზობელი — შინსახკომის ძველი თანამშრომელია. მას დიდი „ღვაწლი მიუძღვის“ კეთილი ადამიანების, თემურის მშობლების უდანაშაულოდ გადასახლებაში. ამას ჩვენ ცხადად ვგრძნობთ, როდესაც აბიბო თემურს ოცი წლის მანძილზე პირველად შეიპატიეებს სახლში და ეკითხება, დაბრუნებულ დედაშენს ჩემზე ხომ არაფერი უთქვამსო. მკითხველი იოლად ხვდება, რაშიცაა საქმე, მხოლოდ თემური ვერ ხვდება. ან იქნებ, ხვდება კიდევ (თითქოს ამის მინიშნებაც არის), მაგრამ თავს ძალად იტყუებს? აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს დედა-შვილის საუბარი, რომელიც ზემოთ მოვიგონე:

„— ან დაივიწყე, დედა, ყველაფერი, ან მითხარი რა ვქნა“...

„— მაგის დავიწყება არ შეიძლება“. აი, ორი კონცეფცია, ორი დამოკიდებულება ბოროტებისადმი ცხოვრებაში. რომელია მათში მართალი?

ჩემი ღრმა რწმენით, დედაა მართალი. რადგან კაცს სიკეთეც უნდა ახსოვდეს და ბოროტებაც. მით უმეტეს იმის დავიწყება, რაც თემურისა და მის ოჯახს გადახდა, მართლაც, არ შეიძლება. მაგრამ თემური მაინც ივიწყებს და მკაცრადაც ისჯება. ის დიდ საიდუმლოს გაანდობს აბიბოს, კაცურად მივა და მას თავისი პატიმრობიდან გამოქცეული მეგობრის ადამიანურ გულს გადაუშლის. აბიბო იმ წამს გაყიდის მასაც და მის მეგობარსაც, ქურდულად, ლაჩრულად, მერე უნივერსიტეტშიც დააბეზლებს. აბიბოს გული მხოლოდ შხამითა და ბოროტებითაა სავსე; იქ სიკეთის და სიყვარულის ნატამალიც არ ბუდობს.

მართალი იყო დედა: მაგის დავიწყება არ შეიძლება. მაინც დაივიწყა. მწარედ დაისაჯა. და ბოლოს მაინც დაივიწყა. თემურმა უპატრონა გულის შეტევისაგან კიბეზე წაქცეულ აბიბოს. და მთავარი ისაა, რომ, როდესაც ღამეს უთევდა მას, ჯერ სიძულვილისაგან დაიცილა, მერე შეეცოდა. ბოლოს შეეშინდა, ტირილიც კი მოუნდა და აივსო ყელამდე სიბრალულით ამ კაცის მიმართ, იმხელა სიბრალულით, რომ ცქერა აღარ შეეძლო.

ძალით დაივიწყა ის ერთ-ერთი ბრძნული, ადამიანური,

ჰუმანური, დედაშვილური რჩევა, რომელიც დედამისმა უანდერძა: „მაგის დავიწყება არ შეიძლება, შვილო“.

ეს ნოდარ ღუმბაძისა (ჩანს ეს რომანიდან) და მისი გმირის პოზიციას, რომელიც ჩემთვის პირადად გაუგებარია და მგონია, რომ ღმერთს მეხსიერება იმიტომ მოუყვია ადამიანისათვის, რომ მას ყველაფერი ახსოვდეს, კეთილიცა და ბოროტიც. მაშინ მეტი სიკეთე იქნება ქვეყანაზე.

ნოდარ ღუმბაძის რომანის მთავარი სათქმელი „მზიან ღამეში“ ის უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანი ადამიანითაა ძლიერი. მაგრამ განა მართლა ასე უბრალო ჭეშმარიტებაა ეს? განა, მართლა ყველას ესმის იგი? ან განა მართლა ყველა მისდევს პატიოსნად, გულწრფელად ამ ჭეშმარიტებასა და სიბრძნეს?

რა თქმა უნდა, ყველას არ ესმის ეს და არც ყველა ხელმძღვანელობს თავის ცხოვრებაში ამ ძველი და დიდი სიბრძნით. ეს ჩვენ თვით ცხოვრებიდანაც ვიცი, ხოლო ახლა კი მხატვრულად ძლიერად ჩავვაფიქრა ამ საკითხზე არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზმა“. არჩილ სულაკაურის რომანის პათოსიც სწორედ ამ უბრალო და მნიშვნელოვანი სათქმელით განისაზღვრება ძირითადად, თუმცა ამისათვის იგი, ნოდარ ღუმბაძისაგან განსხვავებით, სულ სხვა გზასა და საშუალებებს ირჩევს.

ნოდარ ღუმბაძისთან ეს აზრი პოზიტიურადაა გადმოცემული, ხორცმესხმული, არჩილ სულაკაური ამ აზრს საპირისპიროს უარყოფის გზით ამტკიცებს. ნოდარ ღუმბაძის თითქმის ყველა გმირი, მთავარი თუ ეპიზოდური, ამ სიკეთის არა მარტო მატარებელი, ამჟარა მქადაგებელიცაა. გავიხსენოთ დედა, თემური, გურამი, გულიკო, რომელსაც მართალია, სცილდება თემური, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ან ერთს, ან მეორეს სიკეთე ან სიყვარული აკლია, უბრალოდ იმიტომ, რომ თურმე ის სიყვარული, რომელიც ერთადერთია და განუმეორებელი, სულ სხვა ყოფილა, და თემურის ეს გრძნობა ლიას ეკუთვნის. ასეთივე ადამიანურია ლიაც. ართავაზაც, თვით ლიდაც კი, რომელთანაც თუმცა სულ ერთ ღამეს გაათევს თემური, მაგრამ იგი ჩვენზე საეჭვო რეპუტაციის ქალის შთაბეჭდილებას კი არ სტოვებს. პირიქით, თავი-

სი დიდი გულით, ჩუმი სიკეთით, შინაგანი სიწმინდითა და კეთილშობილებით თემურსაც და მკითხველსაც სითბოთი და სიმპათიით ავსებს.

აჩჩილ სულაკაურის რომანში სულ სხვა გარემო, სულ სხვა გმირებია. დათო ნათიშვილსაც ჰყავს მეგობრები, ამხანაგები, შშობლები, და-ძმა, მეზობლები და ნაცნობები, მაგრამ იქინი შინაგანად უცხონი არიან ერთმანეთისათვის, არ არიან მართალნი ერთმანეთისადმი, გულწრფელად არ ადარდებთ და არ ახარებთ ერთმანეთის დარდი და სიხარული. ამ რომანში აშკარა ბოროტებასა და ანგარებასაც ხედავს მკითხველი, მაგრამ ყველაზე საშიში მაინც სულ სხვა რამაა, და ეს კარგად ჩანს მეგობრების — დათოსა და გელას საუბარში:

„— შენ გგონია, მარცხი მომივიდა? არავეითარი!.. მე ეგეთი მარცხის არ მეშინია... დღეს დავკარგე სამუშაო, ხვალ ვიშოვი... ბოლოს და ბოლოს თბილისიდან წავალ, ქვეყანა დიდია, სამუშაოს ყველგან ვიშოვი... ბოლოს და ბოლოს ჩემ სიმართლეს გავიტან, დავამტკიცებ... მე სხვა რამ მაშინებს. მე მეშინია შენი...

— ჩემი?

— დამაცადე! მე მეშინია შენი, მე მეშინია მირიანის, თეონასი, პლატონის, ნოდარის, ჯიმშერის... ყველა მახლობელი ადამიანის მეშინია... ყური დამიგდე! შენ არ იფიქრო, ღვინო მალაპარაკებდეს... ყველანი ერთმანეთს ვატყუებთ. საკუთარ თავსაც და ერთმანეთსაც... დღეს რა გაგიხარდა? ის, რომ მირიანს საშველი დაადგა? ის, რომ კაცმა თავი დააღწია მარტოობას, აპათიას, კარჩაკეტილობას?

— რასაკვირველია!

— თუ ის, რომ წერილის გამოქვეყნებამდე სწორედ შენ მიაგენი მირიანს და უფროსების ქება დაიმსახურე?

— რა თქმა უნდა, ეგეც იყო.

— ჯერ ეს იყო და მერმე ის! ხომ მართალია, გელა?

— მაგაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— წავედი. შენც უნდა გეშინოდეს ჩემი, მეც ეგეთი ვარ“.

ამ დიალოგიდან ბევრი რამ ირკვევა. დათო ნათიშვილს ამ ახალგაზრდა კაცს, რომელმაც სულ ახლა დაიწყო დამოუ-

კიდებელი, კაცური ცხოვრება, პირველსავე ნაბიჯებზე მოუხ-
და დიდ წინააღმდეგობებთან შეჯახება. ცხოვრება არც ისე
მარტივი ყოფილა, როგორც ადრე ეგონა. მაგრამ დათო
შედარებით იოლად აღწევს თავს ამ ბოროტებას, რადგან მან
იცის, რომ მხოლოდ პატიოსნად შეუძლია ცხოვრება, იგი
ვერ აპყვება ნიკო კორინთელს, რომელიც ბნელი, მეტისმე-
ტად საშიში კაცია. მართო ეს სიუჟეტური ხაზიც იქნებოდა
საკმარისი იმისათვის, რომ საინტერესო რომანი მიგველო.
ნიკო კორინთელის ნებას ბევრნი დაპყლიან, დამორჩილე-
ბიან, დათო ნათიშვილი კი, ეს ახალგაზრდა და გამოუცდელი
კაცი, ბრძოლას უცხადებს მას. მარცხდება. მაინც არ ნებდე-
ბა. ნიკო კორინთელი ვერ დაიმორჩილებს მას, დათო ამაყი
და მართალი კაცია. დიახ, ამ ბრძოლის შემდეგ იგი უკვე
კაცია და არა ახალგაზრდა. მთელი ეს ისტორია, რომელიც
საკმაოდ მწვეველ და ამაღლებლად ვითარდება, თავისთა-
ვადაც საინტერესოა და მრავლის მტკმელი, ყოველ შემთ-
ხვევაში, საზოგადოების წინაშე დათოს მოვალეობის გრძნო-
ბა ჩვენთვის ნათელია. ეს კი, ვიმეორებ, ერთ კარგ რომანს
ეყოფოდა. მაგრამ არჩილ სულაქაურს ეს მხოლოდ ფონად
მიაჩნია იმისათვის, რომ თავისი მძიმე, მაგრამ მართალი და
გულახდილი საუბარი დაიწყოს მკითხველთან ადამიანის მოვა-
ლეობაზე არა მართო საზოგადოების, არამედ, რაც მთავარია,
თავის თავის წინაშეც. რადგან ამ დროს უფრო მეტი რამ ირ-
კვევა. დათო კარგი მშენებელია, უკომპრომისო, საქმის ერთ-
გული და, ბოლოს და ბოლოს, იმარჯვებს კიდევ მორალურა-
დაც და, როგორც ჩანს, რეალურადაც იმ უთანასწორო ბრძო-
ლაში, რომელსაც ნიკო კორინთელს უცხადებს. ამით საზოგა-
დოებრივი ვალი მოხდილი აქვს. მაგრამ განა მართლა მოხ-
დილი აქვს? როგორც კი მწერალმა მას თავისი თავის წინაშე
მოვალეობა გაახსენა, ამაზე ჩააფიქრა, დათო მიხვდა და გე-
ლასაც გამოუტყდა „შენც უნდა გეშინოდეს ჩემი. მეც ეგეთი
ვარ“. ჰო, მასშიც ყოფილა მიმალული ეგოიზმის გრძნობა,
მის მეგობრებშიც. დათოს ყველაზე მეტად ის აშინებს, რომ
სხვისი ბედისადმი გულგრილობა იგრძნო თავის თავშიც და
იმ ადამიანებშიც, რომლებიც მისი ცხოვრების თანამგზავრნი
არიან. დათო მიხვდა, თუ რარიგ სტყუოდა იგი თავისი ძმის,

მირიანის წინაშე, რომლის სულიერი სიმარტოვით არ დაინტერესდა, რომელსაც ბოლომდე არ ჩაეძია და არ აგრძნობინა, რომ ნამდვილი ძმა, ნამდვილი მეგობარი, სულის ნაწილი იყო მისი. დათო გამოუტყდა თავის თავს, რომ მას მირიანის ეს განმარტოება, ღუმილი არ აწუხებდა, პირიქით, ის აწუხებდა, როდესაც მირიანი ამ ღუმელს დაარღვევდა, თავისი მძიმე, მაგრამ ჩვეულებრივი ყოფიდან თუნდაც დროებით გამოვიდოდა. მას აშინებდა ათასში ერთხელ მირიანის უნებური გაცინება, რადგან ეს უჩვეულო რამ იყო მისთვის, მაგრამ არ აშინებდა მირიანის უმოქმედობა, აპატია, რადგან ამას მიჩვეული იყო, და მიხვდა დათო, რა მტყუანიც იყო ძმის წინაშე.

და რაკილა მიხვდა ამას, იგრძნო, რომ ეს იყო ყველაზე დიდი დანაშაული მისი. რომელიც უნდა გამოესყიდა. ეს იყო მისი ყველაზე დიდი სადარდებელი და არა ის, რომ ვიღაც ბოროტმა კაცმა უსიამოვნება მიაყენა სამსახურში, ან კიდევ საყვარელი ქალი ქარაფშუტა გამოდგა და გამელოტებულ მეცნიერებათა კანდიდატს გაჰყვა ცოლად.

დათომ დაინახა, რომ მთელი მისი ოჯახი, მეზობლები მხოლოდ მოჩვენებითი კეთილშობილებისათვის და პატიოსნებისათვის ზრუნავენ. სინამდვილეში კი მისი ოჯახი გარეგნული სიმშვიდითა და წესიერებით შენიღბული აშმორებული გუბეა, სადაც ჯანსაღ კაცს სული შეეხუთება. ესაა ოჯახი, რომელმაც არ იცის რა არის პატიოსნება, სინდისი, ადამიანური სიამაყის გრძნობა, სიკეთე, სიყვარული, მაგრამ მაინც დათოს ამტყუნებს ყველაფერში, რადგან იგი არ ინიღბება ამ ოჯახის სხვა წევრებით, რადგან იგი თამამად მიდის თავის მეზობელ ქალთან და რჩება იქ ღამე, თუმცა მამამისიცა და ის მეზობლებიც, რომლებიც გამკილავად შეჰყურებენ მას. ქურდულად ეწვევიან გახრწნილ ცხოვრებას. უმადურებას სწამებენ მას, რადგან დათოს არა სურს უღალატოს თავისი სინდისის ხმას, როდესაც ოჯახის წევრები მისგან აშკარად უპატიოსნო საქციელს მოითხოვენ.

რაკილა ყველაფერი ეს ნათელი გახდა დათოსათვის, მან დაკარგა ოჯახი, მეზობლები, დაკარგა ის დიდი განძი, რომელიც ეგონა ჰქონდა ოჯახის სიწმინდისა და პატიოსნების

სახით. ასევე ინახავდა მოსე ამ რომანში ნამდვილ მარგალიტს, რომელიც უსინდისოდ მოპარეს და ამ თითქოს ბიბლიური ეპიზოდისგან გაგონილი ქვითინი: — „ესთერ! ესთერ, შენ გენაცვალე! რა იქნა მარგალიტი?! თქვი, ხომ იყო, ჰა? ხომ იყო?! ესთერ!.. ესთერ!.. მქონდა თუ არ მქონდა?! ნითხარი, რა იქნა ჩემი მარგალიტი?!“ — მუდამ თან სდევს დათოს. ისიც დადის თავისი განძის, ოჯახის სიწმინდისა თუ მახლობელი ადამიანების ღირსებების დაკარგვით შეძრწუნებული, დაექვებული, და ეს ძახილიც თანა სდევს მას — „ესთერ!.. ესთერ! მითხარი, რა იქნა ჩემი მარგალიტი?!“

დათო მარტოა, იგი მხოლოდ ბუბა ეშბაში გრძნობს სულის ტკივილის მოზიარეს. მხოლოდ გრძნობს, რადგან არც კი იცნობს მას კარგად, ეს იცის მხოლოდ, რომ ბუბა ეშბამაც არ დაიხია უკან, არად ჩააგდო ირგვლივ მყოფთა შეჩვენება, გაუძლო ყველაფერს და მაინც უარი თქვა თავის ოჯახზე, თუმცა ეს ოჯახი სხვების თვალში წესიერი და სანიმუშო იყო. დათო გრძნობს, რომ ბუბა ეშბაც რაღაც შინაგან უხილავ. მარტო მისთვის ცნობილ ბოროტებას აღუდგა წინ და საკუთარ თავთან სიმართლე არჩია სხვების აზრსა და დამოკიდებულებას.

მარტოა დათო, მარტოა ბუბაც. მირიანიც. ისინი მარტონი არიან. ისევე, როგორც მარტოა ოქროს თევზი მრგვალ ქილაში. ეს სიმართლვე აწუხებთ მათ. ეს სიმართლვე ყველაზე უფრო მტკივნეულია მათთვის. ამიტომაც ესწრაფვიან მთელი არსებით თავისუფლებასა და კონტაქტებს ნამდვილ, მათსავით წმინდა, კეთილშობილ ადამიანებთან.

არჩილ სულაკაურის რომანი „ოქროს თევზი“ საინტერესო და ორიგინალური აგებულების ნაწარმოებია. ეს არ არის ჩვეულებრივი თხრობა ამბისა, რომელსაც თან ახლავს გმირების სულიერი მდგომარეობის ფსიქოლოგიური ანალიზი. მწერალი ძალზე ხშირად მიმართავს პირობითობას, სიმბოლიკას, მოულოდნელ ჩვენებებს თუ გახსენებებს, შინაგან დიალოგებს, რეფრენებს, რაც ოდნავ ართულებს რომანის სტრუქტურას, მაგრამ ყველაფერი ეს ავტორს ერთი მიზნისათვის აქვს დაქვემდებარებული — უფრო ძლიერ გვაგრძნობინოს და განგვაცდევინოს თავისი გმირების შინაგანი

ეპევები და წუხილი, უფრო თვალსაჩინოდ გვიჩვენოს რამ და რატომ დაუქარგა ამ გმირებს სულიერი წონასწორობა. ოქროს თევზიც, რომელიც მთელი ამ რომანის მანძილზე არ ექარგება მკითხველს მხედველობის არედან, სწორედ ამ მარტოობის მტანჯველი გრძნობის სიმბოლური მინიშნებაა. და როგორც ოქროს თევზს სურს ჰყავდეს ხმისგამცემი, ასევე ეძებენ სულიერ მეგობარს ჯერ მირიანი და მერე დათო. ხსნა გაქცევაშია, ამ კედლების დამსხვრევაშია, რომელსაც ასე თავგამეტებით ასკდება ოქროს თევზი. ჯერ მირიანი მირობის ოჯახიდან, მერე დათო და, თუმცა ოქროს თევზი სულს ლაფავს ცივ ასფალტზე, მაინც ბედნიერია, რომ ეს მინის კედლები დაემსხვრა, რომ მისი ამაყი და მშფოთვარე სული თითქოს გადაეცათ ადამიანებს, მირიანსა და დათოს, რომლებსაც ასე ღიდხანს და დაბეჭითებით უნერგავდა მარტოობის უნაყოფობას.

იქნებ, ვინმეს ასეთი კითხვაც დაებადოს: ვინა ყოფილა მართალი, ნოდარ ღუმბაძე, რომელიც ადამიანებში უპირატესად კეთილ საწყისებს ხედავს და თავისი გმირების სახით ურთიერთსიყვარულის, სათნოების, მეგობრობის, თანაგრძნობის მაგალითს გვაძლევს, თუ არჩილ სულაკაური. რომლის გმირებიც მარტოობის გრძნობით იტანჯებიან და რომლის რომანშიც ყველა თითქოს მხოლოდ თავისი პატიოსანი თუ უპატიოსნო ცხოვრებით ცხოვრობს? იქნებ, ამ ავტორთაგან ერთ-ერთი სტყუის ცხოვრებისა და ადამიანების წინაშე? ვფიქრობ, ასეთი ეჭვი მართებული არ იქნება, რადგან ადამიანებისათვის კეთილშობილებაც და ეგოიზმიც, ბოროტებაც და სიკეთეც, მეგობრობაც და მტრობაც, სიყვარულიცა და სიძულვილიც სავსებით დამახასიათებელი რამ არის და მწერლის თვალთახედვის, მისი ინდივიდუალური მსოფლმეგრძნების, მხატვრული ჩანაფიქრის თავისებურების გამო ერთზეც შეუძლია გაამახვილოს ყურადღება და შეორეზეც. მთავარი ისაა, რომ ნოდარ ღუმბაძეც და არჩილ სულაკაურიც საბჭოთა ადამიანის ჰუმანიზმის პოზიციებიდან გვიხსნიან იმ გარემოსა და ადამიანებს, რომლებიც მათ რომანებშია წარმოსახული. და რაკილა გარემოცა და ტიპაჟიც განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამიტომ, შესაბამისად ამისა,

ავტორებს განსხვავებული გზით, დამკვიდრებისა და უარყოფის საშუალებით, მივყავართ ერთ მნიშვნელოვან და მართალ დასკვნამდე.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ არჩილ სულაკაურის ეს რომანი, ზემოთქმულის მიუხედავად, სულაც არ სტოვებს მძიმე და გამოუვალ შთაბეჭდილებას. რომანის ფინალში გმირები თავს აღწევენ ამ გარემოს და თავის მომავალ ცხოვრებას იმედით შეჰყურებენ, მასში სიმბოლურადაა გამოხატული ამ მეშინაური გარემოს ვიწრო კედლების დამსხვრევა და დათოცა და მირიანიც ნამდვილ ადამიანებთან კონტაქტებს ესწრაფვიან, ყოველივე ამის გამო რომანი უთუოდ იმედიანი და ნათელი პერსპექტივის მქონეა.

თუ არჩილ სულაკაურმა მთელი რომანის მანძილზე თავისი გმირების ამდენი სულიერი ტკივილები, წუხილი, შინაგანი განცდები გადაგვატანინა, ამან კი არ უნდა შეგვაწუხოს ან დაგვაქეცოს, პირიქით, კიდევ უფრო ნათლად უნდა გვაგრძნობინოს ავტორის სათქმელი: ცხოვრებაში მთავარი ის კი არ არის, რომ ოთხი ტონა ცემენტი არ მოიპარო და არც სხვას მოაპარო, ან კიდევ მხოლოდ ამ თვალსაზრისით იცხოვრო პატიოსნად, არამედ მთავარია შინაგანად იყო ძლიერი, სუფთა, კეთილი, მთელი გულით გიყვარდეს ადამიანი, მეგობარი, ახლობელი, გახსოვდეს, რომ ადამიანი ადამიანითაა ძლიერი. თუ ამას ყველანი ვიწამებთ, მაშინ ადამიანები აღარ იქნებიან მარტონი.

დათოც და მისი მეგობრებიც, რომლებიც თანამედროვე კარგი ახალგაზრდები არიან, სწორედ ასეთი სულიერი განწმენდის პროცესს გადიან და იმედია მომავალში მათ აღარ აუფორიაქებთ სულს სინდისის ძახილი: „ესთერ!.. ესთერ! მითხარი, რა იქნა ჩემი მარგალიტი?!“

ის, რაზედაც ჩვენ გვქონდა საუბარი, არჩილ სულაკაურის რომანის პირველი წიგნია და, როგორც ჩანს, „ოქროს თევზს“ თავისი გაგრძელება ექნება. ამ გარემოებამ თავისი დალი დაასვა გამოქვეყნებულ ნაწილს, ბევრი ისეთი რამ რჩება აქ გაუგებარი, რაც არ შეიძლებოდა ავტორს ასეთი სახით დარჩენოდა დამთავრებულ ნაწარმოებში. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის მირიანსა და ბუბაზე, რომელთა ხასია-

თი ბევრწილად ბუნდოვანი, ხოლო საქციელი აუხსნელი რჩე-
ბა ჩვენთვის, ალბათ, ამათზე პასუხს მომდევნო წიგნში ვი-
პოვნით.

თამაზ ჭილაძის რომანის „აპა, მიიწურა ზამთარი...“
წაკითხვის შემდეგ, მით უმეტეს, რომ იგი დამთავრებული
ნაწარმოებია და არა პირველი ნაწილი თუ წიგნი, უფრო
ბევრი რამ რჩება შკითხველისათვის გაუგებარი და აუხსნე-
ლი. მართალია, ეს რომანიც ამ მარტოობის გრძნობის მძაფრ
განცდაზეა დაწერილი და ამაში გვარწმუნებენ ჩვენ ზაზა,
ადამი, თინა, მამია თუ სხვა გმირები ნაწარმოებისა, მაგრამ,
ამასთან, აქ იმდენი უცნაური გმირი თუ პერსონაჟია, რომელ-
თა საქციელის მოტივირება, ან კიდევ მათი რაიმე შინაგანი
სწრაფვის ან 'სურვილის მიხედვით უთუოდ ძნელია; ხშირად
ისინი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს სულაც
უაზროდ და უფუნქციოდ დარჩენილანო ამ რომანში.

თამაზ ჭილაძე თავის მოთხრობებში ცდილობდა საკუთა-
რი თხრობისა თუ 'ხატვის, ხასიათების გახსნისა თუ გარემოს
წარმოსახვის ორიგინალური მანერა გამოემუშავებინა და
ზოგიერთ მოთხრობაში, მაგალითად, „შუადღეში“, მოახერ-
ხა ყველაზე უფრო მეტად მიეგნო და მიახლოებოდა თავის
ამ მიზანს. საერთოდ, როგორც ჩანს, თამაზ ჭილაძეს არ
სურს ავტორის პრინციპების გამომქლავნება და იგი თითქოს
ობიექტივისტურად წარმოგვისახავს რაღაც ჩანახატებს, რო-
მელთაც თანმიმდევრობა ან რაიმე შინაგანი კავშირი არც
უნდა ჰქონდეთ. თამაზ ჭილაძე სწორედ ამ უბრალო და
შეიძლება, უცნაურ, ამასთან, თითქოს რაიმე მნიშვნელოვნე-
ბას მოკლებულ ეპიზოდში თუ მთლიანად მოთხრობაში ცდი-
ლობდა ასევე უბრალოდ, დაძაბულობისა და ვნებათაღელვის
გარეშე ეტქვა თავისი თუნდაც ყველაზე მძაფრი და საინტე-
რესო სათქმელი. შეიძლება ის განზრახ ხაზგასმული უმნიშ-
ვნელოვნება მოთხრობებში კიდევ ასატანია (თუმცა „ვინ
ცხოვრობს ვარსკვლავებზე“ გვარწმუნებს, რომ არც მოთხ-
რობებსა რგებს ეს მაინცა და მაინც), რომანში, როგორც გა-
მოჩნდა, გაუმართლებელი ყოფილა. მოთხრობასა და ნოველა-
ში თუ კიდევ შეიძლება მხოლოდ მინიშნებით დაკმაყოფილება.

რომანში სათქმელის მიფუჩეჩება ან მიჩქმალვა, ან კიდევ ხასიათის გაუხსნელობა ყოვლად მიუტევებელია. სამწუხაროდ, თამაზ ჭილაძეს ეს რომანი „აჰა, მიიწურა ზამთარი...“ ისეთივე ხერხით დაუწერია, როგორც ადრე მოთხრობებს წერდა და მისი პროზის ნაკლოვანება აქ უფრო თვალსაჩინო გახდა. ბოლოს და ბოლოს, რა უნდათ ზაზას, ნინიკოს, ადამს თუ სხვებს, რომლებსაც ამ რომანში თითქოს ყველაზე უფრო აწუხებთ ი სგარემო, რომელშიც ცხოვრობენ. ბევრწილად მაინც გაუგებარი რჩება და ცალკეული მინიშნებები ამ გმირების ხასიათის, მიზნების, სწრაფვის, ცხოვრებასთან დამოკიდებულების გასარკვევად სულაც არ არის საკმარისი.

უფრო ხორცშესხმული და ნათელი გამოუვიდა ავტორს ის გარემო, რომელიც ამ გმირებს არ აკმაყოფილებთ. თორნიკე, ახალგაზრდა, მაგრამ საეხებით ჩამოყალიბებული კარიერისტი; გიორგი უგრეხელიძე, ხანშიშესული და მხნე თეატრალი, რომელსაც ყველა საპატიო წოდება მიუღია, თუმცა მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ ხელს უშლის თეატრის კოლექტივს; ზაირა, საკმაოდ მარტივი, მაგრამ ჭიუტი ქალიშვილი, რომელსაც თავისი მეთოდები აქვს გათხოვებისა, და კიდევ სხვები ამ რომანში უთუოდ კოლორიტულად დახატული მხატვრული სახეებია, მაგრამ მთავარი აქ მაინც სხვაა. ჩვენთვის პირველ რიგში ნათელი და ხორცსავსე უნდა იყვნენ ის გმირები, რომლებიც ამ გარემოზე მალღებთან და, სამწუხაროდ, სწორედ ესენი გამოუვიდა მწერალს სტატიური, ცივი, ან უბრალოდ, დაუმთავრებელი.

თითქოს მწერალმაც იგრძნო, რომ უფრო ნათელი უნდა ყოფილიყო მისი რომანის მთავარი გმირის ზაზას პროზიცია, ხასიათი, მიზნები და ამიტომ შემოგვთავაზა სპეციალური თავი „ზაირას მამის აგარაკი. ერთი, ორი, სამი, ოთხი... ჭა“, სადაც ზაზა ზაირას გამოექცევა და ბედნიერად გრძნობს თავს იმის გამო, რომ მანქანიანი და აგარაკიანი ქალიშვილის მახეში არ გაება. მაგრამ ეს ხომ მეტისმეტად პირდაპირი და მარტივი საშუალებაა გმირის კეთილგონიერებისა და კეთილშობილების გამოსახატავად?

ჩემი აზრით, თამაზ ჭილაძე ცოტა ზედმეტად გაიტაცა ორიგინალურობის ცდუნებამ და ამან თავისი უარყოფითი დალი დაასვა რომანს. ეს უცნაური დასათაურება თავებისა, რომლის ერთი ნიმუში, ყველაზე უფრო ნაკლებ პრეტენზიული, ზემოთ გავიხსენეთ, გამოხატულებაა საერთოდ იმ ბევრი რამ უცნაურისა, რაც რომანში თითქოს მხოლოდ იმიტომ არის, რომ მკითხველი გააოცოს და საგონებელში ჩააგდოს. სამწუხაროდ, სხვა გამართლება ან დანიშნულება, ჩემი აზრით, არ მოეძებნება, თუნდაც მაგალითად, იმ ეპიზოდებს, რომლებშიც ვეცნობით, ან შევცქერით ვინმე ვახოს, ჩვეულებრივ გიქს, რომელსაც თითქოს რაღაც საგანგებო ფუნქცია აკისრია, მაგრამ რა — ეს ღმერთმა იცის, თვით ადამსაც, რომანის მიზანდასახულების მატარებელ ამ ერთ მთავარ გმირთაგანსაც, თუ ბევრ სხვას. რატომღაც ეს გმირები რაღაც უცნაურ, ხელოვნურ პოზაში ჩამდგარ მსახიობებს მოგვაგონებენ, რომლებმაც არ იციან, თუ რა უნდა ითამაშონ და ასე გონიათ, შთაბეჭდილების მოსახდენად ეს პოზა უფრო ეფექტურია, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანური გამომეტყველების მიღება და საკუთარი განცდების გამოხატვა.

თამაზ ჭილაძის რომანის „აჰა, მიიწურა ზამთარი...“ მიზანდასახულება თითქოს ნათელია ჩვენთვის. ავტორის გმირები თავს მარტოდ გრძნობენ; მათ სადღაც უნდათ წასვლა, სულ ერთია სად, ოღონდ კი ამ სულისშემხუთველ გარემოს გაეცალნონ და მზად არიან პირველსავე შემხვედრ მატარებელს გაჰყვნენ. ისინი სულიერ მარტოობას გრძნობენ. ეს გასაგებია, მაგრამ რატომ გრძნობენ ამ მარტოობას, რას მიუზრებიან და საით ისწრაფვიან — აი ამაზე რომ ეპასუხნა ავტორს და გაუთავებელი, ნაკლებისმთქმელი დიალოგების ნაცვლად, ამით დაეტვირთა რომანი, ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა.

შეიძლება ჩემი ეს საყვედურები ოდნავ მკაცრი იყოს, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ რომანი საინტერესოდ არის ჩაფიქრებული. როგორც ჩანს, ავტორს ბევრი რამ საგულისხმო აქვს სათქმელი, ამიტომ ეს ხარვეზები კიდევ უფრო აღიზიანებს მკითხველს, რომლის ცნობისმოყვარეობა ბევრწილად დაუკმაყოფილებელი რჩება.

არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზი“, ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე“ და თამაზ ჭილაძის „აჰა, მიიწურა ზამთარი...“, რომელთა ავ-კარგზეც გვექონდა საუბარი, იმის ნათელ რწმენას გვინერგავს, რომ მწერლებსაც და მათ გმირებსაც ცხოვრების დიდი გზა აქვთ გასავლელი, და რაკილა ასე ძლიერია მათში სინდისის ხმა და მოვალეობის გრძნობა, ისინი ამ გზას ნამუსიანად გაივლიან და თავის კაცურ კვალსაც დასტოვებენ.

1966 წ.

ქართული ლირიკა და მისი განვითარების საკითხები

გურამ ასათიანის წიგნის გამო

„ხელოვნების არც ერთ სხვა დარგში არ გამომჟღავნებულა ისე მკაფიოდ და ისეთი სისრულით ჩვენი ხალხის ეროვნული გენია, როგორც ეს პოეზიაში მოხდა“.

ასე იწყებს ერთ თავის წერილს კრიტიკოსი გურამ ასათიანი. მართლაც, რაგინდ ბრწყინვალე და საამაყოც არ უნდა იყოს ქართველი ოქრომჭედლებისა თუ მინანქრის ოსტატების, გარდასულ საუკუნეთა ხუროთმოძღვრების თუ ფუნჯის ჯადოქრების ნაკეთობები, ჩუქურთმები თუ ფრესკები, რაგინდ გასაოცარიც არ უნდა იყოს თავისი წმინდა საყოფიერო-ბელეტრისტიკული ნიშნებით, პატრიოტული შემართებითა და მხატვრული მეტყველებით იაკობ ცურტაველის, გიორგი მერჩულეს თუ სხვა ადრინდელი მწერლების პროზაული თხზულებები, რაგინდ უნიკალური და პროგრესული იდეებით ამალღებული არ უნდა იყოს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ და, საერთოდ, ბევრი სხვა რამ გარდასული ეპოქების ქართული კულტურიდან, მაინც „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ეს გულისთქმა თითქოს თავიდანვე დაჰყვა ქართველ ერს „ამირანის“ ეპოქიდან და დღემდე ერთგულად, წმინდად შემოინახა.

არც ერთი ეპოქა ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. მართლაც, ქართული ეროვნული გენია თავის გამოხატულებას ყოველთვის უპირატესად პოეზიაში ჰპოვებდა. უფრო მეტიც. თავის მხრივ, ქართული პოეზია ყოველთვის იყო უხვი სათავე ხელოვნებისა და ლიტერატურის სხვა

დარგებისა თუ ქანრებისათვის. თვით მეცხრამეტე საუკუნე-
ნემაც კი ვერ შეხედა ქართულ პოეზიას გვირგვინის მოხსნა.
მეტად საინტერესო ფაქტია ის, რომ, თუ არ ვცდები, არც
ერთ ევროპულ მწერლობაში არ უკისრია უპირატესად პოე-
ზიას კრიტიკული რეალიზმის მძიმე ტვირთის ზიდვა. მხო-
ლოდ ქართულ ლიტერატურაში მოხდა ეს, რისი მიზეზიც
უმდიდრეს ეროვნულ ტრადიციებში უნდა ვეძებოთ. აგრე-
თვე იმაშიც, რომ საუკუნეების მანძილზე პოეზია ქართველი
ადამიანის სულიერი ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა.
მხოლოდ მე-20 საუკუნეში შეძლო ქართულმა პროზამ თავი-
სი პოზიციების გამაგრება, მყარი საფუძვლების შექმნა და
პოეზიისათვის სერიოზული კონკურენციის გაწევა. დღეს,
როგორც ვიცით, ამერიკელი თუ ევროპელი პოეტები არც-
თუ უსაფუძვლოდ განიცდიან პოეზიის მიმართ ერთგვარ
გულცივობასა და უყურადღებობას. ყოველ შემთხვევაში,
მკითხველთა ფართო მასა იქ უფრო ეპიურ ქანრს, უფრო
ზუსტად პროზას მიიჩნევს თავის სულიერ საზრდოდ. როგორ
იქნება ხვალინდელი დღე ქართული პოეზიისა? როგორი
იქნება თვით ქართული პოეზია მომავალში? ეს კითხვები
უთუოდ ბევრს აფიქრებს.

„ჩვენი აზრით, ის მიდრეკილება პოეტური აზროვნებისა
და ენის გართულებისადმი, რომელიც დაამკვიდრეს XX საუ-
კუნის ქართული ლექსის საუკეთესო ოსტატებმა, წარმოად-
გენს ისტორიულად აუცილებელ გზასა და საშუალებას იმ
ახალი სისადავის მისაღწევად, რაიც მომავალში არა მხოლოდ
უნდა გაუთანაბრდეს, არამედ კიდევაც უნდა აღემატებო-
დეს თავისი სიღრმით წარსული პოეზიის კლასიკურ უბრა-
ლოებას. ისევე, როგორც მეცნიერებაში ყოველი ახალი,
თავისთავად მარტივი კანონის დადგენა მოითხოვს ათას ჰი-
პოთეტურ დაშვებას და გაბედულ ექსპერიმენტს. პოეზიაშიც
დიდი და საბოლოო განზოგადოებანი შესაძლებელია მხო-
ლოდ ემპირიული ძიებების ნიადაგზე“, — წერს გურამ ასა-
თიანი თავის წერილში „ახალი პოეტიკის სათავეებთან“ და
იქვე სამართლიანად დასძენს, რომ ამ საკითხზე მსჯელობა
საშიშია, რადგან შეიძლება „საეჭვო წინასწარმეტყველების
სფეროში გადაგვიყვანოს“ (გვ. 62).

მართლაც. საეკვოა ეს ჰიპოთეზა, რადგან არა მგონია ანალოგია მეცნიერებასთან ამ შემთხვევაში, ისევე როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, საფუძვლიანი და მიზანშეწონილი იყოს. პოეზიას თავისი განვითარების კანონზომიერებანი გააჩნია და, ვფიქრობ, მისი ისტორიული გამოცდილება არ გვაძლევს ისეთი დასკვნის გამოტანის უფლებას, თითქოს პოეტური აზროვნებისა და ენის პერიოდული გართულება მისი ახალი სისადავის და უბრალოების მოსამზადებელი ეტაპი იყოს. აქ ჯერ კიდევ არ ჩანს, თუ რას გულისხმობს გურამ ასათიანი კლასიკურ უბრალოებაში. მაგრამ, საერთოდ, კლასიკურ სისადავესა და უბრალოებას უფრო მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში ხედავენ და თვითონ გურამ ასათიანიც სხვაგან ხშირად იმეორებს ამ განსაზღვრას ილიას, აკაკის თუ სხვა რეალისტი მწერლების ლირიკაზე მსჯელობის დროს. თავის უფრო გვიანდელ წერილში „ლირიკის დასაცავად“ გურამ ასათიანი კვლავ უბრუნდება ამ მოსაზრებას და ახლა კი გარკვევით წერს, რომ კლასიკურ უბრალოებას იგი მე-19 საუკუნის მწერლობაში ხედავს მხოლოდ.

ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრება ზუსტი არ უნდა იყოს, რადგან კრიტიკული რეალიზმის წინარე ქართული პოეზია სულაც არ იყო მხოლოდ მოსამზადებელი პროცესი და მე-19 საუკუნის ქართული პოეზიის უბრალოება უფრო თვით იმ კონკრეტული ეპოქის იძულებითი პროდუქტი იყო, ვიდრე პოეტური აზროვნების უმაღლესი და უსრულესი ფორმა, ისევე როგორც გალაკტიონ ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის თუ ანა კალანდაძის პოეზია არ არის მხოლოდ „ჰიპოთეზური დაშვება“, „გაბედული ექსპერიმენტი“, ან „ემპირიული ძიება“, პოეზიის მომავალი „დიდი და საბოლოო განზოგადებისაკვის“.

თუმცა ბევრმა ევროპელმა, რუსმა თუ ქართველმა მწერალმა განვლო რთული გზა ფორმალიზმის სხვადასხვა სახეობებიდან რეალიზმამდე და, ამდენად, მართლაც ბუნდოვანებას სინათლე და სისადავე ამჯობინა, მაგრამ ეს სავსებით სწორი მოსაზრება და ისტორიული ფაქტი არ გამოდგება იმის დასასაბუთებლად, რომ მთელი მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, რომელიც თითქოს პოეტური აზროვნებ-

სა და ენის გართულებით ხასიათდება, მხოლოდ იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც ამზადებს ნიადაგს მომავალი, კლასიკური უბრალოებისათვის.

ვფიქრობთ, ეს არცთუ მართებული მოსაზრებაა თანამედროვე ქართულ მწერლობაზე, რომელსაც არც რთული პოეტური აზროვნება აკლია და არც კლასიკური სისადავე და უბრალოება. ამ შეხამების მართლაც კლასიკურ ნიმუშად მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაც საკმარისი იქნებოდა, და მით უმეტეს „მე-20 საუკუნის ქართული ლექსის საუკეთესო ოსტატების“ მრავალმხრივი და მდიდარი შემოქმედება.

ერთი სიტყვით, ფრიად საეჭვოა ასეთი პროგნოზების კეთება მწერლობაში. არც იმის წინასწარმეტყველება შეიძლება, თუ რა ბედი ეწევა ქართულ პოეზიას მომავალში.

ძნელია თქმა იმისა, ქართველ პოეტებსაც ელით თანამედროვე ევროპელი კოლეგების გულსტკივილის განცდა თუ არა. ერთი რამ კი ცხადი უნდა იყოს — მიუხედავად იმისა, თუ მკითხველთა დიდი ნაწილი რომელ ჟანრს მიეტანება. ლირიკა ყოველთვის იყო და იქნება საზოგადოების უაღრესად ინტელექტუალური და ემოციონალური ფენის აუცილებელი სულიერი საზრდო. ამდენად, იგი ისევე უკვდავია. როგორც უკვდავია ადამიანი. მაგრამ თანამედროვე ადამიანისთვის დამახასიათებელ ერთგვარ სკეპსისს თუ დავყვებით. შეიძლება ამ უაღრესად ზოგად და თითქოს უდავო წინასწარმეტყველებაშიც კი დავეჭვდეთ.

ასეა. თუ ისე, სჯობს უფრო რეალურზე და ხელშესახებზე ვილაპარაკოთ. თუ ამ გონიერ გზას დავადგებით, ვფიქრობთ, ყველანი შევთანხმდებით იმაში. რომ დღემდე პოეზია გვირგვინოსანი ჟანრია ქართულ მწერლობაში და თუ რომელიმე ერს გააჩნია მდიდარი პოეტური ტრადიცია. მათ შორის ქართველი ერი ერთ-ერთი უკანასკნელი არ უნდა იყოს.

კლასიკურ თუ თანამედროვე ქართულ პოეზიას არა ერთი ნიჭიერი მკვლევარი ჰყავდა და ჰყავს. თანამედროვე სამეცნიერო თუ კრიტიკული ლიტერატურა არა ერთ საყუარადღებო გამოკვლევასა და წერილს ითვლის ქართული პოე-

ეზიის საკითხებზე თუ ცალკეულ ქართველ პოეტთა შემოქმედებაზე. მიუხედავად ამისა, ქართული ლირიკის გენეზისისა და განვითარების საკითხები ჯერ კიდევ ბევრწილად შეუსწავლელია. ქართული ლიტერატურისმცოდნეობა და სალიტერატურო კრიტიკა უფრო კერძო საკითხების კვლევითა და ცალკეული პოეტების შემოქმედების შესწავლითაა გართული, ვიდრე ერთიანი და რთული განვითარების პროცესის გააზრებითა და დადგენით. პირველი, რაღა თქმა უნდა, აუცილებელი წინაპირობაა გენეზისისა და განვითარების პროცესის რკვევისათვის. მაგრამ, ვფიქრობთ, ცოტა გაჭიანურდა ეს მოსამზადებელი პროცესი. იქნებ, ეს იმის ბრალია, რომ თანამედროვე და კლასიკური ქართული პოეზიის ზოგად თუ კერძო საკითხებზე არცთუ იშვიათად ტრაფარეტული, პირდაპირ რომ ვთქვათ, პრიმიტიული ან არაფრისმთქმელი, ზოგადი და დაშაქრული ფრაზეოლოგიით სავსე გამოკვლევები და წერილები იბეჭდება, რომლებსაც განმაზოგადებელი ნაშრომების დასაწერად არავითარი წინაპირობის შექმნა არ ძალუძთ. სამწუხაროდ, ასეთი ხასიათის „კრიტიკული ლიტერატურა“ საკმაოდ მრავლადაა ჩვენში და პროფესიონალური, ღრმა ანალიზის შემცველი შრომები კი შედარებით იშვიათია.

არც ის უნდა იყოს საკამათო, რომ გარკვეულ გარემოებათა გამო ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ბევრი რამ არასწორადაა შეფასებულა. ქართული ლიტერატურის, კერძოდ, ქართული პოეზიის ანალიზი და განსჯა-შეფასება ხშირად არასწორი პოზიციებიდან ან ცალმხრივად, მხოლოდ იდეურ-თემატურ ასპექტში ხდებოდა, ამიტომ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ გურამ ასათიანს, რომელმაც ქართველ კრიტიკოსთა შორის პირველმა თუ არა, ერთ-ერთმა პირველმა განაცხადა, რომ „დადგა დრო... თანამედროვე ქართულ პოეზიაში მოხდეს ფასეულობათა სერიოზული გადასინჯვა პოეტური ხელოვნებისადმი მაღალი, პროფესიული მომთხოვნელობის პოზიციებიდან“.

ქართველი კრიტიკოსები და ისტორიკოსები გრძნობენ ამ აუცილებლობას და ზოგიერთი მათგანი სერიოზულადაც მუშაობს როგორც ამ „ფასეულობათა გადასინჯვისათვის“, ისე განვითარების პროცესის გარკვევისათვის. ერთ-ერთი მათგან-

ნი გახლავთ გურამ ასათიანი, რომლის სტატიები ქართული პოეზიის საკითხებზე ყოველთვის დიდ ინტერესს აღუქრავს მკითხველებსაც და სპეციალისტებსაც და რომლის ორი ფრიად საყურადღებო წიგნიც — „ქართველი ლირიკოსები“ და „პოეზია და პოეტები“ ამ უკანასკნელ ხანს გამოიცა. თუმცა ამ წიგნებს არა აქვთ ქართული ლირიკული პოეზიის სრული ვრცელი და ამომწურავი განხილვის პრეტენზია, მაგრამ, ამასთანავე, ისიც აშკარა და ნათელია, რომ აქ ბევრი რამ არის ახლებურად დანახული და გააზრებული. ამ წიგნებში, თუ ასე შეიძლება ითქვას, რეალიზებულია ცალკეულ ფასეულობათა გადასინჯვაცა და ისტორიული განვითარების ზოგადი საკითხის ახლებური. ორიგინალური და დაკვირვებული ანალიზიც.

გურამ ასათიანის წიგნი „პოეზია და პოეტები“, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს თავისი მრავალფეროვნებით. მე მხედველობაში მაქვს არა მარტო პრობლემების თუ საკითხების მრავალფეროვნება, არამედ ის, რომ თვით წერილები სულ სხვადასხვა ხასიათისაა და არც ერთი მათგანი არ ემთხვევა იმ გამომუშავებულ შტამს, რომლის ნიმუშებსაც ხშირად ვხვდებით სალიტერატურო ჟურნალებში თუ სტატიების კრებულებში. ავტორის მაღალი და დახვეწილი გემოვნება არა მარტო ლიტერატურული მასალის ანალიზში და შეფასებაში ჩანს, არამედ მსჯელობის ფორმაშიც. მისი ფრაზის სინათლე, ლაკონიურობა, აზრობრივი დატვირთვა, სილამაზე ზოგიერთი ცნობილი ქართველი მკვლევარისა და კრიტიკოსის ნაწერს მოგვაგონებს. მოგვაგონებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი თვალსაზრისით, იმით, რომ ისინი ჭეშმარიტად მხატვრული აზროვნებისა და მეტყველების ნიმუშები არიან.

ამ თვალსაზრისით პირდაპირ უზადოა წერილი თუ ესეი „გალაკტიონ ტაბიძის ხსოვნას“. ეს მართლაც პოეტური, ან უფრო ზუსტად, ლირიკული ნაწარმოებია მეოცე საუკუნის ამ უდიდეს ლირიკოს პოეტზე. ასევე ერთგვარი ლირიზმითაა გამთბარი, და ეს გასაგებიც უნდა იყოს, გურამ ასათიანის წერილი ტიცთან ტაბიძეზე, რომელსაც „მეორედ დაბადება“ ეწოდება. წერილში, მიუხედავად სითბოსი და

მოწიწებისა პოეტის მიმართ, რომელიც დიდი მოქალაქეობ-
რივი სინდისითა და ღვთით მომადლებული ნიჭით იყო საე-
სე, ავტორი ახერხებს ანალიტიკურად წარმოგვისახოს ტიცი-
ან ტაბიძის შემოქმედებითი ცხოვრების გზა. მიუხედავად
იმისა, რომ წერილი არ არის ვრცელი, მკითხველი ნათლად
ხედავს იმ რთულ და საინტერესო ევოლუციას, რომელიც
ტიციან ტაბიძემ, როგორც პოეტმა და მოქალაქემ, განიცადა
სიმბოლიზმიდან საბჭოთა პოეზიამდე განვლილ გზაზე.

მხოლოდ ერთ გარემოებას მინდა მივაქციო ყურადღება.
„ცისფერი ყანწები“, — წერს გურამ ასათიანი, — ისევე რო-
გორც, საზოგადოდ, მთელი ქართული სიმბოლიზმი, თავი-
სი ესთეტიკური პროგრამითა და პოზიციით უდავოდ რეაქ-
ციულ ლიტერატურულ სკოლას წარმოადგენდა“ (ვკ. 87). ჩვენ
მივეჩვიეთ ქართველი სიმბოლისტების ასეთნაირად მოხსენიე-
ბას. შეიძლება ეს ძველი ინერციის შედეგიც იყოს, შეიძლე-
ბა—მართლაც უდავო ჭეშმარიტება. ერთი კია, ამ უკანასკნელ
ხანს შესაძლებელი გახდა უფრო დამშვიდებული მსჯელობა
ქართულ სიმბოლიზმზე. ახლა აღარ არის აუცილებელი ლან-
ძღვა ამ „ცოდვილი“ პოეტებისა. ახლა სულ უფრო თამამად
ლაპარაკობენ იმაზე, — ეს თვითონ გურამ ასათიანსაც
ვრცლად და დამაჯერებლად აქვს ნათქვამი ამ წიგნში, —
რომ თავისი საკმაოდ მრავალი თეორიული წერილისა თუ
პოეტური ნიმუშის მიუხედავად, ქართველი სიმბოლისტე-
ბი, კერძოდ კი ტიციან ტაბიძე, მაშინაც კი, როდესაც აშკა-
რად აცხადებდნენ სხვადასხვა ეპიგონურ დეკლარაციებს, ში-
ნაგანად ვერ ელეოდნენ ჭეშმარიტად ჯანსაღ გრძნობებსა
და ტენდენციებს. ქართული სიმბოლიზმი ხომ ეროვნულ
ნიადაგზე ერთობ ხელოვნურად დანერგილი მიმდინარეობა
იყო, რამაც მნიშვნელოვანი ნაყოფი ვერ გამოიღო. სულ რამ-
დენიმე წლის შემდეგ თვით ტიციანი, პაოლო და სხვები,
მესვეურები „ცისფერ ყანწელთა“ ჯგუფისა, საკმაოდ ენერ-
გიულად გაუდგნენ სიმბოლიზმს და ქართული რეალისტური
მწერლობის ტრადიციებს გაჰყვნენ. სავსებით სამართლიანად
აღნიშნავს გურამ ასათიანი, რომ, მართალია, თვითონ ტიცი-
ანი, როგორც ახალ საბჭოთა პოზიციებზე მდგარი მწერალი,
თავის პირველ მნიშვნელოვან ნაწარმოებად პოემა „რიონ-

„პორტს“ თვლიდა (ეს პოემა 1928 წელს გამოქვეყნდა), მაგრამ სინამდვილეში, ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე მან შექმნა მთელი რიგი ბრწყინვალე ლირიკული ლექსები. პაოლო იაშვილი კიდევ უფრო ადრე ეზიარა ამ ახალ სინამდვილეს. ქართველი სიმბოლისტების მისტიკა, უიმედობა, სკეპსისი სულ მალე შეიცვალა სამყაროს რეალისტური ხილვით. ოპტიმისტური და ხალისიანი განწყობილებით. განა სიმპტომატური არ არის ის გარემოება, რომ თითქმის ყველა ქართველმა სიმბოლისტმა სულ მალე მოიცილა ეს მათთვის ხელოვნური არტახები სიმბოლიზმისა და ქართული რეალისტური პოეზიის ტრადიციები იწამა? სიმბოლიზმი ქართულ სინამდვილეში უფრო ახალგაზრდული გატაცება იყო, ვიდრე მყარი პოლიტიკური პოზიცია, გარკვეული რეაქციული კლასის ან საზოგადოების ფენის იდეოლოგიური გამოხატულება და, ამდენად, ტერმინი „რეაქციული“, თანაც „უდავოდ რეაქციული“, ვფიქრობთ, ერთობ გადაჭარბებული სიმკაცრის ან ძველი ინერციის შედეგი უნდა იყოს.

თვითონ ტიცციანი წერდა. რომ „ჩვენი ჯგუფი „ცისფერი ყანწელები“ წარმოადგენდა ტიპიურ ესთეტურ, შეზღუდულ მიმართულებას. იმ წლებში ჩვენ, ახალგაზრდა ქართველ პოეტები, მეტისმეტად დიდ ხარკს ვუხდიდით არაჩანსად, ბოჰემურ არტისტიზმს, ექადაგებდით „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, მხატვრულ შემოქმედებას ვაფასებდით მცდარად — როგორც რალაც თვითსაკმარს“.

როგორც ვხედავთ. თვითონ ტიცციან ტაბიძე საკმაოდ ზუსტად. ყოველგვარი სუბიექტური ლმობიერების გარეშე აფასებდა ცისფერყანწელების პოზიციას და მათ ლიტერატურულ კრედოს. ჩემის აზრით, ასეთი განსაზღვრა და განმარტება ქართველი სიმბოლისტების მოღვაწეობისა უფრო დინჯი და, ამავე დროს, მართებულია. ვიდრე მათი პოლიტიკური კვალიფიკაცია.

გურამ ასათიანის ამ წიგნის „პოეზია და პოეტები“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირსებად. ვფიქრობ, უნდა მივიჩნიოთ მისი პოლემიკური ხასიათი და უკომპრომისობა. ავტორი დაურიდებლად ეძებს სიმართლეს. გურამ ასათიანი არც ავტორიტეტებს ერიდება და არც შედარებით „იოლად

დასაჩაგრავ“ ახალგაზრდობაზე იყრის ჭავრს, როგორც ეს სწორად ჩვევია ჩვენს სალიტერატურო კრიტიკას. არა ერთი კონკრეტული მაგალითის მოტანა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, თუ ზოგჯერ რა პირფერები ვართ კრიტიკოსები დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად აღიარებულ, ტიტულირებული ავტორიტეტების მიმართ და რა დაუნდობლები, როდესაც გულწრფელი და უადრესად პრინციპული კაცის პოზით ნაცარ-ტუტას ავადენთ ხოლმე მწერლობაში ახლად ფეხადგმულებს.

გურამ ასათიანის ეს წიგნი ამ მხრივ უთუოდ მოსაწონია. ავტორი საკმაოდ შეუნიღბავად, გულახდილად მსჯელობს ქართული საბჭოთა პოეზიის ავ-კარგზე. ამასთანავე, ავტორის კრიტიკული პოზიცია უთუოდ დიდი ტაქტით, დინჯად, აუღელვებლად, დიდრ თუ პატარა მწერლის მიმართ პატივისცემისა და კოლეგიალურობის გრძნობითაა გადმოცემული. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა წერილი „მაიაკოვსკი და ქართველი პოეტების ახალი თაობა“. თავისი შემართებულობით ეს არის მართლაც მაიაკოვსკის ტრადიციებზე დაფუძნებული წერილი, რომელშიც ავტორი ზოგადი ფრაზებით, კი არ ქადაგებს ამ რევოლუციური პოეტის შემოქმედებითი ტრადიციების ატაცებისა და გამოყენების აუცილებლობას, არამედ თვალნათლივ აჩვენებს, თუ მე-20 საუკუნის ამ ერთ-ერთმა უდიდესმა პოეტმა როგორ გაკაფა გზა მომავალი თაობებისათვის და როგორ, კონკრეტულად რა თვალსაზრისით უნდა იქნას გამოყენებული ეს უმდიდრესი ტრადიცია თანამედროვე საბჭოთა პოეზიაში. გურამ ასათიანი შორსაა იმ ვულგარიზატორული მოსაზრებიდან, რომელიც არცთუ იშვიათად შეინიშნებოდა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში და მაიაკოვსკის მიბაძვისაკენ უფრო მოუწოდებდა ახალგაზრდა თაობებს; ვიდრე მისი ტრადიციების გაგრძელებისაკენ.

გურამ ასათიანისათვის ყველაზე უფრო საინტერესოა მაიაკოვსკის, როგორც მწერლის პოზიცია, მისი აქტიური დამოკიდებულება სინამდვილესთან, მისი ლირიკის მოქალაქეობრივი პათოსი და ბუნება. სწორედ აქეთ მოუწოდებს იგი თავისი წერილით ახალგაზრდა ქართველ პოეტებს, სწორედ:

ამ თვალსაზრისით განიხილავს მათ ლირიკულ ლექსებს. მაიაკოვსკის პოეზიის ამ დიდი ტრადიციის შუქზე კი თვალნათლივ ჩანს, რომ ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში ხშირად ერთმანეთისაგან გათიშულია ეგრეთწოდებული აქტუალური თემატიკის ლექსები და ლირიკული ლექსები.

სწორედ მაიაკოვსკის ტრადიციებიდან გამოდის იგი, როდესაც სამართლიანად აცხადებს, რომ „საჭიროა ლირიკული ლექსების სრული აღდგენა მათ კანონიერ უფლებებში, და ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ჩვენ ვიგრძნობთ ლირიკას იქ. სადაც საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენებზე არის ლაპარაკი, ხოლო ამ მოვლენების ანარეკლს დავინახავთ თვით ლირიკაში“ (გვ. 190).

კიდევ ერთი რამ, რაც აშკარად გამოარჩევს გურამ ასათიანის წერილების ამ კრებულს, ესაა ფართო პარალელები. რომლებსაც ავტორი მიმართავს ქართულ პოეზიაზე მსჯელობის დროს. აქ მე მხედველობაში მაქვს ის ანალოგიები თუ პარალელები, რომელთაც კრიტიკოსი იშველიებს რომელიმე პოეტის თუ თანამედროვე პოეზიის თავისებურებათა ახსნის დროს. ეს ხშირი მოშველიება ფერწერისა თუ მუსიკის ნიმუშებისა, მწერალს თავისი მართლაც მდიდარი და მრავალმხრივი ერთეულის გამოსამქლავნებლად კი არ სჭირდება, არამედ იმისათვის რომ უფრო ნათლად გამოკვეთოს სათქმელი. მითუმეტეს, საერთოდ პოეზიის, განსაკუთრებით კი თანამედროვე პოეზიის ურთიერთკავშირი და ურთიერთშემოქმედება ფერწერასთან, მუსიკასთან იმდენად ორგანულია, რომ ასეთი ფართო თვალთახედვის გარეშე, უბრალოდ, ბევრი რამ აუხსნელი დარჩება მკვლევარს.

გურამ ასათიანის წიგნიდან „პოეზია და პოეტები“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის წერილები, რომლებშიც ავტორი უშუალოდ ქართული პოეტური აზროვნების განვითარების საკითხებს იკვლევს.

„აკაკი წერეთელი და მე-19 საუკუნის პოეტური ხელოვნება“, როგორც სათაურიდანაც ჩანს, ცილდება მხოლოდ აკაკის ლირიკის განხილვის ფარგლებს და მთელ რიგ მეტად საყურადღებო ზოგად დასკვნებს მოიცავს მე-19 საუკუნის ქართულ ლირიკაზე. გურამ ასათიანი დამაჯერებ-

ლად ნათელყოფს იმ სიახლეს, რომელიც ილიამ და აკაკიმ მოიტანეს ქართულ პოეზიაში საერთოდ, და ქართულ ლირიკაში — კერძოდ. ესაა ჭეშმარიტი დემოკრატიზაცია პოეტური აზრისა და სიტყვისა, მათი სინათლე, უბრალოება, უშუალოება და, რაც მთავარია, დიდი მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობით დატვირთვა. ავტორი განზრახ ამუქებს ფერებს, როდესაც უპირისპირებს ილიასა და აკაკის ლირიკას ქართულ რომანტიზმს, თვით ბარათაშვილსაც კი, რომელიც ყოველთვის იყო ამ ორი რეალისტი მწერლის სათაყვანებელი პოეტი. როდესაც გურამ ასათიანი წერს, რომ მათ „მე-19 საუკუნის პოეზიიდან შეუბრალებლად განდევნეს რომანტიკული პოეტიკისათვის დამახასიათებელი თავისებური ირაციონალიზმის, „იდუმალების“ ელემენტიც კი და ქართულ ლექსში ხალხურ სისადავესთან ერთად რეალისტური „სიფხიზლე“ და ზედმიწევნით ნათელი პოეტური ენა დაამკვიდრესო“, ამ დებულებამ მხოლოდ თავისი უკიდურესი კატეგორიულობის გამო შეიძლება დაგვაეჭვოს ჩვენ. ისიც ხომ ცნობილია, რომ თვით აკაკისათვის არ იყო უცხო რომანტიკული განწყობილება, ხოლო იდუმალების ელემენტები არცთუ იშვიათად იჩენს თავს ილიას ლირიკულ შედევრებში. და განა თვით ბარათაშვილის პოეზია, რომელიც ქართული რომანტიზმის გვირგვინს წარმოადგენს, უკვე არ მიიქცევს ჩვენს ყურადღებას სწორედ თავისი ნათელი პოეტური მეტყველებითა და ზოგჯერ კი პირდაპირ რეალისტური ხედვითაც?

ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ უფრო ნათელი იყოს ილიასა და აკაკის როლი ქართული პოეტური აზროვნების და სიტყვის რეფორმის საქმეში, არ არის საჭირო ასეთი უკიდურესი მსჯელობები და მათი კატეგორიული დაპირისპირება წინარე ეპოქის ქართველ პოეტებთან. ეს ტენდენცია კი, ვფიქრობთ, ხანდახან შეიმჩნევა ამ წერილში. მაგალითად, სხვა ადგილას გურამ ასათიანი, როდესაც ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დემოკრატიული მისწრაფებების გამოხატვაზე მსჯელობს, წერს, რომ „მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენი პოეზიის ლირიკულ გმირად პირველად იქცა მშრომელი ადამიანი, ქართული მიწის ტრფი-

ალი — პატიოსანი, გამრჯე და ალალი ქართველი გლეხი“ (გვ. 5). ამ სიახლესთან ერთად, რომელიც თან მოიტანეს ილიამ და აკაკიმ, კარგი იქნებოდა მათი კავშირებისა და ქართული ტრადიციების დაძვინა. როდესაც დემოკრატიზაციის ასეთ გამოვლენაზე მსჯელობს მკვლევარი, ვფიქრობ, უბრალოდ აუცილებელი თუ არა, სასურველი მაინცაა პარალელების გავლება დავით გურამიშვილთან, რომელმაც თავისი ქაცვია მწყემსით ილიაზე და აკაკიზე ბევრად ადრე მოგვცა ამის შესანიშნავი ნიმუში.

გურამ ასათიანი საესებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ სწორედ ამ ახალ რაციონალისტურ საწყისებში, „ამ ახალ შემოქმედებით კრედოში, პოეზიისადმი — როგორც ერთთან ლაპარაკის“ მაღალი ტრიბუნისადმი — დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ აგრეთვე ილიასა და აკაკის შემოქმედების მკაფიოდ გამოვლინებული „მქადაგებლური“ პათოსი და შესატყვისი რიტორიკული ინტონაცია“ (გვ. 8). ქვემოთ კი უფრო აშიშვლებს თავის ამ მოსაზრებას და ილიასა და აკაკის ერთ ძირითად დამსახურებად მიიჩნევს იმას, რომ მათ „დიდი პოეზიის სიმალეზე აიყვანეს როგორც საზეიმო, დღესასწაულებრივი მკერმეტყველება, ქადაგება და მოწოდება, ისე ჩვეულებრივი მსჯელობის, მტკიცებისა თუ გაკითხვის კილო“ (გვ. 9): ამ თვალსაზრისით მისთვის ყველაზე უფრო ნიშანდობლივია ილიას დამსახურება, რომლის ლირიკის შედევრებსაც სწორედ ასეთი ხასიათის ლექსებში ეძებს: „მას შემდეგ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ და „ჩემო კალამო“, რომლებიც რიტორიკულ და არა მეტაფორულ პრინციპზეა აგებული.

რალა თქმა უნდა, ეს მქადაგებლური და რიტორიკული ინტონაცია ილია ქავჭავაძის ლირიკისათვის ძირითადი და დამახასიათებელია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს იმ დროით შეპირობებული აუცილებლობა იყო და არა ილიას რწმენის შედეგი, თითქოს ლირიკული შედევრები მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა შექმნილიყო. ვფიქრობთ, ილიაცა და აკაკიც სულ სხვა მოტივებსა და მხატვრულ პრინციპებს მიეძალებოდნენ, მათ რამე ამის საშუალება ჰქონოდათ და მე-19 საუკუნის ქართულ სინამდვილეს არ მოეთხოვა ამ მძიმე.

თუმცა მეტად სარგებლიანი და აუცილებელი ხარკის გაღება. როგორადაც არ უნდა ვაფასებდეთ ილიას დიდ მამულიშვილობას და მისი ლექსების — „მას შემდეგ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ და „ჩემო კალამოს“ მთელ სიდიადეს, მაინც ასეთი რიტორიკული ხასიათის ლირიკული ნიმუშებისადმი ჩვენს დამოკიდებულება გონებისმიერია და არა ემოციური. ეს ლექსები ჩვენ გვხიბლავს მხოლოდ პოეტის დიდი მოქალაქეობრივი პოზიციითა და ჭეშმარიტი მამულიშვილობის გრძნობით. არანაკლებ რიტორიკულია და თამამი თავისი გაკიცხვის კილოთი თუ მკვეთრი პროტესტით ლექსი «На смерть поэта». სწორედ ამ მაღალი მოქალაქეობრივი პათოსის გამო დღესაც ყველას გვახსოვს იგი, მაგრამ განა შეიძლება მისი ავტორის ლირიკაზე მსჯელობის დროს ეს ლექსი გამოვაცხადოთ „ლირიკულ შედეგად“ და სხვას გავუჩუმდეთ?

ილია ქავჭავაძეს ისეთ დროს მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა, როდესაც იგი იძულებული იყო თავისი პოეტური ენერგია უფრო ასეთ რიტორიკულ, უბრალოდ მსჯელობაზე აგებულ ლექსებზე ეხარჯა. ეს მისი ლექსის უდიდესი დამსახურებაცაა ქართული პოეზიისა და ქართველი ერის წინაშე და, ამასთანავე, მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი იძულებითი სისუსტეც. ამ მსხვერპლმა, რომელიც ილიამ გაიღო თავისი დიდი მამულიშვილობის გამო, დაბადა სწორედ აზრი, თითქოს იგი ნაკლებ ყოფილიყო დაჯილდოებული პოეტური ნიჭით. ამ აზრის ცოტად, თუ ბევრად გავრცელებას სწორედ იმანაც შეუწყო ხელი, რომ ჩვენ ამ დიდი მოქალაქის და პოეტის საუკეთესო ლირიკულ ნიმუშებად ზოგჯერ სწორედ რიტორიკულ და მშრალ ლექსებს ვაცხადებთ და არა, მაგალითად, „ყვარლის მთებს“, ან „სანთელს“, ან „გაზაფხულს“, „ციურ ხმებს“, „ელეგიას“ და ბევრს სხვას.

ასე რომ, სამყაროს რეალისტური ხედვა თუ შიშველი პოეტური აზროვნება ილიასა და აკაკის „თანდაყოლილი ნიჭი“ კი არ იყო, როგორც ამას გურამ ასათიანი აცხადებს, არამედ სრულიად გარკვეული ეპოქის მოთხოვნილება, რო-

მელიც მათ თავიანთი გენიალობის წყალობით პირველებმა იგრძნეს და გამოხატეს.

გურამ ასათიანი ვრცლად და საინტერესოდ განიხილავს აკაკი წერეთლის პოეტურ გზას, მის მიმართებას მე-19 საუკუნის მწერლობასთან, მისი ლექსების იმ განუმეორებელ და თვითმყოფად მხარეებს, რომლებიც განსაზღვრავენ აკაკის ლირიკის სახეს. არ შეიძლება არ გავიზიაროთ ავტორის მოსაზრება, რომ თუ აკაკის „როგორც მხატვარს, პირველად გილს ვერ მივაკუთვნებთ თავისი საუკუნის პოეტთა შორის, სამაგიეროდ იგი შეუდარებელია იქ. სადაც ლირიკული ლაღადისის ფორმას მიმართავს“. ამის საილუსტრაციოდ, როგორც განსაკუთრებით დამახასიათებელი ნიმუში. გურამ ასათიანს მოაქვს აკაკის ლექსი „განთიადი“, რომელიც მართლაც ბრწყინვალე დადასტურებაა ამ სწორად მიგნებული მოსაზრებისა. მხოლოდ, ჩვენი აზრით, ცოტა ხელოვნურ შთაბეჭდილებას სტოვებს, ან უფრო მეტ დასაბუთებას მოითხოვს ავტორის მსჯელობა იმაზე, რომ აკაკიმ „ცხოვრების მიმწუხრის ჟამს მთელი სიცხადით და განსაკუთრებით ცხოვლად იგრძნო პოეზიის ის „ზეგარდმო“ ძალა, რასაც იგი მანამდე ნაკლებ მნიშვნელობას აძლევდა“.

მე აღარ გავიმეორებ, რომ ეს სწორხაზოვნება როგორც ილიასთან, ასევე აკაკისთანაც ერთგვარად ღროით იყო შეპირობებული და არა მათი პოეტური პრინციპებით ან ნიჰის თავისებურებით. აკაკიმ სწორედ მიმწუხრის ჟამს დაწერა ასეთი სწორხაზოვანი ტენდენციურობით აღბეჭდილი ლექსები, მაგალითად, 1905-იან წლებში დაწერილი ზოგიერთი ლექსი, და პირიქით, სიყმაწვილეშივე დაწერა ბევრი ისეთი ლექსი, რომლებშიც უკვე ჩამოყალიბებული იყო აკაკის ის პოეტური სახე, რომელმაც იგი საქართველოს კემშარიტად სახალხო მომღერლად აქცია და ერის ასეთი უმაგალითო სიყვარული მოუტანა. მხედველობაში გვაქვს მისი ადრინდელი ლექსები: „სალამური“, „სიმღერა“, „ჩონგური“, „ციცინათელა“, „მუხამბაზი“ და ბევრი სხვა.

მეოცე საუკუნის პოეზიის თავისებურებათა ღრმა ანა-

ლიზია მოცემული გურამ ასათიანის წერილში „ახალი პოეტიკის სათავეებთან“. ავტორი თავიდანვე აცხადებს, რომ „დროა ერთხელ და სამუდამოდ იქნას აღიარებული, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართულ პოეზიაში მოხდა ნამდვილი გადატრიალება, რომლის შედეგადაც იგი აყვანილი იქნა განვითარების ახალ საფეხურზე“. სწორედ ამის გაუგებრობის შედეგია, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, ის გარემოება, რომ ქართული სალიტერატურო კრიტიკა ხშირად მოუწოდებს ახალგაზრდობას წეროს ისე, როგორც წერდნენ მე-19 საუკუნის პოეტები. ამ გაუგებრობის საფუძველი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ მე-19 საუკუნის მწერლობის უპირატეს დამსახურებას ზოგიერთნი მის უტილიტარულ ხასიათში ხედავენ. უტილიტარიზმის თვალსაზრისით, მე-20 საუკუნის მწერლობა, კერძოდ სოციალისტური რეალიზმის მწერლობა, უფრო თანმიმდევრული და რადიკალურია. ამიტომაც იოლი გზის მოყვარულთ ერთადერთ ხსნად მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის შეგირდობა მიაჩნიათ, იმ დროს, როდესაც თანამედროვე მწერლობისათვის უტილიტარიზმი მომაკვდინებელი იქნება (ეს ბევრი მწერლისა და პოეტის მაგალითზე ჩანს), თუ იგი ახალ პოეტურ აზრსა და ფორმაში არ იქნა შენიღბული.

ამდენად, სრულიად გასაგებია და აუცილებელი გურამ ასათიანის განზრახვა — გაარკვიოს მე-20 საუკუნის ქართული ლექსის სიახლე, მისი ნოვატორული ბუნება, ამ თვალსაზრისით კი ბევრი რამ გადააფასოს და ახლებურად დავანახოს. აქ განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას თანამედროვე ქართული ლექსის რიტმული ქდერადობის, ინტონაციური ორიგინალობის, სახეთა სისტემის და საერთოდ პოეტიკის იმ საკითხთა ანალიზი, რომლებიც რატომღაც თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის ერთგვარად მივიწყებულ სფეროს წარმოადგენს. მე აქ არ ვაპირებ ამ საკითხებზე გურამ ასათიანის უაღრესად საინტერესო მოსაზრებების გადმოცემას, რადგან ყველაზე კარგად ეს მოსაზრებები თვითონ გურამ ასათიანისავე წერილშია ჩამოყალიბებული და დასაბუთებული. ასათიანის წიგნები „პოეზია და პოეტები“

და „ქართველი ლირიკოსები“ არა მარტო იმით არის საყურადღებო, რომ ფრიად საინტერესო წერილების კრებულებს წარმოადგენენ, არამედ იმითაც, რომ კარგი საწინდარია იმ დიდი, ვრცელი და საფუძვლიანი შრომის დაგვირგვინებისა, რომელსაც, რამდენადაც ვიცით, გურამ ასათიანი ქართული ლირიკის განვითარების საკითხებზე ამზადებს.

1965 წ.

თამაში კი, მაგრამ უკანასკნელი?

„ჩვენი უკანასკნელი თამაში“ როსტომ ბეჟანიშვილის ახალი რომანია, რომელიც დაიბეჭდა „ცისკრის“ ფურცლებზე. როსტომ ბეჟანიშვილი, თუ რომანების, ვრცელი და მცირე მოთხრობების სათვალავს გაეუწევთ ანგარიშს, ყველაზე ნაყოფიერ პროზაიკოსად უნდა მივიჩნიოთ ახალგაზრდა თაობიდან. მართლაც, არც ერთ მის თანატოლ და ბევრ მასზე უფროს ქართველ მწერალს არ გამოუქვეყნებია ასე ზედიზედ რომანები და მოთხრობები. თუკი კრიტიკოსს ეპატიება არითმეტიკული დაანგარიშება, იმ შემთხვევაში ვიტყვით, რომ უკანასკნელ ხანს როსტომ ბეჟანიშვილი, საშუალოდ, ყოველწლიურად თითო რომანს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ვრცელ მოთხრობას მაინც აქვეყნებს, ჩვეულებრივი მოთხრობები ხომ სათვალავშიც აღარ მიდის. თავისთავად ასეთი ნაყოფიერება ცუდი როდია, თუ იგი, რა თქმა უნდა, ზიანს არ აყენებს მწერლის შემოქმედების მხატვრულ ღირსებებს. არავის მოუვა აზრად, კორიფეებს რომ მივმართოთ, ამ მხრივ საყვედური გამოთქვას ლევ ტოლსტოის ან ემილ ზოლას მიმართ, რომლებმაც ათეული ტომები დაგვიტოვეს მემკვიდრეობად. მათ გარდა სხვებიც შეიძლება გავიხსენოთ, მაგრამ მაინც მეტწილად ასეთი უხვი შემოქმედების მწერლები უფრო გრაფომანის სახელს იმკვიდრებდნენ, ვიდრე მხატვრული სიტყვის ქეშმარიტი ოსტატისა. შემოქმედის დიდ ნაყოფიერებას (მხოლოდ რაოდენობის თვალსაზრისით) ორი საფუძველი შეიძლება ჰქონდეს, ერთი, როდესაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, ღრმა აზრები და განცდები, მოკლედ რომ ვთქვათ,

ბევრი სათქმელი აწუხებს მწერალს და მეორე, როდესაც მწერალს იმდენად არა აზრი და განცდა, არამედ უბრალო სურვილი ბევრი თქმისა არ აწვევინებს ხელიდან კალამს. თუ ასე გააგრძელა როსტომ ბეჟანიშვილმა, ჩვენ საბოლოოდ გაგვიმტკიცდება რწმენა, რომ მას მეორე სტიმული უფრო ამოძრავებს.

იქნებ ზოგიერთს ნაადრევი ეჩვენოს ასეთი მკაცრი მსჯელობა, რადგან ჯერ ზომანის მხოლოდ პირველი წიგნია დაბეჭდილი და უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას გაგრძელება ექნება. ვფიქრობ, სწორედაც დროულია. მწერალს თავიდანვე უნდა ვუთხრათ ჩვენი პირუთენელი მოსაზრება, რომ მან, თუკი ეს მოსაზრება საგულისხმო იქნება, ყურად იღოს და გაითვალისწინოს. ამასთანავე, რაკილა ავტორმა პირველი წიგნი ცალკე გამოაქვეყნა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მას დასრულებულ ნაწილად მიაჩნია (თუმცა მე ამისი ვერავითარი ნიშანი ვერ ვიპოვე). მთავარი კი მაინც ის არის. რომ ასეთი სიმკაცრე მართო ამ უკანასკნელი რომანით არ არის განსაზღვრული.

როსტომ ბეჟანიშვილის ამას წინათ გამოქვეყნებულ რომანს „სამამულე რქა“ სპეციალური წერილი მიუძღვენი, სადაც აღენიშნე მთელი რიგი საინტერესო მომენტები, მწერლის ოსტატობის ცალკეულ მხარეებსაც შევეხე, რომ ამით ერთგვარად წამეხალისებია ავტორი. ამასთანავე, მოურიდებლად და გულწრფელად ვუთხარი მწერალს იმ სერიოზულ ხარვეზებზე, რომლებიც მის რომანს მრავლად გააჩნდა. მას შემდეგ საკმაოდ დრო გავიდა და არავინ შემომკამათებია ამ შენიშვნების გამო, პირიქით, ზოგიერთმა კრიტიკოსმა კიდევ გაიზიარა ეს შენიშვნები. უმთავრესი, რასაც ვსაყვედურობდი ავტორს, ეს იყო სიტყვაწარავლობა და ნიშნები ეპიგონობისა, რაც აშკარად შეიმჩნეოდა რომანში. მაგრამ, ამასთანავე, მთელი რიგი ოსტატურად დახატული კოლორიტული სცენები, გამართული მეტყველება, ზოგიერთი ხასიათის რელიეფურობა უფლებას მაძლევდა დამენახა და მეთქვა, რომ როსტომ ბეჟანიშვილი შემოქმედებითი დაოსტატების გზაზე იდგა და ამით ავტორისათვისაც და სხვებისათვისაც იმედი მიმეცა, რომ ეს გზა შემოქმედებით წარმატებამდე მიიყვანდა მწერალს.

უკვე „სამამულე რქის“ ახალმა, გაუარესებულმა ვარიანტმა, რომელიც რუსულად გამოსცა ავტორმა სათაურით «Подвиги грядущего» ერთგვარად შემირყია ეს რწმენა, ხოლო ამ რომანმა კი, „ჩვენი უკანასკნელი თამაში“, საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ დაოსტატების გზა თურმე აღმავალიც შეიძლება იყოს და დაღმავალიც.

როსტომ ბეჟანიშვილი აქამდე გაურბოდა იმ სიახლეს, რაც უთუოდ დამახასიათებელია ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსების ერთი ჯგუფისათვის. ის უფრო „ტრადიციულ“ ხაზს მისდევდა და ამ მხრივ აშკარად გამოირჩეოდა თავისი თაობის მწერლებიდან. სიუჟეტური გართულებები, ან პირიქით, სწრაფვა უსიუჟეტობისაკენ, სიახლენი კომპოზიციური აგების მხრივ, ლაკონიური, სადა, მაგრამ ღრმააზროვანი მეტყველება, ქვეტექსტი, კონტრასტების სიუხვე თუ ბევრი სხვა ნიშნები, რომლითაც გამოირჩევიან ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებები, უცხო იყო ბეჟანიშვილის შემოქმედებითი სამყაროსათვის, აღარაფერს ვამბობთ უფრო ღრმა და ნიშანდობლივ მხარეებზე, რაც ცხოვრების ხილვის ახალი თვალთახედვიდან მოდის. როსტომ ბეჟანიშვილი თავისი ადრინდელი ნაწარმოებებისათვის თემებს დიდ სოციალურ მოვლენებში ეძებდა და მხატვრული ფორმის თვალსაზრისით ამბის სადა, შეიძლება ითქვას, მარტივ თხრობას ირჩევდა. ყოველივე ეს, გემოვნებით გაკეთებული, არცთუ ისე ცოტაა, ყოველ შემთხვევაში მან უფროსი თაობის მწერლებიდან ზოგს საკმაო წარმატება მოუტანა, მაგრამ როსტომ ბეჟანიშვილს, როგორც ჩანს, ეცოტავა ეს და ახალ რომანში „ჩვენი უკანასკნელი თამაში“ მან ერთგვარად უღალატა წერის ადრინდელ მანერას. ვფიქრობ, ეს ღალატი მას ძვირად დაუჯდა, რადგან ორიგინალურობის ამ ძალად აკვიატებულმა სურვილმა მწერალი შემოქმედებით მარცხამდე მიიყვანა.

ისევე როგორც ყველა შემოქმედს, როსტომ ბეჟანიშვილსაც აქვს ძიების უფლება. მაგრამ ყოველი ექსპერიმენტი საჯაროდ როდი უნდა გამოიტანოს ავტორმა. საერთოდ, მწერლობა, რაგინდ საკვირველიც არ უნდა იყოს ეს ზოგიერთ-ობის, მეტად მძიმე პროფესიაა, რომელიც შემოქმედს უამრავ პასუხისმგებლობას აკისრებს. სწორედ ამ პასუხისმგებლო-

ბის გამო ძნელად გადასაწყვეტი უნდა იყოს ნაწარმოების დაბეჭდვის საკითხი და აქ აჩქარება არას არგებს მწერალს. სამწუხაროდ, ეს უბრალო ქეშმარიტება ძნელი გასაგები გამხდარა ბევრი ახალგაზრდა, განსაკუთრებით დამწყები მწერლისათვის. ამაში როსტომ ბეჟანიშვილის ახალმა რომანმაც დამარწმუნა.

უჩვეულო კომპოზიციური აგებულება, სიუჟეტის თავისებური, უფრო ზუსტად, წყვეტილი და თავდაყირა დაყენებული განვითარება, ეს არის ავტორის გულუბრყვილო პოზა, და არა ნაწარმოების შინაარსის ორგანული ფორმა, რომელიც ხელს შეუწყობდა მხატვრული აზრის სრულად. მაქსიმალური სიმკვეთრით გამოკვეთას. რომანში ერთმანეთს ენაცვლება გმირის მშობლების წერილები და მისი საკუთარი მოგონებები. ამასთან, წერილები ისეთი თანმიმდევრობითაა დალაგებული, რომ ისინი თანდათან უფრო გვცილდებიან ჩვენ დროის თვალსაზრისით, იწყება 60-იანი წლების წერილებით და მიდის 30-იან წლებში დაწერილ წერილებამდე. იმ დროს, როდესაც გმირის მოგონებები, ძირითადად, წლების ნორმალურ მსვლელობასა და განვითარებას მისდევს, თუმცა აქაც ხშირად გვაქვს საქმე ქრონოლოგიურ აღრევასთან. ყოველივე ამის გარდა, მოქმედება თანამედროვე პირობებშიც ვითარდება. ყველაფერმა ამან. როგორც ჩანს, პირველ რიგში თვითონ მწერალი დააბნია. ხოლო შემდეგ კი მასთან ერთად მკითხველიც. მაგრამ მთელი ამ ამორფული ნაწარმოებიდან მაინც უნდა ვეცადოთ რაღაც მთავარი მხატვრული აზრი გამოვკვეთოთ და მისი ავკარგიანობა გავარკვიოთ. აი სწორედ აქ გადაეყრება მკითხველი მთავარ სიძნელეს. არცთუ ისე იოლი მისაგნებია, მთელი ამ პირველი წიგნის მანძილზე რისი თქმა უნდა ავტორს.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს. რომ ახალგაზრდა მწერლები საკმაოდ ხშირად ეტანებიან ყრმობის მოგონებებს. ეს უსათუოდ გამოწვეულია ცხოვრების შთაბეჭდილებების სიღარიბით. იმის ნაცვლად, რომ ახალგაზრდა, ღრმად ცნობისმოყვარე მწერალი, სავსე ენერგიითა და მონდომებით, თუ გნებავთ, ფანტაზიითაც, ეძებდეს ცხოვრების რთულ სარბიელს თავისი ნიჭიან და მოქალაქეობრივი გრძნობის გამოსაცდელად.

ზოგიერთი მათგანი იწყებს ყრმობის წლების მოგონებას, ეს მაშინ, როცა თვითონ ჯერ ხეირიანად არც კი გამოსულა ამ ასაკიდან. დაახლოებით ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე როსტომ ბეჟანიშვილის რომანშიც „ჩვენი უკანასკნელი თამაში“. როგორც ჩანს, მწერალს ბევრი არაფერი აქვს სათქმელი და ვერც იმაში გარკვეულა, თუ მაინც რა იყო მთავარი და საინტერესო მისი ბავშვობის ხანაში, რადგან რომანის დიდი ნაწილი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს უბრალოდ გვერდების შესავსებადაა მოტანილი, ყოველ შემთხვევაში რაიმე აზრობრივი დატვირთვის ან მხატვრული ფუნქციის შემჩნევა მათში ძნელდება.

ზოგიერთი მწერლის მანერა — ყოფით დეტალებში გახსნას დიდი ცხოვრებისეული მოვლენები, ახლა ერთგვარ მოდად იქცა და როგორც ასეთ შემთხვევებში მოსალოდნელია. მოდას აყოლილთა ხელში გაყალბდა და დაწვრილმანდა. ამ უკანასკნელთ ის ვეღარ დაინახეს, თუ ამ ყოფით დეტალებში ჭეშმარიტი ოსტატები მხატვრული სიტყვისა. რა დიდ აზრსა და გრძობას აქსოვდნენ, ისინი ზერელე შთაბეჭდილებას აყვენენ და ასე გონიათ, თუკი ყოფითი წვრილმანებით აავსებენ ნაწარმოებს, ეს მას მოდერნისტულ იერს მისცემს. როსტომ ბეჟანიშვილის რომანშიც უამრავ ასეთ ზედმეტ, თავისთავადსა და უსარგებლო დეტალს წააწყდება მკითხველი. მხოლოდ ერთ გვერდზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო არც წინა და არც მომდევნო გვერდებთან, მკითხველი ამოიკითხავს, რომ „ქურთი მეეზოვე გულმოდგინედ უფხაკუნებს გალეულ ცოცხს“, „სადგურის მორიგე დინჯად და სერიოზულად დგას სადგურის რესტორნის წინ და ელოდება მიპატიებებს. წითელ ცხვირს ვაცივით აცმაცუნებს“, „წყლის გამყიდველი ჭუჭყიან ჭიქებს რეცხავს, სიროპს იპარავს და მის ნაცვლად ლიმონადს ამატებს“, „სოიუზპეჩატის“ კიოსკში ძველ გაზეთებს ჰყიდიან“, „კედლის გაზეთი ობლად მიყუყულა“ და ბოლოს, ყველაფერს ამას აგვირგვინებს ვიღაც მოხელის ვულგარული ტირადა. განა რაიმე საჭიროება არის ყოველივე ამის წარმოსახვისა თუ წარმოდგენისა. რომანში? არავითარი, გარდა იმისა, რომ ამათ თურმე უნდა გააცოცხლონ და შეამკონ რომანი.

აგრეთვე მოდად იქცა ეროტიული გრძნობების გაშიშვლებული წარმოდგენა ნაწარმოებებში. არც ეს გამორჩენიაროსტომ ბეჟანიშვილს მხედველობიდან. ამაში ჯერ კიდევ „სამამულე რქამ“ დაგვარწმუნა, ახალმა რომანმა კი კიდევ უფრო გაგვიმტკიცა რწმენა იმისა, რომ ავტორი გრძნობს ყოველ „სიახლეს“ მწერლობაში. შე სრულებითაც არ ვფიქრობ, თითქოს ეროტიული გრძნობების ჩვენება ნაწარმოებში საერთოდ მიუღებელი და დასაძრახისი იყოს (ჩვენ ხომ საბავშვო ლიტერატურაზე არ გვაქვს საუბარი), მაგრამ ყველაფერს თავისი ადგილი და ფუნქცია უნდა გააჩნდეს. ისე, ტყუილუბრალოდ, მკითხველის (თუ პირველ რიგში საკუთარი თავის) გასართობად და გასაღიზიანებლად ჩამატებული ეროტიული სცენები ბევრ ღირსებას არ უნდა მატებდეს ნაწარმოებს.

როსტომ ბეჟანიშვილი დიდი მონდომებით გვიყვება თავისი გმირის ბლაზუნის ისტორიას მექისე ჰასანას (ესეც ეგზოტიკა) ქალიშვილთან ხანუმასთან, არ იშურებს საღებავებს, რომ რაც შეიძლება ცოცხლად წარმოგვიდგინოს ეს სცენა. ბოლოს კი მოგონებებში წასული გმირი ასეთ დიდმნიშვნელოვან დასკვნამდე მიდის: „დაღლილი და დალილავებული იატაკზე დავკეპი და საღამომდე მწარედ ვტიროდი. ალბათ აქ დაიმსხვრა ჩემი ყველაზე სპეტაკი ოცნება“. სისპეტაკისა რა მოგახსენოთ და რომანის მანძილზე ამდაგვარი ხასიათის ოცნება ბევრჯერ დაემსხვრევა ბიძინა სანებლიძეს, თუნდაც იმავე ჟანასთან, რომელთან ურთიერთობასაც ასევე დიდი სიზუსტით, „ნიუანსებში“ გადმოგვცემს მწერალი. აი ასეთი ხერხებითა და საშუალებებით ცდილობს ავტორი გაათანამედროვოს თავისი რომანი. მაგრამ, ჩემი აზრით, ესაა მეტად გაცვეთილი, ძველი პროვინციული საშუალება, რომელიც ბევრს ვერ შეიყვანს შეცდომაში.

„შეძოქმედს, ჩემი აზრით, დიდი ბიოგრაფია უნდა ჰქონდეს“, — პათეტიურად აცხადებს ერთ-ერთი გმირი რომანში. თავისთავად ეს ანბანური კემშარიტებაა, და, როგორც ჩანს, იგი არ დავიწყებია მწერალს. არ ვიცი, რა დიდი ბიოგრაფიის პატრონია თვითონ როსტომ ბეჟანიშვილი, და თუ არის. აბსოლუტურად არ ჩანს მის ახალ რომანში. მწერალს რომ

ცხოვრების ცოდნა და გამოცდილება არ ღალატობდეს, მას რომ სათქმელი ჰქონდეს, იგი არ ეცდებოდა როგორმე და რითიმე შეევესო მთელი გვერდები. მას იმდენად გაუჭირდა, რომ რამდენიმე ფურცელი დაუთმო ვიღაც მედლოე გეურქას რეპერტუარს და იეთიმ გურჯისა თუ სხვა აშუღების უამრავი ლექსი არამცთუ სრულად მოიტანა, კინაღამ ვარიანტებიც დაუერთო. ახალგაზრდა მწერლის ასეთი ზერელე დამოკიდებულება ლიტერატურული შრომისადმი უთუოდ საწყენია და ეს მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული საზოგადოებრიობის მხრივ მისი უსაფუძვლო განებივრებით აიხსნება.

საინტერესოა მეორე მოსაზრებაც, რომელსაც კვლავ რომანის ერთ-ერთი გმირი გამოთქვამს: „ისე არსად არ არის ადვილი ყალბი აღმოჩნდე, როგორც წერილში“. თუ გმირს ესმის ეს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავტორსაც უნდა ესმოდეს. და მაინც, მიუხედავად ამისა, მთელი რომანი ამ სიყალბით არაბუნებრივი ტექსტით სავსე წერილებზეა აგებული. ეს გაუთავებელი მიწერ-მოწერა არჩილსა და ნინოს შორის კიდევ ასატანი იქნებოდა, რადგან მკითხველი ურიგდება იმ აზრს, რომ სხვა გზა აღარ არის და თავს იმით ინუგეშებს. რომ ბიძინასი, ნატოსი და სხვა ახალგაზრდების ისტორიას მაინც მოქმედებაში დაინახავს და გაეცნობა, მაგრამ მოულოდნელად იწყება ნატოს დღიურები. ასე წერილებისა და დღიურების კითხვით ეცნობა მკითხველი გმირების ისტორიას და სწვდება ავტორისეულ აზრს.

აქ კი მივადიქვით მთავარ საკითხს. ესე იგი, რაღაცა აზრის თუ იდეის მატარებელი ყოფილა რომანი. არ ვიცი, რამდენად სწორად მივუხვდი ავტორს, მაგრამ მგონია, რომ რომანში თაობათა დაპირისპირების პრობლემა უნდა აწუხებდეს: მას. თუ ეს მართლაც ასეა, ავტორს მეტად დიდი და რთული პრობლემის მხატვრული გადაწყვეტისათვის მოუკიდნია ხელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ველარ კი გადაუწყვეტია მართებულად.

თაობების დაპირისპირება ყოველ ეპოქაში ხდებოდა და არც ახლა უნდა გვეჩვენოს უჩვეულოდ, თუმცა ამ დაპირისპირებას ყოველთვის სხვადასხვა საფუძველი და ხასიათი ჰქონდა. ახლაც უთუოდ შეიმჩნევა ეს დაპირისპირება თაო-

ზებისა, რომელიც არა ქიშპობისა და ბრძოლის, არამედ უფრო შეჯიბრის ხასიათს ატარებს. ბუნებრივია, რომ ყოველ თაობას თავისი თავისებურებები ახასიათებს, რომელიც ძნელი გასაგებია წინა და მომდევნო თაობებისათვის, მაგრამ ჩვენი ცხოვრების თანამედროვე პირობებში ეს თავისებურებები მსოფლმხედველობრივი ან სხვა რაიმე პრინციპული განსხვავებიდან როდი იღებს სათავეს. ამიტომაც, ხელოვნურად შეჩვენება გაზვიადებული დაპირისპირება თაობებისა ჩვენს ღრრში. ასეთი რამ კი უთუოდ შეიმჩნევა რომანში.

რომანში „ჩვენი უკანასკნელი თამაში“ ერთმანეთს უპირისპირდებიან ძირითადად არჩილ და ნანა სანებლიძეები, ერთის მხრივ, და მათი ვაჟიშვილები და რძლები, მეორეს მხრივ. ავტორი არჩილისა და ნანას ცხოვრების ისტორიას, მათ ხასიათს, განცდებს, მიზნებს, მისწრაფებებს მხოლოდ წერილებში გვიხსნის. როგორც ირკვევა, ამ ცოლ-ქმარს დაღბენილა და უდარდელი ცხოვრება არ ჰქონია, არჩილი მშენებელია და ათელი თავისი სიცოცხლე ამ საქმისათვის შეუღვეია, ამიტომაც ოჯახს თითქმის მუდამ დაშორებულია მშვიდობიან დროსაც და, რაღა თქმა უნდა, ომის წლებშიც. ნანა ნამდვილი მეოჯახე ქალია, რომელიც კიდევ მსახურობს და ოჯახის ჭაპანსაც ეწვეა. ნანას კარგად ესმის მისი ქმრისა და საერთოდ მთელი იმ თაობის მძიმე ხვედრი, ამიტომაც არ ემდურის ბედს, ირომობს ისე, როგორც ყველა, და ამ შრომაში ეძიებს სიმშვილეს; მართალია, მცირე გართულებები, როგორც წერილებიდან ჩანს, ამ ოჯახსაც გადაუტანია, მაგრამ ეს მაინც წმინდა და პატიოსნურ საფუძველზე აგებული ოჯახია. ნანაც და არჩილიც განიცდიან შვილების ბედს და მათ მართლაც ბევრი აქვთ თავსატეხი და საზრუნავი. შვილები სრულიად განირჩევიან მშობლებისაგან თავიანთი ინდიფერენტულობით და, რაც მთავარია, მორალური საფუძველების რღვევით. ოთარიცა და ბიძინაც ადრე იწყებენ მეძავეებთან სიარულს, არყის სმას და მათი ინტერესების სფერო ბავშვობაში სწორედ ამით შემოიფარგლება. გაკვრითაა ნახსენები ბიძინას გატაცება მხატვრობით. შემდეგ ოთარი მეზღვაური ხდება და, როგორც თვითონ იუწყება, თურმე ყოველ პორტში ცოლი ჰყავს. ბიძინა თავის მოწოდებას არ უღალატებს და მხატვარი გამოვა, მაგრამ ამას

ჩვენ თითქმის შემთხვევით ვიგებთ. მთავარი მის ხასიათსა და ცხოვრებაში მაინც ეროტიული, ქვენა გრძნობებია. იგი ცოლს ითხოვს, ჟანასთან ცხოვრობს და, რაც მთავარია, ასეთ აღსარებას გვანდობს: „ვატყობდი ჩემს თავს, ბოლოხანს უცნაური ჟინიანობა დამჩემდა. მე ისეთ მოთხოვნილებებს ვუყენებდი ქალებს, რისი შესრულებაც მათ არ შეეძლოთ. თავდავიწყებით ვეძებდი სიახლეს და ჯერ განუცდელ ნეტარებას, მაგრამ ყოველი ცდა უნაყოფო იყო. ცეცხლს ყინული მოსდევდა, გატაცებას — გულგრილობა, სიყვარულს — ზიზღი. რამდენიმე შეხვედრის მერე ჩემთვის უკვე აღარ იყო საინტერესო“. აქ ისლა დაგვრჩენია, მადლობა გადავუხადოთ ავტორს იმისათვის, რომ ფრჩხილებს არ ხსნის და არ გაგვიმარტავს თუ რაში გამოიხატებოდა უცნაურობა იმ მოთხოვნილებებისა. რომლებსაც ბიძინა სანებლიძე ასე ამოდ უყენებდა ქალებს.

უპირატესად, გვირის ასეთი „განცდების“ მოწამეა მკითხველი რომანში, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბიძინა ხანდახან ჩაფიქრდება და ღრმადაც ჩაფიქრდება ზოლმე, რის შემდეგაც ჩვენ მისი აზრების თანაზიარი ვხდებით. აი ერთ-ერთი ასეთი იშვიათი მომენტი, როდესაც ბიძინა ჩაფიქრებულია: „გარინდებული მიეჩიებოდი ამღვრეულ წყალს და სულში უცნაური გრძნობები მიფართქალებდა. აშკარად ვგრძნობდი ჩემს არარაობას. ადამიანი პატარა. უჩინარი წერტილია აი ამ ზღვასთან და, მით უმეტეს, მარადისობასთან შედარებით“. აი ჭეშმარიტად „ღრმა“ პროვინციული მსჯელობა. ყოველივე ამის შემდეგ მართლაც გასაკვირია, თუ რატომ აქვს გვირს პრეტენზია იყოს ახალი თაობის ფიქრების, აზრებისა და განწყობილებების გამომხატველი, მწერალს კი რატომდაც გონია, რომ ყოველი მისი ფრაზა, რაგინდ დაუფიქრებელიც არ იყოს იგი, უნდა იკითხოს და ითმინოს მკითხველმა.

მთელ ამ ვალერეას რომანის გვირებისას ამშვენებენ თათია და დორა, მიხრწნილი შინაბერები, რომელნიც საკვირველნი არიან არა მარტო თავისი გარეგნობითა და სულიერი წყობით, არამედ იმითაც, რომ სრულიად გაუგებარი ფუნქციის მატარებელნი არიან. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ პორტრეტებზე მუშაობისას მწერალი იმ მისთვის ნაცნობ აზრს

მისდევდა, რომ ასე თუ ისე რომანს სოლიდურობისათვის გვე-
რდების სიმრავლე სჭირდება. მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს,
რომ რომანი ასეთი ფრაზებით შეიძლება შეივსოს: „ოთახში
კვლავ სიჩუმეა და თვლემა. დგას ნაფტალინის სუნი. ცეცხლ-
მოკიდებული გული იწვის, მაგრამ ვერ დამწვარა და ეს მო-
ურჩენლობის, დაუმთავრებლობის გრძნობა სულს აშფოთებს.
არარსებულ ბედნიერებაში დაუსრულებელ მენუეტს ცეკვავს
ორი შინაბერის გატეხილი ლანდი“. იქნებ ვინმეს ფორმალის-
ტურ სახედ მოეჩვენოს ეს ფრაზა რაღაც დაუსრულებელი
მენუეტისა და გატეხილი ლანდების შესახებ და ამაში ავტო-
რის მოდერნისტული სულისკვეთება იგრძნოს, ეს უთუოდ
შეცდომა იქნება და, პირველ რიგში. ეს შეცდომა ვგონებ
თვით ავტორს მოუვიდა. სინამდვილეში ეს არის უბრალოდ
გაუმართავი ფრაზა, რაც არცთუ ისე იშვიათი შემთხვევაა
ამ რომანში.

ერთი სიტყვით, ამ რომანში თაობათა დაპირისპირება
მოკლებულია რაიმე სერიოზულ ხასიათს. ავტორი უთუოდ
აღარბებს ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდა თაობის სულიერ
სამყაროს. წარმოგვიდგენს მას დაცლილს მაღალი იდეალე-
ბისაგან, და რა საფუძველით აკეთებს ამას, ეს მხოლოდ მან
იციას ალბათ, ან, ვფიქრობ, არც მან იცის, რადგან ასეთი სა-
ფუძველი ობიექტურად არ არსებობს.

ამიტომ გულწრფელად უნდა ვუსუტრვო და ვურჩიო ავ-
ტორს, რომ ეს მართლაც უკანასკნელი თამაში იყოს მისთვის
და, ამასთანავე გავახსენო, რომ ასეთი თამაშით ჯერ ჭეშმარი-
ტი ლიტერატურული ნაწარმოები არ შექმნილა. თუ როს-
ტომ ბეჟანიშვილს ნამდვილად სურს თანამედროვე ქართული
მხატვრული პროზის განვითარებაში თავისი თუნდაც მცირე
წვლილი შეიტანოს, ბევრი უნდა იმუშაოს და ცოტა წეროს
და არა პირიქით.

„კ ვ ე რ ნ ა ქ ი“

ოთარ ჩხეიძეს ქართველი მკითხველი კარგად იცნობს. იგი საკმაოდ ნაყოფიერი მწერალია და უკვე რამდენიმე რომანის, პიესის და მოთხრობათა ციკლების ავტორი გახლავთ. სულ ახლახან დამთავრდა მისი რომანის „კვერნაქის“ ბეჭდვა „მნათობის“ ფურცლებზე და მეც ამ ახალი ნაწარმოების ირგვლივ მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება. ვიდრე ამ კონკრეტულ საუბარს დავიწყებდე მკითხველთან, ვფიქრობ. ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვით გამოვთქვა ჩემი დამოკიდებულება საერთოდ ოთარ ჩხეიძის შემოქმედებისადმი. რა მომწონს, ან რა მათეკვებს ამ თავისთავად უაღრესად თავისებური ქართველი მწერლის მრავალფეროვან ლიტერატურულ ნაღვეწ-ნაშრომში.

მწერლის ღირსებას ბევრი რამ განსაზღვრავს. მით უმეტეს, სხვადასხვა ჟანრის მწერლის, — პოეტის, პროზაიკოსის თუ დრამატურგის — ნიჭიერებასა და ოსტატობას თავის მხრივ საკმაოდ მრავალი განსხვავებული კრიტერიუმი დაეძებნება. ყველას ჩამოთვლა აქ უბრალოდ გაძნელებდა კიდევ, მით უფრო, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ყოველ მწერალს თავისი სტილური თავისებურებაც ახლავს თან. შეიძლება ემოციურობა, ლირიზმი, ეპიური სიმშვიდე, ფსიქოლოგიური ანალიზი, პლასტიკურობა თუ უამრავი სხვა რამ ყველა პროზაიკოსს თანაბრად არ ახასიათებდეს და არც მოეთხოვებოდეს, მაგრამ მაინც არსებობს რამდენიმე თვისება, რომელიც ყველა ქვეშარიტი მწერლისათვის თანაბრად აუცილებელია. თუ ლიტერატურული მეთოდებისა და მიმდინარეობების ისტორიულ წარმავლობასაც მივიღებთ მხედვე-

ლობაში, მაშინ ამ შეუვალ, მწერლობის განმსაზღვრელ თვისებათა ჩამოთვლას დიდი დრო აღარ დასჭირდება. ერთ-ერთ ამ წარუვალ თვისებათაგანს მწერლის გულწრფელობა ჰქვია.

ამ თვალსაზრისით გარდასულ ეპოქებზე ლაპარაკი ცოტა რთულია, რადგან ისტორიამ მეტწილად შემოგვინახა ისეთი მწერლების სახელები ან ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ნიჭიერებასა და მაღალ მხატვრულ ღირსებებთან ერთად აღბეჭდილნი არიან დიდი გულწრფელობით. თუმცა ისტორიამ იმის მაგალითებიც შემოგვინახა, თუ ჰეშმარიტი მწერლისათვის რა ტრაგიკული იყო ამ გულწრფელობის დაკარგვის განცდა, საკუთარ სინდისთან ჰიდილი, შინაგანი გულისტქმის თუ რწმენის დაღატი. გოგოლის მწარე ხვედრიც იკმარებდა ამ ტრაგიზმის გასაგებად. ამ ჰეშმარიტად გენიალური და უკედავი მწერლის ფსიქიური აშლის პირველი მიზეზი ჰეშმარტმედის გულისტქმასა და გამოტქმულს შორის წონასწორობის დარღვევაში უნდა ვეძიოთ. გოგოლმა დააპირა ჩაეხშო თავისი გულწრფელი პროტესტანტული ხმა და რუსეთის ფეოდალური იმპერიის პირფერი აპოლოგეთობა ეკისრა. მისი გენიალობა და მწერლის ღვითთ მომადლებული ნიჭი იმითაც არანაკლებ ბრწყინვალედ დადასტურდა, რომ ეს ძალადობა საკუთარ გულისტქმაზე მას ასე ძვირად დაუჯდა და ტრაგიკულად დაუსრულდა.

თანამედროვე საბჭოთა, კერძოდ, ქართული მწერლობა ასევე წარმოუდგენელია შინაგანი გულწრფელობის გარეშე. უამისოდ უბრალოდ ვერ შეიქმნებოდა მთელი წყება შესანიშნავი ნაწარმოებებისა, რომლებიც ასე აღელვებს და იტაცებს მკითხველს. მაგრამ თუ ბოლომდე გულწრფელნი ვიქნებით (მე ზემოთ დამავიწყდა მეტქვა, რომ ეს თვისება ასევე, თუ უფრო მეტად არა, აუცილებელია სალიტერატურო კრიტიკისათვის), ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საბჭოთა მწერლობა ყოველთვის როდი იყო აღბეჭდილი გულწრფელობის მაღალი თვისებით. მე მხედველობაში მაქვს არა მარტო ის უდღეური ნაწარმოებები, რომლებიც იწერებოდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების რთულსა და მძიმე პირობებში, არამედ ისინიც, რომლებშიც თითქოს მწერალი თვალს არ ხუჭავდა სინამდვილის მწვავე პრობლემებზე, მაგრამ მოქალა-

ქეობრივი გამბედაობა და გულწრფელობა ბოლომდე არ აყოფნიდა და ამიტომაც კონფლიქტებს მოულოდნელი, შეთხზული, იდილიური ფინალით ამთავრებდა.

ოთარ ჩხეიძე ერთი იმ ქართველ მწერალთაგანია, რომელიც არასოდეს წასულა კომპრომისზე და თავის გულისთქმასა და სინდისთან ყოველთვის მართალი ყოფილა. მკითხველს სჯერა, რომ მისი ყოველი ნაწარმოები გულწრფელი გამოძახილია ცხოვრებისა და იმ მოვალეობისა, რომელსაც მწერალი თავისი თანამედროვეობის წინაშე გრძნობს. შეიძლება სადავო იყოს, რამდენად სწორია ამა თუ იმ საკითხის ოთარ ჩხეიძისეული მხატვრული ინტერპრეტაცია, მაგრამ ის კი სრულიად უდავოა, რომ მწერალი სავსებით გულწრფელია თავის განსჯა-შეფასებაში, გულწრფელად გვიხატავს ცხოვრებას ისე, როგორც ის ხედავს, გულწრფელად გადმოგვცემს თავის იმ ტკივილებსა და სიხარულს, რასაც ცხოვრება მას განაცდევინებს. ეს დიდი ღირსება კი არ შეიძლება არ დაეუფასოთ მწერალს.

ოთარ ჩხეიძე, შეიძლება ითქვას, ძირითადად თანამედროვეობაზე წერს (რამდენადაც ვიცი, ისტორიულ თემაზე მას მხოლოდ ერთი პიესა „მამა თევდორე“ აქვს დაწერილი). ეს ინტერესი თანამედროვე ცხოვრებისადმი მას არ განელებია, მიუხედავად იმისა, რომ ამ თემებზე დაწერილ მის ნაწარმოებებს, როგორც წესი, ყოველთვის მწვავე გამოხმაურება აქვს. ესეც იმაზე მეტყველებს, რომ მწერალს საკუთარი ხედვა, რწმენა, მოვალეობის გრძნობა აქვს და იგი მათდამი ერთგულებას იჩენს, ნაცვლად კომპრომისების ძიებისა. ოთარ ჩხეიძე—რომანისტს ხშირად საყვედურობენ იმის გამო, რომ იგი თანამედროვე ცხოვრების მძიმე სურათებს ხატავს. მართლაც, ფერადსათვალის მწერლებისაგან განსხვავებით, ოთარ ჩხეიძე ცხოვრებას მუქი სათვალეებით უყურებს და შეიძლება მთლად უსაფუძვლო არც იყოს სალიტერატურო კრიტიკის პრეტენზიები მწერლის მიმართ. ერთი კი უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოთარ ჩხეიძეს თავის მოქალაქეობრივ და მწერლურ მოვალეობად მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს ისეთ მოვლენებზე, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესის თვალსაზრისით უარსაყოფი და დასაძ-

ლევია. ამდენად, ერთგვარად გასაგები უნდა იყოს ჩვენთვის მუქი ფერების სიჭარბე მის ეპიურ ტილოებზე, „ბურუსი“ იქნება ეს, თუ „მეჩეჩი“.

ლიტერატურულ საზოგადოებრიობას და, საერთოდ. მკითხველს აინტერესებდა, თუ ოთარ ჩხეიძე თავის მორიგ რომანს რა პრობლემას მიუძღვნინდა, ახალი კუთხით შეხედავდა ცხოვრებას თუ კვლავ ძლიერი პროტესტით გამოვიდოდა თანამედროვეობის რომელიმე ამოსაძირკვე მოვლენისა ან ადამიანის ხასიათის რაიმე მახინჯი თვისების წინააღმდეგ. და აი. გამოქვეყნდა ახალი რომანი „კვერნაქი“, რომელიც კიდევ უფრო გვიმტკიცებს იმის რწმენას, რომ ოთარ ჩხეიძისათვის მამხილებელი პათოსი, სატირის ქანრი ყველაზე უფრო ორიგინალური და მნიშვნელოვანია.

რა პრობლემას ეძღვნება „კვერნაქი“, რისი თქმა სურს ავტორს ამ ნაწარმოებით, როგორია მიზანდასახულობა ამ ახალი რომანისა — ყველა ეს კითხვა ბუნებრივად ებადება მკითხველს.

ყოველი მხატვრული ნაწარმოების გაგებაში და შეფასებაში შეიძლება შეცდეს კაცი. ამისგან არავინაა დაზღვეული. მაგრამ ოთარ ჩხეიძის რომანებთან, კერძოდ „კვერნაქთან“ დაკავშირებით ეს შეცდომა უფრო მოსალოდნელია, რადგან იგი მეტად დამძიმებული ენითაა დაწერილი. ამის გამო კი, ჩემი აზრით, მკითხველი იძულებულია თავს ძალა დაატანოს და ისე იკითხოს რომანი, რაც ერთგვარად აღიზიანებს მას. ეს მეტისმეტად დამძიმებული, ტავტოლოგიზმებით სავსე და ზოგჯერ გლახა ქრიაშვილისებური მეტყველების მწკვირვითობა, ვფიქრობთ, ხელს უშლის მკითხველს მხატვრული ნაწარმოების მეშვეობით კონტაქტი დაამყაროს მწერალთან, გაიგოს მისი ნაფიქრი, ჩასწვდეს რომანის აზრსა და დანიშნულებას.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ სამყარო, რომელსაც მწერალი წარმოგვისახავს, ან აზრები, რომელთაც მწერალი თავის ნაწარმოებში დებს, თავისთავად სულაც არ არის რთული. პირიქით, ჩვენ ქვემოთ ამაზე სპეციალურად შევჩერდებით, ნაწარმოები სავსეა ყოფითი, სურათებით, რომელიც ყველა ჩვენთაგანისათვის მშვენივრად არის ცნობილი და

თითქოს არც მხატვრული ნააზრევია რთული და თავსატეხი, მხოლოდ ყველაფერი ეს მეტად უცნაური, დუნე ენითაა დაწერილი, თითქოს მწერალი სათქმელს განზრახ უღეკავს მკითხველს იოლად მონელების, ან ზემოქმედების გაძლიერების მიზნით. სინამდვილეში კი, ჩემი აზრით, ამას სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მოაქვს.

ლიტერატურის ისტორიიდან თუ თანამედროვე მწერლობიდან ჩვენ სულ სხვა მაგალითები გვაქვს. როდესაც ფლობერის „წმინდა ანტონის ცდუნებას“ ვკითხულობთ, ჩვენ ერთგვარად გვიძიმს მისი დაძლევა, რადგან ჩვეულებრივი მკითხველისათვის, რომელიც კარგად არ იცნობს ფილოსოფიურ სისტემებს, სხვადასხვა სარწმუნოებების ისტორიასა და ძეგლებს, ძნელი მოსანელებელია მწერლის ღრმა ფილოსოფიური ნააზრევი, ჩადებული ამ რომანში. ან კიდევ იმ თანამედროვე დასავლური ლიტერატურის გაგება, რომელიც მოღურ ფილოსოფიურსა და ფსიქოლოგიურ მოძღვრებაზეა დაფუძნებული, თუ მკითხველი ამისათვის საგანგებოდ არ არის მომზადებული, უთუოდ ძნელია. მაგრამ ძალზე იშვიათია ისეთი რეალისტური მხატვრული საწარმოები, მითუმეტეს, ყოფითი ხასიათის ნაწარმოები, რომელიც რთული საკითხავი იყოს მხოლოდ დამძიმებული ენის გამო.

მე ერთხელ უკვე გამოვთქვი მორიდებული საყვედური ო. ჩხეიძის მიმართ, როდესაც მის „ჩემი სოფლის ეტიუდებზე“ ვწერდი. იმ წერილში სიამოვნებით აღვნიშნე სისადავე ენისა, რომელიც საგრძნობლად განასხვავებდა ეტიუდებს ავტორის ადრე დაწერილ რომანებისაგან. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ოთარ ჩხეიძე ამ სადა, ქართული კოლორიტით სავსე მსუყვე ენას მოთხრობებიდან ახალ რომანშიც გადაიტანდა, მაგრამ „კვერნაქმა“ დაგვარწმუნა, რომ ეს ასე არ მოხდა. როგორც ჩანს, ოთარ ჩხეიძე-რომანისტი პრინციპულად ჯიუტად დგას თავის პოზიციასზე. ოთარ ჩხეიძე განათლებული მწერალია, იგი კარგად იცნობს ქართულ, რუსულ და ევროპულ მწერლობას, ამიტომ ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას მისი თუნდაც ერთგვარი შეზღუდულობით. ალბათ, მწერალი თხრობის ამ ორიგინალურ მანერას დიდ და მისთვის გარკვეულ ფუნქციას აკისრებს.

ის, რაც მე აღვნიშნე, უმთავრესად ავტორისეული ტექსტის ენას ეხება. დიალოგები უფრო ლაღი, ჩვეულებრივი სასაუბრო ენითაა დაწერილი, თუმცა ზოგჯერ უჭირს მწერალს ასეთი მონაცვლეობა ენისა და აქაც იჩენს ხოლმე თავს ხელოვნურობა.

აი, რა საუბარი იმართება ამ რომანში სანდროსა და ლალის შორის:

„— ჩაგაფიქრათ?.. — ეს ლალის ხმაა, ბავშვისათვის ხელი გადაუხვევია, შეჩერებულან, შეჰყურებენ ორთავენი.

— არა... არა... — დაბნევით მიუგებს.

— ამოცანამ...

— ამოცანამ, დიახ, ამოცანამ...

— ფიქრად არა ღირს.

— რასა ბრძანებთ!..

— უბრალო რამეს... ცხოვრებაში იმდენი რამაა, ფიქრი რომ არ უნდა, უფრო დიდი, უფრო მნიშვნელოვანი, მაგისტრისა თვის რა თავს იტკივებთ.

— განა რა არის ცხოვრებაში, ფიქრი რომ არ უნდა?!

— რაც ბუნებრივია, ფიქრიც არ უნდა.

— მაგრამ ბუნება ფიქრით აუხსნიათ.

— ბუნებას არ უნდა ახსნა.

— მაშ დამონება?!

— რატომ?! ბუნებრივი თვით არსობაა, დამონება აქ არაფერ შუაშია“.

სანდროსი აქ არაფერი გვიკვირს, რადგან იგი თუმცა ერთი პროვინციელი, გაუნათლებელი, დაბალი ინტელექტის კაცია, მაგრამ ამავ დროს დიდი პრეტენზიებისაა და უყვარს მაღალ მატერიებზე ლაპარაკი. გასაოცარი ის არის. რომ სანდროს პარტნიორი არის ლალი, ასევე ერთი პროვინციელი და გაუნათლებელი ქალი, რომელსაც გათხოვების გარდა არაფრის პრეტენზია და არავითარი აზრი არ გააჩნია. რაღა თქმა უნდა, მწერალს შეუძლია გვერდი აუაროს დიალოგებში ნატურალიზმს, მაგრამ ისეთი ყაიდის ქალისათვის, როგორც ლალია, მეტისმეტად ხელოვნურია მსჯელობა იმაზე, რომ „ბუნებრივი თვით არსობაა“. ამიტომაც მკითხველს უჭირს დაი-

ჯეროს, რომ მის წინ ლალია და ეს ფრაზა ახლახან სწორედ მისგან მოისმინა.

ასევე მოულოდნელია მკითხველისათვის დიალოგი, რომელიც სანდროს ახლა უკვე მაგდასთან აქვს ერთ მიყრუებულ ხეობაში, ფრიალოს თავზე. არ შეიძლება არ გაგვიკვირდეს მაგდას ეს უცნაურად ფილოსოფიური მსჯელობა მდუმარებასა და შიშის გრძნობაზე, რომ „მდუმარება ბევრად უფრო საშიშია, სიკვდილისაა ეს მდუმარება“, „სიცოცხლისაა ის ხმაური“ და მისთანანი.

კიდევ უფრო გასაკვირი ის არის, რომ ისეთ დაკვირვებულ, ცხოვრებიდან ამომავალ მწერალს, როგორც ოთარ ჩხეიძეა, სწორედ ხასიათის სიმართლის თვალსაზრისით მოსდის უხეში შეცდომა. ისეთ მწერალთან, რომლის შემოქმედებას მწიგნობრული საფუძველი აქვს, უფრო ლოგიკური, ყოველ შემთხვევაში, გასაგები უნდა იყოს ლიტერატურული რემინისცენციის რეციდივი, ოთარ ჩხეიძის შემოქმედება მთლიანად ცხოვრების ღრმა დაკვირვებასა და ცოდნაზეა დაფუძნებული და ამიტომ თითქოს დაუჯერებელია, რომ ასეთი შეცდომა, ხასიათის ალოგიურობა მის ნაწარმოებში გვხვდება.

მაგდა, ერთი პროვინციელი უბრალო ქალი, რომელსაც ქმარი აგდებს სახლიდან, ამ მძიმე სულიერი განცდის დროს „თითქოს გაშრება, გამოიფიტვის მთელი სხეული, მხოლოდ ხელი შეირხევა, თითქოს უკანასკნელი დაძაბვაა სხეულისა, მაგრამ კლავიშებს მოხვდება თითები და აღიძვრის სურვილის ნასახი, აღიძვრის, აიზიდება სურვილი მუსიკისა, იმ ცრემლივით, უეცარად რომ წამოსქდა, უეცრადვე რომ გადაიყარა“. მწერალი ვრცლად მოგვითხრობს მაგდას მუსიკასთან ამ შერწყმის განცდის შესახებ, თუ თითები როგორ „დარბიან კლავიშებზე. აღარ იხვლანჯებიან, თავისუფლად დარბიან, რალაცას მიაგნებენ, ჰკარგავენ მაშინვე, ისევე მიაგნებენ...“ მაგდამ იცის, რომ უნდა წავიდეს სახლიდან, „ჰო, უნდა ადგეს და ვერც ამდგარა. ვილაცა უნდა, ვილაცამ უნდა წამოჰკრას ხელი, ვილაცამ უნდა გაამხნეოს, ნუგეში უნდა სცეს, უნდა აამაღლოს. ისე ვერ ივარგებს, ვერ მოახერხებს, ვერც ადგება, ნაბიჯსაც ვერ წარსდგამს, ვილაცა უნდა!“ ამ მხსნელად, გამამხნევებლად, ნუგეშად მუსიკა მოველინება და ისიც უკრავს

გატაცებით, გაშმაგებით, ამით კი „იმედებს ეთხოვებოდა, ძალას იკრეფდა აქედან გასვლისათვის“.

ასეთი განცდა, ასეთი დაუოკებელი სურვილი მუსიკისა წმიდმე განსაცდელის ქამს ყველა პროფესიონალ მუსიკოსსაც კი არ დაეჭვრება. ეს ორგანული მხოლოდ იმისთვის შეიძლება იყოს, ვისთვისაც მუსიკასთან შინაგანი საუბარი და გულისნადების გამჟღავნება მთელი სიცოცხლის მანძილზე ყოფილა დამახასიათებელი, ვისაც თავისი ცხოვრების თანამგზავრად და თანამესაიდუმლედ უპირველესად მუსიკა გაუხდია. და, უცბად, მაგდა, რომელიც თურმე საბავშვო ბაღში ნაძვის ხისა და ყვავილების სიმღერებს უკაკუნებდა როიალზე ბავშვებს, ერთ-ერთ ნუგეშად და მხსნელად სწორედ მუსიკას მიიჩნევს მისთვის ამ უმძიმეს წუთებში, სწორედ მუსიკით მოიპოვებს შვებას, მოიკრფეს ძალასა და მხნეობას. მე მეექვსება, თვით ოთარ ჩხეიძესაც სწამდეს ამ გამონაგონისა.

ოთარ ჩხეიძეს, საერთოდ, კარგი თვალი აქვს მწერლისა. იგი მშვენივრად ხედავს ცხოვრებას, გულდასმით აკვირდება მას და ამიტომაცაა, რომ მთელი რიგი სურათები ცოცხალი, მსუყე ფერებით აქვს დახატული. ამ რომანშიც მკითხველი ბევრ კარგ შესრულებულ ყოფით სურათს ნახავს. საკმარისია გავიხსენოთ რომანში რამდენჯერმე აღწერილი ქეიფი თუ ღვინის სმა, სანდროს ჭადრაკის მეგობარი და მისი მეუღლე, მათი ოჯახური სცენები, ცოლ-ქმრის ბჭობა და დავა კინოში წასვლა-არწასვლაზე, თუ ბევრი სხვა.

ამ რომანისათვის ჩვეულებრივ და დამახასიათებელ ერთ ადგილს მოვიტანთ იმის ნიშნად. თუ მწერალი რა ოსტატურად ხატავს პროვინციელი მეშჩანების ოჯახში გათამაშებულ სცენას. ამ მოკლე ნაწყვეტიდან დასრულებული ხასიათები წარმოგვიდგება თვალწინ.

„— ნუთუ არ გაგიგიათ?!

რა, რა უნდა გაგვეგო?! — თვალეები ვაუფართოვდება ჭადრაკის მეგობრის ცოლს, ოლონდ ისე გაუფართოვდება, ისეთი ღიმილი გადაჰკრავს ტუჩებზე, ცოტა დაკვირვებული რომ ყოფილიყო სანდრო, მიუხვდებოდა, ყველაფერი იცის, დაწვრილებით მოეხსენებო. კოწიკ, ბავშვს მიჰხელე!..— ბრძანებს დიასახლისი. ბავშვს კარადასთან მიუდგამს სკამი. კარა-

დაზე იჩაჩება. — კოწიკ, მიჰხედე-მეთქი!.. — კოწიკი ანუ კოტე, ჭადრაკის მეგობარი, ეტიუდს დაეხსნება, ბავშვისაკენ მიიზღაზნება, თანაფ ცოლს გადაავლებს თვალს: რად გინდა ეს თამაშიო, ამგვარად გადაავლებს თვალს, სანდროს ესეც გამოეპარება, ან ვერ მიჰხვდება თვალთამეტყველებას, — რა უნდა გაგვეგო, — ამბობს სუნთქვამომატებული დიასახლისი, — რას გვიმალავთ? ჩვენთან რა უნდა გქონდეთ დასამალი?!

— არაფერი, — საჩქაროდ მიატანს სანდრო, — დასამალი რა უნდა მქონდეს, ოლონდ, მგონი, უნდა იცოდეთ...

— საიდან?! — გაიკვირვებს ქალი, — სახლი და სამსახური, ესაა და ეს, გამოვკეტელვარ, არაფერი აღწევს ჩემამდე, კოწიკ, შენ იცი რამე?

კოტეს ბავშვი ჩამოჰყავს, კოლოფები ჩამოაქვს კარადის თავიდანა, ყურს არ ათხოვებს, ვითომც ძალიან გართული ვარო.

— შეიძლება არც კოტემ იცის... ჩვენ დავცილდით...

— ღმერთო ჩემო!.. — ლოყებზე, თითებს ჩამოისვამს ქალი. ისე, თითქოს უნდა ჩამოიკაწროსო; თუმცა ნუ შეშინდებით, არ ჩამოუკაწრავს, ნაზად ჩამოისვამს, მსახიობურად. — ეს რა მესმის!.. წარმოუდგენელია!.. დაუჭერებელია!.. არა, თქვენ ხუმრობთ!.. კოწიკ, შენც ასეთი ხუმრობა თუ გჩვევია, იცოდე, შართლა გაგეყრები“.

ვფიქრობ, დამეთანხმება მკითხველი, რომ ეს არა მარტო ოსტატურად დახატული ყოფითი სცენაა, არამედ ამ პატარა სცენაში მეშჩანი და თვალთმაქცი ქალის დასრულებული პორტრეტია გამოძერწილი, ყოველ შემთხვევაში, ხასიათი მთლიანადაა გახსნილი. ეს ღრმა სატირა და ოსტატობით დახატული სცენა, თავისი წინა თუ უკანა პლანით, სხარტი ტექსტითა თუ მდიდარი ინტონაციით, ბედნიერი გამონაკლისი სულაც არ არის ამ რომანში. გავიხსენოთ თუნდაც ის, თუ რა იშვიათი ოსტატობით გვიხატავს მწერალი სანდროს თვალთ ფანჯრიდან დანახულ ქუჩას და გამვლელ-გამომვლელებს. სანდრო საცოლეს მოხერხებული სათვალთვალო ადგილიდან ეძებს, ზის თავისი მეგობრის ბინაში ფანჯარასთან და ათვალთვალავს ქალებს. მწერალი გარეგნული ნიშებით: ჩაცმულო-

ბით, თმის ვარცხნილობით, სიარულით, მანერებით და სხვა ნიშნებით დიდი სარკაზმით გვიხატავს ხნიერ თუ ახალგაზრდა. მონიტელიგენტო თუ პირწავარდნილ მეშჩან გასათხოვარ ქალებს, რომელთაც სანდრო გულმოდგინედ აღევნებს თვალს. მწერალი იმდენად მოკლედ და სხარტად, მაგრამ ამომწურავად ახასიათებს გარეგნული ნიშნების მიხედვით ქმრის მაძიებელი ქალების მთელ ამ მრავალფეროვან გაღერეას, რომ ჩვენ ერთბაშად ვერც კი ვგრძნობთ, თუ ამ კინემატოგრაფიული ხერხის გამოყენებით რა დიდ ეფექტს აღწევს იგი. ჩვენ მხოლოდ ცოცხლად ვხედავთ ქუჩასაც და მის გამკვლელ-გამომვლელებსაც და მოგვიანებით ვხვდებით, თუ რა ეფექტურადაა ეს გააზრებული და შესრულებული მწერლის მიერ.

კინემატოგრაფიული ხერხი რომ ვახსენე, კიდევ ერთი სცენა მომაგონდა ამ რომანიდან. საერთოდ, ოთარ ჩხეიძე მეტად მოხერხებულად მიმართავს სხვადასხვა ეფექტურ საშუალებებს თავისი გმირების დასახასიათებლად და ერთ-ერთი ასეთი სცენაა მაგდასა და სანდროს სიყვარულის გამოვლინების სცენა. მაგდაცა და სანდროც დიდი მონდომებით ცდილობენ ერთმანეთის სიყვარულისა და მოვალეობის ბაღეში გაბმას და ამ მიზნით ერთმანეთს შეიტყუებენ ერთ მიყრუებულ ადგილას. მწერალი ქეშმარიტად ხალასი იუმორის ნიჭით გვიხსნის თავისი გმირების ამ გასაჭირს. თავდაპირველად იგი ჩვეულებრივად მოგვითხრობს ამ ამბავს, მაგრამ შემდეგ შორიდან მაყურებლის პოზაში დგება და სიყვარულის გამოვლინების გადამწყვეტ მომენტს თოჯინების სპექტაკლივით გვიჩვენებს. მწერალს, რომელიც თითქმის შორიდან აღევნებს უკვე თვალს თავის გმირებს, აღარ ესმის მათი საუბარი და ჩვენც ამ უტყვი სცენის საშუალებით მეტისმეტად მეტყველად ვიგებთ ფინალს.

„...დაბლიდან ვინმე რომ იცქირებოდეს, იფიქრებს, ქალი მოფრინავს, ვაჟი გამოჰკიდებიაო, ან რომელიღაც ფრესკა ჩამოტეხილა, კლდეზე დაქანებულა და აგერ, სადაც არის, რიყეზე ზღართანს გაადენსო; ანდა ეს უფრო სწორი ვარაუდია: თოჯინები ჩამოუკიდიათ ბაწრითა, ბაწრით უჭირავთ და, ცხადია. არც ქალი გადმოვარდება, არც ვაჟი გადმოჰყვება თანაო... ვაჟი გულზე იღებს ხელს, გაშლის, ისევ მიიღებს გულ-

ზე, ხან მეორე ხელსაც ააყოლებს, ტანს შეარხევს, სწორედ ისევე, თოჯინებმა რომ იციანო. რალაცას უმტკიცებს, რალაცას ეფიცება. ქალი აპხედავს, აპხრის თავსა, თოჯინასავით აპხრის, რომ ჩამოჰკიდებს, თოჯინასავით ჩამოეკიდება თავი. ხელებიც ასევე უბჯენია კლდის ქიმზე, თითქოს თოჯინას ხელებიაო, ან რალა თითქოსაო, როცა ნამდვილად თოჯინებია. მხოლოდ ესაა ლაპარაკი არ ისმის: ქალის წლიკვინა ლაპარაკი, განგებ გაწლიკვინებული, განგებ, სასაცილოდ, სააბუჩოდ, ვაჟისა — ბოხი, ისიც საგანგებოდ, სასაცილოდ გაბოხებული; რომ ისმოდეს უკეთესი იქნება, უფრო სასიერო იქნება ამ პატარა მდინარესაც ახლს მონდომებია შხუილი; ან უკეთესიც იქნება თოჯინების საუბარი მდინარის ხმაურში, — უკეთესიც იქნება, ოლონდ ისმოდეს, რასა მსჯელობენ, რასა დაობენ თუ რასა თანხმდებიან. ვაჟი ხელს იწვდის, დგას ასე ხელგაწვდილი, ქალიც ხელს ასწევს, ბოლომდის ვერ ასწევს, დაექანება ხელი, თითქოს ბაწარს რალაც გამოსდებია, ან აღარა ჰყოფნის ბაწარიო. მაშინ ვაჟი უფრო დაიხრება, აჰაა, თითქოს ხევში უნდა გადმოფრინდესო, ან არა, არა, რის ხევი, რა ხევიო, — ქალს უნდა დასწვდეს, უნდა აიტაცოს, ეტყობა იმას უფრო მოშვებული აქვს ბაწარი, ან ასე განგებაა, რა თქმა უნდა, განგებაა: ქალს არა ჰყოფნის ხელის ასაწევი, ანუ ყოყმანობს. ვერ გაუბეღია, ვერ გადაუწყვეტია, ვაჟს ბაწარებში მოშვებია. ანუ მისწვდება, დასძლევს, გააბედნიერებს. და მართლაც, შეჰხედეთ, — ერთმანეთს მიეტანება ქალ-ვაჟის ხელი. ქალი აიშართება, აეტოლება ვაჟსა. გაცურდება, მიეფარება ორივე თოჯინა, ასე ატოლებული, შეჭუფთული, შეტყუპებული. სურათი დამთავრდა, ალბათ მალევე გამოჩნდებიან, თავი რომ დაუკრან აღტაცებულ მაყურებელსა. მართლაც გამოჩნდებიან. გადმოიხრებიან, მალევე გაბრუნდებიან, გაქარდებიან. მერე აღარა ჩანან. შესვენებაა თუ? — თურმე ტაძარს უვლიან გარშემო. დაბლიდან შეპატარავებულად რომ მოჩანს ვეება ტაძარი, თურმე დეკორაცია ყოფილა, — ხელმოხვეულნი უვლიან ტაძარს, ანუ ვაჟს მოუხვევია წელზე ხელი. ტყუპად შიდიან, ტყუპად უვლიან. რა თავისებური, რა ლამაზი ხელოვნებაა, რა კარგად მართავენ თოჯირს მოფარებული არტისტები, — ისე დაჰყავთ, თითქოს მართლები არიანო, მართლები-

ვითაც ალაპარაკებენ, ოლონდ ხმა არ ისმის, აქედან არ ისმის, ამ პატარა მდინარესაც, მთის პატარა წყალსაც, ზაფხულში რომ თითქმის ჩაიკარგება ხოლმე. ახლა მონდომებია შხუილი...“

ამით მწერალმა მართლაც ორიგინალური და ეფექტური გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, შესანიშნავი გადაწყვეტა მონახა. თითქოს უკვე აღარცა გვკერა, რომ ჩვეულებრივი თხრობითა და დიალოგებით უფრო სრულად შეიძლებოდა იმ მდგომარეობის გადმოცემა, რომელშიც მაგდა და სანდრო იყვნენ თავიანთი გრძნობის გამხელის ეამს. ერთადერთ და შესანიშნავ გადაწყვეტად იმიტომაც მიგვაჩნია ეს ორიგინალური ხერხი, რომ მაგდასაც და სანდროსაც ამ შემთხვევაში ვერ გაუბედავთ ერთმანეთისათვის სათქმელის გამჟღავნება და ავტორიც, თითქოს მეტი სითამამე რომ მისცესო, სრულიად მარტოდ სტოვებს მათ. თვითონაც არ უგდებს ყურს თავისი გმირების საუბარს და მხოლოდ შორიდან აკვირდება. ასეთი მიგნებები, ორიგინალური და საინტერესო მხატვრული ხერხები ამ ნაწარმოებში სხვაც არის კიდევ, მაგრამ, ვფიქრობ.. ნათქვამიც კმარა ოთარ ჩხეიძის ოსტატობის ნათელსაყოფად.

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს, თუ რა პრობლემას ან საკითხს ეძღვნება ოთარ ჩხეიძის „კვერნაქი“, ან რა არის ამ ნაწარმოების მთავარი პათოსი. თავდაპირველად, თითქოს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს რომანი ადამიანის მოვალეობის გრძნობაზეა დაწერილი. მოქმედება იმით იწყება, რომ სანდრო ცხოიძე თამადის მიერ წარმოთქმულ სიტყვაა ოცდათექვსმეტი წლის ასაკზე გულთან ახლოს მიიტანს და ღრმად ჩაფიქრდება. თამადის ტირადიდან ისეთი აზრი გამოსკვიოდა, რომ ოცდათექვსმეტი წელი ეს არის შუა გზა ცხოვრებისა, რომლის იქით თავდაღმართი იწყება და, რალა თქმა უნდა, რა სიმაღლესაც მიაღწევს კაცი ამ ასაკამდე, ისეთივე დაღმართიც ელის. სანდრო ცხოიძეც სწორედ ამ ასაკისაა და იმიტომ მოხვდება გულზე თამადის სიტყვები, რომ ოჯახს ჯერაც არ მოჰკიდებია და უმემკვიდრეოდ დარჩენის შიში შეეპარება. სამანიშვილებისა არ იყოს, სანდროც იწყებს მკითხველთათვის საკმაოდ სასაცილო და თავშესაქცევ ძიებას საკოლისას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას სწორედ შვი-

ლის დედა უნდა და არა უშვილო მეუღლე. კარგა ხანს მოქ-
ქედება ისე ვითარდება, რომ მკითხველს სჯერა სანდროს წა-
დილის გულწრფელობა. მაგდა უშვილო აღმოჩნდება და სან-
დრო მიატოვებს მას. მაგრამ ლალისთან ურთიერთობის
დროს პირველად გვიჩნდება ეჭვი, რომელიც მალე დასტურ-
დება. სანდრო ყოველნაირად ცდილობს არ ეყოლოს შვილი
ლალის და როცა ამ უკანასკნელს ფეხმძიმობის ბოლო თვეს
მარცხი მოუვა, მასაც მაგდას გზას გაუყენებს. აქ კი ვრწმუნ-
დებით, რომ მოვალეობის გრძნობა არაფერ შუაშია და რო-
მანს სხვა მიზანდსახელობა უნდა ჰქონდეს. რომანის გმირი,
როგორც ირკვევა, სულაც არ ფიქრობს ნამდვილ ოჯახზე,
შვილზე, მემკვიდრის აღზრდაზე, თავისი მოქალაქეობრივი
ვალის მოხდაზე ერის წინაშე. თურმე სანდრო ცხოიძე დონ-
უჟანის უმცროსი და უნიჭო ძმაა მხოლოდ, რომელიც ცაცას
შემდეგ გურანდასა და დიანას გამოიცვლის.

სანდრო თავიდანვე თვალთმაქცობდა და ჩვენ მხოლოდ
მოგვიანებით გავიგეთ მისი ფანდები. იგი თავს არიდებდა
ქორწინებას იმ საბაბით, თითქოს ვაჟის შექენამდე არ სურდა
ოფიციალური შეუღლება. მაგრამ როგორც გამოირკვა, მას
საერთოდ არ სურდა ოჯახი, ან არ ჰქონდა უნარი ოჯახის
გაძღოლისა და ამიტომ საცოლე კაცის როლს არჩევდა.

მწერალი თანდათან სულ უფრო ღრმად გვახედებს თა-
ვისი გმირის სულიერ სამყაროში და ჩვენ ვრწმუნდებით, თუ
რა ბილწი სულისა და ქვენა გრძნობების მატარებელიცაა იგი.
ძუნწი, ეგოისტი, უნიჭო, თუმცა პრეტენზიით აღსავსე, თალ-
ლითი და გაიძვერა, დამსმენი, კარიერისტი, — აი რა მრავალ-
მხრივად წარმოგვიდგება სანდრო ცხოიძე მოქმედების გან-
ვითარებასთან ერთად. მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ
სანდრო ცხოიძე სასურველ სასიძოდაა ქალაქში მიჩნეული
და ყოველი მორიგი ცოლის გაგდების შემდეგ, იწყება ქიშპი
და ბრძოლა მის ხელში ჩასაგდებად. აი ამ დროს ჩვენ ვეც-
ნობით იმ წრეს, რომელშიც სანდრო ცხოიძე ტრიალებს, უფ-
რო მეტიც, მთელ იმ გარემოს, რომელშიც მას უხდება ცხოვ-
რება და საქმიანობა. როგორც ირკვევა, სანდრო ღირსეული
წევრია იმ საზოგადოებისა, რომელიც მას გარს არტყია. თვით
ცოლებიც სანდროსი — მაგდა, ლალი, გურანდა თუ მისი სატ-

რთო დიანა, თუმცა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ არ გამოირჩევიან მაღალი გრძნობებით, მორალური სიწმინდითა და კეთილშობილებით. მაგდა ჭიუტად ცდილობს სანდროსთან დროზე შეუღლებას და ამისათვის პატარა შანტაჟსაც მიმართავს, შემდეგ მას ლალი გააბამს მოხერხებულად მახეში, მაგრამ მისი ბედნიერებაც ხანმოკლე აღმოჩნდება, არც გურანდა თავილობს ფანდებს სანდროს ხელში ჩასაგდებად, დიანა კი უბრალოდ მაცდური და გარყვნილი ქალია. არც ის საზოგადოება ტოვებს სანდროზე ბევრად უკეთეს შთაბეჭდილებას, რომელსაც რომანში ვეცნობით. ჰადრაკის მეგობარი თუ გაზეთის რედაქტორი, უმცროსი თუ უფროსი თანამშრომლები, ნაცნობები და ამხანაგები სწორედ ღირსეული წევრნი არიან იმ წრისა, რომელშიც სანდროს უხდება ცხოვრება. აი აქ ებადება მკითხველს აზრი, რომ ამ რომანის პათოსი სწორედ იმ მეშხანური ყოფის მხილებაა, რომელიც მწერალმა ასე თვალნათლივ გადაგვიშალა.

ორიოდე სიტყვა თანამედროვე ლირიკაზე

თანამედროვე ქართული პოეზია, თუმცა ჩვენ ყველას თითქოს დაგვჩემდა ერთგვარი სკეფსისი, უნდა ითქვას, საკმაოდ მნიშვნელოვანი, მდიდარი და საინტერესოა. მნიშვნელოვანია მხოლოდ იმით კი არა, რომ ახალი ტენდენციები, ახალი სულისკვეთება, შემოქმედებითი ძიებები, რომლებიც ასე შესამჩნევია თანამედროვე ლიტერატურაში, მომავლის ნაყოფით გვაიმედებენ (ხშირად ასე ვათასებთ ხოლმე ჩვენს თანამედროვე მწერლობას), არამედ მნიშვნელოვანია თავისი დღევანდელი ნაყოფით და ჩვენი, პროფესიული თუ არაპროფესიული მკითხველის ვალია გავიგოთ და დავაფასოთ ქართველი პოეტების ნაღვაწი.

თანამედროვე, ანუ უკანასკნელი წლების ქართული პოეზია და, საერთოდ, საბჭოთა პოეზია, გაცილებით უფრო ღრმა, მრავალფეროვანი, საინტერესოა, ვიდრე წინა წლებისა. ეს იმიტომ, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები, რაც მთავარია, შეიცვალა ჩვენი ცხოვრების ატმოსფერო. ამის გაშიფვრა, ვგონებ, საჭირო არ არის. რადგან ყველანი მოწამენი ვართ ამ ცვლილებებისა. თანამედროვე ცხოვრების ეს ახალი სული მეტად კეთილმყოფელ გავლენას ახდენს დღევანდელ ლიტერატურაზე, კერძოდ პოეზიაზე.

ქართულ პოეზიას, მოგეხსენებათ, მდიდარი ტრადიციები აქვს და თანამედროვე ეპოქაშიც მას არ დაუკარგავს მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობა, პოლიტიკური სიმძაფრე, პატრიოტული შემართება. ამ თვისებებით იგი აგრძელებს თავისი ისტორიული განვითარების ძირითად ხაზს.

მაგრამ, ამასთან ერთად, მან ჩამოიცილა შიშველი დეკლარაციულობა, რაც ასე ახასიათებდა წინა ეტაპზე და ამით იზოვა გასაღები ადამიანთა გულებსაკენ. უკუაგდო ესოდენ მოძღვრებული სახობტო მოტივები, პომპეზურობა და მთელი ყურადღება კვლავ ადამიანის სულის მოძრაობას მიაპყრო. ამან უკანასკნელი წლების ქართული პოეზია მეტი გულწრფელობით აღბეჭდა. ეს კი ერთი არსებითი და აუცილებელი პირობათაგანია განვითარებისთვისაც და პოპულარობისთვისაც.

ქართველი პოეტები ახალ ლექსებში დიდი უშუალობითა და სიწრფელით გვიჩვენებენ თანამედროვე ადამიანის სულიერ სამყაროს, მის მაღალ შეგნებას და პატრიოტულ სულისკვეთებას. ფისიქოლოგიურად ღრმად და მართლად გვიხსნიან ადამიანურ განცდებს, სიყვარულსა და სიძულვილს, ოპტიმიზმსა და დაექვეებას. ქართული პოეზიის ლირიკული გმირი აღარ არის ერთსახოვანი, უფრო ზუსტად. ერთნაირად აღტყინებული და აღტაცებული ცხოვრების ხილვით, სწორედ ხილვითა და არა განცდით, როგორც ეს დამახასიათებელი იყო ამ ცოტა ხნის წინ. ახლა მისთვის აღარ არის უცხო ცხოვრების რთულ საკითხებზე ღრმად ჩაფიქრება, ამ საოცრებებით სავსე სინამდვილესათან საკუთარი დამოკიდებულების ძიება, ფილოსოფიური საკითხების გააზრება, კეშმარიტი ადამიანური ვნებების გამომჟღავნება.

სწორედ ამ აზრის სიღრმისა და განცდის სიწრფელის შედეგად კიდევ უფრო დამაჯერებელი და მხატვრულად მართალია ლირიკული გმირის ღრმა რწმენა მომავლისა. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს რაც აღვნიშნე წინა პერიოდში სავსებით უცხო იყო ქართული პოეზიისათვის. უბრალოდ, თუ ადრე ყოველივე ეს ცალკეულ პოეტთა შემოქმედებაში, ან მათ ცალკეულ ნაწარმოებში იჩენდა თავს, ახლა მთლიანად ქართული პოეზიის წამყვან, განმსაზღვრელ ტენდენციად თუ თვისებად იქცა. ამ ახალმა სულისკვეთებამ, თანამედროვე ცხოვრების ატმოსფერომ განსაზღვრა ქართველ პოეტთა შემოქმედებითი აქტივობა.

ამბობენ, პოეზია ახალგაზრდობის წილხვედრილიაო. როგორც ჩანს, აქ სულიერი სიმბნევე, სულიერი ახალგაზრდობა

უნდა ვიგულისხმოთ და არა უბრალოდ ასაკობრივი. ამაში. სხვაგან რომ არ ვეძიოთ საბუთები, თანამედროვე ქართველი მწერლებიც ღრმად გვარწმუნებენ. პირდაპირ განსაცვიფრებელია სიმონ ჩიქოვანის, ამ ჯანგატეხილი ადამიანის სულიერი სიმბნევე და სიხალისე, სისხლსავსე ლიტერატურული ცხოვრება, რაც ბევრ ახალგაზრდა პოეტსაც შეშურდება. სიმონ ჩიქოვანის უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული ლირიკული ციკლები „განჯის დღიური“ და „შემოდგომის დღეებ-აქარაში“ ამ სახელოვანი ქართველი პოეტის იშვიათი ნიჭის კიდევ ერთი გამოსხივებაა. გიორგი ლეონიძის, ქართული სიტყვისა და ქართული სულის მესაიდუმლის ახალ-ახალი ლექსები ზედიზედ ქვეყნდება ჩვენს ლიტერატურულ პრესაში. ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლმა „რუსთაველის ნაკვალევზე“. განსაკუთრებით კი „პალესტინა, პალესტინამ“ თავისი პატრიოტული სულისკვეთებით, მხატვრული აზროვნების სიღრმითა და სინატიფით ყოველი ქართველი მკითხველის გულისა-კენ გაიკვლია გზა. რევაზ მარგიანის, გრიგოლ აბაშიძის, ანა კალანდაძის, ხუტა ბერულავას, მუხრან მაჭავარიანის, ოთარ ქელიძის, შოთა ნიშნიანიძის, ოთარ ჭილაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, თამაზ ჭილაძის და სხვების ახალი ლექსებისა და პოემების კრებულები თანამედროვე ქართული პოეზიის სიმდიდრეს ნათლად გვაგრძნობინებენ. მე ვცადე დამესახელებია ის პოეტები, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან შემოქმედებითი ნაყოფიერებით, რა თქმა უნდა, ზოგი გამომჩნა კიდევ. მაგრამ ამას, ვიმედოვნებ, პოეტები თუ არა, მკითხველები მაინც მაპატიებენ, რადგან მთავარი სათქმელი, ვფიქრობ, ნათელია. კერძოდ, თანამედროვე ქართული პოეზია გვარწმუნებს, თუ რა მდიდარი და საინტერესო, რა ღრმა და მრავალფეროვანია იგი.

ამ უკანასკნელ ხანს ბევრი სკეპტიკურად უყურებს პოეზიის დანიშნულებას, მის საჭიროებას და განვითარების პერსპექტივებსაც. ამ სკეფსისზე საკმაოდ იწერება საზღვარგარეთულ პრესაში. თითქმის ყოველ ლიტერატურულ შეკრებაზე. საჯარო გამოსვლებში, თუ ლიტერატურულ წერილებში დასავლეთელი მწერლები გულისტკივილით აღნიშნავენ ლირიკისადმი ერთგვარ გულცივ დამოკიდებულებას. სამწუხაროდ.

ეს განწყობილება თუ მოსაზრება ჩვენშიც გამოვლინდა. მკითხველებს ალბათ ახსოვთ, ამ რამდენიმე წლის წინ რა დავა ატყდა საბჭოთა პრესის ფურცლებზე პესიმისტებსა და ოპტიმისტებს შორის, უფრო ზუსტად, პოეზიის უარისმყოფელებსა და მის თავგამოდებულ დამცველებს შორის. ცნობილმა რუსმა პოეტმა ბორის სლუცკიმ საგანგებოდ ლექსიც კი უძღვნა ამ, ჩემი ღრმა რწმენით, უნაყოფო დისკუსიას. ამ ლექსს ეწოდებოდა „ფიზიკოსები და ლირიკოსები“. სლუცკის ლექსის შემდეგ ამ სახელწოდებით მოინათლა ეს ორი მოწინააღმდეგე ჯგუფი. თუმცა, ძალთა შეფარდება თანაბარი არ იყო. რადგან ლირიკის უარისმყოფელი ჩვენში, საბედნიეროდ, ბევრი არ გამოჩნდნენ.

ყველაზე საინტერესო მაინც ისაა, რომ ჩვენი ეპოქის უდიდესი ფიზიკოსი, როგორც მას უწოდებენ—თანამედროვე ფიზიკის მამა, — ალბერტ ეინშტეინი ამ საკითხში ფიზიკოსების ბანაკში არა ხვდება, რადგან თავის მეგობართან და ბიოგრაფთან საუბარში სულ სხვა შეხედულება აქვს ადრევე გამოთქმული. „მე პირადად, — განუცხადა ეინშტეინმა ა. მოშკოვსკის, — უმაღლესი ბედნიერების განცდას ხელოვნების ნაწარმოებები მანიჭებს და არა მეცნიერება, ან სხვა რაიმე“. ეინშტეინის მეგობარს, ბუნებრივია, საოცრად გაუკვირდა ამ უდიდესი და უბედნიერესი ფიზიკოსის ალსარება. მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად იცოდა მისი გატაცება ვიოლინოთი. მოშკოვსკი ჩაეძია, თუ რას გულისხმობდა ეინშტეინი, მხოლოდ მუსიკას, თუ კიდევ სხვა რამეს. ეინშტეინის პასუხმა კიდევ უფრო განაცვიფრა იგი: მე, უპირველესად, პოეზიას ვგულისხმობო! ამის შემდეგ, ვფიქრობთ, საკმაოდ შერყეული უნდა ჩანდეს ფიზიკოსების პოზიციები.

რაღაც საფუძველი პოეზიის ამ ერთგვარ უგულვებელყოფას, რასაც ასე გულისტკივილით აღნიშნავენ საზღვარგარეთელი მწერლები, უთუოდ აქვს. ნაწილობრივ ეს ჩვენზეც ვრცელდება. ესაა, ერთის მხრივ, მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო გაქანება და განვითარება, რამაც თავისი ფანტასტიკური შედეგებით, მაგალითად, კოსმოსში შეჭრით, ერ-

1 А. Мошковский. Алберт Эйнштейн, М., 1922. стр. 162

თბაშად დაიპყრო თანამედროვე ადამიანის გონებაცა და გრძნობაც, მეორე მხრივ კი, ერთგვარი პრაქტიციზმი, რომელიც თანამედროვე ადამიანს სულ უფრო და უფრო თითქმის მთლიანად ითრევს ყოფითი ცხოვრებისა და კომფორტისათვის ზრუნვაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ განსვენებული ჯონ კენედი, რომელიც ყოფითი ტექნიკის თვალსაზრისით დღესდღეობით ყველაზე სრულყოფილი სახელმწიფოს პრეზიდენტი იყო, ერთ-ერთ თავის გამოსვლაში აღნიშნავდა, რომ მომავალი თაობები ჩვენზე იმსჯელებენ არა იმით, თუ რა წარმატებებს მივაღწიეთ ეკონომიკისა და პოლიტიკის დარგში, არამედ იმით, თუ რა მოვიმოქმედეთ ჩვენ ადამიანის სულიერი განვითარებისთვისო. ეს ჭეშმარიტება ჩვენში ერთეულებს კი არა, ბევრს ესმის. ამიტომაცაა, რომ საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრება, მისი ზნეობრივი სახე საზოგადოების სახელმწიფოს საზრუნავია. ამის შედეგია, რომ საბჭოთა პოეტების წიგნები მრავალათასიანი ტირაჟებით იბეჭდება, მოსკოვის ყველაზე დიდი დარბაზები. ლუნიჩებიც კი, ვერ იტყვს მსმენელებს, როდესაც იქ პოეტების გამოსვლები ეწყობა.

ერთი სიტყვით, მართალია, ბევრმა რამ გადატვირთა თანამედროვე ადამიანის გონებაცა და გრძნობაც, ხელოვნების ძველ დარგებს ისეთი კონკურენტებიც გამოუჩნდა, როგორიცაა კინო და ტელევიზია, მაგრამ ეს, ჩემი ღრმა რწმენით, ოდნავადაც ვერ შეარყევს პოეზიის პოზიციებს, რა განიგი მუდამ იქნება საზოგადოების გონებრივად და ემოციურად ყველაზე ძლიერი და ნატიფი ნაწილის განუყრელი სულიერი საზრდო და თანამგზავრი; ხოლო თუ ვიგულისხმებთ, რომ ჩვენი საზოგადოება სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება, ისიც უნდა ვიწამოთ, რომ პოეზიის პერსპექტივები თანდათან კიდევ უფრო ნათელი და იმედიანი იქნება. ასე რომ, როგორადაც არ უნდა იყვნენ „ფიზიკოსები“ შეყვარებულნი თავიანთ მეცნიერებაში, მაინც ვერ დაგვიკარგავენ რწმენას იმისას, რომ ვიდრე იარსებებს ადამიანი, იარსებებს ხელოვნებაც, ლიტერატურაც და მისი ყველაზე ნატიფი, ემოციურად ძლიერი ჟანრი — პოეზიაც.

ს ა რ ა ჩ ე ვ ი

პ ო რ ტ რ ა ე ტ ე ბ ი

კენატე ნინოშვილი	5
დავით კლდიაშვილი	19
მიხეილ ჭავჭავაძე	49

ე ს კ ი ზ ე ბ ი

კონსტანტინე გამსახურდია	131
გერონტი ქიქოძე	135
კონსტანტინე ლორთქიფანიძე	139
დემნა შენგელაია	148
კარლო კალაძე	154

წ ე რ ი ლ ე ბ ი

შენიშვნები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე	167
თვალის ერთი გადავლებით	232
მინაწერის გოგონები	263
სამი ავტორი, სამი რომანი	282
ქართული ლირიკა და მისი განვითარების საკითხები	308
თამაში კი, მაგრამ უკანასკნელი?	324
„კვერნაქი“	334
ორიოდე სიტყვა თანამედროვე ლირიკაზე	348